119
1998/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალთეიზი

9–10

1998

ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიეტონი 74-ე № 9—10 1998 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

ზვიად რატიანი — ლექსები 3
დავით გუჯაბიძე — ციხე-სიმაგრე. მოთხრობა 8
გივი ძნელაძე — სიზმარ-ცხადი. ლექსი 30
ზურაბ კუხიანიძე — ავტობიოგრაფიული ფურცლები 33
ომარ შამათავა — ლექსები 51
ირაკლი გოგოლაური — ლექსები 54
ჯეიმზ ჯოისი — ულისე. მე-15 ეპიზოდი. თარგმანი და კომენტარი ნიკო ყიასაშვილისა. გაგრძელება 56

თარიღები

დურმიშხან ცინცაძე — აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავი 87
თამაზ ჭილაძე — 2600 92
ჯემალ მჭედლიშვილი — ივანე მაჩაბლის დოკუმენტური ბიოგრაფია. დასასრული 95
ბურამ გვერდწითელი — ნოდარი ჩვენთანაა — 70 . . . 109

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

დინარა ჩაკვეტაძე — „ფუთისოფლის გზაზე“ 113
ქეთევან ტრაპაიძე — ბიბლიური სახეები არჩილის ლექსში „სამიჯნურონი“ . 125

ნარკვევი

შოთა ვადაჭკორია — თბილისი საუკუნეთა ორომტრიალში 'იბეჭდება შემოკლებით 128

ხელოვნება

ზინა კვერენჩხილაძე — ჩემი ანტიბონე. დასასრული 147

მოგონებები, ფაქტები

გიორგი პაპუაშვილი — შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან 164
რევაზ კვერენჩხილაძე — საქართველოს მწერალთა კავშირი 1917—1997. გაგრძელება 177

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:

მარიამ აგიაშვილი
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
გიგი სულაკაური
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი (პ/მგ. მდივანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

21057

ზვიად რატიანი

ალლუმი

1

ნოემბრის დამლევს,
როდესაც ფერები ერთმანეთს იცვლიან,

როცა უამრავი ნათელი ციდან რჩება ერთადერთი —
ტყვიისფერი, ზამთრის მომლოდინე,

როცა დაუხარჯავი, თავიანთ თავში ჩაგუბებული ჩრდილებისგან
ხეებიც შავდებიან,

ქალაქის ყველაზე სევდიან ქუჩებში,
თუკი ასეთები კიდევ არსებობენ,

ჩამოივლიან ისინიც,
სანგრებში ჩახოცილი ჩემი ნაცნობები —

მწყობრი ნაბიჯებით, სამხედრო სასულე ორკესტრის თანხლებით,
(ღიად დარჩენილი თვალებით) —

2

მაგრამ ვერავინ შენიშნავს მათ,
ვერც საყვირის ხმა მისწვდება ვინმეს,

მხოლოდ მათი უნიფორმების სიმწვანეს თუ დალანდავენ გამვლელები,
მაგრამ ჩათვლიან, რომ მოეჩვენათ

და ყველაფერს
მონატრებას მიაწერენ —

მკვდრების მონატრებას კი არა, ცხადია,
გაზაფხულის, და ზაფხულის, ფოთლების და ბალახების მონატრებას,

საქართველ
ეროვნუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სილამაზის გამო კი არა, ცხადია,
სითბოს გამო, სინათლის და სიჩუმის გამო,

რადგანაც სცივათ — ნოემბრის დამლევს,
ირგვლივ კი ფერები ერთმანეთს იცვლიან,

და რადგან ერთადერთ, ზამთრის მომლოდინე, ტყვიისფერ ცას
შემორჩნენ მხოლოდ ყვავები და თვითმფრინავები;

3

კოლონა კი ივლის ქუჩებში,
ქალაქის ყველაზე სევდიან ქუჩებში

და თანდათან აიწევს ზემოთ,
ყვავების და თვითმფრინავების მხარდამხარ, ცაში,

საიდანაც ქალაქი, —
გაშიშვლებული, ნაცრისფერი, ზამთრის მომლოდინე —

გახუნებული ქალაქი
გაზეთის ფურცელს ჰგავს,

სადაც აქა-იქ გაკვრით არის ნახსენები
სანგრებში მათი ჩახოცვის ამბავი,

მაგრამ უკვე აღარ არის აქტუალური —
ნოემბრის დამლევს, ზამთრის მოლოდინში,

თუნდაც ყველაზე სევდიან ქუჩებში,
სადაც ჩაგუბებული ჩრდილებისგან ხეებიც კი შავდებიან...

გამვლელები კი შლიან ქოლგებს,
რომ წვიმისაგან თავი დაიცვან.

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი

შენი ხმა, შვილო, ჯერ რომ სიტყვების ყალიბებში არ ჩამოსხმულა,
ჩემს დავიწყებულ სულში ყვინთავს
და ამოაქვს გადარჩენილი სინათლეები.

ჩემს მიტოვებულ სულში ფუსფუსებს.

სდუმან, სდუმან, კვირტებს მიღმა მომლოდინე ფოთლებივით, შენი სიტყვები,
როგორც თბილი ჩანასახი, ღვივდებიან შენს ღუღუნში,
რომელიც ჩემს მიტოვებულ სულში ფუსფუსებს.

გაოგნებული ჩავყურებ ჩემს სულს:
ნაგავი გატანილია, მტვრები გადაწმენდილი,
სარკეები დაპრიალებული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოზიდე, ამოზიდე, გაზაფხულო, შენი ვეება სხეული
ამ სიფრიფანა ტოტებიდან; შენი თითო სხეული
ამ მკვრივი მიწიდან; შენი ხასხასა სხეული
ჩემი ჩამქრალი ნაკვთებიდან. ამოზიდე, ამოითრიე
და დაენახე ჩემს შვილს: გიცნობდეს.

ორი წერტილი

ჩემო ლექსო
დღეს ხელცარიელი მოვედი შენთან
და გატყობ: არც შენ გსურს რამე მიკარნახო
ანდა პირიქით: შენ მოხვედი
და ვერაფერი დაგახვედრე
მოკლედ: ერთად ვართ
და არაფერი გვაქვს სათქმელი
უბრალოდ: მომინდი
ანდა პირიქით: შენ მოგინდი
მოკლედ: ერთად ვართ
და თავს ვგრძნობთ მშვენივრად: ამ ვეება სამყაროში ორი წერტილი
და გველიმება: რა ტყუილად ვწვალობდით თურმე:
მე გაჩეჩებდი უამრავ სიტყვას,
მათგან უმეტესს შენ იწუნებდი
და ითხოვდი, და ელოდი
სხვებს,
უფრო მართლებს,
ბოლოს კი ხვდებოდი,
რომ აზრი არ ჰქონდა ხვეწნას და ლოდინს
და მაინც მიგქონდა რაღაც, სულ მცირედი, რომ ხელცარიელი
არ წასულიყავი: სულ ხელცარიელი
ხომ არ წახვიდოდი
და აი: კიდეც შევეჩვიეთ ერთიმეორეს
ანუ დავმეგობრდით
მეგობრები კი ერთმანეთთან მხოლოდ მაშინ არ დადიან როცა საქმე აქვთ
და აი: ასე: უსაქმოდ: ერთად ვართ
ამ ვეება სამყაროში ორი წერტილი
და მე არაფერს გაჩეჩებ ხელში
არც შენ არაფერს არ ითხოვ ჩემგან
ოღონდ არ ვფიქრობ ამის გამო, რომ შენ, ჩემო ლექსო, მოთვინიერდი
ანდა რომ ჩემზე ხელი ჩაიქნიე
და არც შენ ფიქრობ: სატკივარი დაელიაო
უბრალოდ: ერთად ვართ
რადგან მოვედი მე დღეს შენთან ხელცარიელი
ანდა პირიქით: შენ მოხვედი
და ვერაფერი დაგახვედრე
ანდა: უბრალოდ: ჩვენ ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით
როგორც ყოფილი თანამებრძოლები, მშვიდობიან დროს, ხვდებიან
ერთმანეთს მზიან ტროტუარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოდნავ, სულ ოდნავ ეუხერხულებათ თავიანთი სისუფთავე:
არც სისხლი, არც ტალახი
მაშ ასე: ერთად ვართ
ამ ვეება სამყაროში ორი წერტილი: ორი პატარა, თითქმის უმნიშვნელო
წერტილი

რომელთაც მხოლოდ ერთად ყოფნით ენიჭებათ მნიშვნელობა
და საქვეყნოდ აცხადებენ
რომ რაღაც, რაც იყო, გრძელდება:

დღის რეჟიმი

0. „ახალ სიცოცხლედ მიითვალე
ყოველი ახალი დღე“
(სენეკა)

1. იწყება იმით,
რომ ვიღვიძებ, რომ გავხედავ შეჩვეულ საგნებს,
მერე კი ვდგები

და ჩავუვლი შეღებულ სარკმელს,
რათა დავაფრთხო ქანდარაზე ჩამომსხდარი ბელურები,
დედაჩემის დაყრილ საკენკს რომ შესევიან.

2. მერე კი იცის დერეფნები,
გრძელი და მოკლე, ნათელი და ბნელი დერეფნები,
რომლებშიც
ან მე დავაბიჯებ (ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე)
და ფიქრი ისვენებს,
ან მე ვისვენებ (კედელს მიყრდნობილი)
და ფიქრი ბოლთას სცემს.

3. მერე კი ღამეა
და მე ვბრუნდები,
ბნელა და ვბრუნდები,
და სადღაც, სახლთან, ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას,
ჩამესმის ხოლმე სიტყვა „გამაცოცხლე“.

სიმღერა ჩემი უცნობი მკვდრისთვის

1

მზის ამოსვლამდე
ისე მკვეთრად ჩანან ხეები,
თითქოს ჰაერიც მორიდებით გვერდს უვლიდეს იმათ გრილ ტოტებს
და ფოთლების უცნაურად მეტყველ ქსოვილებს,

თითქოს შიშობდეს — არ შეეხოო,
ფრთხილად მიითრევს დილის ჰაერი მოცახცახე და მსუბუქ სხეულს
ტოტებშორის ამორჩენილ ვიწროებში
და სამშვიდობოს გაღწეული, ღირსეულად ეცემა ცაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კი, როცა მზეც აიშლება, თბილი თვალებით დიდხანს დაჰყურებს —
როგორ მწიფდება შენი სამარე.

2

რაღაც აკლია, ვიცი, ჩემს თვალებს,
იქნებ სიზმრები უნდა მეთმინა;
სიზმრებში უქმად გაფლანგულ მზერას ისაკლისებენ ჩემი თვალები

და კი არ ეხებიან,
როგორც შენ იცოდი,
ეხეთქებიან სინამდვილის ყოველ ნაწიბურს
და ტოტებზე ჩიტებს აფრთხობენ.

3

გატეხვას არ გთხოვ, მხოლოდ ოდნავ გაბზარე ფიცი,
ფიცი, რომელიც სიკვდილს მიეცი

და ამომძახე შენი თვალები,
რომელთაც მზერა ამ კლდეებზე ჰქონდათ გაწვრთნილი,

რომ ჩემი სული, აზელილი ქალაქის მტვერში, გაწაფულ ფრთებზე ჩამოისვან
და დაიმგზავრონ,
და ტოტებშორის ამორჩენილ ვიწროებში გზები ასწავლონ.

თორემ იცოდე,
დავბრუნდები მტვრიან ქალაქში
და ვიტყვი, რომ აქ „თვალწარმტაცი ბუნებაა“, „დიდი მთებია“,
და სიტყვების უმწეობას შევეწირებით
მე და შენ, ორნი, ვისაც დილით, მზის ამოსვლამდე, გვქონდა სიჩუმე —
გულუბრყვილო, გამოუცდელი,
— მკვდარსა და ცოცხალს ვერც ექნება მეტი საერთო.

4

მადლობელი ვარ შენი თვალების:
იქ, ქვემოთ, ხევში, მდინარის პირას
დილამ ხელივით გაშალა ნისლი...

და ვამბობ: მზად ვარ,
შეთქმულება აღსრულდა ჩვენი
და შეგიძლია ამაცალო შენი თვალები —
ისევე ნაზად,
როგორც დილის ბალახიდან მზე კრეფს ცვრის წვეთებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით გუჯაბიძე

ცხე-სიმაგრე

მოთხრობა

ნაშუალამევს თოვამ იკლო, ხოლო როცა კურიერი მოვიდა, საერთოდაც შეწყდა. ახლადდადებულ თოვლში ხმადახშულმა ნაბიჯებმა ნახევრადჩამწვარ კოცონთან მთვლემარე ჯარისკაცს ჩაუარა და გასცდა; და როცა გასცდა, ჯარისკაცმა ზანტი მზერა ასწია და ჩავლილს მიადევნა:

— სდექ, ვინა ხარ?

— შტაბიდან ვარ,

— მერე პაროლი?

— გორგასალი. — ითქვა პაუზის მერე.

— გაიარე,—ჯარისკაცმა ისევ ცეცხლს გაუშტერა თვალი, მაგრამ ის, ვისაც მიმართა, წასვლის ნაცვლად ცეცხლთან ახლოს მოვიდა და თავზე დაადგა. ჯარისკაცმა გაკვირვებით ამოხედა, — რა იყო?

— პასუხი მითხარი! ფეხზე ადექი და ისე!

ჯარისკაცი ზანტად წამოიმართა და ორი თავით მაღალი გამოჩნდა, მაგრამ მოსულზე ამან ეტყობა, შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, უტეხად ასცქეროდა.

— დიდგორი, — ჩაიბურტყუნა მაღალმა ჯარისკაცმა.

— ეგრე! — სთქვა მოსულმა, შეტრიალდა და წავიდა; ჯარისკაცმა თვალი გააყოლა.

— წადი, შენი... — მიადევნა ჩუმად და ისევ დაჯდა...

... იატაკმა ისე დაიჭრიალა, თითქოს ერთ საშუალო აღნაგობის კაცს კი არა, ცხენიან მხედარს შეებიჯებინოს ბნელ ოთახში. შემოსული ფეხაკრეფით გაემართა ოთახის კუთხისკენ; მისი ლამპის ნარინჯისფერმა შუქმა სიბნელიდან თანდათან ამოანათა ხის ტახტზე შინელგადაფარებული მძინარე კაცის სხეული.

— ბატონო მაიორო, — მორიდებით, ჩურჩულით ითქვა.

შინელის საყელოსა და სამხედრო კეპს შორის ვიწრო სიბნელეში ისე სწრაფად იელვა მაიორის თვალმა, რომ თითქოს კი არ ეძინა, თავს იმძინარებდა აქამდე.

— ჰო!

— პაკეტია შტაბიდან, ბატონო მაიორო;

სქელი ქსოვილის ქვეშ ხელები ამოძრავდნენ, შინელსა და კეპს შორის ვიწრო ჭრილში თითებმა ქუთუთოები დაისრისეს.

— შემოიტანოს; ლამპა დატოვე!

ლამპამ ოთახის კუთხისკენ გადაინაცვლა, სიბნელიდან ამოავლინა ქაღალდებით დაზვინული მაგიდა, ქაღალდებს შორის ცარიელი ადგილი მოძებნა, იპოვნა და ჩადგა; მერე ფეხის ხმა ოთახიდან გავიდა და მაშინვე ლამპით განათებულ არეში გამოჩნდა შინელმოსხმული ფიგურის წელი; ხელის მტევნებმა ერთმანეთი მოფშვნიტეს, თითებმა პაპიროსი ამოიღეს კოლოფი-

დან, ასანთს მოუკიდეს და ნამწვი საფერფლედგადაკეთებულ ამერიკულ კონსერვის ქილაში ჩააგდეს. ამასობაში მაგიდას სხვა ფეხის ხმა მოუახლოვდა.

— ბატონო მაიორო...

ლამპით განათებულ არეში დიდი კონვერტი შემოიწია, ხელებმა პაკეტს თავი წაახიეს და იქიდან თასმებით გაკრული ნაცრისფერი „საქმე“ ამოიღეს, იქვე აღმოჩნდა ორად გაკეცილი წერილი, რომლის კითხვისასაც მაიორი სკამზე დაჯდა; მერე ყურადღებით გადაიკითხა ხელმეორედ, „საქმე“ გაშალა და ფურცლებს ჩახედა;—პირველ გვერდზე ციხეში გადაღებული პატიმრის ნომრიანი ფოტოსურათი ეკრა ანფასსა და პროფილში. მაიორმა პაკეტის მომტანს ამოხედა და ახლაღა გამოჩნდა ლამპის შუქზე მისი თხელნაკვთებიანი, უძილობისაგან თვალებჩაცვენილი სახე.

— ეს პაკეტი ნამდვილად ჩემთან გამოგატანეს? არ გეშლებათ?

— პაკეტზე თქვენი გვარია, ბატონო მაიორო.

მაიორმა პაპიროსი გაღეჭა და ისევ ჩახედა ქაღალდს.

— ჩემთვის მეტი არაფერია შტაბიდან?

— არაფერი, ბატონო მაიორო! — მაიორმა გვერდზე გაიხედა, ნაფაზი დაარტყა და უცებ იფეთქა:

— ოთხი პატაკი დავწერე ამ თვეში, პირველი — ცხრა თებერვალს, მეორე — ცამეტში, მერე ჩვიდმეტში და ბოლოს ოცდაერთში; დღესაც ვაპირებდი, მაგრამ რა აზრი აქვს? რამდენ ხანს გაძლებს ჯარისკაცი ცხელი საჭმლის გარეშე?! ან ის თუ აინტერესებს ვინმეს შტაბში, რომ მოსახლეობისგან პურს ნისიად ვიღებ?!.. ჩემი პატაკები შტაბში ხომ მოაქვთ, არ კითხულობენ? რა არის ეს? ამისთვის გვცალია ახლა? — ხელი წაჭკრა ნაცრისფერ საქაღალდეს.

— არაფერი ვიცი, ბატონო მაიორო. — სიჩუმე ჩამოვარდა, მაიორმა კვლავ ნერვიულად მოქაჩა პაპიროსი.

— გთხოვთ ხელი მომიწეროთ მიღებაზე, დროც აღნიშნეთ. — ლამპის შუქში გადაშლილი რვეული შემოიწია. მაიორი კალამს მისწვდა და დათხვრილ სამელნეში ჩააწო, რვეულში რაღაცას დააკვირდა. — მეთოთხმეტე [illegible] ხომ გაივლით? ჰოდა, ვარ[illegible] ბადაცით, ათი დღის წინ რომ ორი დღით ცხენები წაიყვანა, ხვალვე დააბრუნოს, იქ არ ჩამომიყვანოს, თორემ ორ იმდენს წავართმევ! უცხენებოდ ვართ!.. შტაბში კი, ჩემი პატაკები წაიკითხონ, ახალი არაფერი მაქვს მისამატებელი. ორი მილიარდის მარტო პურის ვალი გვაქვს მოსახლეობაში, თუ არ გადავუხადეთ, მალე ნისიადაც აღარ მოგვცემენ; მშიერი ჯარისკაცი კი ყაჩაღია, — მაიორმა ჯიბის საათს ხუფი ახადა, დახედა და ჟურნალში ხელი მოაწერა, თარიღის დასმაზე შეყოვნდა ოდნავ, — რა რიცხვი დავწერო?

— ოცდახუთი, ბატონო მაიორო, უკვე ოცდახუთია. — მაიორმა ხელი მოაწერა და რვეული დააბრუნა; კურიერი შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. მაიორმა ისევ ჩახედა „საქმეს“, ბოლო ნაფაზი დაარტყა და პაპიროსი საფერფლეში ჩაჭყლიტა.

— სულ გაგიჟდნენ ამ შტაბში! — სთქვა რაღაც განწირულად და თვალები დაისრისა, მერე კი შედარებით ხმამაღლა დაიძახა კარისკენ, — ვასო!

* * *

დათხვრილ-დათითხნილ-დაორთქლილი ფანჯრიდან მოწითალო ფერის მბჟუტავი სინათლე და სიმღერის მოგუდული ხმა გამოდიოდა. თოვლში მომავალი ნაბიჯები ფანჯარასთან შეჩერდა და მინიდან მჟონავი შუქი სამხედრო კეპის ჩრდილმა გადაფარა.

გაზეთგადაფარებულ ტაბურეტზე გაშლილ სახელდახელო სუფრას — გრძელ პურებს, დაჭრილ ყველს, მოხარშული ქათმის ნარჩენებს და ჩურჩხელების ნატეხებს, ორი არყიანი ბოთლი კოშკებივით რომ დაჰყურებდა ზემოდან, ჭერზე დაკიდებული ნავთის ჭრაქიდან ლიცლიცა თბილი შუქი ოდნავ ანათებდა. გაქუცულლეიბიან მორყეულ საწოლზე ჩამომჯდარი, ქამარშეხსნილი ჯარისკა-

ცი დაუზოგავად უტყაპუნებდა საკუთარ მუცელს დოლის რიტმს, ხოლო მის გვერდით მჯდომ აგრეთვე ქამარშეხსნილ მეორე ჯარისკაცს, სავარცხელზე გაზეთის ნახევი გადაეკრა და დუდუკის ხმაზე აზუზუნებდა ბაღდადურს. მეორე საწოლზე ტყაპუჭში ჩაცმული მზერადაბინდული გლეხი იჯდა, ცალი ხელით მუხლზე გადაფენილ დაკეცილ ჭრელ ხურჯინს ეყრდნობოდა, მეორე ხელი — კიდევ ერთი უქამრო ჯარისკაცის გადაპარსულ თავზე ედო, და ეს ჯარისკაცი ამ გლეხს ერთობ გულისამაჩუყებლად ჰგავდა. სუფრა-ტაბურეტის ირგვლივ კი ექსტაზში შესული თხელი აღნაგობის მაღალი ოფიცერი ცეკვავდა და თან მთელი ხმით მღეროდა.

ოთახის კარში დარაჯად მდგარ ხიშტიან ჯარისკაცს ქათმის ბარკლის ღეჭვისას დაუკაკუნეს ზურგს უკან და მოულოდნელობისგან ლუკმა კინაღამ გულზე დაადგა.

— კაპიტანი დოლიძე აქ არის? — იკითხეს გარედან.

— რაო? — დაიღრინა ოფიცერმა, რომელსაც ცეკვა შეაწყვეტინეს, — ვინ კითხულობს დოლიძეს? რა უნდათ დოლიძისგან? რით ვერ გაძღნენ დოლიძით! ვინ არის?

ოთახში ლეიტენანტი შემოვიდა, დოლიძემ ნასვამი მზერა გაუსწორა, მერე თავი გააქნია, საწოლიდან თავისი სამხედრო კეპი აიღო და დაიხურა, ხოლო აქამდე რომ ფაფახი ეხურა, გლეხს გადაუგდო, ტანსაცმელიც შეისწორა და სხვა კაცად იქცა.

— ბატონო კაპიტანო, — სთქვა შემოსულმა.

და ოფიცერმა მაშინვე გააწყვეტინა სიტყვა:

— Нет, сударь, ради Бога, без подхалимства, умоляю, — მერე წელში გასწორდა და სამხედრო სალამი აუღო — ...მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის ყოფილი კაპიტანი, წმინდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი (მადლობა უფალს — რომ ყოფილი არა), გულადობისათვის დაჯილდოებული პირადად მისი ბრწყინვალეების — დიდი თავადის [illegible] ნებადაც კი საქართველოს რესპუბლიკის [illegible] საარმიო კონტრდაზვერვის პორუჩიკად ჩამოქვეითებული ნიკოლაი დოლიძე მზად არის გემსახუროთ. — შემოსულმა აფორიაქებული მზერა მოავლო თამბაქოს ბოლით გაბუღულ სასაწყობე ოთახს. დოლიძემაც იმავე მიმართულებებით მიმოავლო თვალი და ისევ მოსულს მიაცქერდა ნასვამი მზერით, — გისმენთ, ბატონო, გისმენთ; უფრო მეტი სმენა ეე... ტელეპატია იქნებოდა... — თვითონვე მოეწონა თავისი ნათქვამი და ჩაიხითხითა, — გისმენთ, ბატონო უფროსო ლეიტენანტო, რაში დავჭირდი სამშობლოს ამ შუაღამისას?

— ბატონი მაიორი გიხმობთ.

— გადაეცით ბატონ მაიორს, რომ ახლავე ვეახლები! — მთვრალი მოძრაობით ერთხელაც აუღო „ჩესტი“ ლეიტენანტს და თან თანამეინახეებს თვალი ჩაუკრა. ლეიტენანტი შებრუნდა და წავიდა. დოლიძემ ცალყბად ჩაიცინა, მოქეიფეებმა ეს ნიშნად მიიღეს და გადაიხარხარეს. დოლიძემაც გაიცინა და უცებ...

— სმენა! — დაიღრიალა მთელი ხმით; დაბნეული ჯარისკაცები ფეხზე წამოხტნენ, გლეხიც წამოდგა და გაიჭიმა. — სმენა, — ჩაიბურდღუნა ეფექტით დაკმაყოფილებულმა დოლიძემ, — და ეგრე იდექით, სანამ არ დავბრუნდები, გასაგებია?! ჰაუპტვახტში ხართ ბოლოსდაბოლოს... დეზერტირებო თქვენ! — თუნუქის ღუმელთან მიბარბაცდა, კედლიდან თვითნაკეთ საკიდზე დაკიდებული შინელი ჩამოხსნა, ჩაიცვა და ოთახიდან გამართული ნაბიჯით გავიდა.

* * *

გაცრეცილ სიბნელეში ცარიელი თუნუქის სათლის ძირზე სითხის წვრილი ნაკადი დაესხა, მერე კიდევ და კიდევ, თანდათან მოემატა სიხშირეს, ხმაც ჩაიგუდა. ძროხის ჯიქანს ენერგიულად ებრძოდა დაბალ სკამზე მჯდარი ღონიერი

დედაკაცი, ასე 28-30 წლისა; თვით ძროხა კი ზანტად ღეჭავდა ჩალას. ბოსლის ღია კარში ჩარჩოში ჩასმული სურათივით ეკიდა დათოვლილი მინდორი და მის მიღმა გავლებული შავი ტყრუშული ღობე, მის იქით კიდევ, სოფლის ხევსიქითა მთაზე შეფენილი მეორე უბანი.

კარის ჭრილში 8-9 წლის ბიჭი შემოვიდა, მოზრდილის სიდინჯით ხმისამოუღებლად აიღო ფიწალი და გაფანტული ჩალის თავმოყრას შეუდგა. ლამის ფეხდაფეხ შემოჰყვნენ 14 წლის გოგონასა და 3 წლის მობანდალე ბუთხუზა ბიჭის სილუეტები.

— გაიღვიძე, გენაცვალოს დედა? — გამოხედა ქალმა და თვალებით მიესიყვარულა.

— ძე მიდა მე! — დაილუღლუღა პატარამ.

— ჰოო, — ქალს წველა არ შეუწყვეტია, ისე გამოხედა გოგონას, — ცხრა საათისა სთქვით უკვე?

— ადრეა ჯერა.

— არა უშავრა, ადრე შეიძლება.

სიბნელიდან ძროხამ დაიბღავლა. ქალმა, გოგონამ და ბიჭმა ერთდროულად მიიხედეს ბოსლის სიღრმისკენ. ბიჭმა ფიწალი მიაყუდა კედელზე და სიბნელეში მდგარ მეორე ძროხას მიაშურა, ირგვლივ შემოუარა, ხელი დაუსვა ფერდებზე, ზურგზე, კუდი აუწია. მერე ისევ გამოვიდა სიბნელეში და დედას უთხრა:

— ჯერ არა.

მერე ის და გოგონა ბოსლის გარეთ, ეზოში გამოვიდნენ, ბოსლის კედელთან დადგნენ, პირჯვარი გადაიწერეს და დაიწყეს: — „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ...“

ბიჭმა და გოგომ ერთმანეთს გადახედეს და ისევ ერთდროულად გააგრძელეს: „მიწყალე, მე ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უშჯულოება ჩემი. უფროს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმინდე მე, რამეთუ უშჯულოება ჩემი მე უწყი და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ,“ გოგონამ ხელჩაკიდებულ პატარა ბიჭუნას ხელიდან გააგდებინა ჭუჭყიანი თოვლის გუნდა, რომელსაც იგი შეჭმას უპირებდა, ბოსელში მყოფი ქალი კი, ბავშვებთან ერთად, წველის შეუწყვეტლად იმეორებდა ფსალმუნის სიტყვებს.

* * *

დათოვლილი ხეობის ძირზე ვიწრო გზას ოთხი ცხენოსანი მიუყვებოდა; ზოგჯერ, როცა კი გზა ამის საშუალებას აძლევდა, ჭენებითაც მიდიოდნენ, მაგრამ ძირითადად ნაბიჯით იძვროდნენ — გზა იყო ვიწრო და უხერხული. ცხენოსნებს სამხედრო შინელები ეცვათ; სამს შაშხანა ეკიდა, მეოთხეს — ნაგანის ბუდე ქამარზე.

გზის მოსახვევთან, კლდეში შეღრმავებულ ადგილას ამოშენებული წყაროს მილიდან წყლის მსხვილი ნაკადი გადმოსჩქეფდა, წყაროს გვერდით კი ვიღაც მადლიანის მიერ მგზავრების დასასვენებლად გაკეთებული გადახურული მაგიდა და ძელსკამიც იდგა.

მხედრები წყაროსთან ჩამოქვეითდნენ. ნაგანიანმა კაპიტანყოფილმა დოლიძემ უნაგირზე დამაგრებული პლანშეტი ჩამოხსნა და მაგიდას მიაშურა, ხელთათმანი წაიძრო და იმითი გადაფერთხა ნიავისგან შემოფრქვეული თოვლი მაგიდიდან, მერე პლანშეტი გადახსნა და ის „საქმე“ გაშალა, წუხელ მაიორს რომ მიართვეს შტაბიდან; თან მაგიდას მიუჯდა და მალე ისე გაერთო ქაღალდების შესწავლით, რომ ხანდახან თუ შეისწორებდა ქუდს და შინელის ზედა ღილიც მჭიდროდ შეიკრა.

— სულ გაგიჟებულან ამ შტაბში, — ჩაილაპარაკა ბოლოს და თავისივე ნათქვამით გამოფხიზლებულმა მიმოიხედა, მერე ისევ ჩაერთო საქალალდეში.

ჯარისკაცებმა მუხლები გაშალეს, ასაკით ყველაზე უფროსმა თავისი უნაგირიდან ნაჭრის თოფრა მოხსნა, ყველაზე ახალგაზრდას მიაწოდა და გართული ოფიცრისთვის რომ ხელი არ შეეშალა, უხმოდ ანიშნა — სუფრას მიხედეო; სანამ მესამე ჯარისკაცმა სათითაოდ ყველა ცხენს ნალები შეუმოწმა და წყალი დაალევინა, ამ ორმა თოფრიდან კონსერვის ორი ქილა, შოთი პურის ნატეხები, ნახევარი თავი ყველი და დიდი ბოთლით არაყი ამოაწყვეს და თოფრიდანვე ამოღებულ გაზეთზე გაშალეს.

მესამე ჯარისკაცმა ცხენების მოვლა დაამთავრა და მაგიდასთან მოვიდა. ასაკით ყველაზე უფროსმა უბიდან ერთმანეთში ჩალაგებული რამდენიმე მომცრო ყანწი ამოიღო, ბოთლის გვერდზე დააწყო და სამივე, უტყვი მოლოდინით, დოლიძეს მიაჩერდა, მერე კი მორიდებულად ჩაახველა მანვე — უფროსმა. დოლიძემ თავი ასწია.

— მობრძანდით, ბატონო კაპიტანო.

— აი, ცოტაც დამრჩა და ახლავე, ისე, ცივა, ხომ იცი!

სანამ ჯარისკაცები სიცივისგან ადგილს ტკეპნიდნენ, დოლიძემ ბოლო გვერდებსაც სწრაფად გადაავლო თვალი, საქალალდე დახურა და სუფრისკენ მიიწია.

— ოჰო, ეს რა მდიდრული სუფრა გვქონია!

— დაილოცეთ, ბატონო კაპიტანო, — ყანწი მიაწოდა უფროსმა ჯარისკაცმა. დოლიძემ ჩამოართვა და ყანწი დაყნოსა.

— უჰ, — მოეწონა, — აბაა, სამშობლოს გაუმარჯოს, ღმერთმა სიკეთე, გამარჯვება და მშვიდობა მისცეს, — თქვა მოკლედ და გადაჰკრა.

— ჩვენ მიწა-წყალს გაუმარჯოს, — გადაჰკრა უფროსმა ჯარისკაცმაც.

— საქართველოს გაუმარჯოს, მის ჯალხს, მის ჯარს; მალე გაერეკოს მტერი თავისი მიწა-წყლიდან და ისევ მშვიდობიან საქმიანობას დაბრუნებოდეს, — ცოტა სიტყვამრავლად დაილოცა — მესახედაობით ყველაზე უძცროსი.

სამაგიეროდ, მეოთხემ მთლად უსიტყვოდ ასწია ყანწი და გადაჰკრა.

ჩუმად საუზმობდნენ, დოლიძემ გამოყვანილი ღორის ქონი დაადო პურს და მადიანად ჩაკბიჩა.

— გემრიელია, რუსულს ჰგავს, — შეაქო ლუკმა.

— ჩემი ოჯახისაა, — ამაყად სთქვა უფროსმა ჯარისკაცმა, — სოფელში ეგეთს ჩემს მეტი კი ვერ აკეთებს, პაპაჩემმა ასწავლა მამაჩემს, მამაჩემმა კიდენა, მე. მეტი არავინ იცის.

— აბა, ოჯახებს დაგილოცავთ, სიკეთე და გამარჯვება ნუ მოგიშალოთ; ჯანმრთელობაც პირველ რიგში, — დაილოცა და დალია დოლიძემ.

— ოჯახებს გაუმარჯოს, — სთქვა უფროსმა ჯარისკაცმაც.

— ახლა უკვე მალე მორჩება ეს ყველაფერი, — დაფიქრებულად სთქვა უმცროსმა — მალე ნახავ მაგ ბოლშევიკების საცოდაობას, მთელი ევროპა რომ ომს გამოუცხადებს, ჩვენმა მთავრობამ უკვე ერთა ლიგაში იჩივლა.

— ჰოო, — ჩაილაპარაკა დოლიძემ — უკვე იჩივლა? როდის?

— გუშინ გავაკეთეთ განცხადება, შტაბიდან ამბავი ამოიტანეს.

სიჩუმე ჩამოვარდა, უფროსმა ჯარისკაცმა ისევ ჩამოასხა არაყი კაპიტნის ყანწში.

— წინაპრებს გიდღეგრძელებთ, — აღარ დაახანა კაპიტანმაც, — ხსოვნა-არდავიწყება მათ სახელებს.

— გაუმარჯოი, წინაპრებ დაგილოცავთა.

— ვადღეგრძელებ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, ნამდვილ ქართველ ვაჟკაცებს, მტერს რომ მტრულად ხვდებოდნენ და მოყვარეს მოყვრულად, — გადაჰკრა უმცროსმა, სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა.

— რამდენი წლის ხარ, ბიჭო? — შეეკითხა დოლიძე.

— ცხრამეტის, — სულ ძლივს მოითქვა ჯარისკაცმა — მალე გავხდები.

— დედა გყავს?

— დიახ, დედა. სკოლის გამგე იყო მამაჩემი, დედაც მასწავლებელია.

— გიმნაზია დაამთავრე? — ჯარისკაცმა თავი დაუქნია — როდიდან მსახურობ?

— ორი კვირე იქნება, რაც ჩვენთანაა, მოხალისეა. — უფროსმა უპასუხა ხმაჩამწყდარი ახალგაზრდა ჯარისკაცის ნაცვლად.

— თბილისის უნივერსიტეტში ვსწავლობ, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

— ყველას მშობლებს დაგილოცავთ.

ყველამ შესვა.

— აბა, მოემზადეთ, ხუთ წუთში გავდივართ, — კაპიტანმა მიმოიხედა და მოფარებული ალაგი მოძებნა.

ჯარისკაცებმა სუფრა აალაგეს.

— აუჰ, რა სილამაზეა! — სტუდენტი აღტაცებული უყურებდა გარემოს, უფროსმა ჯარისკაცმა მის მზერას გააყოლა თვალი და გაზეთის ნახევში შეხვეული სიგარეტი გააბოლა.

— რამოდენა თოვლია, შეხე ზეით, ერთ თვეზედ აქ იგრეთი ზვავები წამოვა რო!

— რატომ?

— აქეთ ეგრე იცის — როგორც კი პატარა სითბო შეუდგება და, სუ ხევში ჩაიტანს: ვრიალი იცის, ყურო ნუ გაიგონებ!

— უჰ, რა ლამაზი იქნება, ნეტაი ერთი მანახა.

უფროსმა ჯარისკაცმა ეჭვით გადმოხედა.

— ამოდი და ნახე რა.

სტუდენტი ჩაფიქრდა.

— მართლა ამოვალ, — თქვა ბოლოს,— მანამდე ალბათ ომიც გათავდება, ბოლშევიკებსაც გავყრით კავკასიიდან და სინემატოგრაფის ოსტატსაც წამოვიყვან თავისი აპარატით, გადავაღებინებ!

— შენა, ბიჭო, ხო არ გაგიჟდი, ზვავობისას აქ აბა ვინ წამოვა?!

— სინემა წამოვა.

— სინემა ვინ არი?

სტუდენტმა გაკვირვებით ამოხედა.

— ეჰ, აბა შენა ყოფილხარ! სინემა ვინ არი, ეე..!

* * *

ერთსართულიანი აივანი. სახლის კარი გამოაღო და სამსაფეხურიანი მოკლე კიბით ეზოში ჩამოვიდა თბილად ჩაცმული კაცი; შეჩერდა, ცალ მხარზე დიდი ხურჯინი გადაიკიდა, მეორეზე — ბერდენის კარაბინი და ჭიშკრისკენ დაიძრა. აივანზე ქალიც გამოვიდა და კაცს გაეღვენა.

— რაღა დროის წასვლაა კაცო, დაგიღამდება.

— თელიანთწყაროში გავათენებ და ხვალ დილაადრიან ადგილზე ვიქნები; ხვალღამევ ამოვბრუნდები.

— ბარემ ხვალ წასულიყა, ჰა? ნუ მიდიხარ დღესა, რაღაც გული არ მამდევ.

— შენ გულ ვუყურო და ი ბიჭი ცოდო არ არი, მშიერ-მწყურვალი რო უდგა ცხვარსა?!

— ხვალამდე აბა რა მოუვა.

— ის მოუვა რომა, ჩემ ცხვარს დაკლამს რო მოშივა, თავისას კი არა.

ქალი დადუმდა, კაცს ცოტა გული მოულბა.

— რა იყო, რა გაგიდგა დღესა?

— აბა მე რა ვი, ცუდი სიზმარი ვნახე.

— წყალს მოუყევი და პირჯვარი გადაიწერე. გოგო, სახლში შედი! — დაუძახა 19-20 წლის ჩათქვირებულ ქალიშვილს, რომელსაც ღამის პერანგზე ტყაპუჭი მოესხა და ისე გამოსულიყო აივანზე. ქალმაც მიიხედა, მერე ისევ ქმარს მოუბრუნდა.

— ბოლშევიკებ რო გადაეყარო?

— ჰეჰ, — ჩაეცინა კაცს, — აქამდე ვინ მოუშვებს ბოლშევიკს, მილეთის ჯარი უდგა წინა.

— ტყე-ტყე დაეხეტებიანო, ბიჭო, ხალხს ხოცამენ და ჭამენო, გაიგე.

კაცმა ჭიშკარი გამოაღო და ეზოდან გადადიოდა, მაგრამ შეჩერდა.

— ფუი, დამთარსა ამ შობელძაღლმა, — ჩაილაპარაკა გამწარებით.

ატალახებულ ორღობეში შორიდან მოირწეოდა კოჭლი კაცის ფიგურა, რომელსაც ხელში გრძელი უსწორმასწორო ჯოხი ეჭირა.

— ჰოდა ნუღა მიდიხარ, ჰა?

— ეხლა შენაც დამიმატე! არაყი და პური გამაუტა; ჩქარა, თვალი არ გამამაყოლოს მაგ... — კაცი დაიძრა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა, კოჭლს რომ ჩაუარა, მიესალმა, კოჭლმა თვალი გააყოლა.

— არაყი! მიდი იქა და არაყია, — ხელით ანიშნა კაცმა, კოჭლმა ნაბიჯს მოუჩქარა კაცის ეზოსკენ. თვითონ კაცმა პირჯვარი გადაიწერა და გზა გააგრძელა. კარგა შორს, დალმართის დასაწყისთან კი ისევ შედგა და აწრიალდა — ჯერ უკან გადმოდგა ნაბიჯი, მერე გვერდზე, ბოლოს ისევ ადგილზე გაჩერდა.

გორაკის იქიდან ნელ-ნელა ამოიმართნენ ცხენებზე მსხდარი სოფლისკენ მომავალი შინელიანი ადამიანების ფიგურები; გზაზე გაჩერებულ კაცს რომ მოუახლოვდნენ, რაღაცა ჰკითხა სულ წინ მომავალმა, ამანაც — თავისი თოფის ლულით აჩვენა მიმართულება და როცა მხედრები გამოსცდნენ, თვალი გამოაყოლა, მერე ისევ გადაიწერა პირჯვარი და თავისი გზა გააგრძელა სწრაფი ნაბიჯით.

ოთხი მხედრის რაზმმა ცხენების აუჩქარებელი ჩორთით ჩაუარა გლეხის ჭიშკარს და ჭიშკრის შორიახლოს ღობესთან მიმჯდარ კოჭლ მათხოვარს, რომელსაც არაყი უკვე გადაეხუხა და ახლა შაშხს და პურს იღეჭებოდა. ზედ სახლის წინ, სტუდენტმა ჯარისკაცმა აივანზე მდგარ ჯიშიან გოგოს თვალი გაუსწორა; გოგომ დაიმორცხვა, მაგრამ მზერა არ მოარიდა, თვალები დაახამხამა და უცბად ძალიან გაწითლდა. მთელ ამ სცენას დედამისმა შეასწრო თვალი და როცა ჯარისკაცებმა ჩაიარეს, გოგოს თავში წაუთაქა.

— შედი სახლში, შე დასამიწებელო!

სტუდენტმა ჯარისკაცმა კი უფროს ჯარისკაცს უთხრა:

— არა, შენ რომ ამბობ, ის — ფოტოგრაფიაა, სინემა სულ სხვა რამეა. აი, ასე ატრიალებენ სახელურს.

უცებ გაისმა გაბმული მწივანა სტვენა და დოლიძემ თავი მოატრიალა; ღობესთან ჩამჯდარ კოჭლ მათხოვარს მოკლე სალამური მიეტანა პირთან და ზედ თითებს აცოდვილებდა; დაკვრა არ იცოდა, ეტყობა, მაგრამ რაღაც თავისას აწრიალებდა მაინც.

ორღობე თავდაღმართში დაეშვა, მხედრებმა ცხენები შეაყენეს. უფროსმა ჯარისკაცმა ჰაერი დაყნოსა და თანამგზავრებს თვალი ჩაუკრა. დოლიძემაც ღრმად შეისუნთქა ზამთრის ჰაერი.

— კარგია, — თქვა და ცხენი დაძრა.

* * *

— „და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ“, — გაისმა დათოვლილ ეზოში, იმ ეზოში, დილით ძროხას რომ წველიდნენ. ოჯახის დიასახლისი წნელით შემოღობილ თონეში პურს აკრავდა, მის საქმიანობას კი თვალს ადევნებდა ოთხი აცმუკებული ბავშვი, რომლებიც ახლადგამომცხვარი პურის და ცეცხლის ეშხით თონის ირგვლივ წრიალებდნენ. ეზოშივე დასეირნობდა პლედმოსხმული ევროპულად ჩაცმული ქალი.

— პული მიდა მე! — კატეგორიულად განაცხადა პატარა ბიჭუნამ.

— აბა ახლა ფსალმუნი სთქვით, — ახალ გუნდას დასწვდა დიასახლისი.

მისი შვილები: გოგო და ბიჭი ოდნავ შეყოვნდნენ და ისევ ერთხმად დაიწყეს:

— „რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისაითა, საფარველსა ღმრთისა ზეცათაისა განისუენოს, ჰრქუას უფალსა: ხელის აღმპყრობელი ჩემი ხარ შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას, რამეთუ მან გიხსნეს შენ საფრთხისა მისგან მონადირეთაისა...“

მლოცველ ბავშვებს 10 წლის ქალაქურად ჩაცმული ბიჭი შეჰყურებდა დუმილით, მერე პურისმცხობელ ქალზე გადაიტანა მზერა და ნერწყვი ძნელად გადაყლაპა.

— რაო, კიდევ ვერ დაიმახსოვრე? — შეეკითხა პურისმცხობელი ქალი მდუმარე ბიჭს — არა უშავ რა, სულ მალე ყველაფერს გასწავლი, ფსალმუნებსაც და წმინდა ნიკოლოზის ტროპარსაც; ხომ

იცი, წმინდა ნიკოლოზი მგზავრების მფარველია, მის სახელზე უნდა ილოცო, რომ მამაშენი და მახარა ძია მშვიდობიანად მოგვივიდნენ შინა.

ბავშვმა დედას გახედა, რომელმაც თავის მხრივ, მოწყენილად გაიხედა გვერდზე, და მერე საერთოდ წავიდა იქიდან, როგორც ჩანს, ეს შეგონება პირველად არ ესმოდა. დიასახლისი კი განაგრძობდა პურის ცხობას და მასთან ერთდროულ ლაპარაკს, და ორივეს ერთად მშვენივრად ახერხებდა:

— ჩვენი წინაპრები შვიდგზის ლოცულობდნენ ღღეში, შვიდგზის ადიდებდნენ უფალს და ღმერთიც ჰფარავდა მათ. რაც ღმერთი დაივიწყა ხალხმა, მას მერეა ეს შფოთი, გაჭირვება და ომები. განა ბევრი რამე უნდა ღმერთს შენგანა, არა — ძალიანაც ცოტა: არა იპარო, არა კაც ჰკლა, არა ცილ სწამო, არა... ჰო, ისაა, პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, და ყველაფერი კარგად იქნება... მაგრამა ქალაქი სუ წარწყმედილია, თუ არ მოგატყუეს, ისე ხო არ იქნება! თუ ხელი არ გიკიდია ჯიბეზედ, ისე მოგპარავენ მთელ ფულსა ბაზარში, როგორც არაფერი; ამიტომაც,.. — ქალს ალბათ მუშაობისას ლაპარაკი უყვარდა და მისთვის სულ ერთი იყო, უგდებდა ყურს ვინმე თუ არა. ამასობაში მისი შვილები ფსალმუნს არაკრაკებდნენ პურზე თვალებმიბჯენილები, ქალაქელი ქალი კი სადღაც სულ სხვა მხარეს გასცქეროდა.

ყელმტკივანი ბიჭიც...

მაშინაც ასე იდგა დედა და გვერდზე იყურებოდა; აქ კი მამა იდგა და ამბობდა:

— აქ ჩემთვის არავითარი აზრი აღარა აქვს არაფერს. შენც გახსოვს, როგორი იმედი მქონდა, რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენი მთავრობა ხელოვნების განვითარებას მიჰყოფდა ხელს, მაგრამ მან ეს საქმე მეცენატებზედ მიაგდო საბოლოოდ. სარაჯიშვილთანაც ვიყავ, ზუბალაშვილთანაც, ლაღიძეც შევაწუხე და კიდევ ვინ იცის, ვინ აღარ! ყველა ცოტათი მდიდარ ექიმს, მედუქნეს, ვაჭარს, ვისაც კი ვიცნობ და არ ვიცნობ, ჩამოვუარე. შენც არ მომიკვდე. ერთი ხოშტარიაღა დამრჩა, შეაწუხებელი, მაგრამ ის ჯერ სპარსეთშია, მერე სტამბულს გამგზავრებულა და იქიდან — ლონდონს; ადრე თუ გვიან აქაც ჩამოვა — აქაც ხო აქვს საქმე, მაგრამ დიდი იმედი აღარც იმისი მაქვს... რა უსამართლობაა, რომა, ჩვენი — მხატვრების ბედი ხელოვნებაში ჩაუხედავი ფაბრიკანტის გემოვნებაზეა დამოკიდებული! პარიჟში ჯერ მარტო დათიკო წავიდა, ის იმერელი, თუ გახსოვს, ჩვენთან ერთად რომ იჯდა ოპერის ბუფეტში და ტორტის კრემით გათხვარა ერთი ბალერინა; ამბობენ, სამუშაოს ეძებს და ძალიან უჭირსო. იმას კიდევ რა უჭირს, მარტო თავისი თავი აბარია, ჩვენ კიდე, ჩვენი შვილიც შესანახი გვეყოლება; იმის სწავლა, პანსიონი და ჩაცმა-დახურვაც ძალიან ძვირი იქნება. მე რომ მარტო ვიყო წასასვლელი, აქამდე იქ ვიქნებოდი და გამოფენებიც მექნებოდა გაკეთებული. აი ახლაც, ლადიკოც მიეშურება, იმასაც იცნობ შენა, სპარსულ მინიატურას რომ ჰბაძავდა და სულ რომ ვეუბნებოდი, რომ სპარსელები ადამიანებს არა ჰხატავენ-მეთქი და არ მიჯერებდა. ეხლა ჰგონია, რომა პარიჟში მოეწონებათ მისი ნახატები. ღმერთმა ხელი მოუმართოს და მე კი არა მგონია. ევროპაში ახლა ძველი კი არა, ახალი მხატვრობა მოსწონთ, ფოვიზმიც და კუბიზმიც კი დაძველდა,..

დედა მაშინაც ჩუმად იყურებოდა გვერდზე, შორს და ზევით...

— „მოწყალების კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტეანეთაისა, ამენ.“ — დაამთავრეს ლოცვა ბავშვებმა, დიასახლისმა შეგრილებულ პურს ყუა მოატეხა და პატარას მისცა, იმანც საქმიანად დაუწყო ლოღნა, ქალი პურის ახალ რიგს ჩაეკიდა თონეში და გამომცხვარი ამოაწყო იქიდან, და უცებ ჩამოვარდნილმა სიჩუმემ მუშაობა შეაწყვეტინა. ყველა, ვინც კი ეზოში იდგა, ჭიშკრისკენ

შებრუნებულები მისჩერებოდნენ ღობის გადაღმა, ჭყაპიან-ტალახიან ორღობეში მდგარ ოთხ მხედარს.

— ვაიმე, შვილებო, ბოლშევიკები! — ჩაიკვნესა დიასახლისმა.

— ქართული ფორმა აცვიათ, დედი, ჩვენები არიან, ნუ გეშინია, — სთქვა მისმა ბიჭმა.

ოფიცერი ცხენიდან ჩამოხტა, ჭიშკარში შემოვიდა, ჩექმები რომ არ დატალახიანებოდა, ისე გამოიარა თოვლზე, გატრუნულ ქალებს სამხედრო სალამი აუღო და ღიმილით უთხრა:

— გამარჯობათ, ცოტა პურს ხომ ვერ მოგვყიდდით, ქალბატონო?

— რას ბრძანებთ, პურის მოყიდვა რა საკადრისია, სახლში მობრძანდით.

* * *

— ე რა სივიწროვეში გყავთ ძროხები, წინ მეტი უნდა დაგეჭირათ, — უკმაყოფილოდ აათვალიერა ბოსლის შენობა უფროსმა ჯარისკაცმა, — რაო, დაეწყო? — შესძახა შიგნით.

— არა ჯერა, — პაუზის მერე უპასუხა ბიჭის ხმამ სიბნელიდან.

— მაშ წამო.

ბოსლიდან ერთად გამოვიდნენ, ჯარისკაცმა დიასახლისის შუათანა ბიჭი წინ გაიძღოლა და სახლამდე მიაცილა. იქ, სახლის კართან, კიბეზე, სტუდენტი ჯარისკაცი ჩამომჯდარიყო. უფროსმა ჯარისკაცმა სახლის კარი შეაღო და ბავშვი შეუშვა.

— ნუ გეშინია, საქონელსა მე დავხედავ ხოლმე, თუ დაეწყო, დაგიძახებთ, — დაამშვიდა და თვითონაც კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

სახლის ყველაზე დიდი ოთახის შუაში ფართო მაგიდის ცენტრში კუნძულივით ეწყო ხელუხლებელი შოთი პურები, ყველიანი, მწნილიანი თეფშები, ღვინის დოქი და ჯამები, და მთავარი — სინი, მრგვლად მოხარშული დაჭრილი ქათმით. ყოველივე ამის ცალ მხარეს, მაგიდის ერთ ნახევარზე ელაგა რამდენიმე დიდი საქაღალდე-შეკვრა, მათ შორის ერთი გაშლილი და იქიდან ამოწყობილ აკვარელებს, ცნობილი სურათების რეპროდუქციებს და ფოტოსურათებს ლამის მთელი მაგიდის სივრცე [illegible] მაგიდის მოპირდაპირე მხრიდან იჯდა მესამე ჯარისკაცი, რომელსაც პლანშეტზე გაშლილ ქაღალდზე ორად ორი სიტყვა ეწერა მხოლოდ: „დაკითხვის ოქმი“, ხელთ ფანქრის ნალევი ეჭირა და მართალია ხანდახან თვალი საჭმლისკენ გაურბოდა (და ამ დროს მას ნერწყვი ეყლაპებოდა და ნესტოები უთრთოდა), ყურადღებით შესცქეროდა დოლიძეს, რომელსაც, ეტყობა, აკვარელების თვალიერება მოეთავებინა და ახლა კედლებზე უხვად ჩამოკიდებულ ფერწერულ და გრაფიკულ ოპუსებს ასცქეროდა. კედელზე რაღანაირი ნახატი არ ეკიდა, ზდანევიჩების, კაკაბაძის და ელენე ახვლედიანის ადრეული ნამუშევრების სტილში შესრულებული; აქვე გახლდათ კონსტრუქტივისტული ფერწერის რამდენიმე საცოდავი ნიმუში. დოლიძემ სურათებიდან თვალმოუწყვეტლივ განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა.

— საქმე იმაშია, ქალბატონო ქეთევან, რომ სერგო სეროპიანი, იგივე მამედოვი, იგივე პოლიანსკი და იგივე ლალიძე ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრია. რსდმპ(ბ) ფრაქციაშია 1908 წლიდან, მონაწილეობდა მეტეხის, ბათუმის და ხაშურის ციხეებიდან პატიმრების გაქცევის ორგანიზებაში 1907, 1915 და 1919 წლებში, ჭიათურის მაღაროების სალაროს გაძარცვაში, აგრეთვე სენაკში, ვლადიკავკაზში, ვილნოში და ნიჟნი ნოვგოროდში. აი, ასეა, ქალბატონო ქეთევან, — გამოხედა მაგიდის მეორე მხარეს მჯდომ ქალაქელ ქალს, რომელსაც თავისი ყელშეხვეული ბიჭუნა გვერდზე მჭიდროდ მიეკრა; მათ უკან დასჯილებივით იდგნენ ოჯახის დიასახლისი და მისი შვილები, სულ უმცროსის ჩათვლით.

— სერჟიკა? — უნდობლად გაეღიმა ქალს და ოდნავ შეათავისუფლა ბიჭი, — თქვენ ალბათ იგი ნანახიც არა გყავთ, თორემ,.. ისე, შემთხვევით გენერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2105

გრიაზნოვიც სერჟიკამ ხომ არ ააფეთქა 1905-ში?

— დამერწმუნეთ, თქვენი ირონია უადგილოა. აი, ბატონო, საბუთი: სეროპიანი ამ ექვსი თვის წინ დაუკავებიათ თბილისის არსენალის აფეთქების მცდელობისთვის, მაგრამ რუსეთის საელჩო ჩარეულა; თურმე მათთან მეცეცხლურად მუშაობს და დიპლომატიური კანონი იცავს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გახლავთ სეროპიანი. მისი ორი ძმა კი სომხეთის რეგულარულ ჯარში იბრძოდა ლორეს ოკუპაციისას; სერჟიკაო, ბრძანებთ, ეჰ, ქალბატონო ქეთევან, სერჟიკა ხომ ბოლშევიკია, თქვენ კი ის პატარა შავი ბიჭი გახსოვთ, თქვენთვის მაწონი რომ ამოჰქონდა ხოლმე და დეიდათქვენის ნაჩუქარ ნახმარ ტანსაცმელში იზრდებოდნენ ის და მისი ძმები; და მით უარესი თქვენთვის, რადგან ერთი სული აქვს, რაც თქვენი ოჯახისთვის მაწონი უზიდნია, სულ ძმრად ამოგადინოთ. ბოლშევიკისთვის არ არსებობს არანაირი ადამიანური გრძნობა იდეისათვის ბრძოლის მეტი; მათი იდეები კი მეტად ადვილი გასაგებია: „ჩვენი მტერი უნდა განადგურდეს; ვინც ჩვენთან არ არის — ის ჩვენი მტერია, ყველა მდიდარი დასახვრეტია, რადგან მხოლოდ უქონელი პროლეტარი არის დედამიწაზე ადამიანის განვითარების უზენაესი დონე!“ — დოლიძემ თანდათან ხმას აუწია, ეტყობოდა, რომ ძალიან გააფთრდა; მერე უცებ შეწყვიტა ტირადა და გაფითრებულ სახეზე მოისვა ხელი, დამშვიდდა, კვლავ სურათებიანი კედლისკენ მიბრუნდა.

— ჩემი ქმარი რა შუაშია? — იკითხა ბავშვსმიხუტებულმა ქალმა, რომელიც ქეთევანად მოიხსენია დოლიძემ.

— სწორედ სეროპიანი ამარაგებდა თქვენს მეუღლეს საღებავებით, მის ბინაში აღმოაჩინეს თქვენი ქმრის მიერ დამზადებული კლიშეები 5, 150 და 200 მილიონიანი კუპიურებისათვის; თქვენი ქმრის ციხიდან გამოპარებაც იმიტომ დასჭირდათ, რომ სხვები აღარავინ დაესახელებინა. ჩვენ ვიცით, რომ თქვენი მეუღლე ბოლშევიკი არაა და მხოლოდ გაჭირვების გამო თანამშრომლობს მათთან, მაგრამ თუკი არ [illegible] ერ მოინანია, მას დახვრეტენ საომარი დროის წესების შესაბამისად, მის ხელისშემწყობებს კი სამშობლოს ღალატის ბრალდებით გაასამართლებენ. სეროპიანი ისევ გამოძვრება, — დოლიძე ლაპარაკთან ერთად კედელზე დაკიდებულ სურათებს ათვალიერებდა და მათ შორის განსაკუთრებით ფიროსმანის სტილში შესრულებული ფერწერული ტილოთი დაინტერესდა, რომელზეც მოქეიფე მამაკაცების წინ ტიკივით დაგორებულიყო ორთაჭალის ტურფა. იქვე ეკიდა იმპრესიონისტული პეიზაჟი ბალახზე წამოწოლილი ჩოხიანი ჯელებით, შილიფად ჩაცმულ ქალთან ერთად. სულ ზემოთაც აატარა მზერა კაპიტანმა და ორიოდ წამით კუბისტური ფერწერის ნიმუშზე შეაჩერა, რომელზეც ზეატყორცნილი ნაგებობის მაღალი კონტურები აესახათ—ერთობ მიახლოებით, უფრო ქვემოთ კი, სურათებს შორის სარკეც ეკიდა, რომელშიაც დოლიძემ ცვენადაწყებული თმები შეისწორა; სარკის გვერდით — საოჯახო ფოტო „Ермаков“-ის ემბლემით და მის გვერდით — სტილიზებული გრაფიკული პორტრეტი.

— აი ეს კი საინტერესოა, — დოლიძემ „საქმე“-დან ამოღებულ ფოტოსურათს შეადარა ნახატი; მართალია, ამ ფოტოზეც იგივე კაცი იყო გამოსახული, მაგრამ ციხის ფოტოზე „სულ სხვა“ კაცი ჩანდა, ძლივს საცნობი; — აი ეს ნამდვილად კარგი სურათია; ავტოპორტრეტია? თუ... — დააკვირდა ავტორის ხელმოწერას, — გუდაშვილი. ვინ არის გუდაშვილი, თუ გუ-დი-ა-შვილი?... ძალიან კარგია, — დაასკვნა ბოლოს.

— გთხოვთ, ნება მომცეთ, ბავშვს წამალი დავალევინო; როგორც ხედავთ, ყელი სტკივა და სიცხიანი დგას. თუ არ მენდობით, თვითონ ნახეთ მისი ყელი. მე რაც ვიცოდი, უკვე მოგახსენეთ.

— ეს მოგვახსენეთ, არა? — ააფრიალა დოლიძემ „დაკითხვის ოქმი“, — კეთილი, მიბრძანდით. — ქალი და ბავ-

საქართველო ეროვნულ

შვი გავიდნენ, დიასახლისმა კი ფანჯრისკენ გაიხედა და აწრიალდა.

თავის ოთახში გასულმა ქეთევანმა პატარა კარადიდან მიქსტურიანი ბოთლი გამოიღო, სუფრის კოვზი გაავსო და ბიჭს პირთან მიუტანა.

— ახლა არ დამიწყო ხელების კვრა, თორემ აქვე მოგკლავ! — სთქვა მოულოდნელად გაუხეშებული ხმით, — შენი კაპრიზები მაკლია ახლა!

ბავშვი თითქოს შეშინდა და ხმისამოუღებლად გადაყლაპა მიქსტურა, თუმცა ეტყობოდა, რომ ერთობ ეზიზღებოდა.

— დედა, — ჩაიხრიალა ხმაწასულმა, ძალიან სტკიოდა ყელი.

— მაცალე! — ქალმა თავზე ხელებწავლებულმა გაიარ-გამოიარა ოთახში, მერე კამოდის უჯრა გამოსწია, საფულე ამოიღო, გახსნა და რამდენიმე კუპიურას ფანჯრის შუქზე დაკვირვებით გახედა, მერე სასწრაფოდ დაკეცა, გულისპირში ჩაიდო და ტანსაცმელი შეისწორა; ისევ გაიარა ოთახში, ფული გულისპირიდან ამოიღო და ისევ კამოდის უჯრაში, სადღაც ღრმად ჩამალა, მერე საწოლზე ჩამოჯდა შვილის გვერდით, თავი ხელებში ჩარგო და ისტერიულად დაილაპარაკა უმისამართოდ:

— ოჰ, კარლო, კარლო! ჩემი ცოდვა მოგეცეს შენ, ჩემი ცხოვრების გამწარებისთვის: ციხეღა მაკლდა შენგან.

დიდ ოთახში დოლიძე დიასახლისს მიუჯდა გვერდზე.

— ქალბატონო, თქვენ პატრიოტი ხართ?

— რაი ვარ?

— სამშობლო თუ გიყვართ?

— როგორ არ მიყვარს! — სთქვა ქალმა პაუზის მერე.

— მაშინ მითხარით, სად არის თქვენი ქმარი?

— ღვინო წაიღო ბაზარზედ, გასაყიდად.

— თქვენ ის თუ იცით, რომ თქვენი ქმარი სახელმწიფო ღალატის...

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა „უფროსი“ ჯარისკაცი.

— რა მოხდა?

— ძროხა აწრიალდა.

დიასახლისმა და ბავშვ „უფროსმა“ შვილებმა წამოიწიეს.

— ისხედით! — მკაცრად ბრძანა დოლიძემ, — აქ სახელმწიფო წრიალებს! შენ გარეთ მოიცადე. — ჯარისკაცი გავიდა. დოლიძე ისევ მოუბრუნდა დიასახლისს, — იცით თუ არა, რომ ყალბი ფულის დაბეჭდვა სახელმწიფოსათვის იგივეა, რომ ცოცხალ კაცს ძარღვიდან სისხლი გამოსწოვო და მის ნაცვლად წყალი ჩაუსხა! ხომ მოკვდება! ასეა ქვეყანაც; იცით, რა ღირდა გირვანქა პური ორი თვის წინ? ოთხასი ათასი. დღეს მილიონ შვიდასი ათასი ღირს. და იცით რატომ? იმიტომ რომ თქვენმა კარლომ და მისნაირმა არამზადებმა ყალბი ფულები დაბეჭდეს და პატიოსან ხალხს ბაზარზე ნამდვილის მაგივრად შეასაღეს! რომელ ბაზარზე წაიღო ღვინო თქვენმა ქმარმა?...

... ქეთევანი ისევ კამოდთან წრიალებდა, საეჭვო ფული ისევ ამოიღო, რაღაც კონვერტში ჩადო და თარო მიხურა, მერე კვლავ გამოაღო, კონვერტიდან ერთი ცალი კუპიურა ამოაძრო, სანთლიანი თაროდან ასანთი აიღო და ფულს ცეცხლი მოუკიდა. ალი იოლად მოედო ქაღალდს; ამ დროს კარიც გაიღო და ოთახში დაუკაკუნებლად შემოვიდა დოლიძე, რომელმაც მთელი ფული წაგლიჯა ხელიდან და სათითაოდ შუქზე გახედა, მერე ბოლომომწვარი კუპიური ცალკე ჩაიდო.

— დიდ ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო ქეთევან, მაგრამ მე მჭირდება წერილი, რომელიც თქვენ ამ ორი კვირის წინ მიიღეთ, — ხელში შერჩენილ ოქმს ჩახედა, — რომელიც ამ სოფლელმა დათიკა ვარდოსანიძემ ამოგიტანათ ქალაქიდან და რომელშიც ფულიც იდო.

— ვარდუაშვილმა! — გაუსწორა მეორე ოთახიდან დიასახლისის ხმამ, — ქეთო, უჩვენე ეგ ოხერი წერილი, ნახოს რო შენი ძმა მახარა არაფერ შუაშია, თორე იმასაც დაიჭერენ.

ოთახის ფანჯრის მიღმა ჩაირბინეს დიასახლისის უფროსმა შვილებმა,

— გთხოვთ, — გაიმეორა დოლიძემ. ცარცივით გაფითრებულმა ქალმა კონვერტი უნებურად გაუწოდა, დოლიძემაც დაუხედავად მიაწოდა სტუდენტ ჯარისკაცს, რომელმაც უხერხულობის დაძლევის მერე ხმამაღლა წაიკითხა:

„ჩემო ცისარტყელავ, ორი დღეა, რაც დაგშორდი და ამ ტყეში პლენერზე მუშაობა რომ არა, სიცოცხლეს მოვისწრაფებდი უშენობით გატანჯული. ეხლა წისქვილში ვარ და ამ წერილს ვატან სანათას, რომელიც თავის საფქვავის ჩამოთავებას ელოდება და თან ბოლა პაპას ეჭორავება. ვინ იცის, იქნება და სწორედ მე და შენზედ ეჭორავება, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია — ვინც რა უნდა, ისა სთქვას, მე შენ მინდიხარ და ამ სურვილზედ ხელს ვერც მთელი სოფლის ჭორები ამაღებინებს და ვერც შენი ბრაზიანი ძმა მახარა. გიგზავნი ნაზ ამბორს და ლექსს, რომელიც ახლახანს შევთხზე შენზედ.

ამ გიჟმაჟ ზაფხულს ვერვინ გადარჩა,
და მიფართხალებს წადილით გული,
მე შენ გიყურებ, როგორც სარანჩა,
მუქმწვანე ბალახს მოწყურებული.

მბნიდავს ამ ზეცის ლაღი სილურჯე,
აწყვეტილ ხევებს ვუმღერ სიმღერებს,
ვეღარ ჩამწვდება გულში სისუსტე,
მე შენი ნდომა გამაძლიერებს.

ცოტაც მოითმინე და ჩამოგხედავ. შენც რომ დარჩენილიყავ აქ, ამითაც არა დაშავდებოდა რა, მაგრამ რაკი შენ აგრე გადაწყვიტე, ალბათ უფრო სწორეა.

მარად შენი კარლო.“

დოლიძემ, რომელიც ყურადღებით უსმენდა, წერილი გამოართვა სტუდენტ ჯარისკაცს და ჩახედა, მერე ქეთევანს ამოხედა.

— მდა, — სთქვა მცირე ფიქრის მერე, — ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები.

ქალს რაღაც უცნაურად გაეღიმა, მერე გაიცინა და ბოლოს ისტერიული კისკისი აუტყდა. შეშინებულმა ბავშვმა ხელები დაუჭირა. დოლიძემ კი ქალზე თვალმოუცილებლად [illegible] ყოლილ ჯარისკაცს. — [illegible] — და მერეც აუღელვებლად უყურებდა, თუ როგორ სვამდა წყალს და მშვიდდებოდა ქალი.

მერე წერილი გამოუწოდა.

— ინებეთ, ქალბატონო ქეთევან; ვწუხვარ, რომ თქვენი ესოდენ შეწუხება მოგვიხდა, — სთქვა და პირველ ოთახში გამობრუნდა, სადაც მაგიდიდან უკვე აელაგებინათ ალბომები, დაელაგებინათ თეფშები და ეტყობა, მის შემოსვლას ელოდნენ მაგიდასთან გაჯგიმული ჯარისკაცები.

— თავისუფლად, — სთქვა დოლიძემ, — დასხედით და ისადილეთ; შენ არა, — უთხრა „მუნჯ“ ჯარისკაცს, — შენ ჯერ ოქმს მიხედე! — ჯარისკაცმა თეფში გასწია, პლანშეტი მიიწია და ფანქრის ნალევი მოიმარჯვა, დოლიძე კარნახობდა — მოკვლევამ გვიჩვენა, რომ ძებნილის მეუღლემ არაფერი იცოდა თავისი ქმრის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაზე; ქალბატონის პირადი ნივთების ჩხრეკისას ნაპოვნია ორი ცალი 150 მილიონის ღირებულების... რას შვრები, არ წერ? — დახედა ჯარისკაცის ბატიფეხურს, რომელსაც ორი სიტყვის დაწერა ძლივს მოესწრო და ძლიერ წვალობდა... — ჰო, კარგი, ჯერ ჭამე რამე და მერე ეს დაწერს, — ანიშნა სტუდენტზე.

ჯარისკაცმა მადლიერად ამოისუნთქა და პლანშეტი ერთი მოძრაობით შეცვალა თეფშით.

— ამას უფლება არა აქვს, ეგ არი მწერალი, — სთქვა უფროსმა ჯარისკაცმა.

დოლიძემ მძიმე მწვანე ბოთლიდან ფეხიან თლილ ჭიქაში არაყი დაისხა და ფეხზე მდგომმაკე გადაჭკრა.

* * *

მოჟამული საღამო დადგა, გათოვების წინ რომ იცის, ისეთი. ეზოს ღობესთან მდგარმა დოლიძემ მიდამოს გადახედა,

მერე თავის უკან მდგომ „მუნჯ“ ჯარისკაცს მოუბრუნებლად უთხრა.

— აქედან უხმაუროდ ვერ გადმოძვრება, შენ აგე იქ დაიკავე პოსტი; ორ საათში გამოგცვლით, გასაგებია?

ჯარისკაცმა უხმოდ დაუქნია თავი და ფოთოლგაცვენილი ხშირი ბუჩქისკენ წავიდა, თან გზად სიგარეტის შეხვევა დაიწყო, რასაც თვალი შეასწრო შემობრუნებულმა კაპიტანმა.

— არ მოსწიო, აქ სუფთა ჰაერია და სუნი შორს მიდის! — დაადევნა ჯარისკაცს და სახლისკენ წამოვიდა.

აივანზე თბილად ჩაცმული ქეთევანი გამოსულიყო; დოლიძე შედგა და როცა ქალის მზერა მასზე შეჩერდა, ცოტა უტიფრადაც კი და ფლირტის ტონით სთქვა:

— მე ხომ გთხოვეთ, ჩემი ნებართვის გარეშე ოთახიდან ნუ გამოხვალთ-მეთქი; თქვენც ჯარისკაცს ხომ არ დაგიყენებთ კართან! უხერხულობაში მაგდებთ.

— თქვენ გგონიათ, მოვა? — ისევ გვერდზე გაიხედა ქალმა და იქით სთქვა, — მე დიდი ხანია ამაოდ ველოდები.

დოლიძე ჩაფიქრდა, მერე ნელი ნაბიჯით ავიდა აივანზე, ქალს გვერდით ამოუდგა, დაფიქრებულმა მოათვალიერა არემარე და დამარწმუნებლად იანგარიშა:

— დღეს თუ არა, ხვალ ნამდვილად მოვა; გასაკვირი ისაა, აქამდე რომ არ გამოჩნდა; ხვალაც თუ არა — ზეგ უსიკვდილოდ. ამ სამ დღეში უეჭველად გადაწყდება ყოველივე... წერილს მაინც მოგაწვდით.

— წერილს, — მწარედ გაეღიმა ქალს, — ის წერილი, თქვენ რომ ასე მოგეწონათ, 1911 წლის 17 აგვისტოს მივიღე, მისი პირველი და უკანასკნელი წერილი.

— შეუძლებელია, მას ისე უყვარხართ,.. თუმცა სულაც არ მიკვირს, ასეთი ქალი. „ჩემო ცის სარტყელავ“! ამას, რომ არ გრძნობდე, ხომ ვერ მოიფიქრებ!

— ჰოჰ! — ქალი უეცრად მოწოლილი სიბრაზისაგან გაწითლდა, — ჩემმა მზემ, ძალიან სიყვარულია ახლადშერთული ცოლის ტყე-ღრეში ოდესაც [illegible]

— ტყეშიო? რომანტიკაა — ჩაიცინა დოლიძემ, ქალმა კი სერიოზულად მიიღო და უფრო გაბრაზდა.

— რომანტიკოსი? რას ბრძანებთ, რა რომანტიკაა ციხე-სიმაგრეების ნანგრევებში?

— ოო, ეგ კი უნდა სცოდნოდა, რომ თქვენისთანა ქალს პარიზი ურჩევნია ტყეს; როგორ ბრძანეთ, რა ნანგრევებიო?

— საოცრებაა, ღმერთმანი; ერთი ნანგრევია, მთის წვერზე დგას, შორიდან მართლაც ლამაზია, მაგრამ იქ ყოფნა, ერთი კვირის შერთული ცოლით? ქალი უნდა ყოფილიყავით, და საქორწინო მოგზაურობის ნანგრევებში გატარება როგორ მოგეწონებოდათ, იმასაც ვნახავდი. უცნაური გაგიჟება იცის, ჯერ იყო და, კვადრატების და კუბების ხატვა ამოიჩემა... აბა ასეთი ნახატი ვის რად უნდა? „მე გასაყიდად არ ვხატავ“, ცოლ-შვილს რომ რჩენა უნდა, როდის-როდის გაახსენდება ხოლმე, კიდევ კარგი, ძმა მყავს!

— ციხის ნანგრევზე ამბობდით რაღაცას.

— ოჰ, იმ ნანგრევზე ხომ მთლად გაგიჟებულია — ორმოცდაათი სურათი მაინც ექნება დახატული და გაჩუქებული... აბა მისი გაყიდული ნახატი ჯერ არ მინახავს!

— კედელზე რომ ჰკიდია, არა?

— დიახ; ისე, ჩემი ძმა კი ვერ იტანს ამ სურათებს, ცხოვრებაშიც ყოველდღე მაგ ციხეს ვუყურებ და სახლში მაინც მომაცილეთო.

— როგორ ყოველდღე?

— კარგ ამინდში აქედანაც მოჩანს; აგე, იქითა დგას, ერთხელ შევცდი და წავყევი... კინალამ კისერი მოვიტეხე მაშინ, თან უკვე ფეხმძიმეც ვიყავი! ამაზე რაღას იტყვით, ეგეც რომანტიკაა?

ქალის მითითებული მიმართულებით მზირალი და რაღაცაზე ჩაფიქრებული დოლიძე ცოტა გვიან გამოერკვა.

— რას ბრძანებთ, ამსიშორეზე სასიარულოდ როგორ გაგიმეტათ?

— შორი არაა, სამი-ოთხი ვერსი იქნება სულ. მაგრამ ძალიან ძნელი მისადგომია, სულ კლდეებზეა საცოცი. თვითონ რა უჭირს, თვალახვეულს შეუძლია იაროს. ამ ციხეს ვერ გასცდა მისი გონება. სხვა მხატვრები იმას ცდილობენ, როგორმე პარიზში წავიდნენ და... თავიდან, როცა შევხვდით, მასაც უნდოდა საფრანგეთში წასვლა, მაგრამ მაშინ ფული არ გვქონდა, მერეც ვერაფრით ვერ ვიშოვნეთ საჭირო ფული; ეხლა კი, ვინ იცის, აქაურობაც სანატრელი გაუხდეს მალე.

— რას იზამთ, მხატვრები უცნაური ხალხია; თუ მისი მეუღლეობა ირჩიეთ, უნდა მიჰყვეთ კიდეც ტყე-ღრეშიც და პარიზშიც, — მენტორული ტონით ბრძანა დოლიძემ.

ქალი ერთ ხანს გაჩუმდა, მერე კი სულ სხვა ხმით იკითხა:

— თქვენ პარიზში ნამყოფი ხართ?

დოლიძე ოდნავ შეცბა, მერე გაეღიმა.

— დიახ, ეჰ. — პორტსიგარიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, და გააბოლა.

პოსტზე დატოვებულმა ბუჩქებში მჯდარმა ჯარისკაცმა უცებ სუნი იკრა, გამოძვრა საფარიდან, სუნს გაჰყვა და აივანს მოადგა სახლის მეორე მხრიდან; შეხედა აივნის მოაჯირთან მისკენ ზურგით მდგარ დოლიძეს და ქალს, მერე უჩუმრადვე გამოტრიალდა, თან წელან დაწყებული სიგარეტის შეხვევა გააგრძელა; ჯიბეები მოიჩხრიკა, ასანთის კოლოფი ამოიღო და მოკიდებასაც აპირებდა, მაგრამ კოლოფი ცარიელი აღმოუჩნდა. ჯარისკაცმა ხელი ჩაიქნია, შეხვეული სიგარეტი შეინახა და ბუჩქისკენ წავიდა.

— მეუბნებოდნენ, კოლორატული სოპრანო გაქვსო, პარიზშიც მივყავდით, — ყვებოდა ქალი, თან სადღაც სივრცეში იყურებოდა, — „ლა-სკალაში“ იმღერებო, თუკი იმუშავებო.

— მერე?

— მერე არაფერი; მამაჩემმა არ გამიშვა, იმიტომ კი არ გასწავლი, რომ ექიმის ნაცვლად სცენის მომღერალი შემრჩე სიბერეშიო; ჩემი დაკარგვის ეშინოდა ალბათ, ძალიან კი ვუყვარდით, ჩემი და ჩემი ძმის სწავლის ფულისთვის აგერ ის ტყე გაყიდა ხალხმა. მაინც არ ეყო ის ფული ბოლომდე არაფერს.

სიჩუმე ჩამოვარდა, ბნელდებოდა თანაც.

— ჰეე, რა სიმშვიდეა, — სთქვა დოლიძემ ბოლოს — რა სჯობია აქ ყოფნას, არც კი იგრძნობა რომ სადღაც ომია, თანაც აქვე, სულ ახლოს. — და პაპიროსის ნამწვი გადააგდო.

— პირველ ორ დღეს არა უშავს, მერე კი უკვე გაგიჟებას იწყებ. შევიდეთ შინ, ცივა.

კარმა გაიჭრიალა და ამ ხმის მერე სრული სიჩუმე ჩამოწვა.

* * *

მოღრუბლულ ცაზე მთვარემ მცირე ჭრილი იპოვნა და რამდენიმე წამით გაანათა თოვლით გადათეთრებული ეზო. ღობესთან, კუთხეში მიმალული გადაფერდებული ჩეჩმის კარმა საცოდავად დაიჭრიალა და იქიდან გამოსულმა ჯარისკაცმა თოვლის გუნდით შეიწმინდა ხელები, მერე კი იქვე მიყუდებული „ვინტოვკა“ ზანტად გადაიკიდა და სახლისკენ წავიდა. მისი ნაბიჯების ხმა გატკეპნილ თოვლზე მიილია და ისევ ყრუ სიჩუმე ჩამოვარდა, კიდევ ცოტა ხანში ღრუბელმაც გადაფარა მთვარის შუქი და ყრუ სიჩუმეს ბრმა სიბნელეც დაემატა.

ცოტა ხანში ისევ გაიჭრიალა ჩეჩმის კარმა, მერე ასანთიც გაჭკრეს სიჩუმეში და ჩეჩმის კარის ვიწრო ფიცრებს შორის სინათლის სუსტმა სხივმა გაიკიაფა.

ანთებული ასანთის შუქი ჩეჩმის ბინძურჭრილიან ფიცრებს შორის წვრილი ღრიჭოების შეერთებაზე ოდნავამოწეულ ლურსმნის ბრტყელ თავთან მივიდა. სქელი თითები ლურსმნის თავს წასწვდა, ამოსწია, ღრიჭოს გასწვრივ გამოატარა და ჩეჩმის ხვრელიდან კაუჭად მოხრილ ლურსმანზე საიმედოდ დაკიდული გასანთლული ტილოთი თავმოკრული თიხის პატარა ქოთანი ამოიღო,

იატაკის სუფთა ადგილზე დადგა და ამასობაში ასანთიც ჩაიწვა. როცა ისევ აინთო, ქილას თავი უკვე მოხდილი ჰქონდა და ნამუშევარმა კოჟრებიანმა ხელმა „ნიკოლოზის“ 8 ცალი თუმნიანი სათითაოდ ჩათვალა ქოთნის ბნელ მუცელში; მერე კი, ხელი ქოთნის პირს მოეთათუნა ერთი-ორჯერ, და ასანთი ისევ ჩაქრა.

სასადილო ოთახში ნავთის ლამპის ჩაწეულ შუქზე ორივე ქალი მაგიდას უჯდა, ქეთევანს ხელში ბოდლერის ლექსების კრებული ეჭირა, მაგრამ არ კითხულობდა, თვალი ლამპისთვის გაეშტერებინა, სამაგიეროდ, დიასახლისის თითებში საქსოვი შელოცვილივით ყოველწამიერად იზრდებოდა და სულ მალე წინდის ყელიც ამოათავა.

წინკარში თუნუქის ვედრომ გაიგრუხუნა, რასაც ხმადაბალი შეკურთხება და ბურდღუნი მოჰყვა, მერე ხელსაბანიდან წყლის ჩამოსხმის და ხელისბანის ხმებიც. ქალებმა დაძაბული მზერა მიაბჯინეს ფიცრის შეუღებავ კარს, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ჭრიალით გაიღო და ოთახში ტყაპუჭში გახვეულმა საშუალო აღნაგობის კაცმა შემოალაჯა.

სველი ხელები დაიფერთხა.

— პირსახოცი რა უყავით, ორი ქალი ხართ სახლში! — ტყაპუჭი გაიძრო და კარზევე მიჭედებულ ლურსმანზე მიაკიდა, — რა სიბნელეში დამჯდარხართ ბაიყუშებივითა?.. ბალღებ ხო არაფერი მოუვიდათ, ხმა ამაიღე დედაკაცო!

— არაფერი... — ჩაიბუტბუტა ქალმა. — კარგა არიან, — და ისევ გაჩუმდა. მოსულმა გაკვირვებით შეხედა ცოლს, მერე მეორე ქალზე გადაიტანა მზერა, ქალმა თვალი აარიდა, კაცი აშკარად შეწუხდა.

— ნავთი გამოიზოგეთ-მეთქი, ის კი არ მითქვამს — თვალები დაითხარეთ-მეთქი, რას იბღვირები ერთი ვიცოდე!— შეუღრინა ცოლს, — ტოტიკაანთ მიხას ველოდე, იმის წამოკრებას არ დაადგა საშველი, კი არავისთანა ვყოფილვარ! სოფელი რო შემიყარე, მაშინაც ეგრე იბღვირებოდი... მაჭამე რამე, თორე დილის მერე მშიერი ვაარ, — დაამთქნარა და გაიზმორა, — მისი ცოლი წამოდგა, მორიდებულად მივიდა [illegible] და საჭმლის გამოლაგებ[illegible] [illegible] ნელ-ნელა გაივსო თეფშებით, ჯამებით, და ბოლოს მოზრდილი დოქიც დაიდგა სუფრაზე — ღვინო არა, არაყი გამოიღე, ლამის სახსრები დამემტვრეს, იგრეთი გაყინული ვარ, ესეთი ცივი ზამთარი არ მახსოვს, — ბოთლიდან პატარა ჭიქაში ჩამოისხა არაყი, მეორე ხელით დაკერებული გულისჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო და ქეთევანს გაუწოდა — აჰა, სამახარობლო შენზეა, ვნახე შენი ბედოვლათი ქმარი, აეგ გამომატანა შენთანა. კიდე რაღაც შარშია გახვეული; აბა სხვა დროს განა მააგონდები! სად მიპოვნა, რო იცოდე... როცა უნდა, ბატკანივით დაჩიავდება ხოლმე; რით ვერ მოვიშორეთ ეგ კაცი, კაცოუ; თუ გაყრილი ხარ, გაყრილი იყავ!.. ჰო, კარგი, არაფერს ვამბობ, მაგრამა როდემდინ, ჰა? ბალღი ცოდო არაა? — არაყი გადაჰკრა, მწნილი მიაყოლა და მეორედ რომ დაისხა, მერელა აწონა ხელში ბოთლი, — ე! ავემ ბოთლიდან უჩემოდ დაულევიათ! — უცებ გაეცინა, — ამამასწრო, განა, მაგ ვერანამა, მე კი გული გამიხეთქა და! არავის აჩვენოო, მამდევენო, სამი დღეა არაფერი მიჭამიაო, ათის დათვლაში ორი მათლაფა ჩანახი გაათავა და ნახე, როგორ ღონეზე მოსულა; სამახარობლო უნდა მეკისრინებინა შენთვინა, წერილის მოტანითვინ! გამოვიდეს, რაღას მემალება, გამოვიდეს და ზეპირად გითხრას. ბიჭო, კარლო! ძინავს, არა მაგ თხუნელასა? ეძინოს, — გაოგნებულ ქალს შეხედა და გაეცინა, — რა იყო, რას დაგიცქვეტია ყურები, აღარ წაიკითხავ, განა?

— როგორ არ წაიკითხავს, — გაისმა დოლიძის არტისტული ბარიტონი და გაოგნებული მახარას თვალწინ სიბნელიდან ამოტივტივდა მაღალი შინელიანი კაცის ფიგურა, რომელმაც ნაგანის ლულა დაადო გაკეცილ ქაღალდს, მეორე ხელით კი ლამპას აუწია, — უეჭველად წაიკითხავს, და თანაც ხმამაღლა, ასე არაა, ქალბატონო ქეთევან?

ქალმა თმაში წაივლო ხელი და თვალები დახუჭა.

სინათლის მომატებასთან ერთად სიბნელიდან ამოიკვეთა მახარას გაოგნებული სახე და მისი, სოფლის მაცხოვრებლისათვის საკმაოდ უჩვეულო ინტელიგენტური ჩაცმულობა, რომლითაც იგი პერედვიჟნიკების ტილოდან გადმოსულ სკოლის მასწავლებელს წაგავდა...

... ორმა ჯარისკაცმა ხელებშეკრული მახარა თავისივე სახლის კედელთან, ფანჯრის ქვეშ მიაყენა, დოლიძემ პაპიროსს მოუკიდა.

— აბა, დროზე, ნახევარ წუთს გაძლევ, სად უნდა შეხვდე და როდის?

— რატო არა გჯერათ, ხალხი არა ხართ? არ უნდა შევხვდე, თვითონ უნდა მოვიდეს.

— როდის, სად?

— არ უთქვამს, არა! ყოველთვინ ეგრე იყო, როცა უნდოდა, მაშინ მოდიოდა!

— აბა, მოემზადეთ, დაუმიზნეთ! — გაისმა თოფის საკეტების ჩხაკუნი.

— არა, ვიტყვი! — მუხლებზე დაეცა.

— ჰოო?

— ჰოო, ვიტყვი!

— აბა თქვი, — დოლიძე ახლოს მივიდა და სახეში მიაბოლა.

— ციხეზეა, — დაიჩურჩულა.

— სადა? იმ ციხეზე? — სადღაც ზემოთკენ მიათითა დოლიძემ.

— ჰო, ზემოთა ციხეზეა, ხვალ ჩამოვა სოფელში.

— კიდე ვინ არის იქ?

— არ ვიცი, მარტო იყო.

დოლიძე წელში გაიმართა, დაფიქრებულმა, გაიარ-გამოიარა თოვლში ფანჯრის წინ, მერე თავი ასწია და ანგარიშმიუცემლად შეხედა მაქმანის ფარდაჩამოფარებულ ფანჯარას, რომელსაც ჭირხლიც გადაჭკვროდა და გარემოს სარკესავით ირეკლავდა.

— მარტო იყო, არა? მარტო რომ არ იყოს?

— აბა რა ვიცი,

— ხვალ ნამდვილად ჩამოვა?

— მოშივა და აბა რას იზამს,

— იარაღი აქვს?

— რა იარაღი, ფუნჯი ველარ დაუჭერნია რიგიანათა; მარჯვენას ხო ვერა ხმარობს.

— ჰო, მარჯვენა ხელი დაზიანებული აქვს... — გაახსენდა დოლიძეს, — კარგი, კარგი, შე პატრიოტო...

... ჩაბნელებული ბოსლის კარში, ჭრაქებით და ლამპით ხელში, რიგით შემოვიდნენ დიასახლისი და მისი უფროსი შვილები; მათ შემოჰყვნენ ჯარისკაცები და ხელებშეკრული მახარაც, რომელიც კუთხეში მიაყენეს. დიასახლისმა და ბაგშვებმა თივა დაუგეს და თბილი წყლით დაბანეს აწრიალებული ძროხა.

— ხელები შემიხსენით, აქედან აბა სად გავიქცევი! — სთქვა მახარამ. უფროსი ჯარისკაცი ჯერ ჩაფიქრდა, მერე სტუდენტს მიუბრუნდა:

— მიდი, კაპიტანს უთხარი; თავდები მე ვარ, რო ვერ გაიქცევა...

... — კი ბატონო, თუკი თავდებია, გაუხსნას ხელები, მაგრამ თუ გაიქცა, ტრიბუნალს გადაგცემთ სამივეს, გასაგებია? — რაღაც ალერსიანად სთქვა მაგიდასთან მჯდარმა დოლიძემ, არყიანი ჭიქა რომ ეჭირა ხელში — წარმატებულ სახარე ხბოიანობას გისურვებთ ყველას, წადი! — გაუშვა ჯარისკაცი და პირდაპირ მჯდომ ქეთევანს მიუბრუნდა კვლავ, — არა, „Вишневый сад“ იმ წელს სულ სამჯერ ითამაშეს ნოემბერში, ნახვა ვერ მოვასწარი; მერე ფრონტზე მოვხვდი, ბრუსილოვთან, გალიციაში. იქ მივიღე გიორგის ჯვარი, — არაყს გადაჰკრა და შაშხი მიაყოლა — რა გემრიელი სალაა, რუსულს ჰგავს.— ჩაფიქრდა და ცოტა ხნის მერე ჭიქაზე თვალმიშტერებულმა დაასკვნა: — ისე კი, ცხადია, საოცრებაა. „კონსტანტინ სერგეევიჩი სცენაზე — გენიოსია, დიდი მსახიობია!.. და საერთოდაც, ჩეხოვი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, გორკი... რამხელა კულტურაა! ღმერთო, რა უყვეს მას... წარმოგიდგენიათ, ტურგენევის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლომონოსოვის სამშობლოში ვიღაც ტროცკი, ლენინი, ვოლგინი, კამენევი... ადამიანებიც კი არა, რაღაც ფსევდონიმები... — დოლიძე,

ეტყობა სიმთვრალეში რუსულად ლაპარაკობდა ხოლმე და ახლაც ძალაუნებურად რუსულად ალაპარაკდა უაქცენტო გამართული რუსულით. — მოჩვენებები... ლანდები... ურიები... და ქართველები, უცნაურია, მაგრამ ასეა: სტალინი გაგიგონიათ? ქართველია, ჯუღაშვილი; და კიკვიძე? ორჯონიკიძე? წერეთელი? ენუქიძე?.. ეჰ, რუსეთი, რუსეთი... შეცდა ჩეხოვი, ვაჭრებმა კი არ მიითვისეს „ალუბლის ბაღი", არამედ შავმა ხალხმა... სირცხვილი და თავის მოჭრა! რა დიდი კულტურა დალუპეს, როგორი ქვეყანა; რამდენი ძალა, რამდენი სისხლი დასჭირდა მის შექმნას... არა, რუსეთი ქვეყანა არაა, რუსეთი იდეაა, დიადი იდეა ქვეყნებისა და ხალხების გაერთიანების იდეა, უნიკალური კულტურის შექმნის იდეა, სხვადასხვა მრავალის გაერთიანებისა. დიდი იდეა! ზეროვნული, საკაცობრიო. რა იქნებოდა ამაში ცუდი, მაგალითად, მე და თქვენ, რომ ჩავმსხდარიყავით მატარებელში და წავსულიყავით პეტერბურგში, ანდა — ფინეთში საზაფხულოდ — თუნდაც ყირიმში — გურზუთში — ყოველგვარი საბაჟოების გარეშე, პასპორტების შემოწმებების გარეშე, შიშის გარეშე, რომ გზაში მოგკლავენ... და ყველაფერი ეს, რისკენაც მთელი კაცობრიობა ისწრაფვის — ხომ გვქონდა! დიახ! გეთანხმებით — იმპერიას მრავალი ცუდი მხარე ჰქონდა — ბიუროკრატია ბოლომდე დალპა, მექრთამეებად გაივსო ქვეყანა, მაგრამ სწორედ ეს იყო შესაცვლელი და არა იდეა... ეხლა? შეხედეთ, რა უმსგავსობაა: თერგის რესპუბლიკა, ყუბანის რესპუბლიკა, მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო — საქართველოს რესპუბლიკა... ჩამოსახრჩობები არიან ეს იდიოტები! მტრის ჯარი დედაქალაქს მოსდგომია და ესენი აქ დემოკრატიულ კონსტიტუციას იღებენ! რამდენი უდანაშაულო ახალგაზრდა დაღუპეს და კიდევ რამდენი დაიღუპება ამ დღეებში, ღმერთო! სასუფეველი დაუმკვიდრდეს მათ... მაგრამ რა უნდა სთქვა, უსაფუძვლო პატრიოტულ ლოზუნგებზე ზრდიან საწყალ ბავშვებს. საით მირბიხარ? თურქეთში? მერედა, ვინ ბავშვებს! 300 წელი დასჭირდა რუსეთ-ამერიკაკასიაში შემოსაღწევად, და კიდევ 100 წელი, რომ გამაგრებულიყო. რაოდენ სულელი უნდა იყო, რომ დაუშვა მაინც, რომ რუსეთი ოდესმე დათმობს შავი ზღვის სანაპიროს ტრაპიზონიდან ტუაფსემდე! რუსეთის იდეას არ შეუძლია კავკასიის დათმობა... იცით თუ არა, რამდენი მეფისნაცვალი ჰყავდა მის იმპერატორობითს უდიდებულესობას? სულ ორი მეფისნაცვალი: ერთი ვარშავაში იჯდა — ევროპაში გამავალ ფანჯარასთან, მეორე კი აქ — ტფილისში — სამხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ გამავალ კარში... ნუთუ შეიძლება, რომ ეს კარი იღებოდეს და იხურებოდეს, ჩვენის მსგავსი ჯუჯა სახელმწიფოების დაულაგებელი კაპრიზების ნებაზე? ამას ბოლშევიკებიც კი მიხვდნენ, ეს ქურდები და მკვლელები, და მათ წინაშეც დადგება იმპერიის აღდგენის აუცილებლობა მის ძველ ფარგლებში; დღეს მარტო მათ აქვთ ძალა, მხოლოდ მათ აქვთ იმპერიის აღდგენის ენერგია და ნებისყოფა. ამის გამო მათ მრავალი რამ მიეტევებათ. ხომ ხედავთ, უკრაინა დააბრუნეს ქვეყნის შემადგენლობაში, თურქესტანი, ბაქო, სომხეთი — ყველა ისევ ერთადაა, მართალია, ცოტა სხვა სახით, მაგრამ არსი იგივეა... აი ნახავთ, სულ მალე, ვთქვათ, არა უგვიანეს სამი წლისა, ხელმწიფე კვლავ დაიჭერს თავის ადგილს ტახტზე; ყველაფერი აქეთ მიდის. რუსეთი მეფის გარეშე ვერ იარსებებს, ბოლშევიკებიც კი ვერ შეინარჩუნებენ ხალხს მეფის ძალაუფლების გარეშე.

— მეფე ხომ მოკლეს, და უფლისწულიც, აგრეთვე, — სთქვა ქეთევანმაც რუსულადვე, დოლიძემ გადაჰკრა არაყი თლილი ჭიქით და შემოხედა.

— თქვენ ეს გჯერათ?—გაეღიმა—ამაზე უკეთესი სპექტაკლები დაუდგამს ისტორიას. აი, ნახავთ, სულ სამ-ხუთ წელიწადში, ხელმწიფე-იმპერატორი დაბრუნდება სახელმწიფოს სათავეში; თვითონ თუ არა, უფლისწული მაინც, და

მე თქვენ უდიდესი სიამოვნებით დაგპატიჟებთ, ცხადია, თქვენს მეუღლესა და შვილთან ერთად, „მხტ"-ში, „ალუბლის ბაღზე", ან კიდევ უკეთესი — დიდ თეატრში, „გედის ტბაზე"; იმ დროისათვის, ალბათ, გამოჩნდება ახალი ანნა პავლოვა, და ჩვენც ღიმილით შოვიგონებთ ამ გაუგებრობას, ჩვენ რომ ერთმანეთს შეგვახვედრა. ახლავე დამპირდით, რომ ჩემს მოწვევაზე უარს არ მივიღებ!

ქეთევანმა უნდობლად გახედა და ჯხმოდ ჩაქინდრა თავი, დოლიძემ ხელში ჩანგალი შეატრიალა, პატარა თეფშს გადაწვდა და მწნილის ნაჭერი გადმოიღო.

— დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ თუ ნებას დამრთავთ, დაგტოვებთ.

— რასაკვირველია, — ფეხზე წამოდგა დოლიძე, — მიბრძანდით და მოისვენეთ.

ქალი თავის ოთახში გავიდა, საწოლზე მიეგდო და ჩუმად ატირდა. იტირა ერთ ხანს, მერე ცხვირსახოცით ამოიწმინდა თვალები, დამშვიდდა თითქოს; და უცებ ისევ აუტყდა სლოკინიანი ქვითინი.

— დედა, — გაისმა ჩუმად ნათქვამი.

— შენ არ გძინავს? დაიძინე ახლავე.

— დედა, მამა ციხეზე ყოფილა, — ჩაიხრიალა ბავშვის ჩურჩულმა.

— აღარ არის ციხეში, გაიქცა, ხომ გაიგე! მამაშენს ციხეც ვერ აჩერებს ერთ ადგილას. დაიძინე!...

...— ნეტავ ახლა მომცა სინემას აპარატი, — ინატრა ახალგაჩენილ ხბოსთან ჩაცუცქულმა სტუდენტმა ჯარისკაცმა, — გადავიღებდით, თორემ რამდენმა ალბათ, არც იცის, ხბო როგორ იბადება.

— რას ამბობ, ბიჭო! ვის რათ უნდია სურათის ძროხა და ხბო. ვისაცა სჭირდება, ისეც ხო იცის.

— ეეჰ, აბა თქვენა ხართ! გამოდის, ვინაც წიგნებით არა მუშაობს, წერა-კითხვა არ უნდა ისწავლოს?

— წერა-კითხვა სხვა რამეა, წიგნი ყველას სჭირდება.

დიასახლისმა წყალი დაუსხა ქმარს ხელების დასაბანად.

— ეხლა შენაც ჩაგაჯენენ ციხეში? — ჩაუჩურჩულა; ქმარმა არ უპასუხა, — რაღა ვქნათ, იქნება [illegible] — [illegible] ჭირონ, შენ გამოგიშვა[illegible] [illegible] ისას ციხეზე მიდიან.

— მერე იქ ვინ დახვდება რო!

— მაატყუე? — შეშინდა ქალი, — რო გაგიგონ, ხო სუ დავიღუპებით. დაგხვრიტავენ.

— ვინა, ესენი? ესენი ხვალევე წაეხირებიან, დილაადრიანვე, აგე ნახავ! შენი ხმა არ გავიგონო, ერთი ზმუკი. საჭმელი და არაყი არ მააკლო. დამისხი! — ხელები დაიფერთხა,—ვაჰ, კარლო! კარლო! რა კაცია, კაცოუ, ჭკუით როგო მაჯობა მაგ ჯიგარგაღლეტილმა მაგანა; ბოლშევიკიც რო გახდა განა! ჰხედავ?

— რას ამბობ, მაშ სუ დავღუპულვართ, ხო დედაბუდიანათ გადაგვასახლეს.

— ვინა? ამათა? იი, ამათ იკითხონ თორემა, ღვინო და არაყი ყველასა სჭირდება, მენშევიკსაც და ბოლშევიკსაც. — და ახლადგაჩენილი ხბოსაკენ მიტრიალდა...

... დოლიძე კი მარტო იჯდა. მაგიდასთან. ერთხელაც დაისხა არაყი, გადაჭკრა, პურის ნაჭერი მიაყნოსა და უხმოდ იჯდა ცოტა ხანს, მერე ისევ დაისხა და დალია, ამჯერად პური აღარა და, ნაგანი ამოიღო, „ბარაბანი" გადმოწია, ლულას გახედა, ისევ ააწყო, ლულა თავისკენ მიიტრიალა და ერთხანს იარაღის პირს ჩასცქეროდა, მერე ხელი ჩაიქნია და სკამის ზურგს მიეყუდა ძილ-მღვიძარი;

თვალები ეხილებოდა და ეხუჭებოდა გაუნძრევლად მჯდარს.

სურათიც თვალის დახუჭვა-გახელის რიტმით ბნელდებოდა და ნათდებოდა, ბნელდებოდა და ნათდებოდა, და უცებ, როცა ერთხელაც განათდა, პურის დიდი ნატეხი გამქრალიყო მაგიდიდან, მეორე გამონათებაზე არყის ბოთლიც მოაკლდა სუფრას, და აქ უკვე ბოლომდე აღარ დაბნელებულა, ოდნავ ჩამუქდა მხოლოდ; სუფრაზე ბავშვის ხელმა ამოიწია, ყველის ნაჭერი და ჩირის აცმა დაითრია, — ხელმა ყელშეხვეული ბიჭისა, რომელიც თოფრაში ალაგებდა საკვებს და მერე ფეხაკრეფით გაიპარა ოთახიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებმოჭუტული კაპიტანი არ შერხეულა, მაგრამ როცა სახლის გარეთა კარმაც გაიჭრიალა, დოლიძე — აბსოლუტურად ფხიზელი მზერით — წამოდგა, მაზარა სწრაფად ჩაიცვა, იარაღი ბუდეში ჩაიდო და ოთახიდან გავიდა.

ღამე, უკვალავ თოვლში ტყის ბილიკზე მიდიოდა თბილად და აჩაჩულად ჩაცმული ყელშეხვეული ბიჭი. პირიდან გამოსული ორთქლი მალე კაშნეზე ყინულის კოშტებად შემოუგროვდა.

ერთგან, თოვლის ქვეშ ძლივს რომ ეტყობოდა ბილიკს გასაყარი, ბავშვი შეჩერდა, მერე ერთ-ერთ გზას დაადგა. ბილიკი ძლივს ჩანდა, მაგრამ ბიჭი მტკიცე ნაბიჯით მიუყვებოდა, ალბათ კარგად ახსოვდა.

მართლაც კარგად ახსოვდა: აქ იყო, მამამ კისერზე რომ შეისვა, ოღონდ მაშინ ზაფხული იყო.

მამა რაღაცას ყვებოდა:

— სადღაც ამ კლდეებში ცხოვრობდა თურმე; გრძელი, ულამაზესი, ოქროსფერი თმა ჰქონდა; გამოვიდოდა ღამღამობით და დაგვიანებულ მონადირეს ჩაუსაფრდებოდა. თუკი ის კოცონს აანთებდა, გვერდზე მიუჯდებოდა, ლაპარაკს გაუბამდა, თავბრუს დაახვევდა, თავს შეაყვარებდა... მაგრამ ყველას კი არ უყადრებდა თავს; ის მონადირე კარგი, ყველაზე კარგი მონადირე უნდა ყოფილიყო, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ყოჩაღი ვაჟკაცი. და კიდევ იცი რაა? თუკი ქალღმერთი ვინმეს შეიყვარებდა, იმ კაცს სხვა ქალისკენ არ უნდა გაეხედა, ცოლი არ უნდა შეერთო... — მამა უცებ გაჩუმდა და მერე საკუთარ თავთან მსჯელობაზე გადავიდა, თუმცა კი თითქოს შვილს ელაპარაკებოდა ისევ — ა? ხედავ, რამხელა ფილოსოფია დევს ამ ზღაპრებში? ხელოვნებაც ხომ ასეა ზუსტად, გამორჩეული უნდა იყო კაცი — გამორჩეული ნიჭის, და თან მარტო ის — ერთი უნდა გიყვარდეს... თუ ულალატე, თუ სხვა რამემ გაგიტაცა, მორჩა! ისე იოლად გაგწირავს და უფსკრულში ისე გადაგჩეხავს, თვალს არ დაახამხამებს, როგორც შენამდე უთვალავი გადაუჩეხია... ჰოპ, ხელი მაგრა მომკიდე!

სიჩუმე ჩამოვარდა. უცბად მიდიოდნენ ერთხანს, მამა და მის კისერზე მჯდომი შვილი.

— მამა,

— ჰმ?!

— შენ შეგხვედრია?

— ვინა?

— აი, ეგ ქალღმერთი.

— ჰეე... კი.

— მერე?

— მერე, მერე დედაშენს შევხვდი და თავი დამანება.

ისევ სიჩუმე.

— მამა...

— ჰმ?

— შენ როდის უნდა იცხოვრო ჩვენთან?

პაუზა.

— მალე, — პაუზის მერე სთქვა მამის ხმამ, — ყველა ერთად ვიცხოვრებთ მალე...

მერე კი,

ციხის ნანგრევებიდან მთის მდინარის ღრმა ხეობა იშლებოდა, შორს — დაბლობისკენ მიედინებოდა. ციხის კედლების ნაპრალებში შემომავალი ნიავი ქალის ღრმა, მკერდისმიერი ხმით მოსთქვამდა; კედლებს მიღმა კარგად უბერავდა, სიმაგრის კედელთან მიკუნჭულ პატარა მოედანზე კი ჰაერი თითქმის არ იძროდა, სიმშვიდე იდგა.

და ამ სიმშვიდეში ზედ ციხის კედელთან გაეშალა მხატვარს თავისი მოლბერტი, გახუნებული, თითქმის ფერდაკარგული ლურჯი შლაპა შუბლზე ჩამოეფხატა და შთაგონებულ-გამოთიშული სახით ხან პეიზაჟს გახედავდა, ხან თავის მოლბერტს და ზედ ფუნჯით მცირე შესწორებებს აკეთებდა. ოთხკუთხა და სამკუთხა კუბებით დახატული სურათი რაღაცით მართლაც ჰგავდა მდინარის პეიზაჟს.

ნანგრევის სიღრმეში, სამი კედლით შემოსაზღვრულ ნახევრადდანგრეულ ოთახში, რომელსაც უშნოდ შეკიდული სახელდახელო კარი ადამიანის თავშესაფრად აქცევდა, ძველისძველ შავ

ბუხარში ცეცხლზე მომცრო ქვაბი იდგა. ბიჭმა წვერწამახული ჯოხით ასწია ქვაბის თავსახური, და მოთუხთუხე წყლიდან ამოწეულ კარტოფილს ჩაურჭო.

— მამა, — თავის მოუბრუნებლად გასძახა გაღებული კარისკენ.

— ჰმ?!

— ამოვაწყო?

— აცალე ცოტა ხანს, კარგად მოიხარშოს.

— ჩაიშლება.

— ჯერ არ ჩაიშლება, მარილი უქენი.

ბიჭი ფეხისწვერებზე აიწია, თახჩიდან სამარილე ჩამოიღო, ქვაბში ჩაყარა და იმავე ჯოხით მოურია. ქვაბი უცებ შექანდა და გადაიხარა. ბავშვმა მეორე ხელი შეაშველა, მაგრამ ცხელმა ქვაბმა თითები დასწვა და ხელი აუცდა,

მდუღარე წყალი ზედ გადაევლო.

მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ახსენდებოდა მამის ქუდმოშვლეპილი არეული სახე, შუაზე გაპობილი ხახვის ბოლქვი საოცრად მტკივან ხელზე, ცხვირსახოცით შეხვეული იგივე ხელი; და ნახევრადდახუჭულ ქუთუთოებს შორის — თითქმის ერთმანეთზე მიწებებულ წამწამებს შორის ძლივს ჩანდა თეთრად გადაღებილი საწოლის თავზე სარკესავით მბზინავი ლითონის პრიალა ბურთულა, და სახე — მამა... მამა შიგ თვალებში იყურება, პირდაპირ, ღრმად; შეწუხებულმა ამოისუნთქა მძიმედ, მის უკან კი საქმიანად დადის ვიღაცა... ვიღაცა კი არა, დედა.

მერე,

მერე დედამ მაგიდაზე სინი დადო და ზედ თეფშები და ლამბაქი დააწყო, თან მოუხედავად გააგრძელა:

— ჩემს სიცოცხლეში ამ ერთადერთ ხელ შევცდი და ბავშვი განდე! მეტს ვერ ეღირსები ვერასდროს!

მამამ არ უპასუხა, თითქოს მისთვის არც უთქვამთ, წინ გადმოიხარა და ჩუმად შეეკითხა:

— კიდევ გტკივა, მამა? გტკივა, ხომ?

გაჩუმდა და სახე ჩაღუნა, თავჩაღუნულადვე წამოდგა და ოთახის მოპირდაპირე კუთხეში ბუხართან მივიდა, ცეცხლთან ჩაიმუხლა.

ქალმა სინზე დალაგებული საჭმელი მოიტანა და, მამამ რომ გაათავისუფლა, ის სკამი ფეხით მოიჩოჩა, სინი ზედ დადო, თვითონ საწოლზე ჩამოჯდა, თეთრი ხელსახოცი კალთაზე გადაიფარა, ფინჯანი აიღო და თვალებმილულული ბავშვის ბაგეებთან მიიტანა, თან ბუხრის მიმართულებით სთქვა:

— იპოვე თამაშის დრო? რას წვავ მანდ? კარლო!!! გამოდი ახლავე, ნუ ააქოთე სახლი; ვის ვეუბნები! გამოდი ახლავე!

ქალმა ნერვიული მოძრაობით გადადო ფინჯანი და ბუხრისკენ წავიდა მკაცრი ნაბიჯით, მხარში მოქაჩა კაცს და უცებ იკივლა, მერე კი მამაკაცს ხელიდან გამოსტაცა ჩაბლუჯული ცეცხლის საჩხრეკი მაშა.

— ასე ერთი ჭკუის, ასე ერთი ხასიათის, ასე ერთნაირად გიჟები რამ გაგაჩინათ! თქვენ მოგეცათ ჩემი ცოდვა, თქვენ არ გაიხარეთ ჩემი დატანჯვისთვის, — ხმამაღლა ყვიროდა დედა.

მამის ხელისგულებზე გავარვარებულ მაშას ღრმა იარები ამოეწვა და თეთრშავი ოხშივარი ასდიოდა; და, კიდევ კარგი, დედამ ვერ შენიშნა, რომ წამოხტა საწოლიდან ბიჭი, და ახლა თავისი შეხვეული ხელით მამის აბოლებული ხელის მტევანი ეჭირა და ლუღლუღებდა: — მამა... მამა... მა...

სურათი დაბნელდა.

მთვარიან ღამეში გლუვ თოვლზე დაჩნეულ პატარა ფეხის ნაკვალევს მიდევნებულმა დოლიძემ უცებ ფეხს აუჩქარა და თოვლში გულაღმა გადაქცეულ გონდაკარგულ ბავშვს წაადგა ზედ. შეანჯღრია, გულზე ყური მიადო, მერე სწრაფად აიტაცა და ბავშვიანად უკან გამობრუნდა.

გათენება დაიწყო, ჩამოწოლილ სითეთრეშეპარულ ნისლში უცებ აწოწილი კაცის ფიგურა გამოიკვეთა და მოახლოვდა, მაგრამ ბავშვიანი დოლიძის დანახვაზე დაფრთხა, გვერდზე ხტუნვა-ხტუნვით გადაინაცვლა და ისევ ნისლში დაინთქა. იმავე წამს ზურგზე ტომარა-

მოკიდებული ვიღაც მეორე გამოკრთა, ფართხაფურთხით ჩაურბინა დოლიძეს და ტყეში მიიმალა; ნისლში ახლა რამდენიმე ფიგურა გამოჩნდა, მათ შორის — ორი ქალი, იმ კაცის ცოლ-შვილი, მწყემსთან რომ წავიდა. ხელათ ჩაუარეს დოლიძეს, მაგრამ გოგომ, პირზე რატომღაც მური რომ ჰქონდა მოსმული, მაინც მოასწრო და სანამ დედამისი წაჩაქჩაქებდა, ბრდღვიალა თვალები შეანათა მაღალ მამაკაცს. დოლიძემ გაოცებით გააყოლა თვალი და რომ შემობრუნდა, მის წინ უფრო მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა ამოყვინთა ნისლიდან. მოაბიჯებდნენ მდუმარედ, სწრაფად, ბარგაკიდებულნი.

ხელში ბავშვატატებული დოლიძე უცნაურად დადუმებულ სოფელში შემოვიდა, ჩაუარა იმ კაცის ეზოს, გუშინ დილით თავის მეცხვარესთან რომ წავიდა და მისმა ცოლ-შვილმაც ახლახანს ტყეს რომ მიაშურა; სულ რამდენიმე წუთის მიტოვებულ სახლ-კარს უკვე გაპარტახებული იერი დაჰკრავდა; ალბათ მოღიაღებული ფანჯრები ჰქმნიდა ამ იერს ცივ, ნისლიან დილით. ღია ფანჯარაში რაღაც მოძრავი გაკრთა და სახლიდან აივანზე „სალამურიანი“ მათხოვარი გამოვიდა, ცალ ხელში გუდით, მეორეში — გარმონით; რაღაცას იღეჭებოდა თან. მათხოვარი აივნის კიდეზე ჩამოჯდა, გარმონი გაჭიმა და უვიცად ააჭყვიტინა, თანაც ხანდახან „რუსულად“ დასძახებდა: „დავაი, დავაი; დავაი.“...

დოლიძე ნაცნობ ეზოს მიუახლოვდა, ჭიშკართან უკვე გამზადებული იდგნენ მისი ჯარისკაცები და შეკაზმული ცხენები;

— ბატონო კაპიტანო, — ქუდთან ხელი მიიდო ფერდაკარგულმა სტუდენტმა ჯარისკაცმა, — ტფილისში ბოლშევიკები... — სათქმელი ვერ დაამთავრა.

— როდის?

— გუშინ დილით, — ჯარისკაცმა ახლაღა დახედა გონდაკარგულ ბავშვს და ისევ კაპიტანზე ასწია დაბნეული მზერა.

კაპიტანი უხმოდ დაიძრა სახლისკენ, რომლის კარშიაც მდგარმა დიასახლისმა მის დანახვაზე ლოყა ჩამოიხოკა, ბავშვი სასწრაფოდ ჩამოართვა და სახლში შეარბენინა. შეცბუნებულმა კაპიტანმაც დააპირა შეყოლა, მაგრამ კარებში წარბშეკრული სახლის პატრონი ჩადგა და ფეხები გაბოჯგა. დოლიძემ გაკვირვებით ახედა, მახარამ ვითომ უნებური მოძრაობით ზურგს უკან დამალული ცულის ტარი გამოაჩინა. დოლიძემ უცნაურად ჩაიღიმა, ერთ ხანს უხმოდ შეჰყურებდა თვალებში, მერე კი უხმოდვე გამოტრიალდა ჭიშკრისკენ...

გონდაკარგული ბიჭი მთავარ ოთახში დაეწვინა, მისთვის ლოგინი ტახტზე გაეშალა და ახლა თხის ქონით უზელდა მკერდს დიასახლისი, ძმრიან წყალში გავლებული ჩვრით უწმენდდა შუბლს და ფეხისგულებს...

სტუდენტი ჯარისკაცი კი გაჭიმული იდგა კაპიტნის წინ, რომელმაც მათარიდან მოსვა არაყი და თვალები დაეწმინდა.

— ბატონო ჯარისკაცო ბაცანკალაშვილო, ჩვენ ჩვენი დავალება გვაქვს მიღებული, ის უნდა შევასრულოთ, და სანამ მისი შესრულების ყველა საშუალებას არ ამოვწურავთ, ჩვენ აქ დავრჩებით; წასვლის უფლებას მე არ მოგცემ, ხოლო თუ მაინც წახვალ, პატაკს დავწერ და ტრიბუნალს გადაგცემ დაუმორჩილებლობისათვის. გასაგებია?

სტუდენტი ჯარისკაცი რამდენიმე წამს ფიქრობდა, მერე სამხედრო სალამი აუღო კაპიტანს, შებრუნდა და ცხენზე შეჯდომა დააპირა.

— ეე, ე! — შესძახა მუნჯმა ჯარისკაცმა, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოეღო და მხოლოდ ჟესტებით ურთიერთობდა, და აღვირი წაგლიჯა ხელიდან, — ცხენს თავი დაანებე და შენ სადაც გინდა, იქ წადი!

სტუდენტმა ჯარისკაცმა კაპიტანს შემოხედა, რომელმაც ოფიცრის ფორმისათვის შეუფერებლად სასაცილოდ აიჩეჩა მხრები:

— ამ კაცისაა ცხენები, ძმაო;

ურჩი ჯარისკაცი შეტრიალდა და ფეხით წავიდა ატალახებულ ორლობეში.

კაპიტანი დაფიქრებული ჩამოჯდა ღობესთან მიმაგრებულ სკამზე, პორტ-

სიგარი ამოიღო და პაპიროსი გააბოლა, მერეღა გამოერკვა და ჯარისკაცებსაც გაუწოდა.

ეწეოდნენ, კაპიტანი კი დაძაბული ფიქრობდა.

ჯარისკაცებმა პაპიროსის წევა დაამთავრეს, უფროსმა ჯარისკაცმა ბოლო ნაფაზიც დაარტყა და გადაგდებულ ნამწვს თვალი გააყოლა.

კაპიტნის ხელში კი ისევ ბოლავდა პაპიროსის ნარჩენი;

კაპიტანმა გადაწყვეტილება მიიღო და წამოდგა.

— წავედით, ჩემო ლომებო, ჩვენ აქ საქმე აღარა გვაქვს.

შესხდნენ ცხენებზე და დაიძრნენ.

გავიდნენ სოფლიდან — ოთხი ცხენი და სამი მხედარი. ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ცხენები, მუნჯი ჯარისკაცის გასახარად, რომელიც ცხენებს სულ ფეხებში უყურებდა. სოფლიდან გასვლისას სერზე შეჩერდნენ.

— ნეტა სად გაქრა ეს ბიჭი? — ჩაილაპარაკა კაპიტანმა.

ჯარისკაცებმაც გადახედეს მიდამოს. დოლიძემ ზემოთკენაც აიხედა და უცებ ბუნების საოცარი მოვლენა მოხდა: ნისლის ფარდა ცოტაზე გადაიხსნა და თეთრ ჩარჩოში ჩასმული სურათივით დაეკიდა რძისფერ სივრცეში ციხე-სიმაგრის ნანგრევის სილუეტი. კი, ეს ის ციხე-სიმაგრე იყო, რომლის კუბისტური სურათიც კედელზე ეკიდა სახლში. კაპიტანს ოდნავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. უცებ ხელი გაიწვდინა, მის ახლოს მყოფ ჯარისკაცს უთქმელად წაგლიჯა ხელიდან სამხედრო დურბინდი და ყურადღებით ჩააცქერდა: „ახლოს მოტანილ“ ციხე-სიმაგრის ერთი მხრიდან მცირე კვამლი ამოდიოდა თითქოს.

და სურათს მაშინვე გადაეფარა ნისლი.

— აგე, სადა ყოფილა, — სთქვა უფროსმა ჯარისკაცმა — მოკლეზე გადასულა.

დოლიძემ ბინოკლი მიითითებული მიმართულებით მიატრიალა, და სამზერში დაიჭირა სტუდენტი ჯარისკაცი, რომელიც გულდაგულ მიარღვევდა უკვალავ თოვლს მის წინ კედელივით აღმართულ ციცაბო სერზე. მერე კაპიტანმა ცოტა ზემოთაც ასწია დურბინდის მზერა...

მთის კორტოხს მიღმა, ორ სხვა მთას შორის ვიწრო სივრცეში გამოჩნდა რაღაც მოძრავი მასა; კაპიტანმა სიმკვეთრე გაასწორა და დურბინდში სიშორის გამო ძლივსგასარჩევად გამოიკვეთა ძაბრისფორმიანი ქუდების და ხიშტების მდინარე, ცოტა ხნის მერე ჯავშნოსანი მანქანის ზედა ნაწილმაც ჩაიარა, მერე კი კვლავ ძაბრისქუდიანი ხიშტებიანი ჯარისკაცები განაგრძობდნენ სვლას და ეს სვლა გრძელდებოდა დიდხანს და დიდხანს...

... დათოვლილ სოფელში საოცარი, ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ოთახში ნათქვამი თითო სიტყვაც კი ეზოში ჭიშკრამდე ისმოდა.

— მამამისივით გიჟი ყოფილა კაცოუ! როგოა? — დაიჩურჩულა კაცმა.

— ცხელია, სად იყოვო?

— აბა მე რა ვი, არ უთქვია. ხო გადარჩება?

— რავი, კი.

— დედამისს დავუძახებ.

— არა, არა! ხო იცი, რო არ უყვარს რო აღვიძებენ.

— გაგიჟდი, დედაკაცო?

— ჯობია ეძინოს, მაგან სად იცის ბალღის მოვლა; შენა კიდე, ცოტა სიტყვას მოუფრთხილდი მაგასთანა, აღარაფერი წამოგცდეს იმდღევანდელივითა; ხო დაა მაგრამა, მაინც ბოლშევიკის ცოლია ეხლა.

სადღაც ძალიან შორს ძაღლმა დაყეფა — ერთხელ, ორჯერ, მესამედ — ცოტა ზანტად;

მერე დაიყმუვლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲖᲘᲕᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ

ᲡᲘᲖᲛᲐᲠ-ᲪᲮᲐᲓᲘ

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ —
ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲡ.
ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

„... ᲐᲒᲠᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲪᲐ ᲓᲐ...“.
ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

„... ᲒᲐᲜᲛᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲔ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲘ ᲡᲣᲚᲘ-
ᲡᲐᲘ, ᲠᲐᲘᲗᲐ ᲒᲘᲮᲘᲚᲝ ᲜᲐᲗᲔᲚ...“.
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ

I

... მოგრიალებს, — მოდის... მოდის... მოღრიალებს, — ღვარ-ღვარ მოდის, —
ციდან ცხელი ღვარცოფივით მოხრიალებს ქვა და ლოდი...
ბრდღვინვით, გრგვინვით, შფოთვით, ბლოტვით ბრუნავს ავი ქარაშოტი...
ცხელი ღველფი ჩამოღვარდა —
შუადღეზე ჩამოღამდა, —
აზავთებულ ზღვაში ბორგავს მიწა — ზურგზე განაშოტი!..

... დულს, ბუყბუყებს ზრქელი კუპრი — აღულებულ გარსად მდგარი,
კუპრსა შიგან იხრუკვიან, — გასაღწევი არსად არი, —
კუპრსა შიგან იხლაკვნიან მიწიერნი ათასგვარნი:
ᲬᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲜᲘᲪ და უსულონიც, — ერთნაირად დასანანნი!..

II

... არც მე, არც შენ, არც მას, არც სხვას
არ გვაქვს სხვა გზა, სხვა რამ ხიდი:
ცის და მიწის შუა დროში ვართ სხეულით განახიდი,
ხოლო სული, — ღვთივ ჩადგმული, — არ არს თვალით დანახვითი, —
კაცი — ხმელზე, ჩიტი — გემზე...
მთვარე — მთვარეს, — ᲯᲐᲮ!.. ᲯᲐᲮ! — ᲛᲖᲔ — ᲛᲖᲔᲡ! —
ᲕᲔᲠ ᲕᲧᲕᲘᲠᲘ და ᲕᲔᲠ ᲕᲘᲖᲐᲮᲘ, — ᲔᲜᲐ ᲛᲔᲑᲛᲘᲡ, ᲒᲐᲕᲯᲐᲮᲘᲠᲓᲘ!..

III

... მოზრიალებს, ჩქარ-ჩქარ მოდის... მოღრიალებს, ზარ-ზარ მოდის...
ᲒᲠᲣᲮᲣᲜᲘᲗ და ᲮᲐᲗᲥᲐ-ᲮᲣᲗᲥᲘᲗ მოხრიალებს ქვა და ლოდი, —
ზმორვით, ღრენით, ზორვით, ელვით ბრუნავს ავი ქარაშოტი:
ᲦᲕᲔᲚᲤᲘ ᲦᲕᲚᲔᲤᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲦᲕᲐᲠᲓᲐ,
ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲦᲐᲛᲓᲐ, —
ᲐᲖᲕᲘᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲪᲔᲪᲮᲚᲨᲘ ᲘᲬᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ — ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲒᲐᲜᲐᲨᲝᲢᲘ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

... ღმერთო! — საზარი ზმანება — მაცნე უჟმური ჟამისა, —
შეგვინდე, შეგვიწყალევი, — ცხადში არ ახდეს წამისად...
ზრახვანნო სატანისანნო, — განქარდით, განქრით, წა, — მისად!..
დილის ლოცვებით ბრწყენილო,
ზეციერამდე წვდენილო, —
ჰე, სიტყვავ ჩემო! — ღალადჰყავ საეედრებელი ამისად!..

V

... ბედმა ბევრჯერ დამცინა და მამცირა და მაბარბაცა:
რაწამს ცამდე ამიტაცა — იმავ წამსვე დაბლა დამცა,
დამძალა და დამბლა დამცა, მომაჩვენა ქარვა ბაცად, —
დამაბრმავა, გადამქანცა,
მარონინა აცა-ბაცად, —
ზოგჯერ კიდეც მამამაცნა,
ზოგჯერ კიდეც მაზარმაცნა,
ზოგჯერ — ლოდთა დიდთა ქვეშე
შემიშველა აზარმაცად, —
მარბია და მაბურთავა, დამცეცხლა და დამანაცრა,
სისხლი წვეთ-წვეთ ჩამომცრემლა, ვერ კი სრულად დამამარცხა!..

VI

... ჰე, უფალო! — ღამ-ღამ, ჟამ-ჟამ, — უთენია, გინა დილით,
ოდეს სულში ნათლის ნაცვლად ნისლის მძლაგე ფერი ღვივის, —
ვფიცავ, ხმელზე ვინ და რაც კი ნუგეშად და შემწედ მივის —
იდუმალად შ ო თ ა ი ს ხ მ ა მეყურვება ღვთაებრივი!..

VII

... მე არა ვარ წინაპართა არც ბადალი, არცა ჯუფთი...
მაინც, ღმერთო, გეაჯები კადნიერად, სულის ხუთვით,
გეხვეწი და გელმერთები გულის ხვეწნით, არა ცრუთი:
სამარეში, სიკვდილამდე, ცოცხლად ჩამდე წუთით ხუთით:

მე იქ რუსთველს, — ეჭვის გარე, — დავინახავ მღვიძარს, ცოცხალს...
ვრწმენი: ხანი ხელს ვერ დაჰრევს — ვით მის სულსა, ესრეთ ხორცსა!..
... სურვა ჩემი გააოცებს კაცსა ვისმე მატაოცსა, —
გონზე მყოფი მიხვდება-ყე,—არ რას ვნატრობ გასაოცარს:

ყეფხვის ტყავში ჩახატული მსურის ვჰმზირო ტანი მისი,
სახე მისი ულპოლველი, მართ სულივით მარადისი...
ოდენ შენი, ზეციერო, მე იმედი არ მაქვს სხვისი:
ამად მეფობს სულში რწმენა უხილავის დანახვისი!..

VIII

... ყურად იღო, შეისმინა ყოვლის მსმენმა თხოვნა ჩემი:
წუთით ხუთით ქვე ჩამიშვა ხელით — ამოდ მონაშველით...
მეცნა დროთა მიღმიეთი — წარმოსახვით მონაჩვენი, —
თურე თუ არ ღვთის წყალობით — სულის წუხვას მოარჩენ რით!?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX

... მზარავს საზარი ზანზარი, — ცა ცვივა გრგვინვა-ნგრევითა,
მრუმე და მღვრიე ღვარები მოღრიალებენ მღვრევითა,
ცხელად მდულარი ქარცეცხლი ჩამოგურგურებს ზევიდან...
და... ჰა: ღვთის ნებით ქვეშეთში სახე ვიხილვე, — მზე ვითა!..

... ჯდა მზისყურზე შუქმოსილად — გულდინჯი და სახემშვიდი, —
ცისფერ ბაღში ბროწეული ბრიალებდა ბარე შვიდი:
ყური მოვჰკარ, თვალი ვჰკიდე — ღულუნებდა რამე ჩიტი...
რიდით ღმერთკაცს ხმა ვერ გავე, — შევბედავდი ან მე რითი!..

... იგუმანა და იაზრა: — ვიციო, რა ღღეც გადგაო:
წამოიწივნა, წამოდგა, — კაცი მთასავით მაღლაობს, —
ნუ გეშინისო, — მანიშნა, — არ წამოვაო წარღვნაო, —
ნუ სწუხხო, — ბედის ბორბალი დაბრუნდებაო წაღმაო!..

X

... გამელვიძა: ღედამიწას ცა დასცქერის მოწმენდილად,
გადაცვარულ რძიან ბალახს აბიბინებს მიწა გრილად,
ღვარცოფები შეწყვეტილა, აღარც ჰქუხს და აღარც გრგვინავს:
ჭირი ლხინს ცვლის, — განგებამან დაგვიწესა, დაგვიდგინა!..

XI

... გადაიარა ავდარმა, გადიფრთხიალა ხოხობმა:
არ-არაობა უარჰყო და იავარჰყო **ხო**-ხობამ...
მარტივ ვთქვათ: **უარ**-ყოფობას განგებით სძლია **ჰო**-ყოფამ, —
შეწყდა წარღვნა და... მთავრდება ჩემი პატარა მოთხრობაც!..

XII

... გავეკიდე გზასა ძნელსა: ხორცით — მოკლეს, სულით — გრძელსა,
ღვთივ ბოძებით მინათებდა მზე — ღღესა და მთვარე — ბნელსა...
მე — უვიცი — გავეცანი გაუცნობელ განსაცდელსა;
გზა-გზა მრავლად გავუძელი გაუძლებელ გასაძლებსა!..

XIII

... ორი სიტყვით ხომ ვერ იტყვი, რაც უნდა თქვა სიტყვით ასით:
სათქმელს შვენის სამოსელი არა ფლასი — ფერატლასი...
აზრის შუქმა თვალი მომჭრა სიელვარით, სიხასხასით,
გრძნობის საზრდომ სული აგზნო, — ვთქვი ნაფიქრი დასაფასი!..

XIV

... წარღვნის მაგიერ ხარება მოვარდა თავპირისმტვრევით:
მწიფე მტევნებად ნაკრეფმა სიტყვებმა ნალდი ღირსებით
მოქსოვა სულის ამბავი, — ნაკარნახევი ღვთის ნებით, —
ხან მთვარის სხივით და ხანაც მზის სხივით ნაგვირისტევი!..

... მეორედ მოსვლა შეყოვნდა, — **ვაჰ, თუ დროებით იდარა:**
ახალ ჯახსა და ჯახებას გადაურჩება ვინ და რა!..
... როდის, რაგვარი ჯახანი გველის ციდანაც, ზღვიდანაც —
უწყიან ორთა მარტოდენ: ღმერთმან და კაცმან მისდარმან!..

13 — XI — 1997 წ.
23 — VI — 1998 წ.
თბილისი — ბურნათი — თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კუხიანიძე

ავტობიოგრაფიული ფურცლები

ადამიანის სულის თარგმანი

დიდი ომის შემდგომი წლები...

მაშინდელ კარლ ლიბკნეხტის ქუჩაზე, რესტორან „იმერეთის“ გვერდით, ახლანდელ ბავშვთა პოლიკლინიკის შენობაში, პატარა სასტუმრო იყო, რომელსაც, რატომღაც, „ინტურისტს“ უწოდებდნენ.

ბავშვობაში „ინტურისტის“ ხშირი სტუმარი ვიყავი.

გაკვეთილების შემდეგ (ვაჟთა მეორე სკოლაში ვსწავლობდი) გავუყვებოდი „ინტურისტისკენ“ მიმავალ ქუჩას, თეთრ ხიდზე კარგა ხანს შევჩერდებოდი, რიონის ხმაურს მივაყურადებდი და ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსის სტრიქონებს ვჩურჩულებდი:

ხარ ფალავანი და ბედაური,
შენი ტალღების მიყვარს თარეში,
შენი ნანინა, შენი ხმაური
ჩამწვეთებოდეს თვით სამარეში.
ო, საყვარელო! კიდევ მწადიან
შენი ტალღები, შენი ფაფარი,
ჩემო ემბაზო, ჩემო გადია,
მომეცი შენთან თავშესაფარი.

თეთრ ხიდს გავცდებოდი და ასიოდე ნაბიჯის შემდეგ „ინტურისტს“ მივადგებოდი.

ამ შენობის მეორე სართულზე არასოდეს ავსულვარ, მაგრამ მისი ხშირი სტუმარი ვიყავი-მეთქი რომ ვამბობ, ამის მიზეზი შემდეგი გახლდათ:

„ინტურისტის“ ფოიეში, მარცხნივ, ერთი კუთხე იყო გადატიხრული, სადაც მამაჩემს, ბესარიონ კუხიანიძეს, სახელოსნო ჰქონდა გამართული.

მამაჩემი მაშინდელ ქუთაისში საკმაოდ ცნობილი ხელოსანი გახლდათ, მაგრამ მისი ებრაელი ძმაკაცები, რომლებისგანაც საპირე ტყავს, საძირეს და სხვა მასალას ყიდულობდა, ხუმრობდნენ: „ბესო ხუთი დღე ჩაქუჩს უკაკუნებს და რანაირად მაყუთ რო იშოვის, შაბათ-კვირას აღღერებსო“.

მამაჩემი ომგადახდილი კაცი იყო და სახელოსნოში გენერალისიმუსის სურათი ჰქონდა გაკრული.

პარასკევს, ნაშუადღევს, სამუშაო მაგიდიდან, რომელსაც დაზგას ეძახდა, იარაღებს აალაგებდა, უჯრაში ჩააწყობდა და ზედ მოკრძალებულ სუფრას გაშლიდა.

აქ ხშირად იყრიდნენ თავს ჩემთვის ძვირფასი ადამიანები: ამბაკო ძოწენიძე — არსენიჩი (ბიძაჩემი, მამიდას ქმარი, ისიც ხელოსანი). ოთხი წლის ვიყავი დედა რომ გარდამეცვალა და სკოლაში წასვლამდე, ჭახათაში, მათ ოჯახში ვიზრდებოდი; გრიგოლ ჩირაძე (ისიც ბიძაჩემი, ლეონინა დეიდას ქმარი, დურგალი, ისიც ჭახათელი), მიშა ჩირაძე (მექუსლე, ქალის ფეხსაცმელების ქუსლების მთლელი, ისიც ჭახათელი), დავით მარუაშვილი („ზაკროვჩიკი“, ფეხსაცმლის ტყავის გამომჭრელი, საფიჩხიელი).

ბესარიონი პირველად „ულვაშას“ ადლეგრძელებდა და ცოტა რო შეჭინჭილდებოდნენ, „არსენიჩი“ ნიშანს მისცემდა: „ხე-ხე, ხე-ხე, ლევარსამის ბიჭო!“ და მამაჩემი იეთიმ გურჯის სიმღერას წამოიწყებდა:

ყველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ,
არ შევუშვებ გულში შურს,
ამით ბედნიერი ვარ.

მამაჩემის სახელოსნოდან რესტორან „იმერეთს“ გავცილდებოდი და იქვე, დავით მხეიძის ცნობილი ფოტოსახელოსნოს ვიტრინაში, ვინ იცის, მერამდენედ ვათვალიერებდი ჯადოქარი ოსტატის მიერ შექმნილ ვერიკო ანჯაფარიძის, შალვა დადიანის, უშანგი ჩხეიძის, დოდო ანთაძის, იოსებ გრიშაშვილის, სერგო ზაქარიაძის, შალვა კაშმაძის, ვასო გოძიაშვილის, გიორგი შავგულიძის, შალვა ხონელის, კოლაუ ნადირაძის მომხიბლავ პორტრეტებს.

იქვე იყო ჯგუფური პორტრეტები, სადაც წარმოდგენილი იყვნენ: სერგო ზაქარიაძე, დავით მხეიძე, მამია ასათიანი, შოთა პირველი, გიორგი სამხარაძე და ახალგაზრდა დავით კვიცარიძე.

დავით მხეიძის ფოტოგმირები დღეს ცოცხლები აღარ არიან, გარდა 75 წელს მიღწეული ბატონი დავით კვიცარიძისა. ზოგი გალაკტიონის მსგავსად უკვდავებაში გადასახლდა, ზოგი კი, თავისი მოკრძალებული შემოქმედებისა გამო, იმქვეყნად მიმავალ დავიწყების მოწყენილ გზას თვალდახუჭული გაუდგა.

●

1981 წელს ქუთაისში გამოიცა დუდე გედენიძის მშვენიერი წიგნი „გრძნობა სინამდვილისა“ (ფოტოხელოვანი დავით მხეიძე). ამ წიგნის პირველი მკითხველი მე გახლდით, რადგანაც ჩემი რედაქტორობით დაისტამბა.

წიგნში ბევრ საინტერესო რამეს ამოიკითხავს მკითხველი:

„ფოტო ადამიანის სულის თარგმანია, დავით მხეიძე ადამიანის სულის ნიარგმნის, მაგრამ სურნელს ვერ უკარგავს“ — შალვა კაშმაძე.

აქვეა დავით მხეიძის შთაბეჭდილებათა წიგნიდან ამოღებული გალაკტიონ ტაბიძის ზუსტი და ჭეშმარიტი შეფასება იმ ადამიანისა, რომელიც ქუთაისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, უხმაუროდ აკეთებდა დიდ საქმეს და პირნათელი იყო ქვეყნისა და მეგობრების წინაშე.

„დიდი ბუნებრივობა, სიუბრალოე, იშვიათი არტისტულობა, გრძნობა სინამდვილისა, კულტურა და მგზნებარე ნიჭი — აი, რა არის ძვირფასი ჩვენი ოსტატის ხელოვნებაში. ჩემი პორტრეტები პირდაპირ შედევრებია. დიდი მადლობა დავით მხეიძეს“.

გალაკტიონ ტაბიძე,
(საქართველოს სახალხო პოეტი)
1942 წ. 27 დეკემბერი.

●

ტანში ჟრუანტელი მიეკარა, როცა გალაკტიონის პორტრეტებს გავუსწორებდი თვალს.

მთელი ტანით ამართული შავ კოსტიუმში გამოწყობილ გალაკტიონს ორივე ხელით წიგნი ეჭირა და რატომღაც მეგონა თავის უკვდავების ლექსს კითხულობდა: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“.

განსაკუთრებით მხიბლავდა პორტრეტი, სადაც გალაკტიონი წელზევით პროფილშია გამოსახული. პირგაპარსულ დიდ პოეტს შუქჩრდილებით უელავს სახე, შუბლი ნაოჭებით დაღარვია, ბაგეებზე ოდნავ შესამჩნევი სევდაგარეული ირონიული ღიმილი დაჰკრავს. მარცხენა ხელში, რომელიც მაგიდაზე თუ სკამის საზურგეზე აქვს დაყრდნობილი, თითებში გარჭობილი პაპიროსი „ყაზბეგი“ თუ „რეკორდი“ უჭირავს. ნამდვილად ფოტოშედევრია; მისი მხილველი იფიქრებს, ფოტოხელოვანს რომელიღაც დიდოსტა-

ტის მიერ დიდი პოეტის გრანიტში გამოქანდაკებული სახე გადაუღიაო.

ბავშვობაში საათობით მითვალიერებია ეს ფოტოვიტრინა და რას ვიფიქრებდი, რომ სულ მალე გალაკტიონის ეს ფოტოსურათი ჩემი კუთვნილება გახდებოდა...

●

ერთ დღეს სკოლიდან ჩვეულებისამებრ გავიარე მამაჩემთან.

იგი თავჩალუნული მუშაობდა, შავ ფეხსაცმელზე ქუსლსაკრავს („ნაბოიკა") აჭედებდა. დაზგაზე უკვე შეკეთებული მისი ცალი იყო. გამიკვირდა, „პაჩინკაზე" მუშაობას იშვიათად კადრულობდა. თვალები დავაჭყიტე, ის იყო, რაღაც მინდოდა მეკითხა, რომ ამომხედა და მითხრა:

— ვისია ეს ფეხსაცმელები თუ იცი?

— არ ვიცი, ვისია, მაგრამ მაგენი რომ მომცა, ნავებად გამომადგებოდა რიონზე! — ვუთხარი.

— ვერ მოგართვეს, ხუნხუზ, გალაკტიონისაა ეს ფეხსაცმელები.

— ჩვენი მეზობელი რომაა?

— ჰმ! — ჩაიცინა, — გალაკტიონა ხამაშურიძის ბრახვებს მოვკიდებდი ხელს? — მერე ჩურჩულით თქვა, — გალაკტიონ ტაბიძისაა, შვილო.

ისეთივე ჟრუანტელმა დამიარა, როგორც პოეტის პორტრეტის თვალიერებისას.

მამამ საქმე მოამთავრა, ფეხსაცმელები დაზგაზე დააწყო, ხავერდის ნაჭრით გააპრიალა, გაზეთში ფრთხილად გაახვია.

— წაიღე ახლა ეს ფეხსაცმელები, დათიკო ბიძიასთან მიიტანე და საკუთარი თვალით დარწმუნდები, ვისიცაა. ბატონ დავითს უთხარი, დაზგას მივალაგ-მოვალაგებ და სულ მალე გეახლებითქვა.

●

ფოტოსახელოსნოს კარი შევაღე და მოულოდნელობისაგან გავშეშდი;

გაცვეთილ, ბორდოსფერ შალითაჩაცმულ დივანის მსგავს ტახტზე გალაკტიონ ტაბიძე იჯდა, გაზეთი უჭირავ და ბუტბუტით კითხულობდა. ხანდახან ირონიულად ჩაიცინებდა და ჩაილაპარაკებდა: „უყურე ერთი ამათ! გადამრევს ეს ხალხი!"

მარჯვნივ ფეხიფეხზე გადადებული ბატონი დავით მხეიძე ოლიმპიური სიმშვიდით პაპიროსს აბოლებდა. სახელოსნოს კუთხეში მეორე დავითი, ესაიაშვილი პატარა, მრგვალ მაგიდაზე ჭიქებს აწყობდა. სუფრაზე იდგა მოზრდილი დოქი, ეწყო მწვანილი, ყველი და რაღაც თეთრ ქაღალდში გახვეული, ეტყობოდა, ძეხვი უნდა ყოფილიყო.

გალაკტიონს სახე გაზეთით ჰქონდა დაფარული, გაზეთიდან თვალი ქვევით ჩავაყოლე... ძველ ქეჩის ფლოსტებში ძლივს წაეყარა ფეხები, ქუსლები ფლოსტების სატერფულს გადმოცილებოდა.

— ზურია, სადაა ბესო? — შემომეხმიანა ბატონი დავითი.

გონს მოვეგე:

— აგერ, ფეხსაცმელები გამომატანა, მალე მოვალო.

— ვიცი მე მისი ამბავი; დამიწყებს ახლა ბაზარში გავლა-გამოვლას. წადი და უთხარი, ყველაფერი გვაქვს და ახლავე მოდითქვა.

ფეხსაცმელები გალაკტიონის ფეხებთან დავაწყვე.

გალაკტიონმა გაზეთი გვერდზე გადადო, ფეხსაცმელები ჩაიცვა და ქუსლებით იატაკზე დააბაკუნა:

— მშვენიერია, დიდხანს გამიძლებს.

წამოსვლა დავაპირე, დავით მხეიძემ შემაჩერა, ცოტა ხანს მოიცადეო და გალაკტიონს ჩაულაპარაკა: „ეს ბიჭი ლექსებს წერსო".

— კარგია, ძამიკო, მაგრამ კარგი ლექსების წერაა კარგი.

— აბა, არ შემარცხვინო, საკუთარი ლექსი გვითხარი, ბესოს ბიჭო!

ისე დავიბენი, რა მექნა, აღარ ვიცოდი. მერე გამბედაობა მოვიკრიბე და ვიქვი ლექსი;

ღღეები ბრუნავს, ვით კამათელი,
და ყვავილების არის მრავლობა,
ჩემთვის ღღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.
წელიწადები წავლიან ბევრნი,
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი.

გალაკტიონმა ჩაიცინა, ნიკაპი მოისრისა და თქვა:

— კარგი ლექსი დაგიწერია, კარგი. ასე თუ გააგრძელე, დიდი პოეტი გამოხვალ.

— ყოჩაღ, ბესოს ბიჭო! — გაეცინა დავით მხეიძესაც. — ასეთი ლექსის წაკითხვისათვის უნდა დაგასაჩუქრო. ადგა, კედლის თახჩაში ერთხანს იბუჯარა და ბოლოს გალაკტიონ ტაბიძის ის საოცარი ფოტო გამომიწოდა, რომლის ცქერითაც სულს ვლევდი ჯიგრობასთან.

ფოტოსურათს ხელი დავტაცე, მკერდზე მივიკარი და დაფეთებული გამოვვარდი სახელოსნოდან.

●

მის შემდეგ დიდი დრო გავიდა.

ახლა ვნანობ, რომ მაშინ არც ჭკუა და არც გამბედაობა მეყო, თორემ იმ ფოტოზე ორი დიდი კაცის ავტოგრაფები შემომრჩებოდა.

ჩარჩოში ჩასმული ის ფოტოსურათი ორმოც წელზე მეტია ჩემს სამუშაო ოთახში ჰკიდია და იმ ნათელ ადამიანებთან ერთად ჩემს ბავშვობასაც მაგონებს.

ჯამილა ათას ერთი ღამიდან

იბრაჰიმი ჭიშკართან ფიცრულ ღობეზე მიდგმულ-მიჭედებულ მერხზე იჯდა და ვ[illegible]ცის ფოტოსურათს ჩასცქეროდა. ხან ცალ თვალს მოუხუჭავდა სურათს, თითქოს ამნაირად უფრო კარგად შეათვალიერებდა, ხან თვალს ჩაუკრავდა. ლოყაზეც მიიდო და კარგა ხანს გააჩერა ასე. ბიჭი წამობურცულ ტუჩებს აცმაცუნებდა, რაღაცას ჩურჩულებდა. იქნებ ლოცულობდა, იქნებ რომელიმე აკვიატებულ ლექსს იმეორებდა. შავი, დიდი ხნის გაუკრეჭავი ქოჩორი კრაველის ბოხოხივით ადგა თავზე და უფრო მეტ ასაკს აძლევდა, ვიდრე იყო.

იბრაჰიმი თათარ ჰასიბის 15 წლის ვაჟი გახლდათ.

იბნ ალ-ჰასიბის ოჯახი დიდ ომამდე იყო ჩვენს ქუჩაში ჩამოსახლებული. არ ვიცი, აზერბაიჯანელი, არ ვიცი ბორჩალოელი თათრის მოდგმისა იყო. მთელი ჩვენი ქუჩის მაცხოვრებლები მის სახლობას თათრის ოჯახს ეძახდნენ.

— სად მიდიხარ? — მკითხავდნენ შინ.

— თათრებთან, — იყო პასუხი.

— სად იყავი, სკოლიდან მოსვლა რომ დაგვიანე? — მსაყვედურობდნენ.

— თათრებთან გამოვიარე, — ვიტყოდი.

— „სად მიდიხარ?“ — „თათრებთან!“ „საიდან მოდიხარ?“ — თათრებისგან!“

რა თაფლი აცხია ამ თათრებს, რომ არ სცილდები? — უკვირდათ შინ.

ჰასიბის ოჯახს ის თაფლი ეცხო, რომ კეთილი და მეზობლების მოყვარულნი იყვნენ.

იბრაჰიმზე ორი წლით უფროსი ვიყავი. ისეთი თავმდაბალი და ზრდილობიანი ბიჭი იყო, ამ განსხვავებას სათანადოდ აფასებდა — უფროსი ადამიანისათვის შეუფერებელს არაფერს მეტყოდა.

სკოლიდან ერთად ვბრუნდებოდით შინ. მის ჭიშკარს რომ გავუსწორდებოდით, სახელოზე მორიდებით ჩამავლებდა ხელს:

— კუხო, ჩავიდეთ ჩვენთან. ორივე მოშიებულები ვართ და დედაჩემს ქიშმიშიანი ფლავი ექნება გამზადებული... ფახლავაც...

პირზე ნერწყვი მომადგებოდა, დეიდა მარჯანას კეთილი სახე და ალერსიანი თვალები თვალწინ რომ დამიდგებოდა, რაღა ძალა მქონდა, ფეხებს თავისთავად ჩავყავდი თათრების ეზოში.

ეზოში ჩასვლისთანავე საიდანღაც ხბოსხელა თათრული ქოფაკი გამოექა-

ნებოდა, მკერდზე თათებით შემახტებოდა და სველი, წითელი ენით კისერს ამილოკავდა.

ორსართულიანი სახლის კიბის ძირთან მდგარი მარჯანა დეიდა ხელს მოიჩრდილავდა და შესძახებდა: ჩემი ბიჭები მოსულანო! წყლიან თუნგულას, საპონსა და პირსახოცს შეგვაგებებდა.

— აბა, ხელები საპნით დაიბანეთ, აგერ პირსახოცი! და პირდაპირ მაგიდას მიუჯექით. არ მითხრათ ახლა, არ გვშია და არ გვწყურიაო.

მარჯანა დეიდა ქიშმიშიან ფლავსა და ფახლავას, ცხვრის ხორცის ღვეზელებსა და თათრული ბროწეულის ტკბილ წვენს მოაყოლებდა, რომელსაც მაშარაფს ეძახოდა, შინ დამზადებულ ლიმონათებს დაგვიდგამდა და კიდევ საკითხავი იყო, რა თაფლი ეცხო თათრების ოჯახს?

ერთ საღამოს თათრების ჭიშკართან ჩავიარე. ჰასიბი ფიცრულ ღობეზე მიდგმულ მერხზე იჯდა და ჩამავალი მზის ალმაცერი სხივებით განათებულ ვილაცის ფოტოსურათს ჩაშტერებოდა.

— იბრაჰიმ, ყონაღო, რას ჩასცქერი ასე თვალმოუშორებლად? — ვკითხე ბიჭს.

— ჩამოჯექ, ძმაკაც, გეტყვი, აბა, არ გეტყვი? — თავაუღებლად მიპასუხა იბრაჰიმმა.

გვერდით მივუჯექი და ფოტოსურათი გამომიწოდა.

ფოტოსურათზე 14-15 წლის გოგონა იყო გამოსახული. გოგონა მხრით აყვავებულ ვაშლის ხეს მიყრდნობოდა. ხე ყვავილებით გამოვიცანი. ხელთ პატარა კალათა ეჭირა, მინდვრის გვირილებით გადაფურჩქნული. მსხვილი, თეთრბაბთიანი ნაწნავები ოდნავ ამობურცულ მკერდზე ეფინა. თვალები ოდნავ მოჭუტული ჰქონდა, ეტყობოდა, მზე ანათებდა სახეზე, მაგრამ მაინც მიხვდებოდით, დიდი, ბრიალა თვალები ექნებოდა გოგონას.

იმ გოგოს სახეს თვალი ვერ მოვწყვიტე.

— რას იტყვი, კუხოს? — მეკითხება იბრაჰიმი.

— ლამაზი გოგოა! — ვთქვი მე.

— ლამაზი კი არა, მზეთუნახავია, კუხოს, — დამიწუნა იბრაჰიმმა შეფასება.

— ვინაა, იბრაჰიმ, ეს მზეთუნახავი?

— ეეჰ, ჩემო კუხოს, გრძელი ამბავია, ძალიან გრძელი და დრო თუ გაქვს მისმინე, ყველაფერს წვრილად მოგიყვები. ჩემი ამბავი, ცოტა არ იყოს ზღაპარს ჰგავს, მაგრამ იცოდე, არაფერი არ მომიგონებია, რაც თავს გადამხდა, იმას გიამბობ.

— არსად არ მიმეჩქარება, იბრაჰიმ! ღილამდე რომ გააგრძელო ამბის მოყოლა, შენთან რა მომაწყენს.

— მაშ, დავიწყოთ, — იბრაჰიმმა ფოტოსურათი ხელიდან გამომაცალა და კუბოკრული ფლანელის გარეთა გულჯიბეში ჩაიდო; მერე ისევ ამოიღო ჯიბიდან ფოტოსურათი, ორივე ხელისგულებზე დაიდო, — ასე აჯობებს, — თქვა, — რომ ვუყურებ, უფრო საინტერესოდ მოვეცვები ჩემს თავგადასავალს.

პარასკევ დღეს ბაღისკიდესთან ჩამოვიარე. ბაღში ერთი ჭაღარა ფოტოგრაფი საქმიანობს და გამვლელ-გამომვლელს ფოტოსურათის გადაღებას სთავაზობს. იქვე, ჭადრის ხესთან დგას ხის ფეხებზე შედგმული ოთხკუთხა ყუთი, რომლის ოთხივე გვერდი შემინულია. მინებს იქით მის მიერ გადაღებული უამრავი ფოტოსურათია გამოფენილი.

ამ ყუთთან მივედი და ფოტოსურათების დათვალიერება დავიწყე. ჰოდა, ამ ფოტოსურათს წავაწყდი. სურათი ისეთი იყო, ცოტაც და ხმას ამოიდგამსო, იფიქრებდა კაცი. ამ ფოტოსურათმა გონება დამიბნია და ჭკუა წამართვა.

— ეს ფოტოსურათი მომყიდე-მეთქი, — ვუთხარი ფოტოგრაფს.

— უფასოდ წაიღე, ყმაწვილო, — მითხრა მან.

შინ წამოვიღე. დღედაღამ ვუყურებდი ამ სურათს და ვტიროდი; ჭამა-სმა აღარ მინდოდა და ძილი, გაკვეთილებს ხომ სულ ვეღარ ვუდებდი გულს. გუნებაში ვფიქრობდი, ფოტოგრაფისთვის მეკითხა, ვინაა ამ ფოტოსურათზე გამოსა-

ხული-მეთქი და იგი უეჭველად მეტყოდა.

მივედი ფოტოგრაფთან და ვკითხე:

— ბიძაჩემო, მითხარი, ვინაა ამ ფოტოსურათზე გამოსახული-მეთქი?

— ჭაბუკო, ეს ქალიშვილი მისმა მშობლებმა მოიყვანეს ჩემთან. მამამისი ბაღდადის გამგებელია, აბუ-ლ ლაისი ჰქვია სახელად. ეს გოგო მისი ქალია, სახელად ჯამილას ეძახიან. ისინი ბაღდადში, ზაფრანის ქუჩაზე ცხოვრობენ.

ფოტოგრაფს გავეცალე. ეს ამბავი არავისთვის გამიმხელია. დავბრუნდი შინ. ავიღე ტომარა და თვალ-მარგალიტითა და ოქროთი ავავსე (მარტო თვალ-მარგალიტის ფასი ოცდაათი დინარი იყო). მერმე გათენებას დაველოდე და შინიდან ისე გავედი, არავისთვის არაფერი მითქვამს. გზად ქარავანს დავეწიე. ერთ ბედუინს მივადექი და ვკითხე:

— ბიძაჩემო, აქედან ბაღდადამდე რა მანძილია?!

— ჩემო შვილო, ბაღდადი ახლო როდია, იქამდე ორი თვის სავალია.

— ბიძაჩემო, ბაღდადში თუ ჩამიყვან, ას დინარს მოგცემ-მეთქი.

— ალაჰიმც იყოს შენი სიტყვების თავმდები, — მითხრა ბედუინმა, — ამ ღამით ბინად ჩემთან დადექ, სხვა არავისთან.

დავყაბულდი ბედუინს და ღამე მასთან გავათიე. როცა ირიჟრაჟა, ბედუინმა დამიმგზავრა, მოკლე გზით სწრაფად მატარა; არსად დაგვივანებია, სანამ ბაღდადის კედლებს არ მივაღწიეთ.

— დიდება ალაჰსა მშვიდობით ჩამოსვლისათვის, ესაა ბაღდადი, ჩემო ბატონო! — თქვა ბედუინმა.

იბრაჰიმი ისეთი გატაცებით ჰყვებოდა თავის ამბავს, თავი ათას ერთი ღამის ზღაპარში მეგონა — ზაფრანის ქუჩაო, თვალ-მარგალიტიო, ათასობით დინარიო, ბაღდადიო, ბედუინიო.

იბრაჰიმმა განაგრძო:

— განგებამ ერთ ქუჩაზე მიმიყვანა. ქუჩის დასაწყისში ორდარაბიანი ბჭე იყო, რომელსაც ვერცხლის რგოლი ედო. ბჭესთან ძვირფასად მოფარდაგებული მარმარილოს ორი მასტაბა იდგა, ერთზე კაცი იჯდა, ღირსებით სავსე და კარგი გარეგნობის.

სალამი ვუთხარი ამ კაცს. იმანაც სალამი დამიბრუნა და დასძინა. კეთილი იყოს შენი მობრძანებაო! მერმე გვერდით მომისვა და ამბავი გამომკითხა.

— ერთი ყარიბი ჭაბუკი ვარ, — ვუთხარი ბერიკაცს, — შენი სიკეთის მოიმედეს მსურს, ამ ქუჩაზე ერთი სახლი შემიგულო დასაბინავებლად.

მაშინ ამ კაცმა გასძახა ვიღაცას: — ღაზალა!

გამოვიდა მხევალი და — მზად ვარ გემსახურო, ჩემო ბატონო! — უთხრა.

— თან გაიყოლე რამდენიმე მსახური, ამა და ამ სახლში მიდით, დაალაგეთ, ნოხებით მოჰფინეთ და ყველაფერი გაწყვეთ, რაც ამ მშვენიერ ჭაბუკს დასჭირდეს, ჭურჭლითა და ნუგბარი საჭმლით.

ბერიკაცმა ახლა სხვა მხევალს დაუძახა. მზის სადარი მხევალი გამოვიდა.

— ჭადრაკი მოგვართვით, — უბრძანა ბერიკაცმა და ქალმაც მოიტანა.

— ხომ არ მეთამაშებიო? — მკითხა ბერიკაცმა.

— დიახ-მეთქი.

ბევრჯერ ვითამაშეთ. ყოველთვის დავამარცხე. ბოლოს ბერიკაცმა თქვა:

— კარგად თამაშობ, წუნი არ დაგედება, ღმერთმანი, ბაღდადში ჩემი დამმარცხებელი არავინ მეგულება, შენ კი მძლიე, — წამოიძახა ბერიკაცმა და დასძინა:

— ჩემო შვილო, მითხარ, რომელი ქვეყნიდან ხარ?

— თაისიდან-მეთქი!

— ბაღდადს რამ მოგიყვანაო?

მაშინ ეს ფოტოსურათი ამოვიღე და ვუთხარი:

— იცოდე, ბიძაჩემო, მე ალ-ხასიბის ვაჟიშვილი ვარ, ერთხელ ფოტოგრაფთან ეს სურათი ვნახე და ჭკუა დავკარგე. ვკითხე: ეს სურათი ვისია-მეთქი? ეს ქალი ბაღდადში ცხოვრობსო.

— ჩემო შვილო, ამ ქალის მამა ბაღდადის გამგებელია, აბუ-ლ ლაისი, სახელად კი ჯამილა ჰქვია. მასზე უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო მშვენიერი მთელს დუნიაზე არავინაა, მამაკაცები სძულს, კაცის სახელს ვერ უხსენებ.

ბერიკაცის ნათქვამი რომ მოვისმინე, ავტირდი და ეს ორი ბეითი წარმოვთქვი:

ო, მეგობარო, მთელი სიცოცხლე
რომ დამეხარჯა რუდუნებაში
და გამეფლანგა ჩემი ქონება,
მთელი ქონება ამქვეყნიური,
თავად წალკოტი მარადისობის,
მთელი სამოთხე, სატრფოსთან შეყრის
ერთი საათის მოპოვებისთვის,
გული არაფერს დაიშურებდა.

იმავ წუთს ერთი მაგრად შევყვირე და გულწასული ძირს დავეცი. როცა გონს მოვედი, ბერიკაცმა მკითხა:

— ჩემო შვილო, რა გატირებს და ვინაა ის ქალი, მაგ ბეითებში რომ გულისხმობ?

— მე უზომოდ ვარ აბუ-ლ ლაისის ასულ ჯამილაზე შეყვარებული, — ვუთხარი ბერიკაცს.

იბრაჰიმმა როგორც კი აბუ-ლ ლაისი და მისი ქალი ჯამილა ახსენა, აშკარად მივხვდი, რომ თათრის ბიჭი თითქმის სიტყვა-სიტყვით მიყვებოდა „ათას ერთი ღამის ამბავს, რომელიც გადახდა იბრაჰიმ იბნ ალ-ხასიბს ჯამილასთან — ბასრის გამგებელ აბუ-ლ-ლაისის ასულთან.

— ალაჰ, ალაჰ, ჩემო შვილო, აღარა თქვა ეს სიტყვები, ვინმემ არ გაიგონოს, თორემ დაღუპვა არ აგცდება, — დაიძახა ბერიკაცის ცოლმა, — მთელ დუნიაზე არავინ არის ამ ქალზე უფრო გულქვა. მასთან მამაკაცის სახელის ხსენებას ვერავინ ბედავს, ჩემო შვილო, დაანებე თავი ამ ქალს და სხვა მოძებნე.

იმ ქალის ნათქვამი რომ მოვისმინე, ისევ ავტირდი. მაშინ ბერიკაცმა მითხრა:

— ბაღდადში ერთი კუზიანი თერძია — საიდ, ჯამილას თერძია. მიდი მასთან და შენი ამბავი უამბე, ეგებ გირჩიოს, როგორ მიაღწიო საწადელს.

ავდექი და კუზიანი თერძის ლუქნისაკენ გავსწიე.

— ჯიბე მინდა გაიკერო, — ვუთხარი თერძს.

თერძმა აიღო აბრეშუმის ძაფი და გამიკერა ჯიბე, რომელიც მასთან მისვლამდე ჩავიხიე.

ამოვიღე ხუთი დინარი და მივეცი თერძს.

— განა ასეთი რა გაგიკეთე, ყმაწვილო, ხუთი დინარი რომ მომეცი!

როცა დილა გათენდა, კვლავ იმ დუქანს მივადექი და კუზიანს ვსთხოვე:

— ბიძაჩემო, ჯიბე გამიკერე, ისევ გაირღვა.

— ჩემო შვილო, ჩემი ხმალი და შენი კისერი! — მითხრა თერძმა და ჯიბე გამიკერა. ათი დინარი მივეცი.

გაოცებულმა თერძმა დინარები გამომართვა და მითხრა:

— ალაჰსა ვფიცავ, ყმაწვილო, შენს ასეთ ქცევას უთუოდ რაღაც მიზეზი აქვს. ჯიბის გაკერვა აქ არაფერ შუაშია, თუ სხვა რამ გაწუხებს, მითხარიო.

მეც ყველაფერი წვრილად ვუამბე თავით ბოლომდე.

თერძი ჩემმა სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო, დამხედა და მითხრა:

— ყმაწვილო, ალაჰის შიში გქონდეს, ფათერაკს არ გადაეყარო; ის ქალი შენ რომ ახსენე, გულქვაა და მამაკაცთა მოძულე. ჩემო ძმაო, ენას კბილი დააჭირე, თორემ თავს დაიღუპავ.

თერძის ნათქვამი რომ მოვისმინე, ავტირდი, თერძის კალთას ჩავებღაუჭე და ვუთხარი:

— მიშველე, ბიძაჩემო, ვიღუპები! ამ ქალის სიყვარული გულში ჩამვარდნია და უიმისოდ ვერ ვძლებ.

თერძმა ასეთ უბედურებაში რომ მნახა, შევებრალე და მითხრა:

— შვილო, ჩემო, შენმა ყოფამ გული დამიკოდა, ამიტომ უნდა მოგეხმარო.

აქედან ახლოა ზაფრანის ქუჩა. გზად პირველი ბაღი საიდ ჯამილას ბაღი იქნება. დაინახავ თუ არა ბაღს, მაშინვე მისი ბჭისკენ გასწიე. იქ კიბის ორი მაღალი დიბაგადაფარებული საფეხური

დაგხვდება. ამ საფეხურებზე ერთი ჩემნაირი კუზიანი კაცი ზის. გული გადაუშალე და შეწევნა სთხოვე. ამ ყოფაში რომ გნახავს, ეგების შეგიბრალოს და იმ ადგილამდე მიგიყვანოს, საიდანაც შენი მზერა სატრფოს მისწვდება. თუნდაც ეს მხოლოდ ერთი თვალის შევლება იყოს და ისიც შორიდან. ამის გარდა სხვა რამ ფანდი არ მეგულება, თუ არ შეგიბრალა, შენთან ერთად მეც ვიღუპები. ჩემი ჭკუით ასეა. მსჯავრი მაღალ ალაჰს ეკუთვნის.

— ალაჰს ვსთხოვ შველას, რასაც ინებებს ალაჰი, ის იქნება. არა არს ძალი და ღონე, თვინიერ ალაჰისა თანა, — ვუთხარი კუზიან თერძს და ზაფრანის ქუჩისკენ გავსწიე.

მივედი ბაღთან და ყველაფერი ისე დამხვდა, როგორც თერძმა აღმიწერა. ვნახე, რომ ბაღის ბჭე ღიაა. დიჰლიზში სპილოს ძვლის საწოლი დგას. მასზე ნატიფნაკვთებიანი სახის კუზიანი კაცი ზის, ოქრომკედით ნაქარგი სამოსი აცვია. ხელში ოქროთი დაფერილი ვერცხლის კვერთხი უჭირავს.

მსწრაფლ მივეჭერი მას, მუხლებზე დავემხვე და ხელზე ვეამბორე.

— ვინა ხარ, საიდან მოსულხარ, აქამდე ვინ მოგიყვანა, ჩემო შვილო? — მკითხა კუზიანმა.

— ბიძაჩემო, მე ერთი უგუნური ყარიბი ბიჭი ვარ, — ვუთხარი კუზიანს და ავტირდი.

კუზიანს შევეცოდე, საწოლზე დამსვა და ცრემლი შემიმშრალა, მერმე მითხრა:

— ნურაფრის გეშინია. თუ ვალებში ხარ ჩავარდნილი, ალაჰი დაფარავს შენს ვალს; თუ შიშს აუტანიხარ, ალაჰი უშიშარს გაგხდის.

— ბიძაჩემო, — ვუთხარი მე, — არც შიშს დავუთრგუნივარ და არც ვალებს.

— ჩემო შვილო, აბა, რა გაგჭირვებია, რომ ხიფათში იგდებ თავს და მერე როგორ მშვენიერს, და ისეთ ადგილას მიდიხარ, დაღუპვა რომ არ აგცდება?!

მაშინ კუზიანს ვუამბე ჩემი თავგადასავალი და გული გადავუშალე. ჩემი ნაამბობი რომ მოისმინა, თავი ჩაქინდრა, ერთხანს ჩაფიქრდა და მკითხა:

— ჩემზე კუზიანმა თერძმა ხომ არ მოგასწავლაო?

— დიახ-მეთქი.

— იგი ჩემი ძმაა, ქუდბედიანი ვინმეა, — მერმე დასძინა: — შენს სიყვარულს რომ ჩემს გულში არ დაესადგურებინა და არ შემცოდებოდი, უეჭველად დაიღუპებოდით შენც, ჩემი ძმაც, ჭადრაკის მოთამაშე ბერიკაციც და მისი ცოლიც. — იცოდე, — განაგრძო მან, — მთელს დუნიაზე არსად არის ამნაირი ბაღი, მას „მარგალიტის ბაღს“ ეძახიან. რაც თავი მახსოვს, ამ ბაღში მხოლოდ ბაღდადის გამგებელი შესულა. ბაღის პატრონს ჯამილასა და ჩემს გარდა, უკვე ოცი წელია აქა ვარ და, არ მინახავს, ამ ადგილას ვინმეს ფეხი დაედგას. ორმოც დღეში ერთხელ ჯამილა ძოადგეა ამ ბაღს, თავისი მხევლებით გარშემორტყმული გადმოდის; ათ მხევალს ოქროს კავებით მოაქვთ მისი ატლასის სამოსელის კალთები. ასე შედიან ბაღში. მისი სახისათვის არასდროს მოშიკრავს თვალი. სულს იქით არაფერი გამაჩნია და შენი გულისათვის იმასაც გავწირავ.

მერმე კუზიანმა ხელი მომკიდა და ბაღში გამიყვანა. ბაღს რომ თვალი მოვავლე, ვიფიქრე, სამოთხეში ვარ-მეთქი. იქ ვიხილე ერთმანეთში გადახლართული ხშირფოთლოვანი ხეები, ცადაზიდული დანაკის კუდები, წყალუხვი ნაკადულები, სხვადასხვა ხმაზე მგალობელი ფრინველები. მერმე კუზიანმა ერთ თაღედთან მიმიყვანა და მითხრა:

— აი, აქ ზის ხოლმე საიდა ჯამილა.

კარგად მოვათვალიერე იქაურობა და ვნახე, რომ ეს იყო მშვენიერი ადგილი გართობისათვის. აქ იყო ოქროთი და ლაჟვარდით გამოყვანილი სურათები; ოთხი კარი, სადაც ხუთი საფეხურით ადიოდნენ, შუაში გუბურა იყო, სადაც ოქროს კიბით ჩადიოდნენ. საფეხურები ოქრო-ვერცხლით იყო მოფენილი. შუა გუბურაში ოქროს შადრევანი იდგა, დიდი და მცირე ქანდაკებებით შემკული,

ქანდაკებებს კი პირიდან წყალი გადმოსჩქეფდათ და ამ დროს ისეთ ხმებს გადმოსცემდნენ, მნახველს სამოთხეში ეგონებოდა თავი. თაღეთის ახლოს სარწყავი ბორბალი იყო, ვერცხლის სანთლებიანი. ბორბალს დიბა ეფარა. ბორბლის მარცხნივ ვერცხლის სარკმელი იყო, მწვანე მდელოს გადაჰყურებდა, სადაც სხვადასხვა ცხოველი — ქურციკი თუ კურდღელი — დანავარდობდა. ბორბლის მარჯვნივ რომ სარკმელი იყო, ის მოედანს გადასცქეროდა, სადაც ათასგვარი ფრინველი სხვადასხვა ხმაზე ისე ჭიკჭიკებდა, მსმენელს გააოგნებდა.

ამის მნახველს გულს სიხარული ჩამიდგა. ბაღის ბჭესთან ჩამოვჯექი. მებაღეც გვერდით მომიჯდა და მკითხა:

— როგორ მოგწონს ჩემი ბაღი?

— ამქვეყნიური სამოთხეა, ვფიცავ ალაჰს!

მებაღემ გაიცინა, ერთხანს სადღაც გაქრა. მერმე დაბრუნდა და თან სინი მოიტანა. სინზე ეწყო დედლები, მწყერები, გემრიელი კერძები და ჩაროზი. მებაღემ სინი მომართვა და მითხრა:

— მიირთვი, დანაყრდი.

ჰოდა, მეც საკმარისად გეახელით, — ჰყვება იბრაჰიმი, — და როცა მებაღემ დამინახა, რა მადიანად ვილუკმებოდი, გახარებულმა წამოიძახა, — ასე მეფისწულებს თუ სჩვევიათ პურობა! — დასძინა: — იბრაჰიმ, რა გაქვს მაგ ბოღჩაში?

ბოღჩა გავხსენი, მებაღემ დახედა და მითხრა:

— თან იქონიე, გამოგადგება, როცა საიდა ჯამილა მობრძანდება, მე ველარ შევძლებ, საჭმელი მოგაწოდო.

ეს თქვა, ხელი მომკიდა ლაშაზთაღებიანი შენობის პირდაპირ ერთ ადგილას მიმიყვანა. იქ ხეებს შუა ტახტრევანი გააკეთა და მითხრა:

— ადი ამაზე, ჯამილა რომ მოვა, ვერ დაგინახავს, შენ კი დაინახავ, ამაზე მეტს ვერაფერს ვიღონებ, ალაჰიმც გყავდეს იმედად! როცა ქალი იმღერებს, შენ ნუნუას შეექეცი, ის რომ წავა, შენც დაბრუნდი მშვიდობიანად იქ, საიდანაც მოსულხარ, ინშალაჰ!

მებაღეს მადლობა გადავუხადე და ხელზე ამბორი დავუპირე, მაგრამ იმან არ დამანება.

— იბრაჰიმ, გაიარ-გამოიარე ბაღში, ხილი მიირთვი, შენი ქალბატონის მოსვლის დღე ხვალ დადგება, — მითხრა მებაღემ.

ვსეირნობდი ბაღში და ხილს გეახლებოდით. ღამე მებაღესთან გავატარე. როდესაც დილა გათენდა, მზე ამოვიდა და ქვეყანას ნათელი მოჰფინა, მებაღე გამეღვიძა და მითხრა:

— ადი ტახტრევანზე, მხევლები მოვიდნენ, რათა აქაურობა ნოხებით მოჰფინონ. ამათ საიდა ჯამილაც მოჰყვება... ჩუმად იჯექი, ერიდე ცხვირის მოხოცვასა და დაცემინებას, თორემ დავიღუპებით მეცა და შენც.

ტახტრევანზე ავედი. მებაღე წავიდა; თან ამას გაიძახოდა: ალაჰიმც გადაგარჩენს, ჩემო შვილო!

უცებ გამოჩნდა ხუთი ისეთი მხევალი, არავის რომ არ უნახავს მათი მსგავსი. ისინი შევიდნენ თაღიან შენობაში, ტანთ გაიხადეს, მორეცხეს იქაურობა, ვარდის წყალი აპკურეს, საბრი და ამბრი აკმიეს, დიბა მოჰფინეს. ამ მხევლებს ორმოცდაათი სხვა მხევალი მოჰყვა, ხელთ საკრავები ეჭირათ, შუაში ჯამილა მოდიოდა წითელი დიბის ჩარდახქვეშ. ჩარდახის კალთები მხევლებს ჰქონდათ ზევით აწეული ოქროს კავებით. ბოლოს ჯამილა თაღიან შენობაში შებრძანდა. ვერც მისი სახე დავლანდე, ვერც ჩაცმულობა და გუნებაში გავიფიქრე: ალაჰსა ვფიცავ, ნაღდად ამაო გამოდგა მთელი ჩემი ჯაფა, მაგრამ, დაიცა, ბოლომდე ვნახავ-მეთქი, როგორ წავა საქმე!

ამასობაში მხევლებმა საჭმელ-სასმელი მოიტანეს, ჭამეს, ხელი დაიბანეს, ჯამილას სკამი დაუდგეს და ისიც ზედ დაბრძანდა. მხევლებმა საკრავები აახმიანეს და ისეთი მომაჯადოებელი ხმებით იმღერეს, მსგავსი რომ არავის გაუგონია.

მერმე მნე დედაბერი გამოვიდა, ტაში შემოსცხო და აცეკვდა. მხევლებმა ხელი ჰკრეს და გააგდეს. ამ დროს კრეტსაბმელი აიწია და ჯამილა გამოვიდა სიცილით. დავინახე ქალი; მის სამოსელს სამკაულები ამშვენებდა, თავზე თვალ-მარგალიტით მოოჭვილი გვირგვინი ედგა, ყელზე მარგალიტის გულქანდა ეკიდა, წელზე — სარტყელი პაზიონის ჩხირებისაგან. ამ ჩხირებს თასმები კრავდა, რომლებზეც იაგუნდი და მარგალიტი იყო აცმული. მხევლები წამოდგნენ და ჯამილას წინაშე მიწას ემთხვევნენ, იმას კი სახეზე ღიმილი ეფინა.

იბრაჰიმი ჰყვება: როცა ქალი დავინახე, თითქოს ამქვეყნად აღარ ვიყავ. გონი დამეკარგა და აზრი დამენა, იმდენად დამაბრმავა ქალის სილამაზემ, ასეთი მშვენება მთელ დუნიაზე არ უნახავს არავის, იქვე მივიბნიდე. მერმე წამოვიწიე და თვალცრემლიანმა ეს ორი ბეითი წარმოვთქვი:

არ ვახამხამებ თვალს, რომ ჩემმა ქუთუთოებმა
არ დამიფარონ თუნდაც წამით შენი ხატება.

ასი თვალიდან ასივე რომ შენკენ მომეპყრო,
მთელ შენს მშვენებას მზერით მაინც ვერ მოვიცავდი.

ამ დროს დედაბერმა გასძახა მხევლებს:

— აბა, ათი თქვენთაგანი გამოვიდეს სამღერლად და საცეკვაოდ!

ქალები რომ დავინახე, გუნებაში გავიფიქრე: ნეტავ, საიდა ჯამილაშაც იცეკვოს-მეთქი.

როცა მხევლებმა ცეკვა დაასრულეს, ისინი ქალბატონს შემოეხვივნენ და სთხოვეს:

— ჩვენო ქალბატონო, დიდად გვწადია, შენი როკვით გაგვახარო და ამით სრულქმნა ჩვენი მხიარულება.

მაშინ კი ჩემთვის ჩავილაპარაკე: ეჭვი არაა, ცის კარნი [illegible] ალაჰმა შეისმინა ჩემი [illegible]

ჰოდა, მანამდე არ მოეშვნენ მხევლები ჯამილას შეგულიანებას, სანამ იმან ტანთ არ გაიძრო და არ დარჩა ოქროქსოვილ, ნაირ-ნაირი პატიოსანი თვლებით გაწყობილ პერანგში. ქალმა გადმოყარა ბროწეულის მსგავსი ძუძუები, გამოაჩინა სახე, მსგავსი ბადრი მთვარისა ავსების ღამეს. ასეთი მიხრა-მოხრა ჩემს სიცოცხლეში არ მენახა; ქალი როკავდა და ისეთ არაჩვეულებრივ ილეთებსა და საოცარ მოძრაობებს ასრულებდა, თასებში ბუშტების ცეკვას დაგავიწყებდა. ქალი ისეთი იყო, მისნაირის შესახებ მგოსანს რომ უთქვამს:

ის ჩამოუსხამთ სილამაზის ყალიბში ისე,
როგორც მას სურდა, არცა გრძელი და არცა მოკლე.

ჩამოსხმულია მარგალიტის წყლისაგან თითქოს.
მის ყოველ ნაკვთში სილამაზის მთვარე გამოკრთის.

ან ისეთი, სხვას რომ უთქვამს:

როდესაც როკავს, მისი წელი ტირიფს ედრება
მისმა მიმოხვრამ ლამის სულ მთლად წარმტაცოს ხელი.

მისი ტერფები არ ჩერდება როკვისას წამით,
თითქოს მის ფეხქვეშ ენთოს ჩემი გულის ღადარი.

იბრაჰიმი ჰყვება: ქალს ვუყურებ და უცებ ჩემკენ მზერა სტყორცნა და დამინახა! დამინახა და სახე შეეცვალა. მხევლებს გასძახა: იმღერეთ ჩემს მოსვლამდეო. მერე წავიდა და დანა აიღო, ნახევარი ზარაფის სიგრძისა იქნებოდა, და ჩემკენ გამოემართა. — არა არს ძალი და ღონე, თვინიერ ალაჰისა თანა, მაღლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიდებულისაი! — თქვა და მომიახლოვდა. ამქვეყანას აღარ ვიყავ. როცა შემხედა და ერთმანეთს პირისპირ შევხვდით, დანა ხელიდან გაუვარდა და დაიძახა: ქება იმას, ვინც გულებზე მბრძანებლობსო!

მერმე მითხრა:

— ყმაწვილო, მიამბე, ვინა ხარ, ამ ადგილას რამ მოგიყვანაო?

— ჰოდა, — ჰყვება იბრაჰიმი, — ვუამბე მთელი ჩემი თავგადასავალი თავით ბოლომდე. ჯამილა გაოცებული მისმენდა და ბოლოს ასე მითხრა:

— ჩემო ბატონო, ალაჰს გაფიცებ, მითხარი, შენ იბრაჰიმ იბნ ალ-ხასიბი არა ხარო?

— დიახ, — მივუგე.

მაშინ ქალი მომეხუტა და მითხრა:

— ჩემო ბატონო, სწორედ შენა ხარ, მამაკაცებზე რომ უარი მათქმევინე. ეს იმიტომ, რომ, როცა ჩემს ყურამდე მოაღწია, თაისში ერთი ასეთი ბიჭი ცხოვრობს, აღწერილობით შემიყვარდი. ჩემს გულში შენდამი ტრფობამ დაივანა, მესმა რა შენი თვალისმომჭრელი სილამაზის ამბავი. შენ გამო ისეთი შევიქენ, მგოსანს რომ უთქვამს:

მის სიყვარულში ჩემმა ყურმა
თვალებს დაასწრო.
თვალზე უადრეს ზოგჯერ ყურით
შეგიყვარდება.

დიდება ალაჰსა, ვინაც შენი სახე დამანახვა. ღმერთმანი, შენ გარდა სხვა რომ ყოფილიყო, მებალეს, თერძს, ჭადრაკის მოთამაშე ბერიკაცს და იმას, ვინც თავს ამათ აფარებს, ძელზე გავსვამდი. ახლა წადი, ხომალდი გაამზადე და მავან და მავან დღეს ამ ბაღში მოდი. სანამ შენთან არ წამოვალ, მანამდე რა მომასვენებს. აწი უშენობას ვეღარ ავიტანო, — თქვა ჯამილამ და მხეველებისკენ წავიდა.

იბრაჰიმმა დაამთავრა თავისი ზღაპრული თავგადასავლის მოყოლა და ცრემლმორეული თვალებით ამომხედა:

— კუხოს, შენ ხომ ხარ ჩემი უფროსი მეგობარი?

— აბა, არა ვარ, იბრაჰიმ!

— ჰოდა, უნდა მიშველო, მეგობარო!

— მაინც რა გაგიჭირდა, იბრაჰიმ? თუ რამე შემიძლია, ჩემი თავი გენაცვალოს!

— ჯამილა უნდა მომატაცებინო!

— რაო?! — გაკვირვებისგან შევხტი და ფეხზე წამოვდექი.

— ნუ გაიკვირვე... საშიში არაფერია! მე და ჯამილა თითქმის შეთანხმებული ვართ. ბაღდადში ჩემს ჩასვლას ელოდება. ერთი სიტყვით, ქალი თანახმაა.

— მაშინ კარგად გქონია საქმე და შენ ცრემლებს ღვრი?

— მე მარტო ვერ მოვაგვარებ ამ საქმეს, კუხოს.

— შენი გულისთვის, ჩემო იბრაჰიმ, ქალის მოსატაცებლად კი არა, ცხრათავიან გველეშაპთან შესაბრძოლებლად წამოვალ. შიში რას მიქვია! — დავაიმედე ბიჭი.

— საღოლ, ჩოხ საღოლ! ასეც ვიცოდი, გაჭირვებისას მხარში რომ დამიდგებოდი.

— როდის უნდა მოვიტაცოთ ჯამილა? — ახლა მე ვჩქარობდი ქალის მოტაცებას.

— ხვალ საღამოს, — ხანგრძლივი დროით აღარ გადადო ჩანაფიქრი.

— რითი უნდა მოვიტაცოთ?

— მე და შენ ჯამილას მისი ბაღიდან გამოვაპარებთ. ზაფრანის ქუჩის კუთხეში ჰასანა დაგველოდება თავის „პობედით“ (ჰასანა იბრაჰიმის უფროსი ძმა იყო).

— გეგმაც გქონია შედგენილი!

— უგეგმოდ და წინასწარი მოფიქრების გარეშე საქმეს ჩაფლავება ელის, — დინჯად თქვა იბრაჰიმმა და განაგრძო, — მისი ბაღის გალავანს რომ მივადგებით, მაშინ გამოჩნდება წინასწარ ჩაფიქრებულიცა და გაუთვალისწინებელი დეტალებიც. ალაჰმაც ნუ ქნას, რაიმემ ხელი შეგვიშალოს.

— ალაჰი მოწყალეა! დარწმუნებული ვარ, ხელს შეგვიწყობს, — ვთქვი მე.

— დიდია ძალა ალაჰისა! — დაადასტურა იბრაჰიმმა და ხელები ცისკენ აღაპყრო.

იბრაჰიმის თვალებიდან ჯამილას გულქანდიდან მოწყვეტილი მარგალიტის თვლებივით გადმოუგორდა ორი კურცხალი.

●

მეორე დღეს შებინდებისას ბაღდადისაკენ გავსწიეთ ჰასანას „პობედით“.

ჰასანამ მანქანა მოფარებულ ადგილას გაჩერა ზაფრანის ქუჩაზე.

მე და იბრაჰიმი ბაღდადის გამგებლის აბუ-ლ ლაისის ქვიტკირის მაღალ გალავანს მივადექით.

გალავნის ბჭეს არც ვერცხლის რგოლი ედო და ბჭესთან ძვირფასად მოფარდაგებულ მარმარილოს მასტაბაზე არც კუზიანი მებაღე დაგვხვდა.

გალავანი რიყის ქვისგან იყო ნაშენი და ასაცოცებლად იოლი გამოდგა.

იბრაჰიმს გალავნის ერთი თავმონგრეული ადგილი ჰქონია მონიშნული და იქ გადავძვერით ჯამილას ბაღში. ხავერდივით მოგებულ ბალახებზე ჩვენი ნაბიჯების ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ჩაბნელებულ ბაღს თვალი მოვავლე. ბაღის სიღრმეში მკრთალად გახათებული გუბურა დავინახე, მაგრამ არსად ჩანდა არც ოქროთი და ლაჟვარდით გამოყვანილი სურათები და არც ოქროს შადრევანი, დიდი და მცირე ქანდაკებებით შემკული. ბაღში არც ქურციკები დანავარდობდნენ.

როგორც ვთქვით, შებინდებული იყო და ბაღის მყუდროებას დასაბუდრებლად გამზადებული რომელიღაც ჩიტის წიწკინი არღვევდა.

გუბურასთან ის იდგა და წყალში საკვებს უყრიდა თევზებს.

ფეხაკრეფით გავემართეთ გუბურასაკენ.

უცებ ჩემს ფეხქვეშ ფიჩხი გატყდა და მისი ტკაცანი თოფის გავარდნასავით გაისმა.

ქალი ფიჩხის ხმაურზე შეკრთა, ჩვენკენ გამოიხედა და შიშნარევი ხმით იკითხა:

ბიბლიოთეკა

— ვინ არის?

ერთ ადგილზე გავქვავდით. ქალი სინათლეში იდგა, ჩვენ — სიბნელეში. იგი ჩვენ ვერ გვხედავდა და ჩვენს აჩქარებულ გულის ბაგუნსაც, რა თქმა უნდა, ვერ გაიგონებდა.

ქალმა ისევ გაიღო ხმა:

— ქურდები და ყაჩაღები თუ ხართ, ახლავე დატოვეთ ჩემი ბაღი, თორემ კაი დღე არ დაგადგებათ. მამაჩემს დავუძახებ და თავისი ორლულიანი თოფით რომ გამოვა, დადექით თუ ბიჭები ხართ?!

ჩვენ ხმას არ ვიღებდით და ნაბიჯ-ნაბიჯ გუბურას ვუახლოვდებოდით.

სინათლეზე რომ გავედით, ქალმა დაბალ ხმაზე შეჰკივლა:

— ვინა ხართ, ხმა ამოიღეთ?!

ქალის შეკივლებაზე გუბურასთან პალოზე დაბმულმა თათრულმა ქოფაკმა ავად დაიღრინა.

— ჯამილა, მე ვარ, იბრაჰიმი! ვერ მიცანი? — ხმა გაიღო ქალის მოსატაცებლად ბაღში შემოპარულმა თათრის ბიჭმა.

— მე არავითარ იბრაჰიმს არ ვიცნობ! — გაკაპასდა ჯამილა.

— შენს წასაყვანად მოვედით, ჩემო ჯამილა, — ლუღლუღებდა იხტიბარგატეხილი იბრაჰიმი.

— ერთი ამათ დამიხედეთ! ესენი ქურდებზე უარესნი ყოფილან! — წამოიძახა ქალმა. — აბა, შერხან გამოაჩინე შენი ბასრი კბილები! — შეუძახა ქოფაკს, დაბმულ ძაღლთან მივიდა და ჯაჭვის ჟღარუნზე მივხვდი, მის აშვებას აპირებდა.

თავის სახელის ხსენებაზე ძაღლმა ავად დაიყეფა და ჩვენკენ გამოიხედა.

ჯამილამ ჯაჭვი პალოდან ახსნა. ორივე ხელით დაიჭირა და ჯერ კიდევ არ აპირებდა ჩვენზე მოშვებას. ძაღლი კი იღრინებოდა, გაბრაზებით ყეფდა და მრისხანედ მოიწევდა ჩვენზე.

ისევ ადგილზე გავქვავდით.

ასეთ შეხვედრას არ მოველოდი და მით უმეტეს — იბრაჰიმი.

ქოფაკი კი სადაც იყო, ხელიდან დაუსხლტებოდა ჯამილას.

არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ და ორთავემ შეთანხმებულივით ზურგი ვაქციეთ ძაღლსაც და ქალსაც.

თავაწყვეტილი ძაღლი ჯაჭვის ჩხარუნით მოგვსდევდა და ჩვენს დასაგლეჯად მოისწრაფოდა.

უკანმოუხედავად გალავნისკენ მოვკურცხლეთ. სტარტი ჩინებული გვქონდა აღებული და გალავანთან თვალისდახამხამებაში გავჩნდით. შევხტი თუ არა გალავანზე, ქოფაკი უკანიდან მწვდა, დუნდულში კბილები ჩამასო და გალავანს რომ მოვევლე, შარვალმა „ფხრიიწ!" მოადინა.

ასეთივე შავი დღე დაადგა იბრაჰიმსაც.

მაინც ვიმარჯვეთ — შარვლებგამოხეულები ქუჩაში გადავხტით და მოფარებულში მომლოდინე ჰასანას „პობედაში" შევცვივდით.

ჰასანა სიცილით იგუდებოდა:

— რა ჰქენით, ქალის მომტაცებელო ჯიგიტებო!

მერე ჯამილას ბაღიდან აბუ-ლ ლაისის თუ კუზიანი მებაღის მრისხანე ხმაც მოგვესმა:

— მიდი, შერხან, ეცი მაგ მამაძაღლებს!

ჰასანამ, აქაოდა, ხიფათს არაფერს გადავეყაროთო, მანქანა სწრაფად დასძრა და „ქალის მომტაცებლები" ზაფრანის ქუჩიდან გაგვიტაცა.

●

თათრების ჭიშკართან ფიცრულ ღობეზე მიდგმულ-მიჭედებულ მერხზე ვიჯექით: თათრის ბიჭი იბრაჰიმი და მე.

იბრაჰიმს ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა და სლუკუნებდა:

— ეს რა დაგვემართა, კუხოს, რა მეშველება ახლა მე?!

იბრაჰიმს, თითქოს ათიოდე წლის პატარა ბიჭი იყო, ისე დავუყვავე, მხარზე ხელი გადავხვიე და დავამშვიდე:

— ნუ სტირი, იბრაჰიმ, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ხარ; გაიზრდები და ყველაფერი დაგავიწყდება — ძაღლის ნაკბენიც და ის გულქვა ჯამილაც.

— არ დამავიწყდება, არა! — ზლუქუნებდა თათრის ბიჭი, — შენ, კუხოს, სიყვარული არ იცი და ამიტომ ლაპარაკობ ასე იოლად.

შევყურებდი იბრაჰიმ ალ-ჰასიბს და ვფიქრობდი, რომ იგი „ათას ერთი ღამის" ზღაპრებიდან კარგა ხანს ვერ დააღწევდა თავს.

ამ დღის შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა და ჩემი თათრის ბიჭი იბრაჰიმი ახლაც გულჯიბით დაატარებს თათრის ქალის, ჯამილას ფოტოსურათს.

სასაფლაოს ჩიტი

გზა იყო უცნობი, გავაღე ჭიშკარი
და კვნესა მომესმა მე სასაფლაოდან.
ტ ე რ ე ნ ტ ი გ რ ა ნ ე ლ ი.

ნატალია ბებიამ სიკვდილამდე ორი თვით ადრე მთელი წლის მანძილზე დანაზოგი პენსიის ფულით შემოაღობინა თავისი საძვალე, რომელიც ძელქვიანის სასაფლაოზე იყო.

როდესაც რკინის ხელოსნები სასაფლაოზე მიიყვანა, მეც ვესწრებოდი მათ გარიგებას. ბე მისცა და ასე დაამუნათა:

— იცოდეთ, შესახედავადაც კარგი უნდა იყოს და, რაც მთავარია, დიდხანს

უნდა გაძღოს, რადგანაც, კარგად ვიცი, ჩემს შემდეგ მეორედ არავინ შემორაგვავს აქაურობას.

— ქალბატონო... თქვენი სახელი დამავიწყდა, — უთხრა ერთ-ერთმა ხელოსანმა.

— ნატალია მქვია მე, გიორგაძის ქალი ვარ! კიდო აღარ მკითხო, თვარა ვიფიქრებ, ამ კაცს სკლეროზი აქვსთქვა.

— ხო, ქალბატონო ნატალია, გიორგაძის ქალო, ოც წელიწადს ქე გაძღებს და ოცი წლის შემდეგ ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი, — როყიოდ წამოაყრანტალა ხელოსანმა.

— თქვენი სახელი, ბატონო რკინის ხელოსანო? — კუშტად ჰკითხა ნატალია გიორგაძის ქალმა.

— ჭუჭუტა, — უპასუხა რკინის ხელოსანმა.

— ჭუჭუტა ხარ, თუ ჩურჩუტა, მე არც ოცი წლის შემდეგ ვაპირებ სიკვდილს, თანაც იცოდე, ამ რკინის გალავანს მარტო ჩემთვის კი არ ვიკეთებ, — აქ ჩემი ახლობელი ადამიანები სახლობენ და მათთვის მინდა დიდხანს გაძღოს თქვენმა ნახელავმა. ამ ფულს რო გაძღევ, ხე კი არ ისხამს, ჩემი მთელი წლის პენსიაა შიგ ჩადებული.

იმ ადგილსამყოფელს, რკინის მესერი რომ შემოავლეს ხელოსნებმა, ნატალია ბებიამ მის პატარა ჭიშკარს ერთმტკავლიანი ბოქლომი დაადო, გასაღები ქვედაწელის შიდა ჯიბეში გადამალა და შვებით ამოისუნთქა: მადლობა ღმერთს, დიდი ხნის საწადელი ავისრულეო.

გაზაფხულის ერთ კვირა დღეს ძელქვიანის სასაფლაოზე წამიყვანა, შავსაღებავიანი ქილა ჭიშკრის შიგნით დადგა, სიმინდის ტაროს ფუჩეჩივით უხეში ფუნჯი გამომიწოდა, თან მიბრძანა: აბა, შვილო, საქმეს შეუდექი, სანამ მზე გადაიხრებოდეს, მესერის შეღებვა უნდა დაამთავრო. მე კი ამასობაში საფლავებს ბალახებისაგან გავწმენდ და ყვავილებსაც დავრგავ.

გაზაფხული ძალაში შედიოდა.

სარეველებით აჯეჯილებულ საფლავთა ბორცვებზე აქა-იქ იები მორცხვად ახელდნენ თვალებს და უჯიათი ბალახებიდან ჯიუტად ცდილობდნენ ნაზი თავების ამოყოფას. მზე, გაზაფხულის ცხოველმყოფელი მზე, ბეჯითად ეხმარებოდა ამ კეთილ საქმეში.

სასაფლაოს მყუდროებას საფლავების გასაწმენდად გამოსული ჭირისუფლების თოხების ჩხაკუნ-წკრიალი და ხამუშ-ხამუშ მათი სევდიანი ოხვრის ხმა არღვევდა.

მონდომებით შევუდექი ბებიის დავალების შესრულებას.

ვღებავდი და თანაც ბებიას ვადევნებდი თვალს. იგი ტარმოკლე, ნისკარტა თოხით ჯიუტად თხრიდა უწარწერო და უთარიღო საფლავებზე გადავლილ ბალახებს, თან ჩემს გასაგონად ლაპარაკობდა:

— ეს განაკიდე საფლავი მამიდაშენისაა, ეს, — გამეტებით დაკრა თოხი გლერტითა და მრავალძარღვათი გადათქერილ ბორცვს, — საცოდავი დედაშენისაა; გვერდით რო პატარა ბორცვებია, შენი უფროსი დისა და უმცროსი ძმებისაა. ერთი ყველაზე პატარა ძმა დედაშენის გულზეა დამარხული. რა აცოცხლებდა ამდენი შვილის დამკარგავ საწყალ დედაშენს. ან მე რამ გამაძლებინა... მაგრამ გიორგაძის მონაგარი ვარ და გავუძელი ყველაფერს.

ბებიას ბუტბუტს გულისყურით ვუსმენდი და ჩემი ყველაზე უმცროსი ძმის ხსენებაზე ხელში გამიშეშდა ფუნჯი.

ბებიამ ჩემი უმოქმედობა შეამჩნია და დამიტატანა:

— რატომ გაჩერდი, შე გასახარებელო, მზე გადაიხარა და ვაითუ დღეს ვერ დავამთავროთ შეღებვა! ხვალ ლექციებზე ხარ წასასვლელი და მომავალ კვირამდე საღებავი ქილაში ჩახმება; ახალი მექნება საყიდელი.

— ნო დარდობ, ბებია, მოვასწრებ! — დავაიმედე და ფუნჯი ისევ მოვიმარჯვე.

— ჰო, — ანაგრძო ბებიამ, — მთავარის თქმა კინაღამ დამავიწყდა. შენ, ჩემო ბიჭო, ერთ წელიწადში ინსტიტუტს დაამთავრებ, სამსახურში ჩადგები, მერე ცოლსაც მოიყვან, შვილებიც გეყოლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიბარებ, ცოტა თავს გაუჭირვე და ამ საფლავებს უსასთუმლოდ და უთარიღოდ ნუ დატოვებ. ყველას თავით გათლილი ქვა დაადევი, დაბადებისა და გარდაცვალების წლები მიაწერე... და იცი, რა მოხდება, ბებია შემოგევლოს? საფლავები გაცოცხლდებიან და არსებობას შეინარჩუნებენ. თორემ წლები ხრიგინით ჩაივლის და აქაურობა ხელისგულივით მოსწორდება. საფლავის ბორცვებს ჟალტამი გადაუვლის და მოანიორწყლებს. მასუკან კიდო გავა დრო და აღარც საფლავის ბორცვები იქნება და აღარც მათი ხსენება, ვინც მათ ქვეშ წვანან. შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ და შეუნარჩუნე შთამომავლობას მათი სახელები და მიწაზე ყოფნის თარიღები. მე, რაც შემეძლო, ის მოვახერხე, რკინის მესრით შემოვრაგვე, საფლავებს ადგილები შევუნარჩუნე; ძეგლები ვერ დავდგი, მარა ის კი გავაკეთე, რომ საქონელი ვერ გადაშლიგინდება მათ მკერდზე.

ფუნჯი წყლიან ქილაში ჩავდე.

— ნუ ლაპარაკობ, ბებია, მასე, ცუდ გუნებაზე დავდექი, — ვუსაყვედურე.

— ჰო, კიდევ მაქვს დასაბარებელი, — განაგრძო ნატალია გიორგაძის ქალმა, — მე რო მოვკვდები, მართლა ოც წელიწადს კი ვერ გავძლებ კიდო. ეს ისე ვთქვი, იმ ჭუჭუტია ხელოსნის გულგასახეთქად. ჰო, მე რო მოვკვდები, ორიოდე პარასკევი მაქვს დარჩენილი, ჩემს გოგოსა და დედაშენს შუა დამმარხე, ბიჭო. ლამაზად გათლილი ქვაც დადგი ჩემს სასთუმალთან და წარწერაც გაუკეთე:

„აქ განისვენებს მხევალი ღვთისა, ნატალია თომას ასული გიორგაძე-კუხიანიძისა.

დაიბადა ქრისტეშობიდან 1884 წელს, გარდაიცვალა ამა და ამ წელს“.

უფალო, შეუნდე თუ რაიმე ცოდვა გაჰნია“.

ქვევით, არ დაგავიწყდეს, ჯვარი მიახატე.

საფლავების მოვლა-მოწესრიგება ნაშუადღევს დავამთავრეთ.

შინ რომ ვბრუნდებოდით, ბებიამ გზად ერთხელ კიდევ შემახსენა [illegible] ნა:

— ჰო, სამსახურში რო ჩადგები, ცოტა თავს გაუჭირვე, ქვებიც დადგი და მე ნურც სახელსა და გვარს დამიკარგავ და ნურც ამქვეყნად ნაცხოვრებ წლებს. მეტი თუ არა, ოთხი წლის ბჟღარტი რო იყავი, მას შემდეგ ბებიობაც და დედის მაგივრობაც გამიწევია შენთვის. ხო ასეა, ბიჭო? ამოიღე ხმა, ენა ხომ არ გადაგიყლაპავს?

— რასაც ამბობ, წყალი არ გაუვა, ბებიაჩემო. შენს ამაგსა და ჩემზე ზრუნვას რა დამავიწყებს. შენ ჩემგან, საყვარელო ბებო, უბრალო ქვა კი არა, ოქროსგან ჩამოსხმული ძეგლი გეკუთვნის. ხარ ღირსი და მიტომ.

ამის შემდეგ ნატალია ბებიამ მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა.

თითქმის ყოველ კვირა დღეს დავდიოდით სასაფლაოზე.

ბებია ყოველ მისვლაზე ხელახლა ჰგვიდა იქაურობას, ყვავილებს რწყავდა, ხმელ ფოთლებს სათითაოდ აცილებდა, სასაფლაოს ოთხივე კუთხეში დეკორატიული ბზის ბუჩქები დარგო, ყველა საფლავთან იასამნები და ოლეანდრები ჩაამწკრივა. სხვადასხვა ფერის ვარდებს ხომ თვლა არ ჰქონდა.

ასე უვლიდა და ალამაზებდა იქაურობას, ეტყობოდა სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა და უნდოდა მისი მუდმივი ადგილსამყოფელი თვალგასახარად მოვლილი და გამშვენიერებული ეხილათ მის ბოლო გზაზე გამცილებელ მტერმოყვარესა და შინაურებს.

ბებიას დასაფლავების თადარიგს რომ შეუდგნენ, პირველი კითხვა — პრობლემა იყო, სად დავასაფლავოთო?

მამაჩემმა თქვა: ძელქვიანაზე კიდევ ერთი საფლავის ადგილი აღარაა და დედაჩემი ავანგარდის, ან ქვიტირის სასაფლაოზე უნდა წავასვენოთო.

ოჯახის უფროსმა რძალმა თავისი ბრძნული აზრი გამოთქვა, ავანგარდის სასაფლაო ჯობია, ნატალია წარმოშობით ბაკისუბნელია და ავანგარდი იქვეაო.

უმცროსმა რძალმა კვერი დაუკრა ამ სენტიმენტალურ და გულისამაჩუყებელ წინადადებას.

მე ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე: ქვიტირი და ავანგარდი წყალს წაუღია და ბაკისუბანი მეწყერს, ბებიაჩემი ძელქვიანაზე, მის ახლობელ ადამიანებთან უნდა დასაფლავდეს-მეთქი.

მამაჩემი თავისას არ იშლიდა და მიზეზად კვლავ ის მოიშველია, რომ ძელქვიენაზე იმდენი სულიერია დამარხული, დედაჩემისთვის ერთ მტკაველ მიწასაც ვერ გამოვძებნითო.

ბოლოს, როცა შევატყვე, ვმარცხდებოდი, ბებიას მიერ ანდერძივით ნათქვამი თხოვნა გავამხილე:

— არც ერთმა არ იცით, რა დაიბარა ნატალია ბებიამ.

— რაო, ანდერძი ხომ არ დაგიტოვა? — ირონიულად მკითხა ოჯახის უფროსმა რძალმა — ჩემმა დედინაცვალმა.

— ბებიამ დამიბარა, როცა მოვკვდები, ჩემს საწყალ ქალიშვილსა და დედაშენს შორის დამმარხეთო.

გაოცებისგან ყველამ თვალები დაჭყიტა.

— სად დაგიბარა და როდის? — მეკითხება დედინაცვალი.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, — უხეშად ვთქვი, — დამიბარა, მორჩა და გათავდა. ძაან თუ გაინტერესებთ, სასაფლაოს მესერი რომ შევღებე, მაშინ დამიბარა და იმარჩიელეთ, როდის იყო ეს.

— ერთი წლის წინ იქნებოდა, — თქვა მამაჩემმა.

— ნატალია ბებიას დანაბარები უნდა შესრულდეს, — ჯიუტად ვთქვი ბოლოს.

მამაჩემი, ცოტა არ იყოს, ჩემმა ნათქვამმა გააგულისა და უხეშად დაუმატა:

— რა ანდერძი დაგიბარა, მაგი არ ვიცი მე. იგი დედა იყო ჩემი; ასე რომ, მთავარი ჭირისუფალი მე ვარ და სადაც მოვისურვებ, იქ დავასაფლავებ. ბოლოს და ბოლოს მიცვალებული. მიწას უნდა მიჰბარდის და მიწა ყველგან მიწაა, გინდ ქვიტირისა იყოს და გინდა ავანგარდისა.

ახლა მე გავწიწმატდი და მამაჩემს შევუტიე:

— შენი დედა იყო, მამაჩემო, მაგრამ იგი ჩემი ბებიაც იყო ხარ-დედაც —

ბოლოს, როგორც იქნა ჩემმა ჯიუტმა მოთხოვნამ თავისი გაიტანა — მამაჩემმა ხელები მაღლა ასწია და მორჩილად განაცხადა: იყოს ისე, როგორც დედაჩემმა დაიბარა, შენ კი, — მომიბრუნდა მე, — ზუსტად ბებიაშენს, გიორგაძის ქალს ჰგავხარ, მასავით კერპი და თავის ნათქვამის ჯიუტად გამტანი გამოდექი. ბებია და შვილიშვილი ხასიათით ასე რომ დამგვანებოდნენ ერთმანეთს, პირველად ვხედავ.

მესაფლავეებს მივაკითხეთ.

ახლა მესაფლავეები შეჯდნენ ჯორზე:

— ეს საქმე არ გამოვა, ჭირისუფლებო. ორ საფლავს შორის სამიოდე მტკაველი მიწაა დატოვებული და იქ ახალი სამარის გაჭრა როგორ შეიძლება.

მამაჩემმა ირონიულად გამომხედა, თითქოს მეუბნებოდა, მე ხომ ვთქვიო.

— ჩაეტევა! — ჯიუტად ვთქვი მე.

— ყმაწვილო, — მითხრა ერთ-ერთმა მესაფლავემ, (მგონი ჭუჭუტა იყო, ჩურჩუტა რომ უწოდა ბებიაჩემმა) — ვაი თუ ამდენი ხნის გარდაცვლილთა პატიოსანი ძვლები შევაწუხოთ?! ღვთის რისხვას სად გავექცეთ მერე.

— ბებიაჩემის კუბო ისე პატარაა „ოქროს თევზისა და მებადურის“ ზღაპარში რომ ვარცლია, ნოეს კიდობანივით გამოჩნდება მასთან, — გამოვამეღავნე მესაფლავეებთან პუშკინის ცოდნა.

მესაფლავეებმა მხრები აიჩეჩეს, იყოს ნება თქვენი, მარა ჯიუტო ჭაბუკო, მიცვალებულების ძვლებს ჩვენდაუნებურად ბარით თუ შევეხეთ, ჩვენი ცოდვა შენს კისერზე იყოსო, — თქვეს და საფლავის გაჭრას შეუდგნენ.

როცა ნატალია ბებიას ბაწრებამოდებული ნაფოტივით მჩატე კუბო მიწის ბნელ წიაღში ჩაუშვეს, ჯერ კიდევ ბელტებდაუყრელი სამარიდან ჩუმი გმინვა მომესმა და გული გამეყინა, ვაითუ ბებიის კუბოს წვეტიანი კუთხე დედაჩემის ან მამიდაჩემის ძვლებს შეეხო-მეთქი.

ღია საფლავიდან პირი ვიბრუნე, ჩემს მიერ შავად შეღებილ რკინის მესერს,

რომელზეც იდაყვები მქონდა დაყრდნობილი, შიშისგან ნირშეცვლილი მოვცილდი, ხალხში შერევა დავაპირე, რომ ახლა ყველაზე პატარა ძმის საცოდავი კვნესაც გავიგონე. ხალხს გავერიდე, ვიღაცის საფლავის საწნახელისხელა მოჩუქურთმებული ეკლარის ლოდზე ჩამოვჯექი.

ბინდდებოდა.

მძორით გალეშილი ყვავები არეულად ჩხაოდნენ ცაში და დასამუდრებლად მიფრინავდნენ.

სუსტი ქარი ქროდა.

აშოლტილი კვიპაროსები უზარმაზარი ფუნჯებივით ირწეოდნენ და ცას შავად ღებავდნენ.

— კი-იოტ! კი-იოტ! კი-იოტ!

დასაფლავებაზე მოსული ხალხი იშლებოდა, სასაფლაოს გასასვლელისკენ უკანმოუხედავად იჩქაროდნენ — იქ ქელეხზე წამყვანი, გომბეშოსავით გაბერილი ავტობუსი იდგა და მათ მოლოდინში ყვინთავდა.

ასაბიას ჩამორჩენილი ორი ხანშესული მექელეხის საუბარი:

— ოუჩქარე ფეხი, აფრასიონ, ოუჩქარე, თვარა ამასობაში ქე გეივსება ი ავტობუსი და იჩანჩალე მერე გუნდს ჩამორჩენილი ბატის ჭუკივით.

— თუ წავა, წევიდოს მერე, სადაც საქელეხო სუფრაა გაწყობილი, ხუთი ნომერი ავტობუსი იქვე ჩერდება, ვერ მივაგნებთ თუ რა?!

— მიგნებით, ქე მივაგნებთ, აბა, რა იქნება, მარა შევსებული რო დაგვხვდეს ადგილები, რა შობი მერე, ფეხდგომელამ მოვუქციოთ ღრანჭი ლობიოსა და ფლავს?!

— კარგი, კარგი, ნუ იცი ყველაფრის უსაშველოდ გადაქცევა. შენ ის მითხარი, თათეოზოვიჩ, ცხონებულ ნატალიას რამდენი ჭიქა აქვს დაბარებული?

— მაი არ ვიცი, ჩემო აფრასიონ, მარა სულგანათლებული ნატალია გიორგაძის ქალი იყო და თორმეტზე ნაკლებს არაფრისდიდებით არ დეიბარებდა.

— აგაშენა ღმერთმა! აქაც კი ქალი იყო, იქ ნათელი დაადგეს! ბასაც — ბესარიონ ლევარსამიჩი ისეთი ეკრამარიდანი კაცია, დედამისის ქელეხს ჩიტის რძეს არ დააკლებს, — თქვა აფრასიონმა და ფეხს აუჩქარა.

კვიპაროსების ფუნჯები ისევ ღებავენ ცას და ბუჩქებში სასაფლაოს რომელიღაც ჩიტი გულსაკლავად იძახოდა:

— კი-იოტ! კი-იოტ! კი-იოტ!

●

ანდერძივით ნათქვამი თხოვნა ნაწილობრივ შევუსრულე ნატალია ბებიას:

ჩემი დაჟინებით მის ქალიშვილსა და დედაჩემს შორის დავმარხეთ.

ცოტა შემაგვიანდა, მაგრამ მის თავსასთუმალთან დასადები ქვა უკვე გათლილია, წარწერაც ამოტვიფრულია მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების აღნიშვნით. წარწერის ქვევით ჯვარცმაა ამოკვეთილი.

მაგრამ სხვა რამ ვერ შევუსრულე ბებიას.

ძელქვიანზე დასაფლავებულ ახლობელ ადამიანებსაც გავუთალე ქვები, მაგრამ დედაჩემის დაბადების წელი ვერ დავაზუსტე. ჩემი უფროსი დისა და უმცროსი ძმების დაბადებისა და გარდაცვალების წლები კი არა, სახელებიც აღარ მახსოვს. მე ოთხი წლისა ვიყავი, უდედოდ რომ დავრჩი, და-ძმები კი უფრო ადრე დაკარგე.

ჰოდა ქვებზე უბრალო წარწერებს ვაკეთებ: „დედა“, „და“, „ძმა“, „ძმა“, „ძმა“, „მამიდა“.

ეჰ, ძვირფასო ნატალია ბებია!

როგორი საზრიანი და კარგი მახსოვრობის მქონე ქალი იყავი. ანდერძი წერილობით უნდა დაგეტოვებინა და შიგ მათი დაბადებისა და გარდაცვალების წლებიც ჩაგიწერა და სახელებიც. არც მამაჩემთან მექნებოდა დავა-კამათი და არც მათი სახელები დაიკარგებოდა.

დრო მოვა, აღარც მე ვიქნები ამქვეყნად.

სიკვდილის წინ ჩემს ბიჭებს დავუბარებ: ნატალია ბებიასა და დედაჩემს შორის დამასაფლავონ; არც ჩემი კუბო იქნება ნოესკიდობანისხელა, ორი მტკაველი მიწა უეჭველად გამოიძებნება მათ შორის. მესაფლავეები წინასწარ გააფრთხილონ, ჩემი სამარის გაჭრისას ბლაგვი ბარებით არ შემიწუხონ მათი წმინდა ძვლები, თორემ რკინის შეხებისთანავე დაიშლებიან.

ერთ დღეს ვინმე ღვთისმადლიანი გამვლელი ჩემს საფლავთან შეჩერდება და ქვაზე წაიკითხავს:

აქ განისვენებს მონა ღვთისა პოეტი ზურაბ ბესარიონის ძე კუხიანიძე. დაიბადა 1930 წ., გარდაიცვალა ამა და ამ წელს".

ქვაზე ჩემი ერთი პატარა ლექსიც იქნება ამოკაწრული:

„მადლობელი ვარ,
საქართველოვ, მადლობელი ვარ,
დღემდე რომ შენი
მშვენებისთვის მაყურებინე".

წაიკითხავს, მარჯვნივ და მარცხნივ მიმობნეულ საფლავებს თვალს გადაავლებს და იოლად მიხვდება, რომ აქ, ჩემს გარდა, წვანან ჩემთვის ძვირფასი ადამიანები: დედა, ბებია ,უფროსი და, ძმა, ძმა, ძმა, მამიდა.

გამვლელი, ალბათ, ქუდსაც მოიხდის და თუ გულისხმიერი და მახვილი სმენის მქონე იქნა, ჩემი პატარა ძმის კვნესაც შემოესმება და ახლო ბუჩქებიდან სასაფლაოს ჩიტის გულსაკლავ ძახილსაც გაიგონებს:

— კი—იოტ! კი-იოტ! კი-იოტ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომარ შამათავა

მისთვის თვალის შევლებისათვის

არის ნიღბები —
ფერად შავიც,
მწვანეც და თეთრიც...
შავით შავ ჭანგებს მალავს სვავი, —
მომტანი კეთრის.
მაგრამ ნიღბებით ნამქერების
მწვანით და თეთრით
მოვალს აპრილი — ნაფერები
ბუნება-ღმერთის.

მივესალმები კეთილ ნიღბებს:
ჩურჩულს ჩინართა,
მწვანე კლავირზე გადაწერილ
შრიალს მუხათა.
შენდობა ყველას,
ვინც მათ ჩრდილში გაუჩინარდა,
ფერებს ამაგი
ბოფერებით გადაუხადა.

ღიმილის ნიღბით
აპრილი რომ შემოჰყავთ იებს,
მე სამოთხესთან ტყისპირების
ვხედავ მსგავსებას,
ფერთა საცქერლად
(ბავშვურ რწმენას ვერ შეველიე)
ყველა პოეტი,
ამ დროს წუთით,
მკვდრეთით აღდგება.

ტყეთა კალთებში
მოშიებულ შველებისათვის,
როცა სუფრას შლის,
მწვანე სუფრას, ბუნება-ღმერთი, —
ყველა პოეტი მისთვის თვალის
შევლებისათვის,
ერთ დღის ყვავილად,
თუნდაც ერთ დღის,
აღდგება მკვდრეთით.

მოსულთ წიმაროდ, —
იასამნის ფერი ნიღბებით,
ვხვდები აპრილში
პოეტების სულებს უნაზესს,
გამომაქვს გარეთ
მტვერწაყრილი მათი წიგნები
და მოცახცახე ფოთლებს შორის
ვაწყობ უნაბზე.

პოეტს, დიდი პოეტის შვილს

ფიგი სულაკაურს

ფერთა ფათქუნი,
ფურისულას რომ არ აბერებს,
ხალიჩად აფენს
თბილ საფლავზე ფოთლებს ნაფერებს,
დაეცრემლება მიწას ნამის მარგალიტები,
მიწა მაღლდება
შვილის ხელით დარგულ ტიტებით,
ვიცი, — საფლავში მამა-პოეტს
რა ემართება,
როცა ატმის ხეს
ფრთები წითლად აეკვართება, —
(ეს საიდუმლო გამიმხილა მთვარის
ნათებამ), —
არჩილის სული
ანთებულა თაფლის სანთლებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის შეიფარეს
  უკვდავების არსის ძიებმა, —
დაუვიწყარის
  დავიწყება არ შეიძლება!
წუთისოფელშიც
  წარღვნა მანამ არ დაიწყება,
სანამდი ლექსებს
  კიდევ მოაქვს თავდავიწყება,
მოყვასისათვის სანამ სითბოს
  გული იმეტებს,
სანამ შვილები ამართლებენ
  მამის იმედებს.

გიყურებ შენ და არჩილს ვხედავ,
  მიღიმის თითქოს.
ორი პოეტის
  დაგებედა ატარო სითბო...

ფერთა ფათქუნი,
  ფურისულას რომ არ აბერებს,
ფოთლებს მოაბნევს
  მამის მკერდზე
    შვილის ნაფერებს.

„რაზიკაანთ დევი“

საგზალი დააქვს გუდა-ჩანთითა,
ტომრით — რჩეული ქერი სათესლე,
წალმართად ხმარობს ცელს და სამთითას,
უწალმართესად კალამს ალექსებს,

ოჯახს გუთნით და იმ მადლით არჩენს,
ჩარგლის მიწას რომ ოფლად აპკურებს,
კვარ-ფიჩხის შუქზე პოემებს არჩევს,
ავსებს ხურჯინს და თბილისს აპურებს.

ეშმაკსაც არ ეწყინება

ძნა როცა იწვის,
  სულელივით იცინის ულო,
როცა სეტყვაა,
  ლოდს ეცინება.

მევენახე რომ მკერდს აფარებს
  რქებს სამამულოს, —
ალბათ,
  ეშმაკსაც არ ეწყინება.

გვირილა — ბედის მერამლე

ტეხურის პირას წვიმა რომ
შემოდის ხარის ბლავილით,
კბოდეზე მორცხვი, წიმარო, —
ტუჩებს იგრილებს ყვავილი.

არც როლში შესვლით მოუბრის,
არც მოთნეობით მონათა,
მუხლებს გვირილას მოვუყრი
და ჩემს მერამლედ მოვნათლავ.

ცისკარი ლურჯი ფუნჯებით
როს ხატავს რიყეს კაჟების,
ტეხურის პირას ვმუნჯდები
ფრესკებთან გარიჟრაჟების.

აგვისტო როცა საამოდ
ტეხურის ჩქერში ჩალღვება,
ნისლებს მოახვევს საღამო
ჭყონდიდებს ჩაბალახებად;

თუ მთვარის შუქზე შიშველი
უკან ფშანია, წინ — წყარო,
უწინდებურად მიშველის
ლექსში ყვავილი წიმარო.

რადგან გვირილა მეგულვის
ბედის მეგზურად — მერამლედ,
ტეხურო, როგორ გაგიმხელ,
რომ სიჭაბუკე მეც განვლე.

* * *

ვალი თუ მიწის მემართა,
ახლა ცის ვალიც მმართებს.
ცის ლაჟვარდების გემბანთან
ფრთებს გაშლის ორბის მართვე.

მიწის რომ არა მემართოს,
გულს დავუტოვებ ვალში.
ცაო, სულს გიძღვნი, შენ მარტო,
სულს — სტრიქონებში ჩაშლილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდავიწყების სამი სამანი

I

— არ გახსოვს თავი?!
— მაღლდება გრძნობა,
ვარსკვლავთა რთველი ახლა იწყება!..
აქარვებს ტკივილს და ტვინის ღრძობას
წყაროსთან მკლავის დაკაპიწება,
რომანტიკაა ბილიკი ეკლით,
წამწამთა წყება მწვანე წიწვებად,
ასკილიანი აღმართი ეკის,
სიყრმის სამანთან თავდავიწყება.

II

ვეჩვევი შენი დაკარგვის შიშსაც,
როგორც მსხლის ტოტი ფითრის
ხვიარას,
— გონზე მოვედი?!
— ეს იმას ნიშნავს, —
თავდავიწყებამ გადაიარა,
ასცდა ისარი ოცნების ნიშანს
და შეხორცებას იწყებს იარა.
თუ გამოვფხიზლდი,
(მაშოროს ღმერთმა),
დეზერტირივით დავყრი იარაღს.

III

სად წვება ჩრდილი ცის დამამშვენთა,
ვარსკვლავთა რთველი იწყება ოდეს?!
ღამდება ჩემთან,
თენდება შენთან?!
შორს დარჩა ჩვენი ტეხურის კბოდე?!
გემშვიდობები:
მშვიდობა შენდა,
რას იზამ,
აღმართს დაღმართი მოსდევს.

* * *

შენს სენაკში დავიწყების
გზიდან შემოვიარე,
იქნებ, ლექსის სალბუნებით
ვუმკურნალოთ იარებს,
გულობლობის მწარე ცრემლი
ყურძნის ცრემლმა მოგვბანოს...
ბოგანოსთვის უკეთესი
რა უნდა ქნას ბოგანომ?!

* * *

წინ — წყალი,
უკან — მეწყერი...
მაგ წყალზე ერთი ხიდი ხარ,
დილით თუ ცვარი ცინცხალი,
საღამოს თბილი ბინდი ხარ...
დაგვჩაგრა ბედმა ვერაგმა,
უთოფოდ დაგვაფინთიხა...
დავეყუდები ბერადა,
შენ თუ მონაზვნად მიდიხარ.

მან მომანატრა

სულის მუსიკა
უფლის სიბრძნეა, —
რომ გვევლინება ზეშთაგონებად, —
როგორც ბინულში სწორედ ის მზეა,
გულის სისწორით რომ იწონება...
მან მომანატრა, —
დედის საფლავზე
ნანა მიმღერონ მწვანე წნორებმა.

ჩემდა ფერად

იაია ისევ ჰყვავის, —
ნატვრის მარტმა იამინდა...
არ დავეძებ უცხო ყვავილს,
ჩემდა ფერად ია მინდა.
მხოლოდ იას ვებრალები,
სითბოს მაძლევს ია რამდენს!
იისფერი ეს თვალები
წვდება გულის იარამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი გოგოლაური

ირაკლი გოგოლაურს 70 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

* * *

მე შენი ტრფობა,
უტკბილესი, უკანასკნელი,
ჭინკა ბიჭივით
ისე ჩუმად წამომეპარა, —
გონს რომ მოვეგე,
შეკოჭილი ვიყავ ერთიან
და სულ სხვა ფერი მისცემოდა
მინდვრის ბალახებს.
მზეც სულ სხვა იყო,
ისეთი სხვა, ვერც წარმოიდგენ!
შენს სიცოცხლესაც
ფერი თუ აქვს ასე ლამაზი?!
რა გამაჩნია
სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი,
იგიც ალალ შენ,
ჩემო სუნთქვავ,
ჩემო პირიმზევ!

* * *

თუკი ჭაღარა სიბრძნის ფიფქია,
გული — ფიქრის და დარდის სახლკარი,
მაშინ რამდენიც კაი ფიქრია,
არის კი ყველა მზეზე გამთბარი?
ეჰ, ვის მიიყვან წლების ხმაურთან,
ძველი ჰგონიათ შვილებს ზღაპარი...
დღეს ხატის კარსაც სხვა ლოცვა უნდა,
მამულს შვილობაც უნდა სხვაგვარი!
თუ გრძნობა ლექსში ვერ ჩამეტია
და შორად დამრჩა ცაიც მეშვიდე,
რადგან ჩემი და შენი ერთია, —
რაიც ვერ შევძელ,
იგი შემინდე!
შენი მდინარის ერთი წვეთი ვარ,
შენი წისქვილის ერთი მემინდე!

* * *

რას უძლებს მკერდი მიწისა,
ან ცა — მზის შუქის თოვითა!
როგორ არ დაბრმა მთა-ველი
ფერების ფერთა კრთომითა,
ან რად-არ ძღება საწუთრო
ამდენი რჩომა-კვდომითა?!..
სადამდე უნდა გაგრძელდეს,
გულზე მაწვება ბინდივით, —
ცოცხალს არ ვინდობთ კაი ყმას,
მოკვდება, უკან მივტირით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეს დღეც მოცავკალ...
თუ ამან მომკლა!
ორთაბრძოლაში გავიდა ჟამი,
ფეხის ხმაზე ვცნობ
ჩემი ცის ყამარს,
ისევ და ისევ სიჩუმე მტკნარი,
სიცარიელე ხრავს გულის ჯაფლებს
მოსასვლელ ბილიკს ვჭამ ორივ თვალით,
არსად ჭაჭანი!
შორი ჭალიდან
სამძიმარს მითვლის არაგვის წყალი!

* * *

ველარ გავლეწე ეს კალო,
ძნა მრჩება მოუჩალები,
შოლტი ამაოდ ტკაცუნობს,
იცოხნებიან ხარები...
მიცქერი ნიშნის მოგებით,
განა კი მომეხმარები!
ჩალას მიჰყვება მარცვალი,
ცრემლში მიგორავს თვალები...
რად ეგრე, ჩემო სისკარო,
შენს ღიმილს ვენაცვალები!

დედის მონატრება

თეთრ ღამეებში ლანდივით დავალ
და ფიქრებს მივდევ, ვით მწყემსი ნახირს,
ცა მოჰგავს ახლა მრისხანე დავარს
და თვალებს გულზე ცეცხლივით მახლის...
თითქოს ხსნის ვიღაც დაგმანულ კარავს,
და დედის ხმაზე დამიწყებს ძახილს:
„ბალღო, რა იქენ?“ „ბალღო, სადა ხარ?“
მერე ელქეშად კერაზე დადის...
თვალი მოივლებს ცრემლის სადაღავს
და ღრუბელივით წამოვა დარდი...
მერე უეცრად ეშვება თქეში...
ვეძახი, ვეძებ... ვცოდვილობ ასე...
ნიშნის მოგებით ცივ ღიმილს მესვრის
მთვარე ქალწულებრ მზირალი ცაზე...
მომაფრინდება სულთა პეპელა,
აღარ მეშვება, სულ ირგვლივ მივლის,
უშვილოდ დედას არ გაეძლება,
მაგრამ უდედოდ როგორ სძლებს შვილი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეიმზ ჯოისი

ულისე

მე-15 ეპიზოდი

კირკე

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

(ზარბაზნის ბათქი. მაკინტოშიანი კაცი ქრება. ბლუმი თავისი კვერთხით გვირგვინებს აცლის ყაყაჩოებს. მოდის ცნობები ბევრი მძლე მტრის, მესაქონლის, პარლამენტის წევრის, მუდმივმოქმედი კომიტეტის წარმომადგენლის უეცარი სიკვდილის შესახებ. ბლუმის პირადი მცველები დიდი ხუთშაბათის მოწყალებას არიგებენ, სამახსოვრო მედლებს, პურის კვერებსა და თევზეულს, არამსმელთა საზოგადოების სამკერდე ნიშნებს, ჰენრი კლეის ძვირფას სიგარებს, საქონლის უფასო საწვენე ძვლებს, პაკეტებში შეფუთულ და ოქროს ძაფით შეკრულ პრეზერვატივებს, ნაღების წეულას, ანანასის ყინულკარამელებს, სამკუთხად მოკეცილ სატრფიალო ბარათებს, მზა ტანსაცმელს, ხორცის ღვეზელებს, ჯეისის სადიზინფექციო სითხეს ბოთლებში, სავაჭრო კუპონებს, ორმოცდღიან ინდულგენციებს, ყალბ მონეტებს, გოჭის ძეხვებს, თეატრის საშვებს, ყველა მიმართულების ტრამვაის სეზონურ ბილეთებს, სამეფო და პრივილეგირებული უნგრული ლატარეის კუპონებს, უფასო სადილის ტალონებს, „მსოფლიოს თორმეტი ყველაზე უხეირო წიგნის“ იაფფასიან გამოცემებს: „ბაყაყისჭამია და ფრიცი“ (პოლიტიკური), „ჩვილი ბავშვის მოვლა“ (ინფანტიკური), „50 კერძი შვიდნახევარ შილინგად“ (კულინარული), „იყო თუ არა იესო მზის მითი?“ (ისტორიული), მოიშორე ეგ სატკივარი“ (სამედიცინო), „ყველაფერი სამყაროს შესახებ“ (კოსმიური), „მოდით ერთად ვიფრუტუნოთ“ (სალაღობო), „სარეკლამო აგენტის მეგზური“ (ჟურნალიკური), „ბებიაქალის სატრფიალო წერილები“ (ეროტიკული), „ვინ არის ვინ კოსმოსში“ (ასტრიკული), „გულშიჩამწვდომი სიმღერები“ (მელოდიკური), „წუწურაქის გზა სიმდიდრისაკენ“ (სამომჭირნეო). რია-რია და ჩოჩქოლი. ქალები წინ მიძვრებიან, ბლუმის სამოსის კალთას რომ შეეხონ.[1] ლედი გუენდოლენ დიუბედა ბრბოს აპობს, ბლუმის ბედაურს შეახტება და, აღტაცებული მაყურებლის ტაშის გრიალში, ორთავე ლოყაზე კოცნის მხედარს. მაგნიუმის გაელვებაზე გადაღებული ფოტო. ატატებული ჩვილნი და მეძუძურენი.[2]

ქალები მამილო! მამილო!

ჩვილნი და **მეძუძურნი**

შემოჰკარით ტაში, სანამ პოლდი მოვა,
და მოუტანს ლეოს კამფეტების
გროვას.

---

[1] გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7-8.

(ბლუმი დაიხრება და პაწია ბორდმანს მუცელზე მოუთათუნებს ხელს.)

ᲞᲐᲬᲘᲐ ᲑᲝᲠᲓᲛᲐᲜᲘ (ასლოკინებს, პირიდან შედედებული რძე გადმოსდის): ჰაჯაჯაჯა.

ᲑᲚᲣᲛᲘ (ხელს ართმევს უსინათლო ყმაწვილს): ჩემო ძმაზე უმეტესო! (მოხუც ცოლ-ქმარს მოეხვევა.) ძვირფასო ძველო მეგობრებო! („ფისო კუთხეში"-ს ეთამაშება დაძონძილ ბიჭებსა და გოგოებს.) ჭიტა! ჭიტა! (მიაგორებს ტყუპებს საბავშვო ეტლით!) პაჩი-პუჩი პაჩები, გავისწოროთ ბაჩები. (ჟონგლიორის ხელოვნებას აჩვენებს, პირიდან იძრობს წითელ, ნარინჯისფერ, ყვითელ, მწვანე, ცისფერ, ლურჯ და იისფერ აბრეშუმის ხელსახოცებს.) სპექტრი 32 ფუტი წამში. (ქვრივს ანუგეშებს.) განშორება გულს აახალგაზრდავებს. (გროტესკული ილეთებით ასრულებს შოტლანდიურ ცეკვას.) დაუარეთ, თქვე ეშმაკის ჯერძებო! (დამბლადაცემული ვეტერანის ნაწოლებს კოცნის.) საპატიო ჭრილობები. (ფეხს უდებს მსუქან პოლიციელს.) ჭ.ჭ. ჭოჭი. ჭ.ჭ. ჭოჭი. (ყურში უჩურჩულებს დარცხვენილ ოფიციანტ გოგოს და გულთბილად იცინის.) შე ცუღლუტო შენა! (ჭამს უმ თალგანს, რომელსაც ფერმერი მორის ბატერლი სთავაზობს.) იფ-იფ! შესანიშნავია. (უარს ამბობს სამ შილინგზე, რომელსაც ჟურნალისტი ჯოუზეფ ჰაინზი სთავაზობს.) არა, გეთაყვა, არაფრის დიდებით! (პალტოს იხდის და მათხოვარს აძლევს.) ინებეთ. (ბებრუხანა ხეიბარ კაცებთან და ქალებთან ერთად მუცლით ხოხვის შეჯიბრში მონაწილეობს.) მიდით, ბიჭებო! აბა, ჰა, გამოცოცხლდით, გოგოებო!

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ (გრძნობამორეული, ზურმუხტოვანი შარფით ცრემლს მოიწმენდს): ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

(ვერძის ბუკს ჩაჰბერავენ სიჩუმის დასამყარებლად. აღმართავენ სიონის დროშას.)

ᲑᲚᲣᲛᲘ (შთამბეჭდავად მოიხდის მოსასხამს, ჩასუქებულ სხეულს გამოაჩენს, ქაღალდს გაშლის და საზეიმო ხმით კითხულობს): ალეფ ბეთ გიმელ დალეთ ჰაგადა ტეფილიმ კოშერ იომ კიპურ ხანუქა როშჰაშა ბენი ბრაკ [illegible] მაცოთ აშკენაზიმ მეშუგა [illegible].

(ოფიციალურ თარგმანს ქალაქის მერიის მდივნის თანაშემწე კითხულობს.)

ᲯᲘᲛᲘ ᲰᲔᲜᲠᲘ სინდისის სასამართლოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ. მისი უქრისტიანესი დიდებულება ახლა საჯაროდ გამოიტანს განაჩენს. უფასო სამედიცინო და იურიდიული რჩევები, რებუსებისა და სხვა თავსატეხ ამოცანების ამოხსნა. გულით გიწვევთ ყველას. აქა ესე ქალაქსა მასში დუბლინსა სამოთხელიტის ხანის წელსა პირველსა.

ᲞᲔᲓᲘ ᲚᲘᲝᲜᲐᲠᲓᲘ რა უნდა ვუყო გადასახადებსა და ბაჟს?

ᲑᲚᲣᲛᲘ უნდა გადაიხადო, ჩემო მეგობარო.

ᲞᲔᲓᲘ ᲚᲘᲝᲜᲐᲠᲓᲘ გმადლობთ.

ᲪᲮᲕᲘᲠᲐ ᲤᲚᲘᲜᲘ შემიძლია ჩემი ხანძრისგან დაზღვევის პოლისი დავაგირავო?

ᲑᲚᲣᲛᲘ (პედანტურად): ბატონებო, უნდა შეგახსენოთ, რომ სამოქალაქო სამართლის თანახმად, ექვსი თვის მანძილზე ხუთი გირვანქა სტერლინგით ხართ შეზღუდული საკუთარი ვალდებულებებით.

Ჯ.Ჯ. Ო'ᲛᲝᲚᲝᲘ დანიელია მეთქი, ვთქვი? არა! პიტერ ო'ბრაიენია.[4]

ᲪᲮᲕᲘᲠᲐ ᲤᲚᲘᲜᲘ სად უნდა ვიშოვო ხუთი გირვანქა?

ᲥᲕᲔᲨᲐᲤᲡᲘᲐ ᲑᲔᲠᲙᲘ და თუ შარდის ბუშტი არ გივარგა კაცს?

ᲑᲚᲣᲛᲘ: Acid. nt. hydrochlor. dil., 20 წვეთი,
Tinc. mix. vom., 5 წვეთი,
Extr. taraxel. liq., 30 წვეთი,
Aq. dis., 3-ჯერ დღეში.[5]

ᲙᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲜᲐᲜᲘ რას უდრის ალდებარანის სუბსოლარული ეკლიპტიკის პარალაქსი?

ᲑᲚᲣᲛᲘ მიხარია თქვენი ხმის გაგონება, კრის. K. II.

ᲯᲝᲣ ᲰᲐᲘᲜᲖᲘ ფორმა რატომ არ გაცვიათ?

ᲑᲚᲣᲛᲘ როცა ჩემი ნეტარხსენებული წინაპარი ნოტიო დილეგში ავსტრიელი დესპოტის ფორმას ატარებდა, სად ბრძანდებოდა თქვენი წინაპარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ დოლარდი სამფერა ია?

ბლუმი ამშვენებენ (ალამაზებენ) გარეუბნის პარკებს.

ბენ დოლარდი როდის იბადებიან ტყუპები?

ბლუმი მამა (პატერი, მამიკო) დაეჭვებას უნდა იწყებდეს.

ლერი ო'რურკი რვადღიანი პატენტი რომ მომეცით ჩემი ახალი საბაყლოსათვის. ხომ გახსოვთ, სერ ლეო, შვიდ ნომერში როცა ცხოვრობდით? თქვენს მადამას დიუჟინ პორტერს ვუგზავნიდი.

ბლუმი (ცივად): თქვენ ბოროტად სარგებლობთ ჩემი თქვენდამი კეთილი განწყობით. ლედი ბლუმი საჩუქრებს არ იღებს.

გრიფტონი ამას ქვია დღესასწაული.

ბლუმი (საზეიმო კილოთი): თქვენ ამას დღესასწაულს ეძახით. მე კი ღვთისმსახურებას ვუწოდებ.

ელიგზანდერ კლიტი როდისღა გვექნება ჩვენი საკუთარი კლიტის პალატა?

ბლუმი მე ქალაქურ ზნე-ჩვეულებათა რეფორმისა და ათი მცნების წმინდად დაცვის მომხრე ვარ. სამყაროს ახლებური ხედვა შეცვლის ძველს. გაერთიანება ყველასი, ებრაელთა, მაჰმადიანთა და წარმართთა. სამი აკრი მიწა და ძროხა ბუნების ყველა შვილს. მოტორიზებული კომფორტაბელური კატაფალკები. სავალდებულო ფიზიკური შრომა ყველასათვის. ყველა პარკი დღე და ღამ ღია უნდა იყოს ყველა მსურველთათვის. ჭურჭლის ელექტროსარეცხები. ჭლექი, გონებრივი სიჩლუნგე, ომი და სიღატაკე უნდა აიკრძალოს. საყოველთაო ამნისტია, ყოველკვირეული კარნავალი ნიღბების სრული თავისუფლებით, ფულადი ჯილდო ყველასათვის, საერთაშორისო ძმობა და ესპერანტო. წყალმანკიანი ლოთიბაშებისა და გაიძვერების პატრიოტიზმს მოუკვდა პატრონი. თავისუფალი ფინანსები, თავისუფალი სიყვარული და თავისუფალი სამოქალაქო ეკლესია თავისუფალ სამოქალაქო სახელმწიფოში.

ო'ბედენ ბერკი თავისუფალი მელა თავისუფალ საქათმეში.

დეივი ბირნი (მოქნარებით): یییییی

ᲚᲔᲜᲔᲰᲐᲜᲘ პლაგიატორო! ძირს ბლუმი!

ᲠᲘᲓᲔᲨᲔᲑᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲑᲘᲚᲐ (ენთუზიაზმით): მე ბლუმისტი ვარ და ვამაყობ ამით. მე მჯერა მისი, მიუხედავად ყველაფრისა. მისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ. მაგისთანა მხიარული მასხარა არც კი მეგულება დედამიწის ზურგზე.

ᲑᲚᲣᲛᲘ (თვალს ჩაუკრავს გარშემო მყოფთ): ნიძლავს ჩამოვალ, ლამაზმანია.

ᲗᲘᲝᲓᲝᲠ ᲞᲘᲣᲠᲤᲝᲘ (მეთევზის კოსტუმი და ულტობი ქურთუკი აცვია): ეგ მექანიკურ საშუალებებს მიმართავს, რათა ბუნების წმინდათა-წმინდა მიზნებმა კრახი განიცადონ.

ᲠᲘᲓᲔᲨᲔᲑᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲑᲘᲚᲐ (ხანჯლით გაიგმირავს გულს): ჩემო გმირო ღვთაებავ! (კვდება.)

(ბევრი მომხიბლავი და მგზნებარე მანდილოსანიც იკლავს თავს, გულს იგმირავს, წყალში ვარდება, სვამს ციანიდმჟავას, ტილჭირს, დარიშხანს, ვენებს იჭრის, უარს ამბობს საჭმლის მიღებაზე, ქვეშ უვარდება ორთქმავალს, ნელსონის სვეტიდან ხტება გინესის ლუდსახარშის მთავარ კოდში, თავს ყოფს გაზის ქურაში, თავს იხრჩობს მოდური წვივსაკრავით, ხტება სხვადასხვა სართულის ფანჯრიდან.)

ᲔᲚᲘᲖᲐᲜᲓᲔᲠ Ჯ. ᲓᲝᲣᲘ (გაშმაგებით): თანაზიარნო ქრისტეში და ანტიბლუმიანელობაში, კაცი, რომელსაც ბლუმი ჰქვია, ჭეშმარიტად ბნელეთის მოციქულია, ქრისტეს მოდგმის შემბღალავი. პატარაობიდანვე ეშმაკეული სიმრუშით გამოირჩეოდა, ამ დამპალმა მენდესის თხამ[6] იმთავითვე ინფანტილური ავხორცობა გამოამჟღავნა, რაიც სოდომის ველის ქალაქებს გვაგონებს, ერთ კახპა დედაბერთან. ეს სულმდაბალი ფარისეველი, უსინდისობაში გამობრძმედილი, აპოკალიფსისში მოხსენიებული თეთრი ხარია. ძოწეულით შემოსილი ქალის თაყვანისმცემელია და მზაკვრობა სუნთქვად აღმოსდის ნესტოებიდან.[7] კოცონის და მდუღარე ზეთის ქვაბქოთანას ღირსია. კალიბანი!

ᲑᲠᲑᲘ ლინჩი მაგას! ცოცხლად შებრაწეთ! პარნელზე უარესია [illegible]!

(დედა გროგანი ფეხზაცმელ [illegible] ბლუმს. ზემო და ქვემო დორსეტ სტრიტის რამდენიმე მედუქნე ნაკლებად ვარგის ან სულაც უვარგის რამეებს ისვრის— ღორის ბარკლის ძვლებს, კონდესირებული რძის თუნუქელებს, დამპალ კომბოსტოს, დაობებულ პურს, ცხვრის კუდებს, ქონის ნარჩენებს.)

ᲑᲚᲣᲛᲘ (მღელვარედ): ეს შუა ზაფხულის სიგიჟეა,[8] კვლავ რაღაც უგვანო ხუმრობა. გამჩენს ვფიცავ, მზედაუკრავი თოვლის ფიფქივით უცოდველი ვარ! ეს ჩემი ძმა ჰენრი იყო. ჩემი ორეული. დოლფინ ბარნის 2 ნომერში ცხოვრობს. ცილისწამება, გესლი, სულ ტყუილად დამდო ბრალი. ჩემო მემამულენო, sgenl inn ban bata coisde gan capall.[9] მე ვთხოვ ჩემს ძველ მეგობარს, დოქტორ მელაქაი მალიგანს, სექსოლოგს, რათა სამედიცინო დასკვნა გამოიტანოს ჩემს შესახებ.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠ ᲛᲐᲚᲘᲒᲐᲜᲘ (ავტომძღოლის ტყავის ქურთუკი აცვია, მწვანე დამცავი სათვალე შუბლზე აუწევია): დოქტორ ბლუმი ბისექსუალად ანომალურია. ის ამას წინათ გამოიქცა დოქტორ იუსტეისის კერძო კლინიკიდან სულით ავადმყოფი მამაკაცებისათვის. დაბადებულია უკანონოდ და აულაგმავი ვნებიანობით გამოწვეული შთამომავლობითი ეპოლეფსია უდასტურდება. სპილოს სნეულება დასტურდება წინა თაობებში. აღინიშნება ქრონიკული ექსჰიბიციონიზმის აშკარა სიმპტომები. აგრეთვე დასტურდება ლატენტური ორპირხელიანობა. უდროოდ არის გამელოტებული. მასტურბაციის გამო, რამაც საბოლოოდ წარყვნილ იდეალისტად გახადა, მრუშად მოაქცია და ლითონის კბილებით გაუტენა პირი. ოჯახურ გარემოებათა გამო მან დროებით დაკარგა მეხსიერება და, ჩემის ღრმა რწმენით, მიაჩნია, რომ სხვები უფრო ცოდავენ მის წინაშე ვიდრე თავად სხვების მიმართ. მე ჩავუტარე შიდავაგინალური გამოკვლევა და ტესტირება ანალურ, იღლიის, მკერდისა და ბოქვენის თმის მჟავიანობაზე 5427,

რის საფუძველზეც ვადასტურებ, რომ ის არის virgo intacta.[10]

(ბლუმი თავის უმაღლესი ხარისხის ქუდს იფარებს სასქესო ორგანოებზე.)

დოქტორ მედენი აგრეთვე აღენიშნება გამოკვეთილი ჰიპსოსპადია..[11] მომავალი თაობების ინტერესებიდან გამოსული გთავაზობთ, რომ დაზიანებული ნაწილები დაისპირტოს და დაცულ იქნას ტერატოლოგიის ეროვნულ მუზეუმში.

დოქტორ პროტერზი მე გამოვიკვლიე პაციენტის შარდი. აღინიშნება ჭარბი ცილიანობა. ნერწყვის გამოყოფა არასაკმარისია. მუხლის რეფლექსი წყვეტილია.

დოქტორ პანჩ კოსტელო შეიგრძნობა მძაფრი fetor judaicus.[12]

დოქტორ დიქსონი (კითხულობს სამედიცინო დასკვნას): პროფესორი ბლუმი წარმოადგენს ახალი ტიპის, ქალური კაცის, დასრულებულ ნიმუშს. ბუნებით უბრალო და მიმზიდველია. ბევრს მიაჩნია, რომ ის სასიამოვნო კაცია, შესანიშნავი პიროვნება. საკმაოდ უცნაურიც, მორცხვი, თუმცა სამედიცინო თვალსაზრისით არაგონებასუსტი. მან შესანიშნავი წერილი მისწერა, ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოები, მოქცეულ მღვდელთა ხელისშემწყობი საზოგადოების იურისკონსულტს, რომელშიც ყველაფერზეა გაცემული პასუხი. ფაქტიურად სულ არ სვამს მაგარ სასმელებს და შემიძლია დავადასტურო, რომ ჩალის საგებზე სძინავს და მხოლოდ და მხოლოდ სპარტანული საკვებით, ცივი, ხმელი მუხუდოთი, იკვებება. ზამთარ-ზაფხულ ირლანდიური წარმოების ჯვალოს ხამოსს ატარებს და ყოველ შაბათს თვითგვემას ეწევა. რამდენადაც ვიცი, ერთხანს გლენკრის გამასწორებელ კოლონიაში იყო გამწესებული როგორც პირველი თანრიგის არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი. სხვა ცნობის მიხედვით, ის დაიბადა მამის გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ. მოგმართავთ თხოვნით, მოიღოთ მოწყალება იმ ყველაზე წმინდა სიტყვის მიმართ, რომელიც კი შეიძლება ჩვენს სამეტყველო ორგანოებს დასცდეს, ან ... ბავშვს ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საერთო აღელვება. ყველა თანაგრძნობას გამოხატავს. ქალებს გული მისდით. მდიდარი ამერიკელი ფულად შესაწირს აგროვებს ბლუმისათვის. სწრაფად გროვდება ოქროსა და ვერცხლის მონეტები, შეუვსებელი ჩეკები, ბანკნოტები, ძვირფასეულობა, ობლიგაციები, გასანაღდებელი ვექსილები, ვალის ხელწერილები, ნიშნობის ბეჭდები, საათის ძეწკვები, მედალიონები, ყელსაკიდები და სამაჯურები.)

ბლუმი ოო, როგორ მინდა გავხდე დედა.

ქ-ნი თორნტონი (მესასთუმლე-მომვლელის ტანსაცმელში): მაგრად მომეხვიე, გენაცვალე. სულ მალე მორჩები. მაგრად, გენაცვალე.

(ბლუმი მაგრად მოეხვევა და მამრობითი სქესის რვა ყვითელსა და თეთრ ბავშვს შობს. ისინი გამოჩნდებიან წითელ ხალიჩადაგებულ და ძვირადღირებული ყვავილებით მოფენილ კიბეზე. ყველა ტყუპისცალი ლამაზია, კეთილშობილი ლითონის სახელები აქვთ, მოხდენილნი, კოხტად ჩაცმულნი და ზრდილნი, თავისუფლად ფლობენ ხუთ თანამედროვე ენას და დიდად აინტერესებთ ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგი. თითოეულის სახელი მკვეთრი ასოებითაა დაბეჭდილი პერანგზე: ნაზოდორო, გოლდფინგერ, ქრიზოსტომოს, მენდორე, სილვერსმაილ, ზილბერზელბერ, ვიფარჟან, პანარგიროს.[13] მათ მაშინვე ნიშნავენ მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე სხვადასხვა ქვეყნებში: ბანკის დირექტორებად, რკინიგზის დისპეჩერებად, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების პრეზიდენტებად, სასტუმროების სინდიკატების ვიცე-პრეზიდენტებად.)

ხმა ბლუმ, შენ მესია ბენ იოსები ხარ თუ ბენ დავითი?

ბლუმი (იდუმალი ხმით): შენ ამბობ.[14]

ძმაი ჯიბგირა მაშ მოახდინე სასწაული.

ᲑᲔᲜᲢᲐᲛ ᲚᲐᲘᲝᲜᲖᲘ იწინასწარმეტყველე ვინ მოიგებს სენტ ლეჯერს.[15]

(ბლუმი დადის ბაგირზე, მარცხენა თვალზე მარცხენა ყურს აიფარებს, რამდენიმე კედელში გადის, ნელსონის სვეტზე აცოცდება და მის ზემოთა კალთიდან წამწამებით ჩამოეკიდება, თორმეტ ხამანწკას შეჭამს (ნიჟარიანად), რამდენიმე საყმაწვილოთი დაავადებულს არჩენს, სახის ნაკვთებს ისეთნაირად იცვლის, რომ მრავალ ისტორიულ პირს დაემსგავსოს, ლორდ ბიკონსფილდს, ლორდ ბაირონს, უოტ ტაილერს, ეგვიპტელ მოსეს, მოსე მაიმონიდის, მოსე მენდელსონს, ჰენრი ირვინგს, რიპ ვან ვინკლს, კოშუტს[16], ჟან ჟაკ რუსოს, ბარონ ლეოპოლდ როთშილდს, რობინზონ კრუზოს, შერლოკ ჰოლმზს, პასტერს, თითოეულ ფეხს ცალ-ცალკე ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით ატრიალებს, ზღვის მოქცევას აბრუნებს უკან, ნეკი თითის გაშვერით მზეს აბნელებს.)

ᲑᲠᲘᲜᲘ, ᲞᲐᲞᲘᲡ ᲜᲣᲜᲪᲘᲣᲡᲘ (პაპის ზუავის სამოსელში, ფოლადის სამკერდულით, სამკლაურით, საბარკულით, უზარმაზარი ულვაშებით და მუყაოს მიტრით): Leopoldi autem generatio.[17] მოსემ შვა ნოე და ნოემ შვა საჭურისი და საჭურისმა შვა ო'ჰალორანი და ო'ჰალორანმა შვა გუგენჰაიმი და გუგენჰაიმმა შვა აგენდათი და აგენდათმა შვა ნეტაიმი და ნეტაიმმა შვა ლე ჰირში და ლე ჰირშმა შვა იეშურუნი და იეშურუნმა შვა მაკკეი და მაკკეიმ შვა ოსტროლოფსკი და ოსტროლოფსკიმ შვა სმერდოზ და სმერდოზმა შვა ვაისი და ვაისმა შვა შვარცი და შვარცმა შვა ადრიანოპოლი და ადრიანოპოლმა შვა არანხუეცი და არანხუეცმა შვა ლუი ლოსონი და ლუი ლოსონმა შვა იქაბუდონოსორი და იქაბუდონოსორმა შვა ო'დონელ მაგნუსი და ო'დონელ მაგნუსმა შვა ქრისტბაუმი და ქრისტბაუმმა შვა ბენ მაიმონიდი და ბენ მაიმონიდმა შვა დასტი როუდზი და დასტი როუდზმა შვა ბენამორი და ბენამორმა შვა ჯოუნზ-სმითი და ჯოუნზ-სმითმა შვა სავორგნანოვიჩი და სავორგნანოვიჩმა შვა ბერილქვა და ბერილქვამ შვა ვენტეტიუნიემი და ვენტეტიუნიემმა შვა სომბატჰეი და სომბატჰეიმ შვა ვირაგი და ვირაგმა შვა ბლუმი: et vocabitur nomen eius Emmanuel.[18]

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲢᲔᲕᲐᲜᲘ (კედელზე წერს[19]): ბლუმი მატრაბაზია.

ᲢᲘᲚᲘ (ტყეში ყაჩაღად გავარდნილის აღჭურვილობით): რას აკეთებდი კილბერეკის უკან ბოსელში?

ᲩᲕᲘᲚᲘ ᲑᲝᲒᲝᲜᲐ (ჩხარუნას აჩხრიალებს): ან ბელიბოუს ხიდის ქვეშ?

ᲟᲧᲝᲠᲘ და ეშმაკის თავში?

ᲑᲚᲣᲛᲘ (კინკრიხოდან დუნდულებამდე წითლდება, მარცხენა თვალიდან სამი ცრემლი ჩამოუვარდება): დაინდეთ ჩემი წარსული.

ᲐᲠᲔᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲧᲠᲘᲚᲘ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘ (დონიბრუკელი ხელჯოხებით, ხიფთანებსა და ბრიჯებში): Sjambok[20] მაგას!

(ვირის ყურებგამობმული ბლუმი სამარცხვინო ბოძთან ჯდება, გულხელდაკრეფილი, ფეხებგაშვერილი. უსტვენს არიას „დონ ჟუანიდან". არტეინის თავშესაფრის ობლები, ხელიხელჩაბმულნი, გარშემო უვლიან. „ციხის ჭიშკრის მისიის" გოგოები, ხელიხელჩაბმულნი, საწინააღმდეგო მიმართულებით უვლიან გარშემო.)

ᲐᲠᲢᲔᲘᲜᲔᲚᲘ ᲝᲑᲚᲔᲑᲘ ძაღლი და ღორი შენ გერქვას უნდა!

ქალებს უყვარხარ გვონია მუდამ!

ᲪᲘᲮᲘᲡ ᲭᲘᲨᲙᲠᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘ

თუ შეგხვდა ᲧᲐᲠ-ი
უთხარი მზად არი,
ჩემი ᲛᲐᲜ-ი მუდამ,
რადგან უნდა მუდამ.

ᲰᲝᲠᲜᲑᲚᲝᲣᲔᲠᲘ (ეფოდსა და სანადირო ქუდში, საჯაროდ აცხადებს): და წარიღებს იგი ხალხის ცოდვას აზაზელთან, სულთან, რომელიც უდაბნოში სუფევს, და ლილითთან, ღამის მოჩვენებასთან. და ისინი ქვებს ესვრიან და წაბილწავენ მას, დიახ, ყველანი აგენდათ ნეტაიმიდან და მიცრაიმიდან, ქამის მიწიდან,

(ყველანი რბილ ბუტაფორულ ქვებს ესვრიან ბლუმს. ბევრი მოგზაური, რომელთაც უფლება აქვთ დღის ნებისმიერ დროს იყიდონ მაგარი სასმელი, და მაწანწალა ძაღლები მასთან მიდიან და ბილწავენ, გამოჩნდებიან მასტიანსკი და ციტრონი, მაუდის ხიფთანებში და გრძელი კიკინებით. წვერებს სახეში აჩრიან ბლუმს.)

მასტიანსკი და ციტრონი ბელიარ! ისტრიელო ლემლაინ! ცრუ მესია! აბულაფია![21]

(ჯორჯ რ. მიზიასი, ბლუმის თერძი, იღლიაში უთოამოჩრილი შემოდის და ანგარიშს წარუდგენს.)

მიზიასი შარვლის გადაკეთებაში, თერთმეტი შილინგი.

ბლუმი (გამოცოცხლდება და ხელებს იფშვნეტს): უწინდელივით. საბრალო ბლუმი!

დონ ემილ პატრიციო ფრანც რუპერტ პაპი ჰენესი (გამოჩნდება შუასაუკუნეების ჯაჭვის პერანგში, მუზარადზე ორი ფრთაგაშლილი გარეული ბატის გამოსახულებით, და არისტოკრატული აღშფოთებით უარს ამბობს ბლუმის ცნობაზე): დახარე თვალები თესლში ამოსვრილო დიდო გრანდღორო ურიავ!

(რუბენ ჯ.დოდი, შავწვერა ისკარიოტი, მწყემსი ბოროტი, თავისი დამხრჩვალი ვაჟის გვამით ზურგზე აკიდებული, სამარცხვინო ბოძთან მიდის.)

რუბენ ჯ. (ჩახლეჩილი ხმით ჩურჩულებს): ერთმა ნაძირალა ენატანიამ გაყიდა. ნასედკამ ძაღლებს ჩააბარა. დროზე მოუსვი აქედან.

სახანძრო რაზმი ძინ ძინ ძინ!

ძმაი ჯიბგირა (აცმევს ბლუმს ყვითელ სამოსს ზედ ამოქარგული ცეცხლის ენებით და თავზე წოწოლა ჩაჩს ახურავს. ყელზე დენთის ტოპრაკს კიდებს, სამოქალაქო ხელისუფალთ გადასცემს მას და თან დასძენს): მიუნდეთ ვალები მისი.

(ერთსულოვანი მოთხოვნით დუბლინის სახანძრო რაზმის ლეიტენანტი მაიერზი ცეცხლს წაუკიდებს ბლუმს. ატყდება ქვითინი.)

მოქალაქე გმადლობთ ციურნო ძალნო!

ბლუმი (ალმოდებულმა ფენიქსივით, ნაქსოვ კვართზე აწერია ი.მ.კ.[22]. გამართული დგას): ნუ სტირთ ჩემ ზედა, ო, ასულნო ერინისაო.

(დუბლინელ ჟურნალისტებს უჩვენებს თავის დამწვრობებს. ერინის ასულნი, შავად შემოსილნი, დიდრონი ლოცვანითა და ანთებული გრძელი სანთლებით ხელში, მუხლს იყრიან და ლოცულობენ.)

ერინის ასულნი:

ბლუმის თირკმელო, ილოცე ჩვენთვის
ყვავილო აბაზანისა, ილოცე ჩვენთვის
მენტონის მენტორო, ილოცე ჩვენთვის
„ფრიმენის“ სარეკლამო აგენტო, ილოცე ჩვენთვის
გულმოწყალო მასონო, ილოცე ჩვენთვის
მოხეტიალე საპონო, ილოცე ჩვენთვის
ცოდვის სიამენო, ილოცე ჩვენთვის
უსიტყვო მუსიკავ, ილოცე ჩვენთვის
მოქალაქის მომთვინიერებელო, ილოცე ჩვენთვის
ყოველნაირი საცვლის მეგობარო, ილოცე ჩვენთვის
ყოვლადმოწყალე ბებიაქალო, ილოცე ჩვენთვის
ჭირისა და ეპიდემიისგან დამცველო
კარტოფილო, ილოცე ჩვენთვის.[23]

(ექვსასი ხმისგან შემდგარი გუნდი, ბ-ნ ვინსენტ ო'ბრაიანის დირიჟორობით, ასრულებს ქორალს „ალილუია“ ჰენდელის „მესიიდან“, ორგანზე აკომპანიმენტს უწევს ჯოუზეფ გლინი. ბლუმი დამუნჯდება, მოიბუზება, დანახშირდება.)

ზოუი იყბედე სანამ არ გაშავდები.

ბლუმი (ძველი პაწაწინა ქუდი ახურავს, რომლის ბაფთაში თიხის მილაკია გარჭობილი, მტვრიანი ფეხსაცმელი აცვია, ხელში ემიგრანტის წითელი ფუთა უჭირავს, კალასავით შავი ღორი მოჰყავს და თან თვალები უცინის): ახლა კი წავედი დიასახლისო, ფორემ ყველა თხა დამეხოცოს კონემარში, გამჩენი თუ არ გამომიჩინონ. (თვალცრემლიანი)

ყველაფერი ეს სიგიჟეა. პატრიოტიზმი, გარდაცვლილთა გამო ურვა, მუსიკა, ერის მომავალი. ყოფნა, არ ყოფნა. ცხოვრების სიზმარი დასრულდა. მშვიდად გამოეთხოვე. მათ კი განაგრძონ ცხოვრება. (მწუხარედ გასცქერის შორეთს.) დავიღუპე. დარიშხანის რამდენიმე აბი. დაშვებული ფარდები. წერილი. მერე დაწექი და მოისვენე. (ნელა ამოიოხრებს.) კმარა. მე ვიცხოვრე. კარგად. კარგად მეყოლეთ.

ᲖᲝᲣᲘ (გულგრილად, თან თითით ხავერდის ლენტს ისწორებს კისერზე): შენ რა, სერიოზულად ამბობ? მაშ ნახვამდის (დაცინვით) რომ გაიღვიძე მარცხენა ფეხზე თუ ადექი ან შენ ნაშასთან ადრე თუ გაათავე. ოო, კარგად ვხედავ რაც გულში გიდევს!

ᲑᲚᲣᲛᲘ (მწარედ): კაცი და ქალი, სიყვარული, ბოლოს და ბოლოს რა არის? საცობი და ბოთლი.

ᲖᲝᲣᲘ (უცბად გაბრაზდება): მეზიზღებიან ორპირა მატრაბაზები. უკანასკნელ კახპასაც ადამიანურად უნდა მოექცე.

ᲑᲚᲣᲛᲘ (სინანულით): ცუდად გამომივიდა. თქვენ აუცილებელი ბოროტება ხართ. საიდან ხართ? ლონდონიდან?

ᲖᲝᲣᲘ (მკვირცხლად): ღორტონიდან, სადაც ღორები ორღანზე უკრავენ. წარმოშობით იორკშირელი ვარ. (ხელს დაუჭერს, ძუძუს თავს რომ ეტანება.) შენ ეი, წრუწუნა ტომ. მოეშვი მაგას და უარესს შეუდექი. ჯიბეზე რამე თუ გაქვს? ათი შილინგი?

ᲑᲚᲣᲛᲘ (იღიმება, ნელა უქნევს თავს): მეტი, ჩემო ჰურიავ, მეტი.

ᲖᲝᲣᲘ მეტმა იცის თავში რეტი. (ალერსიანად მოუთათუნებს ხავერდის ხელებით.) წამოხვალ მუსიკალურ სალონში ჩვენი ახალი პიანოლას სანახავად? წამო, შენთვის კანსაც გავიძრობ.

ᲑᲚᲣᲛᲘ (დაეჭვებული იფხანს ქეჩოს უზომოდ გაოგნებული ქუჩის მოვაჭრესავით, რომელმაც უცბად ქალის კანგაცლილი მსხლების სიმეტრიულობა შეაფასა): მავანი საშინლად იეჭვიანებდა, რომ გაეგო. მწვანეთვალება ურჩხული.[24] (სერიოზულად) შენ კი იცი რა ძნელია, ჩემი თქმა რად გინდა.

ᲖᲝᲣᲘ (ნაამები): რასაც ... ხედავს, იმაზე გულიც არ ნაღვლობს. (ხელს მოუსვამს.) წამო.

ᲑᲚᲣᲛᲘ მოცინარი ჯადოქარი? ხელი, აკვანს რომ არწევს.

ᲖᲝᲣᲘ შვილიკო!

ᲑᲚᲣᲛᲘ (ბავშვის რეიტუზი და პალტო აცვია, დიდთავა, შავი გაბურძგნილი თმით, დიდრონი თვალებით მიშტერებია ქალის მბზინავ ქვედატანს, პუტკუნა თითით ითვლის ბრინჯაოს ბალთებს, სველ ენას გამოყოფს და ტიტინებს): ეთი, ოლი, სამი: თამი, ოი, ეთი.

ᲑᲐᲚᲗᲔᲑᲘ ვუყვარვარ. არ ვუყვარვარ. ვუყვარვარ.

ᲖᲝᲣᲘ დუმილი თანხმობის ნიშანია. (პატარა გაჩაჩხული ბრჭყალები ბლუმის ხელს ჩაავლო, საჩვენებელი თითით მის ხელისგულზე ხაზავს იდუმალი მოძღვრის პირობით ნიშანს, რომელიც მას გარდუვალისკენ იზიდავს.) ცხელი ხელები, ცივი ჯიგარი.

(ბლუმი ყოყმანობს სუნების, მუსიკის, ცდუნებების გარემოცვაში. ქალი მიუძღვება კიბისკენ, იზიდავს თავისი იღლიების სუნით, დახატული თვალების ბიწიერებით, ქვედატანის შრიალით, რომლის დაკლაკნილ ნაკეცებში ყველა იმ მამრის მხეცური სიმყრალეა ჩამალული, რომელთაც მისი სხეული უგემნიათ.)

ᲛᲐᲛᲠᲔᲑᲘ (ხურუშისა და სკორეს ფოსფოროვანი სიმყრალე ასდით, ყალყზე დგებიან, გაშმაგებით ბღავიან თავიანთ თავლებში და აქეთ-იქით იქნევენ თავებს): კარგია!

(ზოუი და ბლუმი კარებამდე მიდიან, სადაც ორი ბოზი და ზის. ისინი დახატული წარბების ქვემოდან ყურადღებით შეათვალიერებენ ბლუმს და მისი ნაჩქარევი მისალმების საპასუხოდ გაუღიმებენ. ბლუმი უხერხულად წაბორძიკდება.)

ᲖᲝᲣᲘ (მარჯვედ შეაშველებს ხელს): ჰოპლა! ზემოთ დაცემა არ იყოს.

ᲑᲚᲣᲛᲘ მართალი შვიდგზის დაეცემა,[25]

(კარის დირესთან გზას უთმობს.) თქვენს შემდეგ, ზრდილობა მოითხოვს.

ზოუი ჯერ მანდილოსნები, მერე ჯენტლმენები.

(დირეზე გადააბიჯებს. ბლუმი ყოყმანობს. ზოუი მობრუნდება, წინ გაიწვდის ხელებს და ბლუმს გასწევს. ბლუმი გადახტება. წინკარში რქის საკიდზე კაცის ქუდი და საწვიმარი კიდია. ბლუმი ქუდს იხდის, მაგრამ მათ რომ დაინახავს, შუბლს შეიჭმუხნის, მერე ჩაფიქრებული იღიმება. იღება კარი. მეწამულ პერანგში, ნაცრისფერ შარვალში და ყავისფერ წინდებში გამოწყობილი კაცი მაიმუნის ნაბიჯით გაივლის, მელოტი და თხის კიკინა წვერიანი თავი მაღლა აუწევია, წყლით სავსე სურადოქს ჩაბღაუჭებია, ორკუდიანი შავი აჭიმები ქუსლებთან ეთრევა. ბლუმი სწრაფად იბრუნებს პირს, დაიხრება რათა წინკარის მაგიდაზე სპანიელის თვალებიანი მორბენალი მელა დაათვალიეროს: შემდეგ აწეული თავით ჰაერს ყნოსავს და ზოუის შეყვება მუსიკალურ სალონში. ლუსტრის შუქი დაჩრდილულია მოვარდისფრო აბრეშუმოვანი ქაღალდის აბაჟურით. ფარვანა ირგვლივ დაფარფატებს, ეჯახება, სწრაფად სცილდება. იატაკი ნეფრიტის ლაჟვარდისა და სინგურის რომბებიანი მოზაიკის ლინოლიუმითაა დაფარული. მასზე ფეხის ანაბეჭდები ყოველნაირად არის განლაგებული, ქუსლი ქუსლთან, ქუსლი ზურგთან, წვერი წვერთან, მიჯრილი ტერფები, ფეხის ანათრევები მორისის ცეკვაში, უსხეულო ფანტომები, და ყველაფერი უთავბოლოდ არეული. კედელზე ურთხლის შეფოთლილი შტოებითა და ლაჟვარდი ზოლებით მოხატული შპალერია. ბუხრის ცხაურა ფარშევანგის ბუმბულის ორნამენტითაა ნაჭედი. ლინჩი ფეხმორთხმული ზის ბუხრის წინ დაგებულ თექაზე, თავზე საჩიხშეტრიალებული ქუდი ახურავს. კვერთხით დინჯად ითვლის ტაქტს. კიტი რიკეტსს, ვაჩხიკინებულ სახეგაცრეცილ მეძავს, საზღვაო კოსტუმი და მარჯნის სამაჯურის ზემოთ გადაკეცილი ზამშის ხელთათმანები აცვია, ხელში ძეწკვიანი ხელჩანთა უჭირავს. მაგიდის კიდეზე შემომჯდარი ფეხს აქნევს და საკუთარ გაფაქიზებულ ბუხრის თავზე დაკიდულ [illegible] ჩოიან სარკეში ათვალიერებს. ჟაკეტის ქვემოდან კორსეტის ბოლოები მოუჩანს. ლინჩი დამცინავად მიათითებს პიანინოსთან მჯდარ წყვილზე.)

კიტი (პირზე ხელმოფარებული ჩაახველებს): ცოტა არ იყოს და აფრენს. (საფეთქელთან თითის ტრიალით ანიშნებს.) ფრრფრრ. (ლინჩი კვერთხით აუწევს ქვედატანსა და თეთრ პერანგს. კიტი სწრაფად ისწორებს.) თავს ნუ იგდებ. (ასლოკინებს, მერე ხელის სწრაფი მოძრაობით მეზღვაურის ქუდს გადაიწევს და მის ქვემოდან ინით შეღებილი მბზინავი თმა გამოუჩნდება.) უჰ, მაპატიეთ!

ზოუი ბიჭებო, მეტი სინათლე მოგვეცით სცენაზე. (ლუსტრასთან მიდის და გაზს ბოლომდე მოუშვებს.)

კიტი (გაზის ალს შეჰყურებს): რა მოელანდა ამღამ?

ლინჩი (დაბოხებული ხმით): შემოდიან მოჩვენება და ფუძის ანგელოზები.

ზოუი ტაში ზოუის.

(ლინჩის ხელში კვერთხი გაბრწყინდება: სპილენძის ქარცახი. სტივენი პიანოლასთან დგას, რომელზეც მისი ქუდი და ტროსტია მიგდებული. ორი თითით კვლავ იმეორებს სუფთა კვინტების რიგს. ფლორი ტოლბოტი, ობმოკიდებულ ხენდროსფერ ძონძებში ჩაცმული გათქვიტრებული ქერა კახპა, ზანტადაა გაწოლილი დივანზე, დონდლო მკლავი მუთაქაზე აქვს გადაკიდული, ნამძინარევ ქუთუთოზე მომწიფებული ჯიბლიბო მოუჩანს. უსმენს.)

კიტი (ისევ ასლოკინებს და თავის ცხენისფეხით წიხლს ისვრის): ჩვენ ბოდიში!

ზოუი (უცებ რეაგირებს): შენი ბიჭი გიხსენებს. პერანგი გაინასკვე.

(კიტი რიკეტსი დაიხრება. მისი ბოა იხსნება, სხლტის მხრებზე, ზურგზე, მკლავებზე, სკამზე და იატაკზე ეცემა. ლინჩი კვერთხს მოსდებს დახვეულ მუხლუხოს. კიტი ისევ შემოხვევს ყელზე გველს და დაიბუღებს, სტივენი გახედავს

საჩქარეტრიალებულ ჩაცუცქულ კაცს.)

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘ კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ბენედეტო მარჩელომ მონახა, თუ თავად შეთხზა. რიტუალი პოეტის სულის მოთქმაა. ეს შეიძლება დემეტრესადმი მიძღვნილი ძველი საგალობელი იყოს[26] ანდა გუნდის თანხლება Coela enarrant gloriam Domini.[27] ეს გულისხმობს ისეთ განსხვავებულ ტონალობასა და კილოს როგორიცაა ჰიპერფრიგიული და მიქსოლიდიური, და ისეთ არამსგავს ტექსტებს როგორიცაა მღვდელმსახურთა ყაყანი დავითის ანუ კირკეს, არა რას ვამბობ, ცერერას საკურთხევლის წინაშე და დავითის მიერ საჯინიბოდან სანდო ცნობის გამოტანა თავისი მთავარი ტრომბონისტისათვის მისი ყოვლისშემძლეობის შესახებ. Mais, nom de nom, ეს სულ სხვა რამაა. Jetez la gourme. Faut que jeunesse se passe.[28] (ჩერდება, ლინჩის ქუდზე მიათითებს, იღიმება, იცინის.) რომელ მხარეს გაქვს სიბრძნის კოპი?

ᲡᲐᲩᲘᲮᲘ (ფრიად დანაღვლიანებული): ფუი! ეს ასეა იმიტომ რომ ასეა. ქალის ლოგიკა. ურიაბერძენი ბერძენურია. უკიდურესობათა თანხვედრა. სიკვდილი სიცოცხლის უმაღლესი ფორმაა. ფუი!

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘ შენ ასე ზუსტად გახსოვს ყველა ჩემი შეცდომა, წატრაბახება, მიეთ-მოეთი. როდემდის უნდა დავუხუჭო თვალი ასეთ ორგულობას? სასინჯი ქვა!

ᲡᲐᲩᲘᲮᲘ ფუი!

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘ მაშ კიდევ მოგახსენებ. (ილუშება.) მიზეზი ისაა, რომ ტონიკა და დომინანტა ერთმანეთისაგან დაშორებულია ყველაზე მეტი შესაძლებელი ინტერვალით, რომელიც...

ᲡᲐᲩᲘᲮᲘ რომელიც? დაამთავრე. არ შეგიძლია.

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘ (თავს ძალას ატანს): ინტერვალით, რომელიც, ყველაზე მეტად შესაძლებელი ელიფსია. შეთავსებადი. ფინალურ დაბრუნებასთან. ოქტავა. რომელიც.

ᲡᲐᲩᲘᲮᲘ რომელიც?

(გარეთ გრამაფონი იწყებს ღრიალს „წმინდა ქალაქი“[29].)

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘ (წყვეტილად): ის, რაც მიდის ცხრა მთას იქით, [illegible] თავი არ გადაკვეთოს. ღმერთი, მზე, შექსპირი, კომივოიაჟერი, მიაღწევს რა საკუთარ თავთან გადაკვეთის წერტილს რეალობაში, თავად იქცა საკუთარ თავად. მოიცადეთ. ერთ წამს დამაცადეთ. ეგ წყეული ხმაური ქუჩაში. რაც თავად უცილობლად იყო განპირობებული, რათა ასეთად ქცეულიყო. Ecco![30]

ᲚᲘᲜᲩᲘ (გამკილავი მოხვიხვინო სიცილით შეხედავს ბლუმსა და ზოუი ჰიგინზს): რა განსწავლულობაა, არა?

ᲖᲝᲣᲘ (ცოცხლად): ღმერთი იყოს შენი ტვინის მფარველი, მაგან იმაზე მეტი იცის, რაც შენ უკვე დაგავიწყდა.

(ფლორი ტოლბოტი ნასუქი სიყეყეჩით შესცქერის სტივენს.)

ᲤᲚᲝᲠᲘ ამბობენ ამ ზაფხულს იქნება მეორედ მოსვლაო.

ᲙᲘᲢᲘ არრა!

ᲖᲝᲣᲘ (სიცილი წასკდება): დიდო უსამართლო ღმერთო!

ᲤᲚᲝᲠᲘ (შეურაცხყოფილი): კი მაგრამ, ანტიქრისტეს შესახებ გაზეთებში იყო. ვაი, ფეხი მექავება.

(დაძონძილი ფეხშიშველა მეგაზეთე ბიჭები კუდიან ფრანს მიათრევენ, თან გაბმით გაჰკივიან.)

ᲛᲔᲒᲐᲖᲔᲗᲔ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ცხელ-ცხელი ამბები. ხის ცხენების დოღის შედეგები. ზღვის გველი სამეფო არხში.[31] ანტიქრისტეს მშვიდობიანი ჩამოსვლა.

(სტივენი მობრუნდება და ბლუმს დაინახავს.)

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘ დროის, დროთა და ნახევარი დროის მანძილზე.[32]

(რუბენ ჯ. ანტიქრისტე, მარადი ურია, ხერხემალზე გაშლილი მუჭი აქვს შემოდებული, მძიმე ნაბიჯით წამოიწევს. წელზე ყარიბის გუდა ჰკიდია, საიდანაც სავალო ხელწერილები და გაუნაღდებელი ანგარიშებია გამოჩრილი. მხრებით გრძელ ბარჯს მოათრევს, რომლის კაუჭზეც, ლიფის წყლიდან გადარჩენილი, მისი ერთადერთი ვაჟიშვილის გასიებული უფორმო მასა ჰკიდია აჭიმით. ჩამოწოლილ ბინდში თეძომონგრეული, კუზიანი, ჰიდროცეფალის თავი-

ანი, ღრანჭმოქცეული, შუბლდაბრეცილი და ელი სლოპერივით ცხვირგაბუშტული სახლის ანგელოზი, პანჩ კოსტელოს სახე რომ მიუღია,[33] ყირაზე გადადის.)

ყველანი ეს რაღაა?

სახლის ანგელოზი (ჩანებს აკაწკაწებს, ხტუნავს, თვალებს პარჭლავს, წივის, გაშლილი ხელებით კენგურუსავით დახტის და მერე უცებ უტუჩებო სახეს ლაჯებში გამოჰყოფს): Il vient! C'est moi! L'homme qui rit! L'homme primigene! (დერვიშის ყმუილით ციბრუტივით ტრიალებს.) Sieurs et dammes, faites vos jeux! (ჩამუხლული ჟონგლიორობს. მის ხელებში რულეტის ბურთულებივით პაწაწინა პლანეტები დაფრინავენ.) Les jeux sont fait! (პლანეტები გროვდებიან და ჭახანით ეჯახებიან ერთმანეთს.) Rien n'va plus.[34] (პლანეტები საჰაერო ბურთებად იქცევიან და იკარგებიან. სახლის ანგელოზი სიცარიელეში უჩინარდება.)

ფლორი (უაზროდ გაშტერებული მალულად იწერს პირჯვარს): მეორედ მოსვლა!

(თბილი ქალური ემანაცია გამოსჭვივის მისგან. უსაშველო წყვდიადი ავსებს სივრცეს. გარეთ, მოწოლილ ნისლში გრამოფონის ბღავილი ხველასა და ფეხის ფლატუნს გადაფარავს.)

გრამოფონი იერუსალიმი!

> განახვნენ ბჭენი შენი და იგალობე ჰოსანა...

(ცაში შუშხუნა ავარდება და სკდება. მისგან ყოველი არსის შთანთქმისა და ელიას მეორე გამოცხადების მაუწყებელი თეთრი ვარსკვლავი გადმოვარდება. ზენიტიდან ნადირამდე უკუნეთში გადაჭიმულ უსასრულო ბაგირზე კოტრიალით მოგორავს აპოკალიფსი,[35] ორთავიანი რვაფეხა, რომელსაც შოტლანდიელი მონადირის კუბოკრული კილტი აცვია, ჰუსარის კიერი ახურავს და მენის კუნძულის ჰერალდიკური სამფეხას სახე მიუღია.[36])

აპოკალიფსი (შოტლანდიური კილოთი): ვინ იცეკვებს მაღლა მთებში, მაღლა მთებში, მაღლა მთებში?

(ელიას ღალღის ჭახჭახივით ხმამ მოლივლივე გუგუნი [illegible] ხველება გადაფარა, [illegible] მონასტრის მსახურის სახიანს, ძაბრის ფორმის სახელოიანი ბატისტის ფართო სტიქარი აცვია, ოფლში იხვითქება, ამერიკული დროშით დაფარული კათედრის თავზეა აღმართული და მის მოაჯირზე მუშტს არტყავს.)

ელია შეწყვიტეთ გეთაყვა ლაყაფი ამ შენობაში, ჯეიკ კრეინ, კრეო ლო სუ, დეივ კემპბელ, ეიბ კირშნერ კეთილინებეთ და პირმოკუმულებმა ჩაახველეთ. იცოდეთ, მთელ ამ ხაზს მე ვემსახურები. აბა, ბიჭებო, დროა. 12.25 ღვთის დროა. დედილოს უთხარით, რომ იქ იქნებით.[37] მიდი, დროზე მიეცი. შეკვეთა და თულფის კიკო შენია. ზუსტად აქ შემოგვიერთდი! მარადისობის სახარისხებელ სადგურამდე აიღე, პირდაპირი ექსპრესით. მხოლოდ ერთი ეს მითხარი: თუ ხარ მესია, რაღად გეფსია? კონის კუნძულზე მეორე მესია რომ გამოჩნდეს, მზად ვართ ამისათვის? ფლორი ქრისტე, სტივენ ქრისტე, ზოუი ქრისტე, ბლუმ ქრისტე, კიტი ქრისტე, ლინჩ ქრისტე, სწორედ თქვენ უნდა იგრძნოთ ეს კოსმიური ძალა. ჩვენ რა, კოსმოსის შიშით გული გაგვისკდება თუ რა? ნურას უკაცრავად. ანგელოზების მხარე დაიჭირე. იყავი პრიზმა.[38] შიგნით გაგაჩნია ის რაღაც, უმაღლესი მე. შეიძლება დაუძმაკაცდე იესოს, გაუტამას, ინგერსოლს.[39] ჰა, გრძნობთ ამ ვიბრაციას? რა თქმა უნდა გრძნობთ. ერთხელ სუნი იკარით ძმანო და ზეცაში მხიარული გასეირნება ხელში გიჭირავთ. გამიგეთ? ცხოვრების გამახალისებელია, ჭეშმარიტად. ყველაზე მაგარი რამეა. ჯემის გულიანი ღვეზელივით. გარე ხაზებიდან საუკეთესო და ყველაზე მოსახერხებელი. შესანიშნავი, უმშვენიერესი რამ. ფორმაში მოგიყვანს კაცს. ვიბრაციას იწვევს. მე ვიცი, ვიბრაციის გამეგება რაღაც. ხუმრობა იქით იყოს და არსს დავუბრუნდეთ, ა. ჯ. ქრისტე დაუი[40] და ჰარმონიალური ფილოსოფია, გასაგებია? ოკეი. სამოცდამეცხრე დასავლეთის ქუჩის სამოცდაჩვიდმეტი ნომერი. გამიგეთ? კე-

თილი და პატიოსანი. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დამირეკოთ მზეფონით. ლოთიბაშებო, საფოსტო მარკები დაზოგეთ. (წამოიყვირებს.) აბა, ახლა ჩვენებური ძველი სიმღერა. ყველანი ერთად, გულიანად ამყევით. არ ვარგა, კიდევ ერთხელ! (მღერის.) იერუ...

ᲒᲠᲐᲛᲝᲤᲝᲜᲘ (მის ხმას გადაფარავს): ბორდუსალემშენშიგშშშხხშხხ... (ფირფიტა ღრჭიალით ეხახუნება ნემსს.)

ᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲮᲞᲐ (ყურებზე ხელს იფარებენ, წივიან): აჰჰქქქ!

ᲔᲚᲘᲐ (მკლავებდაკაპიწებული, შავსახიანი, ხელებგაშვერილი გაჰკივის რაც ძალა აქვს): დიდო ძმაო იქ ზემოთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ გესმით რა გავაკეთე ახლა რომ გეუბნებით მე თქვენ. ძალიან მაგრა მჯერა თქვენ, ბატონო პრეზიდენტო. ახლა ასე ვფიქრობ მისს ჰიგინზი და მისს რიკეტსი შიგნით იბრუნებენ რელიგიას. ძალიან მგონია არასოდეს ასე ელდანაცემი ქალი არ მინახავს შენ რო ხარ, მისს ფლორი, რომ გხედავ. ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მოდით და დამეხმარეთ ჩვენი ძვირფასი დების გადარჩენაში. (თვალს ჩაუპაჭუნებს მსმენელებს.) ჩვენი ბატონი პრეზიდენტი, იცის მთელი ყველაფერი და არა ყვება არაფერს.

ᲙᲘᲢᲘ-ᲙᲔᲘᲢᲘ თავგზა ამებნა... წამიერი სისუსტის დროს შევცდი და გავაკეთე ის, რაც კონსტიტუციის გორაკზე გავაკეთე. თვით ეპისკოპოსის კონფირმაცია მაქვს მიღებული. დედაჩემის და მონტმორენსის გაჰყვა ცოლად. უცოდველი ვიყავი, იმ მეწყალსადენემ დამლუპა.

ᲖᲝᲣᲘ-ᲤᲔᲜᲘ ავიღე და შევათხრევინე, ისე, ხოშისათვის.

ᲤᲚᲝᲠᲘ-ᲢᲔᲠᲔᲖᲐ ჯერ ფრანგული სამვარსკვლავიანი ვსვით, მერე პორტვეინი დავაყოლეთ, ამიტომაც დამემართა. უილანი შემომიძვრა ლოგინში და მეც შევცოდე.

ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲘ დასაბამიდან იყო სიტყვა და ქვეყნის დასასრულს კი უკუნითი უკუნისამდე. ნეტარ არიან რვა კურთხევანი.

(კურთხევანი, დიქსონი, მედენი, კროტერსი, კოსტელო, ლენეჰანი, ბენონი, მალიგანი და ლინჩი, მედიკოს-ქირურგ სტუდენტთა თეთრ ხალათებში გამოწყობილნი, მწკრივში ოთხ-ოთხნი, ბატის ნაბიჯით, დინჯი და ხმაურიანი მარშით ჩაივლიან.)

ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐᲜᲘ (გაურკვევლად): ბოთლი ბიფშტექსი ბულდოგი ბიბლიბული ბიზნესბუმი ბარნუმი[41] ბარდაკუმი ბერიბუმი.

ᲚᲘᲡᲢᲔᲠᲘ (კვაკერის რუხ მოკლე შარვალში და ფართოფარფლიან ქუდში, თავაზიანად): ეგ ჩვენი მეგობარია. გვარებს არ დავასახელებ. ეძიე ნათელი.

(კორანტოს ნაბიჯით გადის. შემოდის ბესტი, დალაქის ტანსაცმელში, დაუთოვებულ-გაპრიალებული, თმა პაპილოტებზე აქვს დახვეული. შემოჰყავს ჯონ ეგლინტონი, რომელსაც მანდარინის ყვითელი ნაშური ხვლიკასოებმოხატული კიმონო აცვია და პაგოდისებრი ცილინდრი ახურავს.)

ᲑᲔᲡᲢᲘ (ღიმილით აუწევს ცილინდრს და გაპარსულ კინკრიხოს გამოუჩენს, რომლიდანაც ნარინჯისფერი ბანტით შეკრული კიკინა გადმოშვერს): სწორედ ახლა ვალამაზებდი. სილამაზე, იცით, ნეტარებაა, ამბობს იეიტსი, თუ მგონი, კიტსი.

ᲯᲝᲜ ᲔᲒᲚᲘᲜᲢᲝᲜᲘ (მკრთალშუქიან მწვანესაფარიან ნათურას ამოიღებს და კუთხეში მიანათებს; ჭირვეულად): ესთეტიკა და კოსმეტიკა ბუდუარებისთვისაა განკუთვნილი. მე სიმართლეს ვეძიებ. უბრალო სიმართლე უბრალო ადამიამისთვის. ტენდერჯის[42] სურს ფაქტები და იმედი მაქვს, რომ მიიღებს მათ.

(მინათებულ სხივკონაში, ნახშირის სათლის უკან, მანანაან მაკლირის წმინდათვალება, წვერიანი, მუხლებზე ნიკაპდაბჯენილი ოლავის[43] ფიგურა მოჩანს. ნელა წამოდგება. მისი დრუიდული პირიდან ზღვის ცივი ქარი ბერავს. მის თავს გველთევზები ეხვევიან. წყალმცენარეებითა და ნიჟარებითაა დაფარული. მარჯვენა ხელში ველოსიპედის ტუმბო უჭირავს. მარცხენა ხელით უზარმაზარი კიბორჩხალას ორ მარწუხს ჩასჭიდებია.)

ᲛᲐᲜᲐᲜᲐᲐᲜ ᲛᲐᲙᲚᲘᲠᲘ (ტალღების ხმით): აუმ! ჰეკ! უალ! აკ! ლაბ! მორ! მა! ღმერთების თეთრი იოგინები. ჰერმეს ტრისმეგისტოსის ოკულტური

ტომები[44] (ზღვის ქარის სტვენის ხმით.) პუნარჯანამ ტეტიაპანჯაუბ! ვერავინ გამაბრიყვებს. მავანს უთქვამს: ერიდე მარცხენას, შაკტის კულტს. (ქარიშხალას ყივილით.) შაქტი, შივა, ბნელით მოცული მამა! (ველოსიპედს ტუმბოს ჩაარტყამს კიბორჩხალას მარცხენა ხელში რომ უჭირავს. მის კოოპერატივის ციფერბლატზე ზოდიაქოს თორმეტი ნიშანი ციმციმებს. ოკეანის ბრდღვინვით ამოიგმინებს.) აუმ! ბაუმ! პიჯაუმ![45] მე ვარ ნათელი კარ-მიდამოსი! მე ვარ კარგი მარგი კარაქი.

(იუდას ჩონჩხის გამოწვდილი ხელი სინათლეს ახრჩობს. მწვანე სინათლე თანდათან გავარდისფრდება. გაზის ჭავლი კვნესით უსტვენს.)

გაზის ჭავლი ფუუჰ! ფუიიიიიიჰ!

(ზოუი ლუსტრასთან მიირბენს, ცალ ფეხს მოხრის და სანთურას გაასწორებს.)

ზოუი სიგარეტს ვინ მომაწევინებს?

ლინჩი (მაგიდაზე გადაისვრის სიგარეტს): აჰა.

ზოუი (ცხვირს ბზიკავს, აქაოდა ღირსება შემელახაო): ასე უნდა შესთავაზო მანდილოსანს? (წაიწევს რომ სანთურას ალზე მოუკიდოს, ნელა ატრიალებს სიგარეტს, იღლიების წაბლისფერ კონას გამოაჩენს. ლინჩი ქარცახით უტიფრად აუწევს კალთას. ლეკვერთხების ზემოთ შეშიშვლებულ სხეულს საფირონისფერი ქსოვილის ქვემოდან წყლის ალის სიმწვანე გადაკრავს. მშვიდად ეწევა სიგარეტს.) ხალი თუ დამინახე ტრაკზე?

ლინჩი არ გიყურებ.

ზოუი (უმანკო კრავის თვალებით): არა? რა თქმა უნდა, თქვენ ამას არ იკადრებდით. სხვა საქმე გენახათ, რა ვქნა?

(ვითომდა დარცხვენილი, გვერდულად და დიდმნიშვნელოვნად გახედავს ბლუმს, შემდეგ უცბად მიბრუნდება მისკენ და ამასობაში კალთას გაინთავისუფლებს ქარცახისაგან. ცისფერი ტალღა კვლავ გადაურბენს მთელ სხეულზე. ბლუმი დგას, მის ღიმილში წადილი გამოსჭვივის, ცერ თითებს ატრიალებს. კიტი რიკეტსი შუათითს ნერწყვით დაისველებს, სარკეში ჩაიხედავს და ორივე წარბზე გადაისვამს. ლიპოტი ვირაგი, ბასილიკოგრამატიკოსი[46] ბუხრის საკვამურით სწრაფად ეშვება დაბლა და გადაქანებულ ვარდისფერ ოჩოფეხებზე შემდგარი მედიდურად გადაადგამს ორ ნაბიჯს მარცხნივ. რამდენიმე პალტოშია ჩაკუპატებული და ყავისფერი მაკინტოში აცვია, რომლის ქვეშაც პერგამენტის გრაგნილი უჭირავს. მის მარცხენა თვალში კაშელ ბოილ ო'კონორ ფიცმორის ტისდალ ფარელის მონოკლი ბზინავს. თავზე ეგვიპტური ორმაგი გვირგვინი აქვს აწოწილი. ყურებს უკან ბატის ფრთები გაურჭვია.)

ვირაგი (ქუსლს ქუსლზე შემოჰკრავს, თავს უკრავს): მე მქვია ვირაგ ლიპოტი სომბათჰეადან. (ჩაფიქრებული ახველებს, ცივი კილოთი.) აქ აშკარად გამოვლინდა ყოვლად შეუფერებელი სიშიშვლე, ჰა? მისმა უკანა ხედმა გაუთვალისწინებლად გამოაშკარავა ის ფაქტი, რომ იგი არ ატარებს ტანისამოსის იმ მეტად ინტიმურ ნაწილებს, რომლისადმიც შენ განსაკუთრებული დაინტერესება გაგაჩნია. იმედია ინექციის კვალი შეამჩნიე ბარძაყზე? კეთილი.

ბლუმი Granpapachi.[47] მაგრამ...

ვირაგი ნომერი ორი, მეორეს მხრივ, თეთრქუდიანი, ალუბლისფრად შეფერილი ლოყებით, რომლის თმა დიდად არის დავალებული ჩვენი ტომის, ურთხლის ხისაგან დამზადებული, ელექსირისაგან და, იმისდა მიხედვით თუ როგორ ზის, ჩემის აზრით, მეტისმეტად გამოტკეცილი სასეირნო კაბა აცვია. ასე ვთქვათ, სარი აქვს გადაყლაპული. გამისწორე თუ ვცდები, მაგრამ მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საცვლების ასეთი კეკლუცი გამომზეურება დიდად გხიბლავს თავისი ეგზჰიბიციონისტურობით. ერთი სიტყვით რომ გამოვხატო. ჰიპოგრიფი. სწორი ვარ?

ბლუმი ნამეტანი გამხდარია.

ვირაგი (არცთუ უკმაყოფილოდ): აბსოლუტურად! კარგად არის შემჩნეული და ეგ ზემოდან მიკერებული ჯიბეები ქვედატანზე და ოდნავ გაფართოებული ზემოთ, იმაზეა გათვლილი, რომ თეძოების სისრულის შთაბეჭდილება შექმ-

ნან. ახალი შენაძენი რომელიმე უზარმაზარ ბაზრობაზე, სადაც ბევრი დოყლაპია გაიფცქვეროდა. მოჩვენებითი პეწი თვალის მოსატყუებლად. შეხედე რა განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ყოველ წვრილმანს. ნუ გადადებ ხვალისათვის იმის ჩაცმას, რისი ტარებაც დღეს შეგიძლია. პარალაქსი! (თავის ნერვიული გატოკებით.) გესმის რა ტკაცა-ტკუცი გაუდის ჩემს ტვინს?[48] პოლისილაბაქსი!

ᲑᲚᲣᲛᲘ (იდაყვი ხელზე აქვს დაბჯენილი, ლოყა საჩვენებელ თითზე): დანალვლიანებული ჩანს.

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (ცინიკურად, თითით ქვემოთ ქაჩავს მარცხენა თვალს და ხმაჩახლეჩით ყეფს, თან ყვითლად აჩენს ქრცვინის კბილებს): თაღლითობა! ერიდე ვითომ უმანკო და ვითომ დამწუხრებულ კახპებს. ანელი პანელიდან. ყველას აქვს ბერბიჭას ღილაკი, რომელიც რუალდუს კოლუმბუსმა აღმოაჩინა.[49] მიდი, დაადე. დაარუალკოლუმბე. ქამელეონი. (მოლბება.) კეთილი, ახლა ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო მესამე ნომერს. შეუიარაღებელი თვალითაც შეიმჩნევა სოლიდური მასა. მიაქციეთ ყურადღება დაჟანგულ მცენარეულ ნივთიერებას თავის ქალაზე. ოჰო ჰო, ეგ მისცხებს რასაც მისცხებს! უშნო ჭუჭული ამ კომპანიაში, გრძელკანჭა და დუმასრული.

ᲑᲚᲣᲛᲘ (სინანულით): უთოფოდ რომ გახვალ სანადიროდ, რა არ შეგხვდება.

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ ჩვენ შეგვიძლია ყველანაირი სორტი შემოგთავაზოთ, სუსტი, საშუალო და მაგარი. გადაიხადე და აირჩიე. როგორ შეგიძლია ბედნიერი იყო ნებისმიერ მათგან...

ᲑᲚᲣᲛᲘ ...თან?[50]

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (პირს აწკლაპუნებს): იფ! შეხედე რა გაფაშფაშებულია. ქონის სქელ ფენაში გახვეული. აშკარად ძუძუმწოვრებს განეკუთვნება თავისი მკერდის განზომილებით, ალბათ ამჩნევთ, რომ წინ ორი შორს წაგდებული მეტად შთამბეჭდავი შვერილი აქვს, რომელნიც სადილზე წვნიან თეფშში ჩაშვებას იქადნიან, ხოლო მისი უკანა ქვედა ნაწილის ორი დამატებითი გამობურცული ადგილი მიგვანიშნებს ღონიერ სწორ[illegible] და პალპაციისათვის [illegible]ზე, რომელთაც ერთად-ერთი რამ აკლია, სიმკვრივე. ასეთი ხორციანობა საგანგებო კვების შედეგია. პატარა გალიაში გასუქებისას მათი ღვიძლი უსაშველოდ იზრდება. ახლადგამომცხვარი პურის გუნდები ხ�სუნელითა და ბენზოის მჟავათი, მწვანე ჩაის დაყოლებით, მათი ხანმოკლე არსებობის მანძილზე უზარმაზარი ზომის ბუნებრივი ბალიშებით აღჭურავს მათ. შენ რომ მოგეწონება სწორედ ისეთი, ჰა? ეგვიპტის სანუკვარი ხორცით სავსე ქვაბები.[51] მიდექი და იცურავე. ლიკოპოდიუმი. (ყელი ნერვიულად შეუთამაშდება.) ყრრხრრ. ისევ დაიწყო.

ᲑᲚᲣᲛᲘ ჯიბლიბოა რომ არ მომწონს.

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (წარბებს ასწევს): ამბობენ ოქროს ბეჭედი უნდა მიიდოო. Argumentum ad feminam,[52] როგორც ძველ რომსა და ძველ საბერძნეთში ვამბობდით დიპლოდოკისა და იქტიოზავრის კონსულობის ჟამს. ყველაფერი დანარჩენისათვის კი ევას უბადლო საშუალება. არ იყიდება. მხოლოდ ქირავდება. ჰუგენოტი. (კვლავ ნერვიული ტიკი ემართება.) უცნაური ხმაა. (გამამხნევებლად ჩაახველებს.) იქნებ სულაც მეჭეჭია. იმედია გახსოვს ასეთ შემთხვევაში რას გასწავლიდი? ხორბლის ფქვილი თაფლითა და ჯავზით.

ᲑᲚᲣᲛᲘ (ჩაფიქრებულად): ხორბლის ფქვილი ლიკოპოდიუმითა და სილაბაქსით. კაი ძნელი საშოვარია. განსაკუთრებით დამქანცველი დღე იყო, გარემოებათა გაუთვალისწინებელი დამთხვევა. მოიცათ. მეჭეჭის სისხლი ხომ თავად ავრცელებს მეჭეჭებს, თქვენ კი თქვით...

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (მკაცრი ხმით, ცხვირი გაუკეხიანდა, დაელმებული თვალი აუპაჭუნდა): შეწყვიტე მაგ ცერების ტრიალი და კარგად დაფიქრდი. ხომ ხედავ, დაგავიწყდა. შენი მნემოტექნიკა გამოიყენე. La causa e sata[53]. ტარა ტარა. (განზე.) დარწმუნებული ვარ, გაიხსენებს.

ბლუმი სწორად თუ გავიგე, თქვენ როზმარინიც ახსენეთ და ნებისყოფაც პარაზიტულ ქსოვილზე ზემოქმედებისათვის. თუმცა არა, ახლა მაგონდება. მიცვალებულის ხელის შეხება არჩენსო. მნემო?

ვირაგი (აღელვებით): დიახ, ვამბობ, ვამბობ. ნამდვილად. ტექნიკა. (ენერგიულად უტყაპუნებს თავის პერგამენტის გრაგნილს.) აქ ნათქვამია თუ როგორ უნდა მოიქცე დეტალური აღწერილობით. სარჩევის მიხედვით შეგვიძლია მიიღო ინფორმაცია. ტილჭირი აკვიატებული შიშის წინააღმდეგ, მარილმჟავა მელანქოლიისთვის, ანემონი ვნებების აღსაგრძნებად. ახლა ვირაგი მოყვება ამპუტაციის შესახებ. ჩვენი ძველი მეგობარი კაუსტიკური სოდა. უნდა მოაშიო, შეახმო. ცხენის ძუით ძირშივე უნდა მოიკვეთოს. ახლა სხვა რამ, ბულგარელებზე და ბასკებზე ვილაპარაკოთ, ბოლოს და ბოლოს რა გადაწყვიტე, მოგწონს თუ არ მოგწონს მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები? (მშრალად ჩაიცინებს.) შენ აპირებდი მთელი წელი რელიგიური პრობლემის შესწავლისათვის, ხოლო 1882 წლის ზაფხულის თვეები კი წრის კვადრატურის ამოხსნისათვის მიგეძღვნა და მილიონი მოგეგო. ზღაპარიყო, ზღაპარიყო! დიადიდან სასაცილომდე სულ ერთი ნაბიჯია. თუნდაც პიჟამო? ანდა ტრიკოტაჟის დაჭურული გატოტებული ნიფხავი? ანდა ვთქვათ, ის ხათაბალა ჩასაცმელი, ნიფხავ-კომბინაცია? (დამცინავად დაიყივლებს.) ყიყლიყო!

(ბლუმი ყოყმანით შეათვალიერებს სამ ბოზს, შემდეგ მოჩრდილულ ვარდისფერსოსან შუქს მიაშტერდება და დაუღალავად მოფარფატე ღამის პეპელას მიუგდებს ყურს.)

ბლუმი მაშინ მინდოდა ახლა დავამთავრე. ღამის პერანგები არასოდეს. აქედან დასკვნა. მაგრამ ხვალ არის ახალი დღე დადგება. წარსული იყო დღეს არის. რაც ახლა არის მერე ხვალ როგორც ახლა იყო გუშინ ყოფილ.

ვირაგი (ღორის ღრუტუნით უჩურჩულებს): ერთდღიანი მწერები თავის ეფემერულ არსებობას გაუთავებელ პეპლაობაში ატარებენ, [illegible] მეტნაკლებად მომხიბლავი — [illegible] სქესის ინდივიდის სასქესო ჯირკვლიდან დორსალურ არეში გამოყოფილი მძაფრი სუნი. ლამაზი თუთი! (მისი თუთიყუშური ნისკარტი სხაპასხუპით დუდღუნებს ცხვირში.) კარპატებშა იცოდნენ ჩვენი წელთაღრიცხვის დაახლოებით ხუთიათას ხუთას ორმოცდაათ წელს.[54] დათუნიას ერთი კოვზი თაფლი უფრო იზიდავს ვიდრე ალაოს საუკეთესო ძმრის ნახევარი დუჟინი კასრი. დათუნიას დუდღუნი დაზაფრავს ფუტკარს. მაგრამ ეს იქით იყოს. სხვა დროს შეიძლება გავაგრძელო. ჩვენ ჩვენის მხრიდან კმაყოფილები დავრჩით. (თავს დახრის, ჩაახველებს, ჩაფიქრებული მუჭით ისრესს ცხვირს.) უთუოდ შენიშნავ, რომ ამ ღამის მწერებს სინათლე იზიდავს. ილუზიაა რადგან გახსოვს მათი რთული თვალის ადაპტაციის უნარს მოკლებული აგებულება. ყველა ამ სახრიკო საკითხზე იხილე ჩემი „სექსოლოგიის საფუძვლები ანუ სასიყვარულო ვნება“, მეჩვიდმეტე წიგნი, რომელიც დოქტორ ლ. ბ. ამბობს წლის ყველაზე სენსაციური წიგნიაო. ამავე დროს ზოგიერთი, მაგალითისთვის, არის რომლის მოძრაობები ავტომატურია. ჩაწვდი. ეს მისი შესაფერისი მზეა. ღამისჩიტი ღამისშუა ღამისქალაქი. დამიჭი, ჩარლი! (ყურში უბერავს ჭლუმს.) ბზზზზ!

ბლუმი ფუტკარი თუ ლეშის ბუზი იმდღეს ჩრდილს ეჯახებოდა კედელზე გაოგნებული მერე გაშმაგებული პერანგში ჩამიძვრა კიდევ კარგი რომ მე...

ვირაგი (გულგრილი სახის გამომეტყველებით, ქალური, მსუყე ხმით ჩაიცინებს): დიდებულია! ესპანური ბუზი მის ბლუზაში ანდა მდოგვი მის მაგარ მარგილზე. (შეუჩერებლივ ყვიტყვიტებს და ინდაურის თვალებს აყვარყვარებს.) ინდო-მინდო! ინდო-მინდო! სადა ვართ? სეზამ, გაიხსენ! მოდის! (სწრაფად გახსნის პერგამენტის გრაგნილს და კითხულობს, ციცინათელა ცხვირით მარჯვნიდან მარცხნივ მიყვება ასოებს, თან ბრჭყალებსაც აყოლებს.) მოიცა, კეთილო მეგობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო. მე მოგაწოდებ პასუხს, რომელსაც ეძიებ. რედბენკის კიბორჩხალებს მოგვართმევენ მალე. მე საუკეთესო ო'კოკი ვარ. ეს წვნიანი ორსაგდულიანები შეგვერგება და პერიგორდის თირკმელა სოკოებიც, ბატონი ყველაფრისჭამია დასუქებული ბურვაკი რომ ამოჩიჩქნის, უებარი საშუალებაა ნერვული სისუსტისა ან მამაკაცისებურობის შემთხვევაში. თუმცა ძლიერ ყარს, ხოშზე მოგიყვანს. (ცავს აქიცინებს, ხითხითებს, მასხარარობს.) ოინბაზი. ეს მონოკლი თვალზე მაზის. (აცემინებს.) ხეირი!

ᲑᲚᲣᲛᲘ (დაბნეულად): თვალი მეუბნება რომ ქალი ორსაგდულიანობის უარესი შემთხვევაა. მუდამ გახსნილი სეზამი. გაორებული სქესი. ამიტომაც ეშინიათ პარაზიტების, მცოცავი არსებების. თუმცა ევა და გველი ამას ეწინააღმდეგებიან. ისტორიულად არ დასტურდება. ჩემი იდეის თვალნათლივი ანალოგია. გველებიც ქალის რძეს ეხარბებიან. უთვალავი მილის მანძილზე ხოხვით მიიკვლევენ გზას ყოვლისმჭამელი ტყით, რათა მისი ცვრიანი ძუძუები უკანასკნელ წვეთამდე გამოწოვენ. მსგავსად იმ გალაღებულ-მოლხენილი რომაელი მატრონებისა, რომელთა შესახებ ელეფანტულიაზისთან[55] შეიძლება წაკითხვა.

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (მკვეთრად დანაოჭებულ-ტუჩებგამოშვერილი, გაქვავებული სახით, უსიცოცხლოდ თვალდახუჭული, უცხო კილოზე მონოტონურად გალობს): და ძროხები თავისი გატიკნილი ჯიქნებით რომლითაც ისინი ცნობილნი არიან...

ᲑᲚᲣᲛᲘ ახლა ვიკივლებ. მომიტევეთ, გეთაყვა. ჰა? დიახ. (დაზეპირებულად.) თავად ეძიებდნენ ქვეწარმავლის ბუნაგს რათა თავიანთი ძუძუსთავები მისი გაუმაძღარი წუწნისთვის მიენდოთ. ჭიანჭველა წველავს ბუგრს. (ღრმააზროვნად.) ინსტინქტი მართავს სამყაროს. სიცოცხლეში. სიკვდილში.

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (თავი გვერდზე აქვს გადაწეული, წელში იხრება და ბეჭები კუზივით აქვს ამობურცული, ამღვრეული გადმოკარკლული თვალებით შეჰყურებს ფარვანას, დაგრეხილი კლანჭით მიათითებს და ყვირის): ვინ არის ეს ფარვანფარვანა? ვინ არის ძვირფასი ჯერალდი? ოო, ძალიან მეშინია უბედურად დაიწვება. გეთაყვა ვინმეს შეძლებს როგორიც შეუშალოს ეს კატასტროფი ყველას საუკეთესო ხელსახოცს დაქნევით? (კნავის.) ფისო ფისო ფისო ფისო! (ამოიოხრებს, უკან გადაიხრება და ჩამოვარდნილი ჩანით, დაელმებული დაჰყურებს იატაკს.) კეთილი და პატიოსანი. მალე დაისვენებს.

ᲤᲐᲠᲕᲐᲜᲐ

ვარ ვინმე პაწაწინა,
დავფრინავ უკან-წინა,
მეფე გახლდათ უწინა
არ მერჩოდნენ უწყინარს,
ახლა ნეტა მიწყრის ვინა,
ბედმა რისთვის მიწყინა.

(მიეხლება აბაჟურს, ხმაურიანად აფარფატებს ფრთებს.)

ᲤᲐᲠᲕᲐᲜᲐ კოხტა კოხტა კოხტა ქვედა ქვედა ქვედა ქვედატანები.

(ზედა მარცხენა შემოსასვლელიდან გამოდის ჰენრი ფლაუერი, ორ მოსრიალე ნაბიჯს გადმოადგამს და სალონის ცენტრიდან მარცხნივ ჩერდება. მხრებზე შავი მოსასხამი აქვს მოგდებული და შუბლზე ფრთიანი სომბრერო აქვს ჩამოფხატული. ხელში ვერცხლისსიმებიანი ციმბალი და ბამბუკის გრძელტარიანი იაკობის ჩიბუხი უჭირავს, რომლის თიხის თავი ქალის თავის ფორმისაა. მუქი ხავერდის შემოტკეცილი შარვალი და ვერცხლის აბზინდიანი ლაკის ფეხსაცმელი აცვია. მაცხოვრის რომანტიკული სახე აქვს, ხვეული კულულები, თხელი წვერ-ულვაში. მისი წერის ფეხები და ბელურის ტერფები კანდიას თავადის, ტენორ მარიოსია. მაქმანის მანჟეტებს ისწორებს და ავხორცი ენით ისველებს ტუჩებს.)

ᲰᲔᲜᲠᲘ (გიტარის სიმებს ეხება და დაბალი ტკბილი ხმით ამბობს): აგერ ყვავილი აყვავებული.

(ვირაგი, მუქარის გამომხატველი სახით, კრიჭაშეკრული, ნათურას მიშტერებია. მოღუშული ბლუმი ზოუის ყელს უმზერს. გალანტური ჰენრი გაორებუ-

ლი ნიკაპის ქნევით პიანინოს მიუბრუნდება.)

სტივენი (თავისთვის): დახუჭული თვალით დაუკარი. მამიკოს მიბაძე. ღორების საჭმელი რქით ვივსებ მუცელს.[56] ეს კი მეტისმეტია. ავდგები წავალ ჩემს. კაცი იფიქრებს რომ ეს. სტივ, მოლიპულ გზას ადგიხარ. ბერიკაცი დიზი უნდა მოვინახულო ან დეპეშა გავუგზავნო. ჩვენმა დილანდელმა შეხვედრამ წარუშლელი კვალი დამიტოვა. თუმცა ჩვენი ასაკი. უფრო დაწვრილებით ხვალ მოგწერ. სხვათა შორის, ცოტა ნაღვინევი ვარ. (კვლავ შეეხება კლავიშებს.) ახლა მინორული აკორდი. დიახ, თუმცა არც ისე ძალიან.

(ალმიდანო არტიფონი ნოტების გრაგნილს აწვდის, თან ენერგიულად შეათამაშებს ულვაშებს.)

არტიფონი Ci rifletta. Lei rovina tutto.[57]

ფლორი გვიმღერე რამე. ძველი ტკბილი სატრფიალო.

სტივენი ხმა არ მაქვს. ჩამოწერილი ხელოვანი ვარ. ლინჩ, გაჩვენეთ წერილი ბარბითის შესახებ?

ფლორი (სულელურად ჩაიცინებს): ფრინველი, რომელსაც შეუძლია გალობა და არკი გალობს.

(სიამის ტყუპები, ფილიპ ზარხოში და ფილიპ ფხიზელი, ორი ოქსფორდელი მასწავლებელი, ფანჯრის ამბრაზურაში გამოჩნდებიან გაზონის საკრეჭებით შეიარაღებულები. ორივე მეთიუ არნოლდის სახით არიან შენიღბულნი.)

ფილიპ ფხიზელი მოდი, ჩემს სულელურ რჩევას დაუჯერე. კარგად არ არის საქმე. აიღე და ფანქრით იანგარიშე, სამაგალითო ახალგაზრდა კრეტინივით. შენ მიიღე სამი გირვანქა სტერლინგი და თორმეტი შილინგი, ორი ბანკნოტი, ერთი სოვერენი, ორი კრონი, სიჭაბუკემ რომ იცოდეს. მუნის ბარი ქალაქში, მუნის ბარი სანაპიროზე, მორასთან, ლარჩეტთან, ჰოლ სტრიტის საავადმყოფო, ბერკთან. ხომ ასეა? მე თვალს არ გაშორებ.

ფილიპ ზარხოში (მოუთმენლად): ეჰ, მორჩი კაცო. ჯანდაბას შენი თავი! არავისი მმართებს. ოღონდ ოქტავებში გავრკვეულიყავი. პირველების ფეორადი გაორება. ვინ მითხრა... იმისი სახელი? (მისი გაზონის საჯრეჭი აჭახჭახდა.) აჰა, დიახ. Zoe mou sas agapo.[58] თითქოს ადრეც ვყოფილვარ აქ. მხოლოდ როდის, იქნებ ატკინსონთან ერთად, საღლაც მისი სავიზიტო ბარათი მაქვს. მაკ ვიღაცა. ყოველ შემთხვევაში არა მაკინტოში. სულ იმაზე მელაპარაკებოდა, მოიცა, სუინბერნზე, არა?

ფლორი და სიმღერა?

სტივენი სული მხნეა, მაგრამ ხორცია უძლური.[59]

ფლორი შენ მეინუთი ხომ არ დაამთავრე? ვიღაცას მაგონებ, ერთ დროს რომ ვიცნობდი.

სტივენი უკვე ყველაფერი დავამთავრე. (თავისთვის.) ნამეტანი ჭკვიანური.

ფილიპ ზარხოში და **ფილიპ ფხიზელი** (მათი გაზონის საკრეჭები ჭახჭახებენ და ბალახის ღეროები გიჟურ როკვაში დაფარფატებენ): ჭკვიანი-ფხიანი. დავამთავრე-დაამთავრე. სხვათა შორის თან გვაქვს ის წიგნი, ის რაღაც, ის ხელჯოხი? ხო, აგერ, აქ არის. ჭკვიანი-ფხიანი. დაამთავრე უკვე. იყავი ფორმაში. მოგვბაძე.

ვირაგი სავსებით ლოგიკური საქციელი მისი თვალსაზრისით. ადამიანის და კაცობის დაცემა. (უკმეხად, თვალის გუგები უფართოვდება.) ეშმაკსაც წაუღია პაპი! არაფერია მზის ქვეშ ახალი. მე ის ვირაგი ვარ, რომელმაც ბერებისა და ქალწულების სქესობრივი საიდუმლოებანი ვამხილე. „მღვდელი, ქალი და საღსარებო“.[60] პენროუზი. ფლიბერტი ჯიბერტი.[61] (იკრუნჩხება.) ქალი ნაზად და მორცხვად იხსნის ლერწმის ქამარს და კაცის ლინგამს თავის სველ იონის სთავაზობს. ცოტა ხნის შემდეგ კაცი ჯუნგლების ნანადირევს მიართმევს ქალს. ქალი სიხარულს გამოხატავს და სხეულს ბუმბულითა და ტყავით იფარავს. კაცი დიდი გაშტრიკინებული ლინგამით შმაგად დაეუფლება მის იონის (ყვირის.) Coactus volui.[62] შემდეგ თავბრუდახვეულ ქალს გაქცევა უნდა. ღონიერი კაცი მაგრად ჩაავლებს ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯაში. ქალი წივის, იკბინება, იფურთხება. განრისხებული კაცი ფუმფულა იადგანაზე ურტყავს. (საკუთარი კუდის დაჭერას ცდილობს.) პიფფპაფ! პოპო! (ჩერდება, აცემინებს.) აფცი! (დუმას ისრესს.) პრრრრპტ!

ᲚᲘᲜᲩᲘ: იმედია ქვემოდან მოქცეულ წმინდა მამას, ეპიტალამა დაედო: ცხრაჯერ მამაო ჩვენო.

ᲖᲝᲣᲘ (ცხვირიდან ლომვეშაპის ულვაშებივით გამოუშვებს თუთუნის ბოლს): დადების თავი ვის ჰქონდა. მხოლოდ რაღაც შეგრძნების მაგვარი. მშრალად.

ᲑᲚᲣᲛᲘ: საბრალო კაცი!

ᲖᲝᲣᲘ (უდარდელად): სულ თავისი ბრალია.

ᲑᲚᲣᲛᲘ: ეს როგორ?

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (სახე ეშმაკის ხახად ეკრუნჩხება, საიდანაც შავი ნათება გამოკრთის. ძვლოვანი კისერი წინ გამოუგდია. ურჩხულის დინგს აწევს და ყმუის): Verfluete Goim![63] მაგას მამა ჰყავდა, ორმოცი მამა. თავად არასოდეს არსებობდა. ღორების ღმერთი! ორი მარცხენა ფეხი ჰქონდა. ის იყო იუდა იაკხონი, ლიბიელი საჭურისი[64], პაპის ნაბიჭვარი. (მოკრუნჩხულ წინა თათებზე ეშვება, მოხრილი იდაყვები გაუქვავდა, თვალი აგონიაშია მის ბრტყელ კისერთან შერწყმული ქალის შიგნით და დადუმებულ სამყაროს მისი ყმუილი გადაევლება თავს.) კახპის ნაშიერი. აპოკალიფსი.

ᲙᲘᲢᲘ: მერი შორტალმა კი სიფილისი აიკიდა ცისფერკეპიანი პიჟონი ჯიმისაგან და ვენერიულ საავადმყოფოში მოხვდა, შვილი გაუჩნდა მისგან, რომელსაც ყლაპვა არ შეეძლო, სპაზმებმა დაახრჩო ლოგინში და ჩვენ ყველამ ფული დავდეთ მის დასამარხად.

ᲤᲘᲚᲘᲞ ᲖᲐᲠᲮᲝᲨᲘ (მკაცრად):

ᲤᲘᲚᲘᲞ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ (მხიარულად):

Qui vous a mis dans cette fichue position, Phîlippe!

C' etait Le Sacre pigeon, Phîlippe.[65]

(კიტი დინჯად იძრობს ქუდიდან ქინძისთავებს, მოიხდის და მაგიდაზე დებს, ინით შეღებილ თმას ისწორებს. უფრო კოპწია, კოხტა კულულებიანი მოხდაილი თავი კახპას მხრებზე. ჯერ არავის ენახა. ლინჩი მის ქუდს ეხურავს, კიტი მოაძრობს.)

ᲚᲘᲜᲩᲘ (იცინის): ასეთივე სიამოვნებით დააჯილდოვა მეჩნიკოვმა ადამიანის მსგავსი მაიმუნები აცრებით.

ᲤᲚᲝᲠᲘ (თავს იქნევს): ლოკომოტორული ატაქსია.

ᲖᲝᲣᲘ (მხიარულად): ოო, სადაა ჩემი ლექსიკონი.

ᲚᲘᲜᲩᲘ: სამი ბრძენი ქალწული.

ᲕᲘᲠᲐᲒᲘ (ციებაატანილივით ცახცახებს, ყვითელი ქვირითი ქაფდება მის თხელ ეპილეპტიკურ ტუჩებზე): ეგ სასიყვარულო ჯადოთი, თეთრი ცვილით, ნარინჯის ყვავილით ვაჭრობდა. პანთეროსმა, რომელმა კენტურიონმა, წაბილწა იგი თავისი შვილიანობის იარაღით. (ნორიელის მთრთოლავ, ფოსფორული შუქით მოციმციმე ენას გამოყოფს, ხელი საზარდულზე უდევს.) მესია! ყურის აპკი გაუგლიჯა. (პავიანის ველური ყივილითა და ურცხვი სპაზმებით ათამაშებს თეძოებს.) ჰიკ! ჰეკ! ჰაკ! ჰოკ! ჰუკ! კოკ! კუკ!

(ბენ ზონზროხა დოლარდი, ლაჟღაჟასახოსანი, მკლავკუნთიანი, ნესტოთმიანი, ხშირწვეროსანი, დიდყურა, მკერდბანჯგვლიანი, ფაფარგაჩეჩილი, ძუძუსრული, წინ გამოდის, მთელი თავისი ავლა-დიდება შავ საბანაო ტრუსებში აქვს ჩატენილი.)

ᲑᲔᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲓᲘ (დიდრონ მსუქან თათებში კასტანეტებს აჩხარუნებს, მხიარულ ტიროლურ რულადებს ახვევს თავისი ბას-ბაყბაყტონით): ოდეს ჩემს სულს იპყრობს მარად მგზნებარეს.

(ქალწულებმა დაი კელახმა და დაი ქვიგლიმ რინგის მსახურთა და ბაგირის კორდონი გადალახეს და მკლავგაშლილნი ეცნენ მას.)

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲜᲘ (სასოებით): დიდო ბენ! ბენ ჩემო გულო!

ᲔᲛᲐ: ერთი ეგ ვაჟი დაიჭირეთ, უაზრო შარვალი რომ აცვია.

ᲑᲔᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲓᲘ (სიცილი ახრჩობს, თან მაგრად ირტყავს ხელს ბარძაყზე): დაიჭით, დაიჭით.

ჰენრი (ქალის მოკვეთილ თავს გულზე იხუტებს, ჩურჩულებს): გული შენი, ტრფიალო ჩემო. (ჩანგის სიმებს ჩამოკრავს ხელს.) ოდეს პირველად ვიხილე...

ვირაგი (კანს იცვლის, მისი მდიდარი შებუნბულობა ფერმკრთალდება): სისულელეა! (ამთქნარებს, ნახშირივით შავ ხახას დააფჩენს, მერე პერგამენტის გრაგინლის ქვემოდან ამორტყმით ყბებს დახურავს.) ეს რომ ვთქვი აიღე და წავედი. ნახვამდის, კარგად მენახე.

(ჰენრი ფლაუერი სასწრაფოდ ივარცხნის წვერ-ულვაშს ჯიბის სავარცხლით, თითებზე დაიფურთხებს და თმას გადაიგლისავს. დაშნის პირს მიყვება კარისაკენ, მოურჯულებელი არფა ზურგზე ჰკიდია. ვირაგი ოჩოფეხების ორი მოუქნელი ნახტომით აღწევს კარამდე, კუდაბზეკილი, გზად მოყვითალო-ჩირქისფერ ფურცელს კედელზე მარჯვედ მიატყეპებს თავით.)

ფურცელი: კ. II. აბრებს ხუ აკრავთ. სრულიად კონფიდენციალურად. დოქტორი ჰაი ფრენკსი.

ჰენრი: ყველაფერი დაიღუპა.

(ვირაგი მკვირცხლად მოიხსნის თავს და იღლიაში ამოიჩრის.)

ვირაგის თავი: თაღლითი!

(სათითაოდ გადიან.)

სტივენი (ზოუის, ნახევრად ძიბრუნებული): შენ იმ მებრძოლ პასტორს ამჯობინებდი, პროტესტანტ-ერეტიკოსს. მაგრამ ერიდე ანტისთენეს, ძაღლ ბრძენს, და არიუს ერესიარქის[67] სიცოცხლის უკანასკნელ წამებს. აგონია ფეხსალაგში.

ლინჩი: მაგისთვის ყველა ღმერთი ერთია.

სტივენი (ღვთისმოშიშრად): და უზენაესი უფალი მპყრობელი ყოვლისა.

ფლორი (სტივენს): დარწმუნებული ვარ, გაკრეჭილი მღვდელი ხარ. ან ბერი.

ლინჩი: დიახაც. კარდინალის შვილი.

სტივენი: კარდინალური ცოდვის შვილი. კორპსაძრობის ორდენის ბერი.

(მისი უწმინდესობა საიმონ სტივენ კარდინალი დედალოსი, სრულიად ირლანდიის პრიმასი, კარის დირეზე გამოჩნდება, წითელ სუტანაში, სანდლებში და წინდებში გამოწყობილი. შვიდ მაიმუნისმსგავს ჯუჯას [illegible] ცოდვებს, რომელთაგან [illegible] ფოლები აცვიათ, მისი მოსასხამის ბოლო უჭირავთ და ცდილობენ ქვევიდან შეუჭყიტინონ. თავზე დაჭმუჭნილი, გვერდზე მოქცეული აბრეშუმის ცილინდრი ახურავს. ცერი თითები იღლიებში აქვს ამოდებული, ხელისგულები წინ გაშვერილი. კისერზე ბოთლის საცობების კრიალოსანი ჰკიდია, რომელიც მის მკერდზე კორპსაძრობი-ჯვრით ბოლოვდება. ცერ თითებს ითავისუფლებს, ფართო ჟესტიკულაციით ზეციურ მადლს უხმობს და საზეიმოდ, მაღალფარდოვნად აცხადებს.)

კარდინალი:

კონსერვიოა ტყვედ ქმნილი,
კედლები აკრავს ვიწრონი,
ხელ-ფეხზე რომ აქვს ბორკილი,
თითქმის სამ ტონას იწონის.

(წამით ყველას შეხედავს, მარჯვენა თვალი მაგრად მოუხუჭავს და მარცხენა ლოყა გამოუბერია. მხიარულებას ვერ იოკებს, დოინჯშემოყრილი აქეთ-იქით ქანაობს და მსუყე დარდიმანდული სიხალისით წაიმღერებს):

ნელ ფლეეტის იხვი, საბრალო,
პატარა,
ნაზი თათები ყვითლად რომ ატარა,
იყო პუტკუნა, მსუქანი, მარდი,
მან არ იცოდა რა იყო დარდი.
ველურმა ვინმემ საცმუცნად
მხოლოდ
ფლეეტის იხვუნას მოუღო ბოლო.

(კოღოების ურდო თეთრად შესევია მის ტანსაცმელს. გადაჯვარედინებული ხელებით ბეჭებს იფხანს, თან იმანჭება და წამოიყვირებს): ჯოჯოხეთურ ტკივილს ვიტან, მოროშილ მიდებ-მოდებას ეციფავ, იესოს უნდა ვუმადლოდეთ, ეგ სასაცილო კაცუნები ერთსულოვანი რომ არ არიან. და რომ იყვნენ, გუდა-ნაბადს ამიკრავდნენ ამ ჩვენი შეჩვენებული სფეროდან. (თავი გვერდზე აქვს გადაგდებული, შუა და საჩვენებელი თითების

სწრაფი მოძრაობით კურთხევას არიგებს, საალდგომო კოცნას უნაწილებს ყველას და ფეხს ფეხზე კომიკურად შემოჰკრავს ორჯერ, თან ცილინდრს აქეთ-იქით აქანავებს და გამალებით პატარავდება თავისი პაჟების ზომამდე. ჯუჯა მედავითნეები ხითხითებენ, უჭვრიტინებენ, ჯიკაობენ, მიბნედილი თვალებით შესცქერიან და საალდგომო კოცნას უგზავნიან ერთმანეთს, თან ზიგზაგებით მისდევენ უკან. მისი ხმა შორიდან მოისმის, დამტკბარი, მოწყალე, მამაკაცური, მელოდიური):

ჩემს გულს მოჰბერავს შენთან,

ჩემს გულს მოჰბერავს შენთან,
და ღამის ნაზი სიო
ჩემს გულს მოჰბერავს შენთან!

(კარის საიდუმლო სახელური გადატრიალდება.)

ᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲣᲠᲘ: შშშეენ!

ᲖᲝᲣᲘ: იმ კარში ეშმაა.

(მამაკაცის ფიგურა ჭრაჭუნა კიბეზე ჩამოდის და ისმის როგორ ჩამოხსნის ლაბადასა და ქუდს საკიდიდან. ბლუმი თითქოს თავისდაუნებურად დაიძრება ადგილიდან, გზად ნახევრად მიხურავს კარს, ჯიბიდან შოკოლადს ამოიღებს და ნერვიულად შესთავაზებს ზოუის.)

ᲖᲝᲣᲘ (ხუმრობით თმას დაუყნოსავს ბლუმს): ჰმმ! მადლობა გადაეცი დედაშენს შენი რაღაცეებისთვის. მე ძალიან მიყვარს ის, რაც მომწონს.

ᲑᲚᲣᲛᲘ (კახპებთან მოლაპარაკე მამაკაცის ხმა მოისმის პარმალის საფეხურიდან და ყურებს ცქვიტავს): ის რომ იყოს? მერე? თუ იმიტომ ხომ არა? ან იქნებ ორივე ერთად?

ᲖᲝᲣᲘ (ფოლგას გახევს): თითები ჩანგალზე ადრე მოიგონეს. (პატარა ნაჭერს მოიტეხს და ღრღნის, მეორე ნაჭერს კიტი რიკეტსს აწვდის და კეკლუცად მიმართავს ლინჩს.) ფრანგულ აბს ხომ არ ინებებთ? (ის თავს დაუქნევს. ზოუი აღიზიანებს.) ახლა მოგცე თუ მერე? (ის პირს აღებს, თავს მაღლა სწევს. ზოუი სატყუარას მარცხნივ ატრიალებს. მისი თავიც აქით ტრიალდება. მერე უკან, მარჯვნივ წრიულად. ლინჩი უყურებს.) დაიჭი!

(ზოუი ნაჭერს გადაუგდებს. ის ბალლებით იჭერს და ხმაურით ჩაკბეჩს.)

ᲙᲘᲢᲘ (თან ღეჭავს): იმ ინჟინერს ბაზრობაზე რომ ვიყავით ერთად, უკეთესები აქვს. საუკეთესო ლიქიორიანები. მეფის ნაცვალიც იქ იყო მეუღლითურთ. ტოფტის კარუსელზე რომ დრო ვატარეთ, ტყუილია. ახლაც თავბრუ მესხმის.

ᲑᲚᲣᲛᲘ (სვენგალის[68] ბეწვის ქურქში, ნაპოლეონის კულულით, გულზე ხელდაკრეფილი, მუცელმოგვი-ექსორსისტივით შუბლშეჭმუხნული. არწივისებრი მზერა აქვს მიპყრობილი კარისაკენ. შემღეგ, წელში გამართული სწრაფად ასრულებს პასებს გაშვერილი მბრძანებლური თითებით, მარჯვენა ხელს მოწყვეტით მოიშორებს მარცხენა მხარიდან და ლოჟის ოსტატის ნიშანს იძლევა): განვედ, განვედ, განვედ, გიბრძანებ, ვინც არ უნდა იყო!

(გარედან მამაკაცის ჩახველება და მიმავალი ნაბიჯების ხმა მოისმის ნისლში. ბლუმის სახის ნაკვთებს სიმშვიდე დაეუფლება. ხელს ჟილეტის ჯიბეში ჩაიდებს და თავისუფალ, ძალდაუტანებელ პოზაში დგება. ზოუი შოკოლადს სთავაზობს.)

ᲑᲚᲣᲛᲘ (სერიოზულად): გმადლობთ.

ᲖᲝᲣᲘ: გააკეთე რასაც გეუბნებიან, აიღე!

(კიბეზე ქუსლების გვარიანი ბაკა-ბუკი გაისმის.)

ᲑᲚᲣᲛᲘ (შოკოლადს ართმევს): აღმგზნებია? ცირცელი და პიტნა. მაგრამ მე ხომ ვიყიდე. ვანილი დამაწყნარებელია ოუ? მნემო, გაფანტული სინათლე მეხსიერებასაც ფანტავს. წითელი ფერი ზემოქმედებს მჭამელაზე. ფერები გავლენას ახდენენ ქალების ხასიათზე იმდენად, რამდენადაც მათ ასეთი რამ გააჩნიათ. ეს შავები ძალიან დამაღონებელია. მირთვი და ილაღე ვიდრე ხვალ. (ჭამს). გემოზეც მოქმედებს, მოვარდისფრო. მაგრამ მე რამდენი ხანია რაც არ. თითქოს ახალი რაღაცაა. აღგზ. ის მღვდელი. უნდა გამოვიდეს. სჯობს გვიან ვიდ-

რე არასდროს. ენდრიუსთან თირკმელა სოკო გავსინჯო.

(კარი იღება. შემოდის ბელა კოუენი, საროსკიპოს გათქვირებული პატრონესა. სპილოსძვლისფერი გრძელი ფოჩებიანი კაბა აცვია და თავს რქის მარაოს სწრაფი მოძრაობით იგრილებს როგორც მინი ჰოკი „კარმენში". მარცხენა ხელზე საქორწინო ბეჭედი და მისი დასამაგრებელი მეორე ბეჭედიც უკეთია. თვალები ჭარბად აქვს მოხატული. ულვაში წამოზრდია. მსხვილნაკვთოვანი ზეთისხილისფერი სახე აქვს, ოდნავ ოფლიანი და მონარინჯისფრო ნესტოებიანი ზორბა ცხვირით. ყურებზე ბერილის დიდი საყურეები ჰკიდია.)

ბელა: საშველი აღარ არი! ნეხვივით ავშმორდი.

(წყვილებს ათვალიერებს. მერე დაჟინებით მიაშტერდება ბლუმს. მისი დიდი მარაო გახურებულ სახეკისერს და სხეულის მსუქან-მსუქან ნაწილებს უნიავებს. ქორის თვალები უბრწყინავს.)

მარაო (ჯერ აფარფატდება, მერე ნელა): ვგონებ ცოლიანი ხარ.

ბლუმი: დიახ. ნაწილობრივ, სადღაც მიმეკარგა...

მარაო (ოდნავ გაიშლება და კვლავ დაიკეცება): და ქალბატონია მთავარი. ლეჩაქის ყურზე ხარ გამობმული, არა?

ბლუმი (დარცხვენილი ჩაცინებით იატაკს დააშტერდება): ასეა.

მარაო (დაიკეცება და ბელას მარცხენა საყურესთან მოყუჩდება): ხომ არ დამივიწყე?

ბლუმი: ხოა. რა.

მარაო (ბელას წელთან დოინჯად მოკეცილი): ის მე არის შენ ოცნებობდი ადრე რომელზეც? და იყვნენ მაშინ ისინი შენ ჩვენ გვიცნობ მას შემდეგ? ვარ ყველა ისინი და იგივე ახლა მე?

(ბელა უახლოვდება, ნაზად უტყაპუნებს მარაოს.)

ბლუმი (შეკრთება): ძალუმი არსება. ჩემს თვალებში ამოიკითხა ის თვლემა, ქალებს ასე რომ უყვართ.

მარაო (ტყაპუნით): ჩვენ შეეხვდით ერთმანეთს. ჩემი ხარ [illegible] ბედისწერაა.

ბლუმი (მორჩილად) [illegible] ქალი. დაუოკებლად მწადდა და ველოდი როდის გაბატონდებოდა ჩემზედ. დავიქანცე, მიტოვებული ვარ, აღარც ახალგაზრდა. მე ვდგავარ, ასე ვთქვათ, გაუგზავნელი წერილით ხელში ადამიანური არსებობის მთავარი ფოსტამტის უსაშველოდ დაგვიანებული კორესპონდენციის საფოსტო ყუთთან. სწორი კუთხით გაღებული კარი და ფანჯარა წამში ოცდათორმეტი ფუტის სიჩქარის ორპირ ქარს წარმოქმნის, ვარდნილი სხეულების კანონის თანახმად. სწორედ ახლა ვიგრძენი მარცხენა საჯდომ კუნთში იშიაზის შემოტევა. გვარში მოგვდგამს. საბრალო მამა, ღაქვრივებული, ამის გამო ნამდვილი ბარომეტრი იყო. მას სწამდა, რომ ცხოველის სითბო შველოდა. ზამთარში კატის ბეწვგამოკრულ ჟილეტს ატარებდა. აღსასრული რომ მოახლოვდა, მეფე დავითი და აბიშაგ შუნამელი[69] გაიხსენა და საწოლში ატოსს იწვენდა, სიკვდილის შემდეგაც მის ერთგულ არსებას. ძაღლის ნერწყვი, როგორც თქვენ ალბათ... (შეკრთება.) ოჰ!

რიჩი გულდინგი (ხელჩანთით დამძიმებული კარებში შემოდის): დაცინვა გადამდებია. ყველაზე იაფი და პირიანი მთელს დუბლინში. თავადების საკადრისი. ღვიძლი და თირკმელი.

მარაო (ტყაპუნით): ყველაფერს თავისი ბოლო აქვს. ჩემი იყავი. ახლავე.

ბლუმი (ყოყმანით): ყველაფერი ახლავე? თილისმა არ უნდა გამეშვა ხელიდან. წვიმა, ზღვის კლდოვან ნაპირზე წოლა ნამიანობისას, ჩემს ასაკში ასეთი დაუდევრობა. ყოველ მოვლენას ბუნებრივი გამომწვევი მიზეზი გააჩნია.

მარაო (დინჯად მიანიშნებს ქვემოთ): შენ შეგიძლია.

ბლუმი (დაიხედავს და ბელას ფეხსაცმლის შეხსნილ თასმას დაინახავს): გვიყურებენ.

მარაო (სწრაფად მიანიშნებს ქვემოთ): შენ უნდა.

ᲑᲚᲣᲛᲘ (თან უნდა, თან არა): შემიძლია კარგა მაგრად გავკვანძო. კელეტთან საფოსტო განყოფილებაში დამხმარედ რომ ვმუშაობდი, მაშინ ვისწავლე. ხელი გავიწაფე, ჩემი კვანძი არის განძი. ნება ნიბოძეთ. პატივი დამდეთ. მე ერთხელ უკვე დავიჩოქე დღეს. ოჰ!

(ბელა ოდნავ აიწევს კაბას, მოსახერხებელ პოზაში დგება, სკამის კიდეზე შემოდგამს ცხენის მასიურ კიდურს ზონარგაყრილი მაღალყელიანი ფეხსაცმლითა და კოჭჩლიქზე დაჭიმული აბრეშუმის წინდით. ცხოვრების დაღმართზე დაქანებული ბლუმი მის ჩლიქთან ფეხებგაშეშებული დაიხრება და ნაზი თითებით ზონარს უკრავს.)

ᲑᲚᲣᲛᲘ (გრძნობით ბურტყუნებს): მენსფილდთან ფეხსაცმლის მომზომებლად მუშაობა ჩემი ყმაწვილკაცობის საყვარელი ოცნება იყო, ღილების შეკვრის ტკბილი სიამენი, ზონარის ჯვარედინად გაყრა მუხლამდე, ტყავის კოპწია ფეხსაცმელი, ასეთი დაუჯერებად პაწია, კლაიდ როუდის ბანოვანებისათვის. რაიმონდას, მათი ცვილის მანეკენსაც მოვინახულებდი ხოლმე ყოველ დღე, ისეთ აღტაცებას იწვევდა ჩემში მისი, პარიზელთა საყვარელი, აბლაბუდა წინდები და წინ გამოწეული, მატიტელას ფურცლებივით კოპწია, თითი.

ᲩᲚᲘᲥᲘ: დაყნოსე ჩემი მხურვალე თხისტყავი. შეიგრძენი ჩემი მეფური წონა.

ᲑᲚᲣᲛᲘ (ზონარს უყრის): ძალიან ხომ არ მოგიჭირეთ?

ᲩᲚᲘᲥᲘ: არ აურიო, შე ხელუმარჯვოლოქო შენა, თორემ მაგრა მოხვდება მაგ შენ რაგბის ბურთს.

ᲑᲚᲣᲛᲘ: მთავარია საჭირო ნახვრეტში გაუყარო ზონარი. არ შემეშალოს, როგორც იმ საქველმოქმედო მეჯლისზე დამემართა. ცუდი ნიშანია. მაგას უადგილო ადგილას აქვს დუგმა... თქვენ რომ ქალი ახსენეთ, იმას. იმ საღამოს შემხვდა... ინებეთ!

(კრავს ზონარს. ბელა იატაკზე დგამს ფეხს. ბლუმი ხელს ასწევს. ბელას მძიმე სახე, მისი თვალები ბლუმს პირდაპირ წარბებშუა ეფეთება. თვალები ემღვრევა, ებინდება, უცვივდება, ცხვირი-ებუშტება.)

ᲑᲚᲣᲛᲘ (გაურკვეველად ბურდღუნებს): თქვენი შემდგომი განკარგულებების მოლოდინში, ბატონებო, ვრჩებით მუდამ თქვენი მონა-მორჩ...[70]

ᲑᲔᲚᲝ (ბარიტონით, ბასილისკოს დაუნდობელი მიშტერებით): წუნკალი ქოფაკი!

ᲑᲚᲣᲛᲘ (შეყვარებული ხმით): დედოფალი!

ᲑᲔᲚᲝ (დამძიმებული ლოყები ჩამოეწია): მრუში ბაყვების თაყვანისმცემელი!

ᲑᲚᲣᲛᲘ (მტირალა ხმით): ვეებერთელა!

ᲑᲔᲚᲝ: ქაქიჭამია!

ᲑᲚᲣᲛᲘ (თითქმის მთლიანად მოდუნებული): ჩინებულება!

ᲑᲔᲚᲝ: დაემხე! (ქალ-ბლუმს მარაოს უტყაპუნებს ბეჭზე): მუხლი მოხარე! მარცხენა ფეხი უკან! წაიქცევი. იქცევი. ხელებზე დაემხე!

ᲑᲚᲣᲛᲘ (ქალ-ბლუმი თვალებს ნაბავს თაყვანისცემის ნიშნად, მერე ხუჭავს): ტრუფელები!

(ბნედიანის გამკივანი ყვირილით ქალ-ბლუმი ოთხ ფეხზე დაეცემა, ღრუტუნებს, ქშენს, ბელოს ფეხებთან მიწას ჩიჩქნის. მერე წვება, თავს მოიმკვდარუნებს, დახუჭული თვალებით, მთრთოლვარე ქუთუთოებით, სამაგალითო ოსტატობით.)

ᲑᲔᲚᲝ (მოკლედ შეკრეჭილი თმა, ღაჟღაჟა ღაბაბი, გაპარსული პირის გარშემო ჩაშირი ულვაში; მთიულის გამაშები, მწვანე, ვერცხლისფერღილებიანი კამზოლი, სპორტული პერანგი აცვია, შოტლანდიური კაკბის ფრთით მორთული ალპიური ქუდი ახურავს, ხელები ღრმად აქვს ჩაყოფილი შარვლის ჯიბეებში; ფეხს ადგამს კისერზე ქალ-ბლუმს და რაც ძალი და ღონე აქვს ქუსლს აჭერს): იგრძენი მთელი ჩემი სიმძიმე. თავი დახარე, ყურმოჭრილო მონავ, შენი მბრძანებლის ძლევამოსილ, ამაყი შემართებით აკიაფებული ქუსლ-ტახტრევნის წინაშე.

ბლუმი (ცხვარივით მორჩილად): ვფიცავ, ვერასოდეს გავბედავ ურჩობას.

ბელო (ხმამაღლა იცინის): შე არიფო შენა! არც კი იცი რა გელის. მე ის ტარტაროზი ვარ ანდერძს რომ აგიგებ, გაგგლიჯავ! კენტაკის კოკტეილზე ვეპატიჟები ყველას, თუ არ გამოგიბერტყე მაგ გოგრიდან მთელი შენი ოინბაზობა, ჩემო ბიჭუნი. აბა ერთი სცადე და გაბედე. და თუ გაბედავ, წინასწარ ძრწოდე გიმნასტიკურ ტრიკოში ქუსლის დისციპლინის მოლოდინში.

(ბლუმი ტახტის ქვეშ ძვრება და ფოჩებს ქვემოდან იჭყიტება.)

ზოუი (ქალ-ბლუმის დასაფარად კაბის ბოლოს გააფარფაშებს): აქ არ არის.

ბლუმი: მანდილოსანი ბლუმი აქ არ არის.

ფლორი (კაბის კალთას გადააფარებს): არა, ამას არ გულისხმობდა, ბ-ნო ბელო. გამოსწორდება, სერ.

კიტი: შეუნდეთ, ბ-ნო ბელო. უთუოდ შეუნდობთ, მადამსერ.

ბელო (შეპარვით): მოდი, გენაცვალე, სიტყვა უნდა გითხრა, ძვირფასო. მხოლოდ სასჯელს დაგიწესებ, მორჩა და გათავდა. მცირედი გულითადი ბაასი, ჭირიმე. (ქალ-ბლუმი გაუბედავად გამოყოფს თავს). აი, ჭკვიანი ცუგრუმელა. (ბელო გაშმაგებით ჩაავლებს თმაში ხელს და გამოათრევს). მხოლოდ შენივე სასიკეთოდ მინდა გამოგასწორო. აბა, რასა იქმს შენი რბილი, ნაზი ტაკუნა? ოო, ასეთი ფაფუკი, სანუკვარი. მოემზადე.

ბლუმი (გული მისდის): არ გამიხიოთ...

ბელო (ველურად): გასუნებინებ ცხვირში რგოლს, მარწუხს, როზგს, სახრჩობელას მარყუჟს, მათრახს ფლეიტის ჰანგზე რომ გაცეკვებ ძველი ნუბიელი მონასავით. ამჯერად ჩავარდი და მიიღებ კიდეც! სიცოცხლის ბოლომდე დაგამახსოვრებინებ თავს. (შუბლის ძარღვები ებერება, სახეში სისხლი მოაწვება.) ყოველ დილას ოტომანუნაგირზურგზე დაგაჯდები, როცა მასტერსონის მსუქანი შემწვარი ღორის ხორცის და ერთი ბოთლი გინესის პორტერის გემრიელ საუზმეს მოვრჩები. (აბოყინებს.) თან ბარაქიან სიგარას მოვწუწნი და „ბატენტიან მიკიტანთა გაზეთს“ ეწაფეთხავ. ბარარის გამორიცხული, რომ ჩემს ბაკში დაგკლან, გოჭივით შამფურზე შეგბრაწონ და პირდაპირ ფურნაკიდან პატარ-პატარა ნაჭრებად ჩაგახრამუნო ბრიჯნითა და ლიმნით ან მოცხარს საწებელით. ძალიან გეტკინება.

(ქალ-ბლუმს მკლავს უგრეხს. ბლუმი წივის და პირაღმა ეცემა.)

ბლუმი: ნუ მაწვალებთ, მოწყალეო დაო! ნუ!

ბელო (უგრეხს): კიდევ!

ბლუმი (კივის): ოო, ეს ჯოჯოხეთია! საშინლად მტკივა თითოეული ძარღვი!

ბელო (ყვირის): ძალიან კარგია, იმ პამპულა გენერლის სახელს ვფიცავ! უკანასკნელი ექვსი კვირის მანძილზე ამაზე სასიამოვნო არაფერი მსმენია. ჰოდა, ეშმაკსაც წაულიხარ, ნუღა მალოდინებ! (სილას გააწნის ქალ-ბლუმს.)

ბლუმი (ყმუის): თქვენ ცემას მიპირებთ. მე ვიტყვი...

ბელო: დაიჭირეთ, გოგოებო, უნდა მოვაჯდე.

ზოუი: ჰო. გადაუაროთ. მინდა.

ფლორი: მეც მინდა. ნუ მსუნაგობ.

კიტი: არა, მე. დამითმეთ.

(კარებში გამოჩნდება საროსკიპოს მზარეული, ქ-ნი კიოუ, სახედანაოჭებული, ჭაღარა, გაქონილი წინსაფრით, კაცის ნაცრისფერი და მწვანე წინდები და ფეხსაცმელი აცვია, ფქვილშია ამოგანგლული, დაკაპიწებულ წითელ ხელში ცომაკრული საგორავი უჭირავს.)

ქ-ნი კიოუ (მრისხანედ): ჩემი დახმარება ხომ არ გჭირდებათ? (ხელს სტაცებენ და გაკოჭავენ ბლუმს.)

ბელო (ხვნეშით მოთავსდება ბლუმის სახეზე, სიგარას აბოლებს, ზანტად ჭიმავს მსუქან ფეხს): გავიგე კიტინგ კლეი რიჩმონდის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ აურჩევიათ და სხვათა შორის გინესის აქციები ფიქსირებული დივიდენტით თექვსმეტ და სამ მეოთხედად ფასობს. დიდი სისულელე მომივიდა ის პაკეტი რომ არ შევი-

ძინე როცა კრეიგი და გარდნერი მირჩევდნენ. სულ ჩემი ჯოჯოხეთური იღბლის ბრალია, ეშმაკმა დალახვროს. და ის წყეული აუტსაიდერი „მოწოდება“, ოცეერთზე რომ დაითრია. (გაბრაზებით აქრობს სიგარას ბლუმის ყურზე.) სად ჯანდაბაშია საფერფლე?

ᲑᲚᲣᲛᲘ (გაღიზიანებული, დუმადარბიდებული): ვაი! ვაი! ურჩხულებო! დაუნდობელო!

ᲑᲔᲚᲝ ყოველ ათ წუთში ერთხელ ითხოვე პატიება. შემეეედრე. ილოცე ისე, როგორც არასოდეს. (სახეში ბრაწსა და მყრალ სიგარას სჩრის.) აჰა, აკოცე ამას. ორივეს. აკოცე. (გადააჯდება, მხედრულად მოუჭერს ფეხებს და გამკივანი ხმით დაიძახებს.) აჩუ, აჩუ, პირდაპირ ეკლიფსის დოლზე. (გადაიწევა და ცხენის საზარდულს მაგრად ჩაეჭიდება, ყვირის.) ჰაი-ჰო! მე შენ მოგივლი. (უნაგირზე ხტის.) აჩუ, აჩუ, ცხენო, საით გაგა-გაგა-გაგა, გაგა-გაგა-ჭენო.

ᲤᲚᲝᲠᲘ (ბელოს ეჯაჯგურება): ახლა მე შემსვი. გეყოფა. შენზე ადრე ვითხოვე.

ᲖᲝᲣᲘ (ფლორის ეჯაჯგურება): მე. მე. შენ რა, ჯერ ვერ მოუღე ბოლო, შე წურბელავ?

ᲑᲚᲣᲛᲘ (მძიმედ ხვნეშის): აღარ შემიძლია.

ᲑᲔᲚᲝ: არა, ჯერ ვერა. მოიცა. (სუნთქვას იკავებს.) ჭირი ამას. ლამის საცობი გამომვარდეს. (უკანიდან საცობს გამოიძრობს: მერე, სახე შეეჭმუხნება და გვარიანად აკუებს.) ესეც შენ! (კვლავ დაიცობს საცობს.) დასწყევლოს ეშმაკმა, თექვსმეტი და სამი მეოთხედი.

ᲑᲚᲣᲛᲘ (მთელ ტანზე ოფლი ასხამს): კაცი არა. (იყნოსავს.) ქალი.

ᲑᲔᲚᲝ (დგება): გეყო მატრაბაზობა. რაზეც ოცნებობდი, აგისრულდა კიდეც. ამასიქით განკაცებული ხარ, მთლიანად ჩემს საკუთრებას წარმოადგენ, ულელდადგმული პირუტყვი ხდები. ახლა რაც შენს გამასწორებელ ტანსაცმელს შეეხება. შენ უნდა განიძრო მამაკაცის სამოსი. გესმის, რუბი კოუენ? და მიიღებ საუცხოო აბრეშუმეულს, თავზე და მხრებზე შარაშურით რომ იცმევა, თანაც დაუყოვნებლივ!

ᲑᲚᲣᲛᲘ (იკრუნჩხება): აბრეშუმიო, ბრძანა პატრონესამ! ოო, მოშრიალე, ძოტკაცუნე! ფრჩხილებიც უნდა მივაკარო?

ᲑᲔᲚᲝ (თავის როსკიპებზე მიუთითებს): როგორებიც ახლა ესენი არიან, ისეთი იქნები შენც, პარიკიანი, დახუჭუჭებული, სუნამოშესხურებული და გაპუდრული, სუფთად გაპარსული იღლიებით. ზომებს ზედ კანიდან აგიღებენ. ულმობლად შემოგიჭერენ ბორკილებივით ვიწრო, მტრედისფერი რბილი ტიკის, ვეშაპის ულვაშის კორსეტს, მთლად ბოლომდე, ალმასებით მორთულ მენჯამდე, და შენს შესუქებულ ტანს კი შემოტკეცილი კაბებითა და კოხტა მსუბუქი რუშებიანი ქვედატანებით შემოსავენ და ყველაფერ ამას, რაღა თქმა უნდა, ზედ ჩემი ფირმის იარლიყი ეკერება, საუკეთესო თეთრეული ელისისათვის და ნატიფი სუნამო ელისისათვის. ელისი თავს აკაზმულად იგრძნობს. მართასა და მარიამს ერთხანს ცოტა არ იყოს და შესცივდებათ თეძოების ასეთ დელიკატურ შესამოსელში, ჰაეროვანი მაქმან-რუში შენს შიშველ შუბლზე გაგახსენებს, რომ...

ᲑᲚᲣᲛᲘ (მომხიბლავი სუბრეტი, რომელსაც წათხიპნილი ლიყები, მდოგვისფერი თმა, დიდრონი მამაკაცური ხელები და ცხვირი, ავხორცი პირი აქვს): მე მხოლოდ ორჯერ ვცადე მოლის ტანსაცმლის მორგება, ხუმრობით, ჰოლზ სტრიტზე. როცა გვიჭირდა, მე ვრეცხავდი ხოლმე, სამრეცხაოს ხარჯები რომ აგვერიდებინა. ჩემს პერანგებს თავად გადავტრიალებდი ხოლმე. წმინდა წყლის ხელმომჭირნეობა გახლდათ.

ᲑᲔᲚᲝ (გესლიანად): მცირედი სამსახური, დედიკოს გულის გასახარად, არა? და სარკესთან, ჩამოშვებული ფარდის უკან სამასკარადოდ გამოწყობილივით კეკლუცობდი, კალთაწამოხდილ ბაყვებსა და ვაცის ჯიქნებს აჩენდი სხვადასხვა პოზაში, თითქოს ვნებდებიო, არა? ჰა! ჰა! მეცინება! ის გამონაცვალი შავი კომბინაცია და მოკლე ნიფხავი, უკანასკნელი გაბახებისას მთლარ რომ დაუფხრიწეს და

შელბურნის სასტუმროში რომ მოგყიდა ქ-ნმა მირიამ დენდრეიდმა, არა?

ბლუმი: მირიამი. შავი. ნახევარსაცვალი.

ბელო (უხეშად ხითხითებს): ღმერთო დიდებულო, ნამეტანი სასეირო რამეა! განა შენ არ იყავი მომხიბლავი მირიამი, უკან თმა რომ შეიკრიჭე და ქ-ნ დენდრეიდივით მინაბული მიწექი საწოლზე, შენზე ძალა რომ ეხმარათ ლეიტენანტ სმაით-სმაითს, პარლამენტის წევრს ბ-ნ ფილიპ ოგასტას ბლოკუელს, სენიოს ლაჩი დარემოს, ბრგე ტენორს, ცისფერთვალება ბერტს, ლიფტიორ ბიჭს, გორდონ ბენეტივით სახელოვან ანრი ფლიორის, შერიდანს, კვარტერონ კროესოსს, სამების კოლეჯის ნიჩბოსანთა გუნდის მერვე ნომერს, მის შესანიშნავ ნიუფაუნდლენდ პონტოს და ბობზს, მენორჰემილტონის ჰერცოგის ქვრივს[71]. (კვლავ უხეშად ხითხითებს.) ღმერთო, ამისაგან სიამის კატაც კი მოკვდებოდა სიცილით.

ბლუმი (ხელები და სახე უთრთის): ეს ჯერალდმა შემაყვარა კორსეტი, როცა ქალის როლს ვასრულებდი სასკოლო წარმოდგენაში „პირუკუ"[72]. ძვირფასი ჯერალდი. დაიწყო იმით, რომ თავისი დის კორსეტი იზიდავდა. ახლა ძვირფასი ჯერალდი ვარდისფერ ფერუმარილს ისვამს და ქუთუთოებს ოქროსფრად იღებავს. სილამაზის კულტი.

ბელო (უკეთურად ჩაიხითხითებს): სილამაზე! ნუ მაცინებ! როცა გაკრიალებულ ტახტრევანზე დაჯდომისას ქალური მზრუნველობით აიწიე კალთა.

ბლუმი: მეცნიერულად არის გამართლებული. იმ სიამეთა ერთმანეთთან შესადარებლად, რომელთაც სიამით შევიგრძნობთ. (სერიოზულად.) ამასთან, ასეთ პოზაში უკეთესია... რადგან ხშირად დამისველებია ხოლმე...

ბელო (უკმეხად): ეგეთი რამეები არ იყოს! აგერ კუთხეში ნახერხია შენთვის. აკი მკაცრი მითითებები მოგეცი? კეთილი ინებეთ და ფეხმდგომელა გააკეთე, სერ! წესიერ მოქცევას გასწავლი! კიდევ ერთხელ რომ აღმოვაჩინო რაიმე კვალი შენს სახვევებზე, მორჩა და გათავდა! დორანის ვირს[73] გეფიცები, ტირანად მოგევლინები. წარსულის ცოდვები-ადამხედრდნენ. მრავალნი. ...

წარსულის ცოდვები (აღრეული მრავალხმიანობით): მას საიდუმლო ქორწინების მსგავსი რაღაც ჰქონია ერთ ქალთან მაინც შავი ეკლესიის ბინდბუნდში. თავის წარმოსახვაში წარმოუდგენელ რაღაცეებს ეუბნებოდა ტელეფონით მისს დანს დ'ოლიერ სტრიტზე და თან ყოველად უხამს მდგომარეობაში იდგა აპარატის წინ სატელეფონო ჯიხურში. სიტყვითა და საქმით დაუფარავად აქეზებდა ღამის აშაღლარას ფეკალური და სხვა ნივთიერებანი გამოეყო მიტოვებული შენობების გვერდით, ანტისანიტარულ ადგილას. ხუთ საზოგადოებრივ საპირფარეშოში ფანქრით წააწერა ჩემს კანონიერ თანამეცხედრეს ნებისმიერ ასომყარ მამრს ვთავაზობო. ეგ არ იყო, მყრალი აჯაფსის საღებავების ქარხნის უკანა ეზოში ღამეებს რომ ათენებდა შეყვარებული წყვილების ლოდინში იმის ვარაუდით როგორ, რას და რამდენად კარგად დაინახავდა? და ეგ არ იყო, რომ გაბერილი ქოსმანივით ეგდო საწოლზე და ხარბად დაშტერებოდა გვარიანად გამოყენებულ ტუალეტის ქაღალდის გულისამრევ ნაგლეჯს, თაფლკვერითა და საფოსტო გზავნილით წახალისებულმა ბინძურმა კახპამ რომ უფეშქაშა?

ბელო (ხმამაღლა დაუსტვენს): ოჰ, ოჰ, ჰო! რა იყო ყველაზე აღმაშფოთებელი უხამსობა შენს კრიმინალურ კარიერაში? აბა, დაფქვი. ამოსაქმე! ერთხელ მაინც იყავი ალალმართალი.

(უტყვი არაადამიანური სახეები ჯგროდ უახლოვდებიან, თვალებს ღვარძლიანად აელმებენ, გაუგებრად ჭრიჭინებენ, უჩინარდებიან. ბულუჭუმი, პოლდი კოკი, ფეხსაცმლის ზონარები ერთ პენად, კესიდის დედაბერი, უსინათლო ჭაბუკი, ლერი მარტორქა, ის ქალიშვილი, ის ქალი, ის კახპა, ის მეორე, ის შუკა...)

ბლუმი: ნუ მეკითხებით: ჩვენი სერთო რწმენა. სიამეთა ქუჩა. ნახევარიც არ მიფიქრია... ვფიცავ ყველაფერს რაც კი წმინდა გამაჩნია...

ᲑᲔᲚᲝ (მბრძანებლურად): მიპასუხე. ამაზრზენო არსებავ! დაჟინებით მოვითხოვ პასუხს. მითხარი რამე, წამახალისე, უხამსი რამ ანდა ამბავი მოჩვენებებზე, ან ლექსის სტრიქონი, დროზე, დროზე, დროზე! სად? როგორ? როდის? რამდენთან? სამ წამს გაძლევ, ერთი! ორი! სამ...

ᲑᲚᲣᲛᲘ (ენა ებმის, ლულლულებს): ცხვირცხვირი შევშევშევყავი სასასასაძაგელ...

ᲑᲔᲚᲝ (ქედმაღლურად): გაეთრიე, შე მყრალო! ენას კბილი დააჭირე! ხმა გაიკმინდე სანამ არ დაგელაპარაკებიან.

ᲑᲚᲣᲛᲘ (თავს უკრავს): ბატონო! ქალბატონო! მამრთა მომთვინიერებელო!

(ზევით წევს ხელებს. სამაჯურები ჩამოუცვივდება.)

ᲑᲔᲚᲝ (დამცინავად): დღისით ჩვენს მყრალ საცვლებს გარეცხავ და გაავლებ, მაშინაც როცა ქალური გვჭირს და ჩვენს საჭირო ადგილს კალთადაკაპიწებული გახეხავ. კაი რამე იქნება, არა? (ლალის ბეჭედს უკეთებს თითზე.) აი ასე! ბეჭედს გასვამ. ჩემი ხარ. მითხარი, გმადლობთ, ქალბატონო.

ᲑᲚᲣᲛᲘ: გმადლობთ, ქალბატონო.

ᲑᲔᲚᲝ: ლოგინებს აალაგებ, აბაზანას გამიმზადებ, ყველა ოთახიდან ღამის ქოთნებს გაიტან, მათ შორის მზარეულის, ბებერი ქ-ნი კიოუს ქოთანსაც, ქვიშიანს. თან იცოდე, შვიდიე კარგად უნდა გამორეცხო ანდა შამპანურივით ამოსვლიპო. დალიე ჩემო თბილ-თბილი. — ლუმპ! უკანა თათებზე შემდგარი მომემსახურები. თუ არა და ერთ გვარიან ლექციას წაგიკითხავ შენი შეცოდებების შესახებ, მისს რუბი, და თმის ჯაგრისით გემოზე მოგცხებ შიშველ ტრაკზე, მისს. ჭკუას ისწავლი შენს მიერ არჩეული უკეთური გზების გამო. ღამით მაგ შენ კრემწასმულ სამაჯურიან ხელებზე ახლად ტალკმოყრილ ორმოცდასამღილიან და ნატიფად დაინანთებულ თითის ბოლოებიან ხელთათმანებს ჩაიცვამ. ასეთი წყალობისათვის ძველი დროის რაინდები სიცოცხლესაც არ იშურებდნენ. (ჩაიცინებს.) ჩემი ყმაწვილები უზომოდ მოხიბლულნი დარჩებიან შენ რომ გიხილავენ ასეთ ქალურსახიანს, განსაკუთრებით პოლკოვნიკი, როცა ქარწყლის წინადღეს მოვლენ ოქროსფერ ფეხსაცმელში გამოწყობილი ჩემი ახალი შენაძენით დასატკბობად. მაგრამ ჯერ მე თვითონ გავერთობი შენთან. ერთი ჩვენს საერთო საქმესთან დაკავშირებული კაცი, სახელად ჩარლზ ალბერტა მარში — სწორედ ახლა ჯერ მას და მერე ლორდ-კანცლერთან რომ მუშაობს იმ ჯენტლმენს გავუმასპინძლდი საწოლში — ყოველგვარი მომსახურებისათვის დაუზარელ მოახლეს ეძებს. მკერდი გამობერე. გაიღიმე. მხრები ჩამოუშვი. ვინ რამდენს იძლევა? (მიათითებს.) აი ამაში, პატრონმა გაწვრთნა ნივთების მოტანასა და კალათის პირით ტარებაში. (სახელოს დაიკაპიწებს და იდაყვამდე ჩაფლავს ბლუმის საშოში). საკმარისი სიღრმეა! რაო ყმაწვილებო? არ გიდგებათ? (ხელს სჩრის მუშტარს სახეში.) აბა, დავასველოთ!

ᲛᲣᲨᲢᲐᲠᲘ: ფლორინი!

(დილონის ლაქია ზარს დააწკარუნებს.)

ᲮᲛᲐ: შილინგი და რვა პენით მეტ.

ᲚᲐᲥᲘᲐ: წკრრრ!

ᲩᲐᲠᲚᲖ ᲐᲚᲑᲔᲠᲢᲐ ᲛᲐᲠᲨᲘ: უთუოდ ქალწულია. კარგად სუნთქავს. სუფთა.

ᲑᲔᲚᲝ (ჩაქუჩს არტყავს): ორი შილინგი. მუქთია. ოთხი ფუტი და რვა დიუმის სიმაღლისაა. შეეხეთ და მოუსინჯეთ ტანფეხი. მიატრიალ-მოატრიალეთ ქალმამრი. სათუთი კანი, რბილი კუნთები, ნაზი სხეული. ჩემი ოქროს შანდალი რომ მქონდეს თან! ადვილი მოსაწველიცაა. ყოველ დღე სამი გალონი ახალმოწველილი რძე. სანაშენოდაც კარგია, ერთ საათში უნდა მოიგოს. მისი წინაპრის რეკორდი იყო ათასი გალონი მოუხდელი რძე ორმოც კვირაში. აბა, ჩემო მარგალიტო! შნოიანად გამოაჩინე საქონელი! მიდი! (ბლუმის გავაზე საკუთარ ინიციალს დადაღავს.) ასე! კოუენი გარანტიით! ორი შილინგი, ვინ მოუმატებს, ჯენტლმენებო?

მუძსახიანი კაცი (აქცენტის დაფარვას ცდილობს): ასსი ღირვანქა შტერლინგი.

ხმები (ჩურჩულით): ხალიფა ჰარუნ ალ რაშიდისათვის.

ბელო (ხალისიანად): ძალიან კარგი. ყველა აქ მოვიდეს. მსუბუქი, გამომწვევად შემოკლებული ქვედატანი, მუხლებამდე აწეული, ქათქათა პერანგის ამხანაგისთვის თვალის შევლება რომ შეიძლებოდეს, მძლავრი იარაღია, ხოლო ზურმუხტისფერ-ლეკვერთხებიანი გამჭვირვალე წინდები, მუხლისთავის ზევითამდე გრძელი სწორი ნაკერი რომ გასდევს, ჩვენი ქალაქის მოყირჭებული მუსუსების საუკეთესო ინსტინქტებს აღვიძებენ. ისწავლე ნარნარი მოძრაობა ლუი მეთხუთმეტეს ოთხგოჯიან ქუსლებზე, შეიმუშავე წინწახრილი სიარულის მოდური მანერა, გამომწვევი გავა და მოქანავე თეძოები, მუხლისკვერები მორიდებით რომ ეამბორებიან ერთმანეთს. იმიქმედე მათზე მთელი შენი მომაჯადოებელი ძალით. წააქეზე მათი სოდომის ცოდვანი.

ბლუმი (ალეწილ სახეს იღლიაში მალავს და სულელური ღიმილით პირში თითს იჩრის): ოო, ვიცი ახლა რასაც გულისხმობთ!

ბელო სხვა რისი მაქნისი ხარ, შე ცველანო შენა? (იხრება, შეიჭყიტება და უხამსად ჩრის თავის მარაოს ბლუმის სქელ, ქონის ნაოჭებიან ბარძაყებს შუა.) ზემოთ! ზემოთ! მენის კუნძულის უკუდო კატავ! აბა ერთი რა გვაქვს მანდ? რა უყავი შენი ხუჭუჭა ჭუჭუკა, იქნებ მოგკვეთეს, ჩიტუნიავ? იგალობე, ჩიტუნიავ, იგალობე. ექვსი წლის ბიჭუნასავით გკიდია, ოთხთვალას უკან გუბეს რომ აყენებს. (ხმამაღლა.) მამრი ჯაფის გაწევა თუ შეგიძლია?

ბლუმი ეკლზ სტრიტზე...

ბელო (სარკასტულად): არაფრით არ მინდა გული გატკინო, მაგრამ იქაურობას დაკუნთული მამრი დაპატრონებია. რაც გინახავს, ველარ ნახავ, ჩემო ხალისიანო უდარდელო ჭაბუკო! ის ნამდვილი ვაჟკაცია. შე უბედურო, იმისთანა იარაღი რომ მოგცა კვანძებიანი და ბორცვებიანი და წანაზარლებიანი დაუძლეველი. გარწმუნებ, რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა! ფეხი ფეხთან, მუხლი მუხლთან, მუცელი მუცელზე, მკერდი ძუძუებზე! ცვედანი არ გეგონოს. უკან წითური ბალანი გამოსჩრია ძეძვის კონასავით! ცხრა თვეს დაელოდე და დაინახავ! ღმერთმანი, უკვე შიგნეულობაში ტლინკებს ყრის და ახველებს! ეს გაგიჟებს, არა? გულში გხვდება განა? (ზიზღით გადააფურთხებს.) შე საფურთხებელო, შენა!

ბლუმი მე უზნეოდ მომექცნენ, მე... პოლიციაში განვაცხადებ. ასი გირვანქა. გაუგონარია. მე...

ბელო კი, როგორ არა, რომ შეგეძლოს, შე ჩოლოხა ბატის ჭუკო. ჩვენ ნიაღვარი გვინდა და არა შენი უბადრუკი შხეფები.

ბლუმი ეს გამაგიჟებს: მოლ! დამავიწყდა, მომიტევე! მოლ!.. ჩვენ... მაინც ხომ...

ბელო (დაუნდობლად): არა, ლეოპოლდ ბლუმო, ყველაფერი შეიცვალა ქალის ნებით, სანამ გაშოტილმა შენი ოცი წლის ღამე არ გამოიძინე „მძინარე მღვიმეში". დაბრუნდი და ნახე.

(უძველესი „მძინარე მღვიმის" გამოძახილი ვერან ადგილას).

მძინარე მღვიმე: რიპ ვან უინკლ! რიპ ვან უინკლ![74]

ბლუმი (შემოცვეთილ მოკასანებში, ფრინველებით მოხატული ჟანგიანი სანადირო თოფით, თითის წვერებზე შემდგარი, ხელის ცეცებით დადის, მისი ჩამომხმარი, ლოყებჩაცვენილი, გაუპარსავი სახე კუბოკრულ მინაში იცქირება, გაჰკივის): მე მას ვხედავ! ის არის, ის! პირველი საღამო მეტ დილონისას! მაგრამ ეს კაბა, მწვანე! და თმა ოქროსფრად აქვს შეღებილი და ის კაცი...

ბელო (დამცინავად ხითხითებს): ეს შენი ქალიშვილია, შე ბაიყუშო, მალინგერელი სტუდენტი.

(ბილი ბლუმი, ქერა, საზაფხულო მწვანე კაბაში, მსუბუქ სანდლებში, ცისფერი შარფით, რომელიც ზღვის ნიავზე ფრიალებს, სატრფოს მკლავებიდან თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააღწევს, გაოცებულ ჭაბუკურ თვალებს ფართოდ გაახელს და დაიძახებს.)

ᲛᲘᲚᲘ: ვაი! ეს ხომ მამიკოა! მაგრამ, როგორ დამიბერდი, მამიკო!

ᲑᲔᲚᲝ: განა გამოიცვალა? აგერ ჩვენი ძველმანები, ჩვენი საწერი მაგიდა, რომელზეც არასოდეს დაგვიწერია, მამიდა ჰეგარტის სავარძელი, ძველი ოსტატების რეპროდუქციები. აქ უდარდელად ცხოვრობს ერთი კაცი თავისი ძმაკაცებით. „რქოსანთა სავანე“! რატომაც არა? აბა რამდენი ქალი გყოლია, ბნელ-ბნელ ქუჩებში რომ აედევნებოდი ხოლმე, ბრტყელტერფიანო არარაობავ, და ცდილობდი მოგუდული ბუტბუტით ხოშზე მოგეყვანა. არა რო, შე მეძავო კაცო? უცოდველი მანდილოსნები, საყიდლებით შინისაკენ მიმავალნი. ახლა პირიქითაა. გადაგხდება თავსაო.

ᲑᲚᲣᲛᲘ ისინი... მე...

ᲑᲔᲚᲝ (აწყვეტინებს): მათი ქუსლები ბრიუსელის ფარდაგს გაგითელავენ, რენის აუქციონზე რომ შეიძინე. მოლისთან გიჟმაჟური გართობისას ბრიჯებში რომ ჩაუძვრებიან და ამასობაში იმ პაწია ქანდაკებას დაგიმსხვრევენ, თავსხმაში შინ რომ მოგქონდა — ხელოვნება ხელოვნებისათვისო. განჯინის ქვედა უჯრაში ყველა საიდუმლოს გაგიჩითავენ. ასტრონომიის ცნობარიდან ჩიბუხის მოსაკიდებლად ფურცლებს ამოგიგლეჯენ. და ფურთხვას მოჰყვებიან შენი ბუხრის სპილენძის ცხაურაში, ჰემპტონ ლიდომისაგან რომ იყიდე ათ შილინგად.

ᲑᲚᲣᲛᲘ ათ შილინგად და ექვს პენად. ეს ხომ წყალწაღებული არამზადების საქციელია. გამიშვით. დავბრუნდები. მე დავამტკიცებ.

ᲮᲛᲐ შეჰფიცე!

(ბლუმი მუშტებს მოკუმავს და წინ მიხოხავს, კბილებით სანადირო დანა უჭირავს.)

ᲑᲔᲚᲝ მდგმურად დაბრუნდები თუ სამადლოდ შეეკედლები? დაგაგვიანდა. შენ შენი ნაკლებხარისხოვანი ლოგინი გაგიშლია და სხვებს კი უწერიათ შიგ წოლა. შენი ეპიტაფია დაწერილია. უკვე ჩამოწერილ ხარ, შე ხისთავავ, და კარგად დაიმახსოვრე ეს.

ᲑᲚᲣᲛᲘ სამართალი! მთელი ირლანდია ერთის წინააღმდეგ! ნუთუ არავინ...? (ცერზე იკბენს.)

ᲑᲔᲚᲝ მოკვდი და ჭირსაც წაულიხარ, თუ კეთილსინდისიერებისა და ღირსების ნატამალი მაინც გაგაჩნია. მე შემიძლია ისეთი იშვიათი ძველი ღვინო დაგალევინო, სულ კუნტრუშით ჩაცუნცულდები ჯოჯოხეთში და ისევ უკან დაბრუნდები[75]. ხელი მოაწერე ანდერძს და დაგვიტოვე რაც ფული გაქვს! თუ არაფერი გაგაჩნია, თავში ქვა იხალე და მოიპარე, იეაჩაღე! ძეძვნარიან ჩეჩმაში ჩაგმარხავთ და სიბინძურეში იწვები რქოსან კოუენთან, იმ ჩემ ბიძაშვილობილთან, ცოლად რომ მივთხოვდი, იმ ოხერ ბებერ ნეკრესიან კისერმოღრეცილ ოღრაშთან და მეტრაკესთან და ჩემს კიდევ ათ თუ თერთმეტ ქმართან, რაჯანდაბაც ერქვათ იმ მათხოვრებს, სულშეხუთულები რომ ყრიან იმ სანარცხეში. (ყელში მოწოლილი ლორწოიანი ხმამაღალი სიცილით.) ნეხვით გაგანაყოფიერებთ, ბ-ნი ყვავილო! (დამცინავად წაიწრიპინებს.) ნახვამდის პოლდი! ნახვამდის, მამიკო!

ᲑᲚᲣᲛᲘ (თავზე ხელს იტაცებს): ჩემი ნებისყოფა! მეხსიერება! შევცოდე! მე ვიტანჯ... (უცრემლოდ ქვითინებს.)

ᲑᲔᲚᲝ (გაქირდვით): იტირე, იტირე, ბალღო! ნიანგის ცრემლები!

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

1. შდრ.: მათე, 9:20.
2. შდრ.: მათე, 21:16.
3. (ებრ.) **ალეფ, ბეთ, გიმელ, დალეთ** — ებრ. ანბანის პირველი ოთხი ასო; **ჰაგადა**, ამბავი, თქმულება; **ტეფილემ** პერგამენტის ნაპრებზე ამოწერილი ბიბლიური გამონათქვამები, რომლებსაც შეიბავდნენ „ნიშნად ხელზე და ტვიფრად შუბლზე“ (რჯლ. 5:8); **კოშერ** რიტუალურად წმინდა, სუფთა; **იომ კიპურ** დღე შენდობისა; **ხანუკა** ტაძრის განახლების დღესასწაული; **როშჰაშანა** ახალი წელი; **ბენი ბრით, ან ბნეი ბრით** ძმანი აღთქმისა; **ბარ მიცვა** ებრაელი ჭა-

ბუკის 13 წლის შესრულებასთან დაკავშირებული ცერემონიალი, **მაცოთ** მაცა, ხმიადი; **აშკენაზიმ** გომერის ძენი: აშქენაზი, რიფსათი და თოგარმა (დაბ. 10:3); **მეშუგა** შერეკილი, ექსცენტრიული; **ტალით** რიტუალური მოსასხამი.

4. შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის" სასამართლოს სცენის რემინისცენცია; **პიტერ ო'ბრაიენი** მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული მოსამართლე, თუმც კი არა პოპულარული ირლანდიაში.

5. (ლათ.) წვეთები, რომლებმაც შესაძლოა შეამსუბუქონ მუცლის გვემა.

6. ეგვიპტურ მითოლოგიაში ერთ-ერთი სამ საკრალურ ცხოველთაგანი, პლუტარქეს ცნობით, მისი კულტის წესს შეადგენდა მისი დაწყვილება ულამაზეს ქალთან. მითოლოგიაში მას „ვერძი" ეწოდება, მაგრამ ჯოისი შეგნებულად ხმარობს „თხა"-ს მრუშობის კონოტაციის გამოსაკვეთად.

7. „გამოცხადებაში" თეთრი ხარი არ არის მოხსენიებული; ძოწეული... შდრ.: გამოცხ. 17:4.

8. **შუა ზაფხულის სიგიჟე** ოლივიას რეპლიკის ციტაცია შექსპირის „მეთორმეტე ღამიდან" (მოქ. 3. სურ. 4); **თოვლის ფიფქივით უცოდველი** შექსპირის „ციმბერლინის" რემინისცენცია (მოქ. 2, სურ. 5).

9. (დამახინჯ. ირლ.) წკეპლის წვერით გამოთქმული ამბავი (ე. ი. უაზრო) ცხენშეუბმელი ეტლია.

10. (ლათ.) ქალწული.

11. სწორი ფორმაა ჰიპოსპადია — სასქესო ორგანოების დეფექტი.

12. (ლათ.) ებრაული სიმყრალე.

13. (იტ.) ოქროს ცხვირი; (ინგ.) ოქროს თითი; (ბერძ.) მოოქროვილი ხელი; (ინგ.) ვერცხლის ღიმილი; (გერ.) თავად ვერცხლი; (ფრ.) ვერცხლის წყალი; (ბერძ.) მთლად ვერცხლისა.

14. შდრ.: „და ჰკითხა პილატემ მას: მაშ შენ ხარ იუდეველთა მეფე? ხოლო მან მიუგო და უთხრა: შენ ამბობ".

15. სამი წლის კვიცების დოღი, იმართება ინგლისის ქალაქ დონკასტერში.

16. ლორდ ბიკონსფილდი ბენჯამინ დიზრაელი (1804-81), ინგ. მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე; ჰენრი ირვინგი ცნობილი ინგ. მსახიობი და თეატრალური მენეჯერი (1838-1905); კოშუტი უნგრეთის ლიბერალური მოძრაობის ლიდერი და რეფორმატორი (1802-94).

17. შდრ.: „ხოლო იესო ქრისტეს შობა ასე მოხდა (მათე, 1:18).

18. **მეიერ გუგენჰაიმი** ფილადელფიელი ებრაელი ფინანსისტი და ქველმოქმედი (1828-1905); **აგუდათ ნეტაიმი** პლანტატორთა ამხანაგობა; **ბარონ მორის დე ჰირში** ებრაელი ფინანსისტი, ავსტრიელი ქველმოქმედი (1831-96); იეშურუნი (ებრ.) უბიწო, შდრ.: რჯლ. 32:15; **სმერდოზი სპარსეთის** მეფე კამბისის ნიჭიერი, მაგრამ უიღბლო ძმა, რომელიც მეფის ბრძანებით სიკვდილით დაისაჯა (523 წ. ჩვ. წ. ...); **ვაისი, შვარცი** (გერ.) თეთრი, შავი; **ადრიანოპოლი** თურქეთის ახლანდელი ქ. ედირე; **არანხუეცი** ქალაქი ესპანეთში; **იქაბუდონოსორი** ორი სახელის ნაერთი: იქაბოდი (1 მეფ. 4:21) და ნაბუქოდონოსორი (4 მეფ. 24 და 25); **ო'დონელ მაგნუსი** ტირკინელი ლორდი, რომელიც ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დუბლინის ციხეკოშკში დაატყვევეს, ხოლო იქიდან გაქცევის შემდეგ დედოფალ ელიზაბეთის ბრძანებით აგენტმა ჯ. ბლეიკმა მოწამლა (1571-1602); **ქრისტბაუმი** ქრისტეხე (გერ.); მოსე (ბენ) **მაიმონიდი** ებრაელი ფილოსოფოსი და თალმუდის დიდი მცოდნე, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა შუასაუკუნეების ქრისტიანულ მოძღვრებებზე (1135-1204); **დასტი როუდზი** ამერიკელი მოხეტიალე კომიკოსი; **ბენამორი** სიყვარულის ძე, ებრ. და ფრ. სიტყვების შეერთება; ბერილქვა შდრ. გამ. 28:17-20; **ვენტეტიუნიემი** 21-ე (ფრ.), თუმც ამ გენიალოგიურ სიაში 27-ეა; **სომბატჰეი** ქალაქი უნგრეთში, სადაც ბლუმის მამა დაიბადა; (ლათ.) „... და უწოდებს სახელად ემანუელს" (ეს. 7:14); დანარჩენი სახელების წარმოშობა უცნობია.

19. შდრ.: დან. 5:28.

20. (სამხ. აფრ.) გაშოლტვა.

21. ბელიარ — (ებრ.) უღირსი, იხ. 2 კორ. 6:15; ისტრიელი ლემლაინი — 1502 წ. ტრიესტის მახლობელ ნახევარკურძულ ისტრიას „მოევლინა" ებრაელი ერეტიკოსი—წინასწარმეტყველი აშერ ლემლაინი, რომელიც თავს მესია ბენ იოსებად აცხადებდა; აბრაამ ბენ სამუელ აბულაფია (1240-91?), სარაგოსელი ებრაელი, რომელიც მესიად აცხადებდა თავს.

22. იესო მხსნელი კაცთა.

23. ლითანიის ამ პაროდიაში მინიშნებულია ის ცალკეული ეპიზოდები თუ მომენტები, რომელთანაც დაკავშირებული იყო ბლუმი მთელი დღის მანძილზე.

24. შდრ.: „გთხოვთ, ბატონო, გაუფრთხილდეთ იეზვიანობას, ეგ მწვანე-თვალთა საზარელი ქმნილება არის..." იაგოს რეპლიკა („ოტელო", მოქ. III, სურ. 3).

25. შდრ.: იგავ. 24:16.

26. იტალიელი კომპოზიტორი (1686-1739), ცნობილია როგორც პირველი 50 ფსალმუნის მუსიკის ავტორი. მან ებრაული დასახლებები მოინახულა ფსალმუნების უძველესი მუსიკალური დამუშავების გასაცნობად. სტივენის რეპლიკა გულისხმობს, რომ მარჩელომ შესაძლოა ან ძველი მელოდია გამოიყენა, ან თავად შეთხზა ახალი. იქვე, იგულისხმება ე. წ. „ჰომეროსის ჰიმნების" მეხუთე ჰიმნი, რომელიც დემეტრეს ეძღვნებოდა.

27. (ლათ.) „ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას“, ფსალმ. 18:2.

28. (ფრ.) კი მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს... იცხოვრე ველურად. ახალგაზრდობა წარმავალია.

29. ფ. უედერლისა და ს. ედამზს რელიგიური ჰიმნი.

30. (ლათ.) ასე; ამგვარად. შუასაუკუნეების სქოლასტიკური პაექრობისას ნახმარი ეს სიტყვა ნიშნავდა „ეს ნათლად იყო განცხადებული“, „ზუსტად იყო ნათქვამი“.

31. იმდროინდელი სენსაციის გამომძახილი ლოხ-ნესის ურჩხულზე; ასევე, შდრ: გამოცხ. 12:9.

32. შდრ: გამოცხ. 12:14.

33. პანჩი და ელი სლოპერი—პოპულარული კომიკური პერსონაჟები.

34. (ფრ.) ის მოდის!.. ეს მე ვარ!.. კაცი, რომელიც იცინის... პირველყოფილი ადამიანი!.. (ფრ. კაზინოს ტერმ.) ბატონებო, თქვენი ფსონები!.. ფსონები გაკეთებულია!.. ფსონები აღარ მიიღება!

35. უილიამ ბლეიკის პოემა „მილტონის“ რემინისცენცია.

36. ირლანდიური ზღვის ღვთაების მანანაან მაკლირის სიმბოლო და მენის კუნძულის ჰერალდიკური ნიშანი.

37. ამერიკული პოპულარული სიმღერების ციტირება.

38. დარვინის თეორიის საწინააღმდეგო გამოსვლაში 1864 წ. ბენჯამინ დიზრაელიმ განაცხადა: „საკითხი ასე დაისმის: ადამიანი მაიმუნია თუ ანგელოზი? მე ანგელოზების მხარეზე ვარ“. მასვე მიეწერება 1849 წ. თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვები: „ის, ვინც დაჟინებით იკვლევს თავის საგანს, მსოფლიო მოვლენებს მუდამ საკუთარი შეფერილი პრიზმით აღიქვამს“.

39. რობერტ ინგერსოლი (1833-99) — ამერიკელი პოლიტიკოსი, იურისტი, ევანგელისტი აგნოსტიკოსი, ეყრდნობოდა დარვინისტულ რაციონალიზმს.

40. ჯონ ელიგზანდერ დაუი (1847-1907) — ამერიკელი ევანგელისტი.

41. ფ. ტ. ბარნუმი (1810-91) — პოპულარული ამერიკული მოხეტიალე ცირკის მფლობელი.

42. პატარა საბაზრო ქალაქი დუბლინის ჩრდილოეთით.

43. წინაქრისტიანულ ირლანდიაში პოეტი-ქურუმი-მწიგნობარი.

44. ჯორჯ რასელი თხზულებაში „სანთლის ზმანება“ (1918 წ.) მსჯელობს „ადამიანის მეტყველების საფუძველთა“ მისტიკურ მნიშვნელობაზე. **იოგინი** იოგას შემსწავლელი ადამიანი. **ჰერმეს ტრისმეგისტოსი** ბერძ. ჰერმესისა და ეგვიპ. ტოტის შუასაუკუნეებში [illegible] მიეწერებოდა 42-ტომიანი ოკულტური ენციკლოპედიის ავტორობა.

45. ამ მონაკვეთში პაროდირებულია იოგა და ოკულტიზმი.

46. ბლუმის პაპა. (ბერძ.) ასოთა მეფე, ენის მეუფე.

47. (იდიში) პაპა.

48. ბოსტონელი მედიუმი ლეონორა პაიპერი ტრანსიდან გამოსვლისას მუდამ კითხულობდა: „გაიგონეთ როგორ გამიტაცუნდა რაღაც ტვინში?“

49. იტალიელი ანატომი (1510-59), ბევრს იკვლევდა ქალის სექსუალობას.

50. ჯონ გეის (1685-1732) „მათხოვართა ოპერის“ (ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის“ პირველწყარო) სიმღერის ციტაცია.

51. შდრ: გამ. 16:2-3.

52. (ლათ.) ქალური (ლოგიკის) არგუმენტი.

53. (ლათ.) „წმინდა მიზანი“, ჯაკომო მაერბეერის (1791-1864) ოპერიდან „ჰუგენოტები“.

54. ებრაული წელთაღრიცხვით 5550 შეესაბამება 1789 წ.

55. ბლუმი ამახინჯებს ეროტიკული თხზულებების ბერძენი ავტორის ელეფანტიაზის სახელს.

56. შდრ: ლუკ. 15:16.

57. (იტ.) ეს დასაფიქრებელია. თქვენ სრული კრახი განიცადეთ.

58. (ბერძ.) ჩემო სიცოცხლევ, მიყვარხარ.

59. შდრ.: მათე 26:41.

60. 1874 წ. ლონდონში გამოცემული პოპულარული წიგნი, რომლის ავტორის, ჩ. ჩინიკის ძირითადი დებულების მიხედვით, ქალის აღსარება არსებითად უზნეობაა.

61. **პერნოუზი** უ. თეკერეის რომანის რემინისცენცია. ედგარის წამოძახილი, როდესაც ბრმა მამასთან შეხვედრისას თავს იგიჟიანებს („მეფე ლირი“, მოქ. III, სურ. 4).

62. (ლათ.) მაიძულეს მესურვებინა.

63. (იდიში) წყეული გოიმები.

64. ფლობერის „წმინდა ანტონიუსის ცდუნების“ რემინისცენცია.

65. (ფრ.) ვინ ჩააგდო ამ შავ დღეში, ფილიპ? იმ წმინდა მტრედმა, ფილიპ.

66. (იდიში) ქაქი.

67. **პასტორი** სტივენი გულისხმობს მარტინ ლუთერს, **ძაღლი** ძველ საბერძნეთში **კინიკოსებს** (ცინიკოსებს) უწოდებდნენ ანტისთენეს მიმდევართ კინოსარგის გიმნაზიაში; ასოციაცია ემყარება სხვა სიტყვასთან მსგავსებას, „კინიკოს“ ბერძნულად ნიშნავს „ძაღლებს“. **არიუსი** (256-336) ნიკეის საბჭოზე დაგმობილი ერეტიკოსი.

68. ჯორჯ დიუმორიეს (1834-96) რომანის „ტრილბის“ პერსონაჟი, ავანტიურისტი ჰიპნოტიზორი.

69. შდრ.: III მეფეთა, 1:1-4.

70. შემდგომ პასაჟებში ლეოპოლდ ფონ ზაბერ-მაზოხის (1836-95) რომანის „ვენერა ბეწვეულში“ და რიჩარდ ფონ კრაფტ-ებინგის (1840-1902) ნაშრომის „სექსუალური ენციკლოპედიის“ რემინისცენცია.

71. რეალური და ფიქტიური პერსონაჟები.

72. ფ. ანსტის (ტომას ანსტი გათრი, 1866-1934) ფარსი, რომლის თემაა „მამა შვილის წინააღმდეგ“ და რომელშიც თვითონ ჯოისს უთამაშია სტუდენტობისას (მხოლოდ არა ის როლი, რომელიც „ბლუმს უთამაშია“).

73. ანონიმური ირლანდიური ბალადის გმირი პედი დოილი სიმთვრალეში დორანის ვირს საატრფოდ მიიჩნევს და არშიყობას დაუწყებს.

74. უოშინგტონ ირვინგის (1783-1859) მოთხრობის გმირი, რომელიც ჰირვეულ ცოლს განერიდება მთებში და ოცი წლით დაიძინებს მღვიმეში.

75. ჰომეროსის „ოდისეას“ მეათე წიგნის ბოლოს ქალღმერთი კირკე მოსთხოვს ოდისევს, რომ შინ მისვლამდე მკვდრების სამეფოს — ჰადესს სწვეოდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურმიშხან ცინცაძე

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავი

პოლიტიკური თვალსაზრისით მე-19 საუკუნე ქართველთათვის დიდი მოვლენებით დაიწყო, მოვლენებით, რომელთა წინასწარი განჭვრეტა ალბათ არც ერთ იმდროინდელ პოლიტიკოსს არ შეეძლო. საუკუნის გარიჟრაჟზე 1801 წ. 18 იანვარს პეტერბურგსა და მოსკოვში გამოქვეყნდა რუსეთის მეფის, პავლე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადების შესახებ. რუსეთის მეფის ეს გადაწყვეტილება ქართველებს რეალურად არ ჰქონდათ შეთვისებული, რომ 1801 წ. 11 მარტს იმპერატორი პავლე მოკლეს და მის მაგიერ სამეფო ტახტზე ავიდა ალექსანდრე I. 1801 წ. 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა გამოაქვეყნა ახალი მანიფესტი, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ და უარყოფილ იქნა მისი ავტონომიური მმართველობა. ამრიგად, გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. 1801 წლიდან მოყოლებული საქართველოს ყველა კუთხე თანდათანობით მეფის რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანდა. ამ დროისათვის საქართველოს მოსახლეობა 600-ათას ძლივს თუ აღწევდა, ხოლო მისი ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი მტერს საუკუნეების უკან მიტაცებული ჰქონდა. ასე რომ, მე-18 საუკუნის ბოლოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული, ოდესღაც უძლიერესი ქართველთა ქვეყანა, დიდი ალტერნატივის წინაშე დადგა. ამ მეტად მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი ერეკლე მეორემ რუსეთთან ურთიერთობით გადაწყვიტა და, როგორც შემდგომ ისტორიამ დაგვანახა, საკმაოდ გონივრულადაც. საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ თუ საღი თვალით გადავხედავთ ისტორიის ფურცლებს, შეიძლება დადებითიც აღმოვაჩინოთ. როცა ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს ყველაზე საჭირბოროტო საკითხი — ქვეყნის ტერიტორიალური გამთლიანება.

პირველი, რაც ამ მხრივ გაკეთდა, ის გახლავთ, რომ 1829 წ. 2 სექტემბერს რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული ადრიანოპოლის ზავის შედეგად, საქართველოს შემოუერთდა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და ახალციხის საფაშოს 12-სანჯაყი. ხოლო 1830 წ. რუსთა და ქართველთა ჯარებმა შემოიერთეს ჭარ-ბელაქანი, საინგილო.

დამპყრობლის ხელთ კვლავ რჩებოდა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ის-

ტორიული კუთხე-აჭარა, რომლის შემოერთებასაც მშობლიურ საქართველოსთან აქედან მოყოლებული თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა. შემდგომ პერიოდში ისტორიული მოვლენები, შეიძლება ითქვას, ქართველთა სასარგებლოდ წარიმართა და საუკუნეების მიღმა დაკარგული მშობლიური მიწა-წყლის დაბრუნება კვლავ რეალური გახდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას რუსეთი საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდა და საქართველოს ტერიტორიალურ გამთლიანებაზე ფიქრი სულაც არ აწუხებდა. პირიქით, საქართველოსთვის ისიც დამპყრობელი იყო და ასეთად დარჩა კიდეც დღემდე, რასაც საქართველოს ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობაც ადასტურებს.

ახლა უშუალოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ.წ. ომზე და ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლებზე, თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის გასათავისუფლებლად. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ბალკანეთში მცხოვრებ სლავ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. რუსეთი მიზნად ისახავდა, განემტკიცებინა თავისი ეკონომიკური და სამხედრო პოზიციები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. იგი ამისათვის მშვენივრად იყენებდა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მცხოვრები სერბების სლავურ წარმოშობას და ეხმარებოდა მათ. რუსეთის ასეთმა მოქმედებამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან თურქეთს ზურგს უმაგრებდა ინგლისი და ამავე დროს, რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა ავსტრია-უნგრეთი. ბოლოს და ბოლოს, ალექსანდრე II იძულებული გახდა, 1877 წ. 12 აპრილს ომი გამოეცხადებინა თურქეთის სულთან აბდულჰამიდისათვის. რუსეთის ჯარებმა გადალახეს თურქეთის საზღვრები, როგორც ბალკანეთში, ისე ამიერკავკასიაში. კავკასიის არმიის 70-ათასიანმა ლაშქარმა სასტიკი მარცხი აწვნია თურქთა ე. წ. ანატოლიის არმიას. კავკასიის ჯარები ორ ჯგუფად იქნა დაყოფილი: პირველი ჯგუფი განლაგებული იყო ფრონტის წინა ხაზზე [illegible] ალაგიდან არარატამდე და აწარმოებდა [illegible] ბრძოლებს. მეორე ჯგუფი, რომელიც რიონისპირა მხარის ჯარების სახელწოდებით არის ცნობილი, განლაგებული იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მას ევალებოდა ბათუმის აღება და შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა. რუსეთის ჯარმა აპრილში დაიკავა ბაიაზეთი, მაგრამ მოწინააღმდეგემ დესანტი გადმოსხა სოხუმსა და ოჩამჩირეში. ბრძოლამ მეტად მძაფრი ხასიათი მიიღო; 20 აგვისტოს რუსთა ჯარმა დაიკავა სოხუმი და აფხაზეთის მთელი ტერიტორიიდან განდევნილ იქნა თურქები.

ბათუმისათვის ბრძოლაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარელი ბეგების პოზიციას, ამათაგან ყველაზე ძლიერს — შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს პრორუსული პოზიცია ეკავა და მისი სამშობლოს აჭარის დედა საქართველოსთან დაბრუნების ჭეშმარიტი მომხრე იყო. საერთოდ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ ომში ქართველი ერის ერთსულოვანი მონაწილეობა, იმერისა თუ ამერისა, მათი თავდადებისა და გმირობის ბევრი მაგალითი შემოგვინახა ისტორიამ. ომში თითქმის მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. ეს ომი ქართველი ხალხის ჭეშმარიტი გამოცდა იყო. შეიძლება თამამად ითქვას, მან ეს გამოცდა ქვეყნის წინაშე დიდი წარმატებით ჩააბარა.

რუსეთის ჯარის ნაწილებმა, ქართველ მოხალისე-მოლაშქრეთა დახმარებით, ბათუმისკენ მიმავალ გზაზე დაიკავეს სოფლები მუხაესტატე და ხუცუბანი. 1877 წლის ივნისში დიდი ბრძოლა გაიმართა ციხისძირთან, მაგრამ უშედეგოდ. ამ ბრძოლაში რუსთა და ქართველთა ლაშქრის მარცხის მიზეზი შავ ზღვაზე ფლოტის უქონლობა იყო, თურქებს კი, პირიქით, ძლიერი ფლოტი ჰყავდათ და ამან განაპირობა მათი წარმატება. ომის შემდგომი გაგრძელებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსების

მიერ ყარსის ძლიერი ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდებას. 1877 წ. 17-18 ნოემბერს ღამით რუსთა ჯარმა იერიში მიიტანა ყარსის ციხე-სიმაგრეზე და გამთენიისას შეძლო მისი აღება. ეს უკვე რუსეთის ჯარის მომავალი წარმატებებისათვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

1877 წლის 10 დეკემბერს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო ბულგარეთის ძლიერი ციხე-ქალაქი პლევნა, გაანადგურა და დაატყვევა თურქთა 50-ათასიანი გარნიზონი. სულ მალე რუსთა მხედრობამ დაამარცხა სახელგანთქმული სულეიმან ფაშას 50-ათასიანი არმია. დაძაბუნებული თურქთა არმიების წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. 1878 წლის 20 იანვარს რუსთა ჯარმა თავისუფლად აიღო ადრიანოპოლი და მისი შემდეგი მსხვერპლი კონსტანტინეპოლი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამ მომენტში თურქეთის სულთანმა გონიერება გამოიჩინა და რუსეთს ზავი სთხოვა. 1878 წლის 31 იანვარს დაიდო დროებითი ზავი, ხოლო 3 მარტს გაფორმდა ცნობილი სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით რუსეთს უერთდებოდა: არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი და ბათუმი, აგრეთვე ალაშქერთის მთელი დაბლობი და მიმდებარე ტერიტორიები. რუსეთის ასეთ გაძლიერებას ვერ ურიგდებოდნენ ინგლისი და ავსტრია. მათ დაჟინებით მოითხოვეს სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვა, რაც რეალურად 1878 წლის ივლისში ბერლინში ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ განხორციელდა და იგი ახალი ხელშეკრულებით შეიცვალა. მართალია, ბერლინის კონგრესზე რუსეთი ზოგიერთ დათმობაზე წავიდა, მაგრამ ომში გამარჯვების ძირითადი მონაპოვარი მაინც შეინარჩუნა. ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთმა შემოიერთა თურქეთის მიერ წინათ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, სახელდობრ: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი. ამათგან აჭარა-ქობულეთს, შავშეთს და კლარჯეთს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით ეწოდათ ბათუმის ოლქი (1886 წლიდან ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა), ხოლო კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ოლთისი) ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა. ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“ ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.[1]

ასე დაიბრუნა საქართველომ, რუსეთის საშუალებით, თავისი დაკარგული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც ჩვენი ქვეყნისა და ერის მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველობა დიდი აღფრთოვანებით შეეგება თავისი დაკარგული დებისა და ძმების მათ დიდ ოჯახში დაბრუნებას. 1878 წლის ნოემბერში საქართველოს დედაქალაქს ეწვია აჭარელ ძმათა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შერიფ და ნური-ბეგ ხიმშიაშვილები და ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე. თბილისში მათთან შეხვედრაზე ბევრი გულთბილი სიტყვა წარმოითქვა. ილია ჭავჭავაძე კი ამ დიდი ისტორიული მოვლენის შესახებ წერდა: „აბა ქართველობავ, ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო“.[2] ქართველმა საზოგადოებრიობამ ღირსეულად შეასრულა ილია ჭავჭავაძის მოწოდება. მთელი საქართველო აჭარას მხარში ამოუდგა, როგორც მის ერთ-ერთ ორგანულ და განუყრელ ნაწილს, როგორც მის ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ მხარეს.

ცნობილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ომის მიმდინარეობას და მისი კალმის აღუნუსხავი არც ერთი მომენტი არ დარჩენილა. ომის ძლევამოსი-

ლად დამთავრებას კი მოხუცი გენერალი ასე გამოეხმაურა სოფიო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში 1878 წ. 24 აგვისტოს: „ჩვენნი ძმანი, ძველნი ქართველნი, განათავისუფლა ოთხასის წლის ტყვეობიდამ და შეუერთდა დედა-საქართველოსა, და აღსრულდა იგი სასწაული, რაცა არა გვეგონა! აღსრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის“.[3]

გრიგოლ ორბელიანმა თბილისში ჩამოსულ აჭარელთა დელეგაციასაც მეტად თბილი და პატრიოტული სიტყვით მიმართა. გამოსვლა მრავალჯერ მქუხარე ტაშით შეაწყვეტინა დამსწრე საზოგადოებამ დიდ მესიტყვეს. პოეტმა თქვა: „ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადისა სიყვარულითა... ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც-კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვინატრიდით, როდის აღმოვა ჩვენი მზე შეერთებისა!.. შეერთება ჩვენი ესე იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად! და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოისა!!“.[4]

დედა-სამშობლოსთან აჭარის დაბრუნებას, გულმხურვალე სიტყვებით მიესალმა აკაკი წერეთელი 1878 წლის 20 ნოემბერს დარბაზობაზე:

„ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, მაგრამ დღევანდელი სხვაგვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო... ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან (აჭარის დეპუტაცია) დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება. ახლა ვხედავთ, რომ ჩვენ [illegible] დანაპირები აქეთაც და იქეთაც! შესასრულია და ამით ჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი“.

ახლა მოკლედ აღვნიშნოთ ომში ქართველთა მონაწილეობა და გამარჯვებაში მათი ღვაწლი. რუსეთის მიერ თურქეთთან ომის გამოცხადებამ მთელი საქართველო ფეხზე დააყენა. ქართველობამ რეალურად დაინახა, რომ მას საშუალება ეძლეოდა, ეომა ოდესღაც მტრისაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დასაბრუნებლად. ომის მსვლელობაში მთელმა საქართველომ ისახელა თავი. „ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილები ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში თავი ისახელეს პირველი და მეორე ქვეითი ქართული რაზმის ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, აგრეთვე გურიის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა რაზმმა. აფხაზეთის მხრიდან თურქეთის დესანტის შემოტევის დროს გმირულად იბრძოდა ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი რაზმი და არარეგულარული ცხენოსანი პოლკი. არტაანისა და ყარსისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ახალციხისა და თიანეთის (თუშების) რაზმებმა“.[5] ომის მონაწილე, ცნობილი რუსი გენერალი კოლუბიაკინი გურიის პირველი ქვეითი რაზმის შესახებ, რომელსაც შტაბს-კაპიტანი იასე გურიელი მეთაურობდა, წერდა: „ყველანი ხარკს უხდიან გურიის რაზმის დაუვიწყარ გმირობას, ლაშქრისა, რომელიც ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობილი მუდამ წინ იყო და თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“.[6] ომის პერიოდში იარაღით ხელში 25 ათასი ქართველი მოლაშქრე იბრძოდა. მარტო ოზურგეთის მაზრიდან 4 ათა-

სი ახალგაზრდა იყო ფრონტზე წასული. საუკუნეებს შემორჩება 16 ლიხაურელი მეომრის გმირობა და თავდადება. სამშობლოსათვის თავდადებული 16 ლიხაურელი გლეხი ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. 1877 წლის 23 ოქტომბერს რთული საბრძოლო ოპერაციის შესრულებისას თექვსმეტივე ვაჟკაცი ერთდროულად ბრძოლის ველზე დაეცა. რა თქმა უნდა, უკვდავია მათი ხსოვნა, მათი გმირობისა და თავდადების ამბავი თაობიდან თაობებს გადაეცემა, მაგრამ სამწუხარო ის გახლავთ, ისტორიამ მათი ვინაობა — გვარი და სახელი რომ ვერ შემოგვინახა. შეიძლება, ეს ყველაფერი ქართულ გულგრილობას ან დაუდევრობას დავაბრალოთ, მაგრამ ამის გამოსწორება დღესაც ხომ შეიძლება! ამისათვის სოფელ ლიხაურში ამ 16 თავდადებული მამულიშვილის საპატივცემულოდ და არდასავიწყებლად მათი შესაფერი ობელისკი უნდა აშენდეს. ისინი ამას დაღუპვის დღიდან იმსახურებენ და მისი განხორციელება, მართლაც რომ დიდი საშვილიშვილო საქმე იქნება.

რუსეთ-თურქეთის ომში თავიანთი საბრძოლო მამაცობით სახელი გაითქვეს ქართველმა გენერლებმა: ზ. ჭავჭავაძემ, ა. ქავთარაძემ, მ. ამირეჯიბმა, ი. ამილახვარმა, აგრეთვე ქართველმა ოფიცრებმა: პოლკოვნიკმა მიქელაძემ, პოდპოლკოვნიკმა კვინიტაძემ, მაიორმა იოსელიანმა, მაიორმა ჭავჭავაძემ, შტაბს კაპიტანმა ორბელიანმა, პორუჩიკმა ფანჩულიძემ და მრავალმა სხვამ.

1877-1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის არმიის ძლევამოსილმა გამარჯვებამ საქართველოს დაუბრუნა მისი ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი, რაც ქართველი ერის საუკუნოვანი ნატვრა იყო.

ბათუმი განთავისუფლების პერიოდში სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს, მაგრამ სულ მალე საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრად გადაიქცა. ამას ხელი შეუწყო რკინიგზის გაყვანამ და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებამ. 1883 წელს ბათუმი რკინიგზით ბაქოსა და თბილისს დაუკავშირდა. 1889 წ. დასრულდა თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა. რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის შედეგად შემოერთებული ტერიტორიის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, მალე გასხვისებულ იქნა;

1921 წ. 16 მარტს კომუნისტურმა რუსეთმა და ქემალისტურმა თურქეთმა ურთიერთმოლაპარაკებით საქართველო-თურქეთის საზღვარი ისე მოაწესრიგეს, რომ საქართველოს ხელისუფლება აინუნშიაც არ ჩაუგდიათ. კვლავ დავკარგეთ ქართული მიწა-წყლის დიდი ნაწილი. ქართულ კერას კი სამუდამოდ შემორჩა მისი უძველესი და ულამაზესი კუთხე — აჭარა, მშვენიერი ბუნებით და დიდებული ხალხით.

შენიშვნები

1. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1940 წ., გვ. 52.
2. „ივერია“, 1879, № 9.
3. ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1973 წ., გვ. 276.
4. იქვე, გვ. 277.
5. საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962 წ. გვ. 88.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970 წ. გვ. 449.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

2600

საერთო ლხინი და გასაჭირი — ასეთი იყო და ისტორიის მანძილზე ასე ვითარდებოდა ქართველი და ებრაელი ხალხების საერთო ცხოვრება, ასევეა დღესაც. ასეთი ურთიერთობა კი, თავისთავად, უნიკალური მოვლენაა, რასაც ყოველთვის სიამაყით აღნიშნავდა და აღნიშნავს კიდეც ქართველი კაცი, რომელსაც თავისი ტანჯული, გამწარებული ცხოვრების მიუხედავად, არაერთი ლტოლვილი თუ გაჭირვებული შეუფარებია, დაუმადლებლად გაუყვია მისთვის ჭერი, სითბო, თუ ლუკმა და, რასაკვირველია, არ დაუმადლებია მისთვის ის ადამიანური დამოკიდებულება, რომელიც, მართლაც რომ, ყველაფერზე მნიშვნელოვანი და ძვირფასია ნებისმიერი ნორმალური ადამიანისათვის. ამასთანავე, ალბათ არც ერთ ხალხს არ განუცდია იმდენი ტკივილი, უმადურობის ისეთი სიმწარე, რამდენიც და როგორიც სწორედ მასთან შეხიზნულმა ზოგიერთმა ხალხმა მიაყენა ქართველობას. არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე მწარე, როცა სიკეთის სანაცვლოდ სიძულვილს მოიმკი. გაწბილებული და შეწუხებული ქართველი ხალხი ხშირად აღმოჩენილა გაუგებრობის წინაშე, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. ჩვენ, საერთოდ, გაუგებრობის მსხვერპლნი ვართ, გაუგებრობები მოგვდევენ ფეხდაფეხ მთელი არსებობის მანძილზე, ბედისწერასავით. ასეთია, თუნდაც აი, ეს — ჩვენთვის ასე რიგ დამახასიათებელი და ასე რიგ საბედისწერო — გაუგებრობა: არ არსებობს ქვეყანა, რომლის ტერიტორიის ნაწილს ორი სრულუფლებიანი პატრონი ყავდეს, ორივე ერთნაირად აბორიგენი იყოს ამ მიწაზე. ეს მარტო საქართველოშია, ანუ ჩვენი მეცადინეობითაც, ჩვენი ბედოვლათობითაც შექმნილი სიყალბეა, რომლის შედეგადაც ატეხილ ომს თუ ისევ გაუგებრობად ჩავთვლით, ისევ გაუგებრობების რიცხვს მივუმატებთ, თუკი ამ ომიდან სათანადო დასკვნას არ გამოვიტანთ, უსათუოდ უფრო დიდი ძასშტაბის კატასტროფის მსხვერპლი გავხდებით. ამ ომის რუკაზე ტყვიამფრქვევის ცეცხლის პუნქტირმა გაანათა და გამოააშკარავა ის ბილიკები, ის ისტორიული ხვრელები, რომლებითაც კავკასიონის გადაღმიდან საქართველოში ბოლო ორი-სამი საუკუნის მანძილზე უცხო ტომი წვეთ-წვეთობით, თანდათანობით, ქურდულად ჩამოითესლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ამაზე არ ღაღადებს სიტყვა გ ა დ ა მ თ ი ე ლ ი!.. ებრაელთა გზა კი ასეთი ქურდული არ ყოფილა. ეს იყო შეგნებული, გააზრებული ლტოლვა ხსნისკენ, მეორე აღთქმული ქვეყნისკენ. ებრაელთა ყოველი გადაადგილება, მიგრაცია ისტორიის ფურცლებზე ნილოსივით ფართო სისხლის კვალს ტოვებდა. ამ უმაღლესი კულტურის ხალხმა მარადიული ტკივილი აქცია თავისი სულის სამოთხისეული უბიწოების შენარჩუნების საშუალებად, შეიძლება ითქვას — ბედისწერის სისასტიკის გამო, ამ ხალ-

ხისთვის, ტანჯვა გენეტიკურად აუცილებელ თანამგზავრად, ერთგვარ გამოსაცნობ ნიშნად გარდაიქმნა. ოღონდ ხალხს კიდევ უფრო გაუმძაფრდა საკუთარ ტანჯვაზე ამაღლების უნარიც, რაც, თუნდაც, მის მიერ სიკეთის შემჩნევასა, სიკეთის მიღებასა და სიკეთის დაფასებაში გამოიხატება.

სწორედ ებრაელთა ასეთმა ღირსებამ დაგვანახვა, რომ დღეს საქართველოში წარმოშობილი ყველა ეთნოკრიზისი თუ ეთნოკონფლიქტი ხელოვნური ხასიათისაა, თავსმოხვეულია ჩვენთვის იმ ბოროტი ძალის მიერ, რომლის სახელიც ებრაელებმაც და ქართველებმაც კარგად იციან და რის გამოც გვიხდება სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელი რამ — მტკიცება იმისა, რომ ეს ქართული მიწაა, რომ ეს მიწა ეკუთვნის ქართველობას, რომელმაც, ისევე როგორც სხვებს, ებრაელებსაც მისცა საშუალება ამ მიწაზე ეცხოვრა, როგორც ხალხს, რისთვისაც, ზოგიერთისაგან განსხვავებით, ებრაელობამ სამაგიერო გადაგვიხადა ყველაზე ადამიანური, მართალია ბევრისგან დავიწყებული, მაგრამ მაინც დიადი გრძნობით — ერთგულებით. მე ვიტყოდი, ეს არის ერთგულება საკუთარი თავის მიმართაც, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ებრაელობა ერთგულია თავისი დიდი წარსულისა, თავისი კულტურისა, თავისი დიდი ღირსებისა, რომ მას ღრმად ესმის იმ ღვთაებრივი ცნების არსი, რასაც სამშობლო ჰქვია. „იერემიას გოდების“ შემქმნელი ხალხისთვის, რასაკვირველია, მახლობელი და გასაგები იყო ქართველ პოეტთა გაუთავებელი მოთქმა დაკარგულ სამშობლოზე. ორივე ხალხი დიდი ხნის განმავლობაში სულიერი სამშობლოთი ითქვამდა სულს და საკუთარი სამშობლოსადმი ერთგულება უძლიერებდა სხვა ხალხის სამშობლოს პატივისცემასაც. ბევრმა ებრაელმა ბავშვთა ლოცვასავით ამოიჭრა სულის ფიცარზე ქართველთა უძვირფასესი სიტყვები: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“, რამაც გაუღვივათ გრძნობა საკუთარი სამშობლოს სიყვარულისა. და სწორედ ამის გამო შეუნდოთ ჩვენ ქართველმა ხალხმა ის ერთადერთი ტკივილი, რაც მათ ისრაელში დაბრუნებით მოგვაყენეს. მე მინახავს თბილისის სადგურის ბაქანზე დამხობილი ებრაული ოჯახი, ასფალტს ცრემლით რომ რწყავდა და ასე ეთხოვებოდა ქართულ მიწას, მინახავს ცრემლი მათი გამცილებელ ქართველთა თვალზეც. შეიძლება ბევრი ევროპელისთვის ეს პარადოქსული სცენაც კი ყოფილიყო, თუმცა ყველასთვის ერთნაირად გასაგები სამი სიმბოლო ედო საფუძვლად: ღმერთი, სამშობლო და ადამიანობა. დარწმუნებული ვარ, არც ერთი სხვა ქვეყნიდან არ დაბრუნებულა ისრაელში ამ ქვეყნის შვილი ისეთ პატრიოტ ებრაელად, როგორც საქართველოდან.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ებრაელობას ჰქონდა ის, რისი ერთგულებაც ღირდა თუნდაც სიკვდილის ფასად. ბოლოს და ბოლოს, კაცობრიობა სიბნელიდან „ბიბლიით“ გამოვიდა, ამ წიგნიდან უამრავი სიბრძნე შეითვისა და დღესაც იძენს და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც შეიძენს, თუკი, რა თქმა უნდა, საკუთარი სახის შენარჩუნებას აპირებს. ამავე დროს, ეს წიგნი არის ჩვენი პოეტური ხილვების, მეტაფორების დაულეველი წყარო, აკუმილატორი პოეზიისა, რაც თავისი მხრივ, სასიცოცხლო ძალის მიმნიჭებელია საერთოდ ადამიანის ყველანაირი შესაძლებლობისა, სტიმულია მისი ყველანაირი, თუნდაც, თითქოს პოეზიისაგან ძალიან შორს მდგარი საქმიანობისა. რატომღაც მგონია, სემაფორი — გზის განუყრელი, სიმბოლოდ ქცეული ატრიბუტი — შთაგონებულია ბიბლიური ცეცხლმოდებული ბუჩქიდან, გზას რომ ასწავლის ადამიანს. სემაფორის ფერები ხომ ცეცხლისა და მცენარის ფერებია!..

ებრაელობა საქართველოში არც კარგად ცხოვრობდა და არც ცუდად, არც რაიმე პრივილეგია ჰქონია და არც რაიმე შეზღუდვა, ანუ ცხოვრობდა ისევე, როგორც ქართველი ხალხი. მართლაც,

საქართველო ებრაელებისთვის არასოდეს თავშესაფარი არ ყოფილა, ეს იყო სახლი და ესეც მათი და ქართველთა თანდაყოლილი კულტურის გამო მოხდა. ებრაელობის მოსვლა საქართველოში ამ ოცდაექვსი საუკუნის წინ პირველ რიგში იმის დამამტკიცებელია, რომ საქართველო მაშინ აშკარად ძლიერი და ტოლერანტული სახელმწიფო იყო, თორემ სხვანაირად ეს ხალხი, რომელმაც საკუთარი ხელისგულივით იცოდა იმდროინდელი ოიკუმენა და რომლის ცნობისმოყვარე თვალმა სამოთხეშიაც კი შეიჭვრიტა, აქეთ არ გამოეშურებოდა. მან, როგორც ვთქვი, შეგნებულად აირჩია ეს გზა, მეორე უდაბნო განვლო იმისთვის, რომ მეორე აღთქმულ ქვეყანაში მოსულიყო, მოაღწია კიდეც აქამდე და მონობიდან ერთხელ კიდევ გათავისუფლდა. საუკუნეების მანძილზე, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, მრავალჯერ იყო დაპყრობილი მომხდურების მიერ, მაგრამ, ქართველი ხალხის მსგავსად, არასოდეს მონა არ ყოფილა, იმიტომ, რომ არასოდეს შეგუებია მონობას. არ არსებობს ძალა, რომელსაც სულიერად თავისუფალი ადამიანის დამორჩილება შეეძლოს. ასე რომ, ებრაელობას საქართველოში გამორჩეულად არასოდეს უცხოვრია და ეს ჩვეულებრივობა იყო ყველაზე დიდი მონაპოვარი, როგორც ქართველი, ასევე ებრაელი ხალხისა. ორმა უძველესმა, მაღალკულტურულმა ხალხმა კარგად გაუგო ერთმანეთს, ებრაელობამ ბევრი კარგი რამ გადაიღო ქართველებისგან , თუნდაც მიწათმოქმედების ქართული წესი. ებრაელობა საქართველოში, სხვა ბევრ საქმიანობასთან ერთად, მიწათმოქმედებასაც მისდევდა და მისდევს. ებრაელი გლეხის სახლი თუ ვენახი სრულებით არ განსხვავდება ქართველი გლეხის სახლსა თუ ვენახისაგან. ამავე დროს, ებრაელობამაც ბევრი კარგი რამ მისცა საქართველოს. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან აღმშენებლობით საქმიანობაში ებრაელთა წვლილიც ურევია. ბევრის მთქმელია ქართველი ებრაელი დიდვაჭრის ზორაბაბელის სახელი, რომელიც ამავე დროს საქართველოს სახელმწიფო ელჩიც იყო (არაოფიციალურად!), საქართველოს საქმეს აკეთებდა. ეს იმაზედაც მეტყველებს, რომ ებრაელობას ყოველთვის გზა ჰქონდა გახსნილი უმაღლესი სახელმწიფო იერარქიისკენ.

ღღეს ებრაელობამ თავისი სახელმწიფო შექმნა, უკვე მოიკიდა თავისუფლების ციცაბოზე ფეხი. საქართველო კი ახლა შეუდგა იმ აღმართს, ახლა დაადგა იმ ბილიკს, რომელიც ძალიან სახიფათოა, თუკი თავიდანვე ვერ აუღებ ალღოს. ამიტომ აი, ახლა გვჭირდება მხარდაჭერა, ყველაფერზე მეტად კი გაგება და ნდობა. მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ ფიქრში რატომღაც ყოველთვის მეიმედება ისრაელის სახელმწიფოს არსებობა. შეიძლება ის საქართველოს უღლის ცალიც კი აღმოჩნდეს, როგორც იდენტური მისიის ქვეყანა, სულ ახლო მომავალში, დიდი პოლიტიკის ასპარეზზე.

ვიხსენებ რა წარსულს, მჯერა მომავლისა...

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ჟურნალისტური მოღვაწეობის დაწყების პირველივე დღიდანვე ვანო მაჩაბელი ნოვატორად გვევლინება და პრესაში გამოსაქვეყნებელ მასალათა შერჩევისას დროულად ხვდება, თუ რაზეა საჭირო იმ დროს საზოგადოებასთან გასაუბრება.

საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1879 წელს, როცა საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის მეღვინეობა-მევენახეობის ქვეყნებს ფილოქსერა მოეძალა, ვანო ჟურნალ „ივერიის“ მე-4 ნომერში ბეჭდავს წერილს — „ვაზის ახალი მტერი“, რომელშიც მოგვითხრობს დაავადების წარმოუდგენელ საშიშროებაზე ჩვენი ვენახების მომავლისთვის, აგვიწერს დაავადების სიმპტომებს და მიუთითებს პროფილაქტიკასა და მკურნალობის საშუალებაღონისძიებებზე; მაგრამ საზოგადოებამ, როგორც ჩანს, ყურად არ იღო დროული გაფრთხილება და როცა ფილოქსერა ჩვენს ზვრებსაც შეესია და განადგურება დაუწყო, მაშინღა ატყდა საყოველთაო განგაში: ანალოგიური წერილები ქვეყნდება „ივერიაში“ (1881 წ. № 1 — „ფილოქსერა“, 1889 წ. № 222 და 277 — „ფილოქსერა“, „ვაზის სნეულებანი“), გაზ. „მეურნეში“ (1889 წ. № 25 — „კიდევ ფილოქსერის გამო“, 1891 წ. № 8 — „ფილოქსერა და საფილოქსერო კომიტეტი,“ 1892 წ. № 1-4 „ფილოქსერა ჩვენში“) და ა. შ. იმავე 1879 წლის „ივერიის“ 5-6 ნომერში იბეჭდება ვანო მაჩაბლის „ტყე და მისი მნიშვნელობა“; 1880 წ. „დროების“ № 116 — „ტყეში შესეული ჯარი“ (ტყის მცველთა მიერ ტყის ჩეხვა-განადგურებაზე), № 166 — „მამულების მორწყვა“, № 63 — „კალია“, № 113 — „სამეცნიერო საუბარი“ (ჭლექი გადამდებია თუ არა? და სხვ.), № 111 — „სომხეთის ბედი (ოსმალეთში)“, „ივერიის“ № 6 — „ურიების ბედი“ და ა. შ. როგორც უკვე დავინახეთ, ყველა ჩამოთვლილი სტატია დაბეჭდილია 1879-1880 წლებში. წერილებს ანალოგიურ თემებზე გაზ. „ივერია“ დიდი მოგვიანებით აქვეყნებს: 1889 წ. № 61 — „მორწყვის საქმე წინათ და ეხლა“, 1883 წ. ოქტომბერი — „შინაური მიმოხილვა“ (ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია, რომ „ყოვლად შეუწყნარებლად, დაუნდობლად და წინდაუხედავად კაფვა ტყეებისა ტფილისის გუბერნიაში დიდს უბედურებას შეგვამთხვევს“ და სხვა, ავტორი ილია ჭავჭავაძე), 1888 წ. № 98 — „ებრაელთა საკითხი“, 1895 წ. № 274 — „ოსმალეთის სომეხთა განწირვა“, 1897 წ. „ივერიის“ № 36, „ჭლექის“ შესახებ გვესაუბრება და ა. შ.

აღნიშნულის გარდა, ჟურნალ „ივერიაში“ თანარედაქტორად დანიშვნისთანავე ვანო კრიტიკისა და ხელოვნების განყოფილებას უძღვება: მისი რედაქციაში მოსვლის შემდეგ ჩნდება და რედაქციიდან წასვლისთანავე უჩინარდება რუბრიკა „ახალი წიგნები“. წერილებში კრიტიკული ანალიზის სპექტრშია შეფასებული ახლადგამოსული წიგნების მნიშვნელობა, განხილულია ბელეტრისტიკის საკითხები და სხვა. ამასთან დაკავშირებით ალ. კალანდაძე ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მე-4 წიგნში სამართლიანად შენიშნავს: „ივერიამ“ ქართულ მწერლობას შეჰმატა უაღრესად განათლებული, ღრმად ერუდირებული, დიდი ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოვებული კრიტიკოსი ივანე მაჩაბელი... სამართლიანი მადლიერების გამოხატვა იქნება თუ ვიტყვით, რომ ივ. მაჩაბლის კრიტიკულმა წერილებმა შესამჩნევად აამაღლა ქართული ლიტერა-

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 7—8.

ტურული კრიტიკის პროფესიული დონე...“

ვანომ დიდი ნიჭი გამოიჩინა პოლემიკაშიც. მისი, როგორც ბრწყინვალე პოლემისტის სახე დიდებულადაა წარმოდგენილი ვ. ჭელიძის ბიოგრაფიულ რომანში.

მიუხედავად ბანკსა თუ რედაქციებში დაუღალავი შრომისა, საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში მუდმივი და შეძლებისდაგვარად სისტემატური ტრიალისა, ვანო მაინც პოულობს დროს საკუთარ თავზე მუშაობისთვის... პირველ რიგში, იგი ხვეწდა და იმდიდრებდა ქართული ენის ლექსიკას, აგროვებდა საკუთარ ლექსიკოგრაფიულ მასალებს, რომლებიც ნაწარმოები იყო თანამედროვე ქართული თუ ნათარგმნი ლიტერატურიდან, ხალხური სიტყვიერებიდან თუ ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურული ძეგლებიდან, მდაბიოთა თუ ბანოვანთა საუბრებიდან, შემდეგ კი შესაშური სიუხვით და დანიშნულებით იყენებდა როგორც პუბლიცისტურ თუ კერძო წერილებში, ისე, პირველ რიგში, თავის გენიალურ თარგმანებში. როგორ არ გავიხსენოთ კიდევ ერთხელ ოლივერ უორდროპის ყოველგვარი პირფერობისგან დაზღვეული ხოტბის შესხმა: „იულიუს კეისრის“ თქვენეული თარგმანი სწორედ რომ საამაყოა; ეს არის თქვენი გენიისა და ამავე დროს თქვენი ენის განსაცვიფრებელი სიმდიდრის მტკიცება.“[25]

ვანო მაჩაბლის საარქივო მასალებში შეგხვდებათ ასეთი ჩანაწერები: „ალამი — ბაირაღი, აღაჯი — ხუთი ვერსტია, ბორტყვით — каробкаясь, ბიაბანი — ტრიალი მინდორი(?) ყარამნიანი, გვ. 27, განგერგება — განმეორება (ნიკ. ტფილელი, იამბიკო), დროშა — ბავრაყი, დაორხელება — ორის ხელით აღება, დაუნჯება-დასაკუთრება, ლირფი — თავხედი, ურცხვი, მავრა — ცხენის მტანჯველი ალის სახელი, მოშურნე — ჯავრის ამომყრელი, ლასკუმა — статуя, კისკასი — грациозность; მეწყერი — მიწის ზვავი, ნამუსმა კალთა შემიპყრა, დავნამუსდი, ყარამნიანი, გვ. 33, ნუზლი — სურსათი, ყარამნიანი, გვ. 42, პოლორჭი — ტიკის პირი; პურშავი; რიკული — მოაჯირის წვრილი ბოძები, სკორე — ნეხვი, სანდალი — პატარა გემი, სამსალა — საწამლავი, მომაგიერე — იგივეა, რაც მაგიერი, მხოლოდ ადამიანზე ითქმის, შეგანძური — განძურთუხუცესი — მოლარე, მოლარეთუხუცესი, მუნა/ე/ჯიბი — ვარსკვლავთ მრიცხველი, ყარამნ. 46, სალბუნი — მალამო, ქეშიკი — телохранитель, ყარამ. 47, ყამირი — მაგარი, ყაწიმი — ხმლის ჩამოსაკიდი (ოთარაანთ ქვრივი, თავი IV), მოიხალისებს — მობეზრდება, გაავზნება — გაჭირვეულება და სხვა.

ამ პერიოდში ვანოს პირად ბიბლიოთეკას ამშვენებდა: „ქართლის ცხოვრება“, „კალმასობა“, „მეფე გიორგის ცხოვრება“, „სვეტიცხოვლის აღწერა“, „ამირანდარეჯანიანი“, „ქართული მწერლობა“ (XII და XVII ს. ს.), „ქართული სტამბის დაარსება რომსა და საქართველოში“, „ვახტანგ მეფე და ქართული სტამბა“, დ. გურამიშვილის „ლექსები“, „ქართველი მღვდელ-მთავრები“, „საქართველოს შესახებ ევროპიელთა ცნობები“, „საქართველოს დაკარგული სოფლები“, ალ. ორბელიანის „მეფე დავით აღმაშენებელი“ და სხვა, სულ 37 წიგნის სიაა შემონახული მისივე ხელით შედგენილი კატალოგის სახით ლიტმუზეუმის ვ. მაჩაბლის ფონდში. საფიქრებელია, რომ უცხო ენებზე გამოცემული ლიტერატურა, პირველ რიგში, შექსპირის ინგლისურენოვანი გამოცემები, მას ცალკე ჰქონოდა აღნუსხული და ჩვენამდე ვერ მოაღწია. ვანოს ბიბლიოთეკის თემატიკაც მის ინტელექტუალობასა და მამულიშვილობაზე მიგვანიშნებს. და რაკი უკვე ჩამოყალიბებულ მაჩაბელ-მოღვაწის პიროვნებას ვეხებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მის თანამედროვეთა მოგონებებიდან გამომდინარე, წარმოვიდგინოთ მარად ახალგაზრდად დარჩენილი ვანო მაჩაბლის გარეგნული თუ შინაგანი პორტრეტი:

ეკატერინე გაბაშვილი: „ალვის ხესავით ჩამოსხმული, მაღალი ტანის, გამხდარი; ფერმკრთალი სახის, შავი წვერულვაშით დამშვენებული; ფართო, მომწვანო ფერის თვალებითა და გრძელი წამწამებით; თეთრ შუბლზე ქერა თმის კულულებჩამოშლილი, რომელსაც წამდაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუმ თავის უკან გადაქნევით თავის ძველ ადგილზე აბრუნებდა, რის გამოც მოუსვენარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საამო ხმით, ჩქარი და რიხიანი საუბრით; მუდამ მკვირცხლი და მოუსვენარი ბუნების".[26]

„ზემოთაც მოვიხსენიეთ და აქაც ვიმეორებთ, რომ ქართველებში იშვიათად შეჰხვდებოდით ასეთს შრომის მოყვარე კაცს. ხშირად მინახავს: მოგროვდებოდა ოციოდე საქმე, სესხის გასაცემად დამზადებული, რომელთაც გადასინჯვა უნდოდა, შესწავლა, შემოწმება და დადგენილების დაწერა. არც სახვალიოდ გადასდებდა და არც საქმის სიმრავლეს შეუშინდებოდა. შეუდგებოდა მუშაობას, თითქმის ხუთსექვსს საათს თავს მაღლა არ აიღებდა და მეორე დღისთვის ყველა საქმე დამზადებული ჰქონდა გამგეობისთვის მოსახსენებლად." — ვკითხულობთ ი. მანსვეტაშვილის მემუარებში.[27]

„ი. მაჩაბელი ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთად ერთი პიროვნებაა, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს თავის თანამემამულეებში". — აცხადებს ევროპის გასაგონად ო. უორდროპი.[28]

„ის იყო მშვენიერი ორატორი, პირდაპირი, გულწრფელი, სიმართლის მიმდევარი, უანგარო მშრომელი ყმაწვილი კაცი და უზომოდ მოსიყვარულე თავის სამშობლოსი, თავის ერისა და აი ასეთი კაცი იყო დევნილი იმისათვის, რომ ყველას დაუფარავად, გულახსნილად ეუბნებოდა იმას, რასაცა გრძნობდა. ეშმაკობა, გაიძვერობა, საქმის დამაბრკოლებელი ფორმალიზმი და პოლიტიკა იმის კატეხიზში არ მოიძებნებოდა.

მეორეს მხრივ ის იყო მეტის მეტი გულკეთილი, თავაზიანი. უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა და შემწეობას აღმოუჩენდა იმას, ვისაც კი ეს შემწეობა ჰსჭირდებოდა. რამდენი შემთხვევა მინახავს, რომ ტორგის დროს ბევრისთვის თავისი გროშები შეუტანია (იგულისხმება ბანკში დაგირავებული მამულების გამოსყიდვა. — ჯ. მ.) და დაუხსნია გაჭირვებისგან. რამდენს დახმარებია და წურბელებისგან (ე. ი. მევახშეებისგან. — ჯ. მ.) გადაურჩენია." — იგონებს ალ. ბაჩაბელი.

და ბოლოს, ვანოს თანამედროვეთა მოგონებებს გვინდა კვლავ დავუმატოთ ჩვენი საუკუნის ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალწახნაგა მოღვაწის, ბ-ნ ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვებიც: „დიახ, ჩვენ გვინდა, რომ რაც შეიძლება გამოკვეთილად წარმოსდგეს ამ ადამიანის მრავალკუთხედი ინტელექტუალურ-მორალური აგებულება, რომელიც იყო დიდი ზომის მჭერმეტყველი, სერიოზული ცოდნით გამართული, გონება-მახვილი პუბლიცისტი, კარგი ფინანსისტი, ფხიზელი პრაქტიკოსი და რაც უმთავრესია, მეტად მნიშვნელოვანი მხატვრული და ლიტერატურული ძალის პატრონი. მრავალ-მხრივად განვითარებული და დამოუკიდებელი ადამიანი, თითქოს შემკრებლობითი პუნქტი იყო ყველა იმ დაფანტული ძალებისა, რომელნიც ელავდნენ იმ დროინდელ ჩვენი ცხოვრების სივრცეზე".

აი, ასეთი იყო იგი სულით, ბუნებით, ნიჭით, შრომისმოყვარეობით, პოპულარობით — შინაგანად და გარეგნულად!

ვანო მაჩაბელი 1881 წ. ბანკის დამფასებლად გადაჰყავთ. მეტად საგულისხმოა მისი პოეტური განმარტება თავისი ახალი თანამდებობის შესახებ: „დამფასებელთა ინსტიტუტი ის მოძრავი ძარღვია, რომელიც ასაზრდოვებს ბანკსაო".

უცებ გაირბინა ორმა წელმა. ბანკის დამფასებლობა და მასთან დაკავშირებული შემბოჭველი საქმიანობა, ხანდისხან მივლინებებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სულაც არ უშლის ხელს ერის კეთილდღეობისთვის ზრუნვას დაწაფებულ ახალგაზრდა მოღვაწეს, რომ თავისი კვალი დაამჩნიოს ჟურნალ „ივერიას", რომლის ოფიციალურ თანარედაქტორადაც გვევლინება იგი 1881 წლის ბოლოდან — ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი.

თითქოს ყველაფერი უკეთესობისკენ მიდიოდა, ბრძენი ილიაც კმაყოფილი იყო თავისი უნიჭიერესი და უბეჯითესი ჭაბუკი თანამშრომლით და ახალგაზრდა ვანოც თავისი მასწავლებლისა და მფარველის, ილიას ყურადღებით... თითქოს, მაგრამ...

7. „მნათობი" № 9—10.

ძალზე საღი თვალით აქვს დანახული და ამასთან პოეტურადაც აღწერს თავის მოგონებაში ამ ორი დიდი პიროვნების მოღვაწეობის ხსენებულ პერიოდს ი. მანსვეტაშვილი:

„ვანო ცეცხლი იყო, მუდამ სდუღდა და გადმოსდუღდა; ილია ჩუმად, ნელად მიმდინარე წყალი იყო, რომელიც პირველს აქრობდა და ანელებდა. ვანო ქურციკივით ხტოდა, მიითამაშებდა, მირბოდა. ილია ფეხს არ ააჩქარებდა, ნელის, აუჩქარებელის ნაბიჯით მიდიოდა თავის გზაზედ.

კაცი ასე იფიქრებდა: მადლობა ღმერთს, რაც ერთს აკლია, ის მეორეს გადამეტებითა აქვს, მაშასადამე ერთი მეორეს ნაკლს შეავსებს, ერთმანეთს ხელს შეუწყობენ, მუშაობა გაუადვილდებათ და საქმე მწყობრად, სასურველი წარმატებით და წარჩინებით წინ წავაო. მაგრამ ასე არ მოხდა“.

დიახ, ასე არ მოხდა და ის პირველი ეგრეთწოდებული „ათვალისწინებაც“ ერთმანეთისა, რომელსაც იაკობი ორ მოღვაწეს შორის ერთმანეთის წუნის ხედვაში ამჩნევს, თითქოს „ილიას სიდინჯე ვანოს სიზანტედ მიაჩნდა, ილია კიდევ ვანოს სიჩქარეს და სიმარდეს — ცუნცრუკობად სთვლიდაო“, მაინც არ მიგვაჩნია მთლად ობიექტურ მიზეზად. აქ უფრო საფუძვლიან ფესვებთან გვაქვს საქმე, რომელიც გაცილებით სარწმუნოა, ვიდრე ი. მანსვეტაშვილის მომდევნო მტკიცებაც: „ილიას საზოგადოდ არ მოსწონდა მაჩაბლის ასე სწრაფი სირბილი (ე. ი. ასპარეზზე წინსვლაო. — ჯ. შ.), მით უმეტეს, რომ ყველა ეს ილიას დაუკითხავად ხდებოდაო...“ უფრო სწორი საფიქრებელია თუ დავუშვებთ, რომ ილიას ჯერჯერობით არ ემეტებოდა ვანო დამოუკიდებელი მოღვაწეობისთვის და სწამდა, რომ ორივე ერთად, ერთმანეთის გვერდით, უფრო მეტ საქმეს გააკეთებდნენ, ვიდრე ცალ-ცალკე! თანაც, ვანოს „სწრაფ სირბილში“ ხომ თავადაც მონაწილეობდა, რატომ ხდებოდა მის „დაუკითხავად“?! ამდენად, გაცილებით სარწმუნოა ბ-ნ ვახტ. კოტეტიშვილის „ალბათობა“; „იქნებ იმ განხეთქილების მიზეზიც, რომელიც, ჩამოყარდა ილიასა და მაჩაბელს შორის, [illegible] აქაც იმალებოდეს, ე. [illegible] ბელი ბუნებრივად, ორგანული ზრდის გამო ველარ ეტეოდა ილიას კალთის ქვეშ, და უნდოდა საკუთარი ადგილიო“!

განხეთქილება გაღრმავდა მას შემდეგ, როდესაც თავდაუზოგავი შრომისა და მატერიალური გასაჭირისგან ჯანმრთელობაშერყეული სერგეი მესხი იძულებული გახდა თავი დაენებებინა გაზეთ „დროებისთვის“, ხოლო ილიამ რედაქტორობის კანდიდატად ქანანოვი დაასახელა. რასაკვირველია, ეს ეწყინებოდა ვანოს, რომელიც მაშინვე ანებებს თავს „ივერიას“, შოულობს ფულს და მესხიც, როგორც ყველაზე შესაფერ პიროვნებას, მას აბარებს გაზეთს.

1883 წ. 85 ნომრიდან „დროებას“ უკვე მაჩაბელი უშვებს, თუმც 122-ე ნომრამდე ძველი ხელმძღვანელობის ხელმოწერით გამოდის იგი. „ვანომ ზოგიერთი პირების დახმარებით შეისყიდა განსვენებულ სერგეი მესხისგან „დროება“ და „ივერიას“ თავი დაანება. მან იკისრა თავის თავზედ რვაასი თუმანი, რომელიც გაზეთს ემართა“. — იგონებს ალ. მაჩაბელი. ამავე წელს, უკვე „დროების“ რედაქტორს ვანო მაჩაბელს თბილისის საადგილმამულო ბანკის დირექტორადაც ირჩევენ.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ მაჩაბლისეული „დროების“ დახასიათებით, მისი რედაქტორის შემართებული შრომის, გაზეთის შინაარსის გადმოცემით, მასში მოთავსებული მასალების იდეურ-ჟანრობრივი განხილვით თუ თემატური ნაირფეროვნების წარმოდგენით, ცენზურასთან ბრძოლის ხერხების დემონსტრირებით, ერთი სიტყვით, გაზეთის ყოველმხრივი ანალიზით. ამის შესახებ ნაწილობრივ მოთხრობილია ალ. კალანდაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ მე-5 წიგნში, ვ. ჭელიძის დოკუმენტურ რომანში, ალ. იოვიძის ნარკვევში „ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა“, ჩვენს მიერ 1972 წ. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ ნარკვევში „ივანე მაჩაბელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „დროების“ რედაქტორი“ და სხვა. საინტერესოა ს. მესხის მეუღლის, ეკატ. მელიქიშვილის მოგონება, თუ როგორ დაიწყო ახალმა რედაქციამ თავისი მუშაობა: მაჩაბელმა „ბინა სასახლის ქუჩაზე, დავით სარაჯიშვილის სახლში დაიქირავა, რედაქცია კარგად მოაწყო. უნდოდა შეექმნა ევროპიული ტიპის გაზეთი... ყოველ თანამშრომელს საკუთარი ოთახი და მაგიდა უნდა ჰქონოდა. გაზეთი უნდა ყოფილიყო განაწილებული განყოფილებებად. მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: ალ. ნანეიშვილი (ა. ნ-ლი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), იონა მეუნარგია, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, სანდრო ყაზბეგი და დავით კეზელი.

სანდრო ყაზბეგს ბინაც რედაქციაში ჰქონდა და ჩვეულებრივ რედაქტორის მაგიდის ერთ კუთხეში იჯდა და თავაუღებლივ თავის მორიგ ფელეტონებსა სწერდა...“[29]

ახალი რედაქტორი მთლიანად იზიარებს მესხისეული მებრძოლი გაზეთის სახეს, თუმც გაზეთს მაინც ეტყობა სიახლეები როგორც ტექნიკური თვალსაზრისით, ისე თემატური მრავალფეროვნებითაც. საგულისხმოა თვით რედაქტორის აზრი „დროების“ ისტორიულ მნიშვნელობაზე: გაზეთმა „ააღორძინა ის ძლიერი ჭახრაკი კაცობრიობის ისტორიისა, რომელსაც საზოგადოების აზრს ეძახიანო!“ — სწერდა იგი. მაჩაბელი მეტისმეტ სიმამაცეს და მოხერხებულობას იჩენს გაზეთის სასურველი სახის შესანარჩუნებლად: გასაოცარია, მაშინდელი ბიუროკრატიის „ბუკვაედობის“ პირობებში როგორ აპარებდა ბუსავით თვალებდაჭყეტილ ცენზორს უსამართლობის წინააღმდეგ მიმართულ ზღვა მასალას!

მაჩაბელთან თანამშრომლობს თითქმის ყველა ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი: იაკობ გოგებაშვილი, ვახტ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი, პ. უმიკაშვილი, ესტ. მჭედლიძე, ბაჩანა, სოფ. მგალობლიშვილი, იოს. დავითაშვილი, შიო მღვიმელი, ეკ. გაბაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ლადო აღნიაშვილი, ცახელი, ან. ღულაძე, ალ. მირიანაშვილი, დიმ. ბაქრაძე, ნ. ხიზანიშვილი, გრ. ვოლსკი, ბეს. ნიჟარაძე, ი. ხონელი და სხვ. და სხვ.

ვანო ორივე ფრონტზე წარმატებით იბრძვის, ბანკშიც და საკუთარ გაზეთშიც, ვერც ერთგან საყვედურობს საზოგადოება, რომ ენთუზიაზმი დააკლდა, რომ ერთგან ძალიან დაკავებული მეორეს ვეღარ სწვდება ადრინდებულად...

„1885 წლის 21 თებერვალს საცენზურო კომიტეტმა მოხსენება წარუდგინა მთავარმართებელს ივანე მაჩაბლის რედაქტორობიდან გადაყენების შესახებ, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ გაზეთი „დროება“ სისტემატურად იქცევს ყურადღებას თავისი ტენდენციური მიმართულებით — ამ გაზეთისთვის წარმოდგენილი სტატიები განმსჭვალულია მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ მკაცრი თავდასხმებით. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის ასეთი მიმართულება სისტემატურად იდევნება ცენზურის მიერ და ყველა ასეთი სტატიები იკრძალებოდა ყოველგვარი შეწყნარებისა და შეღავათის გარეშე, გაზეთის რედაქცია აშკარა სიჯიუტითა და დაჟინებით განაგრძობს ასეთივე სულისკვეთებით გაჟღენთილი სტატიების წარმოდგენას განსახილველად და ცენზურის მითითებებს სრულიად უგულებელყოფს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი მ ე ტ ა დ უ ხ ე შ ა დ დ ა მ კ ა ც რ ა დ ი ქ ც ე ვ ა ს ა ც ე ნ ზ უ რ ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ ი მ ა რ თ დ ა კ ო მ ი ტ ე ტ ს სრული რწმენით შეუძლია განაცხადოს, რომ სანამ მაჩაბელი დგას რედაქციის სათავეში, გაზეთი არ შესცვლის არც თავის მიმართულებას და არც იმ ხერხებს, რომლებსაც ახლა ხმარობს“. — სწერს თავის გამოკვლევაში ალ. იოვიძე.

დავაკვირდეთ ჩვენს მიერ ხაზგასმულ სიტყვებს — თვით ცენზურაც კი, ვანოს მიერ დასახულ მიზანსწრაფვას, იმ ხერხებს და მეთოდებს, რომლებითაც იგი ახორციელებს ძირითადად სოციალური და ეროვნული საკითხების მთელი სიგრძე-სიგანით გაშუქებას, დემოკრატიული იდეების პროპაგანდას, ისეთ მუქ ფერებში ხატავს, თითქოს მაჩაბელი ყოფილიყოს ცენზურა და ამ უფლებით „მკაცრად და უხეშად“ ერეოდა თვითმპყრობელობის

მიერ განხორციელებულ „პატრიოტულ“ საქმიანობაში!.. და ეს მაშინ, როცა სიტყვები: საქართველო, ქართული, ხალხი, ეროვნული და სხვა, ცენზურის მიერ აკრძალული იყო!

ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს მისი ნაწერებიდან მეტად განსხვავებული წერილი „არეული ფიქრები“, რომლის დაწერას კი არა, გააზრებასაც კი ვერ გაბედავდა იმ დროს (და ვერც საბჭოეთის დროს) ვერცერთი მოღვაწე, რუსი იქნებოდა იგი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი. მასში წარმოდგენილია რენტგენული სიზუსტით დანახული „ველიკოდერჟავული“ და იმპერიალისტური ეპიდემიით ამნეზირებული ხელისუფლების ჩინოვნიკური აპარატის თუ ნაცარში ამოგანგლული შიზოფრენიკი რუსთ მეფისა და „სამაგონკით“ აყროლებული მუჟიკის გულღრძო ბუნება, რომლის კრედო გამოხატულია მისსავე სიტყვებში: „რა ბედნიერია კაცი, როდესაც გრძნობს, რომ არის ერთი კიდევ მაინც მისი ხელქვეითი, რომლის ბატონობა შეუძლიაო“. წერილის პუბლიკაცია მან, რასაკვირველია, ვერ მოახერხა და იგი მხოლოდ ჩვენს მიერ იქნა გამოქვეყნებული 1993 წ. გაზეთების: „ლიტერატურული საქართველოს“ (7.01) და „იბერია-სპექტრის“ (16-22.02) ფურცლებზე.

... ვანომდე მოვიდა ცნობა, რომ „დროება“ დახურვის საფრთხის წინაშეა და გაზეთის გადასარჩენად ილია ჭავჭავაძესთან ერთად განცხადებას უდგენს მთავარმართებელს, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი თავს ანებებს „დროებას“, ილია კი მის რედაქტორობას კისრულობს, მაგრამ საცენზურო კომიტეტი ცივი უარით ისტუმრებს ორივეს: ილია მაჩაბელს ისე ენდობოდა „ივერიაში“ მუშაობის დროს, რომ ახლაც „საქმის ბატონ-პატრონად ისევ ივანე მაჩაბელი დარჩებაო“.

14 სექტემბერს „დროების“ უკანასკნელი ნომერი გამოვიდა. მეხის გავარდნად გაისმა გაზეთის დახურვის ამბავი იმპერიის ყველა კუთხეში გაფანტულ მამულიშვილთა შორის. „ტელეგრაფმა მოგვიტანა შემაძრწუნებელი ამბავი: ჩვენი ერთადერთი საქართველოს გაზეთი დაგვიხურეს... გულ-წრფელად ეჯავრებინ ჩვენ ... ...

და აი, ასეთ კაცს აბრალებენ ბროსეს პრემიისთვის თუ რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეგროვილი თანხის მითვისებას, რომლის შესახებაც გაზ. „მწყემსის“ რედაქტორ-გამომცემელი დავით ღამბაშიძე ამავე გაზეთის 1893 წლის 21-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, „მწარე ფიქრები“, კითხულობს: „ვკითხოთ ერთი „ივერიას“ და საზოგადოებას ბროსეს ფულებს რა უნდოდა მაჩაბელთან, როდესაც იგი იყო შეკრებილი წინეთ, სანამ „დროებას“ იყიდდა თ-ი მაჩაბელი?“ ბოლოს ყველა დარწმუნდა, რომ ეს თანხა, მანამდე დახარჯული, „დროების“ ვალად გადასცემია ვანოს და რომ ამ ვალებს, არა მის აღებულს, მთელი ცხოვრების მანძილზე იხდიდა იგი საზოგადოების მაგიერ, მაგრამ რაღას უშველიდა შემდგომი გამართლება ისედაც ნერვებდაწყვეტილ მამულიშვილს, რომელსაც სიკეთის სანაცვლოდ მადლი არ ღირსებია არასდროს!

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ვანო მაჩაბელი არ ყრის ფარ-ხმალს, ვაჟკაცურად აგრძელებს თავის მოღვაწეობას. როგორც პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი აღნიშნავს: „იგი იმ დროს ნამდვილი სამაგალითო მოღვაწის ტიპს წარმოადგენს. ერთ კერძო წერილში (1887 წ.) ივანე მაჩაბელი თავის მეგობარს წერს: „თეატრს კარგს ვაშენებთ. სურათებიანი „ვეფხისტყაოსანიც“ მე დამაწვა კისერზედ, ეხლა ბანკის საქმეები ცალკე და „ოტელოს“ გათავებასაც ვაპირებ“.

1886 წ. გაზ. „თეატრში“ დაიბეჭდა „ჰამლეტი“, რომელიც იმავე წელს და 1887 წელს ზედიზედ გამოვიდა ცალკე წიგნებად. 1887 წ. 11 თებერვალს „ჰამლეტი“ ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოუდგენია ქართულ თეატრს. 1888 წ. იბეჭდება წიგნად „ოტელო“ და გ. ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ასევე ვანოს ქანცგამწყვეტი შრომის შედეგი იყო, ზემოთაც ავღნიშნეთ. მაჩაბლის ლიტერატურული ენით აღფრთოვანებული მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი წერდა: „ქართული ენა გაჩარხა, ნაჯიჯგნი სხვა და სხვისაო“. როგორც 1886 წ. № 262 „ივერია“ გვატყობინებს ვანოს მთარგმნელობა „ოტელ“ კი ჩამოუყალიბებია...

მცირე ლირიკული ვალსები

ადამიანი სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია. არც დიდი ადამიანები და მათ შორის ვანო მაჩაბელი იყო გამონაკლისი ამ მხრივ, მის მოკრძალებულ პირად ცხოვრებასაც ალამაზებდა ეს უფაქიზესი გრძნობა. ვაგლახ, რომ ზოგიერთ ცრუ მეცნიერთ ჭორებად მოარული „სენსაციური“ მითქმა-მოთქმა გაუხდიათ თავიანთ კვლევის საგნად და ამით უნდათ მოიხვეჭონ პოპულარობა, ამასთან არაფრად აგდებენ თავიანთ არაკორექტულობას და მაკომპრომეტირებელ ყალბ ცნობებს, რომლითაც ამახინჯებენ და აბინძურებენ სამაგალითო წინაპართა წმინდა და ნათელ წარსულს. ერთ-ერთი ასეთი ცდა იყო გაზ. „ახალგაზრდა ივერიელში“ 1990 წ. 21.08 გამოქვეყნებული პასკვილი ვანო მაჩაბელზე სენტიმენტალური სათაურით „ალბომში ჩარჩენილი სევდა“, რომელშიც მისი ავტორი, ვინმე გ. ჯავახიშვილი, ყოველგვარი ოფიციალური წყაროს გამოუყენებლად, ვიღაც თელაველი მანდილოსნების ნაამბობზე დაყრდნობით, რომელთაც ასი წელიც რომ ეცოცხლათ, მაინც ვერ შეესწრებოდნენ თავიანთ მონაყოლის ხილვას, გვაცნობებს, რომ ვანო მაჩაბელს თურმე რომანი ჰქონია თელავის ერთ-ერთ ინტელიგენტ ქალთან, ლიზა ქართველიშვილთან, რომლისთვისაც შემდგომ, ანასტასია ბაგრატიონ-დავითაშვილით გატაცებულს, თავი დაუნებებია, ხოლო წარსული „სიყვარულის ნაყოფად“ მომავალში ცნობილი ადვოკატი, შალვა ქართველიშვილი დაუტოვებია. ამასთან დაკავშირებით სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, გ. ჯავახიშვილის პასკვილებს ორი დასაბუთებული წერილით გავეცით პასუხი გაზ. „ახალგაზრდა ივერიელის“ 1991 წ. 26.03 და „ლიტერატურული საქართველოს“ 1992 წ. 1.10 ნომრებში.

რამდენადაც ვანო მაჩაბელი ყრმობიდანვე მეტად ფაქიზი გრძნობის და უსპეტაკესი პიროვნება ყოფილა, ასეთივედ დარჩენილა იგი თავის ინტიმურ ცხოვრებაშიც! დაოჯახებამდე იგი გატაცებული

ყოფილა ორი მშვენიერი მანდილოსნით, მაგრამ როგორც მამაკაცს არც ერთთან არ შეუტოპია ეთიკით მიღებულზე გადამეტებით, მისი გრძნობები ორჯერვე პლატონური იყო. ვანოს პირველ სიყვარულზე მისი ნათესავი ალ. მაჩაბელი მოგვითხრობს: „თორმეტი წლისა იყო, რომ დარიკო ბეგთაბეგოვის ქალიშვილს, რომელიც სილამაზით და ტანადობით განთქმული იყო... ლექსი მისწერა (ეს ლექსი ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ზემოაღნიშნულ ნომერში. — ჯ. მ.) და აქო მისი სიკეკლუცე. დარიკომ ლექსითვე უპასუხა და ამცნო რომ ასეთი ლექსი ჯერ არ შეეფერება ეგრეთ ყრმას და ისე მივიღებ, ნათესაური გრძნობითო“.

ვანოთი ყოფილა შემდგომში გატაცებული ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, რომლის გრძნობასაც ვანო თავშეკავებით და მეგობრულად პასუხობდა, რაც, როგორც ჩანს, არ დავიწყებია ან. თუმანიშვილს და როდესაც გაზ. „კვალს“ სათავეში მოექცა, მაინც ვერ გაექცა ქალურ ცთუნებას და „სამაგიერო“ გადაუხადა: „კვალის“ ერთერთი მთავარი დამფუძნებელი ყოველგვარი მიზეზის გარეშე იძულებული გახადა გაზეთი მიეტოვებინა და „კვალში“ გამოქვეყნებულ ი. ჭყონიას პასკვილზეც, თითქოს ვანომ ბროსეს პრემიისთვის შეგროვილი ფული მიითვისა, თვალი დახუჭა. ეკ. გაბაშვილი მოგვითხრობს: „ვანოს მე ვხვდებოდი ხშირად გიორგი და ტასო თუმანიშვილებთან, იმათი სახლის ქვემოთა სართულში იდგა და გიორგისთან დიდ მეგობრულ განწყობილებაში იყო... ვანო ყოველთვის მხიარულ-გატაცებული მობაასე და ჩინებული კავალერი იყო. ტასო, მორცხვი, გაუბედავი ქალი ყოველთვის ჩუმი და წყნარი. და მე მიხდებოდა ორივე კავალერთან ლაპარაკი... ოჯახში, რომელშიაც გასათხოვარი ქალი იყო, ყმაწვილი კაცის ასე ხშირ მსვლელობას, მაშინ სულ სხვა თვალით უყურებდნენ და როგორც სჩანდა გიორგის და ტასოს ოჯახიც ვანოს მეგობრობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თითონ ტასოც, რასაკვირველია, წუნს არ სდებდა. მაშინ დიდად გალაღებულ და საზოგადოებისგან—სულში აყვანილ გაბედულ გმირს და ტკბილს ოცნებას ეძლეოდა. მე თუმცა საეჭვოთ მიმაჩნდა ვანოსაგან ამგვარი არჩევანის გაკეთება, მაშინ, როდესაც მთელი ქართველი ახალგაზრდა სარძლოები იმისთვის გიჟდებოდნენ, მაგრამ ტასოს დიდი მზითევი ჰქონდა, კარგი და პატიოსანი ქალი იყო, კარგი ოჯახის შვილი, კარგი ძმების პატრონი და რატომაც არ უნდა ყოფილიყო ვანოს შესაფერი... ვატყობდი ტასოს, რომ დნებოდა, იკუმშებოდა, გულჩათხრობილი იყო, მაგრამ ის მე არაფერს მიმხელდა“.[30]

ეკ. გაბაშვილის მოგონებით დასტურდება, რომ ვანოს რაინდულად, მაგრამ მაინც უარუყვია ან. თუმანიშვილის სიყვარული, რომელიც ამ უკანასკნელს წერილით გაუზიარებია...

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული და თეატრალურ-საზოგადოებრივ ცხოვრებას დაწაფებული ჭაბუკი ვანო „ქართული სცენის ახლად ამოსულმა ვარსკვლავმა, 18-19 წლის ცქრიალა ქალიშვილმა მაკო საფაროვმა“ (ბ-ნ ვ. ჭელიძის სიტყვებია. — ჯ. მ.) მონუსხა. მისი ეს მორიდებული „შორით ტრფობა, შორით დაგვა“ შესანიშნავად აქვს აღწერილი ვ. ჭელიძეს ბიოგრაფიულ რომანში ვანო მაჩაბელზე. მკითხველს შევახსენებთ მხოლოდ იმას, რომ ეს სიყვარული ბოლოს იმდენად გაცხოველდა, ვანო, რომელმაც ერთხელ უკვე ხელიდან გაუშვა მაკოსთან შეუღლების მომენტი, მზად არის ჯვარი დაიწეროს უკვე ქმარს გაცილებულ, შვილიან ქალთან, მაგრამ მისი ამ მიზნის შესრულებას წინ გადაეღობა უფროსი ძმა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ვანოზე, როგორც მის აღმზრდელს... ასე დასრულდა მისი მეორე, ამჯერად უკვე სრულწლოვანი მამაკაცის რომანი. ყველაფერი სამებითაა, ნათქვამია და მაჩაბლის ბოლო გატაცება 1891 წლის დასაწყისში ქორწინებით დაგვირგვინდა ანასტასია ალექსანდრეს ასულ ბაგრატიონ-დავითაშვილთან, რომლის დედა დარია ბიძინას ასული ერისთავი, დედით, ანასტასიათი,

მეფე ერეკლეს შვილიშვილი იყო. ამავე წლის 6 დეკემბერს ოჯახს ვაჟი ეყოლა, რომელსაც ნიკო (ნიკუშკა) შეარქვეს.

დავუბრუნდეთ ბიოგრაფიის პროზაულ მხარეს, ვანოს საზოგადოებრივ საქმიანობას და დანარჩენ პრობლემებს.

1891 წელს შედგა ბანკის კრება, რომელზედაც კიდევ უფრო დაიძაბა დამოკიდებულება ილიასა და ვანოს შორის. ამ პერიოდისთვის უკვე ჩამოყალიბებული იყო ბანკის ხელმძღვანელობის უკმაყოფილო თავადაზნაურთა ოპოზიცია, რომელიც ი. ჭავჭავაძეს უყენებდა უამრავ ბრალდებას. დავა, დაწყებული ამ დღიდან, თითქმის შვიდ წელიწადს გრძელდებოდა. ის, რაც ამ შვიდი წლის მანძილზე ხდებოდა ბანკში, მეტად გრძლად მოსაყოლი და მოსაბეზრებელი იქნება ჩვენი მკითხველისთვის. ამჯერად მთავარია აღინიშნოს, რომ საზოგადოების გულცივობამ და „ბანკობიადის“ აყოლამ საბოლოოდ დაუპირისპირა ერთმანეთს ილია და ვანო, სამუდამოდ ჩატეხა მათ შორის ხიდი, რამაც პირველ რიგში ვანო მაჩაბლის მოახლოებულ ტრაგიკულ დასასრულს შეუწყო ხელი. ურთიერთობა შეურიგებელი გახდა მას შემდეგ, რაც 1892 წ. ექვთიმე ხელაძის სტამბაში გამოიცა ვანოს მცირეფორმატიანი წიგნი „თავადი ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“. წიგნის მოცულობა შეადგენს 87 გვერდს და იწყება გამოცანის მაგვარი „საამდროვო ამოცანით“:

„იმას ვერა ჰგავს ვერავინ,
გრძნობის მცოცხლები მწერალი,
ლომია, ოდეს განრისხდეს მარად
ძმობისა მღერალი,
იტყვის მჭევრსა და მზიანსა,
უპყრია მართლის მწვერვალი,
არის გულ-წრფელი, ზნე-ქველი,
მხნე, მსრბოლი, მოუფერალი“.

ეს გამოცანა — „აკროსტიხი“, რომლის სტრიქონთა პირველი ასოები ილიას სახელს ჰკრავს, გამოქვეყნებული ყოფილა გაზ. „ივერიის“ 1891 წლის № 147-ში. სამწუხაროდ, აღნიშნულ ბროშურას დღემდე ბევრი „ანონიმურს“ უწოდებს მიუხედავად იმისა, რომ 1894 წ. გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ № 3570 გამოქვეყნებულ წერილში ვანო მაჩაბელი [illegible] აღიარებს: „ბროშურაში [illegible] მაგრამ ბევრი ეკუთვნის სხვას, თუმცა საერთო რედაქცია ჩემია. ეს იყო ოპოზიციური ბროშურა და მე მზად ვარ გავცე პასუხი ყველაფრისათვის, რაც მასში სწერია“.

„ბროშურის საერთო ტონი არც იმდენად მკაცრი ყოფილა. — წერს ვ. ჭელიძე. — ეს საკითხები ცალ-ცალკე რომ ყოფილიყო დაბეჭდილი, გაზეთის სხვადასხვა ნომერში, იქნებ სულაც არ მოსჩვენებოდა მკითხველს მკაცრად... იგივე საკითხები მაჩაბელმა ამაზე ადრე ხელმოწერით გამოაქვეყნა „ნოვოე ობოზრენიეს“ ნომრებში და მაშინ ასეთი გამოხმაურება არ გამოუწვევია. მაგრამ ახლა ყველაფერი ერთად იყო თავმოყრილი ერთ წიგნში და საზოგადოებაში ასეთი ფართო გამოხმაურებაც ამით უნდა აიხსნას... მაჩაბლის შეცდომა ისიც იყო, რომ... ილიას საერთო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც გადასწვდა...“

ბანკის პოზიცია-ოპოზიციას შორის გაჩაღებულ „შვიდწლიან ომზე“, როგორც მას ბ-ი ვ. ჭელიძე უწოდებს მოხდენილად, მოთხრობილია მისსავე ბიოგრაფიულ რომანში „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ და ბ-ნ ალ. კალანდაძის დოკუმენტურ რომანში „გარდამოხსნა“, ხოლო ფაქტობრივ-ქრონოლოგიური ისტორია გადმოცემულია ბ-ნ ა. თელიას წიგნში „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“ მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელში მაჩაბლის მოღვაწეობის შეფასებისას გასაოცრად ფსევდო-მეცნიერული მსჯელობა — „არგუმენტებზე“ გაკეთებული დასკვნებია თავმოყრილი. მეცნიერი, რომელიც ფილიპე მახარაძის თვალთახედვა-პოზიციებიდან დაიწყებს ქართველი თავადი მამულიშვილის მოღვაწეობის შეფასებას (ასევეა გაკენწლილი დიდი პატრიოტი დიმიტრი ყიფიანიც, ხოლო ილიას იკი ერიდება მისი ბიმბერაზ-ავტორიტეტის გამო), გასაგებია რა მეცნიერული ნაშრომის ავტორიც იქნება! ა. თელიას წიგნი, როგორც ჩანს, სადისერტაციო ნაშრომია, რომლის დაცვაც კო-

მუნისტების პერიოდში მოხდა. ამ დროს კი იმდენად დიდი იყო დამწყებ მეცნიერთა პრომოციის სურვილი სამეცნიერო ხარისხის მისაღებად, რომ დაცვის დროს ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად მარქსიზმისა და პროლეტარიატის თავკაცთა მოსაზრებების დამოწმებით „ამდიდრებდნენ“ ნაშრომებს, რითაც ჭეშმარიტებას ამრუდებდნენ და აშკარა, მიუტევებელ შეცდომათა დაშვებამდე მიდიოდნენ. ამ მხრივ არც აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს გამონაკლისს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი აგებულია ფილიპე მახარაძის მსოფლმხედველობის ხერხემალზე და თავადაზნაურული წარმოშობის ინტელიგენციის მოღვაწეობაც ძირითადად მისივე თვალსახედავიდან არის დანახული. ამიტომაც არ არის ნაშრომი დაზღვეული შეცდომებისაგან...

რამდენიმე სიტყვით გვინდა მოვახსენოთ მკითხველს „ბანკობიადის“ დასასრულის შესახებ, რადგან იგი მჭიდრო კავშირშია მაჩაბლის ცხოვრებასთან. 1894 წ. გამოყოფილი იქნა კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ილია—მაჩაბელს შორის არსებული უთანხმოების საფუძველი, რის შემდეგაც გამტყუნებული სამუდამოდ უნდა ჩამოსცილებოდა „ყოველ საზოგადო ქართულს საქმეს“; ეს სასჯელი კი სამოქალაქო სიკვდილის ფასი იყო. მაგრამ გადაწყვეტილება არ განხორციელდა კომისიის წევრთა რაოდენობრივი შეუთანხმებლობის გამო...

1895 წ. ბანკს რევიზია ესტუმრა ს. პეტერბურგიდან. ილიას მომხრეებმა ეს ამბავიც ხელზე დაიხვიეს და მაჩაბელს დააბრალეს დამბეზღებლობა, სამშობლოს მოღალატეობა დასწამეს. მთავარი რევიზორი, წარმოშობით პოლონელი, ქართველებივით ტანჯული ერის შვილი, რიგიანი კაცი აღმოჩნდა; ნახა, რომ ილია — ვანოს დაპირისპირება უპრინციპო იყო და ერისთვის საზიანო, შერიგებაც კი სცადა ორი მოღვაწისა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

1896 წ. 20 აპრილს ბანკის ყრილობა იქნა მოწვეული. თვეზე მეტი გაგრძელდა დაუსრულებელი გამოსვლები, კინკლაობა. დავა. ბოლოს კენჭისყრის რიგიც დადგა. ხმათა უმრავლესობით ... ილიას მომხრეებმა ჯერ უარი თქვეს ვანოსთან ერთად მუშაობაზე, შემდეგ კი გამოცხადნენ ბანკში, მაგრამ ერთგვარი ბოიკოტი გამოაცხადეს — არცერთი მათგანი საქმეს არ ჰკიდებდა ხელს. ერთი თვეც არ იყო გასული ყრილობიდან, ილიას მომხრეებმა საგანგებო კრება რომ მოიწვიეს და ხელახალი კენჭისყრა ჩაატარეს. მაჩაბელმა, მიუხედავად მოწინააღმდეგეთა დაჟინებული თხოვნისა, არჩევნებში ხელახლა მონაწილეობაზე უარი თქვა. ამრიგად, კრებამ ახალი ხელმძღვანელობა აირჩია. ვანოს მომხრეებმა პეტერბურგში იჩივლეს არჩევნების შედეგის გაყალბებისა და კრების მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის გამო, მაგრამ მხარდაჭერა ვერც იქ ჰპოვეს. ვანო სამუდამოდ ჩამოშორდა ბანკს...

1891 წელს, ვანო, სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, კვლავ ახალი გაზეთის გამოცემისთვის იღვწის. მიაღწიეს კიდეც მიზანს, მაგრამ ნებართვა ამჯერად სამეცნიერო-სალიტერატურო ორგანოს გამოცემას ითვალისწინებდა. ასე იბადება „კვალი“, რომელიც 1892 წლის ბოლოს, საახალწლოდ გამოდის... მაგრამ აქაც ღალატი ხვდება წინ დიდ მამულიშვილს, ესეოდენ ნაჩვევი თავისი ერთგული თანადგომისთვის ყველას მიმართ. ცნობილი ხალხოსანი საზოგადო მოღვაწე ეგ. იოსელიანი მოგონებებში — „ჩვენი წარსული ცხოვრებიდან“, მოგვითხრობს:

„ვანო დიდი ხათრიანი და მოსიყვარულე ადამიანი იყო... თუ ვინმე გაჭირვებული მიმართავდა მას, ყველა ღონეს ხმარობდა შემწეობა აღმოეჩინა... იყენებდნენ მის ცოდნას, გამოცდილებას და როცა ამა თუ იმ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მას გვერდით ტოვებდნენ. ასე მოატყუა იგი ვლ. მიქელაძემ, როცა დაარსეს სასოფლო-სამეურნეო ბანკი. როცა წესდება დამტკიცდა და წევრებიც საკმაოდ ჩაეწერნენ და ფულიც შეტანილი ჰქონდათ, ვლ. სიმ. მიქელაძემ მიმართა ჩვეულებრივ ქუთათურ ხრიკსა და ისე

მოხერხებულად ისარგებლა, რომ მაჩაბელს, რომლის ინიციატორობით იხსნებოდა ბანკი, თავი უნდა დაენებებინა სამეურნეო ბანკისთვის და განზე გამდგარიყო. ბანკის მმართველობა ერგო მიქელაძეს.

ასეთივე ხრიკით მოექცა გიორ. ექვთიძე წერეთელი ვანო მაჩაბელს. ორთავემ ერთად — ვანომ და გიორგიმ განიზრახეს ყოველ კვირეული ნახატი ჟურნალის გამოცემა; დაიმუშავეს პროგრამა, მიიღეს ნება გამოცემისა და როდესაც ყველა მხრით მზად იყო ჟურნალის გამოცემა, გიორგი წერეთელმა რაღაც მიზეზების გამო დაისაკუთრა ჟურნალი, მაჩაბელი უნდა ჩამოშორებულიყო".[31]

როგორც ეგ. იოსელიანიც ადასტურებს, ვანო „კვალის" გამოსვლამდე გაზეთის გამომცემელთა შორის წამყვან ფიგურად ითვლებოდა. მისი დავალებით ვანოს მეგობარი, კოლა ფავლენიშვილი ქართლში ხელისმომწერლებს აგროვებდა, ხელმოწერის ფულს კი ვანოს უგზავნიდა. ამასთან დაკავშირებით კოლა მაჩაბელს ატყობინებს: „ამას წინათ სულხანოვს მოუვიდა გიორგი წერეთლის წერილი, სადაც, სხვათა შორის, იწერება, რომ რაც მაჩაბელი ა მ ო ვ ი რ ჩ ი ე თ ო (ხაზგასმა ავტორის. — ჯ. მ.), მეტად თავს გავიდა, ყველაფერში ბატონობა მოინდომა და „კვალიც" უნდა ჩამოერთმია ჩვენთვისაო, მერმე რის უფლებით? შრომა და აუარებელი ხარჯი ჩვენ მოგვივიდა და ის უნდა მზა-მზარეულს დასწოლოდაო... ეხლა ის ჩვენთან აღარ მუშაობს, „კვალის" გამგებლათ ჩვენ დავრჩით და თქვენ გთხოვთ, რომ შემდგომშიაც თქვენ ყურადღებას „კვალს" ნუ მოაკლებთო. თხოულობს აგრეთვე გასწორებას ძველ ანგარიშებში და სიას, ვისაც შემდეგისთვის გაზეთის დაკვეთა სურს".[32] ,

ამრიგად, გაზეთის გამომცემლად ან. თუმანიშვილი-წერეთლისა იყო გაფორმებული, რომელსაც გვერდში უნდა სდგომოდნენ სამეურნეო კომიტეტის წევრები: ალ. ჭიჭინაძე, გიგო გაბაშვილი, გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი (ვანოს ცოლის ძმა) და გიგო დიასამიძე. რედკოლეგიაში შედიოდნენ: აკაკი, ვანო, გიორგი წერეთელი. 1893 წ. 3 ივნისს „კვალის" პირველი ნომერი... ვანო კვლავ თავის სტიქიაშია, პირველივე ნომრებში ქვეყნდება მისი წერილები, რომლებსაც იშვიათად აწერს ხელს. განსაკუთრებით საინტერესოა მეოთხე ნომერში დაბეჭდილი მისი მხატვრული ნარკვევი ქვახეთქილას ეკლესიაზე „თამარის საყდარი"... და ასე გრძელდება არც თუ ისე დიდხანს, ვიდრე გაზეთის 33-ე ნომერში არ ქვეყნდება ილია ჭყონიას ცილისმწამებლური წერილი, თითქოს ვანოს რუსთაველის ძეგლის ასაგებად „დროების" მიერ შეგროვილი ფული მიეთვისებინოს... ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი. მაჩაბელი სამუდამოდ ჩამოსცილდა გაზეთს, რომელსაც მის მიერ უარყოფილი ქალი და მისი ქმარი დაპატრონებოდნენ! ამიტომ გვიკვირს ცნობილი მეცნიერის ბ-ნ აბელ კიკვიძის არაობიექტური მიდგომა ვანო მაჩაბლის პიროვნებისადმი, რომელიც თავის მონოგრაფიაში „გაზეთი „კვალი" მხოლოდ ერთგან ახსენებს ვანო მაჩაბელს და ისიც რაფ. ერისთავის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით, თითქოს ვანოს არც გაზეთის გამოცემაზე ეზრუნოს, არც მის ხელმძღვანელთა შორის იმყოფებოდა და არც რაიმე გამოექვეყნებინოს მის ფურცლებზე... სამაგიეროდ მასაც ზენიტამდე აყავს მესამე დასელების და მათ შორის ფილიპე მახარაძის „ღვაწლი..."

მოუცლელობის მიუხედავად ვანო განაგრძობს მუშაობას შექსპირის თარგმანებზე. 1892 წ. ცალკე წიგნად იბეჭდება „მაკბეტი", ხოლო ერთი წლის შემდეგ „რიჩარდ მესამე". ვანოს ნიჭით აღფრთოვანებული ილია თავს ვერ იკავებს ქებისგან: „არც ერთი რუსული თარგმანი შექსპირისა ქართულს არ შეედრებაო", ხოლო ოლივერ უორდროპი, ადარებს რა ვანოს თარგმანებს ფრანგულ, რუსულ, გერმანულ და ბულგარულ ენებზე თარგმნილს, გაოცებული წერდა მეგობარს: „ეს თქვენს გენიალობასაც ამტკიცებსო".

1894 წლის იანვარმა სიხარული მოუტანა მაჩაბელს: ქალიშვილი შეეძინა „ბან-

კობიადის“ ქარიშხლით შელეწილს... მზრუნველი პაპიდის პატივსაცემად ელენე დაარქვა მამამ გოგონას...

მაჩაბელს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მთელი ცხოვრების მანძილზე მატერიალური გაჭირვება საკუთარი ჩრდილივით დასდევდა თან. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში ინახება მისი უბის წიგნაკი, დღიურები, მინაწერები დოკუმენტებზე. უბის წიგნაკში ჩანიშნულია, თუ ვისი რამდენი თანხა მართებს; აქვეა დახარჯული ფულის ანგარიშები — „ხარჯები“. ერთ დოკუმენტზე მინაწერი გვატყობინებს: „შადინოვის ვალი პურისა — 33-60, ერბოსი — 36, სულ 69-60 к. დღიურიდან საგულისხმოა 1894 წ 5 მარტის ჩანაწერი, რომელიც ქართული მიწების გასხვისების საპროტესტო განაცხადია: „საჭიროა, რომ თავადაზნაურობას შერჩეს მამული საკუთრად ისე და იმ ზომაზე, როგორც კომისია გადაწყვეტს. ეს minimum — ვერც გაიყიდება, ვერც დაგირავდება. კომისია უნდა ამოირჩიოს თავადაზნაურთა კრებიდან. უნდა ეცადოს საშვილიშვილოდ მამულები ქართველობასვე შერჩეს“.

ბანკიდან წამოსულს და უხელფასოდ დარჩენილ ვანოს განსაკუთრებით გაუჭირდა 1896 წელს, როცა იგი იძულებულია თბილისის ბინაც კი გააქირაოს. 22 ივლისით დათარიღებულ წერილში ტასო მაჩაბელი პეტერბურგში მყოფ მეუღლეს სწერდა: ყოფილი მდგმური „ხვალ მიდის... ისრე, რომ ჩვენი ოთახები ცარიელი დარჩა... მოიწერე რა უყოთ. მე მგონი, რომ დიდი სახლები (ოთახები. — ჯ. მ.) გავაქირაოთ და პატარაში დავდგეთ, თუ ქალაქში ვიქნებით ამ ზამთარსო“.

ამავე წლის 28 სექტემბერს ახალგაზრდა მწერალი თედო სახოკია სოხუმის „ქალაქის თავობას“ სთავაზობს ვანოს: „მკათათვეში აქ ან. ფურცელაძე ყოფილა და უთქვამს, ივ. მაჩაბელი მაინც ბანკს თავს ანებებს და ამოირჩიეთო. ვინც კი მოჰკრა ყური თქვენს სახელს, ამ ამბავს სიხარულით მიეგება... დაასკვნეს: შევიტყოთ, თუ ტფილისს დასთმობს, უეჭველად მოვიწვევთო.“[33] მაჩაბელს ბანკში მუშაობის გაგრძელების იმედი აქვს, თანაც საფიქრებელია, რომ ქართული [illegible] ცხოვრების ცენტრის [illegible] დატოვებაც ეძნელება და ვერ მიდის სოხუმში.

მიუხედავად მძიმე სულიერი დეპრესიისა, გამოწვეული საზოგადოების მხრიდან არასამართლიანი დამოკიდებულებით (საზოგადოებრივი ფულის მითვისების დაბრალება, სამშობლოს მოღალატედ გამოცხადება, ბანკის დირექტორობიდან ძალისმიერი გზით გაძევება და სხვა) და მატერიალური გასაჭირისა, 1896 წ. ვანო ძველი მეგობრის, არტურ ლაისტის პატივსაცემად გერმანულიდან თარგმნის და ჟურნალ „მოამბეში“ აქვეყნებს მის მოთხრობებს: „ვარო“-ს და „ნინო ვარაპანიძე“-ს. ამავე წელს ჯერ ამავე ჟურნალში ბეჭდავს, შემდეგ კი წიგნად გამოსცემს შექსპირის „იულიუს კეისარს“, რომელმაც ესეოდენ აღაფრთოვანა ოლივერ უორდროპი.

1897 წელს ვანოს უბრალო გაციება სერიოზულ დაავადებად ექცა: ექიმ გეგე მაღალაშვილის დიაგნოზით ეს ჩირქოვანი პლევრიტია, რომელსაც სასწრაფო ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება. ოპერაციისთვის სამხედრო დასტაქარს ვოინოს იწვევენ, რომელიც სამი ნეკნის ამოკვეთის ფასად გულმკერდის იარას უხსნის გზას და ფილტვებს ჩირქისგან უთავისუფლებს. საზოგადოების დიდი ნაწილი შეშფოთებულია მამულიშვილის მძიმე მდგომარეობით (აღმოჩნდა, რომ მთლად არ გასცივებია ყველას გული მაჩაბელზე) და რაოდენი სიხარული მოუტანა მათ ჟურნალმა „მწყემსმა“, როცა თავის ფურცლებზე დაბეჭდა იმედისმომგვრელი ინფორმაცია: „ბ. ივანე მაჩაბელს აპერაცია (რეზექცია) გაუკეთეს. ავადმყოფი შესამჩნევად მთელდება... რაა კაცის ხასიათი! მისი მტრებიც კი სწუხდნენ მის მძიმე ავადმყოფობაზე.“ დასასრული არ უჩანდა მაჩაბლის სახელზე ყოველი მხრიდან გამოგზავნილ დეპეშა-მოლოცვებს!..

ვანოს ჯანმრთელობის განმტკიცებას აბასთუმანში მკურნალობის გაგრძელება ესაჭიროება, რაზედაც მიწერ-მოწერა სწარმოებს იქ მყოფ ექიმ სპირიდონ ვაწა-

ძესთან. ვანო კი კვლავ საზოგადოებრივი საქმიანობისკენ მიილტვის... 1898 წ. „ივერიის“ 215 ნომერი იუწყება, რომ „გორის მაზრის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის (შემდგომ სინდიკატის. — ჯ. მ.), დირექტორად კ. მ. ამირეჯიბის ნაცვლად აურჩევიათ ი. მაჩაბელი“. ვანო პირველ რიგში შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრას“, აგრეთვე „კორიოლანოსის“ თარგმანების გამოცემას ჩქარობს, პარალელურად კი საყვარელი გაზეთის „დროების“ განახლებაზე ზრუნავს, მაგრამ როდესაც დარწმუნდება, რომ „დროების“ სახელის გაგონებაც კი ზარავთ იმპერიის მარიონეტ ჩინოვნიკებს, ახლა გაზეთ „სიმის“ გამოცემისთვის იბრძვის. ჯერ კიდევ 1897 წ. 8 იანვარს იგი ამის შესახებ თხოვნას სწერდა: „Прошение... В Гланое Управление по делам печати». ბ-ნ ნოდარ ტაბიძეს თავის „ეტიუდებში“ განცხადებული აქვს, რომ რაკი საცენზურო კომიტეტის მასალებში ვერ მიაკვლია თხოვნას, საფიქრებელია, რომ მაჩაბელმა გადაიფიქრა ამ თხოვნის წარდგენაო და სამართლიანად თვლის ამის მიზეზად „დროებისადმი“ ხელისუფლების მტრულ დამოკიდებულებას. შემდგომ თხოვნაზე „სიმის“ გამოცემის შესახებ, კვლავ უარს ღებულობს:

«Жроситель ранее состоял редактором газеты «Дроэба», прекращенной в 1885 г. ввиду крайне вредного ее направления; затрудняюсь высказаться «за» или «против» ходатайства Мачабели, так как со времени прекращения издания «Дроэба» прошло 12 лет, в течение которых проситель не занимался публицистикой, почему и не представляется возможным сказать что-либо определенного о его теперешнем образе мыслей»[35].

„გაზეთის საქმე ვიდრემდის მანდედან ლაკელის ქაღალდი მოვიდოდა ძალიან თურმე კარგათ იყო და სოლოვიევიც დაპირებული ყოფილა ნებართვა მოეცათ, — სწერს ვანოს პეტერბურგიდან ძმა, — მაგრამ შემდეგ კი, როდესაც იმის ქაღალდი მიუღია, სულ გამოცვლილა... არ ვიცი მაგ შეჩვენებულებს ლაკელისთვის ისეთი რა ქაღალდი მოუწერინებიათ, რომ ამ გვარათ შესცვალეს ჩემზედ სოლოვიევი“-ო.

ამრიგად, ვანოს ოცნებას, გამოეცა საანტრელი გაზეთი, განხორციელება არ ეწერა. გულგატეხილი, ავადმყოფობისგან ჯანმრთელობაშერყეული, საზოგადოების ერთი ნაწილისგან დაგესლილ-ჩაწიხლული და შეურაცხყოფილი, ზოგიერთი უხამსი მეგობრისგანაც კი კაცობაშელახულ ვანოს სიცოცხლე მობეზრებია... საეჭვოა, რომ მართალი იყოს ბ-ი ვ. ჭელიძე, როცა აკაკის სტუმრობისგან გახარებულ ვანოს, დაღუპვის წინა დღეს მეტისმეტად იმედიანად წარმოგვიდგენს..

და მაინც იმ ღამემ შეიწირა მაჩაბლის სიცოცხლე!..

შემფოთებულია საზოგადოება, პროგრესული ინტელიგენცია, თავზარი დაეცათ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, მაგრამ... აკი ი. მანსვეტაშვილი სამართლიანად წერს: „თქვენ ცოცხლისა მითხარით, თორე მიცვალებულის გაპატიოსნება კი ვიცით-ო...“

„უკანასკნელ საღამოს, — მოგვითხრობს თავის მოგონებაში ეგ. იოსელიანი, — რომელიც ვანომ თავის სახლში გაატარა, მასთან იყო მგოსანი აკაკი წერეთელი. ნარდის თამაშობაში ატარებდნენ დროს, გაზეთის გადმოცემით — ვანო უვახშმოდ წავიდა მოსასვენებლად. რაღა თქმა უნდა, პოეტსა და ვანოს მეუღლის ნარდის თამაშობასაც ერთი-ორი საათის შემდეგ ბოლო უნდა მისცემოდა და მოისვენებდნენ მოთამაშენი. აქ მხოლოდ ერთი საკითხავი გვებადება, ნუ თუ როცა მოსასვენებლად მიდიოდა, მეუღლე არ შევიდა — თუ საწოლი ოთახი ცალკე ჰქონდა და არ დაათვალიერა: გაეხადა ტანისამოსი, ეძინა ლოგინში? ამ საღამოს შემდეგ აღარავის უნახავს ვანო“...

„რა მოხდა ამ საბედისწერო ღამეს, დღესდღეობით არავინ დანამდვილებით იცის... საწოლ ოთახში იპოვეს ვანოს ოქროს საათი, პერანგის ოქროს ღილები და ტანისამოსი, ხოლო ამ ნივთების პატრონი თითქოს ცამ ჩაყლაპა... ათასგვარი ხმების მიხედვით, ივ. მაჩაბელი 26 ივნისს დილის 9-10 საათზე ერთსა და იმავე

დროს ენახათ ოპერის თეატრთან და ვერის ხიდთან. ბუკინისტ სოსიკო მერკვილაძეს ივ. მაჩაბელი თავშიშველი, ნახევრად ჩაუცმელი, ძალზე აღშფოთებული ღილის ხუთ საათზე დაუნახავს იქვე მდებარე საგურისაკენ (ალბათ უნდა იყოს საკირეებისაკენ. — ჯ. მ.) მიმავალი." — იგონებს ალ. მიქაბერიძე.

„მაჩაბელს იმ ღილით თვალი მოჰკრეს გოლოვინის პროსპექტზე. თორმეტზე, ჩაფიქრებულს, ქაშუეთთან ჩაუვლია. პირველზე მეზობლის გოგონას საკრებულო ტაძართან დაულანდავს. ორზე ცრემლით გაჟღენთილი საკირის ბილიკს ასდევნებია." — სწერს ალ. კალანდაძე.[37]

დიახ, სწორად ბრძანებს ბ-ი ალ. კალანდაძე და მაჩაბლის დეპრესირებულ სულზეც ციტატის ბოლო სტრიქონი მიგვითითებს... ღამისა და ღილის შესაყარზე აგზნებული ვანო საკირეებისკენ მიდის, მისი სახლის წინ, სანაპიროსკენ დაშვებულ ხევს რომ კეტავდა... მაგრამ რამ მოაფიქრებინა საკირეები?! ამ დროს იგი სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რომ ლეგენდად დარჩებოდა! იქნებ ესაც ბარათაშვილისებური სწრაფვა იყო უსაზღვროებისაკენ! „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში..." ეგებ თანამედროვეთაგან გამწარებამ აიძულა საკუთარი. საფლავიც კი არ დაეტოვებინა მათი შთამომავლობისთვის, რამეთუ მათმა ცოდვიანმა წინაპრებმა ნორმალური, ბუნებრივი სიკვდილისთვისაც არ გაიმეტეს?.

დიახ, სწორედ საკირე აღმოჩნდა მისი საფლავი! გულით მსურვალე მამულიშვილი სულად ქცეული შეერთო საქართველოს წმინდანთა სამყაროს... ნურავინ იტყვის, თითქოს თვითმკვლელი ყოველთვის ცოდვილი იყოს და ღმერთს ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

ნოდარი ჩვენთანაა — 70

რა საღადაც არ უნდა ეკიდებოდე კაცი ცხოვრების მდინარებას, სავსეს კანონზომიერებებით თუ მოულოდნელობებით, დროდადრო მაინც გებადება გულუბრყვილო კითხვები, უფრო ნატვრა — „რა იქნებოდა, რომ...“ ეს ტკივილიანი მონატრება მეტწილად წასულ ახლობლებზე ან ერისკაცებზე ფიქრმა იცის. მართლაც, რა იქნებოდა, რომ ნოდარ დუმბაძე ახლა ჩვენს გვერდით ყოფილიყო, განა რა ისეთი შეუძლებელი გულისწადილია. დღეს იგი მხოლოდ სამოცდაათი წლისა გახდებოდა და წინ კიდევ, სულ ცოტა, ერთი ათეული წელი მაინც უნდა ჰქონოდა. განგებამ სხვანაირად ინება, თითქოს განზრახ დაგვაცილა მასთან, რომ მარტო შთამომავლობა კი არა, ჩვენც, მწერლის თანამედროვენიც გავმხდარიყავით მოწმენი მისი უკვდავებისა. გავხდით კიდეც, თუმც ამაში არც ადრე, მწერლის სიცოცხლეში გვეპარებოდა ეჭვი. ნოდარ დუმბაძე მისი ერის წიაღიდან იყო შობილი და თავის მხრივ ერის მაცოცხლებელ წყაროთაგანად იქცა.

ნოდარ დუმბაძის ამქვეყნიური ცხოვრება დიდი მისიის აღსრულებაში უნდა გალეულიყო: „მას უნდა ემცნო ჩვენთვის (ჯერ ქართველებისთვის, მერე კი მკითხველთა გაცილებით უფრო ფართო წრისათვის), თუ რამხელა განძს, სულგრძელობის რა უსაზღვრო მარაგს, სიცოცხლისადმი დაუღლელი სიყვარულის რა განსაცვიფრებელ უნარს ფლობენ საუკუნეთა მანძილზე ჯვარცმული, ნაგვემი და ნაოხარი ძველთაძველი ქვეყნის დღევანდელი შვილები, როგორ გადარჩა და შეინახა თავი ჩვენს ბუნებაში ღიმილის ნიჭმა, სიმხნევის ნიჭმა, როგორ იხარა ნამეხარ ძელქვაზე ჩვილმა რტომ, როგორ შესცინა მზეს, როგორ იმედიანად გასწორდა წელში მარადი ყოფნის ახლიდან (კიდევ ერთხელ) დასაწყებად “(გურამ ასათიანი).

მაინც რამ მიანიჭა ნოდარ დუმბაძის სახელს და სამყაროს ულევი ძალა და უშრეტი სიცოცხლე?! თითქოს ზედმეტიცაა ამ კითხვის დასმა, მთავარი რაკი ისაა, რომ ჩვენ ამას ვხედავთ და ვგრძნობთ. მაგრამ როგორც ყოველი კითხვა, ესეც ითხოვს პასუხს.

ნოდარ დუმბაძემ მარტო საკუთარი განუმეორებელი სამყარო კი არ შექმნა, თავის თანამოძმეებთან ერთად ახალ ეპოქას დაუდო სათავე ქართულ მწერლობაში, სავსეს სიმართლით, პატიოსნებით, კაცთმოყვარეობით, სიყვარულით, სიკეთით. მისთვის და ამდენად მის შემოქმედებაშიც ყველა და ყველაფერი კეთილი და ადამიანური სიყვარულის დაღით არის დასმული, სიყვარულის ცეცხლით არის შთაგონებული, სიყვარულის ნათელით არის გასხივოსნებული. ეს კი მხოლოდ მწერლის სიყვარულით აღგზნებული გულით მიიღწევა, თავდაუზოგავად რომ თრთის და ფეთქავს. ჰუმანიზმის ქადაგება უნაყოფოა, თუ მწერლის სათქმელი მისი ცხელი გულის გავლით არ მიდის მკითხველამდე, თუ მისი სიხარული სულის ყიჟინი არ არის თუ ძისი მწუხარება ტკივილით დაფლეთილი

ნერვებიდან არ გადმოიცემა. ასეთი იყო ნოდარ დუმბაძე. მას უბრალოდ თბილი, კეთილი თანამგრძნობი, მოსიყვარულე გული კი არ ჰქონდა მისი გული სავსე იყო მზის სიმხურვალით და სინათლით, ამიტომაც ირჩია საკუთარ შემოქმედებაში მზე მთავარ მეტაფორად, სიმბოლოდ, პერსონაჟადაც კი.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გავლენის ძალას ათას რამეს (არა მხოლოდ, ან, თუნდაც, უპირატესად იუმორს, როგორც ეს ზოგიერთ პრიმიტივს ჰგონია) მიაწერენ: ღრმაადამიანურობასა და კაცთმოყვარეობას, სათნოებასა და სიკეთეს, იუმორსა და ხალხურობას, ნათელ რწმენასა და კიდევ ბევრ სხვას. მწერლის ამ „საიდუმლოებათა“ ჩამოთვლა ამით არ წყდება და არც შეიძლება შეწყდეს, რადგან ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ყველა მასაზრდოებელი სასიცოცხლო ძარღვის დაძებნა ძნელი და გრძელი საქმეა, მაგრამ უმთავრესი მაინც მისი შეუდრეკელი რწმენა და უკიდეგანო სიყვარულია ადამიანისა და ქვეყნისა.

ამ სულით ხორცამდე ქართველი მწერლის შემოქმედების წარმატების მიზეზი ძმობლიურ ქვეყანაში იოლი გასაგებია მისი აშკარად და მშვენივრად გამოხატული ეროვნული ხასიათისა და ინტერესების გამო. სხვათა არანაკლებ ცხოველი ინტერესი (მისმა პროზამ მსოფლიოს ყველა კონტინენტი და მრავალი ქვეყანა მოიარა ამერიკიდან იაპონიამდე), შესაძლოა ვინმემ მაღალმხატვრულად წარმოსახულ უცხო სამყაროს ყოფისა და ხასიათის მიმზიდველობის ძალით ახსნას. ალბათ, არც უამისობაა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ უცხო გარემოში და უცხო გმირებით დასახლებულ მხატვრულ სამყაროში ყოველი ეროვნების მკითხველი ნაცნობი განცდებისა და ფიქრების თანაზიარი ხდება, რადგან ეს სამყარო უაღრესად ყოფითი, ადამიანური და ნათელია.

და მაინც ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ძირისძირამდე ქართულია არა მარტო იქ გამოხატული გარემოთი და ხასიათით, ცხოვრების წესითა და ჩვევებით, ყველა მთავარი თუ არამთავარი მხატვრული კომპონენტით, არამედ, რაც მთავარია, ქართულია იმ ფესვებით, რომლითაც წარსულის ეროვნულ კულტურას ეკავშირება და იმ მაღლა განტოტვილი გვიოგვინითაც, მომავლის მწერლობას რომ სწვდება წინაპართაგან შთამომავლობით მიღებული ეროვნული სულისა და მრწამსის გადასაცემად.

ნოდარ დუმბაძის რომანებიცა და მოთხრობებიც დიდი სინათლით არის სავსე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მწერალი იდილიურ სამყაროს შეჰყურებს, უბრალოდ ეს მისი სულის ნათელის წყალობაა, მისი რწმენისა და იმედის გამოა, თორემ დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ნოდარ დუმბაძეს, უპირატესად ჩვენი ცხოვრების დრამატიზმით დამძიმებული გარემოებები აინტერესებს. ეს ინტერესი ცხოვრების მართლად და ღრმად, განვითარების მთავარი ტენდენციებით წარმოსახვის წადილითაა ნაკარნახევი, აგრეთვე იმის რწმენითაც, რომ ამგვარი გარემოებები უკეთ წარმოაჩენენ მაღალი ზნეობის ადამიანებში მოქალაქეობრივი გრძნობებისა და სულიერი სიმტკიცის წრთობას.

წუთისოფელი ტკბობისა და ნებივრობისათვის არ არის მოგონილი. იგი სიკეთის დასამკვიდრებლად გარჯითა და ბრძოლით გასავლელი გზაა. მხოლოდ ამ გზაზე მოუღლელი სვლა ალამაზებს ადამიანს, ამ გზაზე დაძლეული წინააღმდეგობები ამაღლებს მას. ამ განსაწმენდელ გზაზე მიაბიჯებენ ნოდარ დუმბაძის გმირებიც და იუმორი, რომლითაც სავსეა და ასე მომხიბვლელია ეს სამყარო, უმიზნო მხიარულებისათვის კი არ არის მოხმობილი, არამედ განცდათა შესამსუბუქებლად.

ამ მიზნით მოიხმეს იგი ადრე სხვებმაც. დიახ, მართალია, რომ დავით კლდიაშვილის ცრემლიანი ღიმილით ჩვენ ტრაგიკულ სამყაროს ვეჭვრეტთ. ეს უებარი საშუალება დიკენსთანაც უმძიმესი სურათების ხილვით გაოგნებული მკითხველის სულის მოსაოქმელად არის მოშველიებული, ფიროსმანის ტილოებზეც თითქოს კომიკურ პერსონაჟებს და ცხოველებსაც საოცრად სევდიანი, გულისამაჩუყებელი გამომეტყველება აქვთ, სერვანტესსაც ხომ მხოლოდ ამ ღვთაებრივი ნიჭის გამო აქვს შერქმე-

ული დუმბაძის გმირის მიერ „ქვეყნიერების მამა“.

მწერლის მთელი შემოქმედება ადამიანისა და მზის დიდებული საგალობელია. მისი გმირები სიკეთითა და კეთილშობილებით, სიყვარულითა და თანაგრძნობით, ხალისითა და ცხოვრების წყურვილით, სიამაყითა და თავმდაბლობით, სიძლიერითა და გულისხმიერებით არიან სავსენი და ამ მშვენიერი ადამიანების მფარველად და ნუგეშად კაშკაშებს მზე დღისითაც და ღამითაც, როგორც სიმბოლო ამქვეყნიური სინათლისა და სითბოსი.

მწერლის ყოველ რომანსა თუ მოთხრობას, რაოდენ მძიმე განცდებსაც უნდა გვახიარებდეს იგი, მუდამ იმედიანი ფინალი აქვს, რადგან ავტორის ღრმა რწმენით, ადამიანი, მზე, სიცოცხლე მარადიულია.

ცხოვრების ეს იმედიანი ხილვაა ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ძალა და მშვენიერება. მისი სიყვარულით სავსე გულის ფეთქვა ძლიერად ისმის ყოველი მოთხრობიდან თუ რომანიდან, საოცარი გადამდები თრთოლვით ავსებს მათ და ადამიანებს ტკივილთა დაძლევისაკენ, თანაგრძნობისა და თანადგომობისაკენ მოუწოდებს. მწერლისათვის სიცოცხლე მთელი მისი ავკარგით დიდებულია, აღტაცების ღირსია და ამ ბედნიერი განცდის თანაზიარს გვხდის ჩვენც, მის მკითხველებს.

დროის სწრაფ სრბოლას ყოველთვის უჩიოდა ადამიანი. ქართველმა ხალხმაც ამიტომ შექმნა არა უბრალო სიტყვა, არამედ მხატვრული სახე — წუთისოფელი. ბედნიერია, ვისაც ამ ჩქარ ღინებაში, ცხოვრების ორომტრიალში არ დაუკარგავს, არ გაუფლანგავს ღვთით მომადლებული ნიჭი, ვისაც კმაყოფილებით შეუძლია გახედოს თუმც სწრაფად ჩავლილ, მაგრამ მადლითა და ნაყოფით სავსე წლებს.

ნოდარ დუმბაძეს არამცთუ კმაყოფალებით, დიდი სიამაყითაც შეეძლო გაეხედა გამოვლილი გზისათვის, მაგრამ იგი თავად სხვა სიკეთესთან ერთად, უაღრესად თავმდაბალი და სიმორცხვემდე მოკრძალებული კი იყო საკუთარი ღვაწლისა თუ ნიჭის შეფასებაში. გულით უხაროდა წარმატება, მაგრამ თითქოს უკვირდა კიდეც. ასეთი იყო თავიდან და ასეთი დარჩა ბოლომდე.

ერთხელ დიდმა ილიამ თქვა: „ადამიანი, კაცმა ისე უნდა იცხოვროს, ისე უნდა მოიხადოს თავისი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ ტირილით ნაშობი სიმღერით და სიცილით გამოესალმოს წუთისოფელსო. 1984 წლის 14 სექტემბერს სწორედ ასე სიცილით და სიმღერით წავიდა ნოდარ დუმბაძე იმქვეყნად. სიკვდილის წინ მეგობრებს ეშმაკური ღიმილით მოუსმო, სიცოცხლის ნიშატდაცდილი ხელი გადახვია და მათთან ერთად უკანასკნელად იმღერა, სიმღერა მაგნიტოფონის ფირზე რომ არ იყოს ჩაწერილი, არამცთუ სხვებს, იქნებ ამის შემსწრეთაც კი არ გვერწმუნა ეს საოცრება.

მზიანი გულის კაცი იყო და კაშკაშა მხურვალე მზემ გააცილა იგი ცხოვრების უკანასკნელ გზაზე.

წავიდა თავად, მაგრამ თავის სათაყვანებელ ერს, საერთოდაც ადამიანებს დაგვიტოვა თავისი ანთებული და მხურვალე გული, რაც ასე გვათბობს, გვაიმედებს, გვამხნევებს, სიკეთისა და სიყვარულისაკენ გვაბრუნებინებს პირს.

რა იქნებოდა, რომ ნოდარ დუმბაძე დღეს ჩვენთან ყოფილიყო?! ეს კითხვა, მარტო მონატრებით არ გვეძალება, არც მხოლოდ სინანულით, მწუხარებით, ურვითაც იმ დაუწერელი რომანებისა და მოთხრობების გამო, რასაც მწერალი ამ ათეული წლების მანძილზე შექმნიდა. იქნებ უფრო მეტადაც ეს კითხვა იმიტომ გვაინტერესებს და გვაფორიაქებს, რომ გვსურს ნოდარ დუმბაძის დღევანდელ საქართველოსთან დამოკიდებულება განვჭვრიტოთ: რა თვალით შეხედავდა და რა გულით განიცდიდა ამ ნანინანატრი თავისუფლების გზაზე შემდგარი მისი ქვეყნის და ერის ტანჯვა-ვაებას — დაქუცმაცებას, გათიშულობას, გაუტანლობას განუკითხაობას, გაღატაკებას, სინდის-ნამუსისაგან გარეცხვას... ყველაფერ იმას, რაც გადავიტანეთ და რაც კიდევ დიდხანს გვექნება გადასატანი და დასაძლევი.

ნოდარის თავზე, როგორც იტყვიან, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყველა უბედურება კი დაატყდა, ტრა-

ვიკული განსაცდელი მას და მის ოჯახს მუდმივად თანა სდევდა (მამის დახვრეტა, დედის გადასახლება, ობლობა, პატარა პირმშოს აღსასრული, უდანაშაულო დამნაშავის — ტუსაღის მწარე ხვედრი, სიძის დაღუპვა, ინფარქტები და ინსულტები...) ბევრი მსხვერპლის გაღება მოუხდა, მაგრამ იშვიათად წამოსცდენია ამის გამო ბედის სამდურავი სიტყვა. ყოველი ახალი უბედურების გამო თუ იკითხავდა ხმამაღლა, ნეტა რით ვერ გამოსცადა განგებამ ჩემი ჭირთა თმენა, რომ განსაცდელს განსაცდელზე მატეხს თავსო.

ნოდარ დუმბაძე მზიანი გულით დაიბადა და ვერავითარმა სიდუხჭირემ, განსაცდელმა თუ უბედურებამ არამცთუ ვერ ჩაუქრო, ვერც კი გაუნელა მას სითბო და სიყვარული, ვერც როგორც პიროვნებას და ვერც როგორც შემოქმედს. ვინ იცის, ეგებ სწორედ ტკივილებმა გაუმძაფრა ეს გრძნობები, უფრო გასაგები გახდა მისთვის სიკეთის ფასი?! მან ცხოვრებიდანაც და წიგნებიდანაც მხოლოდ სიყვარული მიიღო და იწამა. მიუხედავად იმისა, რომ ბოროტებასაც და უკეთურებასაც მრავალს გადაეყარა, მაინც სიკეთის გაკვეთილი იყო მისთვის მთავარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი მისი რწმენა [illegible] ეროვნული, ეთნოლითური იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უძძიმეს ვითარებაშიც კი მისი თვალი და გული მაინც იმ ნათელს და იმედიან მომავალს დაინახავდა, რაც წინ უნდა ელოდეს მის ქვეყანას. თუმცა, ისიც უეჭველია, რომ მის ტკივილებით ისედაც დაკოდილ გულს ახალი ჭრილობებიც მრავლად და ღრმად, შოურჩენლად დაედებოდა, განსაკუთრებით მისი სიყვარული, მშობლიური აფხაზეთის გამო. და მაინც, ნუგეშად მოევლინებოდა დღეს ნოდარ დუმბაძე თავის შეჭირვებულ ხალხს.

თუმცა, რატომ „მოევლინებოდა“, ვანა მოვლენილი არ არის?! მისი სიტყვა, აზრი, გრძნობა, ასე მართალი, ბრძნული და მშვენიერი ხომ დღესაც ცოცხლობს! ნოდარი ჩვენთანაა, გვირჩევს, გვასწავლის, მოგვიწოდებს როგორ ვიცხოვროთ, როგორ დავაღწიოთ თავი განსაცდელს და თუ ვინმემ ეს დავივიწყეთ, კვლავ შევხვდეთ მას, ვაზიაროთ სიყვარულის მისეულ მაცოცხლებელ ძალას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დინარა ჩაკვეტაძე

„წუთისოფლის გზაზე“

(არჩილ სულაკაურის „თეთრი ცხენის“ კითხვისას)

„უცნაური წყვილია ეს სახელი და გვარი — არჩილ სულაკაური, თითქოს ამ გვარის ფონეტიკური ჟღერადობა მეწამული დაისის ფონზე მშვიდად მიცურავს, მიედინება. სუ-ლა-კა-უ-რი... კეთილი მწყემსივით მიკაფავს სულეთისაკენ მიმავალ გზას, ბინდის სილბოდან რიჟრაჟის სუსხში მშვიდად გადაჭყავს შეშინებული ღრუბლების ფარა“, — წერს მაკა ჯოხაძე არჩილ სულაკაურისადმი მიძღვნილ წერილში.

უცნაურია არა მარტო გვარ-სახელი, უცნაურია ის განცდაც, რაც მისი თხზულებების კითხვისას გეუფლება, კვლავ წაკითხვის სურვილით რომ ივსები.

კითხულობ და გრძნობ, როგორ იღვრება შენში სიკეთე და გიხარია, რომ „ბიჭი შურისძიებაზე არ ფიქრობდა“ („ბიჭი და ძალლი“).

მოთხრობის გმირთან ერთად აღმოაჩენ, „შემოდგომის მზე რაგინდ თბილი არ იყოს, ფოთოლცვენას ვერ შეაჩერებს...“. მერე შენს მზერას სულ სხვა რამ იპყრობს: „რა საყვარლად სხედან მტრედები“ („მტრედები“).

გეღიმება ბავშვობის „მტრების“ შეხვედრისას:

„— აქ რომ იჯექი და ტიროდი?

— მართლა სულელი ვიყავი“ („ზევით და ქვევით“).

ხვდები, ავტორი კვლავ პირნათელია: „ჩემი სიმდიდრე ხსოვნაში აღბეჭდილი მახლობელ ადამიანთა ძვირფასი სახეებია...“ („ძველი ამბავი“).

ხედავ ოდნავ კოჭლობით მიმავალ ბარათაშვილს და მის გულში გახმიანებულ სიტყვებს შენც აიტაცებ: „იქნებ ამ წუთისოფლად ტკივილისათვის მოვიდა და ბედნიერია, რადგან სიტყვაში ტკივილის გამჟღავნება შეუძლია“ („ღამე ყაბახზე“).

ტკივილი...

ბედნიერება...

დაფიქრებას ვერ მოასწრებ და ცხენის ჭიხვინს გაიგონებ. ეს თეთრი ცხენი ჭიხვინებს. თეთრ ცხენზე მჯდარ მხედარსაც დაინახავ, წამიერად რომ გადმოგხედავს, ლურჯ სივრცეში ხელს აიქნევს და გაუჩინარდება.

მერე მიწისკენ გააპარებ მზერას: სასაფლაოს კარიბჭესთან თვალცრემლიანი ჭაბუკი დგას, ოზო. არა, მას დედის საფლავი არ დაუკარგავს, იგი ახლახან დაემშვიდობა ლამარას. მისი ცრემლი ბევრ ტკივილს იტევს... დასამშვიდებლად ქალბატონ მარიამის სახლისკენ გაემართება. მაგრამ ახსენდება, რომ არც ქალბატონი მარიამი და არც მისი სახ-

ლი მას აღარ ელოდება, აღარც ბიბლიოთეკა არსებობს. იქ ხალხია. ხალხი, რომელიც ტაშტებით, ვედროებით, ტომრებით განურჩევლად ეზიდება ქალბატონ მარიამის წიგნებს.

ოზომ იცის, რომ ეს ხალხი წიგნის მკითხველი არაა. ალბათ, მათ, ვაჭრუკანებს, ქალალდის პატარა პარკები უფრო სჭირდებათ, მზესუმზირისა და ბატიბუტის ჩასაყრელად და გასაყიდად. „წიგნის მკითხველს წიგნი სხვანაირად მიაქვს, სხვანაირად უჭირავს ხელში, სხვანაირად ეპყრობა“ (ეს მისი სიტყვებია). გვახსენდება, მრავალგზის წაკითხულ წიგნებსა და ჟურნალებს, ანანოსგან ნაანდერძევთ, თბილისში გამომგზავრების წინ ოზო როგორი კრძალვით ფურცლავდა.

რაც ამ ხალხს მიაქვს, მიაქვს, რაც არავინ ინდომა, იმას ღია ფანჯრიდან ნაგავსა და მტვერთან ერთად მტკვარში ყრიან. არავის აინტერესებს, რა რუდუნებისა და შრომის ფასად დაუჯდა პატრონს ამ წიგნთსაცავის შექმნა. მარტო ის რად ღირს, ამ წიგნებით რომ უსარგებლიათ: დიდ ილიას, ივანე მაჩაბელს, იაკობ გოგებაშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ვასილ ბარნოვს, მიხეილ ჯავახიშვილს, პავლე ინგოროყვას, დიმიტრი უზნაძეს, ევგენი მიქელაძეს...

ცხადია, ვინც წიგნებს ყრის, მათთვის უცხოა ოზოს განცდა: „ამ წიგნებმა თავზარი დამცა და შემაშინა, ამდენი წიგნი, ერთად თავმოყრილი, ჯერ არ მენახა და ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა, ერთ ადამიანს ასეთი ბიბლიოთეკა ჰქონოდა“.

წიგნიერი ჭაბუკის თვალწინ საგანძურის კარი გაიღო. მართალია, შემღეგში ბიბლიოთეკა დაიღუპა, მაგრამ მან ოზოს გადარჩენა მაინც შეძლო, ლუკასიც („არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, ეს კარი რომ არ გაეღოთ ჩემთვის...“, ოზო). ბიბლიოთეკა დაიღუპა, მაგრამ სადმე ერთი-ორი წიგნი მაინც მოხვდებოდა გულშემატკივარი კაცის ხელში, ამ ბარბაროსობიდან იღბლად გადარჩენილი, და ეს კაცი, უწესრიგოდ მიმოფანტულ წიგნებს შორის მდგარი ვიღაც მაღალი და გამხდარი მოხუცივით (დონ კიხოტს რომ მიამსგავსეს ბიჭებმა), ხელში აიღებდა ამ წიგნს, გულისყურით გადაშლიდა და ჩაუღრმავდებოდა.

ქალბატონი მარიამი კი ველარ ხედავს დაგლეჯილ და დაფურცლულ წიგნებს, მას არც „ტარზანივით მყვირალი“ ზიზი უხილავს. იგი ბედნიერი იყო თავისი მოგონებებით, ადამიანებით, რომელთაც გაამდიდრეს მისი ცხოვრება. მაგრამ ის ბედნიერია ოზოს გაცნობითაც. ოზოს სახით ქალბატონი მარიამი მისი თაობის საუკეთესო ნაწილს ეცნობა, რომლისთვისაც წიგნი ძვირფასი საუნჯეა.

ოზომ ხომ წიგნი ჯერ კიდევ ბავშვობისას შეიყვარა. მისთვის მეტად მტკივნეულია, ქალბატონ მარიამის მეზობლებს ბიბლიოთეკა ცარიელ ოთახად რომ მიაჩნდათ, ხოლო საგანძურის მცველის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ ბიბლიოთეკაში შეჭრილებს წიგნები ხელს უშლიდათ და მოიშორეს.

თხზულების ერთ-ერთი პერსონაჟი, გედეონ ომანაშვილი ამბობს: ცოდნისა და ინფორმაციის მიღებას დავეწაფეთ და ამასობაში სიბრძნე დავკარგეთო. სიბრძნის დაკარგვა ჭეშმარიტების დაკარგვის ტოლფასია. სიბრძნე სიკეთეა, სიკეთე — სათნოებაა. სათნოება რწმენას, სასოებასა და სიყვარულს ეფუძნება. სიყვარულის, იმედისა და რწმენის კლება ბოროტების მატებასა და აღზევებას აპირობებს უცილობლად. ამ დროს მოპოვებული ვითომ ცოდნა, ალბათ, ბოროტების სამსახურში ჩადგება. ბოროტება კი სიყვარულის არქონაა, როგორც პავლე მოციქული აცხადებს: „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოყლრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი. წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რული თუ არა მაქვს, არარა ვარ. მთელი ჩემი ქონება რომ გავიღო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არას მარგია“ (1 კორინთელთა მიმართ, 13, 1-3).

მაშ, რა ბედენაა უსიყვარულო ცოდნა ან ინფორმაციის მიღების წყურვილი? ან რა გამაუცხოებელია ცოდნისა და სიბრძნის, ანუ რწმენის დაპირისპირება. ამ აზრს ხომ „ყოველგვარი ზნეობრივი უღლისგან გათავისუფლებული“ ადამიანები ამკვიდრებენ.

ჭეშმარიტი რწმენა ცოდნასა და მეცნიერებას არ უარყოფს, პირიქით. სარწმუნოებით განსულიერებული და ზნეობით განმტკიცებული ცოდნა ადამიანებს აფიქრებინებს, მათთვისვე შექმნილი საუნჯე ფურცელ-ფურცელ არ გაანიავონ, ამ ხალხისავე წარმომადგენლებმა არ მოკლან ამ საუნჯის შემკრები და მცველი.

სად არის ხალხი, სად არიან ადამიანები?! ამ ეპიზოდში ჩანან მხოლოდ სულიერ აშლილობამდე მისული არსებები, რომლებმაც შეიტყვეს რა ქალბატონ მარიამის გარდაცვალება, მისი ბიბლიოთეკა ბარბაროსულად დაარბიეს. მართალია, იგი ფიზიკურად არ მოუკლავთ, მაგრამ მისი ცხოვრების აზრს კლავენ. რა ეამართლება აქვს მათ საქციელს, თუნდ იმ ოთახში ცხრასულიანმა ოჯახმა დაიდოს ბინა, თუნდაც ამ ოჯახის წევრები მოხუცები და ბავშვები იყვნენ?! რითი ისაზრდოებენ ეს ბავშვები, — საკუთარი მშობლებისა და მეზობელ „გულშემატკივართა“ საქციელით?! ბავშვი ხომ მეტად სათუთი და ნაზი არსებაა. ხშირად ისინი სიტყვიერი დარიგებით ისე ვერაფერს სწავლობენ, როგორც მაგალითით. და თუ მშობლები სიკეთეს არ აჩვევენ, რა დაინერგება მათ გულში, ძნელი მისახვედრი არაა. რისთვის ჩქარობენ ეს არსებები, რატომ შეშინებულან და აცეცებენ დაფეთებულ თვალებს, თუ მათი საქციელის მამხილებელ ჭაბუკებს სცემენ და ეზოდან და ქუჩიდანაც გამოაპანღურებენ! მაგრამ ალბათ, ესენიც ასეთი „ცხოვრებისკენ“ ისწრაფვიან, ესაა მათი „სიმართლე“.

აქ ბარნაბიშვილიც გამოჩენილა. ჭაჭი დავითაიაც, ვარლამიც, ღურძიშხან წილოსანიც. ესენიც ხომ მათნაირები არიან. ამათთანაა სიმართლე? არა, ისინი მართლები არ არიან, ამიტომ არც მომავალი აქვთ. რადგან ასეთები „სულ ნათელი მომავლის მწვერვალებისკენ იხედებიან“, მაგრამ ეს ხომ მოჩვენებითია. იხედებიან კი? თუ ეს სხვათა დათრგუნვის გზით პირადი კეთილდღეობის მოპოვების სურვილია. გვერდით მდგომს რომ დაჩაგრავს, ამით ქვეყანას რასმე შეეშველებს? მაგრამ ეს მადლდაკარგული „რამ“ ქვეყანას რად წაადგება?! ვინ მისცა მათი მსგავსის გათელვის უფლება? ძალით იგდეს ხელთ მათ ეს უფლება, მიიტაცეს უკეთურება.

პური მეპურესო, — ძველთაგან უთქვამთ. ესენი კი იოთამისა და საბას მსგავს ადამიანთა ნაცვლად სიმდიდრის დაგროვების წყურვილით შეპყრობილ ბარნაბიშვილებს უმართავენ ხელს. რა ადვილად თმობს იოთამი ყოველივეს. სიღარიბე და მწუხარება სულმოკლეობასა და სასოწარკვეთილებაში არ აგდებს მას. აბგააკიდებული დაატარებს თავის ხვედრს. ფიზიკურად დაუძლურებული იოთამი სახარებისეულ გლახაკ ლაზარეს მოგვაგონებს, ბევრნაირ ჭირს, იწროებას, შიმშილს, წყურვილს, სიშიშვლესა და ავადმყოფობას რომ ითმენს. მას, მდიდრის კარიბჭესთან მყოფს, ძაღლები ულოკავდნენ წყლულებს. აქაც, იოთამმა თავის ადრინდელ სამწყემსურებს რომ დახედა, ნაგაზები სახესა და ხელებს ულოკავენ, ძაღლურად ეალერსებიან, თითქოს კაცთა უსამართლობას უქარწყლებენო ყოფილ პატრონს. ბარნაბიშვილი კი სულიერ აშლილობამდე მიჰყავს სიმდიდრის დაკარგვას. ალაზნის ველებზე დაეხეტება და ზნეობის გაყიდვით მოპოვებულ ოქროებს ეძებს. ზნეობას ხომ მზაკვარი და ფლიდი ადამიანები ჰყიდიან. ვერცხლისმოყვარეობა, ანუ ფულის სიყვარული პირველად ღმერთს კლავს ადამიანის სულში და

შემდეგ თავად ადამიანს, „ოქრო კი ისეთივე შემპყრობია კაცისა, როგორც მახე ფრინველისა“, — შეგვაგონებს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი. სოფლად დამკვიდრებისას ბარნაბიშვილი საქმის „კარგი ცოდნით“ შესდგომია მის აღსრულებას. ისევ უმადლო, უსიყვარულო ცოდნა; „ცოდნა“, რომელიც ცოდვას ბადებს.

ლადო ესაკიას თქმით, ეს წინასწარ ღაგეგმილი, შორს გამიზნული მზაკვრობაა: „ჩვენს დიდ ქვეყანაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება, ცხოვრება არ ემორჩილება რაიმე კანონზომიერებას, როგორც ზევით ჩათვლიან მიზანშეწონილად, ცხოვრებაც და ადამიანის ბედიც ისე წარიმართებაო“.

„ასეა საჭირო!“, — ამბობდნენ. ეს იყო მთავარი და ერთადერთი არგუმენტი. არავინ კითხულობს, „რატომ არის ასე საჭირო?“. მაგრამ როცა ასეთი კითხვა ვინმეს უჩნდება, სამშობლოს მოღალატის სახელით იხსენებენ და საუკუნის მეოთხედი დროით შორეულ აღმოსავლეთში ამწესებენ...

ჩუმად მოფუსფუსე, გამრჯე კაცსაც არ ინდობენ, ნებაყოფლობით აყრას „სთავაზობენ“. ზნეობადაბინძურებულნი სხვის სულში აფათურებენ ხელებს და თავიანთ აზრს ხალხის ნება-სურვილის გამოხატულებად აცხადებენ.

იოთამს ჰგონია, „მაგათ ცხოვრებას მარტო მე ვუშლიდი ხელს, მაგათ გზაზე ლოდივით ვეგდე... აჰა, ხომ გადავათრიე ჩემივე თავი გზის შუიდან გზის ნაპირამდე! ხომ გავერიდე?! სხვა რა შემეძლო“.

არა, ისინი მხოლოდ იოთამს არ დევნიან, ისე მოქმედებენ, „ერი დააკნინონ, გადააგვარონ, შეაჩვიონ უსაქმურობას, უშრომელად წარმატების მიღწევას... ერი კნინდება, როცა ქვეყანაში ადამიანი თავის საქმეს არ აკეთებს“.

ბარნაბიშვილმა „სოფელს გამოუცხადა: ცხვარი რა ჩვენი საზრუნავია, გვიბრძანეს, ძირითადად მიწათმოქმედებას მიხედეთ, თქვენი საქმე პური და ვენახიაო...“. ამ არაკომპეტენტურმა, ე. წ. ხელმძღვანელებმა უკეთ იციან, თუ ბუნებასთან შეთვისებულმა, თავისი საქმის მოსიყვარულე ადამიანმა? მაგრამ ეს სენია, რომლის გავრცელებასაც გულმოდგინედ ცდილობენ (სხვა რაღაა აბა, იოთამის გაკულაკება და მისი ნაშრომნაღვაწის, 5000 სულისაგან შემდგარი ცხვრის ფარის, ბარნაბიშვილისგან მითვისება-განიავება). იოთამს, რომელიც თავისი ქვეყნისთვის სიკეთეს თესდა, ავტორი ბრძენკაცად მოიხსენიებს. ესენი ამ სიბრძნეს მოკლებულნი არიან.

ბარნაბიშვილმა ცხენების რემაც იმ გზას გაუყენა. არადა, იოთამი ამ ცხენს მთელ საქართველოში ეძებდა და თითოთითოდ აგროვებდა, როგორც რიყეზე დაფანტულ მარგალიტებს. მისი კეთილი და მართალი ხასიათი, ამასთან შრომა და მეცადინეობა იყო საწინდარი საქმის წარმატებისა და ნაყოფიერებისა.

ამდენი რამ შემთხვევით არ ხდება, მართალია ლადო ესაკია.

ბარნაბიშვილი ნისლაურელებს ემდურის — დღე და ღამე ამათ ვემსახურებოდი... მაგრამ ყველაფერი წყალს გაატანესო. სინამდვილეში სოფელი გაუბედურა და მერე გაუდაბურა მისმა უსაქციელობამ („ვაი მათ, ვინც ბოროტებას სიკეთეს არქმევს და სიკეთეს — ბოროტებას; ვინც ბნელს ნათლად სახავს და ნათელს — ბნელად, სიმწარეს სიტკბოდ სახავს და სიტკბოს — სიმწარედ!“, ესაია 5, 20). ჩვენი მაღალღირსეული წინაპრები, რომლებიც სიცოცხლის უმეტეს წლებს განსაცვიფრებელ ღვაწლში ატარებდნენ, მაინც არ იყვნენ კმაყოფილნი თავის თავისა. აღასრულეს კი თავიანთი მოვალეობა? — ამ კითხვით აფასებდნენ განვლილ გზას. ბარნაბიშვილს კი მის მიერ ჩადენილი უკეთური საქმეები საკრაბახოდ მიუჩნევია.

ლუკა ოზოს გულისტკივილით უხიარებს: „იოთამის თეთრი ცხენების რემა აღარ არსებობს, გადააშენეს, გაანადგურეს, მოსპეს ქართული ჯიშის არგამაკი — თეთრი ცხენი, ომებში გახედნილი და გაწვრთნილი, ქართველი მეომრის სიამაყე და ერთგული მეგობარი, მშრომელი

კაცის მარჯვენა ხელი და მარჩენალი“.

ცხენის ამ ჯიშის გადარჩენა დიდ ვაჟასაც ეფიქრებოდა თურმე, არჩილ სულაკაური მას ამ საქმის აღდგენის მოსურნედ არ დასახავდა, თუ არა ამ სურვილის დიდად სარგებლიანობა.

სიბრძნედაკარგულ საზოგადოებას ვითომ საყოველთაო სწავლება დაუწესეს. „მაგრამ ნამდვილი სწავლებისათვის არავინ ზრუნავს“. ისეთი განათლებაა კარგი, კაცს რომ გააკეთილშობილებს და აღამაღლებს. სწავლა ადამიანმა შეიძლება ორგვარად მოიხმაროს: კეთილ საქმეზეც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდ თავისი თავისა და სხვათა.

ისუ ზირაქი, რომელიც არათუ განათლებულ პირად ითვლებოდა, არამედ ბრძენსაც უწოდებდნენ, ამბობდა: სწავლას კეთილზნეობის გარეშე დიდი ფასი არა აქვსო.

ყველაზე უმჯობესი და სასურველია, კაცი მდიდარი იყოს ცოდნით და ამასთან — მტკიცე ქრისტიანული ზნეობით. იაკობ მოციქულის თქმით: „ვინ არის ბრძენი და მცოდნე თქვენს შორის? სინამდვილეში გვიჩვენოს ეს კეთილი ქცევითა და ბრძნული სიმშვიდით“.

იოთამი ქართული ჯიშის ცხენებს, ქალბატონი მარიამი კი ლიტერატურულ საგანძურს ამრავლებდა. მისი ბიბლიოთეკა 11 ათასზე მეტ წიგნს მოიცავდა. პირველის განიავებას ოზო სხვათა მონათხრობით გებულობს, მეორის განადგურებას თავად შეესწრება.

მაგრამ ორივე, მონათხრობიცა და საკუთარი თვალით ნანახიც, ერთნაირად აფორიაქებენ ჭაბუკის გულსა და გონებას. ისე ცხადია მისთვის ცხენების თავს დატრიალებული ისტორია, რომ თითქოს ხედავს მწვანე ფერდობიდან ალაზნისაკენ გრიალით მქროლავ რემას, მდინარეში ძალით რომ შეჰყარეს კეტებით შეიარაღებულმა ბარნაბიშვილის მსგავსმა კაცებმა.

ასეთები ჩვეულებრივ ვერ ურიგდებიან ქართულ ოჯახებში დავანებულ სიმყუდროვესა და სიძველეს. მათ ოზოსავით კი არ იზიდავთ აქაური გარემო. ამ ოჯახების კედლებზე დაკიდებული სხვადასხვა ზომის გახუნებულ, ფერგადასულ, გაცრეცილ სურათებზე აღბეჭდილი ადამიანების გამოხედვაში არ შეუძლიათ სულ სხვა ზნეობრივი ნიშნით აღბეჭდილი დარდისა და უდარდელობის, სიხარულისა და მწუხარების, ჭირისა და ლხინის აღმოჩენა. ასეთ ოჯახებში ჩვეულებრივ არსებული ჩვენი ყოფის ამსახველი უიშვიათესი ნივთების დაკარგვაც არაა მათთვის სავალალო.

რა გასაკვირია იმ ფასეულობების არად მიჩნევა, როცა ისინი ადამიანებსაც არაფრად თვლიან. ამ მხრივ არტემ კაზანჯელისნაირი გაურკვეველი ეროვნების ხალხი უფროა თავგამოდებული, „მართალია, არც გარკვეული ეროვნების წარმომადგენლებს დაუღვრიათ ნაკლები სისხლი, მაგრამ ასეთები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან“, განუკითხავად ასამართლებენ ადამიანს.

მიუხედავად იმისა, წარმოდგენა რომ არა აქვს, რა მოხდა, რა დააშავეს უნივერსიტეტელმა სტუდენტებმა, ჭიჭი დავითაიასნაირი უვიცი მაინც საჯაროდ გამოდის, რათა წინასწარ გამოუტანოს განაჩენი იმ ადამიანებს, რომელთა დანაშაული ჯერ არ დამტკიცებულა. საშინელებაა, როცა ასეთებს მოხალისე მიმდევრებიც გაუჩნდებიან.

დურმიშხან წილოსანიც მათნაირია, მათი თანამზრახველია მხდალიცა და თავხედიც ერთდროულად. ატისთან მცირე შელაპარაკების შემდეგ რომ იმუქრება, სამაგიეროს გადახდის ათასი ხერხი და საშუალება არსებობსო.

ამპარტავნება ყველაზე საშინელი ცოდვაა. გულით ამპარტავანი ადამიანები საძულველნი არიან ღვთის წინაშე. ოზოს შეგონება („ჩვენ ხომ ისიც არ ვიცით, აი, როგორც ადამიანს, როგორც პიროვნებას რისი უფლება გვაქვს და რისი არა გვაქვს, ჩვენ ყველანი ხომ უზნეოები ვართ!“) ძირგახვრეტილ ჭურჭელში წყლის ჩასხმას ჰგავს, რადგან მაინც ვერ აფხიზლებენ დურმიშხანს.

ამპარტავნება მისი ხასიათის თვისებაა.

ასეთებს საკუთარი საქციელი აძხელთ. მათთან მოხვედრილ ადამიანს ჯერ თავაზიანად ესაუბრებიან, ახალგაზრდას და ნიჭიერს დიდი მომავალი გაქვსო (გოგი ზედელაშვილი გავიხსენოთ). წვერი გარეგნული ნიშანია და მოიშორეო, — ურჩევენ. მერე უხეშობენ, თან აძცირებენ: „დიდო მამულიშვილო, საქართველოს გლოვობ, არაო“ (მოგვიანებით სამშობლოს ღალატში სდებენ ბრალს). ახლა კი სამშობლო არ უხსენებიათ. ქართველისთვის საქართველო განა სამშობლო არაა?! და თუ ის თავის სამშობლოს გლოვობს, როგორაა მისი მოღალატე. მაგრამ ისინი ხომ საქართველოს სამშობლოდ არ თვლიან. სიტყვა „მამულიშვილობასაც“ უდიერად ეპყრობიან, მაგრამ რა გასაკვირია, როცა თვითონ მამულია მათგან შეურაცხყოფილი.

ჭეშმარიტების ნიღბით სიცრუე და ბოროტება ჭეშმარიტებასა და სიმართლეს დევნის... ესენი პიროვნულ თუ ეროვნულ თავისუფლებასა და ადამიანურ ღირსებას აბუჩად იგდებენ. ღვთისგან შექმნილ კაცს არარაობად თვლიან. კეთილმორწმუნე ადამიანი კი ღმერთს მადლობს, რომ არარაობიდან, უმყოფელობიდან ყოფად მოიყვანა. ადამიანს ადამიანობა წაართვეს. არც სირცხვილის გრძნობა აწუხებთ. სირცხვილის გრძნობას ხომ სინანული ბადებს. მათთვის უცხოა სინანული. ამიტომ უტიფრად ტყუიან, როცა თავისი ავი ზრახვების აღსრულება სურთ.

საბას „ფრონტელი მეგობრის“ სახელით გამოცხადებული კაციც, ხმაურიანი გამოჩენითა და წასვლისას კატის სიფრთხილით აღსავსე ნაბიჯებით, მარტივი კაცი კი არაა, არამედ — კაცი „ორკეცი“. იგავისეული ფარისევლის მსგავსად იქცევა, ვითომც წესიერი და მოსაწონი ყოფაქცევით რომ ფარავს შინაგან უმსგავსო და უშვერ თვისებებს, სათნოების სახე შეუმოსავს და ამით ცდილობს, სხვას ავნოს. საერთოდ, მართალი მათ სძულთ, ვინც თავად ეწევიან ცოლვილ ცხოვრებას. და რამდენადაც ცოდვებში ჩაფლულნი ცხოვრობენ და მხილების შიში აქვთ, [illegible] ულვილით ეპყრობიან. [illegible] ულვილითაც თავს კიდევ ახალი ცოდვით იმძიმებენ.

საბას პიროვნების დასახასიათებლად ამ ბერიკაცის სიტყვებიც იკმარებდა, შარაგზაზე მიმავალ ოზოს რომ გაესაუბრა: „მაგარი იყო, კაცთსაკითხავიო...“. მას, ლაღსა და კაცთმოყვარეს, ის სიბრძნე აქვს, რომლის დაკარგვასაც ასე მისტირის გედეონ ომანაშვილი.

საოცარია სოფლის კალატოზის, დიდოს გადარჩენის ეპიზოდი თხზულებაში, საბამ მამლის მფეთქავი სისხლსავსე გული რომ გადაყლაპა და ამ გულზე დაკიდებული მოშავო-მოწითალო წურბელა ამოუყვანა.

საბა სხვანაირი კაცია, მისი ისტორიის მოსმენის შემდეგ ადამიანებს უკვირთ, როგორ აპატია ბარნაბიშვილს, როგორ მიატოვა თავისი სოფელი, მამის სახლი და ხიზანივით სოფელ-სოფელ, კარდაკარ მავალმა დღიური გარჯით ცხოვრება იტვირთა. საბა ნამდვილად ღვთის კაცია, აბა, სხვას როგორ შეუძლია თქვას: ფრინველივით ლაღად, დღიური გარჯით უნდა ვიცხოვრო, სხვის ბოღმას ჩემი გული უნდა გავაჯიბროო და ისიც, რომ სჯერა, კეთილ გზაზე ვადგავარო, შინაგანი სიმართლითაა ნასაზრდოები. ეს ქვეყანა წარმავალია, — რამდენჯერმე აღინიშნება თხზულებაში მთავარი გმირისაგან. საქმეც ის არის, ამ წარმავალ ქვეყანაში როგორ ივლის კაცი, იქ, წარუვალში საგზლად რა გაჰყვება.

საბა ანანოსაც ესიტყვება, როცა იგი ნისლაურას მოაგონებს: „გზიდან ნუ გადაუხვევინებ, რახან ვთქვი, ვთქვი! მორჩა და გათავდა!“. მტკიცე, ურყევი ხასიათისაა. იმ კლდეს ემსგავსება, სასტიკი ქარიშხალიც რომ ვერ შეარყევს. სხვის რჩევა-შეგონებას, რაც ამ შემთხვევაში უსარგებლოა, არ ითვალისწინებს. ანანოსადმი სიყვარულსაც თმობს, მისგან რომ მიდის, თუმც ამ სიყვარულისთვის არასდროს უღალატია.

საბას მხატვრული სახე ჩვენს მაღალღირსეულ წინაპრებს გვახსენებს. მართალია, იგი ხორციელად, მაგრამ მაინც სიკეთით ემსახურება უფალს, მაცხოვარმა ხომ ბრძანა: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო. საბაც ასეთია. ოღონდ ვინმეს სიტყვა წამოსცდენოდა, უმალ გვერდით დაუდგებოდა დახმარების გასაწევად. მიმტევებლობის უნარით დაეჯილდოვებინა ღმერთს, როცა ანანო ეუბნება: „კაცი ხარ და განა ბარნაბიშვილთან არაფერი გაქვს სათქმელიო, ეკითხება: — რატომ შევხვდე?.. რატომ დაველაპარაკო?“. განა სამაგიეროს გადახდა არ შეუძლია! მაგრამ არ სურს (მტერიც ეცოდება)! მან იცის, ბოროტებისადმი ბოროტების მიზღვა კარგი არაა.

საბას ზნეობრივი მაგალითი და ანანოს პიროვნული თვისებები ოზოს იმაზე დაფიქრებს, რომ მას სხვისი თანაგრძნობა ,სხვისი ტკივილისა და საწუხარის გაზიარება უნდა შეეძლოს.

ამიტომაცაა გულგრილობა და განურჩევლობის გრძნობა გულს რომ უკლავს. ამ გულგრილობას ოზო ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდება — იქ, ციხისძირშიც (დამსვენებელი რომ იხრჩობოდა და ნაპირზე გაწოლილ მოტრაბახე ბიჭთაგან არავინ მიეშველა) და აქ, თბილისშიც (ოზოსგან ილოს ბავშვებისადმი თანაგრძნობის გამოხატვა ღურმიშხან წილოსანში დაცინვას იწვევს; ქალბატონ მარიამის ბიბლიოთეკის განადგურებისას ხალხს საშინელი გულცივობა და ძალადობა მართავს; ოზოს ზოგიერთი ძველი თანაკურსელის ცდაც თვითდამკვიდრებისა: ან არ აინტერესებს, რას ამბობ, არ გისმენს, ყურს არ გიგდებს, არ გაცლის ლაპარაკს, ან თუ მოგისმენს მხოლოდ ჩასაფრების მიზნით, რომ მერე შენი ნათქვამი გააბათილოს, ან სხვები ამით გაართოს, აცინოს, ახარხაროს). ამ უკანასკნელს ცუდ შედეგამდე მიჰყავს ადამიანი. ჩნდება ჩვევა ჭარბი, უადგილო და გამომფიტველი სიცილ-ხარხარისა, სხვისი აზრის, ფიქრის, შთაბეჭდილების ნიველირებისა და უპატივცემულობისა. გაუბედაობა ეუფლება, [illegible] გამოთქმის, ფიქრისა და [illegible] გაზიარების სურვილი ეკარგება, საკუთარი თავის ნაჭუჭში იკეტება.

მერე ადამიანები მათ თვალწინ დატრიალებული ტრაგედიების დროს „შედეგს უდრტვინველად ეგუებიან, მიზეზის მიმართ აბსოლუტურად გულგრილნი არიან“.

სამაგიეროდ, ერთი შეხედვით ძალიან უწყინარი რამ, ვთქვათ, ვიხმე ჩვეულებრივ კაცისგან წვერის მოშვება საყოველთაო განსჯის საგანი ხდება.

მოგვიანებით ოზო ბატონ ლადოსგან ბიბლიოთეკის დარბევის მიზეზსაც შეიტყობს: ქალბატონი მარიამი გენერალ მაზნიაშვილის არმიის წევრის, შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, მერაბ ციხისთავის მეუღლე ყოფილა, რომელიც მხოლოდ 24 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ წასულა ქაქუცასთან ერთად ემიგრაციაში.

ქალბატონ მარიამს მეუღლისგან საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილები, რაღაც საბუთები და დოკუმენტები დარჩებოდა. ალბათ, ამ მასალებს უწოდებდნენ მასთან მისული არტემ კაზანჯელის კაცები აკრძალულ ლიტერატურას. ამ საბუთების პოვნის სურვილით აღძრულები ბიბლიოთეკის გულმოდგინე ჩხრეკის შემდეგ რომ ვერაფერს წააწყდნენ, ქალბატონ მარიამს მოსაკლავად იმეტებენ (ვითომ შემთხვევით ეტლი დაეჯახა), რომ ახლა მაინც აღმოაჩინონ მათთვის აქამდე ხელმიუწვდომელი რამ. ალბათ, ეს დოკუმენტები ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს ამხელდა, ამიტომ ეძებდნენ ასეთი გააფთრებით.

ხალხსაც ან დაავიწყდა, ან განგებ მალავდა 24 წლის სისხლიან აბებს. წითელმა ტერორისტებმა ისე დააშინეს ადამიანები, რომ მათ საკუთარ თავს ამ თემაზე ფიქრიც კი აუკრძალეს. არსებული ლიტერატურაც სამუდამოდ გამოკეტეს სეიფებში, რომ მომავალ თაობას არაფერი შეეტყო. მაგრამ ცნობები ამ

და სხვა სისხლიანი ისტორიების შესახებ მაინც ვრცელდებოდა. ამიტომ არ ემეტებოდა ატის სალომე ამ გზისთვის: „ის გზა მკაცრი, დაუნდობელი და მზაკვრულია. ეს საშინელი გზაა“. აკი არ ინდობენ ბიჭებს, რომელთაც მათ მზაკვრობასა და დაუნდობლობაში გარკვევა სცადეს...

ატის სურვილია, სალომე და მისნაირები ნება-უნებლიედ მედროვეებად, კარიერისტებად არ ჩამოყალიბდნენ. მედროვეობა საშინელებაა. ადამიანი უნდა ემსახუროს არა დროს, არამედ ჭეშმარიტებას. წითელმა ტერორისტებმა ადამიანები ღმერთს დააშორეს და ყველანაირად ცდილობენ, გამოფიტულ, მშრალ არსებებად აქციონ. ისინი ერის შემოქმედებითი ენერგიის მოსაკვდინებლად არაფერს იშურებენ.

ერს მამული შეუგინეს, სარწმუნოების შებღალვაც სცადეს. ხალხს თავის ისტორიას (თუმცა შედარებით ახლო ისტორიაა) ართმევენ. ილია ჭავჭავაძე კი ბრძანებდა: „დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა“.

— ჭურში ვსხედვართო! — გულისტკივილით იტყვის ოზო. იგი წუხს იმის გამო, რომ რაღაც არ იცის, რაღაც საშინელს უმალავენ. მაგრამ ღვთის მადლით არიან ადამიანები, რომელთა სურვილია, მომავალმა თაობამ სიმართლე იცოდეს, უკიდურეს შემთხვევაში, სიმართლის ნაწილი მაინც...

ახალგაზრდებს განსაკუთრებით აწუხებთ სიტყვები „სამშობლოს მოღალატე“ და ამ სიტყვების შეუთავსებლობა მათთან, ვისაც ამ სახელს არქმევენ: „შეიძლება, ერთ დღეში სამშობლოს ასობით მოღალატე გამოაცხადო? ეს ხომ სიგიჟეა? შეიძლება, [illegible] და, თვლით კი არა, ვაგინებ [illegible] ასეთ ხალხი თავისი ქვეყნიდან, როგორც სამშობლოს მოღალატეები?! რატომ? რისთვის? რა უფლებით?“.

12 ქართველი სტუდენტის დაპატიმრება, 70 ქართული ოჯახის გაწირვა... საქართველოს შეეძლო თავისი შვილებისთვის ეთქვა: ნეტარნი ანუ ბედნიერები ხართ თქვენ, რომ გდევნიან, გასახლებენ და ცილს გწამებენ ჩემი სიყვარულისათვის, რადგან ბედნიერია ის, ვინც წამებულია თავისი მამულის სიყვარულისა და ერთგულების გამო.

საინტერესოა ოზოს ხილვები, რომლებიც მის ირგვლივ დატრიალებულ მოვლენებს უკავშირდება. უცნაურია, რომ ერთი და იგივე ხილვა სამჯერ მეორდება: ოზოსკენ ბნელი სივრციდან საშინელი სისწრაფით მქროლავი უზარმაზარი ხეები, თითქოს მის გადასათელად მომზადებულნი, მასთან მიახლოებისას იცელებოდნენ, ყოველი ხის წაქცევას ოზო როგორც სიკვდილს, ისე განიცდიდა და იტანჯებოდა. მომხდარისგან აფორიაქებული გრძნობს, ეს უბრალო სიზმრისეული ხილვები არ იყო. მართალია, მან ამ ხეებში ანანოს თუთის ხეები ამოიცნო, მაგრამ მათში ადამიანები იგულისხმებიან: ლუკა, ნანი, ატი, გოგი, ქალბატონი მარიამი, ანანო, საბა, სანდრო, გედეონ ომანაშვილი, ლამარა... ოზოც მათთანაა დაკავშირებული.

წარსული და აწმყო ერთმანეთშია გადაჯაჭვული, ორივე ტკივილიანია. ეს ტკივილი ათქმევინებს ბატონ ლადოს: ახალგაზრდებმა უკვე იმდენი იციან და იმდენი განუცდიათ, რამდენიც — ჩვენ. მათ თავის თვალით ნახეს და გულით განიცადეს, რა უბედური ხალხი ვართ.

ასეთივე ტკივილმა მოიცვა ლუკა, გასახლებულთა დასაგმობად მოწყობილ მიტინგს რომ დაესწრო. იგი უკიდურესობამდე მიიყვანა ამ საშინელებამ. თვითონვე შენიშნავს: „იმდენად დავეცი, რომ ვფიქრობდი, თუ ეგენი ქართველე-

ბი არიან, მე არა ვარ მეთქი ქართველი... მათი ანთებული თვალებიდან სიძულვილი იღვრებოდა, ყველაფრის წამლეკავი მძულვარება“.

მოგვიანებით ბატონი ლადო თვითონ გააცხნევებს დასევდიანებულ ოზოს: ადრე თუ გვიან ნაგუბარში წყალი ჩადგებაო.

მერე იყო ქრისტიანობის არსსა და სახარებაზე რომ ესაუბრა, ადამიანები თავისსავე ცოდვების ჭაობში ჩაიხრჩვებოდნენ, ეს ცოდვები ქრისტეს რომ არ ეტვირთაო.

ალბათ, გასაკვირი არაა ოზოს ფიქრები, შემდეგ თავადაც მკრეხელობად რომ მიაჩნია, მისთვის და მისი მეგობრებისთვის ხომ ადრე არავის აუხსნია მსგავსი რამ (თუმც, სამწუხაროდ, ბევრისთვის სარწმუნოება მხოლოდ კულტურულ მონაპოვრად დარჩა). ზაზა სანებლიძისგან მოსმენილი სიტყვებიც „ვილოცოთ მათი დაბრუნებისათვის“ (ატისა და გოგიზე რომ საუბრობენ) განსაკუთრებით ახარებს, რადგან ეს სიტყვები თანატოლისგან, მისი თაობის ადამიანისგან წარმოითქმის. ამით იგი თითქოს დაამშვიდეს და ჭრილობაზე სალბუნი დაადეს.

რაოდენობა ჭეშმარიტებას არ განსაზღვრავს. თვალზე ლიბრგადაკრული დარბაზითაც არ შეიძლება მთელ ხალხზე შეიქმნა შთაბეჭდილება: „საქართველო მარტო ის დარბაზი ხომ არ არის?!...“.

ოზო და ლუკა მარტონი არ არიან. მათ გვერდითაა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ლექტორიც. მისი მოწყენილობაცა და დაფიქრებაც არა ჰგავს კრების პრეზიდიუმში მსხდომთა მოჩვენებით საქციელს. ის კუნთმაგარი ჭაბუკიც თანაუგრძნობთ, მყვირალა ჭიჭის კინწისკვრით რომ აგდებს აუდიტორიიდან; ოზოს თანაკურსელებიც, ლექტორის უსიტყვობის მიზეზს უხმოდ რომ ხვდებიან.

ლედის მშვიდი ღიმილი, მამა, ანანოს არაჩვეულებრივი ქალობა, ლამარას დიდი და კეთილი თვალები, გოგი ხელელაშვილის ნაღვლიანი ჭეშმარიტება, ლუკას დიდი ბიჭობა, ატის [illegible] და მის მიერ ადამიანის სულში მარგალიტების აღმოჩენა, ასე ახლობლად ქცეული უცნობი საბას ხატება, გედეონ ომანაშვილის სიმართლე, ლადო ესაკიას შინაგანი სიმტკიცე, ქალბატონ მარიამის დაფარული ღვაწლი, დარეჯანის სიტყვები: თედო და ოზო ღვიძლი ძმები არიან, რა აქვთ ქვეყანაზე გასაყოფიო (სიტყვა კაცს ან იხსნის, ან დაღუპავს), ავრორას, იგივე ღიუს, თანაგრძნობა, იოთამის სიბრძნე და სიქველე, და ოზო, არჩილ სულაკაურის სხვა მოთხრობის „ძველი ამბავის“ ერთი გმირივით, „ამდიდრებენ კიდევაც ერთმანეთს“.

კარიაულის ქვრივი კი ოთარაანთ ქვრივს კი არ ჰგავს, მხოლოდ სახელი აქვს ქვრივის. თუ მამა კარიაულის წინაშე საცოდავად დგას და კაცს თავისი უმწეობის გამო შეებრალება, ბოდაველების ოჯახში ნამდვილ სახეს აჩენს.

ესაა მისი ქვრივობა, ასეთია მისი ადამიანობა?! გაჭირვებაში ჩავარდნილის დამცირება რომ ეხერხება, აკაკის „პატარა მურიას“ აგონებს კაცს, ზოგს რომ შეუყეფს, ზოგსაც — ელაქუცება. მართალია, ოზო პატარა აღარაა, საკუთარ ცხოვრებასაც წარმართავს, მაგრამ თუ ამ „ქვრივს“ ადამიანობა შერჩენია, როგორ შეუძლია გზა-შარაზე გააგდოს უდედმამოდ შთენილი ჭაბუკი (მართალია, მამა დროებითაა დაკავებული, მაგრამ, კარიაულის ქვრივის აზრით, იგი ხომ უკან ვეღარ დაბრუნდება).

წრფელი გულით მიძღვნილს უფალი აუცილებლად შეიწირავს (როგორც შეიწირა მან „ქვრივისა მის ორი წვლილი“). სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, — ნათქვამია. ანანოს ორ სანთელსაც, ლამარას საფლავზე სრულიად უცხო ხალხისგან დანთებულ სანთლებსაც შეიწირავს უფალი, ოზოსა და ზაზა სანებლიძის ლოცვასაც შეისმენს, კეთილად შეიწყნარებს მათს ყველა სათხოვარს.

გედეონ ომანაშვილსაც ხომ გამოუჩინა მესაფლავე ოზოსა და ლუკას სახით, რომელიც მოთმინებით ელოდა ამ ქვეყნიდან გასვლას. მხოლოდ ამაზე წუხდა: „ასე უზიარებლად როგორ მოგაბარო სული, უფალო. თუმცა მხოლოდ შენ, ერთადერთმა უწყი, ვით მოვიტანე ეს დაღლილი სული აქამომდე. შემინდე, რამეთუ ეს სული ცოდვებით არის დამძიმებული და დაღლილი. ჩემს ხალხს რა ცოდვაც ჩაუდენია, იმ ცოდვაში მეც მიდევს წილი, ჩემი ხალხის ცოდვა ჩემი ცოდვაც არის... შემინდე და შემიწყალე, უფალო!". პასუხისმგებლობას თავადაც კისრულობს, თავს არ ითავისუფლებს. თავმდაბლობით მლოცველ ღვთისმოშიშ მეზვერეს გვაგონებს იგი, უფალს რომ შეჰღაღადებს: ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას! უფლის შიში ადამიანის სულისაგან ყოველგვარ მზაკვრობასა და ცოდვებს აღმოფხვრის, ხოლო ვისაც ღმერთის არ ეშინია, იგი მუდამ ბოროტისგანაა ძლეული.

იმდენად ძლიერი იყო გედეონ ომანაშვილში ღვთის სიყვარული და ძორჩილება, დიდი ხნის უჭმელსა და შიმშილისგან დასუსტებულსაც არ დაუწუწუნია. მას, ალბათ, მაცხოვრის მაგალითი განამტკიცებდა, უდაბნოში რომ გამოიცდებოდა ეშმაკისაგან.

გედეონ ომანაშვილის დაპურებაც არ იყო თითქოს ერთი ჩვეულებრივი რამ. ამ დროს ოზოს სიხარული დაეუფლა, რომელსაც „თითქოს ასხივოსნებდა ზეციური მადლი, რომელიც აგრეთვე შენც გასპეტაკებდა სულიერად და გაძაღლებდა". კაცის შებრალება კეთილი და წმინდა გრძნობაა. ოზოც ხომ ის ადამიანია, თავს ბედნიერად რომ რაცხს, თუ ვინმე გაახარა და გააბედნიერა.

შეიძლება შემთხვევითი არაა, გედეონ ომანაშვილის გარდაცვალებისას „ურმულის" ჰანგები რომ გაისმის. თითქოს ერთმანეთს ემსგავსებიან კიდეც ეულად მიმავალი მეურმე და ბატონი გედეონი. გარდაცვალების წინ მან ბიჭებს ჯვრები აჩუქა. ამ მოქმედებით იგი თითქოს ოზოსა და მის თაობას ჯვრის ზიდვას ავალებს, მათ ცნობიერებაში არსებული გაუღწეველი უდაბურობის გადალახვასა და მრავალ სხვას.

ოზო შეაძრწუნა დათრგუნული მამის ხილვამ, რომელშიც გაოგნებასა და ზიზღს ბადებს უკეთურთა საკრებულო: „იმათთან ვერ გაიმარჯვებ, ვერც ღირსეულად დაეცემი: გაგათახსირებენ, დაგამდაბლებენ, სულში ჩაგაფურთხებენ, ლაფში ამოგსვრიან, არარაობად გაქცევენ, ადამიანობაზე და კაცობაზე უარს გათქმევინებენ...".

შვილთან საუბარში სანდრო აცხადებს: „საბას ეძებენ შენში ანუ ადამიანში, პიროვნებაში. მე ისე მომეჩვენა, რომ მაგათთვის მთავარი სწორედ ეგ არის, შენში იპოვნონ საბა... თითქმის ყველანი პირობითა ვართ საპატიმროდან გათავისუფლებულნი. თუ ვაღიარებთ საბას არსებობას, საკანში დაგვაბრუნებენ უმალვე".

გედეონ ომანაშვილი კი პირდაპირ ამხელთ: „თქვენ დანაშაულად მიგიჩნევიათ მისი არსებობა. მაგრამ იცოდეთ, ვერ მოისვენებთ მანამდე, სანამ ის იარსებებს... ის სულია... უკვდავი, ძარადიული!..".

თავისუფლების სული ოზოშიც ძალუმად ჩქეფს: „მეც ხომ იქა ვარ, იმათთან, ატისა და გოგისთან, მე მხოლოდ დროებით დამტოვეს გარეთ, სანამ გაიგებენ, რომ საბას არსებობა მთელი შეგნებით ვაღიარე. იქნებ მე თვითონა ვარ თეთრი ცხენი, რომელსაც გადაშენებას უპირებენ და ვერ გადააშენეს?".

ასეთია ოზო და თუ მას არ შეუძლია პირველ გაცნობისთანავე ადამიანს მეგობრულად მხარზე ხელი მოუტყაპუნოს, პური ურიგოდ აიღოს, ქუჩა უადგილო ადგილზე გადაჭრას, და მრავალი სხვა... სულაც არ აქცევს მას მოსაწყენ და მოსაბეზრებელ ადამიანად, პირიქით.

მაგრამ თუ ვინმე იტყვის, ასე შეიძლება ნებისმიერი ადამიანი მოიქცეს ერთი შეხედვით ვითომ ძალიან მარტივი და უმნიშვნელო შემთხვევების დროს, ბევრი ვერ ამოქმედებს მასავით გაცილე-

ბით რთული და მძიმე ჟამის დადგომისას.

ოზო ამპარტავანი არაა და ის კეთილშობილი ნაბიჯები, რომელთაც ხშირად დგამს, განსაკუთრებულად სულაც არ ეჩვენება. რისი გაკეთებაც შემეძლო, ის მცოდნოდა, კარგი იქნებოდაო, — აღნიშნავს იგი.

მას ილოს ობლებისთვის თანაგრძნობის გაწევა შეუძლია და ამისთვის ზურგს უკან გამქირდავად მოქილიკე დურმიშხან წილოსანს არ ეპუება, იგი ატი შელიასა და გოგი ზედელაშვილის მეგობარია და საშვიდნოემბრო დემონსტრაციისთვის „წვრთნა“ გულს ურევს, მერე მოჯადოებულ წრეს გაარღვევს და სხვა გზით მიეშურება. ასეთივე განცდა ეუფლება, როცა უნივერსიტეტის საქმეთა დარბაზში კომკავშირის კომიტეტის მესვეურნი ატისა და გოგის მიწასთან გასასწორებლად მოწყობილ კრებასა თუ მიტინგს მართავენ, სულშეძრული გაარღვევს რიგს და ჭიჭი დავითაიას ნამდვილ სახელს დაარქმევს (ამით ხომ იგი ყველა მათ აუმხედრდა), მას შეუძლია, გარეგნულად უმნიშვნელო, უმწიფარი გოგონას სახეზე დიდი და ნისლიანი თვალები შენიშნოს და ამ თვალების გამო აუდიტორიაში დარჩეს (თვალები ხომ სულის სარკეა), შეუძლია, ლუკასთან ერთად ნისლაურაში ავიდეს, გედეონ ომანაშვილი გაიცნოს და დაუმეგობრდეს, ზაზა სანებლიძის ნაბიჯი მოიწონოს და მის წინაშე ქედი მოიხაროს. ოზო ის კაცია, რომლის მსგავსზეც ქალბატონი მარიამი იტყვის: „კაცს უნდა შეეძლოს გზიდან მობრუნება, არ უნდა დაეწანოს გავლილი მანძილი და ამ გზის მონაკვეთისათვის დახარჯული დრო და ენერგია“. ოზოს შეუძლია, ქალბატონ მარიამის ბიბლიოთეკას ჩაუჯდეს, დაღლილობისას მთაწმინდას ან მტკვარს უცქიროს, სხვა დროს მეგობრებთან ერთად თბილისის ქუჩებში იხეტიალოს და ამით იარსებოს.

თბილისი ოზოსთვის ცოცხალი არსებაა და არა განყენებული, აბსტრაქტული რამ. როცა მას თბილისისგან შორს უხდება ყოფნა, ეჩვენება, რომ სამშობლოდან კი არ მიჰყავთ, მის „თავგულს“ ამოთ გლეჯენ და სხვაგან მოისვრიან. მტკვარიც განსხვავებულად უყვარს, მისი იდუმალი შრიალიც (სტუმრებისთვის წვიმის ხმას მიმსგავსებული) თრთოლვით ავსებს და სიმშვიდეს ანიჭებს.

თავს ისევ ცრემლი და ტკივილი გვახსენებს. თხზულებაში ოზოს თვალზე ცრემლს რამდენჯერმე შევნიშნავთ, ერთხელ წყლის ჩქერში დანთქმული წიგნის ფურცლები რომ ნახა, ატირდა.

ლამარას დაკრძალვის დღესაც აცრემლდა ოზო, მაგრამ ეს იმ პირველ ცრემლს არ ჰგავს. ეს იყო ცრემლი იმის გამო, რომ სულ არ დავცემულვართ, არ დავკნინებულვართ, ჯერ კიდევ ვარსებობთ და იმედით ვსულდგმულობთ.

იმ დღეს ოზომ სიკვდილის სიდიადეც იგრძნო და ქვეყანაზე მარტო რომ არ დარჩენილა ისიც. ქუჩაში ლამარას გასაცილებლად გამოფენილი ხალხი ხომ ატისა და გოგის ამოუდგა მხარში, რადგან ნამდვილი ჭირისუფლები ატი შელია, გოგი ზედელაშვილი და მათთან ერთად აყვანილი ბიჭები იყვნენ.

ლამარას გასაცილებლად გამოფენილმა ხალხმა დაჩრდილა ის გაუგებარი ზნეობრივი სიმხდალე, ოზოს გონებას რომ უმღვრევდა და აძაბუნებდა. თავიდან მომაკვდავს კეთროვანივით არავინ ეკარებოდა, მაგრამ შემდეგ მის კუბოს ნამდვილ ჭირისუფლად ჯერ თანამგრძნობი მზერით გამცილებელი, მერე ამ კუბოს ამწევი და გამყოლი მრავალი ადამიანი გამოუჩნდა.

ზოგჯერ გრძნობის, განცდის გადმოსაცემად სიტყვა უძლურია. მაგრამ სული ამ დროს მადლით ივსება და გულიც სიყვარულით ფეთქავს. ოზოს უყვარს სივრცეში აღმართული ძლიერი და მაგარი ხელები, როგორც მიწის უკვდავი სულიდან ამოზრდილი ტოტები, რომელზეც პაწაწინა იმედივით ესვენა ლამარა და მარადისობისკენ მიემართებოდა.

ლამარას უყვარს მამა , როგორც მშობელი, მაგრამ ეჯავრება მისი საქმიანობა. მას ადამიანები კი არ სძულს, არამედ ცოდვა, უსამართლობა და ბოროტება სძაგს, ანუ საქმე, რომელსაც მამამისი და მისთანები ემსახურებიან.

და ბოლოს, ოზოს ბავშვობა გვახსენდება, კერ კიდევ პატარაზე შეგიძლია თქვა, რომ იგი უკვე დამოუკიდებელი პიროვნებაა, რომელსაც აღიზიანებს თანასოფლელთაგან მინიჭებული „ქალაქელი ბალღის“ დაუმსახურებელი უპირატესობა. მან იცის, რომ ისიც ადამიანია მათსავით და ქალაქელობა-სოფლელობა არაფერ შუაშია. არსებითია, რომ ოზო არ თვალთმაქცობს და მიუხედავად მის მიმართ გამოჩენილი ზედმეტი ყურადღებისა და სიბრალულისა, რომელიც დაბრალებული ობლობის შედეგია ალბათ, გამორჩეულობის გრძნობით არ იმსჭვალება. ანანოც ხომ თავისი საქციელით ამ აზრის ჭეშმარიტებას უდასტურებს ძმიშვილს.

მერე სახლიდან გაქცეულ ჭაბუკს ვხედავთ, სოფლის კიდეს რომ არ მიყვება, ნახნავებში გადის, სიარულიც უჭირს, ზოგჯერ ეცემა კიდეც და წამოდგომაც უძნელდება, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიწევს წინ. მერე დაღლილი ნახნავებში შემოსვლას ცოტა სულელობად ჩათვლის, მაგრამ ხომ არც შემდგომში ივლის სხვების გაკვალული გზებით, თითქოს ეს გადახნული მიწა და მის ბელტებს ჯიუტად შეჭიდებული ოზო წინასახეა წინააღმდეგობებით აღსავსე მისი დაუდგრომელი ცხოვრებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ტრაპაიძე

ბიბლიური სახეები არჩილის ლექსში „სამიჯნურონი“

მეფე-პოეტის არჩილის შემოქმედებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შუა საუკუნეების კულტურული ტრადიციები. ამის დასტური, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიის უდიდესი გავლენაა, რაც მის ყოველ ნაწარმოებში იგრძნობა. შუა საუკუნეების კულტურის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ასევე სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება. იგი ყველაზე კარგად გამოხატავს ამ საუკუნეთა ესთეტიკურ არსს. ასეთი აზროვნება ოდითგანვე იყო დამახასიათებელი კაცთა მოდგმისათვის, მაგრამ ქრისტიანულ კულტურაში მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. „ალეგორია ბიბლიაში არის პოეტური თხრობა, რომელიც ლაპარაკობს ერთზე, ხოლო გულისხმობს სხვა, დაფარულ აზრს, რომელიც უფრო სულიერ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს რომელიმე უმაღლესი ჭეშმარიტების ილუსტრირებას, ხაზგასმას“ (ებრაული ენციკლოპედია, ტომი I, კაცნელსონისა და გინცბურგის რედაქციით. სანკტ-პეტერბურგი, 1896, გვ. 296).

ძველი ქართული მწერლობა დიდ ინტერესს იჩენს სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების მიმართ („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „აბოს წამება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და სხვა). აღორძინების ხანაში კი სიყვარულის ალეგორიულ-მისტიკური გააზრება უკვე სისტემადაა ქცეული. მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკში“ ეს თეორია სახელმძღვანელო პრინციპია: „...ესე სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს, რადგან ამდენი კარგიცა და ავიც გამოვა, მაშ, მართებს კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს. თუ სააშიკო ლექსი უნდა ღმრთის სააშიკო, ეკლესიისა წმიდათა (ამბავი გალექსოსო)“ (მამუკა ბარათაშვილი, „ჭაშნიკი“, ციტატა მოტანილია ს. ცაიშვილის წიგნიდან „წერილები და გამოკვლევები“, 2, „თბილისი“, გვ. 355). კ. კეკელიძე წერს: „მწერალი მუხლს იყრის მომხიბლავი ქალის წარმტაცი სილამაზის წინაშე, აგვიწერს მის მშვენიერებას და თავის უსაზღვრო ტრფიალს მისდამი. ნამდვილად ასეთ შემთხვევაში რეალურ ქალთან, კონკრეტულ პიროვნებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ღვთაებასთან...“ (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, გვ. 143). ასეთი ხერხი გამოყენებულია თეიმურაზ პირველთან, ვახტანგ VI-ის პოეზიაში (გავიხსენოთ, რომ ვახტანგს რუსთველის დიდ ღირსებად მიაჩნდა საერო ფორმით საღვთო მოძღვრების გადმოცემა).

არჩილს თეიმურაზის „მაჯამის“ გავლენით შექმნილი აქვს სამიჯნურო-სატრფიალო ნაწარმოები „სამიჯნურონი“, რომელიც ასტრახანში „მოწყენით მყოფს“ დაუწერია. თხზულება ასე იწყება:

„სამიჯნურო ლექსებიც სამ აგერ ქვემო
ჩამიგდია,
ზოგთ მიჯნურთა საქმე კარგი
მამწონს, ზოგი ამიგდია,

ცოტა რამ ვთქვა, სრულ უთქმელი
ვითამ არც ეს დამიგდია,
ჰე, მიჯნურნო, სამიჯნურო ყური ამას
მოუგდია!
სამიჯნურო ლექსებსა კარგად
მოგვითხრობს „მაჯამა“,
ვნახე მიჯნური ფარული,
შემატყობინა მაჯამა;
მეც ამიყოლა ტირილმან, ეგზომმან
მათმან გარჯამა,
შეწყალება და გვერთ ხლება ვერ
პოვა ჩემმა აჯამა“

ან სიცოცხლე, ან სიკვდილი ერთის
ვინ გაგვიჩინე!
ერთხელ აქეთ მოიხედე, — სულ-მობრძავი
მოგვარჩინე.
ლხინად ვიჯექ, სევდა რამე
შემომვარდა გულსა მურად,
ვნახე ალვა მოარული უცხო რამ,..
არ შინაურად,
თქვეს, თუ „არის ზეციერი, ნუ გგონია
მანდაურად“,
ამიყოლა ველად გაჭრად, ვით გიამბო
აბა თუ რად?“
(გვ. 129).

(არჩილიანი, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1936 წ., გვ. 127 (შემდგომში ყველგან მითითებული იქნება ამ გამოცემის მიხედვით).

შემდეგ პოეტი აღწერს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი მიჯნურობა, მიჯნურის სულიერი განცდა. მისი აზრით, ჭეშმარიტი მიჯნურობა „ჯარით“ და „ძალის საქმით“ არ მოიპოვება, არამედ „საძებარია მარტოთაგან“, სიყვარული გარდაუვალად თანმხლები გრძნობაა. იგი უკითხავად ესტუმრება ადამიანს და ბატონობს მის არსებაზე. ნამდვილი სიყვარულის შეგრძნებით გამოწვეულ ბედნიერებას ვერაფერი შეედრება. „ნეტაი იმას, ვის ჰქონდეს ეს სიძე-სძლობა, მაყრობა“, — ამბობს პოეტი. ეს სტრიქონები სახარებისეული ათი ქალწულის იგავის პოეტური გამოძახილია, სადაც „სიძე“ თავად მაცხოვარია, „სძალი“ — ეკლესია. შესავალშივე პოეტი „ფარულ მიჯნურს“ ახსენებს. „სამიჯნურონის“ შინაარსიდან ნათელი ხდება, რომ არჩილი აქ საღვთო მიჯნურობაზე საუბრობს და კონკრეტული ქალის სილამაზის მიღმა მისტიური სატრფოს სახე ჩანს.

ღვთიურობის განცდა განსაკუთრებით იკვეთება შემდეგ სტრიქონებში:

„მოახსენეს: „მზეო, შუქი მხიარულმან
მოაფინე
ვინ გაწყინა, წამწამთაგან სტყორცე,
გულსა დააჩინე;

ცხადია, ამ სიტყვებში იგულისხმება ქრისტე, რომელსაც ხელეწიფება სიკვდილისა თუ მარადიული სიცოცხლის გზის განსაზღვრა, „სულთ-მობრძავის მორჩენა“. შუა საუკუნეებში სიმბოლო, მეტაფორა თუ სხვა პოეტური ფორმა არამც და არამც არ არის სამკაული; ის საგნის მარადიული, სულიერი არსის გამომხატველია, ზედროული, იდეალური ნიშანია და ზოგჯერ ფორმულის სახესაც იღებს. პოეტური ფორმები უმეტესწილად განსაზღვრულია. არჩილიც ხშირად იყენებს ასეთ სახე-სიმბოლოებს, რომლებიც, ასე ვთქვათ, ნათესაურ მიმართებაშია ქართველი სასულიერო ავტორების ნააზრევთან, წყარო კი — ბიბლიაა. „რადგან მზე და ფარია უფალი ღმერთი, მადლსა და ღირსებას მისცემს უფალი, სიკეთეს არ მოაკლებს უბიწოდ მოსიარულეთ“ (ფსალმ. 83, 12). „და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზეი, ხოლო სამოსელი მისი სპეტაკ იყო, ვითარცა თოვლი“ (მათე 17, 2). მიქაელ მოდრეკილი ასე ამკობს ღმერთს: „ხატი უხილავი ღვთისა უხილავისა და ბრწყინვალეება დიდებისა მამისა საფლავით აღმობრწყინდი მზე იგი სიმართლისა“ (პავლე ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, I, 1913, გვ. 59).

ერთგან პოეტი ამბობს:

„კაცი თუ ეშხმან შეიპყრას, მიმოწმეთ,
არის წამება,
მას დააჯერებს გუნებას, არ ცრუობს,
არ იწამება;

სურის, რომ პოოს ნიშანი, მაგრამ მზე
არ იწამება,
მისის ეშხისა თოკებსა შავს ვხედავ,
არ ი წამ ება?“ (გვ. 129).

ვფიქრობთ, „მზე არ იწამებაში“ არჩილი გულისხმობს ღვთის მიუწვდომლობას, მისი ბუნების შეუცნობლობას ადამიანური გონების შესაძლებლობათა დასაზღვრულობის გამო. აქ იგი ფსევდოდიონისე არეოპაგელს ემყარება, რომლის სწავლებითაც ღმერთი მიუწვდომელი, შეუღწეველი ნათელია, რომლის ხილვა ჩვეულებრივ თვალს არ ძალუძს.

მზის მხატვრულ სახეს ლექსში სხვადასხვა ფუნქცია აქვს: მზე — ხატი ღვთისა („მისნი ტრფიალნი მუნ მზემან არ ერთხელ, ბევრჯერ აწამის“, „მოახსენეს, მზეო შუქი მხიარულმან მოაფინე“, „სურის, რომ პოოს ნიშანი, მაგრამ მზე არ იწამება“) და მატერიალურად არსებული მზე, რომელთაც შედარებულია ქების ობიექტი („ვნახე ედემს ალვა რგული, რომე მზეებრ შუქსა შუქდა“, „მზე ღრუბლით ველარ გამოჩნდა, მას აქვსო ზესთა ზესობა“; „მზემან შუქი მას მიართო...“ და სხვა).

საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ქრისტეს სიმბოლურ სახელადაა მიჩნეული უკვდავების წყარო. ამ პოეტურ ფორმას არჩილი ერთგან იყენებს: „ვინ სანდომია ყოველთათვინ უკვდავებისა წყარო ვით“ (129).

ყვავილი უძველესი პოეტური სახეა. ქართული სასულიერო პოეზიისათვის ეს სახე კარგადაა ცნობილი. „განეღო დღეს ბეთლემს სამოთხე, მოვედით, გემო ვიხილოთ ხისა ცნობადისა, რომელ არს ქრისტე, საღმრთოი იგი ყუავილი, რომლისგანცა სიტკბოვება იწნიხა საიდუმლოი, განმწმენდელი სულთა ჩუენთა“ (იოანე მტბევარი). იოვანე საბანისძე ყვავილის სიმბოლოს ასე ხსნის: „ყუავილ[illegible] ... ძირისაგან იესეისა ყუ[illegible] ეკლესიასა წმიდისა მარიამისაგან ქალწულისა ხორციელად, ხოლო სულნელებითა მით ღმრთეებითა სული იგი მადლისა მოჰფინა ჩუენ ზედა“ (იოვანე საბანისძე, აბოს წამება, ქართული მწერლობა, I, თბილისი, 1987, გვ. 448). ყვავილი — მაცხოვრის სიმბოლო, აბრაამის, იესესა, დავითის საგვარეულოში მის „აღმოცენებას“ განასახიერებს.

თეოლოგიურ ლიტერატურაში მოცემულია საღმრთო სახელები, რომლებიც ღმერთს წარმოადგენენ კატაფატიკურად და აპოფატიკურად. კერძოდ, დიონისე არეოპაგელის მიერ ჩამოთვლილ საღმრთო სახელებში არის ვარსკვლავი (მთიები), რომელსაც რამდენჯერმე ვხვდებით არჩილთან. მასაც, ისევე როგორც მზეს, ორგვარი ფუნქცია აქვს:

1) ვარსკვლავი (მთიები) — ღვთაების სიმბოლო („ლილის მთიებსა უღრუბლოდ პირსა ნათელი მოესო“... „ლილის ნიავმა მახარა ამოსვლა მუნ მთიებისა“...).

2) მატერიალურად არსებული ვარსკვლავი, რომელთანაც შედარებულია ქების ობიექტი — ღვთაება („მას მთიები განთიადის დაენასა, დაეჩაგრა...“).

პოეტი თავის ქების ობიექტს „მარგალიტთა მეპატრონეს“ უწოდებს. ეს შედარება გამოძახილია სახარების იმ ადგილისა, სადაც მაცხოვარი მარგალიტს ადარებს ცათა სასუფეველს, რომლისთვისაც ადამიანმა ყველაფერი უნდა დათმოს და გასცეს. მარგალიტი თვით ქრისტეს სიმბოლოცაა, მაგრამ აქ პირველი მნიშვნელობით არის გამოყენებული.

ასეთი მრავლისმთქმელია „სამიჯნურონის“ შინაარსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ვადაჭკორია

თბილისი საუკუნეთა ორომტრიალში

შოთა ვადაჭკორიას 70 წელი შეუსრულდა, ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ულოცავს მწერალს ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულებში ამიერკავკასიის გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებს ცხოველი კავშირურთიერთობა ჰქონდათ ევროპაში დასახლებულ ხალხებთან. ხდებოდა ტექნიკურ, მატერიალურ და კულტურულ მონაპოვართა გაზიარება.

ძვ. წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში ქართველი ტომებით დასახლებულ მიწა-წყალზე, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე მდინარე მტკვრის აყოლებით და შემდგომ რიონ-ყვირილას ნაპირებზე, გადიოდა სავაჭრო მაგისტრალი, რომლითაც ჩინეთის სახელგანთქმული აბრეშუმი და სხვა საქონელი ძველ რომამდე აღწევდა.

ჩვენამდე მოღწეულია რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის რუკა, რომლის მიხედვითაც დიდი საქარავნო გზა ძველი სომხეთის დედაქალაქ არტაშატიდან ჩრდილოეთით — ქართლისაკენ მოემართებოდა. დღევანდელ ყაზახთან მას ერთი ტოტი გამოეყოფოდა, რომელიც ალბანეთის დედაქალაქ კაბალამდე მიდიოდა, აქედან მკვეთრად უხვევდა დასავლეთით — ქართლისაკენ და დღევანდელი თბილისის მიდამოებში ისევ ძირითად საქარავნო გზას უერთდებოდა, გადიოდა მცხეთაზე, მთელს ქართლზე, ხოლო საბოლოოდ ფაზისს (დღევანდელ ფოთს) სწვდებოდა. აქედან როგორც ზღვით, ასევე ხმელეთით დიდი სატრანზიტო გზა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს აღწევდა.

თბილისის მიწა ამ დიდი ურთიერთობის მრავალ საბუთს ინახავს.

არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ ჩვენი დედაქალაქის დღევანდელ ტერიტორიაზე ადამიანი ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან, ე. ი. ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულიდან, სახლობდა დიღომში, დიდუბეში, თბილისი-რუსთავის გზაზე, ნავთლუღში, ვაკეში და სხვაგან.

დიდუბის არქეოლოგიურმა გათხრებმა აღმოაჩინა იმ დროის თიხის ჭურჭელი, ძაფის სართავი და ქსოვის საშუალებანი, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ნადირობის, მეთევზეობის იარაღები. შუა ბრინჯაოს ხანიდან მოღწეულია საბრძოლო ცული (დაცულია სახელმწიფო მუზეუმში).

გვიანდელი ბრინჯაოს ხანისაა შავპრიალა კერამიკა, საბრძოლო იარაღი, სამკაულები.

ნავთლუღში, მტკვარსა და ორხევს

იბეჭდება შემოკლებით.

შორის ნაპოვნია ბრინჯაოს ხანის საბრძოლო იარაღი, სამკაულები, ჭურჭელი.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის ბოლოს, IV-III საუკუნეებს მიეკუთვნება ძველი ბერძნული მონეტა (ნაპოვნია დიდუბეში), ხოლო III-II საუკუნეებს — ბაქტრიული (შუა-აზიური) მონეტა, რომელიც თბილისის დღევანდელ ცენტრში აღმოაჩინეს მიკვლეულია აგრეთვე რომაული, სირიული, ბოსფორული და სხვა ქვეყნების მონეტები.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ თბილისის ტერიტორიის უძველესი დასახლებანი და, რა თქმა უნდა, საქართველოს მაშინდელი დედაქალაქი მცხეთა, იმდროინდელი მსოფლიოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზების არეალში იყო მოქცეული.

თბილისში დასახლება ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებიდან ჩნდება, მის დედაქალაქად ქცევას სხვადასხვა ლეგენდა უძღვის წინ: მეფე ვახტანგ გორგასალმა (V საუკუნე) ნადირობის დროს უცბად აფრენილ ხოხობს დაგეშილი მიმინო დაადევნა. მიმინო ხოხობს მაშინ დაეცხრა, როცა ის ოხშივარადენილ ნაკადულს გაუსწორდა. მსხვერპლი და მდევარი წყალში ჩაცვივდნენ და იქიდან ვეღარ ამოაღწიეს. გაოცებულ მეფეს მდუღარე წყალში გათუთქული ფრინველები მოართვეს. ეს ნაკადული გოგირდის ცხელი წყალი აღმოჩნდა, რომელიც დღესაც გადმოსჩქეფს თაბორის ქედის ჩრდილოეთი კალთის ძირში კლდეებიდან და ზედ სახელგანთქმული სამკურნალო აბანოებია გამართული.

სხვა ლეგენდით, ქართველ მეფეს შველი დაუჭრია. დაჭრილი ნადირი ორთქლიან წყალში შევარდნილა, იქ ჭრილობა უცბად გამრთელებია და ტყეში გაუჩინარებულა.

მეფის ბრძანებით, ტყე გაუჩეხავთ და იმ ადგილას ქალაქი გაუშენებიათ.

თბილისის წარმოშობაც და მისი სახელწოდებაც (ტფილი-ტფილისი) გოგირდის თბილ წყლებს უკავშირდება: მართლაც, პირველი უბანი, რომელმაც დედაქალაქის არსებობას საფუძველი დაუდო, ამ წყლების მიდამოებში გაჩენილა. იგი დღევანდელი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. აქ დიდი საქარავნო გზა გადიოდა, რომელიც თბილისს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთის იმპერიებთან აკავშირებდა. აქ დაირწა ჩვენი დედაქალაქის აკვანი, აქ აძგერდა თბილისის გული (XVII საუკუნეში, როცა ამ უბანში სპარსული ტომის სეიდების ნაწილი დაასახლეს, მას სეიდაბადს უწოდებდნენ, ხოლო XVII-XIX საუკუნეებში ხარფუხი ერქვა). თავიდანვე კი კრწანისის ველის აქეთ და თაბორის მთის ძირს შორის მდებარე დასახლებას ტფილის-ქალაქს ეძახდნენ.

თბილისის ადგილმდებარეობა ერთობ ხელსაყრელი აღმოჩნდა მთელს ამიერკავკასიაში. მალე მან მეტოქეობა გაუწია იმდროინდელ სახელგანთქმულ ქალაქებს, კერძოდ, სომხეთის ახალ დედაქალაქ დვინს, რომელიც „დიდი აბრეშუმის გზის", ჩინეთ-ინდოეთისა და ევროპის სავაჭრო-სატრანზიტო ტრასის გზაშესაყარზე მდებარეობდა.

ვახტანგ გორგასლის ანდერძის თანახმად, მისმა მემკვიდრე დაჩიმ (VI ს. დამდეგი) ქართლის დედაქალაქად მცხეთის ნაცვლად თბილისი გახადა. VI-VII საუკუნეებში თბილისი ხდება არა მარტო ქართლის, არამედ იმდროინდელი მეზობელი ქვეყნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, ქრისტიანობის ციტადელი ახლო აღმოსავლეთის ავანპოსტზე. სწორედ ამ პერიოდში აიგო ზარისა და სიონის ეკლესიები. აღმოჩენილია ამავე პერიოდის ბიზანტიურ-სასანური მონეტების განძი. თავად თბილისშიც იჭრებოდა ქართული ვერცხლის მონეტები.

თბილისი იზრდებოდა. ჯერ კიდევ ადრე, მის დასაცავად თაბორის მთაზე მრისხანე ციხე წამოიმართა. იგი თაბორის ქედის ბოლოს მდებარეობდა, დღევანდელი ბოტანიკური ბაღის თავზე და სამხრეთიდან თბილისში მომავალ გზას დარაჯობდა. ციხის შიგნით ეკლესიაც იდგა. IV საუკუნეში ცნობილი იყო აგრეთვე

თბილისის ციხეც, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მცირე ხნის წინ „კომკავშირის ხეივნად“ წოდებული კლდოვანი მასივის აღმოსავლეთის გაგრძელებაზე მდებარეობდა. თავდაპირველად ამ ციხეს კალის ციხე ეწოდებოდა, შემდეგ — შურისციხე, უფრო გვიან — თბილისის ციხე და ბოლოს — ნარიყალა. საინტერესოა, რომ ამ ადგილებში დასახლება ძველი წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეებამდეც ყოფილა: აღმოჩენილია ბრინჯაოს სატევარი. ეს ციხე თბილისის დაცვის ძირითადი ბურჯი იყო. იგი ჩვენამდე მოღწეულია VIII, XII და XVII საუკუნეების ნაგებობათა სახით. XVII საუკუნის შუახანამდე აქ იყო სამეფო სასახლე, ეკლესია და აბანოები.

კალა თბილისის ახალ უბანსაც ეწოდებოდა, რომელიც მტკვრის აღმა გაშენდა, მისი შენაკადის — წავკისის წყლის (ლეღვთახევის) მარცხენა მხარეს, ჩრდილოდასავლეთით, ახლანდელი დადიანის ქუჩის, თავისუფლების მოედნის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩების საზღვრებში —მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე.

თბილისმა ამ დროისათვის მტკვარს გაღმაც გააბიჯა, მის მარცხენა ნაპირზე, იმ ადგილას, სადაც, აბანოების უბანთან, მდინარე ვიწრო კლდოვანი არტახებით იყო შეკრული და ზედ ხიდი ჰქონდა გადებული. გაღმა მხარეს მეტეხი ერქვა. იგი მტკვრის მარცხენა ნაპირას აღმართული კლდის მიმდებარე მიდამოებში გაშენდა.

ჯერ ვახტანგ გორგასალმა, შემდეგ კი მისმა ძემ დაჩიმ ქალაქი მრავალი ახალი შენობით გაამდიდრეს. დაჩიმ კალაში სამეფო სასახლე ააგო, იქვე იყო ეკლესია, რომელსაც შემდეგ, XVII საუკუნეში, ანჩისხატი ეწოდა, იმის გამო, რომ სამხრეთ საქართველოდან, ანჩიდან აქ ბექა ოპიზარის მიერ XII საუკუნეში მოჭედილი მაცხოვრის ხატი გადმოასვენეს. ვარაუდობენ, რომ ეს იგივე ზარის ეკლესიაა, ან მარიამ წმიდათა ეკლესია, რომელიც დაჩის მეფობის დროს აიგო და რომლის ისტორიაც აგებიდან XVII საუკუნემდე სრულიად უცნობია.

თბილისი იზრდებოდა, მშვენდებოდა, მდიდრდებოდა და სულ ერთბაშად იპყრობდა მტაცებელი დიდი ქვეყნების ყურადღებას. თავდაპირველად ის სპარსელთა ექსპანსიის მსხვერპლი გახდა (570 წელს), შემდგომ — ბიზანტიისა (626 წ.). მისი დაპყრობა ამიერკავკასიაში ბატონობის მოპოვების ტოლფასი იყო. მალე ამ ბრძოლაში არაბთა მომძლავრებული სახალიფო ჩაება, რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და ბიზანტიასაც დაუპირისპირდა. VII საუკუნის შუა წლებში არაბები თბილისს მოადგნენ, მაგრამ ქართლის ერისთავის სტეფანოზის მოქნილი დიპლომატიური მანევრების მეოხებით დედაქალაქი სისხლისღვრასა და დანგრევას გადაურჩა, რაც ოციოდე წლის წინ განიცადა ბიზანტიელ-ხაზართა შემოსევის შედეგად. მეტიც, მთელმა ქართლმა და თბილისმაც „დაცვის სიგელი“ მიიღო არაბთაგან. მაგრამ VII საუკუნის 80-იან წლებში არაბები კვლავ შემოიჭრნენ ქართლსა და თბილისში. მოსახლეობას მძიმე ხარკი დაადეს.

ამის მიუხედავად თბილისი კვლავ რჩებოდა ანტიისლამური ბრძოლის, ქრისტიანობის შენარჩუნების, დამპყრობელთა განდევნისათვის მოძრაობის ცენტრად. აჯანყებას აჯანყება მოსდევდა (686, 728-30, 735, 853, 914 წლებში), რასაც მოჰყვებოდა თბილისსა და ქართლში არაბთა დამსჯელი შემოსევები ჯარაჰისა, მურვან ყრუსი, ბუღა თურქისა, აბულ-კასიმისა. თბილისი რამდენჯერმე დაანგრიეს და გადაწვეს, ქართული ხელისუფლება გააუქმეს, შექმნეს თბილისის საამირო. არაბები ოთხი საუკუნის მანძილზე ჯიჯგნიდნენ ქართველ ხალხს და თბილისს.

არაბთა ბატონობის მძიმე წლებში თბილისში დაიწერა ბრწყინვალე ანტიმაჰმადიანური და ანტიარაბული თხზულება იოანე საბანიძისა „აბო თბილელის წამება“, რომელიც საქართველოში ჩამოსული და გაქრისტიანებული არაბი ჭაბუკის მოწამეობრივ ცხოვრებას ასახავდა და იმდროინდელ ქართველობას ეროვნული სიამაყის გრძნობით მუხტავდა. VII საუკუნეში დაწერილი ეს თხზულება, ისევე

როგორც ადრე, VI საუკუნეში სპარსელთა ბატონობის პერიოდში შექმნილი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ მძლავრი ქართული იდეოლოგიის გადმოცემასთან ერთად ხატოვნად აღწერს თბილისის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებას და მის შესახებ გეოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის.

მეტეხის უბანს, ანუ დღევანდელი ავლაბრის ტერიტორიას, სადაც არაბებმა საპყრობილე გამართეს და იქაურ დასახლებას სოღდებილი უწოდეს, ქალაქის დამცველი გალავანი და მის მიღმა ძნელად გადასალახავი თხრილები ერტყა. აქვე იყო აგებული ციხე-სიმაგრე, რომელსაც დამპყრობლები „ჰისნის“ უწოდებდნენ. აქედან წარმოიშვა უბნის ახალი სახელწოდება („ჰისნი“ — ისანი), რაც არაბულად ციხე-სიმაგრეს ნიშნავს.

ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად არაბთა ბატონობა თანდათანობით სულს ღაფავდა. XI საუკუნიდან თბილისის ამირა, ფაქტობრივად, ქართველი მეფის ვასალად იქცა. ოთხსაუკუნოვანი ჩაგვრისა და რბევის მიუხედავად თბილისი კვლავ რჩებოდა ამიერკავკასიის რჩეულ და უმდიდრეს ქალაქად, ანტიისლამური ბრძოლის ტონის მიმცემად, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის გზაშესაყარი გახდა. ამას ადასტურებს არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი მდიდარი განძიც, რომელიც X საუკუნეში მოჭრილი ისლამური არაბეთისა და ქრისტიანული ბიზანტიის მონეტებს აერთიანებს, და ის ფაქტიც, რომ თბილისში მოჭრილი მონეტები მრავალ შორეულ ქვეყანაში, მათ შორის, შვეციასა და რუსეთშიც ტრიალებდა.

ამ დროისათვის მთელ თბილისს ორი გალავანი ჰქონდა შემოვლებული და რამდენიმე ციხე-სიმაგრე ედგა. მისი უბნები — საკუთრივ თბილისი ანუ აბანოთუბანი, კალა და მეტეხისუბანი ანუ ისანი, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა და მტკიცე, ბურჯებიანი ხიდით უკავშირდებოდა ქალაქის ძირითად მხარეს, მდინარის აღმა ვითარდებოდა და მშვენდებოდა. მისი გოგირდის აბანოები მთელს ახლო აღმოსავლეთში იყო ხახელგანთქმული.

1045 წელს თბილისს ამირა უკვე აღარ მართავდა. შეიქმნა ქალაქის წარჩინებული წარმომადგენლების, ე. წ. თბილელი ბერების თვითმმართველობა, რომელსაც ხან ქალაქში შემოჭრილი ქართლის მეფე ბაგრატ IV ცვლიდა, ხან კახეთის მეფე აღსართან I, ხანაც ამ დროისათვის მოძლიერებული ახალი მტერი თურქ-სელჩუკთა სულთანი.

თბილელი ბერები დედაქალაქს 1122 წლამდე მართავდნენ. მისი განთავისუფლებისა და საქართველოსათვის დაბრუნების ბრძოლა მეფე ბაგრატ IV-ს ჰქონდა დაწყებული. ის რამდენიმეჯერ შემოვიდა კიდევაც თბილისში, მაგრამ მსხვილ ფეოდალთა და თვით ქალაქის მმართველთა განკერძოებულობამ, პარტიკულარიზმმა და თვითნებობამ მისი შემომტკიცების საშუალება არ მისცა. ბაგრატ IV-ის ბრძოლა თბილისის განთავისუფლებისათვის მეფე დავით IV აღმაშენებელმა გააგრძელა, რომელმაც მსხვილ ფეოდალთა თვითნებობა ალაგმა, საქართველო გააერთიანა და თურქ-სელჩუკობას ჩვენი მიწა-წყლიდან ფეხი ამოაკვეთინა. ჯერი თბილისზე მიდგა.

მეფემ თბილელ ბერებს ზედამხედველად თავისი მოხელე დაუნიშნა, ხოლო ქალაქის თვითმმართველობას, რომელიც დიდვაჭარ-ხელოსანთა უმაღლეს წარმომადგენელთაგან შედგებოდა, ყოველწლიურად ათიათასი დინარის გადასახადი დააკისრა სრულიად საქართველოს სამეფოს სასარგებლოდ. თბილელმა ბერებმა საჩივრით თურქ-სელჩუკთა სულთანს მიმართეს, ამ უკანასკნელმა კი (მაჰმუდ მოჰამედის ძემ), რომელიც სახუმროდ არ იყო შეშფოთებული საქართველოს მოძლიერებით, ეს გარემოება ომის საბაბად გამოიყენა. სულთანმა მუსულმანური სახელმწიფოების დიდი კოალიცია შექმნა და იმ დროს სახელგანთქმული სარდლის ილ-ღაზის მეთაურობით 400 ათასამდე მეომრისაგან შემდგარი ჯარი გამოაგზავნა თბილისისაკენ. დიდგორის ველზე მომხდურებს და-

ვით აღმაშენებელი 60-ათასიანი ლაშქრით დახვდა. 1121 წლის 12 აგვისტოს საქართველოს მეფემ მტერი ბრწყინვალე სამხედრო ტაქტიკითა და სტრატეგიით დაჯაბნა, ჯერ ჯიქურ შეება მცირე ავანგარდული რაზმით, შემდეგ თავის ძესთან დემეტრესთან ერთად ორი ფლანგიდან — ნიჩბისის ხევიდან და დიდგორის ერთერთი მთიდან შეუტია ექვსმაგად აღმატებულ მოწინააღმდეგეს, ძალების გაშლის საშუალება არ მისცა და ძალზე დიდი ზარალი განაცდევინა. დაბნეული, არეულ-დარეული თურქ-სელჩუკთა ჯარი იძლია, უკუიქცა და ბოლოს პანიკური გაქცევით უშველა თავს.

ამ ძლევამოსილი გამარჯვებიდან (მემატიანემ მას „ძლევაᲐ საკვირველი“ უწოდა) რამდენიმე თვის შემდეგ, 1122 წლის იანვარში გაერთიანებული საქართველოს ჯარმა თბილისში შემოაბიჯა. თბილისი იქცა სატახტო ქალაქად სახელმწიფოსი, რომელიც გადაჭიმული იყო „ნიკოფსიდგან დარუბანდისა ზღუადამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“, ე. ი. თითქმის მთელი ამიერკავკასიისა.

ამ დროიდან ვიდრე XIII საუკუნის 20-იან წლებამდე პერიოდი თბილისისთვის, ისევე როგორც მთელი საქართველოსა და შემომტკიცებული მეზობელი ოლქებისთვის, განვითარებისა და აყვავების ოქროს ხანაა. დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა გიორგი დღენიადაგ ზრუნავდნენ ქვეყნისა და, განსაკუთრებით, დედაქალაქის კეთილმოწყობაზე, გაშენება-დამშვენებასა და გაზრდა-გამდიდრებაზე.

ქართველ მეფეთა მოღვაწეობაში თვითმპყრობელობისა და აბსოლუტური მონარქიის განმტკიცებისათვის მეცადინეობასთან ერთად თვალნათლივ შეიმჩნევა აშკარა და თავისებური დემოკრატიული შემწყნარებლობაც და ხალხის ფართო ფენების ინტერესებისათვის ზრუნვაც. დავით აღმაშენებელმა მთლიანად როდი გააუქმა ქალაქის თვითმმართველობის სისტემა, რომელიც თბილელი ბერების დროს არსებობდა. თბილისის მოქალაქეთა ცხოვრების დონის დაცემის თავიდან ასაცილებლად მან გარკვეული დროით შეწყვიტა გადასახადების [illegible] ქართველ მეფეთა მეფობის პერიოდში [illegible] „კარავი“ ანუ პარლამენტის მსგავსი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც თბილისის მოსახლეობის გარკვეული ფენების ინტერესებსაც დაიცავდა. მოთხოვნას დედაქალაქის საქმიან წრეებში დიდად პოპულარული პიროვნების, ყუთლუ-არსლანის მოღვაწეობა უკავშირდებოდა, რომელიც დიდგვაროვან აზნაურებთან ერთად გავლენიან მოქალაქეთა თვითმმართველობის იდეოლოგი იყო და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია სამეფო კართან არსებული დარბაზის უფლებების გაფართოების სახით. ქართველი მეფეების პოლიტიკას უწყვეტ ხაზად გასდევდა ეროვნული და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, დიდი ზრუნვა მეცნიერების, ფილოსოფიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. დავით აღმაშენებელმა დედაქალაქში პოეტთა თავშესაფარი ააგო, ხშირად იწვევდა სამეფო სასახლეში საპაექროდ და შესაჯიბრებლად, მეჯლისებს უმართავდა მათ, თავადაც მონაწილეობდა ლიტერატორთა, მეცნიერთა, სასულიერო მოღვაწეთა კამათში. თვითონ დავითმაც შესანიშნავი თხზულება. „გალობანი სინანულისანი“ დაწერა. მისი ისტორიკოსი გადმოგვცემს მეფის განცდებს, როცა გაჭირვებული მოქალაქეები თუ გლეხები თავიანთ მძიმე მდგომარეობას შესჩიოდნენ: „მრავალგზის გვიხილავს იგი დამალტობელად ღაწუთა თჳსთა ცრემლითა“... ამ საუკუნეებში დაარსდა საქველმოქმედო ინსტიტუტები ე. წ. გლახაკთ-მოღვაწეობა, რომელთა ფუნქციაც გაჭირვებულთა დახმარება იყო.

თბილისის საზღვრები ამ პერიოდში ძლიერ გაფართოვდა. მის ფარგლებში ახლა შემოდიოდა ქაშვეთის ეკლესია, ლურჯი მონასტერი (დღევანდელი ვერის პარკის მიდამოები), ქალაქმა შორს გააბიჯა მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც, ისნის უბანში, სადაც სამეფო სასახლე და ეკლე-

სია ააგეს. მტკვრის გაღმა-გამოღმა უხვად იყო ქარვასლები, ფუნდუკები, სახელოსნოები, სავაჭროები, დუქნები, საოქრომჭედლოები, ხელოსანთა გაერთიანებანი — ამქრები. აბანოთა რიცხვმა თითქმის 70-ს მიაღწია. იყო რამდენიმე საავადმყოფო და მრავალი სამკურნალო კუთხე. თბილისის ხელოსანთა შორის უმაღლეს დონეზე იქნა ათვისებული სამშენებლო ქვის გამოთლა-დამუშავება, აგურის დამზადება, „კირითხურობა", რომელთა მეშვეობითაც იგებოდა მკვიდრი სასახლეები და ციხე-სიმაგრენი, საცხოვრებელი სახლები, აბანოები, წისქვილები, ხიდები, ქალაქის დამცველი გალავნები, კოშკები და, რა თქმა უნდა, ეკლესიები, რომლებსაც საუკუნეებისთვის უნდა გაეძლოთ. სახელგანთქმული იყო თბილისური აბრეშუმი, ოქროქსოვილი, მატყლისა და ხელის საფეიქრო ნაწარმი, ტყავი, ხალიჩები, ნაბდები, რაც იმდროინდელი ოსტატების მაღალ ხელოვნებაზე მეტყველებს. განთქმული იყო თბილისური მინაც და ბროლის ნაკეთობანი, აგრეთვე მაღალი გემოვნებით დამზადებული ჭურჭელი — კერამიკული ნაწარმი, ავეჯი და, განსაკუთრებით, ლითონმჭედლობა — ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ნივთები, ჭურჭლის, სამკაულის, მოსართავების, ხატისა და წიგნის შემკობის ბრწყინვალე ნიმუშების დამზადება.

თბილისში მოქმედებდა ზარაფხანა, იჭრებოდა ქართული ფული, რომელიც უამრავ ქვეყანაში გადიოდა, შექმნილი იყო ვაჭართა საკრედიტო დაწესებულებანი, ე. წ. ორთაღები. დიდუბე, თბილისის თანამგზავრი დასახლება, პირველად სწორედ ამ პერიოდში იხსენიება: აქ აშენდა მეფის ერთ-ერთი სასახლე და კარის ეკლესია. მეფე თამარის და დავით სოსლანის ქორწინების გამო და შამქორთან 1195 წელს გამარჯვების აღსანიშნავად აქ, დიდუბეში, დიდი სახალხო ზეიმი გაიმართა.

თბილისის მოსახლეობა ამ პერიოდში უკვე 100 ათას კაცს აღწევდა. იგი ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს ქალაქად ითვლებოდა იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში. ამასთან ის იყო თვალსაჩინო კულტურული ცენტრი, სადაც ეროვნულ-მანეთს მეტოქეობდნენ [illegible] ... სოფოსები, მეცნიერნი. ფართო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობასთან ერთად თბილისელ მეცნიერებსა და ხელოვანთ ცხოველი კავშირურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ბიზანტიის, სპარსეთის, არაბეთის, ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების ისეთ აღიარებულ კულტურულ ცენტრებთან, როგორც იმ ხანად იყო ბაღდადი, იერუსალიმი, ისპაჰანი, მექა, დამასკო, ნიშაპური და სხვ.

ამ დროს, სავარაუდოა, თბილისში დაიწერა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". შოთა რუსთაველის ეპოქაში თბილისში და საერთოდ მთელს საქართველოში მოღვაწეობდნენ დიდი ფილოსოფოსები, მოაზროვნენი, ხელოვანნი არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, არსენ ბერი (რომელსაც ბევრნი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად მიიჩნევენ), მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, ბექა და ბეშქენ ოპიზარები, იოანე ჭიმჭიმელი, ნიკოლოზ გულაბერისძე და სხვანი.

ამავე ეპოქაში თბილისის მხატვრულ სახელოსნოებში შეიქმნა მთავარ-ანგელოზების, გაბრიელისა და მიქაელის, ჯვარცმის, ლაზარეს აღდგინების, ორმოცი მოწამის განსაცვიფრებელი ხატები.

XIII საუკუნიდან წყაროებში პირველად იხსენიება აგრეთვე ვერე (ადრინდელი სახელწოდება — სკვირეთი). აქ აღმოჩენილი მონეტები უფრო ადრინდელი ხანისაა. ვერეზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული გზა გადიოდა თრიალეთისაკენ, რომელსაც საგანგებო რაზმი „ვერის ხევის ყარაული" იცავდა.

1225 წლიდან, თამარის ასულის რუსუდანის მეფობის დროს, ჯალალედინის შემოსევის შემდეგ, როგორც მთელი საქართველოსთვის, ისე თბილისისათვის შავბნელი პერიოდი დადგა. მრავალ ბრძოლაში გამარჯვებით გალაღებული და გამედიდურებული ქართული ლაშქარი მწარედ დამარცხდა ხვარაზმელებთან ომში ჯერ გარნისთან (1225 წ.), შემდეგ თბი-

ლისთან (1226 წ.). შინაგამცემლის დახმარებით ჯალალედინი ჯერ აბანოების უბანში და კალაში შეიჭრა, მოაოხრა დიდებულთა და წარჩინებულთა სასახლეები, შემდეგ მტკვარგაღმა გავიდა, ისნის მთავარი ციხე აიღო. დაიწყო თბილისის ძარცვა-გლეჯა, მოსახლეობის ჟლეტა. თბილისის უბნები დახოცილთა გვამებით აივსო. ამ დროს ზეციურ საქართველოს ქრისტესათვის წამებულთა მრავალი ათასი წმინდანი შეემატა: მეტეხის ხიდთან რჯულის გამოცვლაზე, ქრისტიანობის უარყოფასა და მაჰმადიანობის მიღებაზე უარისთქმისათვის ქართველებს თავს კვეთდნენ და მათ სხეულებს მტკვარში ყრიდნენ: არსებობს ცნობა, რომ 100 ათასამდე ქრისტიანი დაეცა მტრის მახვილით სარწმუნოებისადმი, ქრისტესადმი ერთგულების გამო.

რუსუდანი დასავლეთ საქართველოში გადაიხვეწა. მემატიანეები აშკარა ეჭვს გამოთქვამენ, რომ პირველი დიდი დამარცხების (გარნისთან) მთავარი მიზეზი შინაღალატი იყო: ახალგაზრდა, ნიჭიერი, ბრძოლიდან ბრძოლამდე მზარდი მხედართმთავარი შალვა ახალციხელი, რომელიც ავანგარდს მეთაურობდა და პირველი ეკვეთა მტერს, უთანასწორო ბრძოლაში ყოველგვარი დახმარების გარეშე შეატოვა ბევრად აღმატებულ მოწინააღმდეგეს მისი ბრწყინვალე სამხედრო კარიერით შეშფოთებულმა მთავარსარდალმა ივანე მხარგრძელმა და უკან დაიხია.

ჯალალედინმა დიდი სამხედრო ძალა დატოვა დაპყრობილ, აოხრებულ და შეგინებულ ქალაქში და უკან დაბრუნდა. ერთ წელიწადში, 1227 წელს. ქართველთა ლაშქარმა და აჯანყებულმა მოსახლეობამ მტრის მიერ დატოვებული გარნიზონი გაწყვიტა და დედაქალაქი გაათავისუფლა. მაგრამ მომდევნო 1228 წელს ჯალალედინმა ახალი ძალები მოიკრიბა, კვლავ შემოესია საქართველოს და ცეცხლის ალში გახვეული, გადამწვარი თბილისი დაიკავა.

რამდენიმე წელიწადში წელში გატეხილ ჩვენს სამშობლოს ახალი უბედურება, ბნელი და დამანგრეველი ძალა დაატყდა თავს, მას მონღოლთა ურდოები შემოესივნენ. მეფე რუსუდანი [illegible] ალაბაისში გადაიხვეწა. როცა [illegible] ჩვენი ლაშქარი მტრის მოჭარბებულ ძალებს ვეღარ გაუმკლავდებოდა, თბილისის სასახლეები, აღდგენილი ციხე-სიმაგრეები, სახლები კვლავ ცეცხლს მისცეს და გადამწვარი ქალაქი მონღოლებს შეატოვეს.

ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევების, განადგურების, აოხრებისა და მძიმე ხარკის დადების მიუხედავად უკვე ორად გახლეჩილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს. მეფეებმა დავით ნარინმა და დავით ულუმ, რომლებმაც ადრე, გამეფებამდე, გუიუქყაენისაგან მიიღეს მეფედ კურთხევა, დიდი აჯანყებები მოუწყვეს დამპყრობლებს, მაგრამ დამარცხდნენ.

თბილისიც არ ყრიდა ფარ-ხმალს. ოდესღაც დიდებული, მაგრამ ახლა მრავალგზის გადამწვარი, აოხრებული, ძალებს ისევ და ისევ იკრებდა და ნახანძრალიდან ფენიქსივით ცოცხლდებოდა. ისტორიამ შემოგვინახა ჯიქურის სახელი, რომელიც დედაქალაქის აღდგენით სამუშაოებს ჩაუდგა სათავეში: განახლდა ისნის სასახლე, გაშენდა ახალი ნაგებობანი; თანდათანობით მწყობრში ჩადგა ხელოსანთა საქმიანობა. სუსტად, მაგრამ მაინც ხდებოდა ძველი ტრადიციების აღორძინება.

XIII ს. ბოლოს მეფე დემეტრე II თავდადებულმა სამეფო კარის ეკლესია ააშენა. მალე მეტეხის ეკლესიაც წამოიმართა. თანდათანობით წელში სწორდებოდა დედაქალაქის მოსახლეობაც, იგებდა სახლებს, სახელოსნოებსა და სავაჭროებს, ამუშავებდა ბაღ-ვენახს...

დემეტრე თავდადებულის ძმა გიორგი V-მ მონღოლების, განსაკუთრებით, ილხანის მთავარი ვეზირის ჩობან ნოინის დიდი ნდობა მოიპოვა და ეს გარემოება საქართველოს გაძლიერებისათვის გამოიყენა. 1329 წელს მან დასავლეთ საქართველო შემოიერთა, 1334 წელს — სამცხე. 1335 წელს გიორგი V ბრწყინვალემ მონღოლ დამპყრობლებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა, ხოლო ამის საპასუხოდ გამოგზავნილი დამსჯელი რაზმი იოლად დაა-

მარცხა. მონღოლთა საუკუნოვან ბატონობას ბოლო მოეღო. გიორგი V-მ ურჩი ფეოდალების თვითნებობა ალაგმა, გაანადგურა ისინი, განახორციელა საკანონმდებლო აქტები, მოჭრა საკუთარი ფული — „გიორგაული თეთრი", იბრძოლა ტრაპიზონის სამეფოში საქართველოს გავლენის აღსადგენად, აღადგინა საზღვარგარეთ (სინას მთაზე, იერუსალიმში) ქართული მონასტრები.

XIV საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით გიორგი V ბრწყინვალის მეფობის წლები, თბილისი, გაერთიანებული და მოღონიერებული საქართველოს დედაქალაქი, კვლავ გახდა ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დედაქალაქთა შორის. მისადმი დიდ დაინტერესებას იჩენდა რომის კათოლიკური ეკლესია, რომელმაც აქ თავისი აგენტურა — მისიონი დააარსა. როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ თბილისის მიმართ.

1366 წელს თბილისში შავი ჭირი გაჩნდა, რომელმაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო XIV საუკუნის ბოლოს საქართველოს თემურ-ლენგის აურაცხელი ლაშქარი შემოესია და ორჯერ, 1386 და 1400 წლებში, მხეცურად დაარბია იგი კვლავ დაიწყო ჩვენი დედაქალაქის ხანგრძლივი ბნელი პერიოდი.

თბილისი გაჩანაგდა და დაკნინდა, ეპიდემიის დროს და ბრძოლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი გაიჟლიტა. დაინგრა ეკლესია-მონასტრები, სასახლეები, საცხოვრებელი სახლები. მიწასთან გასწორდა ციხე-სიმაგრეები.

საქართველოს დასუსტებით ისარგებლეს ახალმა მტრებმა — თურქმანებმა, რომლებთან ბრძოლასაც შეეწირნენ მეფეები გიორგი VII და კონსტანტინე I.

XV საუკუნის დამდეგს მეფე ალექსანდრე I დიდი დანგრეულ-დაქუცმაცებული სამეფოს აღდგენას შეუდგა, ალაგმა ურჩი ფეოდალები, შემოიერთა წართმეული ტერიტორიები და დანგრეული თბილისის აშენება დაიწყო, აღადგინა მონასტრები და ეკლესიები საქართველოსა და უცხოეთში, ციხე-სიმაგრეები, შემოიერთა ციხე-ქალაქი ლორე, ყარაბაღის (სივნიეთის) ტერიტორიები.

მაგრამ 1440 წელს საქართველოს კვლავ შემოესიენ თურქმანთა ურდოები შაჰ-ჯაჰანის მეთაურობით და აღმშენებლობითი მუშაობაც შეწყდა. მტერმა ჯერ სამშვილდე აიღო, 9 ათასი კაცი ტყვედ წაასხა, ხოლო შემდეგ თბილისზე გამოილაშქრა, აიღო და ააოხრა იგი.

XV საუკუნის შუა წლებიდან კი ჩვენს ქვეყანას ახალი საშიში მტერი გამოუჩნდა — ოსმალობა. ოსმალებმა დაამარცხეს და მოსპეს ბიზანტიის იმპერია; შემდგომ — ტრაპიზონის სამეფო და საქართველოს მოადგნენ. ოსმალეთმა, რომელმაც ბიზანტიის მთელი ტერიტორია დაიკავა, შავი ზღვის ყველა სანაოსნო გასასვლელი გადაკეტა, ყირიმის სახანო დაიმორჩილა, საქართველოსთვის მოჭრილი აღმოჩნდა როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო გზები, რომლებითაც იგი დასავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდა და ეკონომიკურ სარგებლობას მოიპოვებდა. აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობამაც დაკარგა მნიშვნელობა, რადგან ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა ძირფესვიანად შეცვალა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გეზი, მოვაჭრე სახელმწიფოების ინტერესები სულ სხვა მხრივ მიმართა.

დაქუცმაცებული საქართველო, ისევე როგორც დაკნინებული თბილისი, ჩიხში მოექცა და გარშემორტყმული შტრების და ეპიდემიების სათარეშოდ იქცა. 1474-1475 წლებში თბილისში კვლავ გაჩნდა შავი ჭირი, რომელმაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მოსპო. ორი წლის შემდეგ, 1477 წელს, ამას დაერთო ირანელ ყიზილბაშთა შემოსევა და თბილისი უზუნ-ჰასანმა დაიპყრო. დედაქალაქი მომდევნო წელსვე განთავისუფლდა.

1522 წელს თბილისი კვლავ ყიზილბაშებმა აიღეს, ააოხრეს, გაძარცვეს, დაანგრიეს სიონი და იქვე, მეტეხის ხიდთან მეჩეთი აღმართეს.

მცირე ხნის მოსვენებისა და მოშენების შემდეგ, 1541 წელს, თბილისი ირანის შაჰმა თამაზ I-მა დაიპყრო. ერთხანს ლუარსაბ I-მა დედაქალაქის განთავისუფლება შეძლო, მაგრამ შემდეგ თბილისში კვლავ მტერი გაბატონდა. ციხეებში ყიზილბაშთა გარნიზონი ჩადგა. ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად დაპყრობილი თბილისის ნაცვლად გორი იქცა. თბილისში მეფე სიმონ I-ის ძმა, მტრის სამსახურში ჩამდგარი დავითი (დაუთ-ხანი) დაჯდა, რომელიც შაჰმა ქართლის მეფედ დაამტკიცა. სიმონ I 1569 წელს, ფარცხისის ბრძოლაში ყიზილბაშებმა ტყვედ ჩაიგდეს და 1578 წლამდე თბილისსა და ქართლს დაუთ-ხანი განაგებდა.

დასუსტებული, დანაწევრებული საქართველოსა და თბილისის ბედს დიდმნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ამ დროს ორი მტაცებელი ქვეყნის, ოსმალეთისა და ირანის მეტოქეობა და ხანგრძლივი ომი, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველო და თბილისი ირანის ბატონობისა და გავლენის სფერო იყო, თუმცა მოსახლეობა მაინც განაგრძობდა ბრძოლას დამპყრობლებისა და რენეგატი მეფის დაუთ-ხანის წინააღმდეგ.

1578 წელს ჩილდირის ბრძოლაში ოსმალეთმა ყიზილბაშთა ჯარი დაამარცხა და ახალციხის გამოვლით თბილისი აიღო. ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოშიც ოსმალეთი გაბატონდა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად ირანის შაჰმა მედგარი და შეუდრეკელი მებრძოლი სიმონ I ტყვეობიდან გაათავისუფლა. სიმონ მეფე სათავეში ჩაუდგა ქართლის ბრძოლას ოსმალეთთან მტრის გასადევნად და დედაქალაქის გასათავისუფლებლად. 1583 წელს მან ტაბახმელასთან სძლია ოსმალები და თბილისი აიღო, შემდეგ თბილისი ხელიდან ხელში გადადიოდა. 1599 წელს სიმონ მეფემ გორის ციხეც აიღო. საპასუხოდ ოსმალთა სულთანმა მრავალრიცხოვანი ჯარი დაძრა საქართველოს წინააღმდეგ და ნასიდურთან სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლაში, იმავე 1599 წელს, სიმონ მეფე ტყვედ ჩაიგდეს. მემატიანის ცნობით, სულთანის ბრძანებით ოსმალეთში თურმე სამ დღეს ზეიმობდნენ სიმონ მეფის დამარცხებასა და დატყვევებას.

XVII საუკუნის დასაწყისში ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლის ბედი უკანასკნელის მხარეს გადაიხარა. ამ დროს ირანში ტახტზე დაჯდა შაჰ აბას I. მან ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნა და თვითონ გაბატონდა. თბილისში ყიზილბაშთა გარნიზონი ჩადგა, თუმცა იგი ქართლის სამეფოს დედაქალაქად დარჩა. 1609 წლიდან თბილისის მოურავი გახდა გიორგი სააკაძე, რომელმაც დიდად ისახელა თავი ქართლში უეცრად შემოჭრილი ოსმალებისა და ყირიმელი თათრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეფე ლუარსაბ II-მ და გიორგი სააკაძემ ქვიშხეთთან გაანადგურეს შემოჭრილი ოსმალ-თათრები.

მომდევნო წლებში თბილისი, ქართლი და კახეთი ლუარსაბ II-ის და თეიმურაზ I-ის მეფობის დროს რამდენჯერმე დალაშქრა შაჰ აბას I-მა. ამ შემოსევებმა და ბრძოლებმა დიდძალი ქართველობა შეიწირა, 100 ათასამდე მოსახლე კი ტყვედ წაასხეს ირანში, ფერეიდანში დაასახლეს. თბილისი დიდად დაზარალდა და აოხრდა, დაინგრა ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები, სასახლეები, სახლები. თბილისის მოსახლეობა 10 ათას კაცამდე შეთხელდა. 1622 წელს აბას I-ის ბრძანებით შირაზის ციხეში მოკლეს ლუარსაბ II, ბრძოლას თეიმურაზ I განაგრძობდა, ლუარსაბის სიძე (დის ქმარი), რომელიც 1625-32 წლებში ქართლ-კახეთის მეფე გახდა.

თეიმურაზ I-ის დედა ქეთევან დედოფალი გამაჰმადიანებაზე მტკიცე უარის შემდეგ 1624 წელს შირაზშივე შაჰ-აბას I-ის ბრძანებით წამებით მოკლეს. დედოფალი წმინდანად შეირაცხა.

არსებობს ქართლ-კახეთისა და თბილისის მიმართ შაჰ-აბას I-ის განსაკუთრებული მძვინვარების კასტელისეული ახსნა. დონ კრისტოფორო დე კასტელი — იტალიელი მისიონერი 1627-54 წლებში სა-

ქართველოში, კერძოდ თბილისშიც იყო, აღწერა ქვეყნის მდგომარეობა და დიდ-ძალი ძვირფასი ჩანახატი დაგვიტოვა. ქართლ-კახეთის დედოფლის, თეიმურაზ I-ის მეუღლის პორტრეტთან დაკავშირებით იგი წერს: „ქართლ-კახეთის დედოფალი თამარი (ხორეშანი)... იბერიის დიდი მხარის დედოფალი ძალიან ლამაზია. შაჰ-აბასმა, სპარსეთის ხელმწიფემ, მისი შერთვა მოინდომა. თეიმურაზი არ დათანხმდა, რამაც განარისხა შაჰ-აბასი, რისთვისაც მან იბერიაში გამოგზავნა ჯარი და მისი სამეფოს დიდი ნაწილი გააუკაცრიელა. მიუხედავად ამისა, ცოლი მაინც ვერ წაართვა...

ეს ქართველთა დედოფალი... თეიმურაზის მეუღლე, ყველაზე ულამაზესი არსებაა, რომლის სიმშვენიერე გახდა სამეფოს დაქცევის მიზეზი, ისე, რომ შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი იყო ახალი ელენე ქვეყანაზე“.

1632 წელს ქართლის მეფედ ირანის შაჰმა გამაჰმადიანებული ბაგრატიონი როსტომი დანიშნა. იგი ამავე დროს ვალის (შაჰის მოადგილის) ტიტულს ატარებდა. როსტომი გონიერი პოლიტიკოსი და გამჭრიახი მმართველი აღმოჩნდა. იგი თბილისისა და მთელი ქართლის აღდგენა-მოღონიერებას შეუდგა. შაჰის ნდობამ ხანგრძლივი მშვიდობა უზრუნველჰყო. ანჩისხატსა და სიონს შორის დიდი სამეფო სასახლე აიგო. ქალაქი გაიზარდა კოჯრის კარის მიმართულებით, დღევანდელი სოლოლაკის გავლით, რომელიც გარეთუბანის ნაწილი იყო და თბილისის წარჩინებულთა ბაღ-ვენახებით იყო გაშენებული, აგრეთვე ვერეს მიმართულებით, რომელიც დღევანდელ ვერის დაღმართიდან იწყებოდა ე. წ. ლურჯ მონასტერს (წმინდა ანდრიას ეკლესიას) შეიცავდა და ბაგებამდე გრძელდებოდა (ვაკე, საბურთალო, ვარდისუბანი და ახალშენი მას შემდეგ გამოეყო). მტკვარზე ახალი ხიდი გაიდო: ქალაქი ელიას მხარეს (მახათას მთას) დაუახლოვდა, რომელზეც ელია წინასწარმეტყველის ეკლესია იდგა (იგი წყაროებში პირველად 1654 წელსაა მოხსენიებული) და დიდი დღესასწაული ელიაობა იმართებოდა. თბილისში გაჩნდა ახალი, დიდი ბაზარი, რომელსაც ბაზარი ეწოდა. სიონის მაღლობზე ეკლესია აიგო. ანჩისხატის უბანში, მის ცენტრალურ ქუჩაზე, სადაც ადრე მხოლოდ ბატონისშვილები სახლობდნენ, წარჩინებულ თავადთა სასახლეებიც აიგო. აშენდა მრავალი სახლი.

გამოცოცხლდა ვაჭრობა, მოღონიერდა ეკონომიკური ურთიერთობანი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აბრეშუმის ქსოვილის წარმოების აღორძინებას.

1648 წელს როსტომმა შაჰის დახმარებით მეფე თეიმურაზ I კახეთიდან განდევნა, ქართლ-კახეთი გააერთიანა და თბილისიც გაფართოებული სამეფოს დედაქალაქი გახდა. თუმცა თეიმურაზ I ირანის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა, რისთვისაც შაჰმა კახელების გაწყვეტა და იქ თურქმანების ჩასახლება გადაწყვიტა. ამ გეგმის ხორცშესასხმელად მან ჩაასახლა კიდევაც 80 ათასი თურქმანი, მაგრამ 1659 წელს სახალხო აჯანყების დროს კახელებმა ეს თურქმანები ერთიანად ამოწყვიტეს და შაჰიც იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო.

ამ პერიოდში თბილისში „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია შეიქმნა, ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“.

1658 წელს ქართლში გამეფდა ვახტანგ V, როსტომის შვილობილი, რომელიც აგრეთვე გამაჰმადიანებული იყო და შაჰნავაზად იწოდებოდა. მან მამობილის პოლიტიკა გააგრძელა, ირანთან კეთილი ურთიერთობის მეოხებით მშვიდობის უზრუნველყოფა და მეცადინეობა საქართველოს მოსაღონიერებლად და გასაერთიანებლად. თბილისს ახალი გალავანი შემოარტყა, ახალი სამეფო სასახლე ააგო. ქალაქის მოსავლელად ჰყავდა თბილისის მოურავი და მთელი შტატი მოხელეებისა: მელიქ-მამასახლისი, ბატონის ნაცვალი, მინბაში, ასასბაში...

თბილისით კვლავ დაინტერესდნენ როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც თავიანთი ნაწარმის გასაღების ახალ ადგილებს ეძებდნენ.

დედაქალაქში ახლა 20 ათასი მცხოვრები იყო. ძველი აბანოთუბნის, კალის, მეტეხის, ავლაბარ-ისნის გარდა გაჩნდა ახალი უბნები. ქალაქის შემორტყმული გალავნის მიღმა დასახლებას გარეთუბანი ეწოდებოდა. იგი კალის ჩრდილოეთით და დასავლეთით გაშენდა. ჩრდილოეთით მისი საზღვარი ახლანდელ ვერის პარკს აღწევდა. გარეთუბანი განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დასახლებული ქაშვეთის ეკლესიამდე და რამდენიმე ქვეუბანს შეიცავდა (მუხრანბატონიანთუბანი; ვანქის უბანი — ახლანდელი გიორგი ათონელის ქუჩა; ორბელიანთუბანი, რომელიც გარეთუბნის მოედნამდე — ყაბახამდე ანუ დღევანდელი ქაშვეთის მიმდებარე პარკამდე აღწევდა; შუა კარის უბანი, რომელიც მდებარეობდა დღევანდელ პუშკინისა და მუზეუმის ქუჩებს, რუსთაველის პროსპექტსა და თავისუფლების მოედანს შორის). გარეთუბნის მეზობლად მდებარეობდა მუხრანთუბანი, რომელიც, ორ ტოტად გაყოფილი, მტკვრის კუნძულსაც მოიცავდა. ქალაქს ჰქონდა ვრცელი მოედნები: ბატონის მოედანი, რომელსაც დღეს ერეკლე II-ის მოედანი ჰქვია, თათრის მოედანი (აბანოთუბანთან) და გარეთუბნის მოედანი (დღევანდელი თავისუფლების მოედნის ადგილას).

მწკრივად იყო განლაგებული ერთგვაროვანი სახელოსნოები თუ სავაჭროები და მათ წინ გამავალ ქუჩაბანდებს მათი ნაწარმის ან საქონლის მიხედვით ეწოდებოდა აგურხანა, ბამბის რიგი, ვერცხლის რიგი, ღვინის აღმართი...

ამ დროს თბილისში არსებობდა კათოლიკე მისიონერების სკოლა, რომელიც პრივილეგიებით სარგებლობდა. დედაქალაქის მაღალ საზოგადოებას ქმნიდა მსხვილი ფეოდალების წარმომადგენლობა და დიდვაჭართა ფენა. იყვნენ საშუალო და წვრილი ვაჭრებიც, ხელოსნები, რომლებიც თავისუფლებად და ყმებად იყოფოდნენ, იყო ხელოსანთა ამქრები. თავისუფალი მოქალაქეების ფენას ჰქონდა მიწები, რომლებიც იხვნებოდა მარცვლის კულტურების მოსაყვანად, ხილის ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად. აქ მოყვანილი პროდუქტი დუქნებსა და ქარვასლებში იყიდებოდა, სადაც ამის გარდა ინახებოდა და შემდგომ ქალაქს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც ნაწილდებოდა უცხოეთიდან თუ ადგილობრივი საწარმოებიდან შემოტანილი საქონელი; იქვე ხდებოდა კომერციული თუ სავაჭრო გარიგებები.

თბილისის მახლობლად მდებარეობდა დიდუბის დასახლება, რომელიც დედაქალაქს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ამარაგებდა. ქალაქს ერთვოდა აგრეთვე ორთაჭალა, რომელიც ამავე ფუნქციებს ასრულებდა, ხოლო შემდგომ მოქალაქეთა გასართობი და სალაღობო ადგილიც გახდა.

ჩვენამდე მოაღწია თბილისში 1672 წელს მყოფი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის საინტერესო აღწერამ ქართლის დედაქალაქისა, სადაც ის აღნიშნავს, რომ თბილისი ერთი საუკეთესო ქალაქთაგანია სპარსეთის სამფლობელოში. ქალაქი, — წერს იგი, — გარშემორტყმულია მშვენიერი და მტკიცე გალავნით, სამხრეთით მოთავსებულია ციხე-სიმაგრე, რომელიც სპარსეთის გზას დასცქერის, თბილისში შესვლა მხოლოდ ამ ციხე-სიმაგრიდან შეიძლება... თბილისში 14 ეკლესიაა და მშვენიერი ნაგებობანი. ბაზრები ვრცელია და სუფთა. ასევე ქარვასლა. ქალაქში კერძო აბანო ცოტაა, ხალხი უფრო საერთო აბანოებს ეტანება, რომლებიც ციხე-სიმაგრეშია და მარაგდება გოგირდის ცხელი წყაროებით. მაღაზიები კარგი ნაგებობებია და სუფთად ინახება. მეფე როსტომის სასახლე, — განაგრძობს შარდენი, — უთუოდ ქალაქის საუკეთესო მშვენებაა. მისი უშველებელი დარბაზები მდინარეს გაჰყურებს — სასახლეს დიდი სამეფო ბაღი აკრავს. აქაა სხვადასხვა ჯიშის დიდძალი ჩიტისათვის მოწყობილი საფრინველე და დიდი ნაგებობა, რომელშიც მონადირე ძაღლებია მოთავსებული, აგრეთვე ჩინებული საშვევარდნე. ეზოს პირდაპირ დიდი ოთხკუთხა მოედანია, რომელზეც ათასი მხედარი დაეტევა. იგი დუქნებითაა გარშემორტყმული და ებჯინება გრძელ ბაზარს, რომელიც სასახ-

ლის კარიბჭის მოპირდაპირე მხარესაა განთავსებული. ბაზრის სიმაღლიდან სასახლისა და ქალაქის ხედი საუცხოოა. არანაკლებ შესანიშნავადაა ნაგები კახეთის მეფის სასახლეც, რომელიც ქალაქის კიდეში მდებარეობს. თბილისის გარეუბნებშიც ბევრი მშვენიერი სახლი და ბაღია. საუკეთესო ბაღი მეფეს ეკუთვნის. თბილისი საკმაოდ ვრცელი და კარგად დასახლებული ქალაქია, — ასკვნის შარდენი, — აქ იმდენი უცხოელია, რამდენიც მსოფლიოს არცერთ ქალაქში არ არის, დიდი ვაჭრობაა გაჩაღებული. სპარსელთა ძველი რუკები თბილის-ქალაქს დარ ელ-ᲰᲔᲚᲔᲙᲘᲡ ანუ სამეფო ქალაქს უწოდებენ.

საინტერესოა მეორე ფრანგი მოგზაურის პიტონ ტურნეფორის ჩანაწერებიც. იგი 1701 წელს ესტუმრა თბილისს და თავისი შთაბეჭდილებები ასე გადმოსცა (და, ამასთან, დაგვიტოვა ჩვენი დედაქალაქის იმდროინდელი გეგმა-ნახატი): „თბილისი საკმაოდ ვრცელი და კარგად დასახლებული ქალაქია. სახლები მასში დაბლები და ბნელია, აშენებულია ძირითადად აგურით, ქვითა და თიხით. ქალაქს გარშემორტყმული გალავანი სიმაღლით არ აღემატება ჩვენი ბაღების გალავნებს, ქუჩები ცუდადაა მოკირწყლული. სიმაგრე მაღლობზე მდებარეობს და მთელს ქალაქს დასცქერის, მაგრამ მთლიანად დანგრეულია და რამდენიმე სუსტი კოშკითაა დაცული. ციხე-სიმაგრის გარნიზონი სუსტია და შედგება მუსულმანებისაგან, რომლებიც ცუდად ფლობენ იარაღს. მოედანი სიმაგრის წინ, სადაც სამხედრო მეცადინეობა მიმდინარეობს, ვრცელია და ამავე დროს ბაზრობისათვისაც გამოიყენება. სიმაგრე მდებარეობს ისპაჰანიდან მომავალ გზაზე, რომელსაც თბილისში შესასვლელი მხოლოდ სიმაგრიდან აქვს... მეფის სასახლე სიმაგრის ქვემოთ მდებარეობს და ყურადღებას იმსახურებს ისევე, როგორც მის ირგვლივ განლაგებული ბაღები, მოედანი და ბაზარი.

სასახლიდან, — განაგრძობს ტურნეფორი, — ჩვენ გავემგზავრეთ აბანოებში... აბანოები სუფთაა და ერთადერთი გასართობია მოქალაქეთათვის. მთავარი სავაჭრო თბილისში ქურქია, რომელიც აქედან იგზავნება სპარსეთში, ასევე კონსტანტინოპოლში არზრუმის გავლით. ადგილობრივი აბრეშუმი ბაკის გვერდის ავლის მიზნით არ გადის თბილისზე, მაგრამ თბილისელი სომხები წარმოების ადგილებზე ყიდულობენ მას და პირდაპირ აგზავნიან სმირნაში და ხმელთაშუაზღვის სხვა პორტებში, რათა ფრანგებს მიჰყიდონ. თბილისის გარეუბნებიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან ყოველწლიურად 2000 აქლემით იგზავნება boia-დ (ენდრო) წოდებული ფესვები. არზრუმიდან ენდრო იგზავნება დიარბეკირში, სადაც მას ქსოვილთა შესაღებად იყენებენ, რომლებიც პოლონეთისათვის იწარმოება. საქართველო ბევრ ენდროს აწვდის ინდოსტანს.

საქართველოს მთავარი ეკლესია, — წერს შემდეგ ტურნეფორი, — იწოდება სიონად. იგი გაშენებულია დამრეც კლდეზე მტკვრის ნაპირას და თლილი ქვის ლამაზი და მკვიდრი ნაგებობაა. მას შესანიშნავი გუმბათი აგვირგვინებს...“.

XVIII საუკუნის დამდეგს ჯერ ქართლის გამგებელი (1703—1714 წლებში), შემდეგ კი მეფე (1716—1724) გახდა გიორგი XI-ის ძმის, ლევანის ძე ვახტანგ VI, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში კეთილი კვალი დააჩნია თბილისისა და ქართლის აღორძინებას. მან დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა და სიბრძნე გამოიჩინა, რათა შეენარჩუნებინა მეფობა და განეგრძო თავისი ქვეყნის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ზრუნვა. 1712 წელს ვახტანგ VI ირანში გაიხმეს, რათა მისი ერთგულება და საიმედოობა შეემოწმებინათ. მას გამუსულმანება შესთავაზეს. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მეფე დათანხმდა, მაგრამ დათანხმდა მხოლოდ იმისათვის, რომ სხვისთვის, არაპატრიოტისთვის, ქართული ინტერესების გამყიდველისათვის არ დაეთმო ტახტი და სამოქმედო ასპარეზი. 1719 წელს უკვე მეფედ დაბრუნებული, იგი თავისი გეგმების აღსრულებას შეუდგა. დიდგვაროვან თავადთა განკერძოებისა და

ორგულობის ასალაგმავად ვახტანგ VI-მ საკუთარი ჯარის შექმნა განიზრახა, ამ გზით მას ცენტრალური ხელისუფლება უნდა გაეძლიერებინა და ქვეყნის განმხოლოებული ნაწილები შემოემტკიცებინა. მან სასტიკად აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, დაიწყო მტრის შემოსევების შედეგად გაუკაცრიელებული სოფლებისა და ნასოფლარების დასახლება, გაიყვანა სარწყავი არხები, წესრიგში მოიყვანა სატრანზიტო გზები, აღადგინა ძველი და მდინარეებზე გადო ახალი ხიდები, რათა ხელი შეეწყო ვაჭრობის აღორძინებისათვის, გამოსცა პროგრესული სამართლებრივი კანონები, რომლებიც ქვეყნად მშვიდობის, შრომის წაქეზების, სამართლიანობის დამყარებას ემსახურებოდნენ.

თბილისი მოღონიერდა. ახლა აქ 20 ათასზე გაცილებით მეტი კაცი ცხოვრობდა. აყვავდა კულტურა, განათლება, მომრავლდა სანახაობანი. 1709 წელს ვახტანგ VI-მ თბილისში სტამბა დააარსა, სადაც გამოიცა პირველი ქართული წიგნი—ᲗᲝᲗᲐ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (მანამდე ქართული წიგნი დაიბეჭდა იტალიაში, რომში, 1629 წელს — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, ხოლო 1643 წელს, რომშივე, ქართული სასაუბრო ენის გრამატიკა ლათინურ ენაზე).

1755 წელს თბილისშივე შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელმაც „ქართლის ცხოვრება“ ანუ საქართველოს ისტორია გააგრძელა XIV საუკუნიდან XVII საუკუნემდე. ვახტანგ VI-ს ეკუთვნის, სხვათა შორის, ჩვენი დედაქალაქისადმი მიძღვნილი ლექსი „რა სჯობს მაისში ტფილისსა“.

ამ პერიოდში, მანამდე და შემდგომაც ქართული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, სახიობის აყვავება-აღორძინებისათვის ზრუნავდა დიდ მოღვაწეთა მთელი პლეადა: საბა-სულხან ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, იოანე ბაგრატიონი, ბერი ეგნატაშვილი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე, ანტონ I კათალიკოსი, ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), საიათნოვა და მრავალი სხვა.

თბილისში, კერძოდ, მის ყველაზე უფრო პრივილეგირებულ უბნებში, ᲙᲐᲠᲐᲜᲓᲐᲨᲘ, განსაკუთრებით კი ანჩისხატის ცენტრალურ ნაწილში ინტენსიურად დაიწყეს დასახლება საქართველოს მრავალი კუთხის დიდგვაროვანი არისტოკრატიის წარმომადგენლებმა. აქ აშენდა მთავარეპისკოპოსის, მუხრანბატონების, ამილახვრების, არაგვის ერისთავების, ქსნის ერისთავების, ორბელიანების, ციციშვილების, გედევანიშვილების, გერმანოზაშვილების, აბაშიძეებისა და სხვათა სასახლეები.

ამ პერიოდში ვახუშტიმ თბილისის გეგმა შეადგინა, რომელზეც თბილისის მახლობელ სოფლად დატანებულია ჩუღურეთი; იგი მომდევნო საუკუნეში დედაქალაქს შეუერთდა. ამავე პერიოდში, XVIII საუკუნეში, ქალაქისპირა სოფელი იყო დიდუბეც.

ი. ა. გიულდენშტედტის მიერ 1772 წელს შედგენილ რუკაზე აღნიშნულია დიდუბის ციხე-სიმაგრის ნანგრევები. მომდევნო, XIX საუკუნის დასაწყისში დიდუბეში გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ.

ქალაქისპირა სოფელი იყო XVII-XVIII საუკუნეებში ნავთლუღიც, სადაც მალე ციხე-გალავანი აიგო, რამაც ხელი შეუწყო მის ინტენსიურ დასახლებას.

თვით ქალაქში, ასპარეზზე (დღევანდელი ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე პარკი) ხშირად ეწყობოდა ჯირითი, ყაბახი, ბურთაობა, ჩოგბურთი, სამხედრო ვარჯიშობანი. აქვე, ასპარეზზე და თბილისის ქუჩებშიც იმართებოდა სახალხო სანახაობანი —ბერიკაობა, ყეენობა, კრივი...

თავისი მეფობის პირველსავე წლებში ირანელთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების მიზნით ვახტანგ VI ამ დროისათვის გაძლიერებული ერთმორწმუნე რუსეთის მოკავშირეობას ეძებდა. 1722 წელს რუსეთის ხელმწიფე პეტრე I-მა ირანზე ლაშქრობა დაიწყო და მასთან შეთანხმებით ვახტანგ VI თბილისიდან გავიდა, თავისი ჯარით განჯას მიადგა. პეტრე I-მა დარუბანდი აიღო, ვახტანგ VI-მ კი — განჯა. მაგრამ ასე წარმატებით დაწყებული ლაშქრობა უცბად შეწყდა. პოლი-

ტიკური ვითარების გართულების მომიზეზებით პეტრე I-მა საომარი მოქმედებანი შეწყვიტა...

განრისხებულმა შაჰმა ვახტანგ VI-ის დასასჯელად ქართლი კახეთის მეფე კონსტანტინეს გადასცა. ამანაც არ დააყოვნა და დაღესტნელთა დაქირავებული ჯარის დახმარებით მძიმე ბრძოლების შემდეგ 1723 წელს თბილისში შემოვიდა, აოხრდა კლდისუბანი (კალა), დაეცა თაბორის ციხე.

ამავე დროს ოსმალეთმა დიდი შეტევა დაიწყო ირანის წინააღმდეგ, ქართლიც აიღო და თბილისი დაიკავა.

პეტრე I-მა ოსმალეთთან ხელშეკრულება დადო, რომლის ძალითაც სხვა ტერიტორიებთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოც თურქეთის კუთვნილება ხდებოდა, ხოლო კასპიის ზღვის დასავლეთი და სამხრეთი სანაპიროები რუსეთის ხელში გადადიოდა.

ვახტანგ VI იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო და არჩია დიდძალი ამალითურთ ისევ რუსეთისთვის შეეფარებინა თავი, ვინაიდან ირანიც და ოსმალეთიც მისი მოსისხლე მტრები იყვნენ....

თბილისში შემოსვლისთანავე ოსმალებმა საკუთარი წესების დამყარება დაიწყეს. პირველ რიგში მათ მძიმე გადასახადებით დაბეგრეს ქალაქიც და მთელი ქართლის მოსახლეობა, ხელი შეუწყვეს ადგილობრივ მკვიდრთაგან ტყვეთა გაყიდვის აღდგენა-გაძლიერებას, ოსმალებს ვერაგული გეგმები ჰქონდათ ჩვენი დედაქალაქისა და ქართლის გადაშენების მისაღწევად. მათ სურდათ, მთლიანად მოეშალათ ქართული სახელმწიფოებრივი მოწყობილობა, დაეთრგუნათ და ჩაეხშოთ თვითმყოფადი ქართული კულტურა, გაეთურქებინათ მთელი მოსახლეობა მაჰმადიანობის ძალით გავრცელების გზით. ამ გეგმის ხორცშესხმას ოსმალეთი თბილისიდან იწყებდა,

ამ დროის დიდად გავლენიანი მოღვაწის გივი ამილახვარის მოქნილი პოლიტიკის შედეგად ოსმალეთის გეგმების დაუყოვნებლივი ხორცშესხმა შეფერხდა, ობილისი მაჰმადიანური რეპრესიების დაწყებას გადაურჩა, ხოლო ამასობაში, 1730 წელს, კვლავ განახლდა ირან-ოსმალეთის ომი და ამჯერად ქართლიც — ეს ქვეყანაც ირანის გამგებელ ნადირ-შაჰს მიემხრო. 1735 წელს ყიზილბაშებმა ქართლიდან ოსმალები განდევნეს, მაგრამ ნადირ-შაჰმა თბილისსაც, ქართლსაც, აგრეთვე კახეთსაც კიდევ უფრო მძიმე ბეგარა დააკისრა და თავისი წესების შემოღებაც დაიწყო. ქართველი ხალხი აჯანყდა. აჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. შაჰი შეშინდა, უკან დაიხია. 1744 წელს მან ქართლის მეფედ ქრისტიანი თეიმურაზ II. დანიშნა, ხოლო კახეთის მეფედ — მისი ძე ერეკლე II. მალე, 1747 წელს ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს და მთელი აღმოსავლეთ საქართველო ირანის ბატონობისგან განთავისუფლდა.

ირანი წვრილ სამთავროებად დაიშალა, ქართლ-კახეთი ფაქტობრივად გაერთიანებული იყო, მეფე მამა-შვილი ერთობლივად და შეთანხმებით მართავდა ქვეყანას.

1744 წელს ერეკლე II-მ, რომელსაც ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი აღმოაჩნდა, დაამარცხა თბილისის დაკავების მოსურნე, სამეფო ტახტზე პრეტენზიების მქონე აბდულ-ბეგი, ყიზილბაშებისაგან გაათავისუფლა თაბორის, ნარიყალასა და მეტეხის ციხეები და მამას, თეიმურაზ II-ს შემოუმტკიცა.

ამიერკავკასიაში ჰეგემონობის ვაკუუმი შეიქმნა. მრავალმა სახანომ წამოყო თავი სხვებზე გასაბატონებლად, მაგრამ თეიმურაზმა და ერეკლემ სათითაოდ დაამარცხეს ისინი, ერევნის, ნახჭევანისა და განჯის სახანოები მათ მოხარკეებად იქცნენ. 1751 წელს ერეკლე II-მ ერევნის მახლობლად გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ირანის შაჰობის პრეტენდენტი აზატ-ხანი, ხოლო მომდევნო წელს ჩაშალა შაქი-შირვანის ხანის ცდა ქართლ-კახეთის დალაშქვრისა. 1754-1755 წლებში ქართველთა ჯარმა ზედიზედ დაამარცხა ავარიის ხანი ნურსალ ბეგი, რის შედეგაღაც მნიშვნელოვნად შესუსტდა ყაჩაღური თავდასხმები ქართულ სოფლებზე.

1762 წელს მეფე თეიმურაზ II გარდაიცვალა. ერეკლემ თავი გაერთიანებუ-

ლი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. თბილისი ამ გაერთიანებული სამეფოს სატახტო ქალაქი გახდა.

1768 წელს თბილისს ესტუმრა აბატი იოსებ დელაპორტი, რომელიც ვრცელ ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი თბილისის შესახებ; „იგი არ არის ვრცელი, მაგრამ ლამაზი ქალაქია. მასში ძალიან კარგი შენობებია, საზოგადოებრივიც და საცხოვრებელიც, პალატებიც კი. საუკეთესონი მეფეს ეკუთვნის. მათში ბევრი დარბაზია, რომელთა ფანჯრები მდინარეს და ვრცელ ბაღებს უყურებს. ბაზრები ქვითაა ნაგები და სუფთად ინახება. საფრანგეთში, პირიქით, ბაზრები ამახინჯებენ საუკეთესო და მთავარ ქალაქებს. არის მცირე რაოდენობით აბანოები, მათ ამჯობინებენ სათბურებს. ეს უკანასკნელნი უკლებლივ ქვისაა, კამარებიანი. შუქი ზემოდან ჩამოდის. აბაზანები თლილი ქვისგანაა გაკეთებული. ქართველთა სახლებში სისუფთავეა. ეკლესიები აქ მართლმადიდებლური სარწმუნოებისაა — 13, სომხური — 7, კათოლიკური — 1. საქართველო ქვეყანაა, სადაც სასიამოვნოდ ცხოვრობენ, მას დიდძალი პური, ბოსტნეული და ხილი მოჰყავს. პური და ხორცი ერთობ გემრიელია, განსაკუთრებით გარეული ცხოველისა. კასპიის ზღვას და მტკვარს უხვად მოაქვთ ზღვისა და მდინარის თევზი, აქაური ღორის ხორცი ძალიან გემრიელია. გარეული ღორიც ბევრია. მისი ხორცი კი შინაურზე უფრო გემრიელია. ღვინო ძალიან კარგი აქვთ, და არ არსებობს ხალხი, რომელიც ქართველებზე მეტ ღვინოს სვამდეს.

არაფერია აქაურ ქალებზე უფრო მშვენიერი, — განაგრძობს აბატი, — მე მათ განცვიფრების გარეშე ვერ ვუყურებდი. ამ მიწას სილამაზის საბუდარი შეიძლება უწოდო. აქ ისევე იშვიათად შეხვდები გონჯ ქალს, როგორც სხვა მხარეებში სრულყოფილ ლამაზს. თითქმის ყოველ ნაბიჯზე ასეთები გხვდებიან, არაფერს ვაჭარბებ! ძნელია წარმოიდგინო უფრო წესიერი ნაკვთები, უფრო წერწეტა ტანი, უფრო სასიამოვნო ბორცვები, ვიდრე ქართველ ქალებს აქვთ... უნ მშვენიერი ქართველი ქალები ეტყობა თავს მხოლოდ ისეთ ქმნილებად თვლიან, რომლებსაც უნდა უყვარდეთ და სხვებიც სიყვარულით გამსჭვალონ. მათ მორთულობას რომ შეეჩვევი, არ შეიძლება ვნების გარეშე უყურო.

საქართველოში რწმენის თავისუფლება, მეფობს, აქ არიან სომხები, ბერძნები, ებრაელები, თურქები, სპარსელები, ინდოელები, თათრები, რუსები და სხვა ევროპელები, მაგრამ სომხები ყველაზე მეტნი არიან.

თბილისში ზარბაზნებს ასხამენ, — წერს დელაპორტი, — აკეთებენ მორტირებს და ჭურვებს, მაგრამ თურქულზე უარესებს. არც აქაური თოფისწამალი ვარგა. უმჯობესია მათი კახური ღვინო, რომელიც პონტაკს არ ჩამოუვარდება“.

გარკვეული ხნით თბილისსა და მთელს აღმოსავლეთ საქართველოში მშვიდობა დამყარდა და ქვეყნის ცხოვრებამ აღმავლობა დაიწყო. ერეკლემ დედაქალაქის მისახედად მოიცალა.

თბილისის ახალ უბანზე — რიყეზე, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ავლაბარსა და სოფელ ჩუღურეთს შორის მდებარეობდა, გადიოდა დიდი გზა რუსეთისაკენ ავჭალის გავლით. რიყეში თანდათანობით შენდებოდა სახელოსნოები, ქარვასლა, ბაზარი.

ნავთლუღში, რომელსაც თბილისის საზღვრები სულ უფრო უახლოვდებოდა, ერეკლე II-მ ციხე და გალავანი ააგო და კონტროლის ქვეშ მოაქცია კახეთის გზა ყოველგვარი ხიფათის თავიდან ასაცილებლად.

მაგრამ ხიფათი სულ სხვა მხრით დაატყდა თბილისს: 1770 წელს აქ კვლავ იფეთქა შავმა ჭირმა, რომელმაც 4 ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

ამავე 1770 წელს თბილისში რუსეთის მცირერიცხოვანი ჯარი შემოვიდა „დასახმარებლად“. მას გენერალი ტოტლებენი მეთაურობდა.

საქმე ის იყო, რომ ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთის მეტოქეობას და ინტერე-

სებს ახალი, მზარდი ძალის—ქრისტიანული რუსეთის ინტერესებიც დაუპირისპირდა. მომწიფდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომლის ძირითადი ფრონტი ბალკანეთში უნდა გახსნილიყო. რუსეთს დიდად აძლევდა ხელს, რომ საქართველოს ზურგიდან გაეხსნა ფრონტი ოსმალეთისათვის, რათა იგი იძულებული გამხდარიყო, გაეხლიჩა თავისი ძალები და შეესუსტებინა ბალკანეთის ფრონტი. თავის მხრივ რუსეთი პირდებოდა ერეკლეს და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს, დაებრუნებინა საქართველოსთვის ოსმალთაგან მიტაცებული მიწები.

ერეკლეს და სოლომონს ასევე აძლევდა ხელს ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთთან ერთად ლაშქრობა, რათა თავიანთი ქვეყნები ოსმალთა გამუდმებული თავდასხმებისაგან დაეცვათ და უკან გამოეგლიჯათ მიტაცებული მიწა-წყალი.

რუსეთის დახმარება ამ ფრონტზე გენერალ ტოტლებენის მცირერიცხოვანი ჯარის გამოგზავნით გამოიხატა. და მაინც, ერეკლე II 1770 წლის აპრილს ასპინძისაკენ წავიდა თავისი ლაშქრით და ტოტლებენთან ერთად 20 აპრილს ალყა შემოარტყა აწყურის ციხეს, სადაც ოსმალები იდგნენ.

ტოტლებენი თავხედი, ყოყოჩი, ინტრიგანი კაცი აღმოჩნდა. ბრძოლა დაიწყო თუ არა ალყაშემორტყმულ ოსმალებთან, რომელთა დასახმარებლად მტრის მაშველი ჯარი მოდიოდა, რუსეთის გენერალმა განსაცდელში მიატოვა ერეკლე II და უკან გაბრუნდა. ერეკლემ თავისი საზრიანობითა და უბადლო ტაქტიკური მანევრებით მაინც სძლია ოსმალები, მაგრამ თვითონაც სასწრაფოდ გამობრუნდა თბილისში, საიდანაც საგანგაშო ცნობები მოუვიდა: ტოტლებენი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ერეკლე ოსმალებთან ბრძოლაში დამარცხდებოდა, ოპოზიციურად განწყობილ თავადთა შორის დიდ ინტრიგებს ხლართავდა მეფის წინააღმდეგ ტახტიდან მისი ჩამოგდების მიზნით. ტოტლებენმა შემდგომ მსგავსი ინტრიგები მოუწყო იმერეთის მეფეს სოლომონ I-საც. იგი მხილებულ იქნა ერთობ საეჭვო, მტრულ მოქმედებებში და რუსეთის ხელისუფლებაც იძულებული გახდა თავისი გენერალი საქართველოდან გაეწვია.

ომებისა და გამაჩანაგებელი ეპიდემიის მიუხედავად ერეკლე II-ის ენერგიული მეცადინეობის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფო აღმავლობის გზაზე იდგა. დაიწყო დაცარიელებული მიწების დასახლება თბილისის სიახლოვეს და მთელ ქართლ-კახეთში. თავისუფალი მუშახელი დასაქმებული იქნა ვერცხლისა და სპილენძის მოპოვების საწარმოებში, თბილისის ახლადშექმნილ ზარაფხანაში, თოფ-ზარბაზნების დამამზადებელ ქარხანაში. აღორძინდა მინის, მარილის, საპნის, თამბაქოს წარმოება, მზადდებოდა თიხის ჭურჭელი, აგური, თოფის წამალი. აღზევდა ვაჭრობაც, რომელიც ტრადიციული გზების გარდა ჩრდილოეთითაც, დარიალის გავლით, რუსეთის ბაზრებზე გადიოდა.

ქალაქის მთავარ მოედანს (დღევანდელი ერეკლე II-ის მოედანი) ბატონის მოედანს უწოდებდნენ. იგი ყველა მხრიდან სავაჭრო დუქნებით იყო შემოზღუდული. მოედნის ერთ მხარეს ეკლესია იდგა. აქვე იყო ე. წ. დივანხანა, თოფხანა, ფულის მოსაჭრელი ზარაფხანა, მოქმედებდა სტამბა. მოედანი სწორკუთხა იყო. მასზე ყოველთვის დიდძალი ხალხი ირეოდა: საქმოსნები, ვაჭრები, გამრიგებლები, ჩამოსული უცხოელები, ხელოსნები, კინტოყარაჩოხელები.

მეფე ერეკლე რუსეთიდან და დასავლეთ ევროპიდან იწვევდა სპეციალისტებს და სახელმწიფო საჭიროებისათვის ასაქმებდა ქარხნებში, საბადოებში, სოფლის მეურნეობაში.

გრძელდებოდა ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოების პროცესი. 1783 წლის 23 ივლისს ქალაქ გეორგიევსკში დაიდო რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი, რომლის ძალითაც რუსეთს მფარველობა უნდა გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსთვის, მტრებისაგან უნდა დაეცვა იგი, მტრისაგან მიტაცებული მიწები დაებრუნებინა. ქართლ-კახეთის სამეფო თავის მხრივ რუსეთის იმპერატორის უზენაესობას ცნობდა და მისი ქვეშევრდომი ხდებოდა. ერეკ-

ლე II-ის შემდეგ ქართლ-კახეთის ყოველი ახალი მეფე რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა. რუსეთი კისრულობდა, რომ საქართველოში მუდმივად ეყოლებოდა 2 ბატალიონი 4 ქვემეხით, ომის შემთხვევაში კი ამ ძალებს გაზრდიდა. რუსეთი პირობას დებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში.

მეფე ერეკლემ თბილისში 1784 წლის 24 იანვარს დაამტკიცა ტრაქტატის ძალაში შესვლა.

ტრაქტატის დადებას მტრულად შეხვდნენ არა მარტო მაჰმადიანურ ქვეყნებში, კერძოდ, ოსმალეთსა და ირანში, არამედ დასავლეთის სახელმწიფოებშიც — ინგლისსა და საფრანგეთში.

1785 წელს ავარიის გამგებელი ომარხანი 20-ათასიანი ლაშქრით შემოესია ქართლ-კახეთს და დაარბია იგი.

1787 წლის ივლისში ოსმალეთმა ულტიმატუმი წაუყენა რუსეთს — მოსთხოვა საქართველოდან გაეყვანა თავისი ჯარი და ეცნო ოსმალეთის ბატონობა ამ ქვეყანაზე. აგვისტოში მან ომი გამოუცხადა რუსეთს.

სექტემბერში რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოდან გაიყვანა...

რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის პირობები დაირღვა.

1795 წელს თბილისს 35-ათასიანი ჯარით მოადგა ირანის ფაქტიური გამგებელი აღა-მაჰმად-ხანი. ერეკლე II-მ 5 ათასიანი ლაშქრის შეგროვება შეძლო და კრწანისთან შეეგება მტერს. პირველი ბრძოლები ქართველთა გამარჯვებით წარიმართა. აღა-მაჰმად-ხანი შეფიქრიანდა, მან დანამდვილებით არ იცოდა, რომ ქართველებს ერთობ მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა, მსტოვრებს ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები მოჰქონდათ, ხოლო ერეკლეს სტრატეგიული და ტაქტიკური ნიჭი საქვეყნოდ იყო ცნობილი. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მტერმა გაცლა არჩია. ირანელთა ლაშქარი აყრას აპირებდა და თავისი ქვეყნისაკენ მიმავალ გზას უნდა დადგომოდა, რომ თბილისიდან გაჰარული მელიქი არტემ არარატიანცი დაეწია ირანელთა ლაშქარს, დაარწმუნა აღა-მაჰმად-ხანი, რომ ქართველებს მეტისმეტად მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდათ და მასზე გამარჯვება რიცხვით მათზე შვიდჯერ აღმატებული ირანელებისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. 1795 წლის 11 სექტემბერს მტერი კრწანისის ველზე შეება ქართველობას, თანდათანობით გატეხა ერეკლე II-ის ლაშქრის მედგარი წინააღმდეგობა და თბილისში შემოიჭრა. სასტიკი ხელჩართული ბრძოლები ქალაქის ქუჩებშიც გრძელდებოდა. გამხეცებული მომხდური არ ინდობდა არც ქალებს, არც მოხუცებს, არც მცირეწლოვნებს. დედებს ხელიდან გლეჯდნენ ჩვილ ბავშვებს და მიწაზე ანარცხებდნენ. ცეცხლში წვავდნენ ოჯახებს, იქიდან გამოღწეულებს ხმლებით კუწავდნენ. ადრევე გახიზნულების გარდა ცოცხალი არ გადარჩა თბილისში ჩარჩენილი არცერთი მოქალაქე. მტერმაც დიდი ზარალი განიცადა ერთი მუჭა ქართველობისაგან.

ამ მარცხიდან ორი წლის შემდეგ, 1798 წლის იანვარს მეფე ერეკლე გარდაიცვალა. ტახტზე გიორგი XII ავიდა.

დიდებულთა ერთი ნაწილის წინააღმდეგობისა და ირანის შაჰის მუქარის მიუხედავად ქართლ-კახეთის ახალმა მეფემ გიორგი XII-მ რუსეთს შესთავაზა გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის განახლება და თავისი ძის დავით ბატონიშვილის ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრედ დამტკიცება. რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა ამ თხოვნის შესრულება აღუთქვა.

იმპერატორის კარი პეტერბურგიდან, აგრეთვე მისი მსტოვრები ავადმყოფი გიორგი XII-ის სიკვდილის მოლოდინში ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მცირე ხნის წინ მტრისგან აოხრებული და დაქცეული თბილისის მოვლენებს, რათა არ დაეშვათ დავით ბატონიშვილის ასვლა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე.

1800 წლის 26 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. 1801 წლის 15 იანვარს პავლე I-მა მანიფესტი გამოსცა ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ.

თბილისში ეს მანიფესტი ერთი თვის შემდეგ გამოაცხადეს.

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების აქტი საბოლოოდ დაამტკიცა ახალი მანიფესტით.

უძველესი დროიდან მრავალ საუკუნეს გამოღწეული, მრავალჭირგადავლილი და თითქოს ყველა ხიფათს თავდაღწეული საქართველო მესამე მტაცებელმა, ერთმორწმუნე რუსეთის იმპერიამ გადაყლაპა.

თბილისი ქართული სამეფოს სატახტო ქალაქის ნაცვლად რუსეთის საგუბერნიო ქალაქად გამოაცხადეს.

აქ შეიძლება ოდნავ გავუსწროთ მოვლენებს, არ შევჩერდეთ საქართველოში რუსეთის გაბატონების პროცესებზე და გავეცნოთ კიდევ ერთი ფრანგის, მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლის ალექსანდრე დიუმა-მამის შთაბეჭდილებებს თბილისის შესახებ.

მან 1858 წელს იმოგზაურა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, და დეკემბერს ჩამოაღწია თბილისში. თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მწერალმა გადმოსცა ვრცელ წიგნში „კავკასია". თბილისში შემოსვლის წინ, ცუდი შთაბეჭდილებების გამო, იგი უეცრად ეჭვებმა შეიპყრო: „ნუთუ ეს თბილისი, რომელსაც ასე დიდი ხანია ველოდი და აღთქმული მქონდა, როგორც ქართული სამოთხე, სინამდვილეში მეტი არაფერია, ვიდრე ფუჭი ოცნება". ა. დიუმა იყო, პირველ რიგში, ჯოგირდის აბანოში, თეატრში, ლხინზე, ესტუმრა რამდენიმე ოჯახს, ცხოვრობდა მრეწველის ი. ზუბალაშვილის სახლში... დაახლოებით ერთი თვის თავზე კი, როცა ის თბილისიდან გავიდა ფოთისაკენ, საიდანაც გემით უნდა გამგზავრებულიყო საფრანგეთს, ა. დიუმა ასე დაემშვიდობა ჩვენს დედაქალაქს: „საყვარელი თბილისი! მე ფიქრით გავუგზავნე მას გულითადი დამშვიდობება — მე ხომ ასე კარგად ვიმუშავე აქ!". მწერალმა კარგად გაიცნო აქაურობა, ქართველობა, თბილისელები და, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული შთაბეჭდილებაც შეექმნა მათზე. ა. დიუმა წერს: „ქართველ ერს უყვარს გასცეს იმდენივე, რამდენიც სხვა ხალხებს უყვართ მიიღონ.

— რა აზრისა ხართ ქართველებზე?— ვკითხე ბარონ ფინოს — ჩვენს კონსულს თბილისში, რომელიც სამი წელია მათ შორის ცხოვრობს.

— ეს არის უნაკლო ხალხი, ყოველგვარი კეთილი თვისებით შემკული. მიპასუხა მან, როგორია ეს ქება, ფრანგის პირით ნათქვამი, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველაფერ უცხოზე აუგს ამბობს და თავისთავს ამჯობინებს ყველას?!

ერთი რუსი, სიმამაცით ცნობილი, გვარად შერემეტიევი, მეუბნებოდა: „ეგენი ბრძოლაში უნდა ნახოთ, განსაკუთრებით როცა თავიანთი წყეული ზურნის ხმა ესმით, ადამიანები კი აღარ არიან, არამედ ტიტანები, რომლებსაც ზეცის დალაშქვრაც კი ძალუძთ".

— ეგენი სუფრაზე უნდა ნახოთ, —თავის მხრივ ერთმა ღირსეულმა გერმანელმა მითხრა, — ისე ჩანთქავენ ხუთმეტ, თვრამეტ, ოც ბოთლ ღვინოს, ვითომდაც არაფერიაო.

ფინოც მართალი იყო, რუსიც მართალი იყო, და გერმანელიც მართალი იყო".

თბილისის თეატრი, ა. დიუმას თქმით, „საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, ხოლო სიონის ტაძარი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ყველაზე უფრო დახვეწილი ტაძარია რუსეთში". მეფის ნაცვალ ა. ბარიატინსკის მიწვევით ა. დიუმა სასახლეში შეხვდა ახალ წელს. საახალწლო წვეულების აღწერისას მწერალი შენიშნავს: „აქ იყვნენ ყველაზე უფრო მომხიბვლელი, ყველაზე უფრო გრაციოზული თბილისელი ბანოვანნი".

ა. დიუმა ფრანგ მკითხველს რამდენიმე ქართველს აღუწერს, მათ შორის თბილისელებსაც, და თითქმის ყოველ მათგანს იდეალურ ადამიანად უსახავს (ანა ჭავჭავაძე, ილიკო ორბელიანი, ყმაწვილი ივანე თარხანოვი ანუ თარხან-მოურავი, რომელიც შემდეგ რუსეთის გამოჩენილი მე-

ცნიერ-ფიზიოლოგი გახდა, თავადი ინგერაძე და სხვანი).

ფრანგი მწერალი შეყვარებული წავიდა აქედან, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, დელიკატურად წარმოეთქვა კეხიანი ქართული ცხვირის სადიდებელი...

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ დასავლეთის ბევრი მოღვაწე, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი დიდად აფასებდა საქართველოსა და თბილისის ისტორიულ როლს ცივილიზებული ევროპის აღმოსავლური ექსპანსიისაგან გადარჩენის საქმეში, მოვიყვანთ ორ ამონაწერს: „საქართველომ წარსულში დიდი საქმე გააკეთა და დიდი წინააღმდეგობა გაუწია მონღოლთა შემოსევებს... მტკიცე ზღუდის როლი გაუწია ევროპას, უმადურ ევრპას, რადგანაც ეს უკანასკნელი კარგად ვერ იცნობდა „საქართველოს“ — აღნიშნავს XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ისტორიკოსი, აკადემიკოსი ალფრედ რამბო. არსებითად იმავეს ამბობს ავსტრიელი პროფესორი, მწერალი ჰუგო პუპერტი: „თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპას“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზინა კვერენჩხილაძე

ჩემი ანტიგონე

ანტიგონე კი 20 წლისა იყო და ძალიან, ძალიან მიყვარდა!

ცხოვრებაში ერთი პატარა უმნიშვნელო შემთხვევა, წარმოქმნილი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ხშირად ერთ დიდ ამბად, ერთ დიდ მოვლენად გადაიქცევა ხოლმე, რომელსაც როგორც დასაწყისი, ასევე განვითარება და, რაღა თქმა უნდა, დასასრული აქვს — დასასრული სასიკეთო ან საბედისწერო.

სანამ ამბავი თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს — კულმინაციას მიაღწევდეს, მიზეზი კონფლიქტებისა დროდადრო კვლავ ბადებს ერთმანეთში ჩახლართულ და ერთმანეთისაგან გამომდინარე ახალ-ახალ მოვლენებს, ახალ-ახალ კონფლიქტებს. სიმწვავე უთანხმოებისა თანდათან იზრდება, ვითარდება, ერთიმეორეს ემატება, ჩაიხვევა, ჩაიკვანძება და მიაღწევს იმ უკიდურეს წერტილს, რის შემდეგაც გორგალი უნდა გაიშალოს, დაირღვეს, კვანძი გაიხსნას, რათა გაირკვეს და გამომზეურდეს ჭეშმარიტება. შეიძლება რაღაც კანონზომიერი არსებობს ამ პროცესში, შეიძლება არც არსებობს. ჩემი დაკვირვებით კი, ეს უფრო ადამიანთა შინაგან ბუნებაზე, მათ ნერვული სისტემის სიჯანსაღესა და მათ ჰუმანურობაზეა დამოკიდებული, ვის რა და როგორ ძალუძს, ანდა ვის როგორი უნარი აქვს ადამიანის გაგებისა, მისი შეწყალებისა, მიტევებისა და, რაც მთავარია, თვით საკუთარი საქციელის ობიექტური შეფასებისა.

ასეა თუ ისე, მე მგონი, განგება მაინც ერევა ამგვარ სიტუაციებში, იმისათვის, რომ ადამიანმა შემდგომში მაინც გაითვალისწინოს თავისი შეცდომები, რათა წინდაუხედაობითა და უგუნურებით არ ავნოს არც სხვასა და არცა თავსა თვისსა.

ზუსტად იგივე პროცესი უნდა გაიაროს მსახიობმა სცენური ცხოვრების დროს, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი სცენაზე ხელოვნური და მოკლე, შემჭიდროებულ დროში უნდა მოხდეს.

სცენაზე კონფლიქტები იგება მოქმედ პირთა სურვილების, მათი მიზნებისა და თვალსაზრისის გათვალისწინებით, მოქმედ პირთა ხასიათების ურთიერთდაპირისპირებით, ხოლო ხასიათის გასახსნელად მსახიობმა რითი უნდა იხელმძღვანელოს, თუ არა ცხოვრებისეული გამოცდილებით. თვითონ შეიძლება არ ჰქონდეს განცდილი და გადატანილი მსგავსი რამ, მაგრამ, სხვისა რომ დაუნახავს, მოუსმენია, თუ ამას ოდნავ ფანტაზიასაც დაამატებს, აუცილებლად მიიღებს საინტერესო შედეგს, მხატვრული სახის მისეულ მოდელს. მსახიობი კი

დასასრული, იხ. „მნათობი" № 7—8.

რის მსახიობია, თუ მიღებულ მოდელს ხორცი არ შეასხა, არ გააცოცხლა საინტერესო ფერებით!

ჩემთვის ყველა როლი ძნელი მოსავლელია, იმიტომ, რომ სასაცილომდე სერიოზულად აღვიქვამ იმ საქმეს, რომელსაც ვემსახურები, რომელსაც საკუთარი დროის, საკუთარი გრძნობის, სიყვარულისა და ჯანმრთელობის უმეტეს ნაწილს ვუზიარებ. ერთი სიტყვით, თავს არ ვზოგავ და ხშირ შემთხვევაში მთლიანად გავცემ კიდეც ჩემს შესაძლებლობებს. ამიტომ ვარ, როგორც ამბობენ „სერიოზული". არა, ვიცი, როგორ არ ვიცი, რომ თეატრი ბალაგანია, გასართობი სანახაობა, თამაში-ხუმრობა და ასე შემდეგ, მაგრამ მე მაინც არ ვიზიარებ იმ აზრს, რომ თეატრის ძირითად დანიშნულებას მხოლოდ ეს წარმოადგენს და სხვა არაფერი.

ზოგნი ასე მასწავლიდნენ: „მსუბუქად, მსუბუქად შეხედე ყველაფერს, რაც არ უნდა ტრაგიკულ როლს თამაშობდე, სიცილ-ხარხარით, სტუნვა-ხტუნვით უნდა ემზადებოდეო". მე გამეღიმებოდა და უმალ გავეცლებოდი. მიკვირდა: როგორ ვერ ხვდებოდნენ, რომ სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა გენისა და სხვადასხვა მრწამსის ადამიანებს არანაირად არ შეიძლება ქცევის ერთი და იგივე რეცეპტი გამოუწერო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესმის, ასე მჯერა... და ნამდვილად ასეა.

თვითონ მე სცენაზე ჩემი საკუთარი მრწამსით ვცხოვრობ და ვმოქმედებ, ამიტომაც სცენა ჩემი დაუხარჯავი ენერგიის, აუხდენელი ოცნების, მოქალაქეობრივი პოზიციის, სულის ზეობისა და თავგანწირვის გამოვლენის არედ ვაქციე-ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ შემეძლო განა ასკინკილითა და სიცილ-კისკისით მივდგომოდი არსს ჩემსას და მიზანს ჩემი ცხოვრებისას?.. რა თქმა უნდა, არა!

მეორე მოქმედება ანტიგონეს დაკითხვით იწყებოდა. ეს სცენა დრამატურგიულად და რეჟისორულადაც მყარ, გამართულ ლოგიკაზე იყო აგებული. ერთიც მართალი იყო და მეორეც. თუ ორივე მართალია, მაშინ რაღაშია უთანხმოება, — იკითხავს კაცი, რატომ [illegible] ერდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო [illegible] ნე და კრეონი ერთმანეთს, რა ვერ გაიყვეს: ტახტი, ქონება, თუ? არც ერთი და არც მეორე, თუმცა ერთიცა და მეორეც, აი, ამ ულოგიკო ლოგიკაში იყო მთელი სირთულე — და მთელი მომხიბვლელობა. სირთულე იყო ძალთა განაწილებაში, ხოლო მომხიბვლელობა კი — „რეალურობაში", რადგან რეალურად გეძლეოდა საშუალება, გარდა ავტორისეული ტექსტისა, უფრო ზუსტად, ავტორის ტექსტზე დაყრდნობით, გეთქვა შენი საიქმელი, გამოგეხატა შენი დამოკიდებულება ადამიანებისა და საერთო ცხოვრების წესის მიმართ, იმ უმსგავსოთა მიმართ, შენს წინ დროდადრო კუნძებად რომ ამოიზრდებოდნენ და ხშირად დაბრკოლებას გიქმნიდნენ.

ვინ დააწესა ცხოვრების წესი, ანდა რა მისი საქმეაო, თუ ვინმემ გაიფიქრა, — ისიც მართალი იქნება, რადგან უფლის წინაშე ყველა მართალი და ყველა მტყუანია და, მიუხედავად ყველაფრისა, შენ... შენ მაინც მტკიცედ დააბიჯებ შენი გზით, მარად შეურყეველი, სხვისი არა გინდა რა, უღირსს ახლოს არ იკარებ, შენი კრედო გაქვს და იცი, რომ ღვთის ნებით, შენს გზას ვერავინ დაიკავებს. შეიძლება რომელიმე მოშურნემ ვერ აგიტანოს, წინ გადაგირბინოს, შეგაშფოთოს და უკან დაგხიოს, მაგრამ, ღირსებას შენსას მაინც ვერას დააკლებს, რადგან იმასაც თავისი გზა აქვს, გზა უკულმართი, მიხვეულ-მოხვეული და სიბნელეს ჩვეული, სინათლეზე წამით ყოფნა გაუსაძლისი იქნება მისთვის.

ივნისი იდგა. ზაფხული ძალაში შედიოდა. იგრძნობოდა, რომ სულ მალე ხვატი ჩამოდგებოდა. სუნთქვა ჭირდა; მაგრამ ჩემთვის მაინც კარგი და განსაკუთრებულად გამორჩეული დღეები იყო, რადგან ყველა რეპეტიცია, ყოველი შეხვედრა სავსე იყო აზრით, შრომით, იმედებით, სიყვარულით. ეს იყო უმაღლესი სკოლა აქტიორული ხელოვნებისა.

ოთახში სამნი ვიყავით: ბატონი სერგო, ბატონი მიშა და მე.

— მე მგონი, — თქვა ბატონმა მიშამ, მიუბრუნდა ბატონ სერგოს, საერთოდ, ასე იცოდა ხოლმე, როცა სამნი ვიყავით სარეპეტიციო ოთახში: მთელი ყურადღება ბატონი სერგოსკენ ჰქონდა მიმართული, და მართებულადაც! განა ბატონი სერგო არ იყო მესაჭე იმ გემისა, რომელიც სულ მალე აბობოქრებულ ზღვაში უნდა გასულიყო?

— თქვენი სცენა, — განაგრძო ბატონმა მიშამ, — ნამდვილ ბრძოლის ველად უნდა ვაქციოთ.

პაუზა. წყვილი გაოცებული თვალი, სიჩუმეა... მეტყველი სიჩუმე. გულის მომატებული რიტმით ვიგრძენი, თუ როგორ ამოძრავდა ჩემი ნერვული წნულის ყველა წერტილი და მგრძნობიარე გადამცემი მუხტით როგორ მოედო მთელ სხეულს. ასევე სწრაფად მთელი სიგრძე-სიგანით ამუშავდა შინაგანი ხედვა და უმალ ამოატივტივა ის ორმოცდახუთწუთიანი გააფთრებული ორთაბრძოლა, რომელზედაც ბატონი მიშა ასე გატაცებით ლაპარაკობდა ხოლმე ყოველთვის და, რაც მთავარია, ბრძოლა უნდა ყოფილიყო არა ხმლით, არამედ სიტყვით, აზრით, ლოგიკით, სადაც სიტყვა იქნებოდა მათრახივით მოქნილი და ჯავარდენივით მჭრელი, ფარად კი — „გული, გონება და სული“.

დაუოკებელმა სურვილმა წამსვე ამანთო და ბრძოლად განმაწყო, მოდი და, ნუ აენთები, როცა საშუალება გეძლევა, შენს სიცოცხლეში ერთხელ და შეიძლება უკანასკნელადაც გამოავლინო და განავითარო ის მაგიური კოდი ადამიანობისა, უფალმა რომ გაიმეტა და ჩადო შენში და აქამდე რომ არავინ არაფერი იცოდა; შეამოწმო საკუთარი თავი და შენი ზნეობრივი კოდექსი, აწონ-დაწონო, გაარჩიო მრუდე და მართალი, ბოროტი და კეთილი, ერთი სიტყვით — დაიბადო, დაიბადო კიდევ ერთხელ. მაგრამ ეს დაბადება, ბიოაქტისაგან განსხვავებით, უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი იქნება შენთვის. ამაშია თეატრისა და დრამის ძალა. დრამა გეხმარება იპოვო თავი შენი, აღმოაჩინო და შემდეგ ... ცენო პიროვნება შენში.

ELIBRARY.GE

თვალი ბატონი სერგოსკენ გამექცა და რას ვხედავ: მაგიდაზე დაყრდნობილს თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული, მოძალებული აზრები და სურვილები შუბლსა და საფეთქლებში რომ უბათქუნებდნენ, — თითქოს ასე აწყნარებდა და აშოშმინებდა.

შემეშინდა, ავფორიაქდი. უმალ უკან დავიხიე. ბატონმა მიშამ ჩვენი შინაგანი აღტკინება დაფიქსირა და განაგრძო:

— ზუსტად ისე, როგორც მოკრივეები იბრძვიან ხოლმე რინგზე, ბრძოლის ყველა ეთიკის დაცვით — რაუნდებითა და მსაჯებით.

— ყველა — ყველა მაგრამ რაუნდი და მსაჯი როგორ უნდა გავიგო, — ჩავიბურდღუნე.

— როგორ და უბრალოდ, თქვენი მსაჯი მაყურებელი იქნება, რაუნდი კი — თქვენი შერკინება, პოზიციების შეჯახება, ხოლო გონგი, ანუ შესვენება — მუსიკალური პაუზა, მუსიკალური წუთშესვენება, გასაგებია?

— კი, მაგრამ ეს გონგი, ანუ, როგორც შენ ამბობ, მუსიკალური პაუზა თუ წუთშესვენება, სპექტაკლის მსვლელობის დროს რაღაა — გაღიზიანებული ტონით იკითხა ბატონმა სერგომ.

— კი, ბატონო, ახლავე აგიხსნით. უფრო გასაგები რომ გახდეს, — თქვა ბატონმა მიშამ, — ისევ მოკრივეების მაგალითს მოვიშველიებ. მე როგორც ვიცი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, რინგზე ბრძოლის დრო განსაზღვრულია და დაყოფილია რაუნდებად, სულ სამი რაუნდი. ყოველი რაუნდის ბოლოს ჩამოჰკრავენ გონგს. ეს იმის მაუწყებელია, რომ ბრძოლის ერთი ეტაპი უკვე დამთავრდა და მოწინააღმდეგეებმა, ანუ მოკრივეებმა, უნდა დაისვენონ. ისინი იქვე, მოედანზე, იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილს, რომ შემდეგი რაუნდისათვის სული მოითქვან და ძალა მოიკრიბონ. მე მგონი, თქვენი დიალოგის არქიტექტონიკაც ამავე პრინციპზე უნდა იქნეს

აგებული. ჩვენს ენაზე რომ გადმოვიტანოთ, ასე იქნება:

რინგი — სცენა, სამოქმედო მოედანი;

რაუნდი — მოვლენა, რომელიც უნდა გათამაშდეს;

გონგი — მუსიკალური პაუზა, ანუ წუთშესვენება;

მსაჯი — მაყურებელი.

— მწვრთნელი — შენ, — იხუმრა ბარონმა სერგომ.

— მოკრივეები — თქვენ, — სიამოვნებით გაეპასუხა ბატონი მიშა.

იმდენად ვიყავი იმ წუთას იდეებითა და აზრებით სავსე, რომ აღფრთოვანებისაგან ფეხზე წამოვვარდი. ადგა ბატონი სერგოც, გაიარ-გამოიარა, ერთიორჯერ ღრმად ამოისუნთქა და თავჩაქინდრული სწრაფადვე დაბრუნდა თავის ადგილზე. ბატონი მიშა კი ჩაფიქრებული იდგა. შერჩენილ ღიმილზე ეტყობოდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო. რითი? ეს უკვე მხოლოდ მან იცოდა. უცნაური რამ მოხდა: რამდენიმე წამს სამივე ვდუმდით. ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, ითქოს რომელიღაც პიესიდან სცენას ვთამაშობდით. სამივეს ერთი და იგივე განცდა გვაერთიანებდა და გვაწვალებდა, მაგრამ ერთმანეთს არ ვუმხელდით, ქმედითი ვარაუდები კი გროვდებოდა, ეს მუხტს გვმატებდა, აღფრთოვანება — სურვილს, და ანთებული თვალებით შევცქეროდით ერთმანეთს. რაღაცას ვუცდიდით, რაღაცას ველოდით.

საოცარია სპექტაკლზე მუშაობის პროცესი. უნდა გითხრათ, რომ რეპეტიციები ცალკე შესწავლის საგანია. ჩემი ღრმა რწმენით, ისიც სპექტაკლია — მეორე სპექტაკლი, რომელიც ძირითადის პარალელურად მიმდინარეობს, თავისთავად, დამოუკიდებლად და ალბათ ანანაკლებ ზემოქმედებითი უნარი ექნებოდა, ეს პროცესი რომ სადმე ფიქსირდებოდეს, ანდა ვინმე ფირზე იღებდეს. ამ პროცესში იმდენი გულწრფელობა, თავისთავადობა, იმდენი მრავალფეროვნება და სახიერებაა, რამდენიც ხშირად ტექნიკურად ბრწყინვალედ გამართულ სპექტაკლებსაც კი არ გააჩნიათ. ტექნიკურად გამართული სპექტაკლები, მოგეხსენებათ, მაყურებლისადმი ეფექტს იწვევს მხოლოდ, და არა აღფრთოვანებას. აღფრთოვანების საგანი კი მსახიობია. ცოცხალი ადამიანი, მისი ქცევა და სისადავე, უშუალობა, ფერთა სიუხვე და სირბილე, ბგერათა ჰარმონია და მიმზიდველობა. და ჩვენ ხომ ამას ვესწრაფვოდით, ამისათვის ვიკლავდით თავს, ამისათვის ვიშველიებდით ნანახს, მოსმენილს, წაკითხულს, ყველაფერს, რაც ჩვენი მხედველობის, სმენის, შეგრძნების, შეხებისა თუ აზროვნების არეში მოხვედრილა და ჩარჩენილა წლების მანძილზე. სამივე ვდუმდით. სამივეს ვამბობ, იმიტომ, რომ როცა რეჟისორი თავის ჩანაფიქრს დამდგმელ ჯგუფს განდობს, იმ მომენტიდან იგი ისეთივე სრულუფლებიანი წევრია მომავალი სპექტაკლისა, როგორც ჩვენ — მსახიობები. უფრო მეტიც, რეჟისორი ხომ თავის ფიქრებში, თავის გულში ატარებს პიესის ყველა პერსონაჟს, ე. ი. ყოველ ჩვენგანს, ჩვენთან ერთად იბრძვის და იღვწის სპექტაკლის ზეამოცანის შესასრულებლად მისი საბოლოო გამარჯვებისათვის.

ბატონ სერგოს დიდი მარაგი ჰქონდა კრეონის სრულყოფილი სახის შესაქმნელად, ფიზიკური ძალა, ახოვანება, გამჭრიახობა, შრომისუნარიანობა, რომანტიკა და სენტიმენტალობა, ჭკუა და გამოცდილება. ამიტომაც ადვილად ქმნიდა, ადვილად ძერწავდა, კიდევ და კიდევ ამუშავებდა და მოთმინებით ირგებდა მომავალი მბრძანებლის სამოსელს. მისი ხასიათისა და ქცევის ყოველ დეტალს, ყოველ სიტყვას, მიხვრა-მოხვრას, ყველაფერს, რაც კი ცოცხალ ადამიანს სჭირდება... და ტრიალებდა სცენაზე დიდი, მეტყველი მექანიზმი, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე ოპერაციის ვირტუოზულად ჩატარება შეეძლო. ბატონი მიშა კი, როგორც სწორუპოვარი კონსტრუქტორი, ისე მიუგდებდა ხოლმე იმ აუცილებელ და ძალზე მნიშვნელოვან დეტალს, ოქროს ჭანჭიკივით რომ სჭი-

რდებოდა მსახიობს მხატვრული სახის, თავის ქცევა-ქმედებათა დასამაგრებლად და მიღებული მოდელის გასამყარებლად. აი, ეს დეტალებიც:

პლედი — კუბოკრული ფოჩებიანი მოსასხამი;

მძივი — თეთრი, მსხვილი მარგალიტები;

სკამები — შვიდი, ყავისფერი, მაღალზურგიანი;

ლარნაკი — შავი, ოქროსფერი ყვავილებით მოჭიქული;

ბურთი — ორფეროვანი;

თხილი — ქაღალდის პატარა პარკში ჩაყრილი.

თავისთავად ეს ნივთები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა, მაგრამ მოქმედებაში ფასდაუდებელი შენაძენი იყო მსახიობისა და მთლიანად სპექტაკლისათვის.

პლედი — ეს ჩემი რეკვიზიტი იყო, ჩემი დეტალი, უფრო სწორად ანტიგონესა და ჩემი — ჩვენი ხასიათის დანამატი.

როცა ძალიან გამიჭირდებოდა, ან სითბო და განმარტოება მომინდებოდა, მაშინ პლედი თავშესაფრის როლს ასრულებდა. ბატონმა მიშამ მითხრა კიდეც, როგორც გინდა ,ისე გამოიყენეო. ჰოდა, როცა ძალიან გამიჭირდებოდა, მეც მაშინ ვიყენებდი, გადავიფარებდი თუ არა, წამსვე საკუთარ თავში ჩავიკეტებოდი, ჩავბრუნდებოდი. ეს საქციელი, ბატონი მიშას ჩანაფიქრით, გულწრფელი ბავშვის ხასიათზე მიანიშნებდა, ანდა, როცა სცენა, ანუ სცენური ქმედება ისე არ აეწყობოდა, როგორც ამოცანით იყო წინასწარ გათვალისწინებული, და გზადაგზა დაშვებული შეცდომები მტანჯავდა და მაწვალებდა, მაშინ პლედი მხსნელად მოგვევლინებოდა. მივვარდებოდი, ძალუმად ავაფრიალებდი და, სანამ ძირს დაეშვებოდა, სკამზე მოხერხებულად ვისკუპებდი და თვალის დახამხამებაში პლედის ქვეშ აღმოვჩნდებოდი, მაყურებლის თვალს მოფარებული, ცოტას წავიტირებდი, სირცხვილს ჩამოვირეცხავდი და, როგორც კი გადავიხდიდი, სინდისი აღარ მქენჯნიდა და უფლება მქონდა, სცენა გამეგრძელებინა. ეს ლაშქრობა [illegible] ალიან მიყვარდა: ერთი, [illegible] — [illegible] თავან მიფარავდა, და მეორე: კეთილმოსურნე ადამიანივით, უნებლიე საქციელისა და გუნება-განწყობილების სწრაფ ორიენტირებაში მეხმარებოდა.

მძივი — თეთრი მარგალიტები, ისმენეს ყელზე რომ ბრდღვიალებდნენ, ასევე დიდმნიშვნელოვანი დეტალი იყო სპექტაკლისათვის.

ისმენე — ზეინაბ ბოცვაძე — ლამაზი და კაფანდარა, მომხიბლავი და ცბიერი, ქალური ბედნიერების მაძიებელი. მისთვის სულერთი იყო ყველაფერი, თუნდაც ქვა-ქვაზე არ დარჩენილიყო, ოღონდ თვითონ ეცხოვრა კარგად. ამას იგი არც მალავდა და ის მონოლოგი, რომლითაც ისმენე ცდილობდა ცხოვრებისაკენ ანტიგონეს შემობრუნებას, ბატონმა მიშამ ზუსტად გაანაწილა გაფანტული მარგალიტების მოგროვებაზე. ყოველი მარგალიტის პოვნა მონოლოგის აზრობრივი აქცენტი იყო. თვით ძიების პროცესი კი —აზრიდან აზრზე გადასასვლელი ხიდი. ამით მსახიობიც შენიღბა და სპექტაკლსაც აარიდა მოსალოდნელი უხერხულობა. საერთოდ მონოლოგი რთულია და ძნელად ასათვისებელი. ამიტომ ხშირად ყალბი პათოსისაკენ უბიძგებს ხოლმე მსახიობს, თუ, რა თქმა უნდა, ტექსტი არ აიგო ისეთ ფიზიკურ მოქმედებაზე, თუნდაც ამ შემთხვევაში რომ მოიფიქრა ბატონმა მიშამ. ამ დეტალებმა წინ წამოსწია და ნათლად წარმოაჩინა ერთ სისხლ და ერთ ხორც მოვლენილ ადამიანთა საპირისპირო ხასიათები, განასხვავა ცხოვრებისეული პოზიციები და მსოფლმხედველობა მათი.

კრეონს ჰყავდა ერთი პატარა მსახური, როგორც ბატონმა მიშამ გადაწყვიტა — მდივანი, რომელიც დიდი, გაოცებული თვალებით და ხელში დიდი საქაღალდით გამუდმებით უკან დასდევდა თავის პატრონს. არ ლაპარაკობდა და არც რაიმეზე ჰქონდა აქტიურად გამოხატული რეაქცია. იყო ჩუმად და მორჩილებით ასრულებდა მეფის დავალებებს.

ეს იყო მარინა ჯანაშია — ისეთივე პატარა და მომხიბლავი, როგორც მისი გმირი, უჩვეულოდ დიდი და სევდაჩამდგარი თვალებით, ხშირად უხერხულ მდგომარეობაში რომ აყენებდა თვით კრეონს და უამრავი კითხვითა და სათნოებით რომ აღავსებდა მაყურებლით სავსე დარბაზს.

საოცარი ფიზიკური შეფარდება იყო სცენაზე. მთასავით ამართული ბატონი სერგო და თეთრბაფთიან ხავერდის სამოსელში გამოწყობილი ფიქრიანთვალება ბიჭი, სუსტი, პატარა. ისიც საოცარი იყო, რომ ამ გიგანტის ფონზე ბიჭი ერთობ ძლიერად გამოიყურებოდა. მისი სიძლიერე იმ რთული ამოცანის დაძლევაში გამოსჭვიოდა, მარინას რომ ჰქონდა მიზნად დასახული. ძუნწი გამომსახველობითი საშუალებებით, თითქმის სტატიკური ფორმით უნდა გამოეხატა ბატონ მიშას ჩანაფიქრი. მისი სახით სპექტაკლში უნდა ყოფილიყო, ანტიგონეს გარდა, კიდევ ერთი წმინდა სული, რომელიც კრეონს დროდადრო შეახსენებდა, რომ ის ადამიანია და ისეთი სასტიკი ბრძანებები, რომელთაც ის სცემდა, ცოდვა იყო, — ცოდვა ღვთისა და მრეველის წინაშე; რომ ანტიგონეს მაგალითზე იზრდებოდა ახალი ცვლა, რომელიც იქნებოდა სიმართლისა და სათნოების დამცველი. სწორედ აქ გამოიყენა ბატონმა მიშამ კიდევ ერთი დეტალი—ბურთი. ეს ბურთი კრეონს უფრო სჭირდებოდა, ვიდრე მის პატარა მსახურს, რადგან პატარა უკვე ბრძენი იყო და არა უბრალოდ პატარა მსახური. ამიტომაც მოიტანა კრეონმა ბურთი და უთხრა: — აჰა, შენ, წადი და ითამაშეო — რათა თავიდან მოეშორებინა მსაჯული მისი. გაოცებული ბიჭი ბურთს გამოართმევდა ხოლმე და ასევე გაოცებული თვალებით გადიოდა სცენიდან. რადგან მიუხვდა ბატონს განზრახვას.

მარინა ჯანაშია ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულთა შორის შეიძლება ჩაითვალოს. მოწესრიგებული, მიმზიდველი აქტიორული მისი ბუნება, სავსე იყო გულწრფელობითა და აღქმის სიმართლით, გაოცებითა და ბედნიერებით. ბედნიერება იყო მისთვის ბატონ მიშა, ვისი დარიგებითა და [illegible] ზრდებოდა და ყალიბდებოდა მისი სამსახიობო მომავალი. ბედნიერი იყო მისთვის მთელი გარემო, და რაც მთავარია, ბატონი სერგო. მასთან სიახლოვე, პარტნიორობა და მისი ბრწყინვალე რეპეტიციების გამო სიხარულით აღვსება. ამ სპექტაკლმა გამარჯვება მოუტანა მარინას და, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება, სად და ვისთან აიდგა პირველად ფეხი სცენაზე.

თხილი. ეს საოცარი მოფიქრებაც ზუსტად გამოხატავდა ჩლუნგი და სულით მათხოვარი ადამიანის ბუნებას. იმ დროს, როცა ანტიგონეს ცად ამაღლება იწყებოდა, ეს უსულგულო ჩაფარი ჯიბიდან თხილს იღებდა და ისეთი ხმაურით ტკვერდა, რომ სმენადქცეული მაყურებლის ამაღლებულ განცდას დიდად შეურაცხყოფდა და ზიზღით თვალს არიდებდა. მე ხომ საერთოდ დანახვაც აღარ შემეძლო მისი. რამდენადაც მსახიობი ბორია წიფურია ოსტატურად აკეთებდა და ასრულებდა თავის ამოცანას, იმდენად უფრო მზარავდა და მეკარგებოდა ზღვარი მხატვრულ სახესა და მის შემსრულებელს შორის. ეს უსიამოვნო შეგრძნება დიდხანს მიმყვებოდა და ამის გამო ხშირად არ მიყვარდა იგი. ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც შემდეგ უნდა მოემოქმედებინა. ეს მისი უხამსობის კულმინაციური წერტილი იყო, შემზარავი და ცინიკური.

როცა კრეონის ქვეშევრდომმა სიკვდილმისჯილ ანტიგონეს თავის შესაქცევად თხილი შესთავაზა და... „რა მოხდა მერე, ჭამე — და თან დააყოლა, — ასე დრო უფრო მალე გაივლისო“, აქ უკვე არაადამიანურობის მხატვრულ-გამომსახველობითი რეჟისორული ხერხი იმდენად ნათელი და გამძაფრებული იყო, იმდენად გამოკვეთილად უსვამდა ხაზს ჩაფრის საქციელის ცინიზმს, რომ ეს ცინიზმი პიროვნულ ჩარჩოებს სცილდებოდა და განზოგადებულ ფორმასა და ხასიათს იძენდა. ამით ბატონი მიშა მა-

ყურებელს საშუალებას აძლევდა, კიდევ ერთხელ ჩაეხედა კრეონის შიდა პოლიტიკურ საქმეებში და მისადმი ინტერესი უფრო გაეზარდა.

ბატონი მიშა მეორე მოქმედებას და, კერძოდ, ჩვენს სცენას — ანტიგონესა და კრეონის დიალოგს — დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ხაზგასმით მიანიშნებდა მის იდეურ აუცილებლობაზე. დროა, — ამბობდა იგი, — ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ახალგაზრდობას ვინმემ მაინც უთხრას სიმართლე. ლაპარაკობდა ყოველთვის გატაცებით, შემართებით, ხან კი ჩრდილი მოეფინებოდა სახეზე და მოიწყენდა, დაფიქრდებოდა, იქნებ არაო, — ჩუმად იტყოდა და მრავალწერტილს დაუსვამდა, ბოლომდე არ ამბობდა, არ აკონკრეტებდა, არ ასახელებდა ზოგიერთებს, ჩვენს გარშემო მყოფთ, რომლებიც კრეონის პროტოტიპებად გამოდგებოდნენ, რომელთა საქმიანობასა და არაადამიანურ თვისებებს ძალიან კარგად ვიცნობდით. ერიდებოდა, წვალობდა. მიეხვდი, რომ მასაც სურდა, ჩვენი მეშვეობით ეთქვა ის, რასაც წლების მანძილზე ჩუმად გულით ატარებდა; ვერა და ვერ გაარღვია ის დაწყევლილი რკალი, რომელშიც აღმოჩნდა და რომელიც ვიღაცის ნებით თუ უნებლიედ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, მარწუხებივით უჭერდა და ახრჩობდა.

ფიქრით ავედევნე ბატონი მიშას წუხილს და პარალელურად ვიხსენებდი ომის დროიდან მოყოლებულ ცხოვრების გზას — გზას, რომელმაც დიდი დაღი დაჩნია ჩემს სულს.

მართალია, ბავშვური შთაბეჭდილებები ჯერ ღრმად გააზრებული არ მქონდა, მაგრამ მაინც მახსოვდა ადამიანის დამცირებისა და უსაფუძვლო შეურაცხყოფის რამდენიმე საშინელი ეპიზოდი, შემდგომ პერიოდში კი — ხელმოცარულთა განდიდების, ლაქიათა აღზევების, ხაპიათა ბოგინობისა და კიდევ სხვა უმსგავსობათა ბევრი მაგალითი.

ჩემი ძმა, განსაკუთრებული აზროვნების — თავისუფალი კაცი იყო. დიახ, პატარა ბიჭი იყო კაცი — პიროვნება.

ომისდროინდელი თაობა, ვისაც კი სულისმიერი ორიენტაცია ექნებოდა, თვითონ ვიკაფავდით გზას, თვითონ ვანერგავდით საკუთარი თავის აღზრდას. ძალადობისა და სისასტიკის ფონზე, მართალია, ძნელი იყო, სულიერი წონასწორობის დაცვა, ჩვენც იმავე მორევში ვტრიალებდით, მაგრამ მაინც იყო ის ხელშეუხებელი და მოუხელთებელი, რასაც ჩვენი დუხჭირი ცხოვრების შელამაზება შეეძლო. ეს იყო ოცნება. ოცნება იყო სულიერი საზრდო ჩვენი. ოცნებამ დაგვახარბა: ცოდნას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ტექნიკას, ფიზიკურ შრომას — ყველაფერს, რასაც კი ბავშვის დამშეული გონების გამოკვება შეეძლო. ამაში ვხედავდით ხსნას, გმირობას; ამით გვინდოდა გვეშველა, გადაგვერჩინა შელახული და მიწასთან გასწორებული ბავშვური თავმოყვარეობა ჩვენი.

ღალატმა, დაუნდობლობამ, ქურდბაცაობამ, შურისძიებამ და უსამართლობამ ადრე აგვიხილა თვალი. დაგვანახა და გვასწავლა, თუ როგორები არ უნდა ვყოფილიყავით. ბავშვური გონება, მართალია, ჯერ ვერ სწვდებოდა იმას, თუ საპირისპიროდ რა უნდა გვეღონა, ან რა უნდა გვეკეთებინა, რომ მათგან განსხვავებულნი ვყოფილიყავით. მაგრამ თურმე ეს არ ყოფილა მთავარი. მთავარი და არსებითი, როგორც შემდგომმა ცხოვრებამ დაამტკიცა, იყო ის, რაც მაშინ ჯერ კიდევ სულ პატარებმა მყარად ვიცოდით: როგორი არ უნდა ყოფილიყო სამყარო, როგორები არ უნდა ვყოფილიყავით ჩვენ, როგორი არ უნდა ყოფილიყო მეგობარი, ქალი, კაცი და, საერთოდ, ადამიანი.

ადამიანსა და მხეცს შორის დაკარგულმა ზღვარმა დაგვაფიქრა, მიგვაჩვია განსჯას და სამართლებრივი თვალთახედვით დასკვნების გამოტანას, ამიტომ იყო, რომ წლების მანძილზე მტკივნეულად განვიცდიდი და განვიცდი დღესაც, რაც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას, ხელყოფს ბუნებისაგან განსაზღვრულ მის ისედაც ხანმოკლე სიცოცხ-

ლეს. ამიტომ ავენთე ასეთი სწრაფი სურვილით და ბატონი მიშას ნათქვამმა — სცენა ბრძოლის ველად უნდა ვაქციოთო — გამახსენა ის კონკრეტული, მომაკედინებელი შემთხვევები, თავს რომ დამატეხეს სხვადასხვა დროს როგორც შვილს, როგორც დას, როგორც მოქალაქეს და როგორც ადამიანს, როცა გული გამიპეს და შემირყვნეს ბავშვური რწმენა, როცა უსუსურობისა და ასაკის გამო ვერაფერს ვამბობდი და მოთმინებით ვიკლავდი გულში ყოველივეს. ვითმენდი, მაგრამ არ ვპატიობდი, არ შემეძლო. ალბათ ბავშვური მაქსიმალიზმი გძლევდა, — მითხრა ერთხელ ჩემმა ახლობელმა, მაგრამ არა! როცა უკვე სიცოცხლე დამთავრდა და წინ აღარაფერი მაქვს, გარდუვალობის გარდა, მე მაინც იგივე შეგრძნება და იგივე ტკივილი მაქვს იმ უსასტიკესი დანაშაულის გამო, ჩემს თვალწინ რომ ჩაიდინეს და რომლის გამოსწორება მე არ შემეძლო.

ბიჭს კი სულაც არ ენაღვლებოდა, არც არავის ეძალებოდა, დადიოდა, სიბრძნეს აფრქვევდა, აფხიზლებდა, ანათლებდა, ჰყვებოდა მთისას და ბარისას, ჰყვებოდა ლაღად, მსუბუქად, ასურათხატებდა, მუსიკალურად აფორმებდა, საკუთარ თავზე ოხუნჯობდა და მსმენელს აღტაცების ცრემლს ჰგვრიდა, რისთვისაც ბევრმა შეიყვარა, მაგრამ ჩუმად, თავისთვის, გარკვეულ დრომდე, სანამ სჭირდებოდა, სანამ მისი ბატონი გაიგებდა... ერთმა არაკაცმა კი, იმის შიშით, რომ თავისი მონობის დამადასტურებელი საბუთი და ჯინჯილები არ დაეკარგა, სახლიდან გამოაგდო: როგორ გაბედე ჩემი მფარველ-მარჩენლების აუგად ხსენებაო. ბიჭს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და ხშირად ხუმრობდა იმ კაცის გამოძეტყველებაზე, როცა თაროზე ჩამწკრივებულ მის წითელყდიან ტომებს ხელით შეეხო. მართლაც სასაცილოა, რას იზამ, ასეთია პატარა ადამიანის ბუნება. ის კაცი დღესაც შესანიშნავად გრძნობს თავს, რადგან უმაღლეს დონეზე იცის მისადაგებისა და ფერიცვალების ტექნოლოგია. იყო წითელი, ახლა მწვანეა და ღმერთმა ნუ ქნას, გახდეს ყვითელი. გახსენებამ ისევ ჩამკეტა; ისევ დამეშვრა ნაბიჯ-ნამყაროს. არ არის გასაკვირი, ჩემი ბრალობები ძალზე ღრმაა და მტკივა ისევ — მტკივა!

— ზინა!

— დიახ, ბატონო მიშა!

— სადა ხარ?

მე ჩამეცინა, არ ვიცოდი, რა მეთქვა. ვერ გავიგე, რა მკითხა.

— აქ, ბატონო მიშა, — და გაოცებულმა ირგვლივ მიმოვიხედე. ბატონი სერგო აღარ იყო. გამიკვირდა, ნუთუ რეპეტიცია უკვე დამთავრდა? ამდენი დრო გავიდა? კი, მაგრამ ბატონი სერგოს გასელა როგორ გამომრჩა, — შევწუხდი.

— წადი ახლა შინ.

— კი, ბატონო მიშა.

ისეთი დაბნეული და შერცხვენილი გავედი, რომ დამშვიდობება დამავიწყდა. კიბეები ჩავირბინე. რაღაცა გამახსენდა. ჩანთა, დავბრუნდი. ბატონი მიშა ისევ იქ დამხვდა.

— რა მოხდა?

— ჩანთა დამრჩა.

— მე გეკითხები, წელან რა დაგემართა? ოჯახი ძალზე დაძაბული, ნერვიულად ტუჩებს იკვნეტდი და წარამარა შუბლზე თმას ისწორებდი. ჩვენ საერთოდ არ ვარსებობდით შენთვის.

— მართლა? არ ვიცი.

— კარგი, კარგი, წადი.

— ნახვამდის.

— ნახვამდის.

რას ნიშნავს, ჩვენ არ ვარსებობდით შენთვისო. ესე იგი გამინაწყენდა? ვაითუ ბატონი სერგოც ასე ფიქრობს? მაშ, რატომ წავიდა უჩუმრად? ეჩქარებოდა? არა, შეუძლებელია. სხვა საქმისათვის რეპეტიციას როგორ მიატოვებდა? ეს გამორიცხულია. იქნებ გარდასულ დღეთა ექომ შეიპყრო ისიც და განმარტოება უნდოდა ჩემსავით. იქნებ ჩვენც არ ვარსებობდით მისთვის? მეორე დღეს იწყებოდა პიესაზე მუშაობის ყველაზე რთული და ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი — სპექტაკლის იდეის გამოკვეთა, კულმინაციის დაძლევა. როგორ მითხრა?

— ჩვენ აღარ ვარსებობდით შენთვისო. ნუთუ მართლა ასე იყო? ალბათ ასე, რაკი ბატონი მიშა ამბობს ამას. ეს კარგია. ესე იგი, მოქმედების ძლიერმა სურვილმა და არანაკლები სიძლიერის წარმოსახვამ გარკვეული რადიუსით დამაშორა იქ მყოფთ, ჩამკეტა და ჩემს გარშემო თავისით შემოიხაზა მარტოობის რკალი, რომელმაც მის მიღმა მყოფი სამყარო მექანიკური გახადა. და, რა თქმა უნდა, ისინი აღარ არსებობდნენ ჩემთვის. რადგან მე კონტაქტი მქონდა ჩემს საკუთარ შინა სამყაროსთან, აქტიურად ვეძებდი იმ მტკივნეულ და არსებით მომენტებს, რომლებიც მსჯელობის, პოზიციის ბრალდებისა და, საერთოდ, დიალოგის ხერხემლად გამოდგებოდა. განავითარებდა და გაამწვავებდა ჩვენს შორის კონფლიქტს — შეხედულებათა შეხლა-შემოხლას. ამიტომაც ამოტივტივდა პირველ პლანზე ჩემი ძვირფასი ადამიანი, მისი ცხოვრების მძიმე და ცრემლიანი ეპიზოდები...

მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად უკვე მზად ვიყავი, მაინც გული მეთანაღრებოდა, თითქოს რაღაც მაკლდა. ეჭვი მღრღნიდა: ვაითუ ჩემმა სატკივარმა სათანადო მასშტაბი ვერ შეიძინა, ვერ გაიშალა, ვერ განზოგადდა, მაშინ... რა ექნა?

დაეჭვებამ საკმაო დრო წამართვა, დამღალა, გამალიზიანა. ფიზიკურადაც თავს ცუდად ვგრძნობდი, ძალა არ მყოფნიდა. ერთი სიტყვით, ავად ვიყავი. ამას დაემატა ისიც, რომ ბატონი სერგო ყურადღებას აღარ მაქცევდა. ადრე, სხვა სპექტაკლებზე მუშაობის დროს, მახსოვს, რომ სულ თვალყურს მადევნებდა, ხან საყვედურით, ხან დარიგებით, ხან დაყვავებით, ხან ისე, ყოველი შემთხვევისათვის, მაგრამ გზადაგზა მაინც შემაწევდა ხოლმე სიტყვას. ახლა კი მტრად გამომაცხადა და, მგონი, საერთოდ განმიდგა.

და ვიყავი ასე, ბედის ანაბარა მიტოვებული. აკი დასაწყისში თქვა კიდევაც ბატონმა სერგომ — ა, ბატონო ბურთი და მოედანიო, — და როცა მოწინააღმდეგის პირისპირ მოედანზე გამოვედ[illegible] მოწინააღმდეგე ხომ [illegible] ასე და ასე დამამარცხეო. იგივეა სცენაზეც.

იმ დღეს მაინც განსაკუთრებით მიჭირდა, მთელი სხეული მტკიოდა. ბატონმა მიშამ დამამშვიდებელი და თავის ტკივილის გამაყუჩებელი აბები მომცა. ის იყო დავლიე და ჩამოვჯექი, რომ კარი გაიღო და ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოქრიალდა. არც მიმიხედავს — ხმაზე ვიცანი, ვინც იყო.

— ისვენებთ? — იკითხა ყალბი სითამამით. ისარივით მომხვდა გულში მისი უპატივცემულო ტონი. მე ტკივილებისაგან ლამის გული შემიწუხდეს, იქით ბატონი სერგოც არ არის გუნებაზე, ბატონი მიშაც დაღლილია, ჰაერი გაჯერებულია სიცხის ოხშივარით. ეს კი დგას და უზნეო ბავშვივით აგრძელებს ტიკტიკს: აბა, მაჩვენეთ, რა გაკეთეთო. დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, გადასკვნილი ხელები მუხლს შემოაჭდო და ნაძალადევი ღიმილით ისევ გაიმეორა, — აბა, მაჩვენეთ!

გამოვენთე და პირდაპირ მივახალე: — თქვენ თუ აქ სანახავად მობრძანდით, ტყუილად გარჯილხართ, ამისათვის არსებობს სხვა დრო, სპექტაკლის „ჩაბარება“ ანდა პრემიერა, დღეს კი რიგითი რეპეტიციაა, რეპეტიცია და სანახავი, ჯერჯერობით, არაფერია, მითუმეტეს თქვენთვის, — და იქვე დანადგარზე ჩამოვჯექი.

ბატონი სერგო არ განძრეულა, ისევ ზურგით იჯდა. მე მგონი, ჩემზე უარეს დღეში იყო. ბატონი მიშა გაოგნებული შემომცქეროდა. უხერხული პაუზა ჩამოვარდა. ბატონმა სერგომ ჩაახველა თუ ჩაიცინა, ვერ გავიგე. ისიც ვერ გავიგე, ის მაჟორული ქალბატონი როგორ გაქრა ოთახიდან.

— რა გააკეთე? — მისაყვედურა ბატონმა მიშამ.

— არაფერი. რაც ეკადრებოდა, ის მივუზღე.

— ასე როგორ შეიძლება?

— აბა ისე შეიძლება?

— რა შენი საქმეა!

— მართალია, გეთანხმებით, ჩემი საქმე არ არის, თუმცა რატომ არ არის ჩემი საქმე! ჩემი თანდასწრებით რომ შეურაცხყოფა მოგაყენათ, როგორ უნდა ამეტანა? თვალი დამეხუჭა და „რა ჩემი საქმეა"-ს პოლიტიკა მეხმარა? მაშინ მე ხომ მე აღარ ვიქნებოდი.

— არავის არ სჭირდება ეგ შენი „მე", — უფრო გამიბრაზდა, არა, კი არ გამიბრაზდა, საერთოდ გაბრაზდა ბატონი მიშა.

— სჭირდება, სჭირდება, ჩემს შვილს სჭირდება, მე მჭირდება, ჩემს მეგობრებს... — და ვიგრძენი, რომ დიალოგი, რომელიც ჩვენს შორის გაიმართა, ანტიგონესა და კრეონის დიალოგს წაგავდა, ოღონდ ამ კამათში შემოვიდოდა კონკრეტული თემა, თემა მარადიული — ადამიანი და მისი დანიშნულება ცხოვრებაში. პატარა შესვენების შემდეგ ისევ გაგრძელდა რეპეტიცია.

არაჩვეულებრივი რბილი ტონით დაიწყო კრეონის ტექსტი ბატონმა სერგომ. ასეთი ტონი, შეიძლება მხოლოდ მშობელს ან ყოვლად ბრძენს ჰქონდეს თავისი შვილის ან თავისი შეგირდის დაუშვებელი, მაგრამ სწორი, მართებული საქციელის გამო, მისი პირველი და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი სწორი გადაწყვეტილების მიღების გამო. ამით ბატონმა სერგომ ბევრი რამ მითხრა, ბევრ სასიკეთოზე მიმანიშნა. აი, თურმე, რატომ დუმდა და რატომ გამიყვანა ბრძოლის წინა ხაზზე, როგორც კი ამის საშუალება შეიქნა. ეს იყო გამოცდა, მსახიობური ალღოს შემოწმება. შემეძლო თუ არა გაუთვალისწინებელ ვითარებაში, სათანადო რეაქციის გამოხატვა და მერე მომენტალურად მისი გამოყენება. მივხვდი, რომ ბატონმა სერგომ ამით გამოცდა ჩაიბარა და მგონი ნიშანიც კარგი დამიწერა. ამან, რა თქმა უნდა, ფრთები შემასხა, რწმენა შემმატა და მთელის შეგნებით ჩავები დიალოგში. მე ხომ სწორედ ეს მაკლდა — დამოუკიდებლობა. თვითკონტროლმა ხასიათი წამიხდინა და გაუბედაობა დამიმკვიდრა.

მიუხედავად მთელი რიგი სირთულეებისა, რასაც ბევრი უსახელოებდა — ამჰყვა, ის დღე მაინც იდეალურ მეძთხვევად ჩამრჩა მეხსიერებაში.

როგორც კი მოვაგროვე სულიერი ფასეულობანი ჩემი, ოღონდ დავწყნარდი, რადგან უკვე შემეძლო, შევჭიდებოდი დიდზე დიდ საქმეს, მოქალაქეობრივი პოზიციის დაცვას. დაიცვა შენი აზრი, დაუპირისპირდე უზნეობასა და სიყალბეს, თუნდაც სიცოცხლე გაიღო მისთვის — განა პატარა საქმეა? ეს პიროვნული თვისებების გამოვლენაა, ადამიანის წარმოჩენა. ეს დიდი საქმე, რომელსაც ახლა ანტიგონეს დახმარებით უნდა შევჭიდებოდი, იყო ჩემი დიდი ხნის სურვილი, ფარული ოცნება, იდეა ფიქსი.

ბედნიერად ვიგრძენი თავი, როცა უკვე დავრწმუნდი, რომ შემეძლო საკუთარი თავის მართვა, როცა უკვე შემეძლო პირდაპირ შემეხედა კრეონისათვის თვალებში და მეთქვა ისე, როგორც იმ მაჟორულ ქალბატონს ვუთხარი: რომ სიყალბე არა ყოფილა და არც არასოდეს იქნება სიკეთის საფუძველი: რომ პატივმოყვარეობა თავმოყვარეობის ლახვარია; რომ შური, შენიღბული ცბიერებითა და ცინიზმით, მომაკვდინებელი ბანგია და სხვა არაფერი.

ბატონ სერგოს დიდი შემართებითა და არაჩვეულებრივი სიძლიერით მიჰყავდა თავისი გმირი ზეამოცანისაკენ, ქმედების სიზუსტე და სახიერება ალამაზებდა მის ჰაბიტუსს, შესახედაობასა და ახოვანებას კი მასშტაბურს ხდიდა. იშვიათად თუ შეხვდება კაცი ასეთ სცენურ სრულყოფილებას, როგორიც ბატონი სერგო იყო კრეონის როლში, ძალიან მიყვარდა და მეამაყებოდა მასთან ერთად სცენაზე გამოსვლა. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ჟესტი, ყოველი მოძრაობა დიდი შრომითა და ფაქიზი რუდუნებით იყო ნაძერწი. კრეონი ვირტუოზი ხელოვანის, უმაღლესი ხარისხის, დიდი ემოციური ზემოქმედების ფერწერული ტილო იყო, და, რამდენადაც მხიბლავდა და მიზიდავდა ეს სცენური სრულქმნილება, იმდენად არ მიყვარდა და მძულდა მისი

კრეონი, მძულდა, რადგან მატყუებდა, რადგან სცადა რწმენა შეერყია ჩემთვის, რადგან ცდილობდა ნათესაურ გრძნობებზე თამაშით გულის აჩუყებას, რადგან არ დაერიდა ყოვლად სათუთ, ფარულ გრძნობას — მშობლების ხსოვნას, რადგან შერყვნა ყველა და ყველაფერი, რაც მის მოსვლამდე არსებობდა და რადგან ყოველივე ამის შემდეგ უტიფრად შველას მთხოვდა. მე კი... მე კი არც შველა შემეძლო და არც პატიება მინდოდა. არ მინდოდა რაიმე საერთო მქონოდა მასთან, თუნდაც მისი ვაჟიშვილი ჰემონი, რომელიც ჩემი სულის ნაწილად ითვლებოდა უკვე, — ზუსტად ისევე, როგორც ცხოვრებაში არ ვინდომე და თავისი ადგილი მივუჩინე ჩემსავე შექმნილ და შელამაზებულ გრძნობას, როცა დავრწმუნდი, რომ ის ჩემი რჩეული ყოვლად უღირსი აღმოჩნდა. „ანტიგონეშიაც“ ხომ ყველას თავისი მიეზღო და მათ შორის მეც — სიკვდილი, ცხოვრებაში კი — დუმილი. ეს ერთი და იგივეა. ასეთი ანალოგები ყოველთვის დიდ სამსახურს უწევენ ხელოვანს თავის შემოქმედებით საქმიანობაში, რადგან სულის საიდუმლოებანი ამდიდრებენ შემოქმედის პალიტრას და განუმტკიცებენ ცხოვრებისეულ პოზიციას.

ორთაბრძოლის დედააზრი, ბატონი მიშას ბრწყინვალე გააზრებითა და რეჟისორული ხერხებით, ზუსტად და ლამაზად იყო გამოკვეთილი მთელს სპექტაკლში. მოვლენათა რიგის ყოველი მონაკვეთი გამოყოფილი იყო მუსიკალური წუთშესვენებით — მუსიკალური პაუზით. საუკუნის პიანისტის სვიატოსლავ რიხტერის შესრულებით შუბერტის „ლენდლერისა და ალეგრეტოს“ მუსიკა ორგანულად ერწყმოდა და ეხმიანებოდა ჩვენს სულიერ განწყობილებას. ყოველი ასეთი პაუზის შემდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი იწყებოდა და მეც ახალი შემართებით ვიწყებდი მორიგ შეტევას და ხშირად ვიგერიებდი. კიდეც გააფთრებულ ტირანს და ვაღწევდი სასურველ შედეგს. ზოგჯერ ისე გავერთობოდით კამათში, რომ ორივე ვკარგავდით სცენაზე ყოფნის შეგრძნებას და აზრთა დაპირისპირება ნამდვილ პიროვნულ ჭიდაობად გადაიზრდებოდა ხოლმე. ბატონ სერგომ მე ბატონს ვთხოვდი ჩემი ძმის გამო. ალბათ გაუკვირდება ვინმეს: კრეონი რა შუაშია, ან იმ ამბავს რა კავშირი აქვს ამასთანო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ კავშირი პირდაპირი და არსებითია. კრეონის სახით მე ბრალს ვდებდი და ვეკითხებოდი ყველას: რატომ? რისთვის? ვის რა დავუშავეთ? მართალია, მაყურებელი ვერ შიფრავდა ჩემს ქვეტექსტს, მაგრამ მას ხომ ესმოდა ჩემი გულწრფელი განცდა, მართალი სიტყვა, და ეს იყო მთავარი.

ერთ-ერთ სპექტაკლზე ბატონმა სერგომ ისე მაგრად მომიჭირა მაჯებზე ხელი, რომ ფრჩხილები გამილურჯდა და პულსი გამიჩერდა, ალბათ, გულიც გამიჩერდებოდა, დროზე რომ არ გავეშვი. ცრემლები ჩამომცვივდა უფრო წყენისა, ვიდრე ტკივილისაგან. ამ სცენაში სისუსტე არასოდეს გამომიჩენია, სულ მახსოვდა ბატონი მიშას დარიგება, არ შეგეცოდოს საკუთარი თავიო, მაგრამ ახლა ფიზიკური ქმედება იმდენად გადახრილი იყო სცენური პირობითობისაგან, რომ მართლა შემეცოდა საკუთარი თავი და გული ამიჩუყდა, — ასე რატომ გამიმეტა ბატონმა სერგომ-მეთქი და ავტირდი. ამის მერე მქონდა ასეთი ტექსტი: „თქვენ ისე მაგრად მომიჭირეთ ხელი, რომ გამიშეშდა და აღარ მტკივა“. მაგრამ ვერ ვუთხარი. ვერ ვუთხარი ისე, როგორც უნდა მეთქვა — გამომწვევი ნიშნის მოგებით. ჩემს პასუხში იგრძნობოდა საყვედური, ბატონმა სერგომ წამსვე გამიშიფრა ჩემი პასუხის ქვეტექსტი და გაოცებისაგან მზერა გაუჩერდა. ძის მზერაში ახლა მე ამოვიკითხე: „ნუთუ მართლა გატკინეო“, — და დამინდო, აღარ გადამაგდო იმ ძალითა და გამეტებით, კრეონის სისასტიკით რომ მაგდებდა ხოლმე ყოველთვის. ეს ყველაფერი წამის მეასედებში ხდებოდა. ყველასაგან შეუმჩნევლად, მაგრამ ეს წამები იყო ნაწილი იმ უბედნიერესი წუთებისა, დროის იმ მონაკვეთისა, რომელიც მსახიობმა სცენური ცხოვრების დროს უნ-

და გაატაროს. ბედნიერებაა ისიც, როცა პარტნიორს ესმის შენი, როცა შენ თვითონ გჯერა, რაც სცენაზე ხდება. როცა ყოველი შეფასება გულწრფელია და გეკარგება ზღვარი რეალობასა და სცენურ პირობითობას შორის. ჩვენც ხომ იმისათვის გავჩნდით ქვეყანაზე, რომ ვინმეს ესმოდეს ჩვენი, ვიყოთ მართლები, გვიყვარდეს ბუნება და ნიჭი მისი — სიცოცხლე, სიჯანსაღე და თავისუფლება.

ამ სიმართლემ, გულწრფელმა ურთიერთობამ, აღტაცებამ და სიყვარულმა დაბადა ის ბრწყინვალე სპექტაკლი, სადაც ყველამ იცოდა, თუ რისთვის იყო სცენაზე, რა ევალებოდა, როგორ უნდა ემოქმედა და როგორ უნდა ეცხოვრა მოცემულ პირობებში, სადაც ყველას თავისი ადგილი და თავისი განუმეორებელი ფერი ჰქონდა, თუნდაც ქალბატონი ნელი მგალობლიშვილის ევრიდიკეს პორტრეტულ სახეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მოქმედების მანძილზე ერთი სიტყვაც არ ჰქონდა, ქალბატონი ნელი მაინც სპექტაკლის ულამაზესი ფერი და მისი ორგანული ნაწილი იყო. მაღალი ჯიშის ღირსებით, მეფური ბრწყინვალეების დიადემითა და დახვეწილი ასკეტური გამომეტყველებით დადიოდა იგი სცენაზე და ქსოვდა. დადიოდა, ქსოვდა და შიგ აქსოვდა თავის დარდსა და ფიქრებს, სიხარულსა და ტკივილებს, განვლილ ცხოვრებასა და იმ დარჩენილ წუთებს, რომლებსაც სულ მალე, მოქმედების ბოლოს, შვილის სიკვდილთან ერთად, თვითონვე საკუთარი ხელით შეწყვეტდა, დაასრულებდა სიცოცხლეს და გარდავიდოდა იმ ქვეყნად. და ეს ყოველივე — ბატონი მიშას რეჟისორული ალღოსა და უშრეტი ფანტაზიის წყალობით.

ჩვენი დიალოგის აღმავლობა და სიმძაფრე პიესის სიუჟეტური ხაზის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და კვანძის გახსნისაკენ შურდულივით მიექანებოდა. ბატონი სერგო თავს არ იზოგავდა, არ ერიდებოდა არანაირ ფიზიკურ დატვირთვას, ოღონდ როლის სასურველი შედეგისთვის მიეღწია, ოღონდ წინ გადასდგომოდა და შეეჩერებინა გარდუვალი კატასტროფა. მე კი მის საპირისპიროდ — ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა დამეჩქარებინა ნგრევისა და დაშლის პროცესი, რომ ამით საბოლოო დარტყმა მიმეყენებინა, მემხილებინა უსუსურობა და მოჩვენებითი გონიერება მისი. რამდენადაც ბატონი სერგოს — კრეონს შიშის ზარს სცემდა მოახლოებული რისხვა ღვთისა და განგებისა, იმდენად მე — ანტიგონეს — მახალისებდა და ზეამოცანისაკენ მიმაფრენდა.

ბრძოლა იყო უკომპრომისო, შეურიგებელი, მაგრამ სამართლიანი და ამაღლებული. ბავშვივით წრფელი და ბრძენივით აზრგამართული ბატონი მიშა კი კმაყოფილი მაინც არ იყო. კიდევ რაღაცაა საჭიროო, — გაიძახოდა.

— კარგი, მიშა, რა, ხომ არ უნდა დაგეხოცო, შე კაცო!

— არა, ბატონო სერგო, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ..

— რა მაგრამ, დეკორაციას ხომ ვერ დავხრავთ, რა ვქნათ ახლა მეტი?

— არა, ბატონო სერგო, არაფერი. თქვენ ეს არ გეხებათ... თქვენ არაფერი არ გინდათ, თქვენთან ყველაფერი რიგზეა.

— აბა, მაგას უნდა? მაშინ, ბატონო, სპექტაკლი ვეღარ გაგიშვია და ეს არის.

— რატომ, ბატონო სერგო?

— მე გითხარი და აწი შენ იცი.

ახლა ბატონი მიშა გაიბუტა. თავი ჩაღუნა და ბავშვივით საკუთარ ხელებს დაუწყო თამაში. ბატონი სერგო კი შუა ოთახში იდგა და ყოყლოჩინა ბიჭივით ზევიდან დასცქეროდა. რატომ დაატყდა ასე უცებ თავზე მეხივით, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ იმ წუთში მათ შეხედვას არაფერი სჯობდა. სიცილისაგან ვიგუდებოდი და ხველა ავიტეხე. ბატონი სერგო ისევ დაჟინებით დასცქეროდა უმძრახად მჯდომს. ბატონმა მიშამ რამღენჯერმე თვალი გააპარა მისკენ, მაგრამ ხმა არ გასცა. მერე საათზე დაიხედა და ჩანთაში ფურცლების ჩალაგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო. უკვე გასაგები იყო, რასაც აპირებდა.

— შენ გელოდები, მიშა. გააგრძელე, თქვი ახლა, რა გინდოდა.

— არა, არაფერი. ისეთი არაფერი. მე მხოლოდ იმისი თქმა მინდოდა, მაგრამ, არ ვიცი, თქვენ როგორ გაიგებთ.

— კაცო, შენ თქვი და ჩვენ გავიგებთ. რა ამისთანა გაუგებლები ვართ ახლა ჩვენ, — სთქვა ბატონმა სერგომ და თვალი ჩამიკრა. მე გამეცინა, მაგრამ წამსვე გაბადრულ სახეზე ხელები ავიფარე, ბატონ მიშას რომ არ დაენახა და არ სწყენოდა.

ვუყურებდი ორივეს და სათნოება მავსებდა. სათნოება იმის გამო, რომ გიგანტები მართლა ბავშვებს დაემსგავსნენ და სიყვარულიანი ხუმრობა სერიოზულ ჩხუბად აქციეს. განსაკუთრებით კი ბატონი მიშა, პატარა ბიჭივით გაბუსუნებული რომ იჯდა და ხმას არ გვცემდა.

ბატონი სერგო არ მოეშვა.

— კაი ახლა, მიშა, დავილიე კაცი. გვითხარი რამე!

ბატონმა მიშამ იფიქრა, მართლა ბუტიაობა არ გამომივიდესო, და დაიწყო:

— ეს დიალოგი, — თქვა ბატონმა მიშამ, — ეს დიალოგი სიმფონიურ მუსიკასავით უნდა ,ყღერდეს, თავისი ტემპორიტმით, ადაჟიო და ანდანტეთი, ალეგრეტო და ალეგროთი, ფორტე და ფორტისიმოთი — ისე, როგორც დიდ სიმფონიურ ორკესტრში მუსიკალური თემის კულმინაციური ნაწილი, ყველა საკრავის, განსაკუთრებით კი დასარტყამი საკრავების აგრეგალებით არის გამოხატული და გადმოცემული. ზუსტად ასევე, ჩვენი დიალოგის ფინალურ ნაწილშიც საჭიროა და აუცილებელი ემოციური ნაკადის ისეთი ძალის აგრეგალება, სცენაზე ქარბორბალასავით რომ დატრიალდება და შემდეგ მთელ დარბაზს მოედება. აი, რა მაკლია მე — ფორტისიმო — ვნებათა ღელვის ქარტეხილი, დასარტყამ საკრავთა ხმიანება. დღეს ვიფიქრებ ამაზე და ხვალ ვილაპარაკოთ, კარგი?

არც ერთმა არ ვუპასუხეთ. არც ბატონ სერგოს უნდოდა წასვლა. ბატონ მიშამ.

მეორე დღეს ძალიან ადრე მივედი. ბატონი სერგო იქ დამხვდა. მივესალმე. ხმა არ გამცა, თავი კი დამიკრა. მერე ადგა და გავიდა. ვერ მოითმინა: უნდოდა ბატონ მიშას გარეთ შეხვედროდა. მართლაც რამდენიმე წუთში ორივენი საკმაოდ კარგ ხასიათზე შემოვიდნენ. განსაკუთრებით ბატონი სერგო იყო აღტაცებული.

— უჰ, რა კარგი მოგიფიქრებია, მიშა, ჰა, შენ გაგახარა ღმერთმა, რა კარგი! ბეც როგორ გამიადვილე ამით საქმე! მერე მაგის ამბავი რომ ვიცი, ნაწილებად აქცევს ყველაფერს, — თქვა და ბავშვივით ახითხითდა, — არა, ხომ წარმოგიდგენია, ჰა, ყოველი სკამის მოქნევა გულში ხანჯალი იქნება ჩემთვის, — ისევ აგრძელებდა სიცილს.

— მოქნევა კი არა, დაცემა.

— ჰო, ჰო, დაცემა... დაცემა. სკამის ძირს დაცემა — გულში ხანჯლის დაცემა, — იხუმრა ბატონმა სერგომ, — მერე, რა ზუსტად დაედება ჩემი ტექსტი, რა ზუსტად, ჰა, მიხვდი, ხომ მიშა, რომელზედაც გეუბნები? „ერთი შეგახედა, რას დაემსგავსეო“, — რომ ვეუბნები, გახსოვს?

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, ბატონო სერგო.

— თქვენი დიალოგი, — განაგრძო გუშინდელი საუბარი ბატონმა მიშამ — თქვენი დიალოგი იმდენად საინტერესოა და შთამბეჭდავი, რომ მე მინდა, ამ მშვენივრად აწყობილ დიალოგს ასეთივე მშვენიერი და შთამბეჭდავი ფინალიც ჰქონდეს. წეღან ბატონმა სერგომ კი იხუმრა, მაგრამ კარგად იხუმრა. ყოველი სკამის ძირს დაცემა მართლაც ხანჯლის დაცემა იქნება მისთვის გულში, მაგრამ იმ საქციელს, რომელსაც მე ახლა შემოგთავაზებ, აუცილებლად სჭირდება გამართლება და საფუძველიც. წინააღმდეგ შემთხვევაში ფორმა ფორმად დარჩება და შინაარსსაც ჩრდილს მიაყენებს — მნიშვნელობას დაუკარგავს.

საფუძველი გვაქვს: პოზიციათა პრინციპული უთანხმოება, შეუთავსებლობა, რის გამოც მთელი შენი ფსიქოპარატი მიმართული გაქვს ერთი სურვილის აღსრულებისაკენ: უარი უთხრა კრეონს და მის დამთრგუნველ პოლიტიკას. ეს გასაგებია. ახლა, რაც შეეხება ამ დიდი სურვილის გამოხატვის საშუალებას — ფორმას, კერძოდ, სკამების ძირს დაცემასა და გამართლებას.

როცა კრეონი დამცინავად გეტყვის, რომ ზუსტად მამაშენივით ლაპარაკობო, — მისი ზღვარს გადასული კადნიერება მამის აუგად ხსენების გამო, რაღა თქმა უნდა, დაგიკარგავს წონასწორობას და ეცდები, პასუხად რაიმე იღონო. ასეთ დროს, როგორც უკვე ვიცით, სიტყვას წინ უსწრებს ხშირად რაიმე ფიზიკური ქმედება, შეიძლება ალოგიკურიც, მაგრამ მკვეთრად გამოხატული ჟესტიკულაცია. ამ შემთხვევაში, რა შეიძლება გააკეთო? ან უნდა შებრუნდე და ზურგი შეაქციო შენთვის ყოვლად აუტანელ პიროვნებას, ანდა იხმარო ფიზიკური ძალა. ბუნებრივია, შენ ვერც ერთს ვერ მოიმოქმედებ. ჯერ ერთი, ამოცანა უნდა ბოლომდე მიიყვანო და ამის დრო არა გაქვს; მეორე — უბრალოდ, გოგო ხარ და არ შეგწევს საამისოდ ძალა. გრჩება ერთადერთი და არსებითი — ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა, ამიტომ მე გთავაზობ შემდეგს: როცა გინდა დაუდასტურო კრეონს, რომ შენ ხასიათის სიმტკიცით დიახაც მამაშენს ჰგავხარ, და ამას რამდენჯერმე იმეორებ, რადგან გეამაყება — „ჰო, ჰო, ზუსტად მამაჩემივით, ზუსტად მამაჩემივით“ — აი, აქ მე მინდა, და სცენა ამის საშუალებას იძლევა, რომ იხმარო რამე ჟესტი, კერძოდ: ყოველ დასტურზე, ე. ი. ყოველ „ჰო“-ზე მთელის ძალითა და შეგნებით წაჰკრა ხელი სკამს. სკამი ხმაურით ძირს დავარდება, ხმაური უფრო გაგახელებს, ამას მოჰყვება მეორე, მესამე და ასე შემდეგ — რამდენიც დაგჭირდება ემოციის დასახარჯავად. ეს იქნება, როგორც მიხეილ ჩეხოვი განმარტავს, ფსიქოლოგიური ჟესტი, ხელის მოძრაობით გამოხატული სურვილი და განზრახვა და, რამდენადაც ძლიერი იქნება შენი სურვილი, იმდენად ძლიერი იქნება შენი ჟესტიც. ასე გამოხატავ პროტესტს იმ პედანტი ადამიანის მიმართ, რომლისთვისაც მხოლოდ გარეგნული ფორმა და გარეგნული სახეა მთავარი და, გარდა გამოხატვის ფორმისა, ამაში შენი ქმედების ძირითადი აზრიც იქნება ჩადებული, შენი გამჭოლი მოქმედება. კრეონის მიერ გეომეტრიული სიზუსტით დაწყობილი სკამების დარღვევით და დაშლით შენ სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ სტრუქტურაშიც იჭრები — მმართველობის პროგრამაში. რომლის ფორმულაც სრულიად მიუღებელია შენთვის. ამრიგად, შენ ანგრევ და ამსხვრევ იმ სისასტიკეს, რომელიც დიქტატორის გონებამ შექმნა და ჩამოაყალიბა.

— ა, ბატონო, შენი ზეამოცანაც, — თქვა ბატონმა სერგომ.

— მართალს ამბობს ბატონი სერგო, ამიტომ ეს ხერხი ყოველნაირად გამართლებულია და მისაღები. ა

— მესმის, ბატონო მიშა, მაგრამ ეს ძნელი იქნება ჩემთვის.

— რატომ იქნება ძნელი, თუ ამოცანას ზუსტად შეასრულებ. უნდა გითხრა, რომ ეს ყველაფერი შენი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე მოვიფიქრე. გამახსენდა შენი მსჯელობანი ამა თუ იმ პრინციპულ საკითხებზე, ლაპარაკის ტონი, ჟესტი, ინტონაცია — რა მდაბალნი და უბადრუკნი არიან ხალიებიო, მარტო თავისთავზე რომ იყურებიან და ცას ერთხელაც არ შეხედავენო, ამიტომაც არ მიყვარს ისინი და მათთან ურთიერთობაო, — შენ არ გაიძახოდი და გაიძახი ისევ?

— მართალია, ბატონო მიშა, მაგრამ...

— აბა, ახლა გაიხსენე, რას ამბობს ანტიგონე მსგავსთა მიმართ.

— ისინი ძაღლებს ჰგვანან, ყველაფერს ლოკავენ, რაც კი შეხვდებათო, მათი ცქერაც, ღიმილიც ამაზრზენიაო, — ასე არ არის?

— ა, ბატონო, საკვირველია, ღმერთმანი, — თქვა სახეგაბრწყინებულმა ბატ-

ონმა სერგომ, — მსგავს მოვლენებზე, მსგავსი რეაქცია, სასწაული თუ გინდა, ეს არის, — მერე უფრო ახლოს მოვიდა, დაიხარა ჩემკენ და მითხრა:

— მე კი იმათი წარმომადგენელი ვარ, ვისაც შენ და ანტიგონე შეერთებული ძალებით ვერ იტანთ, არ გიყვართ. ესე იგი, მე თქვენი მოწინააღმდეგე ვარ, შენი მოწინააღმდეგე, გასაგებია? — და სიამოვნებით ახითხითდა.

ისეთი შენელებული რიტმით, ისეთი მომნუსხავი, რბილი ხმითა და დაჟინებული მზერით ჩამძახოდა ყოველი სიტყვის მნიშვნელობას, რომ, შთაგონების რკალში მოქცეულმა, ინერციით ვუპასუხე: — დიახ, ბატონო სერგო.

— მართალს ამბობს ბატონი სერგო, გამოიყენე, — მით უმეტეს, კონკრეტულად თუ იცი, ვისზედაც უნდა ილაპარაკო. თუ ფაქტებიც ანალოგიურია, რაღა გიშლის ხელს? მე მგონი, არაფერი. ახლა მთლიანად შენს ძალასა და თვითშეგრძნებაზეა დამოკიდებული და, თუ ყოველივე ამას სისტემაშიც მოიყვან, მაშინ მივიღებთ იმ სასურველ შედეგს, რომლისთვისაც ამდენი ხანია თავს ვიკლავთ, და ის ინტონაცია, რომელიც სულ მაკლდა, გაიჟღერებს სრული ჰარმონიულობით, — მითხრა ბატონმა მიშამ. ისეთი დიდი სტიმული იყო ჩემთვის მათი ერთობლივი აზრი და უხვად გამოვლენილი სიკეთით ურთიერთშევსება, რომ მის განხორციელებას მართლაც აღარაფერი ედგა წინ.

...და ინგრეოდა, იმსხვრეოდა გადაჭარბებული სიზუსტით დალაგებული სკამები, ოცნებით ნაგები კოშკები და ის გვირგვინი, მეფის გვირგვინი, ჯერაც რომ ვერა და ვერ მოერგო თავზე კრეონს.

გრგვინავდა სცენა და მაყურებელს თავისკენ მოუხმობდა, მოუწოდებდა სიტყვის სათქმელად, სამოქმედოდ, განსასჯელად. იდგა ერთი ზარ-ზეიმი სცენაზე, — ზარი დაცემისა და ზარი ამაღლებისა, ზარი ნგრევისა და ზარი შენებისა, ზარი სინდისისა და ზარი მოვალეობისა. თეატრში მოსული მაყურებლის გულში კი შენდებოდა ტაძარი [illegible] სულისა და სავედრებელ[illegible]

ბატონ მიშას თქმისა არ იყოს, თითქოს, მართლა, ეს დეტალიღა აკლდა მხოლოდ, ისეთი სხივი შემატა ამ სცენამ სპექტაკლს. ასეთი ბედნიერი არაოდეს ვყოფილვარ საკუთარი მრწამსის გამოვლენაში, როგორც აქ — ანტიგონეში. ეს იყო მართლაც დიდი სიმფონიური მუსიკის დამამთავრებელი აკორდი. აკორდი გმირული შემართებისა, პოეტური სინატიფისა და სულის თავისუფლებისა.

დიდება შენ, განგებაო, რომ მარგუნე ბედი მათთან შეხვედრისა, რომ მაცხოვრე ანტიგონეს ხანმოკლე, მაგრამ იდეალური ცხოვრებით!

მაყურებელმა მაშინვე აიტაცა სპექტაკლი და გულმხურვალედ შეიყვარა, მაგრამ ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა სიხარულიცა და სცენური სიცოცხლეც მისი, რადგან ბედი ულმობელია და...

1971 წლის 13 აპრილს ბატონი სერგო აღარ იყო, გაქრა, წავიდა. დაამთავრა თავისი ამქვეყნიური მისია და გაეშურა იქ, სადაც აგრერიგად ეჩქარებოდა, სადაც სამარადისო განსასვენებელი ელოდა.

როგორ ლამობდა, როგორ ჩქარობდა მეტი მოესწრო, მეტი შეექმნა, რომ მეტი გაეცა. გასცემდა კიდეც, უხვად, უშურველად. გულსავსე იყო და ეს სისავსე ბევრზე ნაწილდებოდა. სიარულიც სწრაფი ჰქონდა, ნაბიჯი — მტკიცე, ფართო. უნდოდა, რაც შეიძლება მეტი გაევლო, გადაესერა. სწრაფად, სწრაფად დადიოდა, მიილტვოდა, თითქოს ეშინოდა, იმ ქვეყნად მისი ადგილი არავის დაეკავებინა.

მისი ადგილი აქ ვერავინ დაიკავა და იქ როგორღა დაიკავებდა, როცა იმ ქვეყნად მიმავალს, წინ მაცნედ მიუძღოდა შემოქმედებითი შრომითა და ღვაწლით მოსილი ნათელი სული მისი, რომელიც სულთათანას აუწყებდა, რომ მათკენ მიემართებოდა ცხოვრების ორომტრიალით, შურითა და ღვარძლით დაღლილ-დაქა-

ცული, მარადიული სასუფევლის ღირსი ბინადარი.

ვეთხოვებოდი ბატონ სერგოს, გზას ეულოცავდი და თან ვატანდი ჩემს ანტიგონეს, რადგან ერთიმეორის გარეშე ისინი ველარ იარსებებდნენ. გამოვეთხოვ ორივეს და წავიდნენ, გაქრნენ...

გაქრნენ და დამიტოვეს სევდით სავსე ნათელი მოგონება. ვანთებ სანთელს და ვეფერი უფალს მათი სულის განსანათლებელს...

გაიარა დრომ, მაგრამ მონატრება არა და არ განელდა. ისინი მაინც ჩემთან არიან. ხშირად ვუხმობდი, ველაპარაკებოდი და წარმოსახვაში სპექტაკლს ვთამაშობდი.

ერთ-ერთ ასეთ დღეს, როცა მათზე ღრმად ჩაფიქრებული ვიჯექი მომიახლოვდა ბატონი მიშა და მითხრა:

— გინდა დავაბრუნოთ მათი სულები?

— ვისი, ბატონო მიშა?

— ბატონ სერგოსი და ანტიგონესი.

ელდა მეცა. ცივმა ოფლმა დამასხა. მიმოვიხედე, უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა თავისი საქმით იყო გართული. გამიკვირდა. მე კი მეგონა, მარტო ვიყავი. შევხედე ბატონ მიშას. გაღიმებული მიყურებდა. არ მესიამოვნა, რაღაც დემონისეული იყო მის ღიმილში. თვალი მოვარიდე.

— რა დაგემართა, რა არის ამაში ასეთი შესაცხადებელი.

— არა, ბატონო მიშა, მე...

— ჰო, კარგი, კარგი, შენ ახლა ფიქრობ...

— არა, ბატონო მიშა, განსაკუთრებულს არაფერს ვფიქრობ, მაგრამ...

— ვიცი, ახლა რასაც მეტყვი. ვინ შეეჭიდება ამ როლსო, არა? — ედიშერი, ჰო, ედიშერ მაღალაშვილი. დანიშნული ხომ იყო, რამდენიმე რეპეტიცია ხომ გაიარა, მით უმეტეს წლისთავი ახლოვდება, ვცეთ პატივი ბატონ სერგოს და აღვადგინოთ სპექტაკლი. კარგის მეტი რა არის ამაში. შენ თუ თანახმა იქნები, ედიშერი უარს არ იტყვის.

ისე მშრალად, ისე კონკრეტულად მელაპარაკებოდა ყოველგვარი შესავლებისა და ფსიქოლოგიური შემზადების გარეშე, რომ თითქოს [illegible] გადაცემით კარგა ხანია [illegible] ჩემთან და ეს იყო დასკვნითი აკორდი ჩვენი დიალოგისა.

მე უკვე აღარაფერი მესმოდა. ცალკეული სიტყვებიღა ხვდებოდა მხოლოდ ყურს. ადგომა მინდოდა. ვერ ავდექი. ბატონი მიშა მიხვდა, მხარზე ხელი დამადო: კარგი, კარგიო, მითხრა და წავიდა. დავრჩი ასე უაზროდ, ფიქრგაფანტული, მართლაც აუხსნელი იყო ჩემი რეაქცია.

მოვიდა ედიშერი.

ედიშერი თავიდანვე იყო დანიშნული მეორე შემსრულებლად კრეონის როლზე, მაგრამ, როგორც კეთილშობილ ადამიანს სჩვევია, ყოველგვარი გართულების გარეშე მისთვის ობიექტური მიზეზების გამო, უარი თქვა და წავიდა.

ახლა კი ვისხედით პირისპირ ორნი და სულაც არ ვგრძნობდი თავს ცუდად. არც მიკვირდა, იმიტომ, რომ ის ედიშერი იყო, და კიდევ იმიტომ, რომ ბატონი სერგოს სული შთამაგონებდა, რომ სწორად ვიქცეოდი.

ედიშერის მისია, რა თქმა უნდა, უფრო რთული იყო, ვიდრე უბრალოდ დადგმულ სპექტაკლში „შესვლა". ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა, სულ ახლახან როგორ უკრავდა ტაშს აღფრთოვანებული მაყურებელი ამავე სცენაზე მდგარ ბატონ სერგოს, მაგრამ ედიშერის დიდსულოვნება იყო საწინდარი ჩანაფიქრის კეთილად დაბოლოებისა. მისი ფრთხილი, მოკრძალებული დამოკიდებულება საკუთარი საქმის მიმართ. მუშაობის დროს მუდამ მშვიდ და სასურველ გარემოს ქმნიდა ამ შემთხვევაშიც, გრძნობდა რა სპექტაკლის აღდგენის დიდ მნიშვნელობას. როგორც რაინდი, სპექტაკლის მნიშვნელობაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე საკუთარ თავზე.

ყოველ ადამიანს აქვს მისთვის დამახასიათებელი რაღაც განსაკუთრებული ნიშან-თვისება, შტრიხი, რომელიც სცენაზე უფრო შეიმჩნევა, ვიდრე ცხოვრებაში. ასეთი გამოკვეთილი, ედიშერისე-

ული ნიშან-თვისება არის მისი კაცური შემართება, დახვეწილი ქართული მეტყველება, აგრერიგად რომ ზრდის მის მსახიობურ ხიბლსა და მიმზიდველობას.

მოვიდა ედიშერი და მოიტანა ულამაზესი ქართული ბგერის ხმიანება, „დარბაისლური ქართული სიტყვის მიხვრა-მოხვრა, სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა", — როგორც დიდი ილია ბრძანებდა.

სპექტაკლი აღდგა, სპექტაკლი გაცოცხლდა და ეს მოხდა მხოლოდ ედიშერ მაღალაშვილის, მაღალპიროვნული და მაღალი პროფესიონალიზმის მადლითა და პასუხისმგებლობით, ასე მივაგეთ პატივი და სიყვარული დიდი ხელოვანის ნათელ ხსოვნას.

„გიყვარდეს" ნიშნავს — ფიქრობდე და ზრუნავდე მასზე.

ანტიგონეზე ფიქრმა და ზრუნვამ თვისებრივად განსხვავებული იმპულსები დაბადა ჩემში. ადრე რაც შემეძლო ამეტანა — აუტანელი გახდა, რისთვისაც არ მეცალა — ყველაფრისათვის მეცალა, ყოველივე აღვიქვი და [illegible] რათა გამეზარდა, აღმევსო სულითა ნათელითა, რომ ბოლოს ხმამაღლა ეთქვა მას „არა" და ამაყად შეერთებოდა მარადისობას.

ამას ბედნიერება ერქვა, ძვირადღირებული ბედნიერება, მაგრამ არაფერი შეედრება მას, ისევე, როგორც ახლადმოვლენილ სიცოცხლეს, მზეს, გაზაფხულს და ჰაერს!

25 წელია, გვერდიდან არ მშორდება. მიჭირს თუ მილხინს, შინ თუ გარეთ, — ყველგან ჩემთან არის, ველაპარაკები, მონატრებული სიყვარულითა და სინაზით, რადგან დღესაც ბევრი გვაქვს სალაპარაკო, გადასაწყვეტი. მე იგი ძალიან მიყვარს და მჭირდება, როგორც ახლობელი, როგორც მაგალითი და როგორც თანამოაზრე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი პაპუაშვილი

შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან

პირველი შეხვედრა ლეონიძესთან

ეს მოხდა 1951 წელს. საშუალო სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა. რამდენიმე თორმეტფურცლიანი რვეული „მაღალხმაზე" დაწერილი ლექსებით მქონდა გავსებული და ჩავთვალე, რომ სწორედ დროული იყო მწერალთა კავშირში გამოცხადება. ლექსების შეფასება და დაბეჭდვა იმდენად არ მაინტერესებდა, რამდენადაც გიორგი ლეონიძის გაცნობა. მეტიც: ვიცოდი, დამიწუნებდნენ ლექსებს, მაგრამ მინდოდა საბაბი მქონოდა.

ფოიეში რამდენიმე ცნობისმოყვარე და მწერლობის ახალგაზრდა თუ ხანდაზმული მაძიებელი შემხვდა. რაკი „გამოუქვეყნებელი" სოფლელი ახალგაზრდა შემნიშნეს, ყველას გაუჩნდა ჩემი გაცნობის სურვილი. მკითხეს, ვინ ვიყავი, საიდან მოვედი, ვისთან და რატომ? და რაკი ყველაფერი დაწვრილებით ჩავუკაკლე და ზოგიერთ მათგანს კი ლექსებიც გადავათვალიერებინე, დამაიმედეს: გაიმარჯვებო. ოღონდ ასეთი შენიშვნაც მომცეს: ერთი ლექსი ლეონიძეზეც დაწერე და რვეულს წინ წაუმძღვარეო. ჩემი ძმის ამბავი გამახსენდა: სტალინზე ლექსის დაწერა და წამძღვარება რომ მოსთხოვეს. მსგავს მდგომარეობაში არ ჩავვარდნილვარ, რაკიღა პირველი ლექსი სწორედ ლეონიძეზე მქონდა დაწერილი და ამ რვეულში შეტანა ვერ გავბედე, რადგან მრცხვენოდა და აქ კი სხვებმა მიკიჟინეს, ასე უნდა გააკეთოო. ეგებ ჩვენ თვითონ ვუქმნიდით ადამიანებს კულტს და ახლა მათ ვაბრალებთ? თქვენ წარმოიდგინეთ, შენიშვნამ გასჭრა, ლექსები უკან წამოვიღე და ხელახლა გადავწერე, სადაც ლეონიძეზე დაწერილი ლექსი თავში მოვაქციე. ორიოდე კვირის შემდეგ კი ისევ მივადექი გ. ლეონიძის კაბინეტს. ლეონიძე მოსული არ იყო და მეორე სართულის ფოიეში დაველოდე. მაშინ ლომისა და ვეფხვის ფიტულები პირველ სართულზე იყო განლაგებული ვაჟა-ფშაველას ბიუსტთან ერთად და მეორე სართულზე კი სავარძლები იდგა მაგიდის გარშემო, სადაც მწერლები თუ გარეშე სტუმრები სხდებოდნენ და საუბრობდნენ. იგულისხმება, რომ ეს, ყველაერი დღევანდელ მწერალთა კავშირის შენობაში ხდებოდა.

იმ დროს, რომელზეც მე გიყვებით, მაგიდის გარშემო, სავარძლებში, სხვებთან ერთად თამარ სვანი და პეტრე გრუზინსკი ისხდნენ, რომლებიც მათ მიერ დაწერილ ახალ პიესაზე მსჯელობდნენ. თამარ სვანი პიესის იმ დეტალზე საუბრობდა ღიმილითა და სიამოვნებით, სადაც ცხვარი თუ თხა მინდვრიდან ბრუნდება და ახალშეღებილ ჭიშკარს რომ დაინახავს, ვეღარ სცნობს თავის ეზოს. იქვე, კუთხეში მდგომნი ჩურჩულებდნენ პეტრე გრუზინსკიზე — შეთქმულებას აწყობდა, დააპატიმრეს, მაგრამ

სტალინმა, როგორც ერეკლეს შთამომავალი, გამოაშვებინაო. შეთქმულების სხვა წევრები კი ჯერ ისევ ციხეში არიანო.

ყოველივე ამას ყურმოკვრით ვისმენდი, ძირითადად კი ვღელავდი და ველოდი გიორგი ლეონიძეს. მაინტერესებდა, როგორ და საიდან გამოჩნდებოდა. რას მეტყოდა, როცა დამინახავდა, ან საერთოდ, მეტყოდა რაიმეს, თუ ზედაც არ შემომხედავდა. ანდა რატომ უნდა შემომხედოს, რით მივიქცივ მისი ყურადღება? ის ხომ ასეთი სტრიქონების ავტორია: „აქ მტაცებელთა იყო სადღეგრძელო, და სარბიელი მათი ხმალისა, შუბის წვერებით მიწა გათოხნეს, ამტვრიეს სალტა დარიალისა“, ანდა: „აქ ისკანდერმა გასჭრა კლდეკარი, შესძრა ქვეყანა, ვით ხის ფოთოლი, აქ მონღოლებმა ლეწეს ბექთარი, ცამდე ატყორცნეს ძვლების გოდოლი... აქ წარსულს დარჩა ხავსი და ბალბა, დროშის ნაჭრები, ხმალი გამტყდარი, გორის ატმებქვეშ რამდენი დალპა რომის, აზიის ბაირაღტარი? აქ ვაზი ისევ მსხვილ მტევანს ისხამს, რძიან ქაფს მტკვარი ისევ ადუღებს, სძინავს პომპეუსს, სძინავს ჩინგისხანს, სძინავს ისკანდერს და დიადოხებს!“ მე კი რვეული მომიტანია და ვითომდა ლექსი წამიმძღვარებია: „გაქებენ შენი მნახველი, პატარძეულის ბიჭები, წასწიე ქართველის სახელი დევური გადაბიჯებით!.. ვერ წაშლის ჟამთა სრბოლა და ვერც მისი ქარტეხილები, ვინც ლექსი დააფოლადა ჩაგრულთა შეძახილებით!“

„სად ერთი და სად მეორე? რით უნდა მოეწონოს ჩემი ლექსი? ნეტავი არც შემეტანა! ვის რაში სჭირდება ჩემი აბდაუბდა“? — ამ ჭაპანწყვეტაში ვარ და მთელი შენობა უცნაური გუგუნით გაივსო.

— ლეონიძე მოდის! — თქვა ვიღაცამ, სხვებმაც დასტური მისცეს და ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

მცირე ხნის შემდეგ კიბე აჭრიალდა თუ აზანზარდა და გუგუნი უფრო მოგვიახლოვდა. დავაპირე, რვეული სანაგვე ურნაში ჩამეგდო და სადმე დავმალულიყავი, მაგრამ დასამალავი არსად ჩანდა. ამასობაში კი ჩემთვის საოცრად გოლიათმა კაცმა კიბე ამოათავა და, „გამარჯობათო“, დაიბუბუნა. შეჩერდა, ყველანი შეათვალიერა და სათითაოდ შეეკითხა: „შენ ვის ელოდები?.. შენ?.. შენა?

ყველაზე ბოლოს მზერა ... ... ტანა და მის თვალებს რომ შევხედე, პირველ სართულზე მდგარი ლომის ფიტული გაცოცხლდა. თითქოს შემეშინდა, თითქოს შევკრთი და თვალები და ხელები საით წამეღო, აღარ ვიცოდი. შემატყო და კეთილად გამიღიმა. კი არ გამიღიმა, თვალები გამიჟუჟუნა, როგორც ეს მხოლოდ მას სჩვეოდა, მისეული იყო და მისი სტრიქონივით სხვისას არ ჰგავდა.

— შენ ვიღას ელოდები? — მკითხა შედარებით დაბალი ხმით.

— თქვენ, — ვითომ ვუპასუხე, მაგრამ ენა ჩამივარდა.

— ჰაჰ? — ჩამკითხა და ყური მომიშვირა ხელმოფარებით.

— თქვენ გელოდებით, პატივცემულო! — ძლივს მოვაბი სიტყვები ერთმანეთს.

— შემოდი! — მითხრა და კაბინეტისკენ გაემართა.

მეგონა, სხვას უთხრა, რადგან ვერ წარმომედგინა, პირველად თუ მე მიმიღებდა და თვალსაჩინო ხალხს უკან დატოვებდა. ამიტომაც სხვისკენ გავიხედე, ალბათ სხვას უთხრა-მეთქი, მაგრამ რაკი ყველას თვალები მე მომჩერებოდა და ზოგმა მანიშნა კიდეც, მიყევიო, იძულებული გავხდი, უკან გავყოლოდი.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის კაბინეტი მაშინაც იქ იყო, სადაც დღეს არის და შესასვლელთან ლამაზი ქალი იჯდა. ის ლამაზი ქალი ნინო თოფჩიშვილი იყო.

— თქვენ სადღა მიდიხართ? — შემაჩერა ქალის ხმამ, რაკი ჯიქურ მივყვებოდი ლეონიძეს.

— გამოუშვი! ჩემთან არის. — უკანმოუხედავად ჩაიბუბუნა და კაბინეტში შევიდა. მაგიდას მოუარა ფანჯრის მხრიდან, სკამზე დაჯდა და, რაშია საქმეო, მკითხა დაჯდომისთანავე.

— ლექსები მოვიტანე. — თუმცა გამჭღავნება აღარ მინდოდა, სხვა გზა არ იყო, და ჩავიბუტბუტე.

— აბა, მაჩვენე! — რვეული გამომართვა, მაგრამ მაშინვე არ გადაუშლია. ხე-

ლახლა შემათვალიერა და მკითხა: სადაური ხარ?

— კაკაბეთიდან.

— აჰ, კაკაბელი ბიჭი ხარ?.. შენ იცი, შენს სოფელს კაკაბეთი რატომ ჰქვია?

— არ ვიცი. — მხრები ავიჩეჩე და გამეღიმა.

— მანდ სუ ტყეები ყოფილა. ტყე კი ნადირ-ფრინველითა და კაკბითა ყოფილა სავსე. ტყე როცა განადგურებულა, კაკაბი მაინც დარჩენილა. ახლა აღარ არის?

— არა.

— ახლა რაღა იქნება, ყველაფერი გაქალიტეს. შენ იცნობ თქვენებური მწერალი რომ არის — იოსებ მჭედლიშვილი? ეგ რომ არ იცოდე, სხვა რა გეცოდნება? ჰოდა, ისიც წერს, ნადირ-ფრინველი აღარ არისო, განადგურდაო... როგორი ამინდებია კაკაბეთში?

— კარგი.

— კარგ ამინდს რას ეძახი?

— მზიანი დღეებია.

— კარგი ამინდი ის კი არ არის, მუდმივად რომ მზეებია. კარგი ამინდი ის არის, როცა თავის დროზე წვიმაა და თავის დროზე დარი. გუთნისდედა რომ შეხედავს ცასა და დალოცავს, ის არის კაი ამინდი.

გამეღიმა და მოვშინაურდი. ვიგრძენ, რომ მართალი თქვა და ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. მე კი არა, უფროსებიც ვერ ერკვეოდნენ ამ საკითხში.

მერე რვეულს მიუბრუნდა. სანამ გადაშლიდა, თავი აიღო და მკითხა:

— შენ მოგწონს?

— არ ვიცი. — ძლივს ვუპასუხე და ვიგრძენ, რომ ერთიანად წამოვწითლდი. უფრო იმიტომ, რომ როგორც კი გადაფურცლავდა, მასზე დაწერილ ლექს წააწყდებოდა და შემრცხვა.

რვეული გადაფურცლა და როგორც კი თავისი გვარ-სახელი დაინახა, აღარ წაიკითხა: ვიგრძენ, არ ესიამოვნა. მაგიდიდან წითელი ფანქარი აიღო და ყდაზე წააწერა: „შალვა აფხაიძეს! გაეცანი, ურჩიე!“ დიახ, მგონი „ურჩიე“ თუ რაღაც სხვა ამგვარი, მაგრამ ამ შინაარსის დამტკიცი სიტყვა. რვეული ისევ მე გამომიწოდა და დაამატა:

— შალვას შეუტანე. მაგიდასთან რომ შესასვლელია, იმ ოთახში [illegible] წერე! ლექსების წერა ცუდია. [illegible] ამ იოლი გზით არაფერი მიიღწევა. კარგი ლექსის დაწერაა ძნელი, თორემ დაბეჭდვა ადვილია. თუ მართლა მოწოდება გაქვს, ლექსი თვითონ არ მოგასვენებს და თუ უბრალო გატაცებაა, თავისთავად გაგიქრება სურვილი... სწავლობ?

— საშუალო სკოლა ახლა დავამთავრე.

— ჩაბარებას თუ აპირებ?

— დიახ.

— სად?

— უნივერსიტეტში.

— ფილოლოგიურზე?

— არა. ფიზიკურზე.

— ფიზიკურზე? — განცვიფრებით შემომხედა და კვლავ ლომს მივამსგავსე. — თუ მართლა პოეტობა გიტაცებს, შე კაი კაცო, ფიზიკურზე რამ გაფიქრებინა?

— არ ვიცი. — მხრები ავიჩეჩე და რვეული გამოვართვი.

ლეონიძე წამოდგა. ხელი ჩამომართვა და კარამდე მომაცილა:

— კარგად იყავი! აბა, შენ იცი, როგორ ჩააბარებ! ჰო, მართლა, როცა დრო გქონდეს, შენი სოფლის ტოპონიმიკა შეისწავლე! ჩაიწერე!

გამოვდიოდი, მაგრამ არ ვიცოდი, ხელები საით წამეღო და ფეხები საით. ის ლამაზი მდივანი ქალი კი დამცინავი ღიმილით მიმაცილებდა.

— შემოვიდეს! რომელია შემდეგი?! — მოისმა ბუბუნი.

რვეული შალვა აფხაიძეს შევუტანე. შალვა აფხაიძემ მითხრა, ერთ კვირაში გამომიარეო, და ყველაფრი კარგად [illegible] წამოვედი. წამოვედი და მაჩაბლის ტუჩაზე ვაბიჯებდი თუ ჰაერში მოკრიალავდა, ფეღარა ვგრძნობდი. ლეონიძესთან შეხვედრით ისეთი რაღაც განვიცადე, რაც არავისთან შეხვედრით არ განმიცდია ჩემი ცხოვრების მანძილზე. საინტერესო ის არის, რომ ასეთი განცდა შემდგომში ლეონიძესთან ყოველი შეხვედრისას მეუფლებოდა. იმ დროს ჩემზე ბედნიერ ადამიანად არავინ მიმაჩნდა. მე ხომ ის ადამიანი ვნახე, ვის

გაცნობაზეც ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. თანაც ვნახე ისეთად, როგორიც წარმომედგინა. საოცრად დიდი, კეთილი, ხმამქუხარე და ძალიან უბრალო — გლეხურად უბრალო. მე ახლა ბევრი სათქმელი მქონდა ჩემს მეგობრებთან. მხოლოდ ერთი რამით ვიყავი უკმაყოფილო: ერთი ლექსიც კი არ წაიკითხა. ეს იმიტომ, რომ მასზე დაწერილი ლექსი შეეფეთა რვეულის პირველივე გვერდიდან. ამაში კი ჩემს თავს და იმ ახალ ნაცნობებს ვემდურებოდი, რომელთაც მირჩიეს, ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსი წაუმძღვარეო რვეულს. შეიძლება, სწორედ იმიტომ არ წაიკითხა, მლიქვნელ და მაამებელ ადამიანად რომ ჩამთვალა, მაგრამ ღმერთმა იცის, რომ მლიქვნელობის მიზნით არც ის ლექსი დამიწერია და არც რვეულში წამიმძღვარებია. ვინ იცის, რამდენი გულმართალი ადამიანი გააბრიყვეს ასე მართლა მლიქვნელებმა თუ გულბოროტებმა?!

მეორე შეხვედრა

ცხრა გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა ფიზიკის გამოცდაზე. შვიდი ჩავაბარე. მერვე რუსული წერა გვქონდა და ჩავიჭერი. იმ შვიდ საგანში ისეთი მაღალი ნიშნები მქონდა მიღებული, რუსულის ცოდნა რომ ერთიანით შეეფასებინათ, მაინც მყოფნიდა ქულები, მაგრამ ასეთი კანონი არ არსებობდა. ჩავიჭერი და დამთავრდა ყველაფერი: ჩემს მიერ მიღებული ხუთიანები და ოთხიანები ქართულ წერა-ზეპირში, ფიზიკა-ქიმიასა თუ მათემატიკაში წყალში გადაიყარა. არადა, ორმოცდაათი პროცენტი ისეთი ჩაირიცხა, ფიზიკასა და ქიმიაში რომ სამიანები ჰქონდათ და რუსულში ხუთიანი მიიღეს. ვიღაცეებმა გამამხნევეს და მირჩიეს, რექტორთან მიდი, გააცანი, როგორი ნიშნები გაქვს და შეიძლება, რუსული წერის გამო გარეთ არ დაგტოვონო. გავბრიყვდი თუ გავთამამდი და კაბინეტში რომ ვერ შევედი, დერეფანში ავეტორღიალე რექტორს—საქვეყნოდ ცნობილ ნიკო კეცხოველს: ბატონო, ყველა საგანში ხუთიანი და ოთხიანი მაქვს მიღებული და რუსულ წერაში ჩავიჭერი-მეთქი. თუ ჩაიჭერი, ყველაფერი დამთავრებულია. წადი ახლა და მრავალ წელს მოიტანეო საბუთები. ასე დამთავრდა ჩემი გამოცდები და მერეღა გამახსენდა, აფხაიძესთან რომ ვიყავი დაბარებული. ისიც გამახსენდა, ლეონიძემ რომ მირჩია, ფილოლოგიურზე ჩააბარეო. ამას ჩემი ქართულის გამომცდელის, ივანე ქავთარაძის შენიშვნაც დაემატა, ქართულში ძლიერი ხარ და ფიზიკურზე რატომ შემოგიტანიაო განცხადება და გადავწყვიტე, აღარ მედარდა და აფხაიძესთან მივსულიყავი ჩემი ლექსების თაობაზე.

ცუდად არ შემხვედრია ბატონი შალვა. მითხრა, ძირითადად მომწონს შენი ლექსები, მაგრამ ბევრი მუშაობა გჭირდებაო. სამი ლექსი შევარჩიე, ახალგაზრდა ნწერალთა ალმანახი გამოდის და მასში ვაპირებ დაბეჭდვასო. თან დაატანა: გიორგი ლეონიძის გავლენა ძალიან გეტყობა და ალბათ უმეტესად მის ლექსებს კითხულობო. გულში ერთგვარად გამიხარდა, რადგან ლეონიძის გავლენა სასახელოდ მივიჩნიე, მაგრამ სხვა პოეტთა ნაკითხობაც რომ დამემტკიცებინა, თავი ვიმართლე, სხვებსაც ვკითხულობ-მეთქი და ჩამოვუთვალე ალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, ალიო მირცხულავა, სიმონ ჩიქოვანი და სხვები, მაგრამ ამით უფრო გავაცინე ბატონი შალვა, რადგან ეს პოეტები თითქმის იმ თანმიმდევრობით ჩამოვთვალე, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოში იყვნენ შეტანილი. ჩემთვის რომ გული დაემშვიდებინა, კეთილად გამიღიმა და მითხრა: ნაკითხი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ მომავალ პოეტს უფრო მეტი მოეთხოვებაო. რა მეთქმოდა?

აფხაიძესთან დამშვიდობებისას საჭიროდ ჩავთვალე ლეონიძის ნახვაც. მეეონა ვერ მიცნობს-მეთქი, მაგრამ, როგორც დამინახა, მაშინვე შემეკითხა:

— როგორ არის საქმე, ჩააბარე გამოცდები?

— ჩავიჭერი.

— მომზადებული არა ჰყოფილხარ!

— ყველა საგანში მაღალი ნიშანი მივიღე, მაგრამ რუსულში...

— ისე, მე რომ მკითხო, თუკი რომელ სპეციალობაზეც აბარებ, იმ საგანში კარგ ნიშანს მიიღებს, რა შუაშია რუსული, მაგრამ... მაგრამ არა უშავს! ქართულში რაკი ფრიადი მიგიღია, მთავარი ეგ არის. მომავალ წელს ფილოლოგიურზე ჩააბარე.

— ჩავაბარებ, მაგრამ რუსული იქაცა ბარდება.

— არა უშავს რა, უნდა მოემზადო.. რა ჰქენი? რა თქვა შალვამ?

მეგონა, აღარ ახსოვდა და გამიხარდა, ეს რომ შემეკითხა.

— სამ ლექსს მიბეჭდავს ახალგაზრდულ ალმანახში.

— ჰოო, ეგ საქმე კარგია! მომილოცავს პოეტობა!.. ოღონდ ბევრი უნდა იკითხო!

— თქვენი ლექსები და პოემაც ზეპირად ვიცი.

— მარტო ჩემი ლექსების ცოდნა არ არის საკმარისი! — შეევატყვე, იუხერხულა, — წერა კი არ არის მთავარი, კითხვაა, კითხვა. ასჯერ მეტი უნდა იკითხო, ნამდვილი მწერალი რომ გახდე. მიბეჭდავსო, ეგ კარგია, მაგრამ არ იფიქრო, უკვე პოეტი ვარო, და სწავლას თავი არ დაანებო.

— არა. მომავალ წელს ფილოლოგიურზე უნდა ჩავაბარო, როგორც თქვენ მირჩიეთ. ჩემი ქართულის გამომცდელმაც ასე მირჩია.

— ჰოო? კარგია!.. მანამდე რა უნდა ჰქნა? მუშაობის დაწყება ხომ არ გინდა?

— არ ვიცი.

— ვინ გინახავს?

— დედაჩემი. ჩემი ძმაც მეხმარება.

— შენს ძმას ცოლ-შვილი ჰყავს?

— დიახ.

ეს უფროსის მომდევნო ძმას ეხებოდა. უფროსი უკვე უგზო-უკვლოდ იყო დაკარგული.

— აბა, მაშ, იმასაც თავისი საზრუნავი ჰქონია. უნდა იმუშავო.

— დიახ, ვიმუშავებ.

— კორექტორობას ხომ შესძლებ?

კორექტორობა და რედაქტორობა ერთმანეთში ვერ გამერჩია და მეუხერხულა: მეგონა, ერთბაშად დიდ თანამდებობას მპირდება და ვაი, თუ ვერ შევძლო-მითქი. მან შენიშნა ჩემი ასეთი ყოყმანი და გამამხნევა:

— რა იყო? გეძნელება?

— კორექტორობა რა არის, არ ვიცი.

ლეონიძე უსიამოვნოდ შეეშმუხნა, მაგრამ მაინც გამომიყვანა უხერხულობიდან:

— ადვილია, ნუ გეშინია, დაბეჭდილ ტექსტს ხელნაწერ დედანთან შეადარებ და ეცდები, რომ შეცდომა არ გაგეპაროს.

— ეგ ადვილია. შემიძლია.

— აი, წერილს დაგიწერ რაჟდენ გვეტაძესთან და მიუტანე. ყველა დიდი საქმე პატარიდან იწყება. ხომ მართალია?

ლეონიძემ წერილი დამიწერა, კონვერტში ჩადო და გამატანა. თან მანიშნა, სადაც უნდა მიმეტანა. რაჟდენ გვეტაძე მაშინ გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორი იყო, დღეს რომ „მერანს“ ვუწოდებთ, და მაშინდელი პლეხანოვისა და დღევანდელი „აღმაშენებლის“ პროსპექტზე მდებარეობდა. სადაც ახლა გამომცემლობა „ხელოვნებაა“ მოთავსებული. მაშინ ვერ მივხვდი და ახლა ვხვდები, მასთან მუშაობის დაწყების მიზანი რაც იყო: მწერლობასთან და წიგნებთან ახლოს ვიქნებოდი და ჩემს ნაწერებსაც ადვილად დავბეჭდავდი. ასე, რომ უბრალოდ მუშაობას კი არ მაწყებინებდა, ჩემს სამწერლო მომავალზე ფიქრობდა.

წერილი სიხარულით ჩამოვართვი, დავემშვიდობე და გამოვბრუნდი. კვლავ კარებამდე მომაცილა და მომაძახა:

— აბა, შენ იცი: იმეცადინე, მომავალ წელს კარგად ჩააბარე და დაგეხმარები.

აღფრთოვანებულმა დავტოვე მისი კაბინეტი. მოვდიოდი და მომქონდა დიდი იმედები. მართალია, რაჟდენ გვეტაძესთან სულაც არ მივსულვარ, რადგან მე და ჩემმა თანაკლასელმა მეგობარმა, გურამ პავლიაშვილმა (ამჟამად კაკაბეთის სკოლის დირექტორმა) რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ერთად მუშაობა ვამჯობინეთ, მაგრამ ჩემთვის ის წერილიც და ის დაპირებაც დიდ რამეს ნიშნავდა. თუმცა, ყველას ეღიმებოდა, ვისთანაც კი მითქვამს, თუ კარგად ჩავაბარე, ლეონიძე დამეხმარება ჩარიცხვაში-მეთქი. მაშინ ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოხვედრას მხოლოდ ხუთიანები და ორიოდე ოთხიანი შველოდა და არა დაპირება, მაგრამ ეს უბრალო ყურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღება თუ ცარიელი სიტყვა იმოდენა ძალას მაძლევდა, არც ხუთიანების მიღება მიმაჩნდა პრობლემად, თუ რუსულში სერიოზულად ვიმეცადინებდი, რადგან რუსულში ფაქტიურად მასწავლებელი არ გვყოლია მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასებში, და გაკვეთილები გვიტარდებოდა სხვადასხვა საგნის მასწავლებლების მიერ და მე კი არა, არავინ იცოდა კი არა, არავის გაეგებოდა რუსული ენა, ვინც ჩვენი სკოლა დაამთავრა, შემთხვევით ყურმოკრულ სიტყვებს რუსულის ცოდნად თუ არ ჩავთვლით.

როცა ლეონიძემ გაიგო, კორექტორობის ნაცვლად, რუსთავში დავიწყე მვშაობა, — მომიწონა: მწერალი ახლა გახდებიო. მწერალმა თუ ცხოვრება არ იცის და თავისი მოღვაწეობა წერით დაიწყო შორს ვერ წავაო. მერე გამოცდებიც ჩავაბარე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ლეონიძის ბიძგი იმედს მაძლევდა, თავი უპატრონოდ აღარ მიმაჩნდა და ყოველი გამოცდიდან ხუთიანი გამომქონდა. მხოლოდ რუსულ წერაში მივიღე ოთხიანი. მთელ ფაკულტეტზე (ჟურნალისტიკაც ფილოლოგიურს ეკუთვნოდა მაშინ) მხოლოდ სამმა გამასწრო თითო ნიშნით — ყველა საგანში ხუთიანი მიიღეს.

როგორც კი ნიკო კეცხოველმა სააქტო დარბაზში შეგვკრიბა და ჩარიცხვა მოგვილოცა, მაშინვე მწერალთა კავშირში წავედი და ლეონიძეს ვახარე, უკვე სტუდენტი ვარ-მეთქი.

— რა ნიშნები მიღე? — დაინტერესდა.

ვუთხარი, როგორც იყო და ისიც დავამატე, მხოლოდ სამმა მაჯობა მეთქი — ყველა საგანში რომ ხუთიანი მიიღეს.

— ის სამი ვინ იყო, ხომ არ დაასახელებ?

— როგორ არა: ერთი მანუჩარ ანთაძე, ერთი მზიულა ხუციშვილი და ერთიც ნიკო ლეონიძე.

— ყველასთვის შენ გიჯობნია! — გაიღიმა ლეონიძემ. ის მანუჩარ ანთაძე დოდო ანთაძის ძმისშვილია, მზიულა, სოლომონ ხუციშვილის ქალიშვილია და ნიკო ლეონიძე კი ჩემი ძმისშვილია. ყოჩაღ, გლეხო, ესე უნდა აჯობო ყველას, თუ არ გინდა, რომ ცხოვრებას ჩამორჩე. უწინ თავადიშვილები უცხოეთში მიდიოდნენ სასწავლებლად და საგლეხოდ უნივერსიტეტი [illegible] ეხლა კი, ეგე, რას მოვიწყვეტ [illegible] მოედანი შენია და ქვეანას ტყუილუბრალოდ არ უნდა დაემდურო.

— არ ვემდური, ბატონო, ყველაფრით კმაყოფილი ვარ. სტიპენდიაც უნდა დამენიშნოს და იმით ვიცხოვრებ.

— ნუ გეშინია, რასაც მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ. მთავარია, მუშაობა არ გეზარებოდეს. მარტო ნიჭი არაფერს გიშველის, ოფლი თუ არ დაღვარე. მთავარია, ეხლა კარგად ისწავლო და თუ შენში მართლა პოეტია, ლექსი აღარ ჩამოგეხსნება.

ორი მიქაელის შესახებ

უნივერსიტეტში სწავლისას ლექსების წერას თავი დავანებე, რადგან სამეცნიერო მუშაობამ დამაინტერესა. ამიტომ მწერალთა კავშირში მისვლაზე აღარ მიფიქრია. პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს ძალიან მოსწონდა ჩემი მსჯელობა და მუყაითობა. შემპირდა, ბერძნული ლიტერატურის კათედრაზე დაგტოვებ, თუ ასე განაგრძობ სწავლას. ამასობაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქვეყნის ცხოვრებაში. სტალინი გარდაიცვალა და ზედიზედ შეიცვალნენ სახელმწიფოს მესვეურნი. გიორგი ლეონიძეც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს და რიგით მდივნად გადაიყვანეს, კაბინეტად კი, კიბეზე რომ ავდივართ, მარცხენა მხარეს მდებარე ოთახი მიუჩინეს, სადაც ახლა ვეფხვის ფიტული დგას. მისი შესასვლელი კარი ფოიედან იყო, სწორედ იქიდან, მაგიდა და სავარძლები სადაც იდგა. ამჟამად ის კარი ამოქოლილია და შესასვლელი კარი გვერდიდანა აქვს. ახლა უფრო სხვანაირად დამაინტერესა მისმა ნახვამ. მაინტერესებდა, როგორ შეხვდა ამ დარტყმას და ხომ არ დარდობდა. სპეციალურად ამიტომ რომ მივსულიყავი, მეუხერხულებოდა და, აი, მიზეზი გამიჩნდა მასთან მისვლისა. იმ ხანებში პოეტი უნგრეთში მიავლინეს და საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ანთიმოზ ივერიელზე, რომლის სახელთანაც ქა-

რთული სტამბის დაარსებაა დაკავშირებული. მეორე კურსის საკურსო შრომად „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა მქონდა დავალებული და მასალების ქექვამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ მიქაელ უნგრო-ვლახელად წოდებული პიროვნება, რომელმაც ანთიმოზ ივერიელის დავალებით თბილისში სტამბა დააარსა, ანთიმოზივით ქართველი კაცი იყო და ბედუკუღმართობის შედეგად უნგრეთში იყო მოხვედრილი. ან სულაც ერთი და იგივე იყო მიქაელ უნგრო-ვლახელი და ქართველი დეკანოზის შვილი მიქაელი, რომელზეც „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის თავფურცელზე წერია: „გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილისა მიქელისათაო“. საამისოდ გარკვეული საბუთები მოვიტანე და მათ შორის გიორგი ლეონიძის სტატია ანთიმოზ ივერიელის შესახებ. ლეონიძეს არსად არ აქვს ნათქვამი მიქაელ უნგრო-ვლახელის ქართველობის შესახებ, მაგრამ სხვა საჩემო გამოკვლევები ჰქონდა ამ წერილში. იგი გვამცნობდა ანთიმოზ ივერიელის ვინაობას. საქართველოდან მისი გატაცებისა და უცხოეთში მოხვედრის ისტორიას. მის მიერ უცხოეთში სტამბის დაარსებას და ბოლოს, იმასაც, თუ როგორ გამოგზავნა საქართველოში თავისი მოწაფე მიქაელი ქართული სტამბის გასამართავად. იქვე ბეჭდავდა მიქაელის დაწერილ, რუსთაველის შაირით შესრულებულ ვრცელ ლექსს, რომელიც თბილისის სტამბის დაარსების ისტორიას ეძღვნებოდა.

ერთი მხრივ, ის ფაქტი, რომ მიქაელი ანთიმოზ ივერიელის მოწაფე იყო და, მეორე მხრივ, მის მიერ უნაკლო ქართულით დაწერილი ვრცელი ლექსი ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა, მისი ქართველობა რომ დამემტკიცებინა. ჩემი ვარაუდი უფრო შორსაც მიდიოდა. ეგებ „ვეფხისტყაოსნის“ სატიტულო ფურცელზე მოხმობილი „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელი“, რომელმაც წიგნი გამართა ანუ კორექტურა გაუკეთა, იგივე მიქაელ უნგრო-ვლახელია, რომელიც ანთიმოზივით ბავშვობაში გაიტაცეს და ახლაღა დაბრუნდა საქართველოში. უფრო სწორად ანთიმოზმა გამოგზავნა. ამ მოსაზრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც სტუდენტებში, ისე პროფესორ-მასწავლებლებში. [illegible] ბრაქტიკის ხელმძღვანელმა, [illegible] ტრიფონ რუხაძემ სპეციალური სემინარი დანიშნა, რომელზე დასასწრებადაც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე მოიწვია. კეკელიძეს ძალიან მოეწონა ჩემი მსჯელობა და ლოგიკური თანმიმდევრობა, მაგრამ ეჭვის ქვეშ დააყენა ჩემი მოსაზრება: მიქაელ უნგრო-ვლახელი უნგრო-ვლახელია და მეტი არავინო, თუმცა ამის მიუხედავად, სტუდენტები აჟრიამულდნენ, ჩვენ პაპუაშვილის აზრს ვუჭერთო მხარს. განსაკუთრებით კიტა აბაშიძის შვილიშვილი, გიორგი აბაშიძე აქტიურობდა. ამის გამო, ბატონმა კორნელიმ ტრიფონ რუხაძე მიიხმო და ხმადაბლა უთხრა, მე მხარს არ ვუჭერ, მაგრამ მაგ ახალგაზრდას ყურადღება მიაქციეთო. ტრიფონ რუხაძემ კი მე მიჩურჩულა, აუდიტორიიდან როცა გავედით და ბატონ კორნელს ჩამოშორდა: ნუ გეშინია, მაგ წერილს დაგიბეჭდავთო.

არ ვიცი, მე ვიყავი მართალი თუ ბატონი კორნელი, მაგრამ დავინტერესდი, ამ საკითხზე რას იტყოდა თვითონ გიორგი ლეონიძე, რომლის გამოკვლევებსაც ასე თამამად დავემყარე.

ასე, რომ უკვე ლეონიძის კაბინეტის წინ ვდგავარ, ერთბაშად კარი გაიღო და როგორც თევზი წყლიდან ამოხტება ხოლმე ჰაერის ჩასასუნთქად, ისე ერთბაშად გამოიჭრა ოთახიდან მკერდშემართული. მაგიდის გარშემო სავარძლებშიც და ისედაც ბევრნი იყვნენ, მაგრამ ლეონიძემ რატომღაც მე შემამჩნია:

— ო, მგოსანს გაუმარჯოს, მგოსანს! რაშია საქმე? ჩემთან ხომ არ ხარ?

თვითონვე მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და მომიკითხა.

ძალიან გამიკვირდა. მთელ წელზე მეტი იყო, რაც აღარ მენახა და, თუ კიდევ მიცნობდა, ვერ წარმომედგინა. თანაც ის ალმანახი არ გამოსულა, ჩემი არცერთი ლექსი არ დაბეჭდილა და რატომ უნდა დავმახსოვრებოდი?

— როგორ მიდის სწავლის საქმე?

ამ შეკითხვამაც გამაოცა. საიდან ახსოვს, რომ ვსწავლობ-მეთქი.

— სოფელში აღარ ჩადიხარ? როგორი ამინდებია?.. სოფელი არ უნდა დაივიწყო. არ იფიქრო, ყველაფერი მე ვარ და სოფელი აღარ მინდაო. სადა ხარ აქამდე? რატომ აღარ გამოიარე?

მე შეკითხვისთვის ვემზადებოდი და მის კითხვებს კანტიკუნტადღა ვუპასუხე. როგორც იყო, ჩემი შეკითხვის ჯერიც დადგა და, რაკი კაბინეტში არ შემიყვანა, რადგან შიგნით ხალხი ჩანდა, მოსაუბრეებისაგან განზე გამიხმო და მოკლედ გავაცანი ჩემი „ახალი თვალსაზრისი“ ორი მიქაელის შესახებ. მერე ყველაფერი ვუამბე და ისიც გავაცანი, რაც კორნელი კეკელიძემ თქვა ამის შესახებ.

— რა გითხრა, იცი?.. მიქაელ უნგროვლახელის ქართველობა მეც მეეჭვება. ამოსავალი პუნქტი კარგი მოგიძებნია. ზოგი ჩვენი მეცნიერი ყველაფერს უცხოურს მიაწერს და შიგნით არ იყურება. ეს თვალსაზრისი ძალიან საინტერესოა. ჩვენ ჯერ ქართული ნიადაგიდან უნდა მოვსინჯოთ ყველაფერი და მერე გადავწვდეთ უცხოეთს... შეიძლება ქართველი იყო, ვინ იცის? ამას ბევრი კვლევა-ძიება დასჭირდება. თავი არ დაანებო. ბოლომდე მიჰყე.

მას შემდეგ კარგა ხანს აღარ მინახავს ლეონიძე. უნივერსიტეტი დავამთავრე, სოფელში წავედი მასწავლებლად, ოჯახს მოვეკიდე და თბილისში ჩამოსასვლელად ვეღარ მოვიცალე. დროებით ყველაფერი მივატოვე: ლექსიც და მეცნიერებაც.

ლეონიძის იუბილე

როდესაც პრესაში გამოცხადდა, გიორგი ლეონიძის დაბადებიდან სამოცი წლისთავი უნდა აღინიშნოსო, მაშინ სოფელ კაკაბეთში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვმუშაობდი. ჩვენი რაიონი, როგორც პოეტის სამშობლო, გატაცებით ემზადებოდა ამ იუბილისათვის და მეც გადავწყიტე ჩემს უბანზე გამეკეთებინა ის, რაც მევალებოდა. შევასწავლე თავები ბავშვებს მისი მაღალმხატვრული პოემიდან „სტილინი — ბავშვობა და ყრმობა“, ასევე მისი ვრცელი ლექსი „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ლექსები. მართალია, ამ დროს უკვე პიროვნების კულტზე იყო [illegible] აკრძალული, მაგრამ ვისაც ლეონიძის ეს პოემა გულდასმით წაუკითხავს, დამეთანხმება, რომ მის შესავალ ნაწილს კულტთან არავითარი კავშირი არა აქვს და საქართველოს ძნელბედობასა და სიყვარულს მასზე უკეთესად და ამაღლებულად ვერცერთი ლიტერატურული ნაწარმოები ვერ გადმოსცემს. გულმოდგინედ მოვამზადე ბავშვები და თითქმის ხუთი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ავიღე კალამი ლექსის დასაწერად. აქვე უნდა შევნიშნო ლექსის წერის მიტოვების მიზეზი. უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერალთა წრე იყო ჩამოყალიბებული ბესო ჟღენტის თანადგომითა და ტარიელ კვანჭილაშვილის ხელმძღვანელობით, რაც მთავარია, ჩვენი სახელოვანი ნიკო კეცხოველის ინიციატივითა და მზრუნველობით. იმ წრეში დღევანდელი საქართველოს მწერლობაში მოღვაწე და ზოგი უკვე გარდაცვლილი საუკეთესო ძალები მონაწილეობდნენ. ზოგს უკვე უნივერსიტეტიც ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ იმდენად საინტერესო იყო მათი მუშაობა, მაინც ვერ ელეოდნენ და მწერალთა კავშირზე მეტად იქ მოუხაროდათ. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ მწერალთა კავშირის მაშინდელი თავკაცი სიმონ ჩიქოვანი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ამ წრის არსებობას და სხდომებზე ესწრებოდა კიდეც, სადაც, სიმართლე გითხრათ, სწორედ რომ განაცვიფრებდნენ მხცოვან პოეტს ახალგაზრდა პოეტები თავიანთი ცოდნითა და ნაკითხობითაც კი. ერთი ასეთი შემთხვევაც დამამახსოვრდა: როდესაც ახალი ლექსების განხილვისას ერთ-ერთმა კრიტიკოსმა, მგონი, ნოდარ ჩხეიძემ გრიბაჩოვის ახალი პოემის გავლენა შენიშნა, სიმონმა აღნიშნა, ეს პოემა არ წამიკითხავსო და ახალგაზრდებმა იუხერხულეს: ვერ წარმოედგინათ, არა თუ საქართველოში, საბჭოთა კავშირში ახალი რამ დაწერილიყო და თავის დროზე არ წაეკითხათ. ჰოდა, ამ ძლიერი ახალგაზრდა და განათლებული თაობის წარმომადგენლები უკვე სერიოზულ, დახვეწილ ლექსებს წერდნენ და ერთბაშად შემაკრთო მათ გვერდით გამოჩენამ. მეც-

ნიერულ კვლევაში უფრო თავისუფლად ვიგრძენი თავი და ლექსების წერაზე გული ავიცრუე. ახლა კი, ლეონიძის საიუბილეოდ ხელახლა ავიღე კალამი და კვლავ მივუძღვენი ლექსი ჩემს დიდ კერპს. თანაც შევეცადე, პოეტისთვის შესაფერისი მქუხარებითა და მისივე ლექსიკით მეთქვა ჩემი სათქმელი. აი, ის ლექსიც:

„სიტყვით ქართველო, საქმით ქართველო,
წინაპრის მუხლი გამოგყოლია,
ქართული ჯიში ვერვინ გათელოს,
სანამ კიდევ ზრდის შენებრ გოლიათს!
ვაჟამ გაკურთხა ჯერაც პატარა,
შენი ჩანგით და პირმშო ლექსებით,
ქართული სიტყვის ბრძმედო, ღადარავ,
შენს ნაწრთობ სტრიქონს ვეალერსები.
ბუხუნებ, როგორც ზვირთი იორის,
სამგორის ველს რომ შფოთით ჩაივლის,
მხრებზე რომ გედგას კავკასიონი,
ასე მგონია, მუხლს არ ჩაიხრი.
გულზე მეხლება ლექსი გრძნეული,
რომ გაგიჯდება ჯანში ხალისად,
მე სადღაც ვიცი პატარძეული
და ძველი ფუძე ამირანისა.
ვიცი პოეტი, ვინც სძლევს დანაქადს,
ლექსის მეხრე და ღამის მთეველი,
კაცი — ქართული მუზის ბარაქა,
გულის სიღრმეში ჩაუტეველი.
ვერ შეატყობენ სულში იარას,
თუნდაც სხეული ხმლებით დათალონ,
მე ამ სიმღერას გული კი არა,
იქნებ ფილტვებიც ამოვატანო.
ეზისკენ მიდის და აღარ ივაკებს,
ზღვისებრ ბობოქრობს მისი სიტყვები,
მე მისი ლექსის ჯიქანს მივაგენ
და მისგან აშლილ გრიგალს მივყვები.
საზღვრებს გასცილდა მისი სახელი,
ქართული ძუძუს მადლით ცხებული,
ისევ ბუბუნებს ლომი კახელი
და არც ყავლი აქვს გათავებული“.

ეს ლექსი საგარეჯოს რაიონულ გაზეთში დავბეჭდე სწორედ საიუბილეო დღეებში. თვით იუბილეს კი ვერ დავესწარი ვერც თბილისში და ვერც საგარეჯოში. ეს კი ვიცი, რომ საგარეჯოდან დელეგაცია წამოვიდა იუბილეზე დასასწრებად და მისასალმებლად.

იუბილემ ხელახლა ამაფორიაქა და მაგრძნობინა, რომ ძალიან ცუდია — ეს არაჩვეულებრივად დიდი ადამიანი ამ ბიტყვის ყოველნაირი გაგებით. გადავწყვიტე, შეხვედრა მომეწყო ჩვენს საშუალო სკოლაში. მით უფრო, რომ ბავშვებმა ჩემი ხელმძღვანელობით ზეპირად იცოდნენ მისი პოეზია.

1961 წლის ზამთრის დასასრულს ჩავედი თბილისში ჯერ იმ მიზნით, რომ ვნახო და ნაცნობობა აღვადგინო ლეონიძესთან, ხოლო შემდეგ კი შეხვედრაზე დავითანხმომეთქი. პოეტი მაშინ უკვე მწერალთა კავშირიდან წამოსული იყო და რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. რიგით მდივნად ძალიან ცოტა ხანს იმუშავა, იუხერხულა დაქვეითება. დაქვეითება კი პიროვნების კულტთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. აქაოდა, ლეონიძეს დაწერილი აქვსო პოემა სტალინის საქებად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მუსხელიშვილის მეთაურობითა და სხვა დიდ ადამიანთა ხელისშეწყობით ამაგდარი პოეტი არ გაწირეს და დაქვეითებული მდივნობიდან აკადემიისადმი დაქვემდებარებულ ინსტიტუტში გადმოიყვანეს დირექტორად. ამაზე მეგობრული შარჟიც გამოქვეყნდა, მგონი, „ნიანგში“: ლეონიძეს მწერალთა კავშირიდან ზარბაზნით ისვრიან და ინსტიტუტის დირექტორის სავარძელზე ეცემა ისე, რომ კვლავ ფეხზე დგას. ინსტიტუტი მაშინ შიო ჩიტაძის ქუჩაზე მდებარეობდა. ახლა რომ ცხრა აპრილის ქუჩა ჰქვია.

ლეონიძე ინსტიტუტში არ დამხვდა, მაგრამ მის კაბინეტში დამხვდა ჩემი ნაცნობი, ვალერიან ყუშიტაშვილი — პატარძეულელი ახალგაზრდა, რომელსაც ამ ინსტიტუტში დაეწყო მუშაობა სამეურნეო ნაწილის გამგედ. მისი დანახვა ძალიან გამიხარდა, რადგან ზედმეტად მეტყველი კაცი იყო და, რასაც მე ვერ გავუბედავდი, ჩემს მაგივრად ყველაფერს ეტყოდა. შეიძლება ზოგს ეუცნაუროს კიდეც გაუბედავობას რომ ვახსენებ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილი აღარ ვიყავი და პედაგოგიური მოღვაწეობის სამი წლის სტაჟიც კი მქონდა, ბავშვივით ვიბნეოდი ლეონიძის დანახვაზე და სათქმელი მავიწყდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ვითრგუნებოდი? არა. დათრგუნვა არ ჰქვია ამას, უფრო — მოწიწება. მზეს რომ თვალს ვერ ვუსწორებთ, მაგრამ სულაც არა ვართ მისგან დათრგუნვილი, სწორედ ასე მემართებოდა.

როგორც მოგახსენეთ, კაბინეტი ღია იყო და აქ ველოდით მის მოსვლას მე და ყუშიტაშვილი. იმ დროს ჯერ ისევ ახალგაზრდა პოეტი, სილოვან ნარიმანიძე, შემოვიდა სხვა ახალგაზრდა კაცთან ერთად. როგორც გაირკვა, სილოვანი მოსკოვში წასვლას აპირებდა და რაღაც უნდა ეკითხა ლეონიძისთვის თუ რაღაც წერილი უნდა მიეწერინებინა. დიდხანს ველოდეთ, მაგრამ პოეტი იმ დღეს არ მოვიდა. შემდეგ გიორგი ციციშვილი შემოვიდა კაბინეტში, იმჟამად კრიტიკოსი, გ. ლეონიძის მოადგილე და ამჟამად აკადემიკოსი. გვითხრა, ლეონიძე აღარ მოვა და, თუ გამოდიხართ, მანქანით წავიდეთო. მეორე გამოშვების ლამაზი ცინცხალი „მოსკვიჩი" ჰყავდა ბატონ გიორგის. ჩავსხედით და რუსთაველის გამზირზე ჩამოგვიყვანა. იქ გააჩერა. გვკითხა, საით მიდიხართო, და, როცა გაიგო, განსაზღვრულ პუნქტამდე საერთო გზა გვქონდა, რუსთაველის ძეგლამდე გაგვიყვანა. სხვათა შორის, ისე კარგად მართავდა მანქანას, რომ ერთ-ერთი შეეკითხა, ამდენ მანქანასა და ხალხში ასე თავისუფლად როგორ დადიხარო და გიორგიმ უპასუხა: მანქანა და საჭე ჩემი სხეულის ნაწილივით არისო. ეს არც თუ ისე იოლი საქმე იყო მაშინ—კერძო ავტომანქანებს რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ დაეპყრო ჩვენი ცხოვრება.

რა საქმე გქონდა გოგლასთანო? — ჰკითხა ბატონმა გიორგი ციციშვილმა ნარიმანიძეს და მანაც გოგლაობით ახსენა გიორგი ლეონიძე. მასზე ლაპარაკი ისე დაიწყეს, როგორც ძალიან შინაურ ადამიანზე, თანაც ჩვეულებრივზე, რომელიც სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, გარდა ნიჭიერებისა, სიკეთისა და უბრალოებისა. ასეთმა დამოკიდებულებამ ჩემში ერთგვარად გაფანტა გაუბედავობა და დამარწმუნა, რომ ლეონიძე ანუ იგივე გოგლა ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა და მასთანაც ჩვეულებრივი დამოკიდებულება უნდა მქონოდა. თუმცა, რაღაც ღვთაებრივს მზინც ბოლომდე ვგრძნობდი და ბუნებრივად მიმაჩნდა.

მეორე დღეს დილიდანვე მივედი ინსტიტუტში, ასე მირჩია ყუშიტაშვილმა და მისივე კაბინეტში დაველოდე. ყუშიტაშვილს პატარა, რაღაც ბარგი-ბარხანითა და საქაღალდეებითა თუ ქაღალდებით ჭერამდე ახორხლილი ოთახი ეკავა, რომ იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევსო, სწორედ ისეთი. დილიდანვე დავსხედით იმ ოთახში და ლეონიძეზე ვსაუბრობდით. მეხარბებოდა ყუშიტაშვილის „დიდკაცობა" ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ლეონიძის მოადგილედ ითვლებოდა, თუნდაც სამეურნეო ნაწილში. მას ხომ საშუალება ჰქონდა, ყოველდღე ენახა, რომელიც მისთვის უკვე გოგლა იყო, და მოესმინა მისი საუბარი. ვატყობდი, ჩემზე არანაკლებ ეთაყვანებოდა მის სახელს და დიდად ეამაყებოდა, მისი სამეურნეო ნაწილის გამგეობა. ტრაბახობდა კიდეც მისი სახელით.

— ბატონი გოგლა მოვიდა! — დაიძახა ყუშიტაშვილმა და ფეხზე წამოხტა. მართლაც ლეონიძისებური ბუბუნი შემოიჭრა მის პატარა ოთახში და ერთბაშად გამომაცოცხლა, თუმცა, უზომო მოწიწების გრძნობაც გამიღვიძა და გული ამიჩქროლდა.

— მოდი, ახლავე უნდა გაგაცნო! — მითხრა ყუშიტაშვილმა და კარს მიაშურა.

— მიცნობს, — ავედევნე უკანიდან.

— გიცნობს, მაგრამ ამდენ ხანში შეიძლება დაავიწყდი. თანაც მე რომ გაგაცნობ, ჩემი ძმაკაცია-მეთქი, ეს უფრო დიდი რამეა.

ლეონიძე კიბეზე ამოვიდა. გრძელი, განიერი პალტო ეცვა და უფრო დიდს ჰგავდა. ყუშიტაშვილს რაღაც უთხრა და მე როგორც შემომხედა, მაშინვე შესძახა:

— მგოსანს გაუმარჯოს, მგოსანს!

ფართე მარჯვენით ჩემი ხელი ჩაბღუჯა, სად დაიკარგეო, მითხრა და კაბინეტისკენ წამიძღვა. კაბინეტთან ნახვის მსურველები ელოდებოდნენ. ყველანი ფეხზე წამოხტნენ. წელში გასწორდნენ და თავაზიანად მიესალმნენ. ერთი-ორს იქვე გასცა პასუხი და სადღაც ვიღაცასთან გაგზავნა, რომლებიც

კმაყოფილი სახით დაემშვიდობნენ. ჩანდა, დააკმაყოფილა მათი თხოვნა. დანარჩენებს უთხრა, ცოტა ხანს მოითმინეთ, ეს კაცი სოფლიდან არის ჩამოსულა და ხვალ ველარ ჩამოვაო. თითქოს მან უკვე წინასწარ იცოდა ჩემი მდგომარეობა და ის პატარა წვრილმანიც კი გაეთვალისწინებინა, რაც ჩამოსვლაში დამაბრკოლებდა.

— რა ამბავია სოფელში? — მკითხა კაბინეტში შესთვლისთანავე, პალტო გაიხადა საკიდზე ჩამოჰკიდა.

— მშვიდობა, — ვუპასუხე და ვცადე, ისევე თავისუფლად მოვქცეულიყავი, როგორც წინადღეს თავისუფლად საუბრობდნენ მის ირგვლივ გიორგი ციციშვილის ავტომანქანაში. თუმცა ვერც ისინი მოიქცეოდნენ თავისუფლად ბატონ გოგლასთან პირისპირ.

— სადა ხარ, კაცო? რატო აღარ გამოჩნდი? — ხელახლა მკითხა სკამზე დაჯდომისთანავე და მივხვდი, რომ ნამდვილად აინტერესებდა ჩემი მდგომარეობა, თორემ წეღანდელი შეკითხვის შემდეგ, „სად დაიკარგეო“, — ამას აღარ შემეკითხებოდა.

მხრები ავიჩეჩე, მაგრამ სანამ პასუხს გავცემდი, თვითონვე გააგრძელა:

— სოფელი კარგია. ჭკუით იქცევი, აქ დარჩენა რომ არ მოინდომე, — ვფიქრობ, ამ სიტყვებით, კორექტორობას რომ რუსთავში მუშაობის დაწყება ვამჯობინე, ისიც გაითვალისწინა, — შემოქმედი კაცი ოცდაათ-ოცდათხუთმეტ წლამდე სოფელში უნდა ტრიალებდეს, უნდა შეიწოვოს ყველაფერი — ენაც და ხალხის ზნე-ჩვეულებაც. მერეღა უნდა ჩამოვიდეს ქალაქად. ალექსანდრე ყაზბეგივით, მგონი, იმდენი რამ დაგიგროვდეს, რომ ქალალდზე დაბერტყვაც კი ველარ მოასწრო, თუ მართლა მწერლობას აპირებ, წარამარა კი არ უნდა იყო, ყველასგან უნდა გამოირჩეოდე.

გამეღიმა და ვერაფერი ვუპასუხე. ვიგრძენი, ძველებურად დაბნეულს საუბარი გამიძნელდებოდა.

— ზოგმა იცი, რა იცის: დაწერს ერთ-ორ ლექსს და გაიჭიმება, მგოსანი ვარო. აღარც სოფელი აგონდება და აღარც მშობლები.

— დიახ. — ვუპასუხე მოწიფებავით. ამასობაში ყუშიტაშვილი შემოგვდგა. ეუფრო გავმხნევდი. კედელთან ნაბეჭდებულ სკამებზე გვერდით მომიჯდა და ძალა შემმატა.

— იცი, რა გითხრა? — განაგრძო ბატონმა გოგლამ ჩემი დამოძღვრა, — ყველაფერს თავისი მადლი აქვს. კაცი რომ იტყვის, პოეტი ვარო, ეს ძალიან დიდ რამეს ავალებს. პოეტობა ხუმრობა არ არის. ილიასაც და აკაკისაც პოეტი ერის წინამძღოლად მიაჩნდათ. ცარიელი შაირი არაფერია, თუ ხალხს არ გამოადგები. ერთი პოეტი იყო და ის წერდა: „მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუკი სამშობლო მიბრძანებს ამასო.“

ეს სტრიქონები პირველად გავიგე და გამეცინა. ყუშიტაშვილსაც გაეცინა და ლეონიძესაც.

— თუ შენი მშობლები არ გიყვარს, სამშობლო რაღაა ვითომ? შენი სამშობლო შენი მშობლებიდან და შენი სოფლიდან იწყება.

— ბატონო გოგლა, ამას, იცი, რა კაი ლექსები აქვს! — ჩაუჭრა საუბარი ყუშიტაშვილმა.

— ვიცი. ნიჭიერი ბიჭია.

— წეღან წამიკითხა ორი ლექსი: ტიციან ტაბიძეზე და ლადო ასათიანზე...

— მართლა? — აღარ დაამთავრებინა სათქმელი, — რატომ არ ბეჭდავს?

— არ ვიცი. თქვენზე ხომ უკვე დაბეჭდა.

— როდის დაბეჭდა? არ მინახავს.

— თქვენი იუბილის დღეებში დაბეჭდა საგარეჯოს რაიონულ გაზეთში.

— მე უსათუოდ გამომიგზავნიდნენ იმ გაზეთს. აბა, მაშ, შინ მექნება და წავიკითხავ. თუ კარგი პოეტია, თავისთავად არ დაიკარგება. პოეზიას შუაკაცები არ უყვარს ხალხამდე მისატანად. ლექსი თვითონვე მიაღწევს საწადელს. რომც არ დაიბეჭდოს, ზეპირად გაიჭრება. „ლექსო, სად ივლი, სადამდე? მე აღარ შეგეკითხები. არ დაეცემა მიწაზე აჟღერებული სიტყვები“. ხომ მართალია? განა ყველაფერი ლექსია, რაც რითმებშია მოქცეული? ლექსმა გული უნდა შესძრას. ტიციანი ტყუილად კი არ ამბობს: „ლექსს მე ვადარებ მოვარდნილ მეწყერს,

რომ წაგიღებს და ცოცხლად დაგმარხავსო".

— ბატონო გოგლა, ტიციანი უფრო კარგი პოეტი იყო თუ პაოლო იაშვილი? — ისევ სხვა არხზე გადააგდო ჩვენი საუბარი ყუშიტაშვილმა.

— ორივენი. მაგათი შედარება არ იქნება, — უყოყმანოდ უპასუხა ბატონმა გოგლამ, — ორივენი დიდი პოეტები იყვნენ და ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ. ტიციანი უფრო ხალასი იყო, მოხეთქილი და ზოგჯერ დაუდევარიც. პაოლო უფრო აკადემიური იყო, დახვეწილი. თითქოს წიგნიდან მოდიოდა, მაგრამ ყველაფერი თავისებური ჰქონდა.

— ამბობენ, ტიციანი ძალიან მხარჯავი და დარდიმანდი იყოო? — ისარგებლა ყუშიტაშვილმა შემთხვევით.

— რა გითხრათ, იცი, ის თაობა, საერთოდ, განსაკუთრებული იყო, მაგრამ ყველაზე მხარჯავი და ალალი გულისა პაოლო იყო, სიმართლე თუ გინდათ.

— პაოლო? — გაუკვირდა ყუშიტაშვილს და მეც ასევე, რადგან ტიციანი უფრო პოპულარული იყო და ყველაფერში პირველი მეგონა.

— კი. ოქროს გულის ადამიანი იყო პაოლო. განა ტიციანს წუნსა ვდებ, მაგრამ პაოლო ყველასა გვჯობდა ხარჯვაშიც და გულღიაობაშიც. იმისთანა კეთილი კაცი მეორე არ შემხვედრია. ყოფილა შემთხვევა, გვიქეიფია და პაოლოს ანგარიშიც არ მოუთხოვია მიკიტნისათვის. აესე დაუყრია ფული მაგიდაზე, რამდენიც გინდა, აიღეო. ვაჟკაციც კარგი იყო: ახოვანი და ლამაზი. ოღონდ ბავშვური გული ჰქონდა.

საუბარს დიდი ინტერესით ვისმენდი და ვცდილობდი დამენახა მისი მთვლემარე ლომისებური, ვიწრო და განუმეორებელი თვალები, მაგრამ რამდენჯერაც თვალებში შემომხედავდა, იმდენჯერ თავისთავად ძირს მეხრებოდა თავი და თვალს ვერ ვუსწორებდი.

— პოეტს და საერთოდ, მწერალს, ძალიან დიდი განათლება სჭირდება, — თითქოს ჩვენს დასამოძღვრად განაგრძო ბატონმა გოგლამ, — მაგრამ ეს განათლება მის შემოქმედებაში არ უნდა ყვიროდეს. უნდა იგრძნობოდეს. ხალასი და ბუნებრივი ფორმით უნდა იყოს გამომჟღავნებული. ხომ არ გგონიათ, ვაჟა [illegible] განათლება ჰქონდა და [illegible]? ვაჟა ძალიან ნაკითხი იყო. საქართველოში ალბათ წიგნი არ მოიპოვებოდა, მას რომ არ წაეკითხა, მაგრამ მის პოემებში წიგნიერება სულაც არა ჩანს. თითოეული პოემა თავისთავად მოხეთქილი გაურანდავი მთის ზოდია. გაურანდავი და ბუნებრივი. ღრმა ფილოსოფიური საკითხები ისე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, რომ ვერავინ მიხვდება მის ევროპულ განათლებას. მკითხველი იფიქრებს, მის ავტორს მთის ცხოვრების გარდა, არაფერი უნახავსო. სინამდვილეში კი რამდენი საკაცობრიო საკითხი აქვს დასმული. ვაჟას გაგება უნდა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იცნობს მსოფლიო. როცა გაიცნობს, მაშინ უფრო გამოჩნდება მისი სიდიადე. ვაჟას გარდა ვის შეეძლო, ეთქვა: „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინიო", ანდა: „მთანი თავჩაჩქნიანები ფიქრს მისცემიან მწარესაო"? ვაჟა მსოფლიო მწერალია.

მე და ყუშიტაშვილი სიამოვნებით ვუსმენდით და აღარ გვინდოდა, საუბარი გაეწყვიტა. მან იგრძნო ჩვენი განწყობა-სურვილი და გაეღიმა:

— ჩვენ ახლა ერთმანეთთან საუბარი არ მოგვწყინდება და გარეთ კი ხალხი იცდის. დაუძახე, შემოვიდნენ! — მიუბრუნდა ყუშიტაშვილს.

— ბატონო გოგლა, — ისარგებლა მომენტით ყუშიტაშვილმა, — ამას უნდა, რომ შეხვედრა მოგიწყოს თავიანთ სკოლაში.

— მაგას რომ უნდა, სხვებსაც უნდათ? — გაეღიმა და გადმომხედა.

— უნდათ კი არა, აღარ იციან, რა ქნან. ყველას უხარია თქვენთან შეხვედრა. იმათ დამავალეს.

— რაღას მიცნობენ? — ამოიოხრა, — ჩემი პოემა სწავლებიდან ამოიღეს და რით გამიხსენებენ.

— ახლა უფრო კარგად გიცნობენ, ბატონო გოგლა. ახლა უფრო კითხულობენ თქვენს წიგნებს. თქვენი პოემაც ზეპირად შევასწავლე, „ვეფხისტყაოსანზე" დაწერილი ლექსიც და სხვა ლექსებიც.

— მართლა?! — გაუბრწყინდა თვალები, — თუ ესეა, უარს არ ვიტყვი, მაგრამ ჯერ რომ არ მცალია?

— როცა მოიცლით.

— ჰო, კარგი, ვნახოთ. აბა, შენ იცი. შემომიარე ხოლმე, — ფეხზე წამოდგა და ხელი გამომიწოდა, — კარგად იმუშავე! მასწავლებელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. პოეზიასა და სამშობლო ქვეყანას შენზე მეტად ვერავინ შეაყვარებს. მამაჩემიც მასწავლებელი იყო, ხომ იცი?

— დიახ, — ფეხი ავითრიე და წასვლა გამიძნელდა. ლეონიძემ შემატყო და მოიფიქრა: — გინდა, დღის ბოლოს გამოიარე, თუ დრო გაქვს, და ვისაუბროთ.

— არა, ბატონო გოგლა, დღეს სოფელში მივდივარ. მერე ჩამოვალ და ვნახავ.

— აბა, შენ იცი! არ დამავიწყო! ახალი ლექსებიც გამოაყოლე. ვაჟა-ფშაველასავით ხურჯინით უნდა ჩამოგქონდეს ლექსები. მარტო ყუშიტაშვილს რომ უკითხავ, ეგ არ გეყოფა.

ყუშიტაშვილმა გაიცინა და ისიც კარებისკენ გამოგვყვა.

კარებში რომ გამოვედი, კიდევ ერთხელ მითხრა, არ დამივიწყოო და ხალხს მიუბრუნდა:

— შემოდით, რომელსა გაქვთ ჩემთან საქმე!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

საქართველოს მწერალთა კავშირი 1917—1997

მთავარ მოვლენათა ქრონიკა
70-იანი წლები

როგორც ქართველ მწერალთა VIII ყრილობაზე (1976 წ.) აღინიშნა, რ. ჯაფარიძემ მწვავედ გადაჰკრა („თბილისი", 1988 წ., № 141) საქართველოს განათლების მინისტრს თ. ლაშქარაშვილს — „უჩიტელსკაია გაზეტაში" (1976 წ., 10. I) უფროსი ძმის ქების დასამსახურებლად დაბეჭდილი პატაკისათვის: ზუგდიდის სკოლა-ინტერნატში უკვე მეხუთე კლასიდან ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზკულტურის გაკვეთილები რუსულ ენაზე ტარდებაო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას — განზრახვისათვის („თბილისის უნივერსიტეტი", 1976 წ., 6. II): „პრაქტიკაში დაინერგება რიგი დისციპლინების წაკითხვა რუსულ ენაზე"; სსრკ უმაღლესი განათლების მინისტრს ელიუტინს — ბრძანებისათვის, „რომლის თანახმადაც უმაღლესი სკოლის ყველა სახელმძღვანელო მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა დაიწეროს და გამოქვეყნდეს, თუ არა და სათანადო რეცენზირების შემდეგ საკავშირო უწყებამ უნდა გასცეს ეროვნულ, ე. ი. არარუსულ ენაზე მისი გამოცემის უფლება. ამ ბრძანების ძალით წარმოებიდან უკვე ამოღებულია ქართველი მეცნიერების მიერ შედგენილი ბევრი ორიგინალური სახელმძღვანელო"; ზემდგომ ინსტანციებს — იმ დადგენილებისათვის, რომლის მიხედვით დისერტაციები და მის დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტები მხოლოდ რუსულად უნდა ყოფილიყო შედგენილი.

ამ გამოსვლების გამო რ. ჯაფარიძე მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზეც გააკრიტიკეს და „კომუნისტშიც" (1976 წ. 25. VIII), ხოლო ვიღაც „მეველე" კარგა ხნის შემდეგ (1992 წ., 12. V) „ქართულ აზრშიც" შეედავა (რ. ჯაფარიძე, „დაგვიცავ, ღმერთო, ასეთი მეველისაგან!", „ლს", 1992 წ., № 6; აგრეთვე „ლს", 1994 წ., № 9).

აქ არ შეიძლება, არ ვახსენო, როგორ მოქცეულა ამ საკითხის გადაჭრისას ნიკო კეცხოველი, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, მეცნიერი და საბავშვო მწერალი. მოვუსმინოთ ამავე უნივერსიტეტის პროფესორს, კრიტიკოს ტარიელ კვანჭილაშვილს: „თურმე ყველა რესპუბლიკის უნივერსიტეტში ადგილობრივი, ეროვნული ისტორიის კათედრების გაუქმებაზე ბრძანება ყოფილა დაწერილი. ეს რომ კეცხოველმა გაიგო, ჩავიდა მინისტრ კაფტანოვთან, იბრძოლა და ბრძანება გააუქმებინა" („ლს", 1988 წ., № 1).

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 7—8.

12. „მნათობი", № 9—10.

— ქ. ათენში მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაზე — „მცირე ხალხების ლიტერატურის პრობლემა და მათი როლი თანამედროვე მსოფლიოში“ — სიტყვით გამოსულმა იოსებ ნონეშვილმა განაცხადა: არ ვცნობ ტერმინ „მცირეს“, ამის ნაცვლად „მცირერიცხოვანი“ უნდა ვიხმაროთო („ლს“, 1978 წ., № 21).

— 1978 წლის 11 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის ღია კრებაზე მწერლებმა იმსჯელეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის შესახებ. წინა დღით მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს წარუდგინა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მიერ პროექტში შესატანად შემუშავებული შესწორებები („რესპუბლიკის ენა — ქართული ენა“) და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის წევრის გრიგოლ აბაშიძის ბრწყინვალე სიტყვით დაიცვა ქართველი ხალხის ინტერესები, რასაც, საბედნიეროდ, გაგებით შეხვდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუტის გაუქმებისა და ცნება „საქართველოს ხალხის“ შემოღების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს მწერლებმა: ამაღელვებელი იყო ნოდარ წულეისკირის სიტყვა (რასაც მისი დევნა-შევიწროვება მოჰყვა და რომელიც მხოლოდ 1989 წელს დაიბეჭდა — „ლს“, № 35), გაბედული სიტყვებით გამოვიდნენ: აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი, თინა დონჟაშვილი, იზა ორჯონიკიძე, გურამ ასათიანი, ნოდარ ჯალაღონია, ნელი გაბრიჩიძე (ლხცსა, 8-1-2966).

— როცა რუსული ენის განვითარებაზე დადგენილება მიიღეს, იფიქრეს — ქართულ ენაზეც რაღაც ამის მაგვარი თუ არ გავაკეთეთ, ხალხი აბობოქრდებაო და, აი, ამ საკითხისადმი მიძღვნილ ერთ თათბირზე, რომელზეც მიწვეული იყვნენ: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ელგუჯა მაღრაძე, [illegible] ბოლოქანელი, გიორგი ციციშვილი, სერგის ცახშვილი, შოთა ძიძიგური, ევგენი ხარაძე... ცკ-ის მდივანს გურამ ენუქიძეს უკითხავს — ქართული ენა რატომ არ ვითარდებაო. არცერთს ხმა არ ამოუღია. კვლავ იკითხა. ახლაც არავის არაფერი უთქვამს (სხვათა შორის, დუმილიც პროტესტის ერთი ფორმაა, ახლაც დუმილით დამსწრეთა უმრავლესობამ თქვა: რა უნდა ვილაპარაკოთ, განა თავად არ იცით, ქართული ენა მეორე პლანზე რომაა გადაწეულიო?). დიახ, ახლაც გაჩუმებულან, გარდა ე. მაღრაძისა, რომელმაც გაბედა და თქვა: ქართული ენა იმიტომ არ ვითარდება, რომ მიმოქცევაში არაა... თსუ რექტორს განუცხადებია — ლენინგრადიდან პროფესორები მოვიწვიე, ლექციებს რუსულ ენაზე წაიკითხავენო. ახლაც ვერ მოითმინა ე. მაღრაძემ, მაშინ გამსახკომის თავმჯდომარემ, აქ რუსულ ენაზე არ არის ლაპარაკიო...

„კომუნისტმა“ კი შებრუნებულად წარმოადგინა საქმე.

— მწერალთა კავშირი მეტ-ნაკლებად მუდამ აქცევდა ყურადღებას მწერლობის ახალი ცვლის მომზადებას. ახლაც „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ („ლს“, 1976 წ., № 43) სკკპ ცკ-ის მიერ მიღებული დადგენილების პასუხად მწერალთა კავშირმა კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე.

მაგრამ იყო საშიშროება — ეს დადგენილება ზოგიერთებს გაეგოთ მწერლობის რიგებში ახალ გაწვევად. 20-იან წლებში მწერლობაში მუშათა გაწვევამ არაფერი კარგი არ მოიტანა. სწორედ ეს უნდა ეთქვათ ავტორიტეტებს ახალგაზრდების გასაგონად. და, აი, მწერალთა კავშირის მიმღები კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ ასპარეზზე მოუხმო ახალგაზრდა მწერლებს („გამოდით თქვენი ჭირიმე!“ — „ლს“, 1977 წ., № 13), თანაც გააფრთხილა: ილუზიებს ნუ აჰყვებითო:

„იქნებ ვინმეს ეს დადგენილება ხელოვანთა რიგებში ახალგაზრდობის გაწვევად მოეჩვენა. შემცდარია, ვინც ესე ფიქრობს, რადგან ხელოვნება, ალბათ, ერთადერთი დარგია, სადაც ხალხის, და მით უმეტეს ახალგაზრდობის გაწვევა არ შეიძლება. დადგენილებაში მხოლოდ იმედის მომცემი, პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდობის ხელშეწყობაზეა ლაპარაკი“.

გრიგოლ აბაშიძე — „დღევანდელ ჩვენს ქართულ მწერლობას რომ ვაკვირდებით, ერთი სამწუხარო მოვლენა შეინიშნება: ოციანი თუ ოცდაათიანი წლების ქართველი მწერლები გაცილებით ფართოდ და ღრმად იყვნენ განათლებულნი, ვიდრე მათი მომდევნო თაობები“.

რევაზ მიშველაძე — „ლიტერატურული პრესის ფურცლებზე ნუ გაივლის იგი მწერლობის ელემენტარულ სკოლას“.

შემთხვევითი არ იყო, რომ შოთა ნიშნიანიძემ სწორედ ახლა წამოიწყო კამათი თავისუფალი ლექსის ირგვლივ. არა მარტო მას ეჩვენებოდა, რომ ქართულ მწერლობას მოეძალა ლექსის იოლად მწერალთა არმია: „ვერცერთ ქართულ თავისუფალ ლექსს ვერ დავასახელებ, რომელიც კარგ რითმიან ლექსს ჯობნიდეს„ შედევრებზე არაფერს ვამბობ“, — ასეთი იყო შ. ნიშნიანიძის კატეგორიული დასკვნა. დისკუსია ამ საკითხზე კარგა ხანს გაგრძელდა.

მაგრამ რეალობა ის იყო, რომ ქართულ პოეზიაში თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობის მიხედვით თავის სიტყვას ამბობენ ვერლიბრის ოსტატები: ჯარჯი ფხოველი, მამუკა წიკლაური, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა...

1977 წლის 1-ლ დეკემბერს გამგეობის პლენუმზე მდივნად აირჩიეს ჯანსუღ ჩარკვიანი. მას საგანგებოდ მიენდო მწერალთა ახალ კადრებზე ზრუნვა, იმის გათვალისწინებით, რომ მათთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა შეძენილი „ცისკრის“ მთავარ რედაქტორად მუშაობისას და ჯერ კიდევ 1975 წლისათვის ამ ჟურნალთან ბოლო თანასწორობით დაარსდა ბეჭდვითი ორგანო ახალგაზრდა მწერლებისათვის — „ნობათი“.

„ნობათი“ — ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იაკობ გოგებაშვილმა დააარსა... ჟურნალის გამოცემა გასული საუკუნის ბოლოს შეწყდა. 1974 წელს კი, ჯანსულ ჩარკვიანისა და თამაზ წიკლაურის ხელშეწყობით, კვლავ განახლდა მისი ბეჭდვა „ცისკრის“ დამატების სახით. 22 წლის განმავლობაში ჟურნალმა „ცისკართან“ ერთად, არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას დაულოცა გზა დიდ მწერლობაში. საშუალო და უმცროსი თაობის მწერლების 90-95 პროცენტი პირველად სწორედ „ნობათის“ ფურცლებზეა დაბეჭდილი“ (ბაღათერ არაბული, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წ., 21. 1).

— ამ ათწლეულში მწერალთა ხელმძღვანელობაში მოხდა რამდენიმე ცვლილება: მწერალთა ყრილობაზე (1971 წ., 28-29. IV) მურმან ლებანიძემ განაცხადა: „ლიტერატურული აზრის, ლიტერატურული ცხოვრების გაცოცხლებისა და პროგრესისათვის აუცილებელია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დროული შეცვლა-გადახალისება“.

ასე სხვებაც ფიქრობდნენ.... გადახალისების აშკარად მოთხოვნა მოულოდნელი აღმოჩნდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის, რამაც ეს რამდენადმე დააბნია. მდგომარეობიდან გამოსვლა სცადეს თანამდებობით რაც შეიძლება მეტის დაკმაყოფილებით — პირველ მდივნად ისევ დატოვებულ გრიგოლ აბაშიძესთან ერთად შტატიან მდივნებად არჩეულ ნოდარ გურეშიძეს, იოსებ ნონეშვილს, ბესო ჟღენტს და სერგი ჭილაიას უშტატო მდივნებად დაუმატეს მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, რევაზ ჯაფარიძე (ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ბედორე გაგლოითი, ივანე თარბა.).

მაშინვე ეტყობოდა, ეს იყო დროის მოგება მომავალი უფრო რადიკალური ცვლილებებისათვის. ასეთი ცვლილებების დასაწყისი იყო 1973 წლის 3 ოქტომბერს გამგეობის სხდომაზე ისევ თავმჯდომარის თანამდებობის შექმნა და ხელმძღვანელობაშიც მომხდარი ცვლილება: თავმჯდომარედ ისევ გრიგოლ აბაშიძე დარჩა, მიხვდნენ რა სამდივნოში უამრავი მწერლის შეყვანის არასერიოზულობას, ახლად შექმნილ პირველი მდივნის თანამდებობაზე თენგიზ ბუაჩიძე აირჩიეს, 22 წლის მდივნობისათვის მადლობა უთხრეს სერგი ჭილაიას და სამდივნოში, კიდევ ერთ ახალშეყვანილთან — ნოდარ დუმბაძესთან ერთად, მხოლოდ იოსებ ნონეშვილი და ბესო ჟღენტი დატოვეს.

მაგრამ მოვლენები მთლად ისე არ წარიმართა, როგორც გათვალისწინებული იყო (ფიქრობდნენ მთავარ ხელმძღვანელად შედარებით ახალი თაობის წარმომადგენლის მოყვანას)—1977 წლის 11 მარტს, ნაცვლად სხვა სამუშაოზე გადასული თ. ბუაჩიძისა, რომელთანაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის ურთიერთობა დაიძაბა, საქართველოს კპ ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგემ ალექსანდრე ალექსიძემ პრეზიდიუმს წარუდგინა ახალი ორგმდივანი გიორგი ჟორჟოლიანი (და ამით 30-იანი წლების შემდეგ ისევ დაიწყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში არამწერალთა შეყვანა).

ბოლოს, გაწვდით 70-იანი წლების კიდევ რამდენიმე ლიტერატურულ ფაქტს ქრონოლოგიურად:

— მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა საქართველოს გამსახკომთან ერთად დადგენილება მიიღო „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის" გამოცემის თაობაზე" (1970 წ., 9. I), რითაც საფუძველი ჩაეყარა დიდ ეროვნულ წამოწყებას, საშვილიშვილო საქმეს და რომლის განხორციელებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ ჭელიძეს.

— 1972 წლიდან გამოსვლას იწყებს ალმანახი (შემდეგში — ჟურნალი) „კრიტიკა", რომლის მთავარი რედაქტორები იყვნენ: გიორგი მერკვილაძე (1972-83 წწ.), გურამ გვერდწითელი (1983-84 წწ.), თეიმურაზ დოიაშვილი (1985-86 წწ.), ელიზბარ ჯაველიძე (1986-87 წწ.), რევაზ მიშველაძე (1987-89 წწ.), ორთვიურ სახელშეცვლილ ჟურნალად გადაკეთებული „ქართული მწერლობის" რამდენიმე ნომერს ისევ თ. დოიაშვილი რედაქტორობდა (1990 წ.), შემდეგ რედაქტორად თავი აღიდგინა რ. მიშველაძემ, მაგრამ თანამდებობაზე აღარ დარჩა. ძველ სახელწოდებადაბრუნებულ ჟურნალს უძღვებოდნენ ჯანსუღ ღვინჯილია (1990-91 წწ.), დავით მჭედლური (1991-92 წწ.), მისი გამგეობის მდივნად დანიშვნის შემდეგ, ცოტა ხანს — ტარიელ ჭანტურია (1992 წ.), ვახტანგ ხარჩილავა (1992-97 წწ.). 1997 წლიდან მთავარი რედაქტორია ალეკო გაბელაია.

— აფხაზური და ოსური ლიტერატურების ხელშესაწყობად მწერალთა კავშირში შეიქმნა ამ ლიტერატურათა საბჭოები.

— 1973 წელს ფართოდ აღინიშნა გალაკტიონის დაბადების 80 წლისთავი. ამ თარიღს ეძღვნა საიუბილეო პლენუმი (I. XI). გალაკტიონის საიუბილეო კომისიის თაოსნობით მინისტრთა საბჭომ ნება დართო (1974 წ., 12. IV) და მწერალთა კავშირმა დააწესა გ. ტაბიძის სახელობის პრემია (1000 მან.) წლის საუკეთესო ლექსისათვის, ამ პრემიის ლაურეატები 1975 წლიდან გახდნენ: მორის ფოცხიშვილი (1975 წ. ლექსისათვის — „არ ხარ უცნობი"), შოთა ნიშნიანიძე (1976 წ. „ძახილი"), ტარიელ ჭანტურია (1977 წ. „ვისია ხელი"), ჯანსუღ ჩარკვიანი (1978 წ. „ჭაბუკური ნაბიჯით"), იოსებ ნონეშვილი (1979 წ. „ს. ქართველოში გაზაფხუ-

ლია"), ანა კალანდაძე (1980 წ. „მარიამ დედოფლის ფრესკასთან"), არჩილ სულაკაური (1981 წ. „შურისციხე"), რეზო ამაშუკელი (1982 წ. „მიდი, შეუდექ ერთგულებით უღელს ქვეყნისას"), დიდი შუალედის შემდეგ — ირაკლი აბაშიძე (1986 წ.), ოთარ ჭელიძე („აპასიონატა") და გალაკტიონზე შექმნილი მშვენიერი წიგნის ავტორი ვახტანგ ჯავახაძე (ლექსისათვის „ვაითუ"; (ორივეს 1987 წ.), მურმან ლებანიძე (1988 წ. გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსისათვის), ლია სტურუა (1991 წ. „ქარი ჯერ არა ჩანს"), ირაკლი ბაზაძე და მიხეილ ქვლივიძე (ორივე 1995 წ. კვლავ არა თითო ლექსისათვის).

— 1974 წელს მწერალთა კავშირმა დააწესა ყოველწლიური (სამუშაო, წამახალისებელი) პრემიები თანამედროვე თემატიკისადმი მიძღვნილი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის პროზაში, პოეზიაში, დრამატურგიაში, კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში, თითოეული 1500 მანეთის ოდენობით.

პირველად ეს პრემიები ამავე წელს მიენიჭათ რევაზ მარგიანს პოემისათვის „თოვაში შეხვედრა გაზაფხულზე" და ლექსთა ციკლისათვის „1942" და ჯანსულ ჩარკვიანს პოემებისათვის „მირზა გელოვანი" და „სამი თამარი", ნაზი კილასონიას ლექსებისათვის, ვახტანგ ჭელიძეს პუბლიცისტიკაში და რევაზ ჯაფარიძეს ნარკვევისათვის „მწვანე ზამთრის ქვეყანა".

— 1974 წლის იანვარში პირველად საბჭოთა კავშირში, მწერალთა კავშირთან შეიქმნა მხატვრული ლიტერატურის თარგმნისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია ოთარ ნოდიას თავმჯდომარეობით, რომელიც მოწოდებული იყო, შეედგინა თარგმანების პერსპექტიული გეგმა, მკაცრად და პრინციპულად შეერჩია სათარგმნელი საუკეთესო ნიმუშები, შეექმნა პწკარედების ბიბლიოთეკა, გაეუმჯობესებინა ლიტერატურული ურთიერთობანი და ყველაფერი ეს დაეფუძნებინა მყარ მეცნიერულ საფუძველზე.

— 1974 წელს ალმანახების „ცისარტყელასა" (1968-79 წწ. მთ. რედაქტორი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე) და „ხომლის" (1968-73 წწ. მთ. რედაქტორი — ვახტანგ ჭელიძე) შეერთებით შეიქმნა ალმანახი „საუნჯე" (მთავარი რედაქტორები: 1974-77 წწ. — კ. ლორთქიფანიძე, 1978-82 წწ. — შოთა ნიშნიანიძე, 1983-88 წწ. — მუხრან მაჭავარიანი, 1988 წლიდან ისევ შ. ნიშნიანიძეა).

— 1974 წლის 27 სექტემბერს, საკავშირო მწერალთა კავშირის შექმნის მე-40 წლისთავზე, გრიგოლ აბაშიძეს მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 1979 წელს კი აირჩიეს პოეტ-აკადემიკოსად.

— 1975 წელს ქართულმა მწერლობამ მიიღო კიდევ ერთი ბეჭდვითი ორგანო — გამოსვლას იწყებს საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი ქუთაისის განყოფილების ორთვიური ალმანახი (1990 წლიდან ყოველთვიური ჟურნალი) „განთიადი" (მთავარი რედაქტორები: 1975-77 წწ. — გურამ ფანჯიკიძე, 1978-86 წწ. — კონსტანტინე ლორთქიფანიძე, 1986-92 წწ. — რეზო ჭეიშვილი, 1993 წლიდან — ავთანდილ ყურაშვილი).

— 1975 წელს დაარსდა საქართველოსა და აფხაზეთის მწერალთა კავშირების (შემდეგში — საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაციის) ყოველწლიური (მოგვიანებით — ყოველკვარტალური) ალმანახი „რიწა", რომლის რედაქტორებად მუშაობდნენ: 1975-82 წწ. ოთარ ჭურღულია, 1982-87 წწ. გიორგი სიჭინავა, 1987 წ. — ჯანო ჯანელიძე, 1987-94წწ.—გურამ ოდიშარია, 1994 წლიდან— გივი ბერაია.

— 1976 წელს ხუტა გაგუა დაინიშნა სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოს პმგ მდივნად. მანამდე ამ კავშირის გამგეობის კონსულტანტად ქართული ლიტერატურის დარგში მუშაობდნენ მიხეილ ქვლივიძე (1953-1963 წწ.), ნიკოლოზ მიქავა (1963-1976 წწ.).

— 1976 წელს დაწესდა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, რომლის მინიჭება ხდება დიდი მთარგმნელის დაბადების დღეს — 8 თებერვალს. ამ ჯილდოს ლაურეატები გახდნენ: 1978 წ. — ვახტანგ ჭელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამაზ ჩხენკელი, გიორგი ბესთაუთი; 1980 წ. — ბაჩანა ბრეგვაძე, ელიზბარ ანანიაშვილი; 1983 წ. — ზურაბ ახვლედიანი, გიორგი ნიშნიანიძე, დალი კოკაია-ფანჯიკიძე; 1985 წ. — გრიგოლ აბაშიძე, ოვანეს კარაიანი, დავით წერედიანი; 1987 წ. — ნიკა აგიაშვილი (გარდაცვალების შემდეგ), ზეზვა მედულაშვილი; 1993 წ. — ვაცლავ ჩერნი (ქართული მწერლობის მთარგმნელი ჩეხურ ენაზე), ისრაელში მცხოვრები ქართველ ებრაელთა ჯგუფი: თამარ კეზელი (მამისთვალოვი — კეზერაშვილისა), აბრამ მამისთვალოვი და გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი), რომლებმაც პირველად ებრაულიდან ქართულად თარგმნეს მოსეს ხუთწიგნეული — თორა; 1997 წ. — იმირ მამედლი (ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობაში შეტანილი წვლილისა და მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის); 1998 წ. — ნანა ფურცელაძე და თინა მარგველაშვილი; ლუიჯი მაგაროტო (ვაჟა-ფშაველას პოემების იტალიურ ენაზე თარგმნისა და იტალიაში ქართული კულტურის პროპაგანდისათვის).

— 1977 წლის 1-ლ აპრილს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის პროკურატურიდან რეაგირებისათვის გადმოგზავნილი სათანადო მასალების გამო მწერალთა კავშირიდან ერთხმად (ეს „ერთხმად" უმეტესად უფრო სხვისი ნების გამოხატულება იყო) გარიცხა ხელისუფლების მიერ არალეგალურ ჟურნალებში „საქართველოს მესამესა" და „ოქროს საწმისში" — თანამემამლობისათვის, ანტისაბჭოთა პროპაგანდაში დადანაშაულებული და შერისხული ზვიად გამსახურდია. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პოზიცია ასეთი იყო (სტენოგრამის მიხედვით): „მწერალთა კავშირის წესდებით წევრებად ითვლებიან ისინი, ვინც დგანან მთლიანად საბჭოთა პოზიციებზე და ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში... და თუ კაცი იბრძვის ამის წინააღმდეგ, ის თვითონ აყენებს თავს ჩვენი ორგანიზაციის გარეშე".

პრეზიდიუმის წევრებმა ზ. გამსახურდიას წინადადება მისცეს: თუ საბუთს წარმოგვიდგენ, რომ პროკლამაცია შენი არაა, აღგადგენთ, თუ იმართლებ თავს, ხელადვე შევცვლით ჩვენს გადაწყვეტილებასო.

არავისთვის არ იყო იოლი, მაგრამ ზ. გამსახურდია მაინც გარიცხულ იქნა, შემდეგ იგი, როგორც ცნობილია, დააპატიმრეს.

— მწერალთა სასახლის კაპიტალური რემონტის გამო მწერალთა კავშირი 1978-81 წლებში განლაგებული იყო მხატვართა სახლის (ყოფილი „ინტურისტი") მესამე სართულზე.

— 1979 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა" გამოსცა 17-ტომიანი ბიბლიოთეკა „ქართული პოეზიის" პირველი ტომი. ამ ბიბლიოთეკის გამოცემას დიდი ამაგი დასდო გამომცემლობის დირექტორმა, პოეტმა და ბელეტრისტმა არჩილ სულაკაურმა. ბიბლიოთეკის ოთხი ტომის შემდგენელი სამეულიდან (გ. გეგეჭკორი, ე. კვიტაიშვილი, ტ. ჭანტურია) ერთერთის ტ. ჭანტურიას ნააზრევი (მწერალთა სასახლე, ბიბლიოთეკა, 1994 წ., I. VII): „ჩვენ, შემდგენლებმა ვუთხარით გამომცემლობის დირექტორს არჩილ სულაკაურს: „არ შეიძლება ამაში არ იყოს შალვა ამირეჯიბი. მაგრამ ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას, შენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც გამომცემლობის დირექტორს, გაწვება ეს პასუხისმგებლობა, ახლა შენ იცი, გინდ გაუშვი, გინდ არა. არ-ჩილმა დაბეჭდა! ეს კია, ცენზურას არ ექვემდებარებოდა, რადგან ანთოლოგიის მაგვარი გამოცემა იყო".

— მაინც, თქმა არ უნდა, მაშინ გვარიანი გაბედვა იყო საჭირო, ემიგრანტი პოეტის ლექსები რომ დაგებეჭდა.

იქვე მოიტანა საპირისპირო მაგალითი: ასეც ხდებოდა — თავად პოეტმა, „მერანის" განყოფილების გამგემ, თანამოკალმე გივი გაგნიძეს — „პარიუთხრა წიგნის გამოცემაზე — „პარავოზი" ლექსები არ გაქვსო.

— საქართველოს ძველი თუ თანამედროვე მწერლობით, კულტურით დაინტერესებული უცხოელი მწერლები ყოველთვის ეტანებოდნენ ჩვენს ქვეყანას. მათ შეხვედრებს უწყობდნენ მწერალთა კავშირსა თუ მის ორგანიზაცია-დაწესებულებებში, მათთან საუბრებსა და მოგზაურობებში მრავალი მწერალი მონაწილეობდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61,
პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 02.07. 98 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 09. 98 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4}$X12, ფორმატი 70X108$_{1}/_{16}$; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11.5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16.1. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 10,81; ტირაჟი 400. შეკვეთა 882.
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“
კოსტავას ქ. № 14.

65/54

ფასი ორი ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
96030
76125